

30600

№8 2022



კირბი

(ოქროს საწმისი – Golden Fleece)

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველკვარტალური ჟურნალი

№ 8, 2022 წელი, დეკემბერი.

ISSN 1512 – 3456

Sk – 9771512345002

UDC (უღკ) 50 (079 22) კ – 54

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

ბური ოტობაია

ნომრის თემატიკა:

ჭეშმარიტი და ფსევდო ოლიგარქია

მარადიული ფასეულობანი

ეპოქალური წიგნი – „მშვიდობის ქართული პარადიგმა“

გვიმრის ხეების დაბრუნება საქართველოში

მსოფლიოს მერვე საოცრება „ბიორაგი“

ჟურნალ „კირბის“ ნომრის თანამოსაზრანი:

ივანე ამირხანაშვილი	მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი
ავთანდილ არაბული	აკადემიკოსი
კობა არაბული	პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „სხვა დროს“ რედაქტორი
ლევან გუგუშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამა მიქაელი (ბუკია)	წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზი
ლაშა გვასალია	მწერალი, ჟურნალ „მწერლობა – XXI“-ს რედაქტორი
ჯემალ გამახარია	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
რამაზ განუკოძე	აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

მაყვალა გონაშვილი	უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე
ბაკურ ბულუა თემურ ვეკუა ბადრი ვადაჭკორია	სახელმწიფო მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ფოტოკორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე
მურმან ზაქარაია დავით ინჯია ბია კვაშილაშვი	პუბლიცისტი, ჟურნალ „მიჯნას“ რედაქტორი ბიზნესმენი, პარლამენტის ყოფილი წევრი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ფაზისის აკადემიის“ პრეზიდენტი
იგორ კვენცელაშვი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „ისტორიული ვერტიკალები“ მთავარი რედაქტორი ფერმერი
მარიამ კიკაძე ლევან მებონია	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
ელზა მატრეველი	სტილისტი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადილე
როინ მატრეველი	აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალ „აკადემიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი
ზაურ ნაჭყაბია	ჟურნალისტი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონის“ დირექტორი
მურმან ნაჭყაბია იური პაპასაშვი	პუბლიცისტი, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი
სოსო სიგუა	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „მწერლის გაზეთის“ რედაქტორი
საშა უნაშვილი	ფოტოჟურნალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემატინაწე
გიორგი ფარულაშვი	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი
დავით ქობალია	პუბლიცისტი, ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი ჰუმანიტარული ორდენის „Gordon Bleu Du Saint Esprit“ საპატიო წევრი, საპატიო დოქტორი
როსტომ შამუგია	პუბლიცისტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმალლესი საბჭოს დეპუტატი
ია ჩუთლაშვილი მერაბ ჩუხუა	პუბლიცისტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორი
ბენადი ცაავა ნოდარ ჭითანაშვი	აგრონომი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გვანცა ხარჩილაშვი	პუბლიცისტი, „საერთო გაზეთის“ რედაქტორი
ზურაბ ხონელიძე	პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
ნანა ხუფენია	რეჟისორი, ჟურნალ „კირბის“ პასუხისმგებელი მდივანი

სარჩევი

კუბლიცისტური პანორამა

ნუნუ დაუშვილი – „ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქართველი ხალხი მოისურვებს“; უმადური გვარნაცვალ-სულგაყიდული ვაი-ქართველობა და „კოლექტიური დასავლეთის“ ქოშების უკუყრა.....	5
ჟურნალ „კირბის“ რედაქტორისგან.....	13
გური ოტობაია – მშვიდობის ქართული პარადიგმა“.....	17

მარადიული ფასეულობანი „იპერიული ჰოეზიის ანთოლოგიიდან“

ნანა კუცია – „ფოთლიდან ფოთოლზე ნამის გადაცურება“.....	21
გილგამეშინი შუმერული ეპოსი. თარგმნა ზურაბ კიკნაძემ.....	25
თამბი – სვანურიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.....	30
ბილება – სვანურიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.....	30
ლექსი ვეფხისა და მოყმისა.....	31
ამბავი ნართებისა – აფხაზური ეპოსი. თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა.....	32
უფროსი ედა – ისლანდიური ეპოსი. თარგმნა გ. კალანდაძემ.....	35
ბერნატ ეჩეპარე – კონტრ-პა. ბასკურიდან თარგმნეს: სალომე გაბუნია და ნათელა სტურუამ.....	36
მგლების სიმღერა – ჩეჩნურიდან თარგმნა მამუკა ნიკლაურმა.....	37
ნიკოლოზ ბარათაშვილი – მერანი.....	38
რაფიელ ერისთავი – სამშობლო ხევსურისა.....	39
კოსტა ხეთაგითი – სასაფლაოზე. თარგმნეს: გ. ლეონიძემ, ვ. გორგაძემ და ს. ფაშალიშვილმა.....	40
აკაკი წერეთელი – განთიადი.....	41
ვაჟა-ფშაველა – რამ შემქმნა ადამიანად?.....	41
უილიამ ბატლერ იეიტსი – ჟღალი ჰანრაჰანის სიმღერა ირლანდიაზე. თარგმნა გია ჯოხაძემ.....	42
პაოლო იაშვილი – პოეზია.....	43
გალაკტიონ ტაბიძე – ეფემერა.....	44
ტერენტი გრანელი – Memento mori.....	46
გიორგი ლეონიძე – ყივჩაღის პაემანი.....	47
დანიელ ფიფია – ბორჯი. მეგრულიდან თარგმნა კობა ჭუმბურიძემ.....	47
მიხა ხელაშვილი – ლექსო ამოგთქომ.....	48
ნიკო სამადაშვილი – ნიკო სამადაშვილს.....	48
ირაკლი აბაშიძე – ხმა კატამონთან.....	49
მურმან ლებანიძე – ვოი!.....	50
ჰასან ჰელიმიში – ქუტა ქარმატე. ლაზურიდან თარგმნა გური ოტობაიამ.....	51
მიხეილ ქვლივიძე – იუდას მონოლოგი.....	51
მუხრან მაჭავარიანი – საბა.....	52
ვანტანგ ხარჩილავა – მონოლოგი წარსულიდან.....	53
ზაზა თვარაძე – DIN RINGILL.....	58
დათა გულუა – გზა ტაჯ-მაჰალის.....	62
ოტია იოსელიანი – მენინავე (მოთხრობა).....	59

ბენეფისი

გური ოტობაიას შემოქმედებითი სალამო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.....	90
ნანა კუცია – გური ოტობაიას რომან „სიცოცხლემისჯილის“ ტოპოსის მითო-ეკოლოგიური ასპექტები	92
ეკა ცხადაძე – გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ – კოლხი ზეკაცის ვნებები.....	97

მარინე ტურავა – მხატვრულ-დოკუმენტურ ყაიდაზე.....	99
იური პაპასქუა – საზოგადოება და მწერლის სამყარო.....	102
ნანა ხუფენია – გური ოტობაია, როგორც შემოქმედი.....	103
კონსტანტინე ფეტელავა – გური იოტობაიას შემოქმედებით სალამოზე წარმოქმული სიტყვა	105
გური ოტობაია – იძულებითი კომენტარები.....	107

ესთეტიკური ლელო

ლევან ბებურიშვილი – „მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“.....	122
სოსო სიგუა – შინაგანი მეტყველება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.....	142
მარიამ მირესაშვილი – „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკა.....	164
მანანა გელაშვილი – პაუნდის კანტოები: სამყარო კონტრაპუნქტში.....	168
სალომე კაპანაძე – მარადიული დაბრუნების პოსტმოდერნისტული ვარიაციები.....	175
ნანა კუცია – ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“.....	180
მაია ჯალიაშვილი – განზომილებებით თამაში – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“.....	183
ჟაკლინ სირაძე – სიყვარულის ფუგა აბსურდს აუქმებს. თემურ ბაბლუანის რომანი „მზე, მთვარე და პურის ყანა(მანუშაკა მელოდება)“.....	198
სამშობლო, როგორც ბედისწერა – ვახტანგ ხარჩილავას უკვდავსაყოფად. საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია	204

ბელეტრისტული ტრიბუნა

გური ოტობაია – ერთბოლოიანი მსოფლიოს აგონია . წერილების ციკლი საქართველოს ყველა დროის გმირის – ბატონ ბიძინა ივანიშვილის სულიერი პორტრეტისთვის საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება.....	207
ჭეშმარიტი და ფსევდო ოლიგარქია.....	210
უმცირესობის დიქტატი.....	215
სალოცავი გვიმრის ხეების დაბრუნება სამშობლოში – შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში.....	219
მსოფლიოს მერვე საოცრება.....	225
ობლის კვერის ისტორია.....	232

ინფორმაციული ნაკადი

ბევრი პაატა ნაცვლიშვილი – წერილი. პოემა ბადრი ვადაჭკორიას ფოტო-რეპორტაჟი.....	237
საჩუქრად ხალიჩა აქლემის ნაყშებით	246
„კირბელების“ მილოცვა შოთა რუსთაველის სახელობის 2022 წლის პრემიის ლაურეატებს, პოეტებს – ქ-ნ მაყვალა გონაშვილსა და ბ-ნ რაულ ჩილაჩავას	248
ანონსი – ანკეტა ესთეტიკოსებისთვის. ივანე ამირხანაშვილი	249
ანა სამაკაშვილი, გიორგი რურუა – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვიზიტები.....	250
ზაურ ნაჭყებია – ღირსეული ჯილდო.....	262

კუხლიცისტური პანორამა

„ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქართველი ხალხი მოისურვებს“

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხილულად რომ გამოჩნდა საქართველოს წინაშე, არ მახსოვს, ვინ იყო, რომ თქვა: სამაგიდო თამაშები უყვარს, იშვიათად აგებს, წაგებას ვერ იტანს, ისეთი მოთამაშეა, გაცდებით, რანაირად გათვლის ხოლმე სვლებს, წაგებულ ხელს როდის შემოატრიალებს, ვერც კი მიხვდებითო. ახლა ვუყურებ, რა ხდებოდა „დეოლიგარქიზაციაზე“, რომელიც პირდაპირ მის სანაღმდეგოდაა მიმართული და მეღიშება – რანაირად შემოატრიალა სიტუაცია სათავისოდ!

ჰერმან საბო საბრალოდლა გოდებს: **დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი არის „ქართული ოცნების“ მხრიდან ენის გამოყოფა ევროკავშირის მიმართო...**

პარლამენტმა მიიღო დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონ-პროექტი, რადიკალურმა საპარლამენტო ოპოზიციამ კი მხარი არ დაუჭირა. ძალიან საინტერესოა, რატომ?! თვითონ არ წამოიწიეს, გვინდა-გვინდა სასწაფოდ ეს კანონიო?!

პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად) მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებიდან სულ მცირე სამ მათგანს მაინც ერთდროულად აკმაყოფილებს:

1. მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში;

2. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე;

3. არის ის მენარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი, რომელსაც ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან იუმჯობესებს; მისი და იმ მენარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 1 000 000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

ჰოდა, ჩემო იმანოებო, აღარ მოუნდათ დეოლიგარქიზაცია, თუ ის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს არ შეეხებოდა და კიდევ უარესი, მათკენ შებრუნდებოდა და საკუთარ ოლიგარქებს მოუკითხავდა.

იტყვი, ბრძენი კაცია ბიძინა ივანიშვილი, უძ-

ლიერესი მოთამაშეო და დაგინყებენ თითის მოშვერას, „ბიძინისტი ხარო“ – ბიძინისტი კი არ ვარ „სიმართლისტი“ ვარ. ჰოდა, იმ სიმართლით ვივლი, რაც ახლა გამახსენდა ბიძინა ივანიშვილის „დეოლიგარქიზაციაზე“. მაშინაც ასე ამოატრიალეს „პლასტიკა“ მისთვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებაზე.

მუმლი რომ მუხას ესევა, ზუსტად ისეა ამათი ამბავი...

2012 წლის 4 აპრილს, მოთხოვნიდან სამი თვის თავზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნის საფუძველზე, ბიძინა ივანიშვილს უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებაზე.

„საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ითვალისწინებდა ორ პროცედურას. პირველი – ნატურალიზაცია: იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები. მეორე – ორმაგი მოქალაქეობა: მოქალაქეობის მინიჭება იმ პირთათვის, რომლებიც, ამავდროულად, სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.“

საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართა. სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ბიძინა ივანიშვილს, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით უნდა მიემართა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით.

მსგავსი თხოვნით ბიძინა ივანიშვილს შესაბამისი ორგანოებისთვის დღემდე არ მიუმართავს. მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურების დაცვის შემთხვევაში“, – ნათქვამი იყო ოფიციალურ განცხადებაში.

საინტერესოა „დაკვალიანება“, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხს უშუალოდ პრეზიდენტი წყვეტს...

ხელისუფლების წარმომადგენლებს საერთო პოზიცია ჰქონდათ, ბატონმა ივანიშვილმა მოქალაქეობის მოთხოვნის არასწორ ფორმას მიმართაო.

ბატონი ივანიშვილის „მხარდამჭერად“ მოულოდნელად გიორგი თარგამაძე გამობრწყინდა, ბატონი ივანიშვილის მიერ „ნაცმოძრაობის დანამატად“ სახელდებული, რომელიც ინიციატივით გამოვიდა, კონსტიტუციაში შესულიყო ცვლილება: **„ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაბადებულია საქართველოში და ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, აღჭურვილი იყოს საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და არჩევის იმავე პოლიტიკური უფლებებით, როგორც საქართველოს მოქალაქე“**.

გახურებულზე ბევრმა იგუნება ხელისუფლების გადაგდებული ნემსკავი, მაგრამ „დედა-რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი, სარძევე კბილი „მიშა და კომპანიაში“ რომ მოიცვალა, მაგას ჭამდა? მიუღებელი და დაუშვებელია კონსტიტუციის ჭრა-კერვა რომელიმე ერთ ადამიანზე მორგებით და ამიტომ ვარ სწორედ ხელისუფლების ოპოზიციაშიო. ხოლო, რაც შეეხება კონკრეტულად ბატონ ივანიშვილს, მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას არანაირი საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდებაო, – თქვა მან და მართებულადაც.

თარგამაძის ინიციატივა კი სხვა არაფერი იყო, გარდა ერთისა, მიენიშნებინა, **„ხელისუფლება კანონიერად იქცევას“**, ან – **„მიშას თუ კონსტიტუციის მორგებაში სდებთ ბრალს, აგერ, თქვენი ბიძინა, ჯერ არ მოსულა და უკვე იგივეს აკეთებსო“** აბა, ამას გამოაპარებდნენ „თინას რაზმს?“

რატომ აირჩიეს ბატონი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად ნატუ-

რალიზაციის გზა მისმა მრჩეველებმა, თუ საქართველოს კანონმდებლობით ეს გზა მცდარი იყო? ნუთუ ამდენი ცნობილი იურისტიტით გარშემორტყმული ივანიშვილი საკუთარმა „იურისტულმა“ გარემოცვამ გააცურა? – დაისვა კითხვები აღშფოთებული საზოგადოების მხრიდან.

ხალხის იმედგაცრუებას, ბუნებრივია, კვლავ იმ ცალკეული პირების წარსულის გახსენება მოჰყვა, რომლებიც დღეს „კოალიციაში“ არიან და ცნობილი იურისტები ჰქვიათ, თუმცა, ისინი ივანიშვილამდე არსებული ხელისუფლების იურისტებიც იყვნენ და იმის წინანდელი ხელისუფლებისაც, სასათბურე პირობების შექმნის შემთხვევაში ყველგან რომ ხარობენ.

პირველი კომენტარი ბატონმა არჩილ კბილაშვილმა გააკეთა, რომელმაც ბრძანა, რომ სამოქალაქო რეესტრის გადანყვეტილება უკანონოა, რადგან, მოქმედი კანონმდებლობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების სწორედ იმ პირობებს ითვალისწინებს, როცა პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

„შემიძლია მიგითითოთ პრეზიდენტის 2009 წლის 30 იანვრის №34 ბრძანებულება, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიღების წესს შეეხება. ამ დებულებას თან ერთვის განცხადების ფორმის დანართი, რომლითაც მიემართება საქართველოს პრეზიდენტს. დანართის 11-ე პუნქტში არის ასეთი შინაარსის ჩანაწერი: „ჩემი თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თანახმა ვარ, უარი განვაცხადო ამა და ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე“. ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელიც პრეზიდენტს ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების თხოვნით მიმართავს,



2003 წ. ბადრი ვადაჭკორიას ფოტო-რეპორტაჟი:
„გზა – იავარქნილი სამშობლოს გადასარჩენად!“



იმ მომენტისათვის რომელიღაც ქვეყნის მოქალაქეა“ – განაცხადა ბატონმა კბილაშვილმა.

„თუ სურვილი აქვთ, ორმაგი მოქალაქეობის საფუძველზე მიანიჭონ საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს, ჩვენ ამ მიმართულებითაც გვაქვს შეტანილი სარჩელი სააპელაციო სასამართლოში, უკვე სამი თვეა და დააკმაყოფილონ ეს სარჩელი, ისე, როგორც დააკმაყოფილეს ეკატერინე სვედელიძის ნაწილში და ამით აღდგება სამართლიანობა. ამიტომ, ეს არის საბაზი და არა მიზეზი“, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ბატონი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების, (აღდგენის, მინიჭების თურაც გინდათ, დაარქვით) საკითხს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აშშ-ის ელჩი საქართველოში **ჯონ ბასიც**, რომელმაც, როგორც ელჩმა, ცხადია, საკუთარი ქვეყნის პოზიცია დააფიქსირა: „**მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, სწრაფად და თანასწორობის პრინციპით წარმართოს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი**“, – რომელსაც ამ სიტყვებამდე ორიოდ წუთით ადრე მხარმარჯვნივ **სანდრა რულოვსი** უმშვენებდა გვერდს, მარცხნივ კი **ჭიაბერაშვილი**.

დილას ოფიციალურად გაჯიქებული საპარლამენტო უმრავლესობა, შუადღისთვის უეცრად „ფრიად მოიხიბლა“ გიორგი თარგამაძის ინიციატივით და ხელები გაშალეს: **რაზეა ლაპარაკი, ბატონ ივანიშვილს ისეთივე უფლებები ექნება არჩევნებზე, როგორც სხვებსო**.

რაც შეეხება თვით ბატონ ბიძინას, საქართველოს მოქალაქეობაზე მისთვის უარის თქმის მეორე დღეს პრესკონფერენციაზე მშვიდად განაცხადა: „**21 აპრილს, მე, როგორც საქართველოს მოქალაქე**, მონაწილეობას მივიღებ (დავაფუძნებ) ახალი პარტიის დაფუძნებაში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“. უფრო მოგვიანებით ჩვენი კოალიცია ბლოკად ჩამოყალიბდება და მისი სახელი იქნება „**ივანიშვილი – ქართული ოცნება**“. მე ვიქნები ამ ბლოკის ლიდერი და დავრჩები პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად. მე თქვენ გპირდებით, რომ, როგორც ნებურად და ლამაზად მოვიდა გაზაფხული, უფრო უხვი და მოსავლიანი შემოდგომა გვექნება. გპირდებით, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქართველი ხალხი მოისურვებს“.

რაც ვერ გათვალა და ვერ აგვისრულა დანაპირებიდან, არის ის, რომ სისტემა არ გასამართლდა, ისიც გარედან უხეში ჩარევის გამო; ყურით მოთრეული კოჰაბიტაცია რომ მოგვახვიეს თავზე და მეორე – ძალიან კარგი წარმოდგენისა ყოფილა საქართველოს მოქალაქეებზე ბატონი ბიძინა, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი სულწაპანა წუპაკები დახვდებოდნენ...

სასაცილო ის არის, რომ არაერთი სიუჟეტი მოამზადა სხვადასხვა რევანშისტოლმა ტელევიზიამ ბიძინა ივანიშვილზე, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი – „**ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მავნებელი**“ ვერ შექმნეს. ახლა ეკოტერორისტობა დაუმატეს – ორი დღეა, იცინის ხალხი და უკვირთ, როგორ არ რცხვენია ტელენამყვან გოგონას, როცა პათეტიკური ტონით მრისხანე ჰანგის ფონზე უტიფრად იმეორებს სიტყვებს, რომლებიც ეთერში წასაკითხად დაუნერეს – **ივანიშვილს ბუნებრივი რეაქცია არ ჰქონია, როცა ეკოლამნაშავედ მოიხსენიესო**. თურმე დამდგარა ეს „უსაქმური ბიძინა“ დააპატიმრებს ცალკე მუხებს,



ცალკე გარეული ფრინველების კონკრეტულ სახეობებს: ხობებს, გნოლებს და კაკბებს – „ტყეში უშფოთველი არსებობა შეწყვიტეს“.

შვილო, გასაგებია რომ დაგავალეს ამ იდიოტობის ნაკითხვა პირდაპირ ეთერში, მაგრამ თვალები მაინც დახარე, რომ დაგიჭყეცია გაყინული თევზივით და მოგვჩერებხარ, მივხვდეთ მაცურებლები, რომ „მანდ მუშაობ და სხვაგვარად არ ძალგიდს...“

უმაღური ერი

(„როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს...“)

ჩემი ახლობელი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პოეტი არცთუ დიდი ხნის წინათ შემომჩიოდა: **ოცი წელია, ერთსა და იმავე კითხვაზე ვითხოვ პასუხს, მაგრამ დღემდე არავინ მიპასუხა – რატომ უთმობენ ჭკვიანები სამშობლოს სულელებს?**

რა უნდა მეპასუხა, – ალბათ, იმიტომ, რომ ჭკვიანებიც და სულელებიც, ორივე ბრჭყალებში უნდა მოიაზრებოდეს-მეთქი. ჩაფიქრდა და თავი უიმედოდ გააქნია.

ერთი სურათი არ მშორდება მეხსიერებიდან, რა მოუხერხო, არ ვიცოი და მიაბზო:

„1988 წელი იყო. ერთ-ერთ მიტინგზე ერთი ძალიან კარგი მწერალი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მიკროფონთან არ მიუშვეს. ვიღაც წვერგაუპარსავმა ხეპრემ, ალბათ, მიტინგის ერთ-ერთმა თავკაცმა, ხელი თვალშისაცემად უხეშად ჰკრა და განზე მიაგდო. არასოდეს

დამავიწყდება იმ მწერლის შეცბუნებული სახე და გაოცებული თვალები...“

მიტინგის მონაწილეებს ხეპრე არ დაუტუქსავთ, არავინ უთხრა: **რას აკეთებ, ვინდარავ, ასაკოვან ადამიანს როგორ ექცევ-იო. არადა, მომიტინგეები საქართველოს გადასარჩენად, საქართველოს თავისუფლებისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დიადი იდეის სახელით იყვნენ იმ მოედანზე შეკრებილნი და ომახიანად აქუხებდნენ: გა-უ-მარ-ჯოს!** ამ სცენის შემყურეს მაშინ პირველად გამკრა ეჭვმა, რომ ვერ გავიმარჯვებდით, რომ დამარცხებისთვის ვიყავით განწირულები – ეს ხეპრე და მას მიმატებული კიდევ სხვა მრავალი ხეპრე, დროის ცვლილებათა წყალობით ფსკერიდან ზედაპირზე ამოტივტივებული, დიდ განსაცდელს, დიდ ფათერაკს გადაგვყრიდნენ აუცილებლად.

სულ მცირე ხანში ასეც მოხდა...

აი, მაშინ რომ ჩაბლუჯეს ამ „ციცერონებმა“ მიკროფონი, მას შემდეგ ხელიდან არ გაუშვი-ათ.

მოედნიდან მათ ახლა ტელეეკრანებზე გადმონაცვლეს და იქიდან გვმოდვრავენ.

თითქოს ვიღაც უჩინარი სელექციონერი სპეციალურად კრებს შლეგებისა და სულელების გუნდს, მერე ამ გუნდს ორად ჰყოფს – ერთს ხელისუფლებას არქმევს, მეორეს – ოპოზიციას და ერთმანეთს მიუქსევს საშაიროდ და საძიძგილაოდ.

არადა, ეს ერთი გუნდია, ერთი მწვრთნელის ერთი გუნდი, ძირითად და სათადარიგო შემადგენლობად გაყოფილი.



რა თქმა უნდა, სათადარიგოები არაფრით სჯობიან ძირითადებს ან პირიქით, მაგრამ გულშემატკივართა შორის მაინც დიდი დავა და კამათია. ამ დროს საერთოდ არ ჩანს გუნდი, რომელსაც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ჰქვია...

არადა, ეს გუნდი არსებობს – საქართველოს ჰყავს ჭკვიანი, ნიჭიერი, განათლებული, გონიერი ადამიანების საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდი; თავის ქვეყანაზე შეყვარებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე გუნდი, რომელიც ლიცენზიის მიმნიჭებელი საიდუმლო კომისიის მიერ სამუდამოდ არის დაშტრაფული“, – დაასრულა გულიდან ამოვარდნილი სინანულშეზავებული უსასოობა პოეტმა და კვლავ უიმედოდ გააქნია თავი. ის კაცი ცხონებული ვახტანგ ხარჩილავა იყო...

ამ დღევანდლობის შემხედვარეს, ახლა მე ამიტყდა უიმედოდ თავისქნევა – დამზაფრა უახლოესი წარსულისა და აწმყოს საოცარმა მსგავსებამ... ვილაც იტყვის, პატარა ქვეყნის უკუღმართ შვილებს უკუღმართი კომპლექსი უჩნდებათ ისტორიული ძნელებდობის გამო და, როგორც ჩანს, ქართველებსაც ეს გაგვიჯდა სისხლში, რაც დღემდე ბოგინობს ჩვენს ხასიათშიო – მართალიც იქნება!

„ხან თურქთან, ხან სპარსთან, ხან მონღოლთან, ბოლოს კი რუსთან ძმობითა და მეგობრობით აშინებდა ერთი ქართველი მეორეს და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად საქართველოს.

თავიანთი კარგიბიჭობის დამადასტურებელი საბუთები, როგორც წესი, გარედან მო-

ჰქონდათ და მას ხან შაჰის ბეჭედი ერტყა და ხან რუსის იმპერატორისა. რის ფასად და რისთვის იძლეოდნენ ასეთ საბუთებს უცხო ქვეყნის კანცელარიებში, ამას, ჩვენი აზრით, ახსნა და განმარტება არ სჭირდება, ვიტყვით მხოლოდ ერთს: ძალაუფლების სიყვარულმა და ზედმეტმა ამბიციებმა, შეიძლება, კაცი საკუთარ სამშობლოს მტრად მოჰქიდოს. სამწუხაროდ, ამისი ბევრი მაგალითი ახსოვს ჩვენს ისტორიას... ქართველებს ადრე თუ მოსკოვიდან ჩამოჰქონდათ ერთი ყუთი კონიაკის ფასად გაიმასქნებული კაიბიჭობის დამადასტურებელი მონმობები, ახლა სიტუაცია შეიცვალა და იმავე სახის მონმობებს ვაშინგტონიდან ეზიდებიან მარიფათიანი ქართველები და საქართველოს ცხვირწინ უფრიალებენ. ხშირ შემთხვევაში ეს მონმობები ისეთივე ბლეფია, როგორც სააკაშვილის სამი დიპლომი, დემოკრატიის შუქურობა და მისი 36 სახის დაავადება. სამწუხაროდ, ამ ბეჭედს, ერთ დიდ პროვინციად ქცეული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამოქვათაყურებულ ნაწილში ჯერ კიდევ აქვს გასავალი.

ტრაგიზმი შექმნილი სიტუაციისა კიდევ ის გახლავთ, რომ ეს მონმობები ყალბია, დასავლური ორიენტაციის პოლიტიკურ ძალად მონათლული ერთიანი ნაციონალური ნოძრაობის ყველა განშტოება თავიდან ბოლომდე რუსული წარმოშობისაა და, შესაბამისად, ორი ბატონის მსახურია“, – წუხდა ჩვენი ვახტანგი.

ტყუილი ყოფილა, ერთდროულად ორ სკამზე ვერ დაჯდებიო; ორი ბატონის მსახური ვერ იქნებიო – თურმე იქნები და ძალიან კარგადაც!



ორი ბატონის მსახურებს ორივე ბატონისგან ერგოთ ძღვენი და თუ მათ მსახურებას განაგრძობენ, ყველა შემთხვევაში ისევ მიიღებენ, მაგრამ ხალხს, რომელიც მთლიან საქართველოს წარმოადგენს, აუნონელი ძღვენი მხოლოდ ერთმა ადამიანმა მიართვა – გაათავისუფლა 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმისგან და დღემდე არიდებს სისხლისღვრას.

იმ კანკალის წლებში, როდესაც ადამიანები ჩურჩულთ ლაპარაკობდნენ და ისიც ყოველმხრივ დაშლილი მობილურების სხვა ოთახში გატანის შემდეგ, საქართველოს დანგრეულ ხილვად რეალობაში უცნაური ძვრები დაიწყო, უსახსრო ქვეყანაში ვიღაც უხილავი აღმშენებელი საუკუნის პროექტად წოდებული სამების ტაძრის საძირკვლის გაჭრას დაეშურა; ვიღაც უხილავი ლიბონყალშემდგარ რუსთაველის სახელობის თეატრს მოეწვინა მფარველ ანგელოზად; ვიღაც უხილავი ყოველგვარ ეროვნულზე ირჯებოდა, მაგრამ მისი სახელი იყო – არ სურს ვინაობის გამჟღავნება...

ვიღაც უხილავი, უხილავად, ვინაობის გაუმჟღავნებლად აკეთებდა სიკეთეს და სანაცვლოდ არათუ რამეს ითხოვდა, პირისახესაც არავის უჩვენებდა, მათ კი, ვინც მისი ვინაობა იცოდა, საიდუმლოს შენახვას სთხოვდა...

მუდმივად დაფარული არაფერია ამ ქვეყნად და გამჟღავნდა, ეს უხილავი, საფრანგეთში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი მილიონერი, ჭორვილელი, ვინმე **ბიძინა ივანიშვილი** ყოფილაო.

– მერედა, რას იმალებო? – არ უყვარს თავის გამოჩენაო, – ამგვარი საუბარი ისმოდა ხალხში; მერე, – არა, კაცო, მილიონერი კი არა, მილიარდერიაო.; მერე, – „არიოლ-რეშკას“ აგდებდნენ, ეს კაცი ივანიშვილია თუ ივანაშვილიო? მერე, – 7 ნოემბერს მაგის ფულით ნაყიდი „დუბინკები“ დაგვცხეს ხალხს, ვის რად უნდა მაგისი აშენებული სამებაო; მერე, – საქართველოს მტარვალ ხელისუფლებას, თავის პატრულ-პოლიციიანად ეგ აფინანსებსო; მთანმინდაზე რაღაც სიმახინჯეს სასახლედ იშენებსო; მერე, – საქართველოს მხოლოდ მისნაირი კაცი სჭირდება ქვეყნის წინამძღოლადაო; ამ დროს მტარვალ ხელისუფლება გასუსული იყო, კრინტს არ სძრავდნენ „მიშავიზიები“ – „ნატვრისთვალი“ მათი იყო...

ერთ მშვენიერ დღეს ამ კაცმა ფარდა გადაწია და გამოაცხადა: **„მე მოვედი!“**

უიო, ერთხმად იხუვლა ყველამ, ხალხმა – იმედით, საქართველოს მმართველობამ – შიშით და აქამდე ხელისუფლების „ბიძინა-ნატვრისთვალი“ იმავე ხელისუფლებისთვის უეცრად რუსეთის პროექტად და „ბორისად“ გადაიქცა, ლამის 9 აპრილის სისხლიანი დილის ერთ-ერთ ირიბ მონაწილედაც კი;



ეს კი არა და, მისი „მტრული წარმოშობის“ დასადასტურებლად გვარი „ივანიშვილის“ ფუძის ძიებაში იქამდეც მივიდნენ, რომ დასკვნა გამოაცხვეს: თუ ფუძე „ივანა“ იქნებოდა, ქართველი ყოფილა მისი უხსოვარი წინაპარი, ხოლო თუ „ივანი“ – რუსი (ისე, რა სასაცილოა, როცა თბილად მოკალათებული გვარგადაკეთებული ან დედის გვარით ქართველებად აღრიცხული სომხი, ქურთი თუ აისორი, სხვის ეროვნებას რომ არკვევენ); შემდეგ მეცენატი კაცი „ფულის ტომარა“ გახდა – **ზის თავის „მწვანე შუშის სახლში“ და იქიდან იმზირებაო...** იმასაც ამბობდნენ, **ეტყობა, იმ მწვანე სახლის შუშის მწარმოებელმა ფირმამ უხარისხო მასალა შეატყუა, რაგიანად გაუნმინდონ, მრუდედ აჩვენებს გარე სამყაროსო.**

ბევრ სხვა რამესაც ამბობდნენ... ასეა თუ ისე, დასკვნა ერთია – პოლიტიკა სხვა რამეა! რაც უნდა უწოდონ ამა თუ იმ ადამიანს, „ფულის ტომარა“ იქნება, „ოქროს თევზი“ თუ „ნატურისთვალი“, შეცდომის უფლება არ აქვს, სწორ გზაზე უნდა იაროს, გარს მუშლი არ უნდა შემოიხვიოს...

წაგვიყვანა ამ კაცმა შემოვლითი გზებით და დღემდე გვარიდებს ყველა იმ უბედურებას, რაც 9 თვის წინათ უნდა დაგვამართნოდა და საკუთარი საფლავის „რეშოტკები“ ერთი პირი უკვე შეღებილი უნდა გვექონდეს – რა უმადური ვინმე გამოვდექით, ასეთი სასწაული?

– **როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს მას!** – თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ და იცოდა, რასაც ამბობდა...

არა, მაინც რას გადაგვეკიდა ასე უწოდ ეს მწარედ გამქარვებელი, მოჩვენებებთან მოსაუბრე ბაიდენის ხელისუფლება, რა გველი შევუწვით ამ „ომისმოყვარე“ პარტიას, რატომ უნდა ჩვენი გაქრობა, რა ბევრნი ჩვენა ვართ, რომ დედამიწას ვამძიმებდეთ?

იან კელიდან დაწყებული, ყველაზე აგრესორი მსოფლიოში ე.წ. კოლექტიური დასავლეთი, პირდაპირ არის გადმოსული შეტევაზე და გვიმტკიცებენ, რომ ქართველებზე დიდი ქართველები არიან და უნდა გაგვათავისუფლონ ბიძინა ივანიშვილისგან, რადგან თურმე ეს მათი მოვალეობაა.

ვლადიმირ ვისოცკიმ იმ შავბნელ დროში, როდესაც ინტერვიუს აძლევდა უცხოელ ჟურნალისტებს, საბჭოთა კავშირზე შეკითხვას მოკლედ და გასაგებად უპასუხა: **მე მაქვს პრეტენზიები ჩემს ქვეყანასთან, მაგრამ მათ ჩამოთვლას და განხილვას თქვენთან არ ვაპირებო.** ასეა დღეს ჩვენი საქმეც, სამშობლოს მოყვარული საქართველოს მოქალაქეებისა – ვილაც ვიგინდარებთან მათ განხილვას არ ვაპირებთ! ვისაც ეს ასე არ ესმის და სამშობლოს გამყიდველი უკანალმომიშვლებული ჭორიკანა კაცია (ქალია), დავით აღმაშენებლის ყველაზე დიდ სარზემც უნებვიგრიან...

ნერვები აღარ არის!

30 წელი თუ ვირყევით გამუდმებით და საჭმელად ვარგისი ნაყოფი ვერ გამოგვისხამს, სწორედ ამ უცხო ქვეყნების ტვინგენმოდიფიცირებული თესლების ბრალია...

ვის დაჰპარგვია ეგ ბეჩავი ფოტიგა, უკმეხი ტონით რომ შემოგვითვლის: **„თქვენს თავს აღარ ეკუთვნით ქართველები, კოლექტიურ დასავლეთს გვეკუთვნით და ვინც ასე არ ფიქრობთ, გამოგაშკარავებთ: მე, იან კელი, კრამერი, გონჩარენკო, გორგაძე და მამულაშვილიო“.** კელი დეგნანი დაავიწყდა და ჯონ მაკკეინის სული კიდევ!

„ტვიტერი“, ფოტიგა: **„საქართველო ეკუთვნის კოლექტიურ დასავლეთს. ქსელი, რომელიც ცდილობს, ქვეყანა რუსული სამყაროს გავლენის ქვეშ შეინარჩუნოს, უნდა გამოაშკარავდეს და ჩვენ სწორად უნდა მივუდგეთ ამ პრობლემას და დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს მომავალი ტრანსატლანტიკურ ოჯახშია“.**

პოლიტიკურად ამძუნებელი ე.წ. „კოლექტიური დასავლეთი“ 30 წელი საქართველოსთან მიმართებაში რომ იქცევა, ასეთი არავის დამართოდეს! თუ დღეს ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, ისიც ამათი „თავისფლებისა და ზედემოკრატიული“ შეკიჟინებით, „სტრატეგიული პარტნიორობით“.

რა „სიკეთეები“ გაგვიკეთეს ამ 30 წლის განმავლობაში?

რალაც 6 მილიარდი რომ ახსენა დესპანმა დეგანამა – ვისაც შეამადლა აშშ-მ ის 6 მილიარდი, იმას დააყვედროს – თავიანთ ხელის ბიჭებსა და გოგოებს; დანარჩენი? სრულად მოგვიშალეს: განათლების სისტემა, მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ქვეყნის განვითარების უპირველესი საფუძვლებია და ჩაროზად დაამატეს სულიერების გამოფიტვა; სექსუალური აღვირახსნილობისა და ძალადობის ნახალისება, რაც „რალაც უფლებების დაცვად“ შეფუთეს და აბსოლუტურად ყველაფერი, ყველანაირად რომ ეწინააღმდეგება მშობლიურ ქართულს – თვით ჩვენი ენა და ეროვნება უქციეს მათივე მეცადინეობით ტვინგანამჯებულ ქართველებსვე სამარცხვინოდ...

ელჩად წოდებული ეს ბედნიერი მანდილოსანი – 3 საათი იჯდა ბიძინა ივანიშვილთან საქართველოს დაქვევებაზე შესათანხმებლად, მაგრამ ვერ გატეხა, ვერ ათქმევინა „ჰოობა“. კელი-მეფისნაცვალი ირწმუნებოდა, ხმა არ გამიცია, არათუ მენახაო. სიცრუე, მაგრამ ასეთი?!

დევიდ კრამერი – კაცი ოდიოზი გადმომდგარა და, ჩვენ სანქციების დანესებას ბიძინა ივანიშვილისთვის ვითხოვთ, ქართველი ხალხისა და საქართველოს სანინალმდეგო არაფერი გვაქვსო. ეს ის კრამერი ხომ არ არის, ირმა ინაშვილზე ხელით რომ გაინია? – იმას ჰგავს!

ამ ბედასლმა კაცმა განა არ იცის ყოველივე, მაგრამ მაინც ვინმემ ყურში ჩაჰყვირეთ, რომ უპირველესად საკუთარი და ნამდვილი ოლიგარქები დაასანქცირონ გაზებპარია ჯოს კორუმპირებული ოჯახიდან დაწყებული, ნებისმიერით დამთავრებული და შემდეგ – რა ქველმოქმედებაც ბიძინა ივანიშვილს აქვს განეული და კვლავ ეწევა საქართველოში, მსგავსი არავის გაუკეთებია და მისი სანქცირებით საქართველოსა და ქართველების გარდა, სხვა ვინ დაზარალდება?

რასაც დღეს ვხედავთ, ეს არის პირდაპირი თავდასხმა საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეულ საქართველოს ხელისუფლებაზე და თავდამსხმელი რანაირად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ქვეყნისა და ამ ხალხის მეგობრად, ვერაფრით მივმხვდარვართ. რაო, „ევროპული მომავალი“ მძევლად აიყვანეს და სავაჭრო საგნად აქციეს ამ „კოლექტიურმა ჩარჩებმა?“ მაინც, რა ოცნებებს არ უსრულებს ბიძინა ივანიშვილი ამ „კოლექტიურ დასავლეთს“, გარდა იმისა, რომ „ნაცმოდრაობას“ გასაქანს არ აძლევს და რუსეთთან ომს არ იწყებს? რა ესობათ ასე მწარედ დატრენინგებულ ტვინში, კაცმა შეგნებულად ამოშანთული სიტყვა „სამშობლო“ რომ დააბრუნა, ცუდად ენიშნათ უსამშობლო ქართველებსა და გადამთიელ უსამშობლოებს?! ხომ ცნობილი ნათქვამია: „**რაც ბებერმა კალთამადლიანმა ევროპამ ნავავი და ჭუჭყი მოიგდო თავზე, ამერიკის კონტინენტზე გადატყორცნა კრიმინალების, ნარკომანების, ლოთებისა და ფეხმსუბუქი ქალების სახით**“...

არ გახლავართ „ამ კაცის“ ნაცნობი, მეგობარი, ნათესავი და, საერთოდ, არაფერი მაკავშირებს მასთან, მაგრამ, რადგან ძალიან შემანუხა გვარნაცვალი თუ სულგაყიდული ვაი-ქართველობის უმადურობამ, მომინდა, შეძლებისდაგვარად ჩამომეთვალა „ამ კაცის“ საქმით ნათქვამი რეალობა 2012 წლამდე, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გავიგებდით, რომ ასეთი კაცი საერთოდ არსებობდა. 2012 წლამდე ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამქრალა მისი სიყვარული სამშობლოსადმი და სურვილი, რომ, რამდენადაც შეძლებს, მიუხედავად ამდენი ზენოლისა და უმადურობისა, მაინც განაგრძოს სამშობლოს აღმშენებლობა. კაცი, რომელმაც საკუთარი სურვილით საქართველოს საკეთილდღეოდ, მისი წინსვლისთვის უხმაუროდ დახარჯა საკუთარი მილიარდები, არ არის ვილაც მართლაც „ძუნძღლიანების“ სახსენებელი და შენიშვნის მისაცემი, არათუ გასაქილიკებელი.

რა ვქნათ, თუ ბატონმა ივანიშვილმაც ისევე დაიჯერა ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორებისა“ შევარდნაძის ძირმომპალი ხელისუფლების დროს, როგორც მრავალმა სხვამ, საქმეში ჩაუხედავმა, და ყველანაირად შეეხიდა გარკვეულ დრომდე სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს ქვეყნის განვითარების კუთხით მისივე სამშობლოს გასალამაზებლად და ცივილიზებული სახის მისაცემად? სააკაშვილმა და მისმა ბანდა საკუთარ თავზე რომ მიიწერა და ბევრ გამოქვათაყურებულს დღემდე ასე ჰგონია, იქნებ, შეუვიდეთ თივთიკა ტვინში.

სახელმწიფო ადმინისტრაციული პროექტები, კულტურა, მეცნიერება, უმრავი რეკონსტრუქცია (ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო მოღვაწეობამ დანგრევას გადარჩინა, რესტავრაცია და გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა 534 ტაძარსა და ძეგლს), განათლება, ჯანდაცვა, სპორტი – რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა? ამის შემდეგ კიდევ რამდენი გაიღო და რა გაკეთდა? და დღეს ბედნიერი ზვიად კუპრავა ომარ ნიშნიანიძეს ნიშანს უგებდა, „**მიშამ სუში შეჭამა**“ რომ გაგიდიოდათ და ივანიშვილი ხობებს აშენებს შესაჭმელად, ეგ არაფერიო? აბა, ახლა მითხარით, რამდენი „კუპრავა“ საქართველოში ბედასლი და დიდად აღარ გაგიკვირდებათ ბევრი რამ...

გაათრიეთ საქართველოდან ისეთი „დემოკრატია“, რაც აღვირახსნილი „კოლექტიური დასავლეთის“ საქართველოზე ბატონობის სურვილს ნიშნავს!

ცხონებული ვახტანგ ხარჩილავას კითხვა: **როდემდე დაუთმობენ ჭკვიანები სამშობლოს სულელებს?** ვფიქრობ, უპასუხოდ არ დამრჩება – **აღარ დაუთმობენ, ჩემო ვახტანგ, აღარ!**

ნინო დაუშვილი

„საერთო გაზეთი“, №37, 39, 2022 წ.

ჟურნალ „კირბის“ რედაქტორისგან:

საიმედო სახურავები ჭორვილადან სრულიად საქართველოსთვის!

აი, როგორ შეიძლება შეფასდეს ჩვენი სადღეისო ვითარება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენთან დაკავშირებით. აქ შეუძლებელია ტელე-ჟურნალისტს, სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვალერი კვარაცხელიას არ დავეთანხმოთ იმის თაობაზე, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადაასწრო ყველა რანგის თავდადებას ქართველი ერის წინაშე. მან ნებაყოფლობითი მემსხვერპლეობის კრებსითი ეროვნული სახე შექმნა, როცა საკუთარი თავთან ერთად ყოფნა-არყოფნის ალბათობას შეუწონა მორჭმული მდგომარეობა თვისი, ახლობელი ადამიანების საწუთრო, ოჯახის, შვილების უსაფრთხოებაც კი. ამაზე მეტი გმირობა ჩვენს ქვეყანას არ ხსომებია.

იბადება კითხვა: ვიმსახურებთ კი ჩვენ, ქართველები, ესოდენ მეოხებას მისგან?

ნამდვილქართველები უეჭველად!

ცხადია, ამ რანგში ვერ მოხვდებიან გვარნაცვალის ქართველები, რომლებიც იაპონურ მგელ სერაუსავით ცხვრის ქურქით არიან შემოსილები.

ჩვენ სხვადასხვა პერიოდში არაფერი დაგვიშურებია ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენს შვილებს საგანგებოდ გვიინფექციებდნენ მომაკვდინებელი ბაცილით მიყვარე-მტრები, რათა უანგარიშო პრობლემები გაგვჩენოდა, ხელ-ფეხი შეგვკროდა და ამ გზით პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოვეშორებინეთ. გვავენეს, ცხადია, მაგრამ საქართველოს გაჩუმება არ გამოუვიდათ!

ჩვენ ზეზეურად ამოგვაცლიდნენ სხეულებიდან ორგანოებს, მოგვკლეს, ალგვასრულეს, დაგვასამარეს, მაგრამ საქართველოს გაჩუმება არ გამოუვიდათ!

ჩვენ სათაყვანებელ თანამოძმეებს მიწისქვეშა ბუნკერებში თითო-თითოდ შელალავდნენ ხოლმე ნამუსის ასახდელად, რათა შემდგომში სულმუდამ თავჩაქინდრულებს ევლოთ ქვეყანაზე, მაგრამ საბოლოოდ ამ ამაზრზენობითაც ვერ მოხერხდა საქართველოს გაჩუმება!

ჩვენ ჩვენს თვალწინ გვიფორმებდნენ მალალპროცენტიან სესხებს საბანკო თუ სანოტარო სამსახურების ოფიციალური პირების თანდასწრებით, კისერზე უღელივით დაგვადგამდნენ შემდგომ ამ კაბალურ ვალდებულებებს, ხოლო ფულს თავად ისაკუთრებდნენ არხეინად და მაინც, არ გამოუვიდათ საქართველოს გაჩუმება!

ჩვენ საომარი ფლატეებისკენ გვიბიძგებდნენ და გვიბიძგებენ დღესაც ეს მანქურთი უეროვნონი, „ნაციონალებად“ რომ იწოდებიან ფარისევლურად. აი, ამათ ვუმკლავდებოდით ჩვენ წლების განმავლობაში, მაგრამ არ გამოუვიდათ საქართველოს გაჩუმება და არც გამოუვათ ოდესმე, ვინაიდან ჩვენ, ნამდვილქართველები ვინც ვართ, ამავედროულად ნამდვილებრაელებიცა ვართ, ნამდვილსომხები და ნამდვილაზერბაიჯანელებიც, გნებავთ ნამდვილრუსები, ანუ ნამდვილმსოფლიო. არ გვეშინია ამისი ხმამალლა გაცხადების! დიახაც, ნამდვილმსოფლიო ვართ, ამიტომც გვეცოტავენა ჩვენ ცალკერძ ევროპელობაც და ცალკერძ აზიელობაც, გვეცოტავენა პანამერიკელობაც და პანმუსულმანობაც, რამეთუ ვართ ანი და ჰოე, ვართ დედამიწის შემოქმედი პროტოიბერიელების ნამდვილი ჩამომავლები!

ახლა ცოტათი რამდენიმე წლის წინანდელ რეალობასაც მინდა თვალი გადავავლოთ – თემას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მცირე დარბაზში ნამოჭრა ყოფილმა უზენაესი საბჭოს წევრმა, პოეტმა და რეჟისორმა, ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა. მანვე გააჟღერა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ან ნეტარსენებული, ბატონი ნოდარ ნათაძის განაცხადის თაობაზეც, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ეროვნულ მთავრობას ვინც კი განუდგა, ყველას თავში ტყვიის დახლა მართებსო. ამ განაცხადს დარბაზისაგან რატომღაც დიდი მხარდაჭერა არ მოჰყოლია. რამდენჯერმე დასჭირდა ჩვენს გურამს მიეთითებინა ქალბატონებისთვის და ბატონებისთვისაც:

„მისმინეთ! მისმინეთ!“ თუმცა მას სიტყვა გაექცა და როცა აშკარად დაირღვა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დღის წესრიგი, იძულებული შეიქნა თავად გაცლოდა ტრიბუნას, ისე რომ, ბოლომდე არ თქმულა, როგორ, რანაირად ეშველება ეროვნული შერიგების პრობლემას, რომელიც სამი ათეული წელიწადია დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე.

ამ დროს მწერლების ჯგუფმა, ხელოვნების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლებთან ერთად, „საერთო გაზეთის“ თაოსნობით საფუძველი ჩაუყარა მორიგ ინიციატივას – „ახალი ეროვნული – მოძ-

რაობა ახალი საქართველოსათვის“. დღემდე გაზეთის სულ ორი ნომერი მიეძღვნა ამ ძალისხმევას და 16 ავტორის მამულიშვილურმა გულისძახილმა შეძრა ჩვენი წიგნიერი მკითხველი (მასალას შემოგთავაზებთ ჟურნალის მომდევნო ნომერში). ძირითადი მუხტი ამ გამოსვლებისა გახლდათ „რუსთავი-2“-ის შეუნიღბავი, აღვირახსნილი დემარში საზოგადოების გარყვინისკენ და მეორე, გვირაბის ბოლოს გამოცრიატებული შუქის მინამგვანი ინტერვიუ ბატონ **ბიძინა ივანიშვილისა** ტელეკომპანია „იმედში“, რომელშიც გამოთქმულია მზრუნველობის აუცილებლობა ხელოვნების ასალორძინებლად, კონკრეტულად – ეროვნული კინემატოგრაფიის კუთხით; და აი, ამ ყველაფრის ფონზე, კვლავაც „საერთო გაზეთის“ ინიციატივით სამზეოზე მიყოლებით გამოდის იშვიათი მამულიშვილური საზრუნავით აღტყინებული, მაღალპოლიგრაფიული და მაღალესთეტიკურობით მომზადებული ჟურნალი **„ახალი დრო“** ჩინებული პოეტისა და მამულიშვილის **კობა არაბულის** მესვეურობით.

პუტჩის წინა დღეებში გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოვაქვეყნე ჩემთვის მეტად არასახარბიელო წერილი სათაურით: **„წინ სინთეზისკენ, ანუ ნეიტრალიტეტის პოზიციიდან“**. ამ რესპუბლიკაციამ ორმხრივ წნეხში მომაქცია, აქეთ უზენაესი საბჭოს წევრებმა დამცხეს, იქით – კორუმპირებული კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. არადა, მე შევეცადე დამეხატა ის სურათი, რომელიც საქართველოში სუფევდა 1991 წელს; რომ ნეტარი ზვიად გამსახურდია თავისუფალი საქართველოს აშენებას ცდილობდა 30 პროცენტი უცხოტომელების, 30 პროცენტი ფეხქვეშ ნიადაგის გამომცლელი კომუნისტების და დარჩენილი 40 პროცენტი ეროვნული ძალების პირობებში, სადაც ყველა როდი გახლდათ **გია აბესაძესავით** გულანთებული პატრიოტი; ცხადია, ბევრი ერია მათში ყვარყვარე თუთაბერივით მედროვე, „სუკ“-ის მიერ ჩანერგილი გვარნაცვალი თუ ძირძველი გვარის ძღვევამოსილებას ამოფარებული ქვენაც. აი, როგორი დემოგრაფიული ბალანსით ვაპირებდით ჩვენ თავისუფალი საქართველოს აშენებას.

რეფერენდუმისას ზემოთ დასახელებულმა ძალებმა ერთსულოვნად რომ თანაუგრძნეს საქართველოს დამოუკიდებლობას, დრომ დაგვანახა, რომ არსებული ვითარება ზედმინეწით როდი შეესაბამებოდა თურმე თავბრუდამხვევ შედეგს, რადგანაც აფხაზ, ოს და დანარჩენ ეროვნულ უმცირესობებს, სავარაუდებელია ამ გადანყვეტილებისკენ უბიძგებდა პრაგმატული მოსაზრებანი: **„იქნებ ამჯერად ასე ჯობდეს ჩვენთვის“**, თორემ მათი ეთნოფსიქოლოგიური განცდა საქართველოს ნაკლებად აღიქვამდა სამშობლოდ ქართველსავით. ოდნავი ნაბორძიკება და ყველა განზე გახტა. ხოლო წელში გადატეხილი კომუნისტობა, რომელიც ყველაფერში თვინიერად მისდევდა ეროვნულ მოძრაობას, ხალხის მიერ არჩეული 46 დეპუტატის ქუჩაში გამოყრის შემდეგ, ადვილი მისახვედრია, არაფრით შეეგუებოდა უპერსპექტივო მომავალს და იმპერიული ძალების ექსპანსიური ინტერესების მხარდამხარ შეამზადა კიდევ ავადსახსენებელი პუტჩი; ვინაიდან ცხადლივ დაინახეს, რომ მათი ზეობის ხანა სამუდამოდ ჩაესვენა თავისუფალ საქართველოში: მშვიდობით წყალწყალა წიგნებით მოხვეჭილო ჰონორარებო! მშვიდობით ნომენკლატურული პრივილიგიებით ნაბოძებო აგარაკებო! მშვიდობით ფეშენებელურო ბინებო, მოზიმიზიმე მანქანებო, პატივო და ფუყე დიდებავ!

ახლა, რამდენიც უნდა იძახოს ზეზეურად ნაგვემმა პიროვნებამ, ბატონ **გურამ პეტრიაშვილმა: „მომისმინეთ! მომისმინეთო“**, არ უხარია ფლეგმატიკურ დარბაზს ბებერაზე („მაზოლზე“) ფეხის დაჭერა. აკი, ნათქვამია: ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ საუბრობენო.

ან რამდენიც უნდა სცადონ ან არარსებული ჟურნალისტების სახლში ბატონ **ბაკურ გულუამ**, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ბატონებმა: **მურმან ზაქარაიამ, გიორგი გაჩეჩილაძემ, ჯემალ გამახარაიამ, გიორგი სიჭინავამ...** მამასისხლად დაპირისპირებული ამ ძალების შერიგება თუ ვერა, თანაქმედება მაინც, ფუჭი წყლის ნაყვა გამოგვადგება – ჩიხი აგვესვეტება ყველა მიმართულებით, ჩიხი და მხოლოდ ჩიხი, არიადნას გორგალი კი დაკარგული გვექონდა და გვაქვს დღესაც ამ მონუსხულ ლაბირინთში შელაღულულებს.

აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** სიტყვებია: **უაზროა ავადმყოფობის მორჩენაზე ფიქრი, სანამ არ დადგინდება მისი გამომწვევი მიზეზები, ანუ სანამ არ არსებობს ზუსტი დიაგნოზიო**. ჩვენ კი ეს დიაგნოზი არ გავაჩნია სავალალოდ და ასე ვაპირებთ საქართველოს მომაკვდინებელ სენტანჭიდილს შიშველი ხელებით.

დიახაც, ამ შეჭირვებულმა ვითარებამ ჩააგონა ერთ-ერთ ჩინებულ პუბლიცისტს, ძირით აფხაზეთის მკვიდრს, ბატონ **სერგი საჯაიას** გვერდიგვერდ დაესხა სხვადასხვა პოლიტპლატფორმის ხალხი და შეექმნა საშვილიშვილო მუხტის დოკუმენტი საქართველოს გეო-პოლიტიკურ ხედვაზე. მასში მონაწილე ცნობად სახეებიდან ახლა მახსენდება ნეტარსსენებულები – **გერმანე ფაცაცია, ჯანრი კაშია**, ჰაჯი უსუბივით შუბლზე დამბაჩამიდებული **ნოდარ ნათაძე, ჯემალ გამახარია, გელა ჩორგოლაშვილი, დაზმირ ჯოჯუა, როსტომ შამუგია, ადა მარშანია, ნუგზარ მაგლობლიშვილი, ვახტანგ ბახტაძე, ნანა (ნინო) სულიაშვილი**, სხვანი და სხვანი. მე გამოვართვი წლების წინათ პეტიტივით დასტამბული ეს ბროშურა ბატონ სერგის და ვცადე იქ აღძრული საკითხები უფრო განმეგრცო, მეტი მიზანმიმართული გამეხადა, მაგრამ სპონსორისაგან განზილებულს გამოუცემელი დამრჩა მონუმენტური „კირბის“ სპეციალური ნომერი და მინავლდა, მიმქრალდა მისი საზოგადოებრივი ჟღერადობა – საარქივო მასალად დარჩა.

მომდევნო ჩემი შეხება ამ თემასთან უკავშირდება ცნობილი პოლიტოლოგის და სახელმწიფო მოღვაწის, დსთ-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** ბროშურას: „**სამხრეთ-კავკასიის გეო-პოლიტიკური სივრცე**“, რომელშიც დიდი პოლიტიკური ალლოიანობითა და პრაგმატიკული თვალთაა დანახული ჩვენი ხვალისდელი დღე, მაგრამ შემაფერხებელი ფაქტორები აქაც გამოჩნდა, ჩემი მეცადინეობა ამ კუთხით ვერც ახლა გამოდგა შედეგიანი.

ასეთ ვთარებაში ერთ-ერთ მამულიშვილ პუბლიცისტთან, ბატონ **ზაურ ნაჭყეიასთან** ერთად დაისახა აღნიშნული პრობლემის ბოლომდე მიყვანის გზები. ვუსმეთ ურთიერთდაპირისპირებულ უზენაესელებს და კორუმპირებული ინტელეგენციის წარმომადგენლებს, რათა ანკეტურად გამოეხატათ თავიანთი მოსაზრებანი საქართველოს გეოსტრატეგიულ პერსპექტივაზე. კარგად მახსოვს, ამ მართულ პროცესს ბატონი **ნოდარ ქითანავა** წარმართავდა. აქ იყვნენ ბატონები: **ნემო ბურჭულაძე, მურმან ზაქარაია**, მეორე და მესამე.

მოკლედ, კრებულისთვის 87 ავტორიდან 67 შეირჩა, მაგრამ მხოლოდ სასიგნალოს გამოცემალა მოხერხდა, ისიც სამი ეგზემპლარის ოდენობით, რადგანაც სარედაქციო საბჭომ მოძველებულად მიიჩნია წიგნით წამონეული საკითხები და მისი ტირაჟირებისგან თავი შეიკავა.

„**სხვა დროს**“ მხარდამხარ საქართველის სინამდვილეში გაჩნდა ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ: ყოფილი პარლამენტარი **ბესიკ ლაგვილავა**, სახელმწიფო მოღვაწე **მიხეილ ჯიბუტი** და ზემოთ ნახსენები პუბლიცისტი **ზაურ ნაჭყეია**. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული პოლიტიკური კლუბის ფარგლებში თავი მოეყარათ მამულიშვილური მიმართულებებისთვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ დადებულიყო ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესი დოკუმენტი სადღეისო თუ სამომავლო მართებული მოქმედების გარანტიად – საქართველოს გეო-სტრატეგიული გეგმა დროსა და სივრცეში, სავარაუდო სათაურით: „**გზა ცივილიზებული საქართველოსკენ**“.

მოდით, ჩემო უსაყვარლესო ერო და ბერო, ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში საქართველოს მომავლის სახელით, იგივე **სერგი საჯაია** და **ადა მარშანია**, **მიხეილ ჯიბუტი** და **ზაურ ნაჭყეია**, **ბაკურ გულუა** და **მურმან ზაქარაია**, **ნემო ბურჭულაძე** და **გურამ პეტრიაშვილი**, **იგორ კვესელავა** და **სოსო სიგუა**, **ზურაბ ხონელიძე** თავისთავად, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეექმნათ ჩვენი გეოსტრატეგიული ქმედების დოკუმენტი. შეგახსენებთ იმასაც, თუ რა გეგმაზომიერად ხორციელდება დემოგრაფიულად ისედაც ჭრელი საქართველოს, მთლად გადაშენების პროცესი დემოკრატიის სახელით.

სულ რალაც 6-7 თვის წინათ იუსტიციის სახლს მივმართე კითხვით, თუ რამდენ უცხოელს რა ოდენობის მიწა შეუძენია ჩვენთან. მომწერეს რომ 101 ქვეყნის 23 025 მოქალაქეს ნაყიდი აქვს საქართველოში დღემდე გაურკვეველი ოდენობის სავარგულები. ამ ჩამონათვალში **რუსეთი ფიგურირებს – 2183 მოქალაქე, ირანი – 287, ისრაელი – 277, სომხეთი – 217, აშშ – 198, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – 166, აზერბაიჯანი – 119** და ასე შემდეგ. ანუ საქართველოში ქართველების ხვედრითი წონის შემცირებისთვის გულმოდგინედ რომ ზრუნავენ დესტრუქციული ძალები, სრულიად აშკარაა.

ვხედავთ რა ამ რეალობებს, ჩვენ, პროტოიბერიელების შთამომავლები, უმთავრეს ფასეულობად მშვიდობის პარადიგმა დაგვისახავს და თავანვეით ვაცხადებთ კვლავაც: „**რაც მტრობას დაუნგრე-ვია, სიყვარულს უშენებია!**“

– ვამჩნევთ რა ესთეტიკური აზროვნების დეფიციტს, ხელოვნების ერთადერთ მართებულ კრიტიკურ რეაქციად ვაღიარებთ **ამალლებულს და მშვენიერს**.

– ჩვენთვის, ანტიკოსის მშობელი ხალხისთვის, ძირითადი საგანძური **ჩვენი მიწა-წყალია** და მასთან მისაბმელი **ინდუსტრიალიზაციური მიმართულებები**, რათა საოცარი პრეპარატი „ბიორაგით“ ვანარმოთ უნიკალური სასოფლო პროდუქცია და თვითონვე გავიტანოთ იგი მსოფლიო ბაზარზე;

– ჩვენთვის უცილობლად გადასალახავი ბარიერი **ეროვნული თანხმობაა**; ვაღიარებთ, რომ დღემდე ძალადობით მოსული ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრენი ვართ და სანამ სიმბოლურად მაინც ვერ მოვახერხებთ კანონის უზენაესობის აღდგენას, ყოველთვის ბრალეულ ტაბლასთან მოგვინვეს „ნადიმი“.

– ჩვენთვის აუცილებლად მისაღწევია **სამოქალაქო ინტეგრაცია**, რათა უმრავლესობა ქართველობის მხარდამხარ უმცირესობა არაქართულმა მოსახლეობამ თავი ნამდვილ სამშობლოში იგრძნოს და თანაბარი პატრიოტობით მოეკიდოს მისი აღმშენებლობის საქმეს.

– ჩვენთვის აუცილებელზე აუცილებელია **პოლიტიკური კონსენსუსის** მიღწევა, გულმხურვალე თანამშრომლობას თუ ვერა, პრაგმატული თანაქმედება მაინც შევძლოთ ერთი ორიენტირით – ხიდის მშენებლობაა ეს თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. კონფრონტაციულ რეჟიმში ყოფნამ ჩვენი ქვეყანა შინაგანად გამოხრა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გაასხვაკარა ლუკმაპურის საშოვნელად. ვისაც ეს სიტუაცია ხელს აძლევს და ვისაც მსგავსი პრესინგებით განუზრახავს ჩვენი მოსარგალება, უმჯობესია ერთხელ და სამუდამოთ მოვიშოროთ თავიდან, განვკვეთოთ ჩვენი ყოფიერებიდან!

– ჩვენ მოვუწოდებთ საალმსარებლო მართლმადიდებლობას გადავლახოთ რელიგიური დოგმატიზმი **Brit milah**-ის საკითხში; მოვუწოდებთ სამედიცინო სამსახურებს, პროპაგანდა გაუწიონ და ფართოდ დანერგონ ახალშობილებში წინდაცვეთა, რათა გენიალური **აბრაამ-მოსეს** მრევლის მსგავსად მოხდეს ჩვენი ეთნოსის მორფო-ფიზიოლოგიური აღზევება; რათა ამ გზით ალიკვეთოს ქართველ ახალგაზრდებში საგანგაშოდ ფეხმოკიდებული ყმანვილური სენი – **ონანის** მიმდევრობა; ერთბოლოიანი მსოფლიო თავგადაკლული ქადაგებს სექსს ადრეული ასაკიდან, მართავს გეი-აღლუმებს, და ა. შ., მაგრამ არავინ განმარტავს რატომ, რის გამო აწვიმა უფალმა ცეცხლის წუნწუხი **სოდომ-გომორს**. ჩვენ ყურნალის შემდგომ ნომრებში გავაანალიზებთ ამ კაცობრიული სენის დამანგრეველ ძალისხმევას ბიბლიური თუ მედიცინის პოზიციიდან, როგორც პიროვნებისთვის, ისე საზოგადოებისთვისაც.

– ჩვენ მოვუწოდებთ საზოგადოება **„ზუგდიდელის“** თავმჯდომარეს, ბატონ **მურმან ნაჭყებიას**, მათი გაერთიანების მრავალნაცად წევრებს, ბატონებს: **ბონდო ჯიქიას, ვაჟა ფიფიას, კარლო ვეკუას, თამაზ ცანავას**, აქტიური პროპაგანდა გაუწიონ ბატონ **რამაზ გახოკოძის** პრეპარატი „ბიორაგის“ დანერგვას სამეგრელოში; ვთხოვთ, ჩავიდნენ მარტვილის რაიონის სოფელ **სალხინოში** და საკუთარი თვალთი იხილონ თუ მისი ძალისხმევით ფენიქსივით მკვდრეთით როგორ აღმდგარა გახრიოკებული ბზის ათეულ ათასობით ნარგავი. ვთხოვთ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა მომდევნო წლის საგაზაფხულო სამუშაოები ამ პრეპარატის მეშვეობით წარმართონ ადგილობრივმა ფერმერებმა. ღონისძიების სანყის ეტაპად სამეგრელოს იმისთვისაც ვირჩევთ საასპარეზოდ, ჯერ ერთი, ისტორიულად საქართველოს აღორძინება ყოველთვის კოლხეთიდან იწყებოდა და მეორეც, ბედის ირონიაა, სამეგრელოს მკვიდრი მოსახლეობა კახეთში მოეშურება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის.

– ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ საერთაშორისო სქველმოქმედო ფონდი **„ქართუს“** დამფუძნებელს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, მის გენერალურ დირექტორს, ბატონ **ნიკოლოზ ჩხეტიანს** იქნებ მოხერხდეს 1 მილიონი ლარის მოძიება „ბიორაგის“ შესაძენად, რათა შემდგომში ეს პრეპარატი ქართველი ფერმერებს უსასყიდლოდ გადაეცეთ. ჩვენ, ყველა, თვალის დახამხამებაში ვიხილავთ, თუ როგორ გაჩნდება საქართველოში ათასობით სამუშაო ადგილი, როგორ შეწყდება მიგრაციის საგანგაშო პროცესი და დუხჭირი ქვეყნა რა მალე გაიმართება წელში. მაგრამ ჩვენ ამავედროულად „ბიორაგს“ ვანიჭებთ გაცილებით მასშტაბურ ფუნქციასაც – **მსოფლიო უდაბნოების ძირეული გარდაქმნის მისიას კაკლოვანი მცენარე ფსტას მეშვეობით**. აი, მაშინ მართლაც შევებით ამოისუნთქავს ეკოლოგიური პრობლემებისგან ლამის კატასტროფის წინაშე დამდგარი პლანეტა ჩვენი.

გავაცნობიერებთ ყოველივე ზემოთქმულს და ერთხელაც ომახიანად დავასკვნით: **წინ, ეროვნული თანხმობისაკენ! წინ, სამოქალაქო ინტეგრაციისკენ! წინ პოლიტიკური კონსენსუსისკენ! სხვანაირად ჭეშმარიტი საქართველოს აღმშენებლობაზე ფიქრი ბიბლიურ უდაბნოში უდასასრულო ხეტიალის ტოლფასია!**

მშვიდობის ქართული პარადიგმა

παράδειγμα (paradigma)

ბერძნ. ნიმუში, მაგალითი, ეტალონი.

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“

ნაშრომში, ევროკავშირის ახალი სამოქმედო პლატფორმაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების რეგულირების პროცესში. – ვკითხულობთ დიპლომატიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ ზურაბ ხონელიძის წიგნის „მშვიდობის ქართული პარადიგმა“-ს ანოტაციაში. – ავტორმა თვალი მიადევნა მრავალსაუკუნოვანი ქართული გამოცდილების – სამშვიდობო ძიების პროცესში განათლებისა და დიპლომატიის, როგორც სახელმწიფოებრიობის მდგრადი და უწყვეტი განვითარების ინსტრუმენტს. ამ ისტორიულ გამოცდილებასა და წრფელ, შინაგანი მოთხოვნით წარმოქმნილ აზრს ეფუძნება ნაშრომში შემოთავაზებული განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება – საუნივერსიტეტო დიპლომატია, როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სახეობა“. წიგნის მთავარი რედაქტორია სრულუფლებიანი ელჩი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი ლადო ქანტურია; რედაქტორ-გამომცემელი, პუბლიცისტი ზაურ ნაჭყებია. წიგნის განსაკუთრებულობას მიანიშნებს რეცენზენტების გეოგრაფიული არეალი: დებორა ვინსლოუ ნუტერი დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების გლობალური სამაგისტრო პროგრამების დამფუძნებელი დირექტორი, ტაფტის უნივერსიტეტის – ფლეტჩერის სამართლის სკოლა (აშშ), ალან ჰენრიკსონი, ლი ე. დირკის დიპლომატიური ისტორიის საპატიო პროფესორი და დიპლომატიური კვლევების დამფუძნებელი დირექტორი ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სკოლაში (აშშ), მაიკლ ქაუგილი, საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) პრეზიდენტი (აშშ-



საქართველო), **გია ხუბუა**, სამართლის დოქტორი, ბერლინის **Steinbeis University**-ის რექტორი, პროფესორი (გერმანია-საქართველო), **სერგეი ბორისოვი**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საექსპერტო ცენტრი „**Мера**“-ს დირექტორი, სოციოლოგი (რუსეთი), **ჰალიკ ბარი**, ქსენეთის ვიცე-სპიკერი (ისრაელი), **იბრაჰიმ თელიოღლუა**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (თურქეთი), **საიდ მულიანი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ირანი), **ნამიკ ალიევი**, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (აზერბაიჯანი), **სურენ არუთიანიანი**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (სომხეთი), **მიკოლა რიჟკოვი**, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (უკრაინა); ნიგნს ამშვენებს მეცნიერული აზროვნების ეროვნული კოჰორტა: **გიორგი ანჩაბაძე**, **ლია ახალაძე**, **სერგო ვარდოსანიძე**, **ნათელა ვასაძე**, **როინ მეტრეველი**, **გურამ ნიკოლაიშვილი**, **ბადრი ნაჭყებია**, **ჯაბა სამუშია**, **გიორგი სოსიაშვილი**, **ვალერი ჩეჩელაშვილი**, **მერაბ ჩუხუა**, **ნოდარ ჭითანავა**.

საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცის სტრატეგიაზე მსჯელობისას უამრავ პლატფორმას შორის დღემდე ორი საყურადღებო დამოკიდებულების დასახელება შემიძლია: სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ბატონ **გია ჟორჟოლიანის** მიდგომა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ოთხი მიმართულების პრიორიტეტს, სადაც წამყვანი უნდა იყოს ინდუსტრიალიზაცია: თვითმფრინავების, გემების, მანქანების მშენებლობა. შემდგომი გახლავთ მსუბუქი მრეწველობის განვითარება, ამას მოსდევს სასოფლო-სამეურნეო დარგის აღორძინება და ბოლოს განათლება, ტურიზმი.

გეოსტრატეგიულ დამოკიდებულებაში მსცოვანი სახელმწიფო მოხელისა და მეცნიერის ბატონ **ნოდარ ჭითანავას** დამოკიდებულება განსხვავებულია და ეროვნული პრაგმატულობით გამოჩეული. იგი ქვეყნისთვის უმთავრეს ბერკეტად ასახელებს აგრარულ მიმართულებას, რადგანაც დაკავშირებულია მიწის მოვლა-პატრონობასთან, ურომლისოდ ქართველი ერი აღიგვება მიწის პორისაგან. ამ უმთავრეს ამოსავალ პირობას ბატონი ნოდარი უწყვილებს სამოქალაქო ინტეგრაციას და პოლიტიკურ კონსენსუსს.

აი, ამ ოთხ, ჩემთვის მისაღებ ხედვას დაემატა სრულიად ახალი მიდგომა – **საუნივერსიტეტო დიპლომატია**. იგი გახლავთ პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** მეტად საჭირო სამეცნიერო (ქართულ-

ინგლისურ-რუსული) მონოგრაფია, ნერილისთვის შერჩეული სათაურით. ამ ნაშრომის მეორე ნაწილს, **სამხრეთ-კავკასიის გეოსტრატეგიული სივრცე**, რამდენიმე წლის წინათ გავეცანი საველე სამუშაოებზე. ახლა კი ერთობლიობაში წარმოგვიდგა, როგორც სრულიად ახლებური კონცეფცია სახელმწიფოთმშენებლობაში ზოგადად...

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ბაბუის, ნეტარი **შალვა ფეტელავას** გასვენებაზე ჩამოსული **ზვიად ფეტელავა** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტის კარებს მივაყენე წინასწარ შეთანხმებისამებრ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ფესვი, ლონდონის წამყვანი უნივერსიტეტის დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტია, და უფროს კოლეგასთან მისი წარდგინება ჩემთვისაც რალაც ცნობისნადილის მაგვარს შეიცავდა, როგორც პოლიტიკით დაინტერესებული ხელოვანისთვის.

რექტორის კაბინეტში დიალოგმა ლამის სამ საათს გასტანა. ძირითადად ბატონი ზურაბი საუბრობდა, რომელიც ძირფესვიანად უხსნიდა ახალგაზრდა კოლეგას ნიგნში აღძრულ მიმართულებებს. ჩემთვის წარუშლელი დარჩა ახალგაზრდა დიპლომატის, მართლაცდა შესაშური წონასწორობა, მოზომილი ინტერესი ამა თუ იმ საკითხისადმი. ზვიადი არაფერს ინიშნავდა, მაგრამ მისი აქცენტები გარკვეული საკითხის ამონურვის შემდეგ გულს მიხარებდა.

სარეცენზიო ნერილს ამ კუთხით რომ წარმოვაჩენ, აქვს ერთგვარი გამართლება, რადგანაც ნიგნის ავტორმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა ახალგაზრდა კოლეგას, თუკი საკითხი წამოიჭრობოდა ამ ორ უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმებაზე შემდგომი თანამშრომლობისათვის, და ნიგნების მთელი შეკვრა უსახსოვრა თავის ამხანაგებთან თუ პროფესორ-მასწავლებლების გასაცნობად.

გავიდა დრო და ზვიადთან ჩემი ერთ-ერთი შეხმიანების კვალობაზე, გაირკვა რომ წარმატებით გაუვლია პირველი კურსის სწავლების მომთენთავი პროცედურები, იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისი გულმოდგინება პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ლამის უპრეცედენტო მაგალითის მომსწრენი შექმნილან, ისინი დიდის მონივნებით ემადლიერებოდნენ მშობლებს ახალგაზრდა დოქტორანტის მაღალი პსაუხისმგებლობისათვის სწავლისადმი. მაგრამ ჩემთვის უმთავრესი, სულში მახრასავით შემოჩენილი თემა გახლდათ – რექტორის გატანებული ნიგნის ეგზემპლარები და იქაური შეფასებანი, ბოლოსდაბოლოს. ჩემთვის სასიხარულოდ, აღმოჩნდა, რომ ბატონი ზურაბის საუნივერსიტეტო დიპლომა-

ტიას ფურორი მოუხდენია ლონდონელ კოლეგებში. მეტიც, მას რევოლუციურს უწოდებდნენ, რადგანაც წიგნი ახალგაზრდა თაობის სახელმწიფოებრივად მომზადებაზე აკეთებდა აქცენტებს. ეს კი, თავად ლონდონშიც არსებულ რუტინული სასწავლო პროცესის ძირეულ გარდაქმნას გულისხმობს, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენეულ, ნუცას სკოლისეულ თუ თხა და გიგოს ტრაგიკომიკურ რეალობაზე.

ბატონი ზურაბის წიგნის განხილვას ორგზის დავესწარი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მშობლიურ „სოხუმელებთან“, მაგრამ რაც უშუალოდ რექტორთან იმ სამსაათიანმა საუბარმა მომცა, ის შთაბეჭდილება ვერაფერმა გამიქარწყლა, წარმოიდგინეთ, თვით წიგნმაც კი.

„მშვიდობის ქართული პარადიგმა“, ნამდვილად რევოლუციური მიდგომაა თამამედროვე პოლიტოლოგიაში. მართალია, მას საუნივერსიტეტო სივრცე პოლიტიკურ რელსებზე გადაჰყავს ეგრევე, როცა თავად საგანმანათლებლო ავტონომია პროკრუსტეს სარეცელზე აწვენეს ახალგაზრდობის განათლების ბედ-იღბალს. იყო სახელმწიფოს მშენებელი, უწინარესად ნიშნავს, გააჩნდეს ჭეშმარიტი ცოდნა საგნებსა და მოვლენებზე. მხოლოდ, თუნდაც მართებულად მოფიქრალი პოლიტოლოგებით სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება, საჭიროა გყავდეს მაღალკვალიფიციური ინჟინრები, ექიმები, მშენებლები, აგროსექტორის ხალხი. რევოლუციური იმიტომაც გახლავთ ბატონი ზურაბის საუნივერსიტეტო დიპლომატია, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების ჩამოყალიბებისკენაა იმთავითვე დამიზნებული. ამ საკითხის გადაჭრას ვერაფრით შეძლებ თავად უნივერსიტეტის სადღეისო კონტიგენტით, სათანადოდ ვერ ჩამოყალიბებულან ისინი სკოლის მერხიდან, დიახ, ადრეული ასაკიდან. თუკი არ მოხდება მათი 12 წლამდე უმეცრებით განელილი სწავლის შეკუმშვა, თუკი არ მოხდება სასწავლო დარგების კონდენცირება საბუნებისმეტყველო დარგებისადმი, ზედმეტი ჰუმანიზაციის ერთგვარი ჩარჩოში მოქცევა და მათი ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული ფასეულობებისკენ მიმართვა. აი, სანამდე მიგვიყვანა უცებ ბატონი ზურაბის კონცეფციამ. მან უმთავრეს სახსარ-საშუალებად საუნივერსიტეტო დიპლომატია დაასახელა, რომელიც თავისთავში გულისხმობს ბაგა-ბაგიდან მოყოლებული, საჯარო სკოლებით დამთავრებული, მოზარდების მიზანმიმართულ დაკვალიანება-განვრთვას. ამ საკითხს მე დიდი ხანია ვუტრიალებ. სათანადოდ პროექტიც კი შექმენი – „ზენიჭიერი“, რომელიც კეთილი ნების შემთხვევაში საჯარო სკოლის მეხუთე კლასიდან შეუდგებოდა რესპუბლიკის მასშტაბით განსაკუთრებული უნ-

არების ახალგაზრდა თაობის ერთი მეთვალყურეობის ქვეშ მოქცევას, და მათ მიზანმიმართული განსწავლის შემდეგ, ყოველ 6-7 წელიწადში ქვეყანას შეეძინებოდა 200-250 ზენიჭიერი, სახელმწიფოებრივად მომზადებული ახალგაზრდა.

ჩვენმა წინაპრებმა ეს ჩინებულად იცოდნენ, განსაკუთრებით ქურუმებმა, რომლებიც ახალგაზრდა წყვილებს აქეზებდნენ მიზანმიმართული შეუღლებისკენ – 21 მარტს ჩასახული ბავშვი დაიბადება 21 დეკემბერს, რომელიც თავისი მონაცემებით განსაკუთრებულია დანარჩენი ტოლებისაგან. ეს საიდუმლო სვეტიცხოველის ბარელიეფზეცაა ასახული. უნებურად მსგავსი მეცადინეობა გამოგვივიდა ბატონი ზურაბის წიგნის ანალიზით, ამ დროს მის მეორე განყოფილებაზე – სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეზე, ფაქტობრივად საუბრისთვის ადგილი არც გვრჩება; თუმცა აქაც ჩემი წარმატებული ფესვის – **ზვიად ფეტელავას** გაცხადებულის მოტანას დავჯერდები:

„– ბატონმა ზურაბმა პრიორიტეტად დღემდე დამკვიდრებული ტურიზმის, ინდუსტრიალიზაციისგან განსხვავებით, ჭეშმარიტი ცოდნის აუცილებლობა შესთავაზა მკითხველს, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ნებისმიერი ახლო თუ შორეული პრობლემების უეჭველ მონესრიგებას დროსა და სივრცეში.

აფხაზურ-ქართული კონფლიქტი რომ მოიხსნას დღის წესრიგიდან, მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ ჭეშმარიტი, კაცობრიული ცოდნით აღჭურვილი პიროვნებები და მაშინ ეს პრობლემა თვალის დახამხამებაში გადაწყდება. იგივე სურათია **უკრაინულ-რუსულ** კონფლიქტთანაც, აქაც ცოდნის ორმხრივი დეფიციტი ანგრევს ქალაქებს, სოფლებს, სპობს ბუნებას და ცხოვრების უმაღლეს მონაპოვარს – ადამიანს. აქაც გრიბოედოვის „**Гопе от ума**“-ა, მშვენივრად რომ ითარგმნა ქართულად – **„ვაი, ჭკუისგან“**, ვგონებ წინამძღვრიშვილის თუ ერისთავის მიერ. ბატონი ზურაბი „მშვიდობის პარადიგმაში“ საუნივერსიტეტო კონტიგენტის იმედზეა, რის თაობაზე თამამად შემიძლია განვაცხადო: **როგორც მოსკოვში, ისე ლონდონში ახალგაზრდობას სწავლა-განათლება ჩირადაც არ უღირს. მეტიც, იმათ თვალი სულ გაქცევაზე უჭირავთ, სულ იმის მოლოდინში არიან, დიპლომს როდის აიღებენ და თბილ ადგილებში როგორ მოყუჩდებიან.** ამგვარია ჩემი თანათაობელების განწყობა ორ დიდ ქალაქში. თბილისურ გარემოს ახლა ვეცნობი, მაგრამ რალაც განსაკუთრებულის მოლოდინი არც აქ გამაჩნია. მომიტევეთ ახალგაზრდა კაცს ჩემ თანატოლებზე ასეთი ნიჰილიზმით რომ ვლაპარაკობ.

რაც შეეხება პოლიტიკას, ტელეფონზე საუ-



ბარი თუ გვინდა შედგეს, ეს ტელეფონი ორივე მოსაუბრეს უნდა გააჩნდეს, სხვანაირად დიალოგი გამორიცხულია. პოლიტიკური კონსენსუსი დიდი კაცობრიული ხელოვნებაა, მაგრამ ამას გაუნათლებელი ხალხი ვერ მიაღწევს, ამას მაღალი ინტელექტის ადამიანები სჭირდება. და ეს მახასიათებელი წინა პლანზე რომ წამოსწია ბატონმა ზურაბმა, ნებისმიერი საკითხის გადაჭრის რეალური სივრცე მოიხაზა კალმის ერთი მოსმით. მე, შემდგომში უფრო ღონივრად თუ მოვიკიდე ფეხი ლონდონის უნივერსიტეტში, შევეცდები ეს წიგნი ფართო მსჯელობის საგნად ვაქციო. იგივე მინდა განვახორციელო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც მაგისტრის ნოდება მიმიღია. ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი აზროვნების გარეშე ვერ გაიხსნება ვერანაირი კვანძი, ნუ მივახტებით ეგრევე გორდიას ნასკვს, უფრო მარტივი აგებულებისას თუნდაც, ვთქვათ, დიდი და პატარა ერების თანაქმედების აუცილებლობა რომაა. ბრძანა ამის თაობაზე **კანტმა** მოსწრებულად: **მრავალერთიანობა** და ამ მრავალერთიანობის გარეშე დღევანდელ, მით უფრო ხვალინდელ თუ ზეგინდელ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს მშვიდობიანი თანაარსებობა არ უწერიათ. მშვიდობა ერთგვარი ხიდია ადამიანთა, საზოგადოებათა გულებს შორის. რუსთაველი გვასწავლის: „**ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული, გზად და ხიდად**“-ო. უკეთესი პარადიგმის დასახელება შეუძლებელია. ეს არის ქართული ხედვა, ქართული სულის ზოგადკაცობრიული ზეიმი, რომელიც მთელს ცივილიზაციას ლოცმანივით უნდა მიუძღოდეს ნინ აბობოქრებული ზღვის გადალახვისას.

მე ახლა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, მისი ინტელექტუალი თავკაცის, ბატონ **ჯემალ გამახარია**ს ხელმძღვანელობით გავდივარ პროგრამით გათვალისწინებულ სტაჟირებას. ამ თვალსაწიერიდან ჩემთვის ნათელი შეიქნა აფხაზეთში ინსპირირებული ძმათამკვლელი ომის ყველა ნიუანსი. ათასი ბუნდოვან კითხვას გაეცა პასუხი. მადლობა ამისთვის აფხაზეთის მემეტიანეს, ჩემს უმაგალითო დამკვალიანებელს, ჩემს თანამემამულე ბატონ ჯემალს, მთელ კოლექტივთან ერთად. აი, აქედან, ამ სიმაღლიდან გაცილებით ფასეული გახდა ჩემთვის ბატონ **ზურაბ ხონელიძის** საუნივერსიტეტო დიპლომატია და მის მიერ აღძრული საგანმანათლებლო სისტემის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა. ალბათ, მხოლოდ ასეთი რევოლუციური აზროვნებით თუ შევქმნით როგორც ეროვნულ სახელმწიფოს, ისე ნაწილისა და მთელის შემთავსებელ მსოფლიოს“.

გური ოტობაია
მწერალი, საპატიო დოქტორი.

მარადიული ფასეულობანი

იბერიული პოეზიის ანთოლოგიიდან, რომელიც სამი წელიწადია
მოუთმენლად ელის ღვთისნიერ ქველმოქმედს.

ფოთლიდან ფოთოლზე ნამის გადაცურება

ნანა კუცია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამყაროსავით ძველია თარგმანის ხელოვნება, რომელსაც ჯიდა კრიშნამურტი ესეების ციკლში „საუბრები ბომბეში“ მოხდენილად ადარებს „ფოთლიდან ფოთოლზე ნამის გადაცურებას“.

ნატიფი აღმოსავლური მსოფლალქმის დამმარხველი უფაქიზესი შედარება წარმოაჩენს მთარგმნელის მაღალი „მოშრომის“ ოქსიმორონს – სიზიფურ გარჯასა და სივრცეებში ორიგინალის ავტორთან თანაბარ „ლივლივს“.

შესაქმის ჟამიდან მოყოლებული, სამყაროს ფერადოვნების მგზნები, ადამიანი იდუმალ აცნობიერებს, რომ თავადაც ნაწილია იგავმიუთხრობელი ჰარმონიისა, სილამაზისა, ფერადებისა.

სიტყვა სწყალობებია ღმერთად, ართქმულის მთქმელი, იდუმალებით, საიდუმლოთი დაყურსული, ცათა ცათასა და უფსკრულთა გასაღები, სიტყვა, რომელიც იყო ღმერთთან და თავად იყო ღმერთი.

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“ – ქართველთა მთავარი საერო წიგნის მზიური სტრიქონი იმარხავს სამყაროს იდუმალი მშვენიერება მრავალფეროვნებაშია, ფერთა იდუმალ შეღვრაში, სხვაობათა ერთიანობაში, სამყაროულ ოქსიმორონში – შეუთავსებლის შეთავსებაში – ეს არ არსებობს ჰარმონია, უფრო მშვენიერი, ხმათა განსხვავებით რომ მიიღწევას, საუკუნეთა მღვრიე მრავლობიდან შეესიტყვება რუსთველს „დათა თუთაშნიას“ ავტორი და „სუფრაზე მრავალჟამიერი ცისარტყელას ნათელივით ჩამოდიოდა“ (აქაც ბგერა იღვრება ფერად, როგორც ადრე, რუსთველთან: „ხმა შაქრის-ფერად გაუხდა“ – ქართველისთვის ყველგან ფერია, ყველაფერი ფერია).

ფერთა, ბგერით, მელოდიით – „სამთა ფერთა საქებელით“ ითხზვებოდა ქართული სამყაროს მოდელი, დიად სამყაროულ საიდუმლოთათვის ყოველთვის ღია, განხმული, მადლიერი მიმღები სხვათა შუქის, სინათლეების, სხვათა ვარამის კეთილი გამზიარებელი და მესალბუნე, სხვათა სიხარულით გახარებული ქართველკაცის მზიური სამკვიდრო. ბრწყინვალე ესეში „ქართველობა და უცხოეთის გენია“ კონსტანტინე გამსახურდია უზუსტესად ახსნის ქართველთა ოქსიმორონულ ბუნებას, მარადიულ სწრაფვას ამოუხსნელის ამოხსნისაკენ, გონით საგზნები მშვენიერებისაკენ:

„ჩვენი ტერიტორია ხალხთა ხიდი იყო, ჩვენი ისტორიული მისია – შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს – ევროპისა და აზიის სულის შეხამება.

მთელი ჩვენი კულტურა ამ ორი დიდი სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა.

„ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიც ქართული სული ვიდრე მუსლიმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაემხობოდნენ, ჩვენ უსაშველოდ ვღებულობდით ამ კულტურულ გოლფშტრიმებს.

ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს – სპარსულ, მცირეაზიულ კულტურას ელლინურ-ბიზანტიურთან ვაკავშირებდით და ჩვენს ეროვნულ, სპეციფიკურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე.

საკუთარ ნიადაგზე მდგარნი, ორ ძუძუსა ვწოვდით...

არც ერთ ევროპულ ქრისტიან ერს არ უცდია და არ შესძლება რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით“ (კონსტანტინე გამსახურდია, ქართველობა და უცხოეთის გენია, თხზ. 10 ტომად, ტ. VII, თბ., 1983, 295).

ჩემი შვილი – ხელი, იმბ – ტოტაო
დღე დღე დადიანის შინა.
არც ვუფი იყო ვაძინა
არც ჩემ შვილ მაშვედ ქვიანი
მაი დაბოცეც კროთიო
არ დარბენ სარცხელიანი
ტოროლი წილუბს უფვედა
უფხუ კლუბით დგროლია
შვილი არ მოკვდი ჩემ ვაძინა
დღენელი ხარ ვაძინა
ეს შინ ვაძინ კალუბი
ტალაზა როორ დადილია?
შენც იმბ საფერ შოფოლბარ
ხელი წვეთი გავიკვდა
არც იმბ მოცეა შეტი დრო
ლოცე შუ დადილი
ველე შუ დადილი
შენ ხელი წაჭრა ფრია
ველე შუ ვაძინა მოტეხილი
ხელი და კენა ძელია
მაგის შეტი აღარ ვაძინა
შენ არ ხარ სატოლია
მშვილითი ვეარი ვეწერის
ველე საშრო კარია
ყოლი შვილ მაშვედ ვაძინა
უფხუბით მაშინა
ხარ ვაძინა ხარ საფერ შვილი
ელაწველი მინარია
ხარ ვაძინა ვითომ იმბ შვილი
ტარული აჭრის რკინას
ხარ კიდენ იმბი შვილი
უფხუ გადილია ვაძინა
აი, ამ სამბის ადილი
კამბოლის მტოროლი
ხარ იფეჩადა, უფელი
გადა ვინა თქვა შვილისა
იწება ვეწერის დელი
ჩემე მწარედა სტოროსა
ნაიფე შუ ი მთიფე
სამბით ვეწერა შროსა
იმი მამბის ამბისა
შეე ვეწერა ჩემ შვილისა
იმბაც ჰრადო ვეწერის
უნელი ხელი დგროლია.



საქართველოს ისტორიის უძველესი იტალიური კოლექცია

იბერიული კოლექციის ანთოლოგია

I



ლამაი პუფინა რ მრუხისა
მოუხე თქვა პომბოვლია
შინ გვიანერ კლისანი
მოუხედიარ, დავლხენ
ბილინი ქოხისანი
შამხევედ კლისა თავზედა
ხორთი ვაძინა
ვაძინა თო დეკარ ჰეწინა
ქალს ვაძინ იწენ რქისანი
შავადი ვეწერის ნაროლა
დრო იწენ შუაღმისანი
ვეფხი რომ ნამომბორდი
თვლი მარისბინა ხისანი
შამხენ ვეფხი მოუტი
შამი დაორე მინა
კლუბი ჩამანერე
შელო დოლუნის ტისანი
დრო აღარ დარა მომბინა
ხარ რა ჰეწინ ცისანი
ფრია უფრეხა ვერ ფრია
ვეფხი რქისა კლისანი
ვახით გართინა კალინი
ვეფხი ვაძინა
მოცეა ველი იფინა
ვაძინა თვის ხელისანი
შამ გეჭრა ფრანკულია
დრო იწენ ნაქვიანი
ვეფხი კლინი ვაძინა
ჩამოინარა ტეპანი
თავე კლისა თავე შეწინა
მოუხე სულამბორი
ქეპის მაღლები ნოლი
სახლი ზე ნამბინარა
ინა ვეწერის მაგის დელია
კარს უწება ვაძინა
უფელი კარ იმბინა
ჩემ მინარის ისანი
აიბილი დელი
ტოროლი თვლილიანი
ჩემ შვილ ზე ვეფხი შაპრია
ვაძინა ველი

„თანანარიტანა ევანგელი თვისი და წმიდანი იგი ნიგნნი მონამეთანი“ – ჩვენამდის მოღწეული პირველივე ქართული ტექსტის ქრესტომათიული ციტატა დასტურია, რომ ჩვენს წინაპარს სულ „ხმაღზე კი არ ედო უანბანო ხელი“ (გ. დოჩანაშვილი), ნიგნთაგან ყველაზე მზიურს უღრმავდებოდა ოდიტგან, სახარების და ფსალმუნის შუქით ილიცლიცებდა ისტორიის ძნელ, ბნელ გზასავალს.

ოქროს საწმისის ქვეყანა გრაალსაც დაიმარხავდა.

მეფე-ხუცესის ლეგენდასაც განა უსაფუძვლოდ გაიმეტებდა ფრთხილი და ძუნწი ევროპა „ყურესა ამას ქუეყანისასა“ მდებარე პატარა საქართველოსთვის?!...

იოანე, ეფთვიმე, გიორგი ათონელების, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და სხვათა და სხვათა – სახელიანთა და უსახელოთა ჩუმი, ოდენ უფლისათვის გაცხადებული ღვანლით ხელი ღებოდა, „ხოლო მწერლის ჰგიეს ნანერი“.

და, უფლისავე მადლით და წყალობით, მამულიშვილთა ჩუმი ღვნითა და ღვანლით, იკინძებოდა ფოლიანტებად ელადისა და ისრაელის, არაბეთის და ინდოეთის ფერადი მირაჟები, ქართულ სიტყვად ჩამონურული; ენ-გადსა თუ ათინას, იერუსალემსა თუ ალექსანდრიაში ნაფიქრალი ქართულ საფიქრალად ჩამოინგნებოდა; უღრმავდებოდა ქართველი ფსალმუნს და „ლიმონარს“, „ბალაჰვარიანსა“ და ნომოკანონს, შორეულ მონასტრებში თხზულ სევდიან იამბიკოებს და აღმოსავლეთის ცაზე მარგალიტის თუ ლალის მიძვიად (თუ ვარსკვლავებად) მოკიაფე უმშვენიერეს, ნაღვლიან კასიდა-ლაზალებს... გზაჯვარედინზე მცხოვრებს, გულს უთრთოლებდა აღმოსავლურ-დასავლური მელოდიები, კაცობრიული ხმა – დიდი ნაღველი სწვდებოდა მის ფაქიზ სმენას, და კიდევ უფრო ფაქიზ გულს. მელოდიით ფაქიზდებოდა „განმარტებული“ – სამყაროსათვის განხმული გული.

ქართული გემოვნება ყალიბდებოდა ნაირგვარ ჰანგთა კეთილხმოვანებაში, საკუთრივ ქართული, „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ მელოდიაც...

„უცხოთა საგანძურთაგან „კეთილს შეინყნარებდა, ჯერკუალს განაგებდა“ ქართველი.

რუსთველის ეპოქისათვის კულტურული მსოფლიოს ლამის მთელი ნააზრევი თარგმნილია ქართულად (მატიანეებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ყასიდად დაფურცვლაც იკმარებდა ზემოთქმულის დასტურად), ბუდიზმის ქრისტიანიზებული ვერსიისთვისაც ქართველს გაუკაფავს გზა ინდოეთის ზღაპრული წიაღებიდან შუასაუკუნეების ჯერაც მოკრძალებით მოაზროვნე ევროპისაკენ;

თომა აქვინელის ევროპაზე ადრეც იოანე პეტრიწის საქართველო დასწაფებია „ღვთისმეტყველებით კავშირებს“ – ხიდს ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ სამყაროთა შორის – თარგმანის მაღალი ხელოვნების მადლით და წყალობით.

მონღოლთა „დიდი ღამით“ ვნებული, მერე დიდი ხნით ვერ მოიცლის ქართველი უცხოთა ნააზრევის ქართულად „სათარგმანებლად“, საბას და გურამიშვილის ევროპულ-რუსული შტუდიები, აღორძინების ხანის სვეუბედურ მეფე-პოეტთა „მუსიკობანი“ მხოლოდ მკრთალი ანარეკლი თუ იქნება წარსულის მაღალ მოაზროვნეთა დავინყებულ ლიტერატურული ღვანლისა.

მეცხრამეტე ასწლეული მაინც „რუსული რადიუსით გაიმართება“ და ორ (ორიგინალისა და სათარგმნ) ენას შორის ჩადგება „ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი“...

სულაც თარგმანის ხელოვნებაზე დავა ესაფუძვლება „მამათა და შვილთა ბრძოლასაც“, დიდ ეროვნულ გამოფხიზლებასაც (‘მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა’).

ივანე მაჩაბლისა და ილიას ღვანლიც ათონელებისას გაუტოლდება (თუ ჟამსა და ისტორიულ ქარტეხილებს გავითვალისწინებთ)...

მერე მეოცე – სხვის გოდოლში ჩაშენებული ქვეყანა უპირველესი ქართული უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, „ცისკრის“, „მნათობის“, „საუნჯის“ მაღალ მესვეურთა, უპირველეს ქართველ მოაზროვნეთა – მეცნიერთა, მთარგმნელთა ძალისხმევით (ხშირად – სულაც სიცოცხლის ფასად – ნიმუშად ერეკლე ტატიშვილის მაგალითის მოხმობაც იკმარებს) კვლავ გავა კულტურული მსოფლიოს ორბიტაზე – აღმოსავლურ და დასავლურ ნააზრევს (ორიგინალთა ენებიდან თარგმნილს) დაენაფება ქართველი – დიდ წყაროსთვალს დიადი **ნიკო ყიასაშვილი, გერონტი ქიქოძე, თედო სახოკია, ვახტანგ ჭელიძე, ერეკლე ტატიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, რეზო ყარალაშვილი, გრიგოლ ნახუცრიშვილი, ალექსანდრე გვახარია, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხენკელი, დავით ნერედიანი,**


გიორგი ნიშნიანიძე, რეზო თაბუკაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გივი გეგეჭკორი, ჯემალ აჯიაშვილი, რომან მიმინოშვილი, ზურაბ კიკნაძე, ლერი ალიმონაკი, მაგალი თოდუა, ლია რუხაძე, აპოლონ სილაგაძე, ნაირა გელაშვილი, პაატა და როსტომ ჩხეიძეები, გიორგი ლობჟანიძე, დათო აკრიანი, გია ჯოხაძე, შოთა იათაშვილი, ზვიად რატიანი, ირმა რატიანი, ლელა სამნიაშვილი, თამარ კოტრიკაძე, ნინო დოლიძე (ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს და ეს უაღრესად სასიამოვნო ფაქტია)... – ქართველ მთარგმნელთა თაობები უჩუმრად, ჩუმი ღვნითა და რუდუნებით გააგრძელებენ საღმრთო საქმეს, დიდ წინაპართა ნასაძირკვლევს, ერს რომ კულტურულ ერთა შორის განუსაზღვრავს ალაგს, აძლევს უფლებას, „დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“, რადგან სწორედ კულტურა და სხვათა კულტურას ზიარების უნარი და მადლია არსებობის უფლების ერთი უპირატეს ნიშანთაგანი, მით უმეტეს, სამყაროში, რომელიც „ასე მოსწრაფებით ირღვევა“.

ირღვევა სამყარო, იშლება კვალი, ცუდდება სიტყვა... ადამიანს სჭირდება საყრდენი, სახსოვარი, კვალი, ბილიკი, სიტყვა – ღვთიურის ანარეკლი და ჯუფთი («**Заново прокладывать путь по мгновенно зарастающим следам**» – ასე განმარტავს მთარგმნელის შრომის არსს მარინა ცვეტაევა. უზუსტესი დეფინიცია! (Марина Цветаева, Собр. соч. в 2-х томах, т. 2., М., 1988, 350).

XX საუკუნის საქართველოში, მიუხედავად ურთულესი ისტორიული ჟამისა, კულტურის დეფინიციტი, კულტურული ვაკუუმი არ შექმნილა, არც პროვინციული კარჩაკეტილობისა და სულიერი სიძაბუნის დამადამბლავებელი ატმოსფერო (ზემოჩამოთვლილ მოღვაწეთა (და სხვათა მრავალთა) ზეადამიანური აღმოსავლურ-დასავლური დივანებიც არ მოჰკლებია ბრწყინვალე თარგმანებით განებივრებულ ქართველ მკითხველს (ნიმუშად თუნდ „არმალნის“ – სრული აპარატივ ალჭურვილი მშვენიერი კრებულების, შექსპირის ან რილკეს მრავალტომეულთა დასახელებაც იკმარებდა).

ქართული სამთარგმნელო სკოლა ღირსეულად აგრძელებს საუკუნეთა წიაღში ჩამოყალიბებულ ტრადიციას – „ხმათა ხავერდების“ ენამ დაიუნჯოს ყველაფერი, რასაც სული შეუძრავს მირიად ენაზე მოსაუბრე ადამიანეთისთვის.

ნიგნიერი და გემოვნებიანი გოგონას, **მარიამ ფეტელავას** მოკრძალებული და, იმავდროულად, უაღრესად მისასალმებელი სურვილი – შეეკრა საკუთარი აღმოსავლურ-დასავლური დივანი – იბერიული პოეზიის დომინანტურობით, მშვენიერ წიგნად განივთა, ერთ ლამაზ ფოლიანტად შეიკრა.



სარჩევ-ზანდუკისათვის თვალის გადავლება დიდებული სამყაროს კარიბჭეს მიგვაახლებს. განსაკუთრებულია აქ ეპიკური აზროვნება, ეპოსის ფენომენია თვალშისაცემი, რომელიც სრულიად ახლებურად წარმოგვიჩენს ჩვენს რეგიონს, როგორც ლოცმანს ყველასი და ყველაფრის.

ქრონოლოგიით დალაგებული ქვეყნების დიდებულ პოეტთა მხოლოდ ჩამონათვალის შთამბეჭდავია და სულისშემძრავად მრავლისმომცველი:

შუამდინარეთი – გილგამეშის ეპოსი, უკვდავების ბალახის ძიება, პოვნა და უნასისგან მოპარვა მისი გილგამეშის მდინარეში ტანის განბანვისას;

ისლანდია – „უფროსი ედა“, სიბრძნისთვის მარჯვენა თვალამოღებული ოდინი;

ირლანდია – უილიამ ბატლერ იეიტსი – „ისე იქუხა ზეცამ შესძრა საფლავის ქვებიც“.

ბასკეთი – ეუსკარა, (ბასკურო ენა), გადი ხალხში, გადი მოედანზე!

აფხაზეთი – ასი ვაჟკაცის ალმა მატერი – სათანეი გვაშა;

ოსეთი – კოსტა ხეთაგითი – „ხიდად დანაა, სახლს კარი აქვს ნემსის ყუნწით“;

ჩეჩნეთი – „იმ ლამეს ვიშვით როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი!“

ჩერქეზეთი – „შვიდი ძეხვისხელა, უეი დუნეი, ულვაშები აქვს“;

ინგუშეთი – „ჩვენ თუ არ ვიმღერეთ... მოციქულთა გუთანი კვალს ვერ გაიტანს“;

სვანეთი – „ვეფხვის ზმორება სასიკვდილო მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...“

ლაზეთი – ჭუტა ქარმატე – პატარა ნისქელი, მუდამ სხვისთვის რომ ქოთქოთებს და თავისთვის არარა აბადია.

სამეგრელო – დანიელ ფიფია – „ბევრი ფიქრობს, რომ მაშვრალობს სხვა კაცებზე უკეთესად, დრო კი არვის არა სწყალობს, ყველას უზღავს საკადრისად“.

საქართველო თავისთავად: ვეფხისა და მოყმის ბალადით დანყებული, ჩვენი სულიერების გვირგვინი „ვეფხისტყაოსნის“ შარავანდედის ჟამსვიანობით,

თავბრუნდამხვევი და უფსკერო პალიტრაა, თავბრუნდამხვევი და თამამად მიმავალი ერთი საზრისისკენ – მარიამ ფეტელავას აურწყავმა შრომისმოყვარეობამ სრულიად ახლებური ელვარება შექმატა იბერიული ცივილიზაციის ესთეტიკურ იერსახეს. ეს იგივე ხმლით წართმეული სამშობლოს ლოგოსით, სიტყვით, უფლისეული ძალით დაბრუნების ეჭვმიუტანელი მისტერიაა. მცდელობაც კი ამ ყოვლისმომცველი სივრცეების დაუნჯებისა, ალბათ, მკრეხელობად აღიქმებოდა. ამგვარ სივრცეებს (ვარსკვლავეთსა და უფსკრულეთს) უნდა მიეახლო და იმდუმარო, იმდუმარო – მაღლიერმა! მით უფრო საშურია ამ საგანძურს მიახლება ახალგაზრდობისათვის, თავად მარიამის თაობისათვის – ყოველი თაობა ხომ თავიდან კითხულობს მარადიულ კლასიკას, ეზიარება სიბრძნის უშრეტ წიაღს, თავისას, სათავისოს ამოიკითხავს და შეიგულებს საღვთო ენგად-წყაროსთვალში, რათა „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

ბუნებრივია, ყოველი მკითხველიც საკუთარ წარმოსახვით „დივანს“ შეკრავს, საკუთარი გემოვნებითა და მისწრაფებებით განსაზღვრულ-განპირობებულს, ნაკარნახევს.

წინამდებარე წიგნი კი მარიამისეული დივანია, სულმოსათქმელი „სასთუმლის წიგნი“, ჩვენც რომ გვთავაზობს საწუთროს ორომტრიალში, რამდენიმე საათით, რამდენიმე დღით (და, რაც შეიძლება, ხშირად) ჩაუფრთხილდეთ მშვენიერ და იდუმალ სამყაროს, სადაც ენქიდუ და გილგამეში, აქილევსი და ოდისევსი, შირინი სადაც ინდოელი და არაბი, ელინი და ებრაელი, ამერიკელი და ჩინელი, ქართველი და შუმერი დროისა და სივრცის მიღმა ერთად უგალობენ არსთაგამრიგეს; სადაც მირაჟი ცხადს ემეზობლება და იშლება ყველა მიჯნა, ყველა საზღვარი (სივრცის და დროის, თქმულის და ნაფიქრის, ენის და აზრის); სადაც „მისი უდიდებულესობა წარმოსახვა“ მბრძანებლობს და ადამიანი ჯერაც ისეთია, როგორიც ღმერთმა ჩაიფიქრა და შექმნა – მშვენიერ(ებ)ისაგან სულგაუმიჯნავი...

„ადამიანები ქმნიან სიმღერებს, ლექსებს. გადის ასი, ხშირად ათასი წელიც. შთამომავლები კითხულობენ მათ ჩანაწერებს და უნებურად ექმნებათ გენიალურ ავტორებთან პირადად შეხვედრის ილუზია“ [ირმა რატიანი, ასი უძველესი იაპონური ლექსი, თბ., 2008, 8].

„გენიალურ ავტორებთან პირადად შეხვედრის ილუზია“ აბსოლუტურად არაილუზორულად გვარწმუნებს დროისა და სივრცის პირობითობაში, მაღალი (მაღალთა) სევდის სინათლესა და მარადიულობაში, წარუვალლობაში.

დიდი ლიტერატურის პატარა დიასახლისი – მშვენიერი კრებულის შემდგენელი **მარიამ ფეტელავა** გვინვევს სიტყვათაგან უკეთესის – პოეტური სიტყვის, სიტყვა-ლოგოსის მინიერი ანარეკლის სამკვიდროში, „არნათლად ნათელ“, მშვიდი სინათლეებით განათებულ დიდებულ სრა-დარბაზებში, სიტყვის იდუმალ ნათელში, ასერიგად რომ განსხვავდება საწუთრო-მიასს უტიფარი, დამლაღავი, წარმავალი ნათებისაგან... გვეწყალობება „წყნარი სადგური, სულთ დასამკვიდრები...“

გილგამეშიანი

(ამონარიდი)

პარი მეთერთმეტი

(ნარღვნა)

ასე ეუბნება გილგამეში შორეულ უთანაფიშთის:

„აჰა გიყურებ, უთანაფიშთი:
არ მეუცხოება აღნაგი შენი,
მსგავსი ხარ ჩემი!
და შენ თავადაც არ მეუცხოები,
მსგავსი ხარ ჩემი!
გული მიმინვეს შენდა შერკინებად,
შენ კი ისვენებ, გულალმა წევხარ.
მარქვი, ვით წარუდექ ღმერთების კრებულს,
მარადი სიცოცხლე ვით მოიპოვე?

ასე ეუბნება უთანაფიშთი გილგამეშს:
„გაგიმხელ, გილგამეშ, იდუმალ სიტყვას,
განგებას ღმერთებისას გამცნობ:
გაგეგონება შურუფაქ-ქალაქი,
გაშენებული ევფრატის პირას.
ქველი ქალაქია – ღმერთთა მახლობელი.
ნარღვნა განიზრახეს დიდმა ღმერთებმა:
იქ იყო ანუ – მშობელი მათი,
გმირი ენლილი – მრჩეველი მათი,
ნინურთა – მკვირცხლი მორბედი მათი,
ღმერთი ენნუგი – მერწყული მათი,
ეა, თვალნათელი, მათთან იზრახვიდა.
ქოხს გაუმხილა მათი ხვაშიადი:
ქოხო, ყურადილე, კედელო ისმინე!
ჰოი შენ, კაცო შურუფაქელო,
უბარა-თუთუს ნაშიერო!
სახლი დაანგრე, ხომალდი ააგე,
განაგდე დოვლათი, სიცოცხლე ეძიე,
უარყავ ქონება, სული იხსენი!
ყოველი სულდგმული ხომალდს აიყვანე.
ხომალდი იგი, რასაც ააგებ,
უნდა ააგო ამგვარი ნყობით:
ერთურთს გაუტოლდეს სიგრძე და განი,
აბზუს მაგივრად ჭერი დაჰხურე.
მეც მივხვდი, მივუგე ჩემს უფალს ეას:
სიტყვა, რაც ბრძანე, უფალო ჩემო,
როგორც გავიგე, ისე აღვასრულებ.
მაგრამ რა მივუგო უხუცესობას,
რა ვუთხრა ქალაქს და მისთა მკვიდრთა?

ეამ განახვნა ბაგენი, ამეტყველდა,
 ასე მეუბნება მის მონა-მორჩილს:
 შენ კი ამგვარად ეტყოდე:
 გავიგე ენლილს დავუნყველივარ,
 ველარ დავდგები თქვენს ქალაქში,
 ველარ გავივლი ენლილის მიწაზე,
 ზღვად ჩავალ, ჩემს უფალ ეასთან დავდგები,
 თქვენზედ კი სიუხვეს აწვიმებს ეა,
 გაგიმრავლდებათ ცაზე ფრთოსანი,
 თევზით აივსება მყუდრო ჯილეები,
 უხვი ჭირნახული ქვეყანას აავსებს.
 გარიჟრაჟისას, დილაადრიანად,
 ხორბალის წვიმა იწვიმებს ძლიერად,
 ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
 ერი შემოკრბა წინაშე ჩემსა.
 სახლებს ანგრევენ, არღვევენ კედლებს,
 კუპრიან კალათებს ზიდავენ ბავშვები,
 და საშენ ხე-ტყეს ძლიერნი ზიდავენ.
 ხუთ დღეში ავაგე ხომალდის ჩონჩხი,
 ერთი იქუა ფართობი მისი,
 ათი გარია კედლების სიმაღლე,
 ათ გარს გაუსწორდა თხემის კიდეები.
 მერმე დავხაზე ხომალდის სივრცე:
 ექვსი მოვუჩინე შენობას სართული,
 ცხრანილ დავყავი წიაღი მისი.
 წყალსაკეტები ფსკერზე მოვანყვე,
 საჭე შევარჩიე, დავყარე ნიჩბები.
 ქურაში კუპრი სამი საწყაული,
 სამი საწყაული ფისი გამოვადინე.
 მტვირთავმა მუშებმა ზეთი მოზიდეს,
 ერთი საწყაული გაზეთვამ შთანთქა,
 მენავემ დამალა ორი საწყაული.
 შურუფაქელებს ვუკლავდი ხარებს,
 ცხვარსა და ბატკანს ყოველდღე ვუკლავდი,
 ლუდსა და ბადაგს, ზეთსა და ღვინოს,
 მდინარის წყალივით სვამდნენ ხელოსნები,
 თითქოს ზეიმობდნენ ახალწლის დღეებს.
 ნელსაცხებელის გავხსენი ჭურჭელი,
 სურნელი ზეთი ხელზე გადავისხი.
 შამაშის ჩასვლისას მზად იყო ხომალდი;
 მაგრამ გაძნელდა ზღვაში შეცურება.
 ზემოთ და ქვემოთ აყირავეს ხომალდი
 და ორ მესამედზე ზღვაში შეაცურეს.
 ავზიდე ხომალდზე, რაც კი მებადა,
 ავზიდე ხომალდზე ვერცხლი, რაც მებადა,
 ავზიდე ხომალდზე ოქრო, რაც მებადა,
 ავზიდე ხომალდზე, რაც კი მებადა,
 ყოველი სულდგმული ხომალდზე ავსვი.
 ავსხი ხომალდზე ჩემი სახლეული,

ავსხი ხომალდზე ველური ნახირი,
და ხელოსნებიც უკლებლივ ავსხი.
მაშინ შამაშმა დამითქვა ჟამი:
გარიჟრაჟისას, დილაადრიანად,
ზეციდან ვანვიმებ ძლიერად!
შედი ხომალდში და დახში კარი!
ოდეს მოანია დათქმულმა ჟამმა –
გარიჟრაჟისას, დილაადრიანად,
ზეციდან ინვიმა ძლიერად,
მაშინ მენიშნა ამინდის სახე,
შევედი ხომალდში, კარები დავგმანე.
გემის დაგმანვისას ფუზურ-ამურუს
მთელი დოვლათითურთ მივანდე სასახლე.

ოდეს განთიადმა მტრედისფრად ინათა,
ცის კიდით დაიძრა ბნელი ღრუბელი,
გრგვინავდა ადადი ღრუბლის შუაგულში,
დანინაურდნენ შულლათ და ხანიშ,
ქარიშხლის მაცნენი მთა-ბარს მოედვნენ.
მოდის ერრაგალი, ჯებირებს მოანგრევს,
მოვარდა ნინურთა, ნაგუბარს მოდენის.
მოაქვთ ანუნაქებს დიდი ჩირაღდნები,
რათა ელვარებით ხმელეთი გადასწვან.
ზეციდან აინია ადადის რისხვამ,
ყოველი ნათელი შთაინთქა ბნელში.
მინა შეიბზარა თიხის ქოთანვიით.
ერთ დღეს მძვინვარებდა სამხრეთის ქარი,
მძაფრად უბერავდა, მთებს აყირავებდა
და კაცთა მოდგმას ომივით მუსრავდა.
ველარ ხედავდა მოყვასი მოყვასს
და ცისქვეშეთში არ ჩანდა ხალხი.
ღმერთები წარღვნას არ შეუშინდნენ,
განილტვნენ, ანუს ცაღ ავიდნენ,
ძალღებვიით მიყუჟდნენ ღმერთები,
ზეცის გალავანთან მორჩილად შეჯგროვდნენ.
მშობიარე ქალივით აკივლდა იშთარი,
მოსთქვამდა ხმატკბილი ღმერთთა დედოფალი:
დღე იგი წყეული მინად გარდაიქცეს,
როს ღმერთთა კრებულში ბოროტი ვიზრახე!
რად ვიზრახე ბოროტი ღმერთთა კრებულში,
ხალხის დასალუპად ომი რად ვიზრახე!
განა ეს ხალხი მე არ მიშობია,
ახლა თევზებივით ზღვას რომ ავსებენ?
მის გვერდით ტირიან ანუნაქები,
ტირილად სხედან მორჩილი ღმერთები,
პირი მოუკუმავს უკლებლივ ყველას.
ქარი მიმოქროდა ექვს დღეს და შვიდ ღამეს,
წარღვნის ქარიშხალი ქვეყანას აქცევდა.
ხოლო მეშვიდე დღის დადგომისას

წარღვნის ქარიშხალმა შეწყვიტა ომი,
 ლაშქარივით ხმელეთს რომ ებრძოდა.
 ზღვა დამყუდროვდა, გრიგალი დაცხრა,
 და წარღვნის წყლები უკუმბიქცნენ.
 გავხსენი ერდო, ლოყაზე დამეცა სხივი.
 შევხედე ამინდს: დარი დამდგარიყო,
 მაგრამ გამწყდარიყო მოდგმა კაცისა,
 ყოველი სულდგმული მიწად ქცეულიყო,
 გადარეცხილიყო მთელი ქალები.
 მაშინ ჩავიკეცე და ავტირდი,
 ლანვებზე ღვარად მდიოდა ცრემლი.
 თვალი მოვაღლე ზღვის ოთხივ კუთხეს,—
 ამოზიდულიყო მაღალი ნაპირი,
 ნიცირის ქვეყანას მიდგომოდა ხომალდი;
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ ტივტივებდა ხომალდი;
 ერთ დღეს, მეორე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ ტივტივებდა ხომალდი;
 მესამე დღეს, მეოთხე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ ტივტივებდა ხომალდი;
 მეხუთე დღეს, მეექვსე დღეს
 ნიცირის მთა ხომალდს აკავებდა,
 ველარ ტივტივებდა ხომალდი.
 ხოლო მეშვიდე დღის დადგომისას,
 ამოვსვი მტრედი და გავუშვი;
 წავიდა მტრედი და ისევ დაბრუნდა,
 ვერ იპოვა სადგური, უკან მოტრიალდა.
 ამოვსვი მერცხალი და გავუშვი;
 წავიდა მერცხალი და ისევ მობრუნდა,
 ვერ იპოვა სადგური, უკან მოტრიალდა.
 ამოვსვი ყორანი, წყლების დაშრობა დაინახა;
 ჭამდა, სკინტლავდა, ყრანტალებდა.
 არ მობრუნებულა ყორანი.
 მაშინ გამოვუშვი ყველა პირუტყვი
 და ოთხივ ქარისკენ შევნირე მსხვერპლი.
 გორაკის წვერზე ვაკმე საკმელი,
 განვანყვე შვიდ-შვიდი ჭურჭელი,
 ფსკერზე დავაპნიე მურტი და კედარი.
 ღმერთებმა იყნოსეს სურნელება,
 ღმერთებმა იყნოსეს კეთილსურნელება,
 ღმერთები შეესიენ მოზვერს მწერებევით.
 იშთარ დედოფალმა მისი მოსვლისას,
 მალლა აღმართა დიდებული ფარღული,
 ანუემ რომ შეჰქმნა მისდა სიხარულად:
 აჰა, ღმერთებო, ჩემი ყელსაბამი:
 ვით არ დავივიწყებ თვეებს საფირონისას,
 ისე ეს დღეები მემახსოვრება,
 სამარადისოდ არ დავივიწყებ!

მოვიდნენ ღმერთები საკმეველთან!
 ენლილი არ მოვიდეს საკმეველთან!
 რადგან არ განსაჯა, წარღვნა მოახდინა
 და ხალხი ჩემი დასალუპად გასწირა.
 ენლილმა, ოდეს მოვიდა იგი,
 იხილა ხომალდი, განრისხდა ენლილი,
 წყრომით აღივსო იგიგთა მიმართ:
 ნუთუ გადარჩა ვინმე სულიერი,
 ნუთუ მოკვდავი გადაურჩა დაღუპვას?
 მაშინ განახვანა ნინურთამ ბაგენი,
 ამეტყველდა, ასე უებნება გმირ ენლილს:
 ეას თვინიერ ვინ აწყობს საქმეთ,
 ეას გაეგება ყოველი ხრიკი,
 მაშინ განიხვანა ეამ ბაგენი, ამეტყველდა,
 ასე ეუბნება გმირ ენლილს:
 ღმერთთა მოძღვარი ხარ, ჰე გმირო ენლილ!
 წარღვნა განუსჯელად როგორ მოავლინე?
 ცოდვილს მის ცოდვას მიუთვლიდი!
 კაცი უცოდველი არ დაყუბულიყო,
 კაცი უბრალო არ დასჯილიყო!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 ლომი მოვლენოდათ: ხალხი დაიკლებდა!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 მგელი მოვლენოდათ: ხალხი დაიკლებდა!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 შიმშილი მოვლენოდათ, ქვეყანას მოსწყვედდა!
 ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე,
 ჭირი მოვლენოდათ: ხალხს სნებას შეჰყრიდა!
 მე არ გამითქვამს ღმერთების განგება,
 ოლონდ ათრა-ხასის სიზმარი ვახილე,
 ღმერთების განგება ჩაესმა სიზმრად.
 ახლა შენ განსაჯე მისი სამართალი.

მაშინ შევიდა ენლილი ხომალდში,
 ხელი ჩამჭიდა ამომიყვანა,
 მეუღლე ჩემიც ამომიყვანა,
 ჩემს გვერდით მუხლი მოაყრევინა.
 შუბლზე შეგვეხო, შუა ჩაგვიდგა, გვაკურთხებდა:
 მოკვდავი იყო უთანაფიშთი,
 ან უთანაფიშთი და მისი მეუღლე,
 დე, მსგავსნი იყვნენ ჩვენი, ღმერთებისა!
 იმკვიდროს შორეთში ,
 წყლების დასაბამთან!
 წაგვიყვანა შორეთს დაგვამკვიდრა,
 წყლების დასაბამთან,
 ან ვინ შეგიკრებს ღმერთებს, გილგამეშ,
 რათა ენიო უკვდავებას, ასე რომ ეძიებ?
 აბა, თუ იფხიზლებ ექვს დღეს და შვიდ ღამეს!“

* თარგმნა ზურაბ კიკნაძემ.

თამბი*

– საით მიდიხარ, თეთრო თამბი?
– მთაში მივდივარ სანადიროდ.
– არ გაგიგია, თეთრო თამბი,
უგურ-მთაზე ვეფხვი ყოფილა,
წასულან შენი ძმობილები,
მძიმე ძილით დაუძინიათ.
ნუ წახვალ მთაში, თეთრო თამბი,
შინ გიჯობს, ვაჟო, დაბრუნება.

არ დაიშალა თეთრმა თამბიმ,
შიში გულში არ გაიტარა.
– მაშინ რად მინდა ჩემი მშვილდი,
ჩემი მშვილდი ძნელმოსახარი,
ან ჩემი ხმალი – ჯავარდენი –
გაჭედილი ახალმთვარობას...

უგურ-მთაზე, მზის დასავალთან
თამბი და ვეფხვი შეიყარნენ,
მაღალია ვეფხვის კამარა,
მჭრელია თამბის ჯავარდენი,
უგურ-მთაზე მზის დასავალთან
თამბი და ვეფხვი შეიყარნენ...
ტორი ჩამოჰკრა ზოლიანმა,
ჯაჭვ-აბჯარი ჩამოასხა.
– ტანი რად მინდა მოხატული
თუკი ნახტომი ამიცდება!
მაშინ გახელდა თეთრი თამბი,
ხმალი დაჰკრა, მძიმედ დადრიკა.
ვეფხვის ზმორება სასიკვდილო
მდინარეს ჰგავდა ადიდებულს...
– ფიცხი ყოფილხარ, ზოლიანო,
მოყმე ყოფილხარ უშიშარი,
მე, ავთვალის რისთვის მეგონე,
მოხატული ტანი გქონია,
ეკლიანი რისთვის მეგონე,
ატლასივით ბენვი გქონია,
მოუქნელი რისთვის მეგონე,
ელვასავით ტორი გქონია.
ნეტავი შენ არ მომეკალი,
მამაჩემი შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ალალი ძმა შემომკვდომოდა,
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ლვიძლი შვილი შემომკვდომოდა.
ნეტავი შენ არ მომეკალი,
თავი მომეკლა – და – ტიალი.

პილეგა*

ამბავი არის გასაკვირველი,
დიდი ხეები უვლიან ფერხულს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
დასაქმობენ თევზები მინდვრად.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყრები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ყარაულობენ კატები ერბოს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
თხას მისდგომია მატყლისთვის ცხვარი.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჩიტი-ჩიორა, იტაცებს ორბებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მდინარე აღმა მიედინება.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მზე დასავლეთით ამოდის ცაზე.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.

* სვანურიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.

ლეჰსი ვეფხისა და მოყვისა

მოყმემ თქვა პირშიშველამა,
შიბნ გავიარენ კლდისანი,
მოვინადირენ, დავლახენ
ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი.
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
შავვარდი ვეფხვსა ნანოლსა,
დრონ იყვნეს შუალამისანი.
ვეფხვი რომ ნამამიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.
შაიბნეს ვეფხვი მოყმეი,
მაშინ დაიდრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაილენნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი.
გაზით გაართვნა კალთანი
ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნენ ნაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადმაეკიდა,
ჩამოანითნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამანვა
მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მაჰლებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი,
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი.
იარებოდა დედაი
ტირილით თვალცრემლიანი:
„ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებულნი, ტიალი,

ჩემს შვილს – ხმლით, იმას – ტოტითა
დღე დაულამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შაჰხვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩნენ სირცხვილიანი“.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
„შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა.
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტებით,
ხმალმა დაკუნა ძვალთა.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია,
ლაშქარში, მეგობარშია
არ იყავ სანუნარია.
მშვიდობით, ჯვარი გენეროს,
ეგეც სამარის კარია.
ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია“.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა.
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უნყალოდ ხმლით დაჭრილისა.

ამბავი ნართებისა *

(ამონარიდი ეპოსიდან)

ასნი ქმანი, ნართები

ოდესღაც ქვეყნად ტანახოვანნი
ასი რაინდი ცხოვრობდა თურმე,
მათ აფხაზეთის მკვიდრებად თვლიდნენ
და უწოდებდნენ დადებულ ნართებს.
პირად – ლამზანი, ტანად – აღნაგნი,
ვაშლის გულივით ერთმანეთს ჰგავდნენ,
ერთს რომ ნახავდი, ძალაუნებურ
გავინყდებოდა მეორის სახე.
ერთი დედისაგან იყვნენ ნაშობნი,
ფერთაც ერთნი, ხორციტაც ერთნი,
მთას რომ შებოდნენ, დაშლიდნენ მყისვე,
ქარს გაჰყვებოდა მტვერი და ფერფლი.
ისეთი ფართო მკლავები ჰქონდათ,
ისე წვრილი და წერნეტი ტანი, –
რომ მიწვდებოდნენ სანოლზე როცა,
და იდაყვებზე მიდებოდნენ თავებს,
დგებოდა კატა, კუდანეული,
და ძმების წელქვეშ ძვრებოდა ისე,
რომ მიძინარეთა აშვეტილ ფერდებს
არც ეხებოდა იმის კუდი.
მხრებგანიერებს, პირმშვენიერებს
ვერ ამორებდა მნახველი თვალებს,
ფართო ბარძაყებს, ღონიერ ბარკლებს
საბარკლულები შვენოდათ რკინის.
ხმა უცხო ჰქონდათ, ზნეობაც უცხო
და უჩვეულო სამოსიც ეცვათ:
ბრწყინავდა მათი რკინის ბეგთარი,
მოოჭვილობა შვენოდა აბჯარს,
ელავდნენ პირნი სატევრისანი,
მზე დანათოდა ჯავარდნის ხანჯლებს,
ბენვსაც გაჰკვეთდა ჰაერში, ალბათ,
იფნის წნელივით მოქნილი ხმალი.

შავი ნაბლები შვენოდათ ნართებს,
ბეჭებზე ასხდათ სვავების დარად
და ფაფანაკებს მტრედის გუნდივით
აფარფატებდა შუადლის ქარი.

ჩოხა-ახალუხს ირგებდნენ ტანზე,
ერთად პურობდნენ, დგებოდნენ ერთად
და ერთდროულად დააჭენებდნენ
სათოხარიკოდ დარახტულ რაშებს.

მამაძუძენი ჰყოლიათ ნართებს,
მათ ელპიზებად უხმობდნენ თურმე
და ყველა ერთი, სასრიყუას გარდა,
გამოზრდილიყო იმათი ღვანლით.
მამები იყვნენ, მამობდნენ ნართებს,
მამობას სწევდნენ ჭირშიც და ლხინშიც...
დიდი ომის ჟამს – მოსეულ მტერზე
გაილაშქრებდნენ გულდაგულ ძმები,
გადაიცვამდნენ საომარ პერანგს, –
ჯაჭვის რგოლებად შემტკიცულ პერანგს, –
რომ ვერ გახვრეტდა წვერი ისრისა,
ვერ გაჰკვეტავდა ფოლადის ხმალი.
ასნი ყოფილან, ასნივ – ლომგულნი,
ასი ნართი ძმა ზვაობდა ქვეყნად,
ასე ზვაობდა და ამ ას ვაჟკაცს
და ერთადერთი ჰყოლია თურმე.
მზეთუნახავი ყოფილა იგი,
გუნდა-მშვენიერს ეძახდა თემი,
მზეს ჩრდილავდაო მშვენება მისი,
მნათი იყო – უკუნთა მთევი.
ძმებში უფროსი ნართ-სითი იყო,
ხოლო უმრწემესს სასრიყუა ერქვა,
ძალა ჰქონია მოვარდნილ მენყრის,
და სიმტკიცითაც ჰგავდაო ძელქვას.
დიდი ვაჟკაცი ყოფილა მრწემი,
ქვამ დაბადაო ამბობდა ხალხი,
ვერ გასტეხდაო გრდემლი ტყვიისა,
ვერც ჯავარდენი აკლებდა რასმე;
მტკიცე ყოფილა ნართების სახლი,
გამოუკვეთავთ რჩეული ქვისგან,
ცალკე სარდაფიც მდგარაო ცალკე.
დიდი ქვევრები იდგა მარანში,
თვალს ახარებდა ღვინის კიაფი,
ყველაზე დიდ ქვევრს – ქვევრების ბატონს,
რქმევია უაძამაქიათი.

ქვევრების თავზე ეკიდა თურმე
სახაპეები სანდე ღვინისა:
მოყვასს სჭიროდა გული მოყვასის,
ძმას – მოზიარე მისი ლხინისა.

ნართებს ჰქონიათ ციხე-სასახლე,
ბანზე ისმოდა ქარის დუდუნი...
ჰქონდათ ეზო და საკარმიდამო
ქვის გალავნებით შემოზღუდული.
დღემდე შემორჩა კვალი ნართების –
ჟამთა ქარ-წვიმით შეუბღალავი:
კედლებს რომ ამკობს, – წარწერებია,
რა ენაზეა, უწყის არავინ ...
ქმნა სამართლისა უყვარდათ ნართებს,
ავის მოსურნეს უზღვავენ ავად,
სახელ-დიდების მოსახვეჭავად
ხშირად ლაშქრავდნენ სხვადასხვა ქვეყნებს.
არ აბრკოლებდათ სიმაღლე მათა,
არც თვალუნვდენელი ტრამალთა სივრცე,
არც მდინარეებს ეპუებოდნენ –
ბზიფს და ყუბინას თავისად თვლიდნენ
და სანაპირო იალაღებზე
ერეკებოდნენ საძოვრად ნახირს.
მოაშენებდნენ ცხენების რემას,
ძროხების ნახირს, ცხოვართა ფარას
და სხვა ჯოგისაგან გამოსარჩევად,
დამლას უსვამდნენ თავიანთ ხვასტაგს.
ეჯავრებოდათ მძალველი კაცი,
ქურდიც, მძარცველიც მრავალჯერ დაგმეს
და ავკაცობის აღსაკვეთავად
არ თაკილობდნენ ავკაცურ საქმეს.
კეთილთა საქმეს კეთილად სჯიდნენ,
სიკეთეაო – გვამაღლებს რაიც,
თუმც უკეთურთა დასათრგუნავად
უკეთურებას არჩევდნენ მაინც.
ზვავდნენ ზვაობდნენ, როგორც წესია,
და ირჯებოდნენ მდაბალთან მდაბლად,
დასჭირდებოდათ? – მზეობდა ბაგე,
სიტყვა წთოლავდა მაისის თაფლად.
ძალზე უყვარდათ ხვასტაგი ნართებს,
ალარ აკლდებდნენ ზრუნავს და მოვლას,
აურაცხელი პირუტყვიც ჰყავდათ:
ცხენი, ცხვარ-ძროხა, ხარების ჯოგი,
შებინდებამდე თითოეულ მათგანს
თითო ვაჟკაცი მწყემსავდა თურმე.
ასე, – უახსითს. ნართ-სითის ვაჟკაცს,
ეკისრებოდა ცხენების მოვლა,
უვლიდა ისიც, ცდას არ აკლებდა,
მეურვეობდა საერთო დოვლათს.

მაგრამ ყველაზე გამორჩეულად
მეცხვარეობა მოსწონდათ ნართებს:
მოაგროვებდნენ სანმისებს ცხვრისას,
მოსართველს რთავდნენ,
სამოსელს ქსოვდნენ
და ასე თბილი შესამოსელით
იმოსებოდნენ ჟამიდან ჟამად.
წვრილფეხა პირუტყვის უვლიდა კუნი,
ქიათუანი მწყემსავდა ხარებს.
ათლაგუცა კი საძოვარებზე
ერეკებოდა ძროხების ნახირს.
ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ძმები:
ჯერ ხაბუგუი და ნარჯიხოუ,
მერმე ნიზი და ათლაგიყუა,
უახსითი და სეილუქუი,
ნაუზიჯი და ნაშბათაყუა.
მწყსიდნენ ბაშნუხი, ხსაუთი, კუნი,
თათრაში, ხნიში, ჰანაშვი, ცვიცვი,
და, როცა სადმე გაილაშქრებდნენ,
ძმათა საქონელს უვლიდა თემი, –
რაკი ცხვარ-ძროხა საერთო ჰყავდათ
და შიგ მთელ სოფელს სდებია წილი...
ეს ჩვეულებაც ჰქონიათ ნართებს:
შეაგროვებდნენ თავიანთ ხვასტაგს,
მრავალი წლობით ნასუქალ ხვასტაგს,
და ყოველ ათასს გაჰყოფდნენ ათად, –
ას სულს აკლებდნენ თითოეულ ათასს,
მერმე ასივეს უშვებდნენ ტყეში
და ტყის მეუფეს სწირავდნენ მსხვერპლად.
ნართებს ჰქონიათ ვეება ტაბლე,
რკინით და რვალით ნაჭედი ტაბლა:
ზღუდიდან ზღუდეს, კედლიდან კედელს
სწვდებოდა თურმე სიგანე მისი.
მიუსხდებოდნენ ნართები ტაბლას,
როგორც მოითხოვს წესი და რიგი:
თავს უხუცესი დაამშვებენდა,
სუფრის ბოლოში ჯდებოდა მრწემი,
მოთავე იყო ოდითგან სითი,
ნაბოლარად კი სასრიყუა იჯდა;
ცხენთა საბმური ჰქონიათ ნართებს, –
ასტოტიანი კადონის მსგავსი,
რომ ასივეზე მიებათ ძალით
დუჟმორეული ტაიჭი ასი.

მარჯვე ხელები ჰქონიათ ნართებს,
არ უმტყუნებდათ არასდროს თვალი,
არ გატყორცნილა ისარი ფუჭად,
არ შემართულა ამოდ მკლავი!
მაინც სასრიყუა სჯობნიდა ყველას,
გამორჩეული ჩუბინი იყო,
დაუმიზნებდა შემართულ ისარს
და სამიზნეში ურტყამდა ზუსტად.
კვერცხს დაადებდა დედამისს თავზე, –
კარგად არც ჩანდა ჩიტუნას კვერცხი,
ლარს მოზიდავდა, სტყორცნიდა ისარს
და ახვედრებდა მიზანში ისე,
რომ სათანეის ქალარ თმაში
შეურხეველი რჩებოდა ღერიც...
ნადირობაშიც მარჯვობდნენ ძმები,
სძაგდათა ნადირთა მცირეთა ხოცვა,
ტყეს სანადიროს მიაშურებდნენ,
ედევნებოდნენ ცხენ-ირმებს ჯიქურ,
ხელდახელ ქნიდნენ, იყოფდნენ ტოლად,
უმცროსებს – ერთნილ, უფროსებს – ორნილ,
დანაყრდებოდნენ ნადირის ხორციით
და მხოლოდ ტვინი მოჰქონდათ დისთვის.

ექიშპებოდნენ ნართები დევებს,
დასტურ, ამისთვის მიზეზიც ჰქონდათ:
თემს აოხრებდა ჯილაგი დევის,
ბედს უმნარებდა ადამის მოდგმას.
შეესოდნენ დევები სოფელს,
აჰყრიდნენ პირუტყვს, მიჰქონდათ დავლა
და თემშარაზე ერეკებოდნენ
ხელფეხშებორკილ ქალებს და ბავშვებს.
წყურვილს იკლავდნენ ბალებს სისხლით,
ძლებოდნენ მათი უმანკო ხორციით,
ნართებიც სწორედ ამიტომ სპობდნენ
კაციჭამია დევების ჯილაგს.
დაიბრუნებდნენ მოპარულ დავლას,
ცხვარსა და ძროხას, ცხენების რემას,
და სახლში მშვიდად გაისტუმრებდნენ
ცოცხლად დარჩენილ ადამის შვილებს,
გაახარებდნენ დაღვრემილ სოფელს,
გააცოცხლებდნენ დამხობილ კერებს
და გამარჯვების შეძახილებით
გადმოდგებოდნენ ქედიდან ქედზე.
ამიტომ არის – აფხაზი კაცი,
როცა მოგვითხრობს გარდასულ ამბავს,
გულუხვად ლოცავს ნართების ოჯახს
და, როგორც ცოცხლებს, ახსენებს დღემდე.

* აფხაზურიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა.

უფროსი ედა *

(ამონარიდი)

VI

ვიცი შელოცვები, –
არვინ რომ არ იცის,
არც ცოლმან კონუნგის;
არის დახმარება
სახელი პირველის, –
ის შველის სევდიანს
ფიქრის ჟამს, დარდის ჟამს.

ვიცი მე მეორე, –
იგი მკურნალისთვის
არის სასარგებლო.
ვიცი მე მესამე –

მებრძოლს რომ დაიცავს
ბრძოლის დროს მტერთაგან;
ვუჩლუნგებ მახვილებს,
ვადუნებ მათ მკლავებს,
შუბებს უვნებელყოფ.

ვიცი მე მეოთხე –
მაგრად რომ შემბოჭონ,
შემკრან ბორკილებით,
რანამს შევულოცავ,
მყისვე დაცვივდება
ხელთაგან, ფეხთაგან –
ხელხუნდი, ბორკილი.

ვიცი მე მეხუთე –
თუ მტერი ბრძოლის ჟამს
ისარს გამოსტყორცნის,
მზერას შევაგებებ,
მყისვე შეჩერდება
ისარი ფრთიანი.

ვიცი მე მეექვსე –
თუ მტერს სურს ფესვებით
მე დამაზიანოს,
თავად დაატყდება
თავს უბედურება
ჩემთვის ავისმზრახველს.

ვიცი მე მეშვიდე –
თუ ცეცხლი გაუჩნდა
სახლს ხალხით ავსილსა.
ვეტყვი იმ შელოცვას

და მყისვე დაცხრება
ხანძარი მძვინვარე.

არს მერვე შელოცვა
ყველასთვის საჭირო,
ვინც მას დაიხსომებს;
თუკი გულმამაცნი
ერთუროს წაეკიდნენ,
ძალმიძს შერიგება.

არს მეცხრე შელოცვა –
ოდეს ქარიშხალი
ხომალდს ემუქრება,
ვუბრძანებ ქარიშხალს
და ტალღებს ბობოქარს, –
დაცხრნენ და დაოკდნენ.

ვიცი მე მეათე –
თუ ვცან, რომ გრძნეულნი
ჰაერში აფრინდნენ,
გონებას ავუბნევ,
რომ გარდასახულნი
ველარ დაუბრუნდნენ
სახეებს პირვანდელს.

ხამს მეთერთმეტით
ომში გამხნევება,
დაცვა მეგობართა;
ფარში ჩავემდერებ,
მარჯვედ იომებენ,
მტრისგან უვნებელნი,
მტრის დამმარცხებელნი
შინ დაბრუნდებიან.

ვიცი მეთორმეტე –
თუ ხეზე ჩამომხრჩვალს
ვნახავ, დაკიდებულს,
რუნებს ამოკვეთავ
და ისე შევლებავ, –
მკვდარი გაცოცხლდება,
საუბარს დამინყებს.

ვიცი მეცამეტე –
ყრმას ძუძუმწოვარას
წყალს ისე ვასხურებ,
მახვილი ვერ მოჰკლავს,
მუდამ უვნებელი
იქნება ომში.

ვიცი მეოთხმეტე –
ჩამოვთვლი ასების,

ჩამოვთვლი ალფების,
ღმერთთა მათ, სახელებს,
ვამცნობ კაცთა მოდგმას,-
ეს მხოლოდ ბრძენს ძალუძს.

ვიცი მეთხუთმეტე –
თოდროორი მღეროდა
დელინგის კარებთან;
ასებს ძალა მისცა,
ალფებს – სიმამაცე,
სიბრძნე – უზენაესს.

ვიცი მეთექვსმეტე –
ქალწულის გულისა
სიმების შემრხვეი –
ამაყი ასულის
ფიქრს დავიმორჩილებ,
გონებას დავიპყრობ.

ვიცი მეჩვიდმეტე –
თუ ვითარ შევბოჭო
სული ქალწულისა;
ესე შელოცვანი,
ლოდფაფნირ, მარადის
გექმნან უცნობელნი:
გარნა ძვირფასია,
თუ მათ სასიკეთოდ
შენდა შეიმეცნებ.

ვიცი მეთვრამეტე –
არც ქალწულს, არც ქმრიანს
მე იმას არ ვეტყვი,-
რჩება საიდუმლოდ
ის, რაც ერთმა უწყის;
აქ წყდება სიმღერა,-
გავანდო, ეგების,
ან დას, ან მეუღლეს
იგი საიდუმლო.

ჰა, ესე სიტყვანი
უზენაესისა,
კაცთა სასარგებლო,
ოტუნთა ურგები.
სიკეთე მთქმელსა და
სიკეთე მსმენელსა!
ირგე, გაიხსენე!
სიკეთე გამგებელს.

* თარგმნა გ. კალანდაძემ

ბერნატ ეჩეპარე

(XVI ს.)

კონტრ-ჰა*

გარეთ გადი, ესკუარა!*
გარასის* ქვეყანა
კურთხეულ იყოს,
ესკუარას მიანიჭა
კუთვნილი ადგილი.
ეუსკარა, გადი მოედანზე!

სხვა ხალხებს ეგონათ
ეუსკარას დამწერლობა არ ექნებოდა;
ახლა დამტკიცდა, რომ ცდებოდნენ.
ეუსკარა, გადი ხალხში!

ენათა შორის მიგიჩნევდნენ
ნაკლებ პატივსაცემად.
ახლა, პირიქით, შენ უნდა იყო
ყველაზე პატივცემული.

ამიერიდან უკვე შემოვილი
მთელს მსოფლიოს.
ეუსკარა, გადი მთელს მსოფლიოში!

სხვამ ყველამ მიაღწია
უმაღლეს დონეს,
ახლა ის ავა ზემოთ,
ყველა სხვაზე მაღლა.

ეუსკარა!
ბასკებს ყველა აფასებდა,
ისინიც, ბასკური რომ არ იცოდნენ;
ყველა გაიგებს ახლა,
რა ყოფილა ეუსკარა.

ეუსკარა!
თუ შემორჩი დღემდე,
ისე, რომ არ გბეჭდავდნენ,

ეუსკარა!

არც ერთი ენა,
არც ფრანგული და არც სხვა,
არ შეედრება ეუსკარას.
ეუსკარა, გამოდი საცეკვაოდ!

* ბასკურიდან თარგმნეს:

სალომე გაბუნია და ნათელა სტურუამ.

მგლები სიმღერა

იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
დილით დაგვარქვეს სახელები ლომის ღრიალში,
მთის არწივების საბუდარში გვზრდიდნენ დედები,
ხოლო მამები გვასწავლიდნენ ხართა მოთოკვას.

ამ მინა-წყლისთვის, მამულისათვის გვზარდეს დედებმა,
და განსაცდელში ჩვენს სამშობლოს მტკიცედ დავიცავთ,
მთის თავისუფალ არწივებთან ერთად დავზრდილვართ,
სიძნელეები ღირსეულად დაგვიძლევიან.

ეს გრანიტის კლდე ტყვიასავით დადნება უმალ,
ვიდრე ბრძოლაში დავკარგავდეთ კაცურ ღირსებას,
უმალ გასკდება დედამინა მზის სიმხურვალით,
ვიდრე მინაში ჩავიდოდეთ სულგაყინულნი.

ქედს არ მოვიხრით არასოდეს არვის წინაშე,
ჩვენ ერთი გზა გვაქვს: სიკვდილი ან თავისუფლება!
ჭრილობებს დები სიმღერებით მოგვიშუშებენ,
ხოლო სატრფონი აღგვანთებენ ისევ საომრად.

ხის ფესვებს დავღრღნით, შიმშილმა თუ შემოგვიტია,
ცვარ-ნამს შევსრუტავთ, წყურვილმა თუ დაგვრია ხელი,
იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
უფალს, ჩვენს მოდგმას, ჩვენს მინა-წყალს ვემსახურებით!

* ჩეჩნურიდან თარგმნა მამუკა ნიკლაურმა.

ნიკოლოზ გარათიაშვილი

(1817-1845)

მერანი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედიანი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;
საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვენსა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან, ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედიანი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

რაფიელ ერისთავი

(1824-1901)

სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, – ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩაჩქარით გადმოჰქუხს ბროლინყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობ შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეს იმნარის!..

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვაღავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

კოსტა ხეთაბითი

(1859-1906)

აფსათი

ვის არ უნდა დილით ძილი,
თუმცა სხივი უკვე სარკმელს
აელვარებს და მწვერვალებს
ნაირნაირ მძივებს აკმევს.
მზე ხევიდან ხევში მიდის
და სიცოცხლის ძალა მოაქვს,
მაგრამ აფსათს მაგრად სძინავს,
ის ჯერ ვერ გრძნობს დილის ნიავს.
მასზე კიდევ უხუცესი
ქვეყანაზე არვინ არი;
და მთა მისცეს უმაღლესი, –
როგორც ეზო საკუთარი.
თოვლი ახლოს და შორიდან
თვალს ატყუებს, მზერას ლახავს...
და აფსათის კარ-მიდამოს
ძნელად თუკი ვინმე ნახავს.
იმის ეზოს ამკობს ფიჭვი,
ნაკადულის ელავს ბროლი,
დარაჯობენ მყინვარები –
გმირის ეზოს ზვავთა ქროლით.
და ლოდები მიაქვს ზვავებს,
სცვივა ქვევით ვინრო ხევში,
სადაც ტყეა უსიერი
და ნაპრაღში სიოს ხვნიშის.
მისი ტახტი შემკულია
მარმარილოს თეთრი ქვებით
და სანოლი მორთული აქვს
ნაირნაირ ირმის რქებით.
თივთიკი აქვს სათუმალად,
დათვის ბენვი – ძვირფას ლებად,
ჯერ იძინოს! აფსათს ძილით
არაფერი ნაუხდება.
თავს ადგია მძინარს შვიდი
უტურფესი ახალგაზრდა,
ოროვანდის ფოთლის ქნევით,
უგერებენ ბუზებს აფსათს.
შვიდი კიდე მოშორებით
საუზმისთვის სწევდა მარავს,
შიშინებდა ცეცხლზე მწვადი,
ხორცის ხარშვაც უკვე კმარა.
ზე წმოდგა, ქვაზე დაჯდა.
– „ოხ! სადღაცა წვიმს და ელავს“ –
სთქვა და აფსათს ფარემებმა
გაუმართეს სუფრა ხელად.

როცა ხრავდა ირმის ბარკალს,
ამ დროს ვილაც ახმაურდა:
– „აბა, ერთი გადიხედეთ,
ვინ გვანუხებს და რა უნდა?“
ერთმა ვაჟმა, – ვისი თვალიც
არნივივით უმზერს შორეთს –
შუბლზე ხელი მიიდვა და
გადახედა ქვევით გორებს.
მოახსენა: „დავინახე
სასწაულის შესადარი:
გამხდარ ირემს თხოვენ აფსათს
ცხრა თავადი, ცხრა მხედარი.
თოფები აქვთ ყირიმული,
ყაბარდული რაში – ცხენი,
ალაღია მათზე ახლა
ირემი და მწვადი ცხელი“.
სთქვა აფსათმა: „შენ გიჟი ხარ,
მაგათ როგორ მივცემ ნადირს,
სწორეთ მთთვის ღარიბ გლეხებს
თუთირაი* სტაცებს ნახირს“.
მიასწავლე მისკენ გზები,
სტუმრით თუთირ გაახარე,
მათ მიართმევს მასპინძელი
ხორცს ნაქურდალს, არაყს ცხარეს.
როცა სხივი თითქმის ჩაქრა,
კვლავ სიმღერა გაჩნდა სადღაც,
შორს მხედველმა ვაჟმა კლდიდან
გადიხედა ქვევით ახლაც.
ხედავს: შვიდი მონადირე
წამომჯდარა ქვევით, სერზე,
გატაცებით მღერიან და
თან გრიალი ისმის ხევზე.
„უა რაი-და“ აფსათიო,
გადმოგვხედე ერთი,
დაგვლოცე და გვინყალობე,
შეგვანე ღმერთი.
ჩვენ ხომ შენი სტუმრები ვართ
და შენ – მასპინძელი, –
გადმოგვხედე და დაგვლოცე,
მადლიანი ხელით“.
თოფი თასმით უკიდიათ,
ფართე ქუდი ჰფარავს სახეს,
– აფსათ შენი მონყალება
ამ ტახტიდან გადასძახე.
და დევგმირმა გახსნა შუბლი,
გლეხის თხოვნა აასრულა;
„გადურეკეთ ირმის ჯოგი,
დახვდით სტუმრებს ვაჟკაცურად“.

* ოსურიდან თარგმნეს: **გ. ლეონიძემ**,
ვ. გორგაძემ და **ს. ფაშალიშვილმა**.

აკაკი წერეთელი

(1840-1915)

ბანთიალი

მთანმინდა ჩაფიქრებულა,
 შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
 მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
 თავდადებულის საფლავსა.
 დადუმებულა მთანმინდა,
 ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
 მდინარე ნანას უმღერის
 რაინდსა, ურჩსა მტრისასა...
 მთანმინდა გულში იხუტებს
 საშვილიშვილო სამარეს,
 მამადავითსა ავედრებს,
 აბარებს ქვეყნის მოყვარეს...
 მგოსანი გრძნობამორევით
 თვალს ავლებს არემარესა.
 და გულის-პასუხს ნარნარად
 უმღერის ტურფა მხარესა:
 „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო,
 სნეული დავბრუნებულვარ,
 მკურნალად შემეყარეო!...
 ვერ ავიტანე ობლობა,
 სისხლის ცრემლები ვღვარეო;
 წამძლია სულმა და გულმა,
 შენს ნახვას დავეჩქარეო.
 წინ მომეგებენ ღიმილით
 შენი მზე, შენი მთვარეო,
 გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
 მოკაშკაშ-მოელვარეო.
 გულში იფეთქა სიამემ,
 სევდები უკუეყარეო, –
 ია და ვარდი დამქნარი
 ხელახლად გამიხარეო!...
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 სულის ჩამდგმელო მხარეო,
 შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
 შენზედვე მგლოვიარეო!...
 ნურც მკვდარს გამწირავ,
 ნურც ცოცხალს,
 ზე კალთა დამაფარეო...
 და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
 ანდერძი დავიბარეო:
 დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
 შენს მიწას მიმაბარეო!...
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო!“

ვაჟა-ფშაველა

(1861-1915)

რამ შემქმნა ადამიანად

(სიმღერა)

რამ შემქმნა ადამიანად?
 რატომ არ მოვედ წვიმად,
 რომ ვყოფილიყავ მუდამა
 ღრუბელთ გულ-მკერდის მძივად,
 მინაზე გადმოსაგდებად
 ცვარად ან თოვლად ცივად?
 არ გამწირავდა პატრონი
 ასე ოხრად და ტივლად!
 ცაშივე ამიტაცებდა,
 თან მატარებდა შვილად.
 ასე არ დამჭირდებოდა
 სულ მუდამ ყოფნა ფრთხილად.
 მზის მოტრფიალე ვივლიდი
 სიკვდილის გამანზილად;
 მალლა ცა, დაბლა ხმელეთი
 მე მექნებოდა წილად.
 გავიხარებდი, მთა-ბარსა
 ოდეს ვნახავდი მწვანედ,
 მორწყულსა ჩემის ოფლითა,
 ყვავილებს შიგნით, გარეთა.
 გადავუშლიდი გულ-მკერდსა
 დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
 სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
 მომაკვდავ არე-მარესა.
 თოვლად ქცეულსა გულშია
 ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
 რომ ისევ ჩემი სიკვდილი
 სიცოცხლედ გადიქცეოდა
 და განახლებულ ბუნებას
 ყელ-ყურზე მოეხვეოდა.

უილიამ გატლერ იეიტსი

(1865-1939)

ქალღმერთის სიმღერა ირლანდიაზე

გორაკზე კუმენ სტრენდის, ყავისფერ, ბებერ ასკილს,
მარცხნიდან მქროლი, შავი, ქარი ხმელ ფოთლებს აცლის,
ჩვენც სიმამაცეს გვაცლის, როგორც ხმელ ფოთლებს ქარი,
თუმც შევინახეთ გულში მაგ თვალთა ნაპერწკალი,
ქეთლინ, ასულო პოლიჰენის.

ნოკნარეაზე ქარმა, შეჰყარა ღრუბლის მთები,
ისე იქუხა ზეცამ შესძრა საფლავის ქვებიცი,
ისე აღბორგდა გული, რომ გუგუნს ჰგავდა მეხის,
მაგრამ, მოვდრიკეთ ქედი, რომ დაგიკოცნოთ ფეხნი,
ქეთლინ, ასულო პოლიჰენის.

ყვითელ წყალს კლუთნაბეარის ნაპირი წაუღეკავს,
სველი ქარები ქრიან, ზეცა ზარივით რეკავს.
ჩვენი ტანი და სისხლი ნიაღვარსა ჰგავს მბორგავს,
ჯვარცმის სანთელზე წმინდა არის შენდამი გრძნობა,
ქეთლინ, ასულო პოლიჰენის.

ინგლისურიდან თარგმნა გია ჯოხაძემ.

პაოლო იაშვილი

(1892-1937)

პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დახრა, თუ მზეს ქებით ველარ დავხვდები,
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მინისძვრა, ქირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“,
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი, ტვინი ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად,
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

გალაკტიონ ტაბიძე

(1892-1959)

ეფემერა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.

ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.

ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.

რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,
გაიშლება გამრღვევი მღვრიე უდაბნოეთის,
წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები!

აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნნი,
ელვა ელვას გაეკრა, დაეღეკა ცას ღვარი,
გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,
უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.

კიდები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოეზას.
სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას

თქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან.

ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,
დაისერა მსოფლიო გამოუცნობ ნელულებით.
კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
და იქ მიექანება სული განწირულებით.

ნეტავ ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
სადაც ვარდებს ბალისას მაისობა უქრება.
მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.

როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით
ფანტასტიურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის.
წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
რომ ძეგლები აღვმართო მღვრიე მშვენიებათათვის.

თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი,
ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,
წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი,
შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.

დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული,
ლანდი – არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა. –

დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

ტირენტი ბრანელი

(1897-1934)

„MEMENTO MORI“

ახლა უფრო ხშირია, შეცდომების დაშვება,
ახლა მოდის იენისი, ირგვლივ მწვანე მოლია.
ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი ეს „Memento mori“-ა.

დღეს სამია იენისის, მინდა იყოს ცამეტი,
ჩემს გარშემო ციხეა, მწუხარების სავანე.
რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვინამებდი,
მინა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.

სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთაზე ბურია,
ამნაირი ღიმილი უნინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია
ვარსკვლავები – სიმბოლო თეთრი მარადისობის.

ეხლა რა ვქნა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ,
როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის.
მე ძლიერი ტალანტი, ზეციერი არსება,
ჩემი ნაზი სამშობლო – ლაყვარდები ცისფერი.

რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა უსახელო,
რომ დაღუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით.

ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე შორია.
ჩემი გვარი – გრანელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი ეს „Memento mori“-ა.

გიორგი ლეონიძე

(1897-1966)

ყივჩაღის პაემანი

*„...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუნვდინე მიწასა...“
მუხრანული*

ყორღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხბობას გნახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლენე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილენება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...

მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

დანელ ფიფია

(1899-1924)

ბორჯი *

დროვ, ყველა შენ გაბარია,
წარსული და მომავალი,
ყოველივე დაგივლია,
დაგიდია შენი კვალი.

წინ მიგორავ სულ ერთგვარად,
არცა ნელი, არცა ჩქარი,
იცი, ვინ სად გადამცდარა
და ვინ არის ამაგდარი.

შენოდენი ან ვინ იცის
ცესქვეშეთში სად რა არი,
შენ გიხილავს მზისგან მიწის
ჩამონყვეტა საოცარი.

რამდენი რამ გეხსომება,
მიწის პირველმობრუნება,
პირველ ღამის უკუნება
და პირველი გათენება.

მხოლოდ შენი სამართალი
არასოდეს არა ცდება
და ალალი ნაოფლარი
არავის არ ეკარგება.

ხშირად ხალხი მოამაგეს
მოუღერებს ჯოხებს და ქვებს,
ავს რომ შეგნებულად აქებს,
რჩეულს სდევნის და აძაგებს.

ბევრი ფიქრობს, რომ მაშვრალობს
სხვა კაცებზე უკეთესად,
დრო კი არვის არა სწყალობს,
ყველას უზღავს საკადრისად.

* დრო. მეგრულიდან თარგმნა კობა ჭუმბურიძემ.

მისა ხელაუპილი

(1900-1925)

ლექსო ამოგთქომ...

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე,
და შენ კი ჩემად სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე,
გიმლერდენ ჩემებრ სწორები
ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს,
და მე საფლავში ვლპებოდე.
ნეტავი, ჩემო სახელო,
დიდხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქვამო სიტყვაო,
შენამც კი გაჰქვეყნდებოდე.
შენ, ჩემო საფლავის კარო,
შენამც კი აჰყვავდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე,
ცოლო, არ გათხოვდებოდე...
ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,
ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირებსა?
ამასა ვფიქრობ და გულიც
ამასვე ანამდვილებსა,
დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა.
თუმც ნათესავნი, და-ძმანი
ალარ აისხმენ ღილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს,
ქვეყანას გააკვირვებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა
სხვისა ჭირს გაალხინებსა.
სულ ყველას დავავინყდები,
ყველას სხვა დაათირებსა,
მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც ვერ დაიძინებსა,
ვენაცვლე ძუძუს გამზრდელსა,
გულით ეგ დამიტირებსა,
დედას უყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

ნიკო სამადაუპილი

(1905-1963)

ნიკო სამადაუპილს

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგად მახსოვს, შენ რომ გამოჩნდი,
გარეთ ძალღვივით ყმუოდა ქარი.

ვერ გიპატრონე მე ლაზლანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა,
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი.

ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი,
ტანის მერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინო მორეულს, ომხივარასხმულს,
ბინაში ბევრჯერ დამიკოცნიხარ.

იქამდე, სანამ დათეთქვილ ტურებს
არ გალხობიან ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გამლილ ალურებს
და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა,

ლექსების ჯღაბნა წამებათ გექცა,
სჯობდა ვენახის კვალი გებარა,
ვის რად უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.

ქარები უფრო ნაიკითხავდნენ,
ჩაბჭირდებოდნენ სადმე სიცილით;
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.

ვერ გაოკებდი, დაგდევი კეტით,
ხან მემეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით,
ზედ რომ მამხია ეს თავის ქალა.

ვერ მოგიარე, რა გიყო ძმაო,
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდიოთ;
შენ კიდევ მაინც ფიქრში მძუნაობ,
მე კი ბუნუნიც გამცვივდა დარდით.

ირაკლი აბაშიძე

(1909-1992)

სამ კატამონთან

„– ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი.

მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ – ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვადა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენას დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოველის მთქმელო,
ყოველის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან – ფუნჯო ჩემო,
ხან – საჭრეთელო,

შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან“.

მურმან ლეხანიძე

(1922-2002)

ვოი!

– ვოი! რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში!..

ვოი, კალა-უშგული შეკრებილა –
ყანას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
ვოი, შხარა სისხლით შეღებილა –
კობტა თიკანაძე მომკვდარა...

ბექნუ ხეგიანს და
ბექნუს ლომებს
გურამის ნემტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხეგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში.

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მიმხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია –
თოკი ერთადერთი ჩაუბია –
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხეგიანს
და ბექნუს ლომებს
გურამის ნემტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხეგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში...

„ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავანყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე, მითხარით ზარი!..“

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკანრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:

„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა –
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი უკვე დახარჯე...

შენ გაიელვე ღრუბლებზე მალლა,
შენ საქართველოს ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და მიტივტივებს შენი საკაცე...

ჰასან ჰელიმიზი

(1907-1976)

ჭუტა ქარმატი*

წყაროებს ქარგავს შენი ხმატკბილი,
ძველო ნაცადო, პანა ნისქვილო,
თხმელის ხვიმრა გაქვს და სარეკელა,
უნყვეტად ბრუნავ, პანა ნისქვილო.

არც დღე ჩერდები და აღარც – ღამე,
რაოდენ სოფელს უფქვავ ხორბლეულს,
ვერავინ გნახავს დალილ-დაქანცულს,
ჩვენს ნაკადულთან, პანა ნისქვილო.

შენს ხმიანებას შეჰხარის წყარო,
ძველო ნაცადო, პანა ნისქვილო,
სხვა აგივსია, სხვისთვის დამშვრალხარ,
შენ არრა გრჩება, პანა ნისქვილო.

* ჭიტა ქარმატი – ლაზ. პატარა ნისქვილი. ლაზურ-
იდან თარგმნა გური ოტობაიამ)

მიხეილ ქვლივიძე

(1925-2005)

იუდას მონოლოგი

მთები ვარსკვლავებს ბარში მწყემსავდნენ,
ბნელში გართხმული სდუმდა ზეგანი.
და თქვა იესომ: „მამლის მესამე
დაყვივლებამდე, ერთი თქვენგანი

მილალატებსო...“ „მილალატებსო?“
და შეკრთა მაშინ ჩვენი სერობა,
თითქოს სუფრაზე უცებ დაგვესწრო
თვით ანგარება და პირფერობა...

ქრისტე კი ჩხირით ქექავდა ნაცარს,
დასთამაშებდა პირზე ღიმილი
და მნიფდებოდა, ლალატის მსგავსად,
ფანჯრის გადაღმა მამლის ყივილი.

ვდუმდით. დუმდით სული დაღალა.
ინურებოდა დათქმული ვადა.
და დაიყვილა ერთხელ მამალმა
და ეს ყივილი გასროლას ჰგავდა.

მერე მოვარდა სიო ფრთამალი,
დაფლითა შავი ღრუბლების ფარჩა.
უკვე მეორედ ყივის მამალი,
მოლალატე კი არ ჩანს და არ ჩანს!

ნუთუ, მოტყუვდა, შეცდა მოძღვარი,
ბრძენი, მისანი, სულის თამადა?
გაცამტვერდება მყის სალოცავი,
მისი ნათქვამი თუ არ გამართლდა:

ველარ უშველის დაღუპულ იმედს
ვერავითარი ლოცვა-ღალადი,
მოკვდება ღმერთი, თუ ეხლა ვინმემ
არ ჩაიდინა ჩვენში ლალატი!

უნდა ვითავო ეს უმძიმესი
საქმე – გავილო მსხვერპლი საჩინო:
უნდა გავწირო კაცი – იესო,
ქრისტე – ღმერთი რომ გადავარჩინო!

ჩქარა!.. ცის კიდეც ვარსკვლავი მოსწყდა
ზეცა განილთდა, როგორც მოცხარი...
და მე ავდექი, ვემთხვიე მოძღვარს
და ჯალათებმა იცნეს მოძღვარი!

მუხრან მაჭავარიანი

(1929-2010)

საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.
ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, –
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.
ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
–ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! – თქვა და თითქოს კიდეც ინანა.
მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.
– წვიმა არ არი! –
საბას კაბა დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი! –
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი! –
სულხან-საბას აკანკალებს რა?
– რამ დაასველა?!
– რამ დაათეთრა?!
– რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის: წვიმაც, თოვლიც და ყინვაც!...
...მზე ეთხოვება ალბათ ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა სულხან-საბავ თუ ფანტაზია?!
დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, –
აღვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, –
სტამბოლში შვილი დედას სტირის, – ჰყიდიან ყმანვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, – მუხლზე დაცემულს).
– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –
წარმოსთქვა ბაღმა, – ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.
– არა პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...
საბას ცრემლები მოეძალა, – ატირდა კაცი, –
თავის ბაღლობა გაახსენდა, თავის ტანძია.
ვით ეს ყმანვილი, – საქართველოც, – ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმანვილს, ასე ჰყიდიან...
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა! –
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.
ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯობიანი.
მხარდამხარ საბას ის პანია ბიჭი მოსდევდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო ყიალი?! –
გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!

პანტანო ხარჩილაძე

(1948-2022)

მონოლოგი ნარსულიდან

უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც,
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით,
შუბზე ამაგეს და დროშასავით,
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.

ვის ნაჰყვა ჩემი ცოლი და ძალი,
ნეტავ ვინ ალებს ბჭის კარს ჭრიალით,
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს?!

ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია,
მტრის გუთნისდედა, ალბათ, მარაბდას
ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.

სამარადისო სხვამ დაიტოვა,
მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო,
ცა – ნათხოვარი ლურჯი მინდორი
უფლისგან ღამე სახეტილოდ.

ჩემი ფიალა ან ვინ დასცალოს,
ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს,
ანდა უმზეომ და ურსკვლავომ
რით გავითენო, რით დავიღამო.

ვის ერდოზე ჰყევს ერთგული ძალი,
ანდა ვინ ალებს ბჭის კარს ჭრიალით?!
ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს?!

ზაზა თვარაძე

(1957-2007)

DIN RINGILL*

დეპრესიას ვიყავ, ვიჯექი,
შიშს ვჭამდი, ქალი რომ მესტუმრა –
ზედ კარზე მომადგა დედალი ავაზა.*
ეს იყო ღამით, ენოტის თვეში,
როცა ნევროზიის მწვანე შხამით
გადალიპული შიშის ყლორტები
ყელამდე მომწვდა, ღამის დამახრჩო,
როცა თებერვლის კატა ღნაოდა
თითქოს ავანსად, მარტის მოსვლისას –
გავიგონე უცებ კაკუნი.*
შუქი არ იყო. არ იყო გაზი. ნყალი არ იყო
უბრუნდებოდა ყოველივე პირველსაწყისებს
იმ სიბნელეში, ყიამეთში, როცა ჰორიზონტს
ანათებდა აღდებარანის მძიმე ვარსკვლავი
და ბერენიკეს თმის ნისლეული მაგრძნობინებდა
რომ დედამინა მხოლოდ ქრთილია ცის კამარაზე
და ცის კამარაც ქრთილია მხოლოდ
აქ ჩემს ნევროტულ, უშველებელ ტვინის კოლოფში,
მე გავიგონე უცებ კაკუნი.*

- ვინ არის?
- მე ვარ.
- შენ აქ რა გინდა? ნადი, ნადი!
- არ ნავალ.
- ნადი.
- ნადი,
- არ ნავალ.

რა ხანს გაგრძელდა ეს დიალოგი? ეს მე არ ვიცი,
რადგან მას მხოლოდ ჩემს ნევროტულ
ტვინის კოლოფში ჰქონდა ადგილი,

- რასა იქმ, კუკლა?
- მე კუკლა არ ვარ!

მან წიგნიერად გამობუსხა საყვარელი დიდი ტუჩები.
ასე გავიდა ერთი საათი.

მერე კი მითხრა:

- შენ მშიშარა ხარ!
- მშიშარა შენ ხარ!

კოსმიურ შიშზე ვლაპარაკობდით (ეს უშუქობა ვის არ შეარყევს)

* დან რინგილი – მითოლოგიური ნამოსახლარი შოტლანდიაში; ალუზია ედგარ პოს „ყორანისა“; ალუზიები გრიგოლ რობაქიძის ლექსიდან „ვეფხვობის თვე“ (რედ.)

მერე კი ქალი გადაფატრული
 მარჯვე ნაპრალიდან ვესროლე ფილაქანს*
 მე კი დავეცი ჩემს დაბალ ლოგინს, თვალი დავხუჭე –
 დიდხანს მესმოდა მისი მანქანის ალიაქოთი:
 იგი ადრეც საკმაოდ ხშირად მოდიოდა ჩემთან ოჯახში,
 შარშან ზამთარში, თუ შარშანნინ –
 კარგად არ მახსოვს, მთავარია, რომ მოდიოდა,
 თავს გადადებდა სავარძლის კეხზე და ტვინს მიხსნიდა,
 მეც ქირურგივით გადავწვედი
 მის თავის ქალას მარჯვნივ და მარცხნივ,
 ბეცი თვალეებით ჩავყურებდი ჰიპოთალამუსს,
 ვაროლის ხიგს, ბროკასა და ვერნიკეს ცენტრებს,
 ზღვის ცხენის ფეხის ვერაგ ხვეულს, შარკოს ნისლეულს,
 ცეფევსის ბეტას,
 წყვდიადებს, სადაც ცხრა მილიარდი გალაქტიკაა
 და იმათგან ერთიც არ არის ცოცხალი...
 ასე ვიყავით: ის იხსებდა,
 მე ჩავყურებდი მთვლემარე კოსმოსს,
 როგორც ყმანვილი კონსტრუქტორი, ვჩხირკედელობდი,
 ო, როგორ მსურდა ძვლებამდე დასვლა, შიშველ ძვლებამდე,
 რადგან მთელი ეს ყველაფერი ხომ ჩვენს ძვლებზეა ასხმული,
 როგორც – მომწყდი თვიდან!
 და აი, იგი საბოლოოდ მომწყდა თავიდან,
 გააქანა თავის მანქანა გამტერებული ვარსკვლავების ქვეშ,
 შორს, საბურთალოს ტაფობისკენ და კიდევ იქით –
 იქ, პირდაპირ ასათიანზე, ღმერთმანი, განცდა დამრჩა ისეთი,
 თითქოს ნეტარი ედემბალიდან
 ეს-ესაა თვალს მიეფარა ბედკრული ევა.
 სწრაფად გავედი აივანზე. არავინ იყო,
 მხოლოდ წყვდიადში
 ვარსკვლავები ლიცლიცებდნენ წყალჩიტებივით,
 „ნუთუ მთელი ეს დიალოგი ჩემს ტვინში შედგა?! –
 გავიფიქრე შიშმორეულმა – ნუთუ თავისი თავის გარეშე
 ვერსად ვერაფერს ვერასოდეს ნახავს ვერავინ,
 რადგან სამყარო მხოლოდ ერთეულ
 ინდივიდის შეგრძნებაშია ამოხლართული,
 რაც, თავისთავად უდიდესი აბდაუბდაა?!“
 ამ მარჯვე ფიქრით მოვავლე თვალი ჩემს ტვინსანიერს –
 იქ ეყარა კოლოფები, ტრანსპარანტები,
 გაცვეთილი რაღაც ნივთები: ბურთი, მანქანა, უკუდო ცხენი,
 იქ, სადაც ძალის მომლოდინე შავი მონსტრების
 სილუეტები იშმუშნებიან,
 სადაც ბნელეთში ცოცხლდებიან თიხის მასები,
 იღვიძნებ, იღებენ ფორმებს
 (იქ ვნახე ერთხელ ჟანგმინისგან ნატყლეზი ძაღლი),
 სადაც ჰაერი არ არსებობს, ჩიტი კი ფრინავს –

თეთრი წყალჩიტა შავ არაფერში –
 სადაც ისმის ტალღების ხმა
 და სიცხადე დასულია თითქმის ძვლებამდე,
 იქ, შავი ცის ქვეშ, ქარის ლიცლიცში
 დავინახე დამტვრეული რაღაც თოჯინა –
 ასფალტზე ეგდო ჩემი სახლის წინ,
 გახელილი პლასტმასის თვალით ამომყურებდა
 და მიძახოდა: და ტიტინებდა: „სადისტო მკვდარო!“
 „უეჭველია – გავიფიქრე მე ძილბურანში –
 რომ ეს ბედკრული სათამაშო წელანდელი ევას სახეა,
 მე რომ ვისროლე, აი, გდია ასფალტზე მკვდარი
 და ამომძახის: „სადისტო მკვდარო!“
 მე კი ვწევარ და ვეღარ ვარჩევ, ეს ხმა ვისია,
 რადგან გონება ჩაძინებისას ეხეთქება წყალქვეშა კლდეებს,
 რომლის ტინებსაც არ აწერია არც სახელი, არც მისამართი,
 მათი ფესვები სიღრმის წყლებში იკარგებიან
 და დაჩრდილული ფსკერიდან მოდის
 მკვდრების ზანტი ალიაქოთი,
 აქ კი ასფალტზე მოჩანს მხოლოდ პლასტმასის თოჯა,
 მისი ცისფერი თვალი, წითელი ტუჩი,
 მოშლილი სამეტყველო აპარატი,
 ის პლასტიკატის თითს იშვერს ჩემკენ და ტიტინებს:
 „სადისტო მკვდარო!“
 მე კი ვფიქრობ ვიღაც სულ სხვაზე:
 „თმა ნახე, რა კაი გოგოა, თმა ნახე, რა კაი გოგოა!“
 და ჩემი გული დაქანებული,
 წყალქვეშა კლდეებს ეჯახება, ლენორა,* ბორძიკობს,
 და მტანჯავს ავი მოლანდება –
 თითქოს უხსოვარ ბავშვობაში რაღაც მივექარე
 და იმ რაღაცას მიმაღავენ შინაურები.
 „სადისტო მკვდარო!“ უცნაურია.
 მე არც მკვდარი ვარ და არც სადისტო,
 მაგრამ წყეული სათამაშო ამას ჭიჭყინებს
 და მის ჭიჭყინში იკარგებიან
 ზამთრის ქუჩიდან მოღწეული ხმა მანქანების,
 ფრინველების ხმა, მოკლული ქალი
 და დან რინგილის შტორმიან წყლებში
 ცხვირამონვდილი კლდეები სალი, სადაც ნისლებში
 პრაგმატული ნათესავების აჩრდილებივით
 ფარფატებენ შორსმჭვრეტელი ალბატროსები
 და გაჰკვივიან ჩემთვის უცხო რაღაც საგანზე:
 შენ ცურავ მდინარე ტირიფის წნელში
 და წყალი გიამბობს, დაღლილი როლით
 რომ გაბედულება ვერაფერს შეცვლის,
 რომ დამარცხებაა ფინალი ბრძოლის...

* ედგერ ალან პოს პოეზიის მუზა (რედ.).

მე ცხედავ თავთხელ წყალში აგდია
გემბამზე მოკლული მატროსის ძვლები –
ჩემი ჩონჩხია...
ის ქათქათებს ღრუბლის ქრილიდან
მონითალო მზის ცივ და ალმაცერ გამონასხივში,
მორკალულ ნეკნებს პოლიპები ენებებიან
და ხერხემალზე დაბობლავენ თავფეხიანნი,
და ისმის ციდან:
დილიდან წვიმდა, მე შენთან დავრჩი,
ანთებდი სანთელს, მოგქონდა ყავა,
ყავაში ყრიდი დაორთქლილ შაქარს,
და მიყურებდი, – რა მინდა, რა ვარ,
შენ ცურავ მდინარე ტირიფის წნელში
ღია თვალებით, მწუხარე როგორც
წყალზე გაშლილი ფოთლების ლეშხი
როგორც სინათლის პატარა ლაქა,
მერე უეცრად
ჩონჩხის ღრანჭი კლიტესავით გაიჩხაკუნებს
თითქოს სადღაც ხაფანგი მოსხლტა.
გეკაშ... აუერჟაშ... თითქოს სადღაც კარი ჩარაზეს.
ერთფეროვნად ბუტბუტებენ მხოლოდ ტალღები,
მხოლოდ ზარები: პრინგ... რინგ... რინგ... რინგ...
თითქოს ყმანვილი დათოვლილ ველზე
წერტილივით მიდის სკოლისკენ
დ მე ვიძინებ ღრმა ქვეშაგებში
როგორც ვექილი ზნედაცემულთა
რომელსაც არსად არაფერი დანანებია.

დათა გულუა

(1984-2003)

გზა ტაჯ-მაჰალის

წარსულმა სიკვდილს მოსტეხა წვივი,
მთვარემ გათხარა ღრუბლებზე ღარი,
ველარ მოვუსწრებ მე მამლის ყივილს,
კაკუნი კარზე – არავინ არი!*

მე განვიბანე სხეული განგში
და მოვიპარე ფრთები მაღალი,
რომ სიყვარულის დამეწვა ალში
გზა ტაჯ-მაჰალის.

ნისლი მოვხადე ევფრატს და ტიგროსს,
შუმერთა ძვლები ავალრიალე,
შენი ტანივით გადამწვარ ნილოსს
უდაბნოს კალთა ავუფრიალე.

ალექსანდრიის შუქურა ვპოვე
და ყრუ წყვილი გამომეცა მონად.
ზღვა მგლის ტალღებად მირტყამდა ტორებს
და ისპაჰანში მოთქვამდა მოლა.

მე კართაგენის ავშალე მტვერი
და შეუბლალავ ქარზე ავცოცდი.
წვიმა მოვიდა სამოსით ბერის
და მისტიროდა წვეთებს დახოცილს.

მე შემოდგომის კოლიზიუმში
მეძინა ჟამთა ცვეთილ ქარბუქზე,
ტიბრზე ჩავედი ტანანგრეული,
მიცვლებულთა მოვხვდი ალღუმზე.

გამთენიისას დავტოვე რომი,
თვრამეტი ბორცვი, ტახტი დემონთა
და გადმოვცურე მზე ეგეოსის,
ზღვას უკვე ლურჯი მთვარე ემოსა.

მოვედი შენთან სიკვდილნავალი
და დედამინის ფარგალი ვზიდე.
და სენტან დამხვდა სხვა კარნავალი
და სხვა ნაკვალევს ითვლიდა კიბე.

და შენ თქვი შორით: აჰა, შემოდი
და სასაფლაოს გახსენი შარა,
შავი ქორივით ფრინავდა ქორი,
ეხეთქებოდა ოცნების დარაბს.

ო, დედოფალო, სად არის რიდე?
მაგ ბროლის ყელის ნაზი კლარნეტი
და მეტერლინკის მოლურჯო ჩიტებს
დღეს ვუვლი, როგორც ნაზი მაკბეტი.

არ მჯერა, არა, არ მნამს ცხოვრების,
რომ შენი თვალნი ქრილებს აეხსნა,
შენს კართან იდგნენ ღამის მოგვები
და წარმართები ჰყეფდნენ ბანებად.

ჩემი ხელები გადაჭრილ მაჯებს,
დანყვეტილ მტევნებს სისხლად გაურბის,
გათოშილ ბაგით მე შუბლზე მაჭერს
სიკვდილი ვერცხლის დაჭმულ „ბრაუნინგს“.

წვიმა კი ფლოქვებს აყრიდა სხეულს –
განგში განბანილს, დაცვნილ ჭადარს.
ავყვები ასე აღმართს დამტვერილს,
სანამ ბადალი არ ჰპოვებს ბადალს.

და შინ დავბრუნდი, შემოდგომაა,
სარკმელზე წვიმამ გათხარა ღარი.
თვეა ფოთოლთა, გიორგობაა,
კაკუნი კარზე – არავინ არი!

სარეცელიდან მოსჩანს ედემი,
ჩემს გვერდზე ოქროს წევს ღრიანკალი.
მახსოვს, ცხოვრობდა ჩემში შედევერი,
ვით ცას ათლილი გზა ტაჯ-მაჰალის!

* ედგარ ალან პოს „ყორნის“ ალუზია (რედ.)


ოტია იოსელიანი

(1930-2011)

ჩვენი უფროსი თაობის უნიჭიერესი მწერლის, ან ნეტარხსენებული **ოტია იოსელიანის** საოცრება მოთხრობა უნდა შემოგთავაზო, ჩემო მკითხველო, – მართალი სიტყვისა და ყადრის შემოქმედის საარაკო სულიერი გამონათება. „მენინავე“ დაურქმევია მისთვის, ბატონ ოტიას, იგივე მესვეური, წინამძღოლი, და თანადროული შინაარსით გასაოცრად დაურახტავს ჩვენი სინამდვილე. ამაზე შთამბეჭდავად ვერავინ დააგუმბათებდა კაცობრიული სულის წიოკობას ბიბლიური მოსეს მეტი. ჯიხვების მენინავე რეხოს და სემიტების მესვეური ქურუმის ბედ-ილბალი იდენტურია, იგივეობრივი, ორივე გადაარჩენს თავის ჯიშ-ჯილაგს, გაიყვანს გაღმანაპირეთს, უსიკვდილობისკენ, თავად კი დარჩებიან გამოღმა უმაგალითო გმირობის ლეგენდად გამოძერწილები.

ბერმუხა გენია, თვითონაა გმირიც და გუთნისდედაც. სვანურ ქუდს ჩამოიფხატავს პიტალო სახეზე, აპლაკუნებს ყალიონს და შუაგული იმერეთიდან მოუძღვის ქემმარიტი აზრის რემას საშვილიშვილთაშვილო მუხტ-ენერგის მსწრაფველობით. „მენინავე“ მხარდამხარ მიჰყვება, შეიძლება ლოცმანობდეს კიდეც მსოფლიო რანგის მოთხრობებს: „მოხუცი და ზღვა“, „დათვი“, „მარგალიტი“ და კიდეც ათეულობით კონგენიალურობას მსოფლიო აზროვნების ისტორიაში.

გური ოტობაია.



მენინავე

„ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მალალსა,
რომელსა ზედა ვერარაი ცხოველი შემძლებელ არს განსვლად“.

ვახუშტი

თავი პირველი

1

უბედურება!..

დღესაც ჩაუცდა ფეხი მენინავეს იქ, სადაც არ უნდა ჩაცდენოდა.

ეს, ამ ბოლო დროს, არაერთხელ მოხდა...

რეხოს ჯოგი ისეთ გაუვალშიც გაუყვანია, ფეხის დასადგმელი რომ არსად იყო, ჩლიქის წაკარებაც ჭირდა და კლდეს რქისკიდებით გამოჰყოლიან. თავზე ისეთ პირმორღვეულ ნაპრალეებს გადავლებია, რომელსაც გადახტომა კი არა, გადაფრენა თუ დაერქმევა.

ყველას შეიძლება გაუჭირდეს, ნაიბორძიკოს... ჯიხვი რა ჯიხვია თუ არ უჭირს, ფეხი ჩაუცდეს კი არა, ჩლიქიც წაიტეხოს, რქაც და ნაპრალშიც ჩავარდეს, მაგრამ მენინავეს ეს გაულწეველშიც – სადაც იქნებ არც იყოს დასაძრახი – არ უნდა დაემართოს, თუმცა, გაულწეველსა და გადაულახავს წინამძღოლმა ჯოგი არ უნდა მიაყენოს...

სადაც არასოდეს გაუვლია, ისეთ ადგილებშიც გუმანით უნდა მიხვდეს, ტანმა უგრძნოს, კლდის იქით რა ციცაბოა, რა ხიფათია ჩასაფრებული; მთის იქით რა ხევია, მთამ უნდა უთხრას, უნდა დაინახოს, ამ მთის გადაღმა რა უფსკრულია და სამწყსო ისეთ ბილიკზე არ დააყენოს, უკან მოსაბრუნებელი გაუხდეს. ჯოგი უკეთეს საძოვარს ეძებს, გავლილ, გადაძოვილ კლდე-ლრეში დაგემშევა და მშიერი – ერთგულიც გაგიორგულდება...

რეხო დამეხილივით დგას, უნაცოხრო, თვალგამტერებული!

დღეს მომხდარი უკვე მეტისმეტი იყო. ადრე, ასეთ გადასახტომზე, გამოსაქანებლად უკანაც არ დაინევდა, ისე გადაეღებოდა და გადაღმა ფეხს რომ დაასობდა, არ მოინაცვლებდა, არ შეტოკდებოდა...

ახლა იგი კლდის ძირას გამორღვეულ ქვაბულში უნდა იწვეს მოფარებულში, ჯოგთან ერთად. აქ კი, ამ კუნაპეტში უძრავად დგომა ზეზეურად გაჰყინავს, დააზრობს...

... დღეს ერთხელ კიდევ ჩაუცდა ფეხი იქ, სადაც არ უნდა ჩაცდენოდა.

ჯოგი ქვევით ჰყავს, სრულ და ღრმა მღვიმეში დაბინავებული. შესასვლელთან, ქვა-ყრილზე ასხლეტილი ბორიო შიგ ვერ აღწევს.

ჯოგი წევს, იცოხნის, სძინავს და მშვიდად ივანებს, თუ იცის, მენინავე არ ისვენებს, მენინავე ფხიზლობს, ფეხზე დგას.

მენინავე...

რაც ჯოგია, წინამლოლიც იმ ჯიშისა და ჯილაგისაა, იგივე ხორცის, ძვლისა და სისხლისა, ისევე უჭირს და უღბნის, სწუხს და უხარია, ისევე ითოშება და უხმება კუჭი, მაგრამ მენინავეს ჭირთათმენა უნდა შეეძლოს, თავი უნდა დაივინყოს. დაივინყოს ბოლმა, ვარამი, სიცივე, შიმშილი, ნყურვილი... – სიხარულიც... რაკი, ამოდენა სამწყსოში, თუ რომელიმე ბედნიერია, ეს ბედნიერება მასვე ეკუთვნის, მაგრამ თუ სტკივა, მისი სატკივარი მენინავეს უფრო უნდა სტკიოდეს.

მენინავე ყველას მსგავსი უნდა იყოს, მაგრამ თუ ყველასნაირი ხარ, მენინავე ვერ იქნები. რეხოს ამიტომ არ უნდა ჩაცდენოდა ფეხი იქ, სადაც ყველას შეიძლებოდა ეს დამართოდა. მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, სავაგლახო კი არა, იქნებ, არც საჩოთირო.

მენინავის სისუსტე – ჯოგის სიძაბუნეა, ერთხელ წაფორხილებაც – ჯოგის მარცხია, მენინავის ფეხის ჩაცდენა – ჯოგის გადაჩეხვაა.

ჯიხვის საბედისწერო შეცდომა და უფსკრულში გადავარდნა ერთი ჯიხვის სიკვდილია, მენინავის დაღუპვა – სამწყსოს განადგურება. უმენინავო ჯოგი ზამთარს ძნელად გააღწევს. როცა მყვირალობა ჩავლილია, როცა მწვერვალებს რქების ჯახანი აღარ ესმით, დაცხრება დაუნდობელი ბრძოლა პირველობისათვის და შუნები მუცლად იღებენ მოდგმის გასაგრძელებლად, მეორე მყვირალობამდე უბრძოლველად ჯოგის მენინავეობას მრავალი მოინდომებს, მაგრამ ბევრი მენინავის ყოლას უყოლობა სჯობს, ზოგ პატრონს – უპატრონობა.

მენინავე მყვირალობის ვნებამ და ჟინმა უნდა შვას. ჯიშის ერთგულებისათვის ძმათა შეუპოვარმა, დაუნდობელმა ჭიდილმა და პირველობისათვის თავგანწირვამ!

მდედრის საალერსოდ მომხმობი კიკინი და დასანერბად აწრიალებული საშო ყველა ხარჯიხვს ერთნაირად უჩქროლებს სისხლს, მაგრამ ერთნაირად არც მუხლი ერჩით, არც რქის მოქნევა და უფსკრულზე ფრენა ძალუძთ. მდედრის ნერბვის წადილი ყველას ექნება, მაგრამ სამემკვდრეო, გამძლე, ამტანი ჯიშის ჩასახვის უფლება უკეთესის უკეთესმა ბრძოლით უნდა მოიპოვოს.

მენინავეობა არც იმის ხვედრია, ვისაც ღონე მოსდევს და რქასაც მარჯვედ იყენებს ან ვისაც შუნების ლოკვა და ალერსი ეხერხება. მენინავედ დაბადებული ჯიხვი სხვა ფერისაა, თუმცა, ერთი შეხედვით, იქნებ არც ამით გამოირჩეოდეს: სხვა ზნისაა, სხვა თვალი და ყური აქვს. იმასაც ხედავს, რასაც ყველა და იმასაც, რისი დანახვაც სხვებს არ შეუძლიათ და მათი ყური ვერ ისმენს.

მუხლმაგარმა და რქალესილმა სამენინავე ჯიხვმა ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს, რა უფსკრულზე გადახტეს და იქითა სალ კლდეს როგორ შერჩეს; მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, თუ ისიც არ იცის, რომ იმავე უფსკრულს მისი ჯოგის ყველა წევრი გადაეველება და იქითა პიტალოზე ყველა ფეხს მოიკიდებს!

მენინავე ვერც დიდი ღონით გახდები, ვერც რკინის მუხლით და ვერც რვალის რქით. საამისოდ ხარს არც ერთი ან ორი ბრძოლა უშველის, ყველა მისი მეტოქე და მოქიშპეა. ბევრ ჯიხვს მასთან წაგებულნი ჭიდილი ურჩევნია მუხლსუსტ და რქაგაბზარულთან მოგებულ შეტაკებას. სამენინავე ხარი ერთია – მოცილე, შუნების ნდომის ჟინით სულანრიალებული მამრი – მრავალი. მოუღლეელი არც მუხლია, არც რქაგაუბზარავი და ღონედაუღვეელი. ამიტომ არ ვარგა წარამარა კინკლავი და ყველას გამონვევაც არაა მისაღები, მაგრამ როცა ბრძოლა გარდაუვალია, მებრძოლმა მოცილეს მძიმე რქები ისე უნდა დაჰკრას, მარტო ჯახანის ხმა კი არ გამოსცეს, მონინაალმდევე ჩააჩოქოს, დაარეტიანოს, დააფრთხოს, რომ ეს დარტყმა ხელახლა შერკინებისას კარგად ახსოვდეს. ჭიდილის დროს თავის დაზოგვა – მტრის დაზოგვაა.

ერთი და ორი დარტყმით ბრძოლას ვერ მოიგებ, ამიტომ ზედმინევნით უნდა იცოდე, მტერი რამდენი გყავს, რა ღონის, ჭკუის, ნებისყოფის პატრონი და არც ის უნდა დაგავინყდეს, რომ შენს ძალისხმევასაც საზღვარი აქვს. იოლად მოსაგებ შეტაკებას უნდა ერიდო.

ყველა ჯიხვი, თავის გუნებაში, მენინავეა და არ კითხულობს მართლა წინამძღოლად დაიბადა თუ არა. რომ იკითხოს და უთხრან: ეგ შენი მოწოდება არაა, ამისთვის არ გაჩენილხარ, ჯოგს კოჭლივით კუდში სდიე, გადაძოვილი მდელო კორტნე, მჟავე ნყლით რომ ყველა დარწყულდება, წყაროს აალიანცებენ და აამღვრევენ მერე სვი; ან მენინავე შუნებს რომ ახტება და ნერბავს, შენ ვნება ამის შორიდან ცქერით დაიცხრეო... რომ გაგიგონოს და დაგიჯეროს, რა სარგებელი ექნება?... იმის უნარსაც წაართმევს, რისი ნიჭიც გააჩნია და იმისთვისაც უნიათოს გახდის, რისი მაქნისიცაა.

2

რეხომ გათოშილი მუხლები ძლივს ჩახარა. თავი ფერდზე დაიდო და მძიმე, მსხვილნაკადიანი შადრევანივით გაშლილი რქები ზურგზე დაიწყო.

ახლა ღამეა და ბნელა, თორემ სხვების დასანახად ამის ნება ქანცგანყვეტილსაც არა აქვს. ასე შუნივით წოლა, ყელის მოდრეკა და ზურგზე რქების დავანება, მენინავე ხარჯიხვის ღირსებას ვერაფერს შემატებს.

მენინავე ქარ-შიშხათს შუბლმიშვერილი, რქებშემართული და მუხლჩაუხრელი უნდა იდგეს, რომ დაუღლელობისა და ამტანობის ნიჭი ზარდოს – ის, რაც ბუნებით თითო-ოროლას სხვასაც გააჩნია, მაგრამ ვერ შეძლო ხორცსა და სისხლში ჩაბუდებული ძალოვნება გამოეხმო: დალილმა დაისვენა, მშიერმა საძოვარს მიაშურა, თავშესაფარი ეძია როცა შესცივდა და მწყურვალმა – წყარო.

ჯოგის წინამძღოლობის მოწადინემ უნდა შეძლოს ის, რაც ყველას არ ხელენიფება – უნდა ყოველდღე გამოძალოს საკუთარ თავს ძალა და უნარი ბრძოლისთვის, რაც გაამარჯვებინებს, რომ მენინავედ იქცეს. სხვებს დალილობა, თვლემა და ძილი ართმევს ამ ძალასა და უნარს, მუხლს უძაბუნებს და რქაში ბზარს უჩენს.

სხეული ხრწნადი ხორცია, ლპობადი. მცონარობას, სითბოსა და ფუფუნებას ესწრაფვის – ამდენად, ვერაგი მაცდუნებელი. სულის გამოა იგი სიცოცხლისუნარიანი, აიძულებს ლემად არ იქცეს და მენინავესაც სული სამენინავე უნდა ედგას.

3

რეხომ ზურგიდან თავი აიღო და ქარბუქიან ღამეს მიაყურადა. იქნებ ზურგზე თავდადებულსაც ის ესმოდა, რაც ახლა ესმის, მაგრამ თავაუღებელს – ცალი ყურით. თითქოს რა სხვაობაა, ავდრის ვაებასა და გაბოროტებულ შიშინს ცალი ყურით მოისმენ თუ ორივეთი, მაგრამ რაკი ძვალ-რბილში გამჭოლი ქარის სისინი და წივილ-ხუილი ერთიორად გამცივნებს და გადაგდაგებს, მაინც ორივე ყურით უნდა მოისმინო და სხეულს გამოძალო ის ჯანი და სითბო, რაც აუტანელის ატანას შეგაძლებინებს.

4

რაც რეხომ ამ მიუვალში ჯოგი გადმოიყვანა, არც მგლის შიში აქვთ, არც დათვისა და არც მონადირის. აქ სიმშვიდეა, მტაცებელს ჯიხვზე ხელი აღარ მიუწვდება, მაგრამ უფათერაკოდ თვით ჯიხვსაც არ შეუძლია აქ ამოსვლა. არც ერთი მენინავე ამ გზას არ დაადგება. იცის, უმსხვერპლოდ ვერ ამოვა, მით უმეტეს უკან, საჯიხვეებში, მსხვერპლითაც ველარ ჩააღწევს.

აქ, ზამთარში კი არა, ზაფხულშიც სიავეს ფეხი ჯერ არ დაუდგამს და მენინავესაც უშიშრად შეუძლია, მით უმეტეს, ღამით, ჩათვლიმოს, ქარიშხლის კვნესა-გოდებას მოუყრუოს, უფრო ღრმა და კარგად მოფარებული თავშესაფარი მოძებნოს ან თუნდაც იქვე, ჯოგთან ერთად მღვიმის სიღრმეში მოირთხას ფეხი, ჩაწვეს, ჩათბუნდეს, ჩაიძინოს...

ჩათბუნდეს და ჩაიძინოს?!

დაივანოს?!

არა, ეს არ უქნია რეხოს. არ უქნია, რადგან იცის, ჯერ მწყემსი დაილუპება – მერე მთელი სამწყემსო.

დაცხრეს, დაივანოს და განცხრომას მიეცეს კი არა, დარწმუნებული რომაა, საფრთხე არსაიდან ემუქრება, ცალი ყურით მოსმენასა და მთვლემარე თვალთ დარაჯობასაც არ უნდა მიეჩვიოს. ფერდზე დადებულ თავქვემ ყური თბება, თბილი ყურით გაგონილი კი სხვაა და ქარ-ყინვით გათოშული – სხვა. მას ორმაგად ეყურება და გრძნობს, ირგვლივ რა შიშხათი მძვინვარებს და ოთხჯერ უკეთესად იცის, ქარბუქის ამნაირი ყეფა რითი დამთავრდება, ჯიხვებს ასეთი ღამის გათევის შემდეგ როგორი დილა გაუთენდებათ.

ყურზე ძილმა და ცალი ყურით მოსმენამ მიჩვევა იცის. უსაფრთხოების ჟამს დაჩლუნგებული სმენა და თვლემით დაბეცებული თვალები ყოველი მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს ერთბაშად ვერ გაიგონებს და დაინახავს. არადა, თუ მთელი სამწყემსო ყოფნა-არყოფნა ბენზე ჰკიდია, შენს თავზე ფიქრის უფლება არა გაქვს. ასეთ დროს შეიძლება ყოვლის წამლევავ ზვავს, მენწყეს და ქვათაცვენას გადაურჩე, მაგრამ იმ ორომტრიალში ნაპრალის სიჩუმე ვერ გაიგონო, ვერ იაზრო და ერთ ნახტომად რომ ღირდა, ისეთმა უფსკრულმა ჩაგყლაპოს.

წივილ-კივილს, ყინულებისა და ლოდთა მსხვრევას ყრუც მოისმენს და ბეციც დაინახავს, მაგრამ ფათერაკი უფრო ხშირად ჩუმია და უხილავი. იმის მოსმენაა ძნელი, რაც სუნთქვაშეკრული, უჩამჩუმოდ გეპარება და იმის დანახვა, რაც დღისით-მზისითაც არ ჩანს.

5

რეხომ ერთი წათვლემა ძლივს მოასწრო, რომ მუცელქვემ მოქცეულმა, დანახნაგებული ქვისგან ნატკენმა ნეკნმა ზეზე წამოაგდო. მენინავეც ჯიხვია და წყალი რომ არ ჩაუდგეს, მუხლი მანაც ხომ უნდა ჩახაროს. თვალისჩინი რომ არ გაუნყალდეს, უნდა მოხუჭოს, სიმყუდროვე ეძიოს, რომ მსუსხავი ქარაშოტი სხეულს სითბოს არ აცლიდეს.

უგრძნობელი ხომ არ იყო, დანოლისას ქვა რომ მუცელქვემ მოჰყვა, ვერ გაეგო. ორი ფეხის ნაბიჯი ადგილი სხვაგან არ გამოიძებნა? ან, რაც უნდა ციოდეს და ქვას ქვაზე აყინავდეს, მუჭის ტოლა ნატეხი ფეხით ვერ გამოაგდო და დასანოლი ადგილი ვერ გაითავისუფლა? მაგრამ დანახნაგებული ქვა, უბრალოდ, მუცელქვემ კი არ მოექცა, ზედ თვითონვე დაანვა ნეკნით – სხეულს სატკივარი მიუჩინა, დაღლილ-დაქანცულს რომ წოლა არ გატკობოდა, განცხრომის მოწადინე სხეულს თავი არ წაერთმია და დაებანგა. საკუთარი სისუსტის აღმოჩენა და მასთან შეურიგებელი ბრძოლაა გამარჯვება. საკუთარ თავს თუ შეგიძლია აჯობო, ვერა მტერი ვერ დაგამარცხებს.

ალბათ, კარგა ხანს სძინებია – ნეკნი ისე სტკიოდა, თითქოს კლდის ქიმზე ჩამოეკრას. მაშინვე ფეხზე დადგა, მაგრამ საფარის თავზე ასვლა და ქარშვავში იქ დადგომა ვერ ჰქნა. არავითარი საშინოობა არ არსებობდა, არავითარი საფრთხე და უჭირო საჭიროდ არ გაიხდა...

ესეც დღევანდელი ფეხის დაცდენასავით ხომ არ იყო?..

რაო, დრო თავისას შვრება, თუ... ჯიხვების გამოცდილ მენინავეს თავდაჯერებამ სიფხიზლე მოუდუნა? ათას ხიფათში გამოტარებული მისი ჯოგი იმდენად ხომ არ ენდობა, რომ რეხოს აჩლუნგებს და აბერებს?

ასეთი სიყვარული სიძულვილი ხომ არაა და ერთგულება – ღალატი? ან განუსჯელი ნდობა – დამლუპველი?

ვაითუ!..

ვაითუ, გადარჩენა სულაც არაა ამ უკაცრიელ მწვერვალებში მიუვალი, საიმედო ადგილი იცოდე, როგორღაც შეძლო იქ შენი ჯოგის შეფარება და დარწმუნებულმა, შენს სამწყემსოზე არც ნადირსა და არც მონადირეს ხელი არ მოუნვდებათ, დანვე ყურზე და დაიძინო, დაივანო, დატკბე უზრუნველობით და უშფოთველობით...

ახლა არც არავისი ეშინია და არც არავის აშინებს. აღარც თავდასაცავად იღერებს რქებს და არც თავდასასხმელად იღესავს. საქმელ-სასმელი აქ თავსაყრელად შუა ზაფხულშიც არაა, მაგრამ შეგიძლია დღედაღამ უშიშრად მხოლოდ სტომაქზე იფიქრო, იზრუნო და, როცა მეტი სადარდებელი არაფერი გაქვს, იმდენს როგორ ვერ იზამ, როგორმე კუჭის ამოყორვა შეძლო?

ეს დიდი სიბრძნით დაემართა რეხოს, თუ სიბრძნემ სწორედ მაშინ უღალატა, როცა იქაურობა

მიატოვა, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც მის წინაპრებს უცხოვრიათ და უბრძოლიათ, ამ, ზეცას ხანჯლებით გაყრილ მწვერვალებში გადმოიხვეწა, მართლაც რომ მიუვალ ციხესიმაგრეში ჩაიკეტა და დრო-ჟამს უდარდელად ცოხნის...

6

... და დღესაც ფეხი ჩაუცდა იქ, სადაც ეს მენინავე ჯიხვს კი არა, გამოცდილ ფოთრსაც არ უნდა დამართოდა.

იქნებ... იქნებ დღედაღამ მტერი უნდა გყავდეს, რომ თვალი გიჭრიდეს და ყურმახვილი იყო?

დღედაღამ ზეზეურად უნდა იდგე, რომ მუხლი გერჩოდეს და ფეხი ჩასაცდენშიც არ ჩაგიცდეს?

აქ მონადირეც ვერაფერს დაგაკლებს, ცაში ფრენაც რომ შეეძლოს, რაკი იცის, არსაიდან არც ამოსასვლელია და არც დასაფრენი ადგილი. შენი ხორცი ხორცად არ ერგება, ტყავი – ტყავად და რქა – საყანწედ. აქ მასაც ციდან შეუძლია გიყუროს და თვალი ახაროს, როგორც შენ შენი ხელშეუხებლობით სტკებები.

მაგრამ გახარება და ტკობაა ის, რაც ხორცს ალაღებს და, არა მარტო ხორცს, სულსაც ეამება?..

და როდისაა, რომ ის, რაც სხეულს ახარებს, სულსაც უხარია?

წელან, ქვის ნატეხმა ატკინა ძვალი და ხორცი, ნამოაგდო და ახლაც ფეხზე დგას, ქარ-ბორიო უტრიალებს, ცხვირ-პირში აყრის ხორშაკს და ნამძინარევს აძაგძაგებს.

წელან სულმა ჩათვლიმა, მაგრამ ნატკენმა ძვალმა და ხორცმა გამოაღვიძა, რასაც მხოლოდ სული აკეთებს. სული აფხიზლებს მოდუნებულ, განცხრომის მოსურნე სხეულს, მაგრამ მოხდა პირიქით... რაკი მათ შორის თანხმობა, თანაღმობა არ იყო, რაც ერთს სტკივა, წუხს და მოსვენებას უკარგავს მეორეს...

და რომ მოხდეს, ერთმანეთს დაუზავდნენ და დაუთანხმიერდნენ, ის დანახნაგებული, მუშტის სიმსხო ქვა გამოაგდონ და კიდევ უარესი, ქვეშ თივა და ბენვი დაიგონ, მენინავეს და ამდენად – მთელ ჯოგსაც არ დაღუპავს?!

თუ, რაც ხორცს ალაღებს, სულსაც ის სწადია, მაშინ ვის სჭირს იარა და ვისაა, რომ სისხლი სდის?

ყოფა, წუთისოფელი არაა ჯახირი, ტანჯვა, წრიალი და ბრძოლა არსებობისათვის?!

7

რეხოს მოსწყურდა, ერთხანს პირი გააღო და ცას შეუშვირა. ქარისაგან ენაზე დაყრილ ფიფქებს გადნობა აცალა და გადაყლაპა, მაგრამ ხორხამდეც არ ჩაჰყვა. ცხვირწინ დაშვავებული თოვლი პირით მოფოთნა და ერთხანს დააყოვნა, სანამ წყლად იქცეოდა. ასე ყელი თუ გაისველა მხოლოდ და მეტი არაფერი. არანაირი გემო, არც სუნი – უმანაკო სითხე. წყურვილს კი არ გიკლავს, წყურვილი არ გკლავს.

აქაური ან ბალახი რაა – უმწიფარი, უყუათო, უმანიერო და თივა რა უნდა იყოს. მშიერი არ გეთქმის, საჭმელს კუჭის ამოსავსებად იშოვი, მაგრამ ბალახიც თოვლის წყალივითაა. აქაური მზეც რომ ცივია, გემო რამ უნდა მისცეს.

შურთხებიც, ქვევით თუ არაფერმა დააფრთხო, აქაურობას ნაკლებად ეტანებიან. თითქოს აქ ჯიხვის კურკლი სხვანაირი იყოს. სადაც ჯიხვები უშურთხოდ ხიფათს ვერ აიცდენდნენ, უერთმანეთოდ არ უარსებიათ და აქ უიმათობა შეიძლება, საჭირონი აღარ არიან?..

შურთხი მარადმტრიანი ჯიხვის განუყრელი თანამგზავრია. ჯიხვს რაზეც სმენა, ყნოსვა და თვალი მიუნვდება, არაფერი გამოეპარება, მაგრამ აგერ, ცხვირწინ რომ მთაა, მთას იქით ისევ მთა, თვალსანიერი დახშულია და შემოზღუდული. ქარი ხეებში რომელიდაც ერთი მხრიდან უბერავს და იქიდან თუ მოიტანს მტრის სიმყრალეს. დანარჩენი შიშველ კლდეებზე სანიშნედ გაბორძიკებული ჯიხვისთვის უხილავია და ფრთხილზე ფრთხილი მოსისხლე საიდან გეპარება, არაფერი უწყი.

თვით ფრინველთა ზვიადი მეფეც კი ყოველთვის ცის კაბადონზე როდი ჰკრავს ირაოს. ზოგჯერ აქვე, ჯანღში აღმართული მწვერვალიდან გადმოეშვება უეცრად. გადმოეშვება და მისი ძლიერი ფრთის ერთი ნაკვრა კმარა, რომ სიპ კლდეზე ისედაც მუხლაკანკალებული, ახალბედა ფოთრი უფსკრულში გადაჩეხოს. ხეებში მგელი დაძრწის, დათვი დაძუნძულებს თუ სხვა მავნე და მალვალაკი, შურთხის თვალს არ გამოეპარება. გადაუფრენ-გადმოუფრენს უფსკრულებს, მთის იქით მთას და რასაც შეამჩნევს, ჯიხვის სიცოცხლეს ემუქრება თუ არა, მაგრამ მოძრაობს და ჯოგისაკენ მოიწევს, ზარის რეკვას ასტეხს. შურთხის ხმაზე ჯოგი გაირინდება და მენინავეს შეაჩერდება,

მენინავემ კი უნდა იცოდეს, რა ზარს ჩამოჰკრეს, ხსნა საითაა და სამწყსოც მის ერთ დასტვენაზე თავქუდმოგლეჯილი იქით გაეშურება, საითაც უნინამძღვრებს.

შორს, ქვემოთ დარჩა ოდითგანვე ნაცნობი საჯიხვეები. ჯოგის აქაური საბინადრო ისეთი თვალ-შეუდგამი, შვეული ტინის კედლებითაა გარემოცული და ამ თვალჩაინახევი ხეების თავზე ცაში გაყრილი ქიმებით შემოლობილი, მხოლოდ არწივს თუ შეუძლია თავდასხმა, მაგრამ ამას არც ეცდება, რადგან ქიმებს შიგნით ისეთი ღრმა ნაპრალები და ორნოხები არაა, სადაც მსხვერპლს გადააგდებს და გადაჩეხავს. სხვა მხრივ არწივი ერთბაშად უსუსურ ფოთრსაც ვერ აიტაცებს და არც არავინ დაანებებს.

ჰოდა, შურთხიც აქ ძვირი სტუმარია. ეს უსაშველო სიმაღლე მისთვის უჩვეულოა და იქ დარჩა, სადაც უმისობა შეუძლებელია? თუ, რაკი თეთრ მწვერვალებში ბინადრობს, შურთხიც უანგაროდ არ ზრუნავს, რომ ზაფხულში ჯიხვებმა ბალახი უდარდელად სძოვონ და ამ ფრინველებმა მათთვის თივა იმარაგონ. როგორც სხვა ფრთოსნებისათვის, შურთხისთვისაც თივა, რაც ბუდედ არ სჭირდება, უსარგებლოა, მაგრამ ჯიხვის სტომაქგამოვლილი – საზრდო და როგორც ყველა, შურთხიც თავისთვის ზრუნავს – კვებას ჯიხვს და იკვებება. იცავს მტრისაგან მარჩენალს, ტყუილუბრალოდ კი განგაშს არ ატენს, ზარს არ დარეკავს და ჯიხვს არ გააფრთხილებს, თუ საფრთხე არ ემუქრება.

აქ კი შურთხმა იცის, იგი მეთვალყურედ არავის სჭირდება.

8

რეხომ ფეხზე ჩათვლიმა, მაგრამ ქარ-შიშხათი ბალახს უშლიდა, ბურჯნიდა, ძვლებამდე გატანებული სიცივე ძილს არ ანებებდა.

ისევ ჩანვა. დილამდე კიდევ კაი ძალი დრო იყო და სანამ ვერავინ ხედავდა, ვითომ ფერდში იმ მუშტის სიმსხო ქვის ამოდებაც არ ინდომა. ფეხზე მთელი დღე გარინდებული დგომა ხვალაც ეყოფოდა...

ბერდება რეხო და ახლა უსაფრთხო და უდავიდარაბო ცხოვრება ურჩევნია, მაგრამ მაშინაც ასე ბრძენი ხომ არ იყო, როცა წინაპართა ხიფათიანი საჯიხვეები მიატოვა, ქრელი ყვავილებით მოჩითული ქარაფები, ჩუხჩუხა მყავე წყაროები, სადაც თითქმის ყოველი დარწყულება სისხლის ფასად ჯდება, მაგრამ ძვალს გიმაგრებდა, მუხლი გერჩოდა და თვალი გიჭრიდა. თუ გაგულადდებოდი და უფრო ქვევით ჩაინაცვლებდი, სადაც მსუყე ბალახის გარდა, ნეკერიც გელოდა, იქ ფრინველების ისეთ სტვენას მოისმენდი, სიცოცხლედ ღირდა. იქ მზეც დედის უბესავით თბილი იყო, მოალერსე, მთვარე იქაც ცივი, მაგრამ სხივები ყინულის თეთრი ეკლებივით არ გჩხვლევდნენ...

არა, რეხომ მაშინაც იცოდა, რომ შეუღეველს უნდა შელეოდა, მაგრამ დრო ნახდა, მგელს ბარსა და მთაში გაუჭირდა და უფრო მაღლა ამოინაცვლა. თოფი რომ დაგრძელდა, ტყვია გახშირდა და არწივის გარდა მონადირეცა ფრენა დაიწყო, ამან დააყენა მენინავე შავი დღისთვის შეგულებულ, ჯიხვისთვისაც ფეხდაუდგმელ მწვერვალებში მიმავალ გრძელ გზას.

ბრძენის ჭკუა სხვისთვისაა შვება, თორემ თავისთვის მძიმე ტვირთია. მენინავის სიბრძნე ჯოგს უხაროდეს, თორემ თვითონ საგებად არ გამოადგება და სახურავად.

რაც მეტი იცი, იმდენად მეტის ცოდნა გმართებს. ჯოგი ათასი ხიფათიდან და დალუპვისაგან ათასჯერ რომ იხსნა და ათასმეერთეზე უფსკრულში გადაჩეხო, შენც ის შეჩვენება გელის, ვინც გამენინავებისთანავე სამწყსო დალუპა.

დღეს ფეხი ჩაუცდა რეხოს, სადაც არ უნდა ჩაცდენოდა და...

საფრთხე საფრთხეა, მაგრამ უსაფრთხოება და უმტრობა უფრო საშიში ხომ არაა?!

9

რეხო აქ, მომავალი მყვირალობის დროსაც, მენინავედ დარჩება. ჯოგში, ჯერჯერობით, ისეთი არავინ ეგულება, მომავალი ვნებათაღელვისას ატეხილ შეხლა-შემოხლა-ჭიდილში წინამძღლობა წაართვას. მეტი რომ არაფერი მათ წლევანდელი მისი მძიმე რქების დარტყმა ემახსოვრებათ და სანახევროდ ბრძოლას ეს წააგებინებთ. რაც დრო გადის თვითონ, რაღა თქმა უნდა, ძალა თუ აკლდება, თორემ არ ემატება, მაგრამ რქები ეზრდება. ჯიხვი რამდენი წლისაცაა, რქებზე რგოლებად აწერია. რაც მუხლს აკლდება, რქებს ემატება, არა მარტო სიგრძეში – სიმსხოშიც. ერთი და ორი გამოქანება და დაჯახება კიდევ ბარე ორი წელიწადი არ გაუჭირდება და ბრძოლა მაინც უკეთესმა იარაღმა უნდა მოიგოს.

ჯიხვებმა უსამართლო, მუხანათური ორთაბრძოლა არ იციან, მაგრამ რქას რქაზე არ ატოლებენ. იარაღის უპირატესობა მათ ჭიდილში უსამართლო, უთანასწორო შეტაკებად არ ითვლება. ეს მონადირე აგრძელებს თოფს და ტყვიას ტყვიაზე ცრის, თორემ ჯიხვი გაჩენის დღიდან რა იარაღითაც იბრძოდა, დღესაც იმის ამარაა.

მგელი ხომ მგელი იყო, მაგრამ კაცი რომ გამგელდა, დათვი განუწკდა, გამუხანათდა და მონადირემ რკინის ფრთები გამოისხა, ჯოგს იქ აღარ გაეძლებოდა, სადაც ჯიხვები უხსოვარი დროიდან ბინადრობდნენ და რეხობაც ამ სიმაღლეზე, გაუსაძლისში გადმოხვეწა. აქ მარილიანი, მყავე წყაროები კი არაა, უგემური, გამდნარი თოვლის ნაკადულები ზაფხულშიაც ჭირს. მუდამ ძლიერი, ყველაფრის ნამლევი ქარი მძვინვარებს. თოვლს დღეს რომ აქ დაყრის, ხვალვე ქვევით, ხევებსა და უფსკრულებში გადახვეტავს.

ასეთ სიმაღლეზე ნეკერი კი არაა, ზაფხულში, უსახური ბალახი რომ იზრდება, ისიც ცრიატი, ფერნაკლული და უდღეურია. მწარე სარეველასაც კი მწარე არ ეთქმის. დამნიფებას და დაგენძებას კი არაა, განზობას ვერ ასწრებს, ჯერ კიდევ მქრქალ მწვანეს ათოვს, აბუქავს და ზეზეურად, ნელადა ჰყინავს. უნდა იჩქარო, მიუსწრო, ისედაც უყუათო, მზემ და ყინვამ ისე არ გამოაშროს და გამოფიტოს, ჭამდე – ძლებოდე და გმიოდეს. ზოგან თოვლქვეშ ინახავს თავს შეყვითლებულ-შემჭკნარი ბალახი, მერე ზამთრის მძვინვარე ქარიშხალი აქა-იქ ააგლეჯს თეთრ საფარს და ჯიხვისთვის ხან აქ გაშლის უგემურ, უმანაკო სუფრას და ხან – იქ.

აქაური ბალახი დამადლებულივით მწკლარტეა, ურგები, თორემ შიმშილით არ გშია. აქაურ წყალს დაღვევ და იქნებ წყურვილმა არ შეგანუხოს, მაგრამ ვერც დარწყულდება. მარილიანი წყაროები სულ სხვაა; კუნთში ძალას გმატებს და რქაში – სიმტკიცეს. უმისობითაცაა, ალბათ, ფეხი არჩასაცდენში რომ ჩაგიცდება, სამაგიეროდ, აქ მტერი არა გყავს, რაკი არც ნადირმა და არც მონადირემ შენი არსებობაც არ იცის.

ეს არაა ის, სადაც შობილხარ და გაზრდილხარ, მაგრამ ისაა, სადაც ჯიხვზე სამტროდ ხელი არავის და არაფერს მოუწვდება, ლერ ბენვსაც ვერავინ გააგდებინებს.

10

აგერ, უკვე, გადაშუალამევდა და არავითარი ბაიბური არაა. მართალია, მენინავეს რული არ უნდა ნაეკაროს და გათოშილი ყურები დაცქვეტილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ მთელი ღამე ქარიშხლის წივილ-კივილის მეტი არაფერი ესმის და სახიფათო არაფერი ჩანს?.. ჯოგსაც სძინავს და არავინაა, რომ მისი სიფხიზლე დაინახოს, თუ მომხვედურისაც არ გეშინია, შემართული ხმალი უქმად სანამდე უნდა გეჭიროს?! მახვილი ქნევაში ილესება, თორემ შიმშველი უფრო იოლად იყანგება, ვინემ ქარქაში ჩაგებული.

რეხო შებრუნდა, გვერდი იცვალა და ისევ იმ მუჭის სიმსხო დანახნაგებულ ქვას დაანვა, რომ თვლემა ძილად არ ექცეს და ძილი – განცხრომად. თავისას არ იშლის, რაკი იცის, მენინავე მენინავეა – ასი თვალი და ასი ყური უნდა იქონიოს, თორემ ამ საიმედო ციხესიმაგრეში შეგიძლია შეღამებიდან დილამდე გულარხეინად იყო და არც დილით, ქარისგან გადახვეტილ მინდორზე ძოვისას გემუქრება სიავე. თოვლით დარწყულება ყველგან შეგიძლია, საფარიდან რომ არ გამოხვიდე, პირის გასასველებელ ფანტელებს ბორიო იქაც შემოგიყრის, სადაც წევხარ.

აქ ამოღწევა თქვი შენ და მერე, ზამთარ-ზაფხულ, თოვლსა და ყინვაში გაძლება, თორემ, ამოდენა უკაცრიელი ოღროჩოღრო სივრცეები შენია და დილიდან საღამომდე მუცლის ამოვსების გარდა, საზრუნავი არაფერია.

აქაურობის ხიზანს, მაინცდამაინც, აღარც ჭკუა სჭირდება და აღარც შორსმჭვრეტელობა. უშიშრად, უდარდელად შეუძლია, დაწვეს და მუცელქვეშ ქვა კი არა, ბუმბული დაიგოს.

მაგრამ...

მენინავეს ფეხი დაუცდა იქ, სადაც არ უნდა დასცდენოდა და... ჩაიმუხლა.

რა იყო იქ ფეხის დასაცდენი და ჩასაჩოქებელი! მართალია, ეს ჯოგში არავის გაჰკვირვებია და არავის სააუგოდ არ დაუპეტელებია, მაგრამ წინამძღოლმა ხომ იცის, რაც ქვესკნელზე გადახტომისას დაემართა და რა უფსკრულსაც გადაევიდა, რომ შეიძლებოდა წონასწორობა დაეკარგა და ჩაეჩოქა.

ჩაჩოქებული მენინავე?!
და ეს რომ მოხდა, ხომ ბევრმა დაინახა?!
დაინახა და არავის გაჰკვირვებია, არავის არაფრად ჩაუგდია...
ეს კიდევ უარესის უარესი არაა?

რეხოს გონება ენისლება და ფიქრი უწყდება. საფიქრალი კი დიდია, იმდენად დიდი, რომ თუ ფიქრიდან ფიქრში არ ჩაჰყევი, სიღრმეში ვერ ჩაიხედავ. რამდენჯერაც გაგინწყდება და ჯურ-ღმულებში ვერ ჩასდევ, იმდენს მალლა ამოგაგდებს, ამოგატივტივებს, ქაფად და ნაფოტად გაქცევს. აზრს უნდა გაეკიდო, უნდა ჩაულრმავედე, ჩაიყურყუმალო, რომ სანუხარს როგორმე ძირი გამოუჩნდეს, თვალნათლივ დასანახავი გახდეს.

ტინის ქიმებიდან ქარი ზღუქუნით გადმოსკდა ლოდებზე და მთვლემარე რეხოს რქებზე აკვილდა:

– ჯოგი იღუპება!.. ჯოგი!..

– რაო? ჯოგი იღუპებაო?! – რეხომ თვალეზი გადმოქაჩა.

– ჯოგი, ჯოგი, ჯოგი... ჯიხვის ჯოგი...

– ვინ თქვა ეს?! – მენინავემ ყურები წინ ნაჰყარა, დანკურა.

– ჯიხვი... ჯიხვის ჯიში და ჯილაგი!..

– ვისია ეს ხმა?!. ვინაა ასეთი უღმერთო!.. ვინაა ამას რომ უქადის?!.

– ჯოგი... ჯიხვი... ჯიში და ჯილაგი!.. ჯიხვი... ჯიში... ჯილაგი!..

საიდანაა ეს ძახილი, გარედან თუ შიგნიდან?

რეხო ფეხზე დგას.

ქარ-ბორიომ მოიტანა, მწვერვალებმა, მთებმა, ხევებმა და უფსკრულებმა ამოიკვნესეს, თუ მენინავის საფარში კლდის ნაპრალებიდან გამოჟონა? მართლა რაიმემ ან ვინმემ ამობოღმა, თუ რეხოს გულში და ტვინშია ჩაბუდებული და ისაა, ქარიშხლის კვილადა და კვნესა-გოდებად რომ ისმის?!.

– როგორ?.. საიდან?.. რანაირად?!

ჯოგი გადაარჩინა, იხსნა რეხომ, მტრებისაგან, ხოცვა-ჟლეტისაგან, განადგურებისაგან, თუ?.. პირიქით?..

– პირიქით!.. პირიქით!

დალუპა?!.

– დალუპა... დალუპა... დალუპა!..

დალუპა, როცა, რახანია მის სამწყსოს ჯიხვის ყური არ დაჰკლებია?..

რეხო ერთბაშად, ტყვიანაკრავივით შეაგდო კბოდე-კლდის თავზე ამ მოულოდნელმა, უსამართლო, უსულგულო, უგანაჩენო ბოდვამ. საფარი მთლად მიატოვა და მწვერვალებიდან მოშუილე ქარტეხილს შუბლი მიუშვირა, დაუდგა, მიუღერა, დაუპირისპირა.

დაგრანგილ, დატალღულ, დამაშრულ რქებში ცივი და შლეგი ქარი აშიშინდა, ასაყვედურდა: იღუპებაო!.. იღუპებაო, თუ დაიღუპაო! გადაგვარდა და გადაშენდაო... თუ რაღაც უსაშველო, უარესის უარესი...

უსაშველო?!.

რა უარესი და რა სიავე სჭირს ჯოგს, როცა არ აკლდება, მრავლდება და მაინც იღუპება? მაინც გადაშენდა და განადგურდა?!

რეხომ თავი სხარტად გაიქნია, შუბლში მოხლილ და რქებში ასივლებულ ქარშვავს რქები ისე მოუღერა, თითქოს მოგერიებას უპირებდა.

12

რა ლუპავდა ჯოგს?

ის, რომ ამ ქვის გამპობ თოვლსა და ყინვაში ღრმა და დათბუნებულ მღვიმეში დააბინავა? სადაც ნუნუნუხისა და ნაკელის ყროლი იმიტომ გხუთავს, ქვაბულში, გარეთ როცა ქარიშხალი მძვინვარებს, ნიავიც ვერ აღწევს?.. ამაზე საიმედო თავშესაფარი ამ მწვერვალებში არცაა... ამ სითეთრის საბრძანებელში რეხომ იცის, თვალსანიერზე სად რა ქვა და ლოდი აგდია. მღვიმე და ეხი კი არა, ყოველი ხვრელი და ნაბზარი დათვლილი აქვს და როცა საძოვრიდან საძოვარზე ჯოგი გადაჰყავს, უკან რომ არ დააბრუნოს და არ დაღალოს, იქვე აქვს შეგულებული ასეთივე ღამის სათევი.

ამ მღვიმეში, რომელიც რეხომ თავის სამწყსოს ბინად მიუჩინა, გამოზამთრება ყოვლისამტან და გამძლე ჯიხვს კი არა, შინაურ თხასა და ცხვარსაც არ გაუჭირდება.

მენინავემ ისიც იცის, რა სიძლიერის ქარი როდის და საიდან შემოჰკრავს, თოვლს სად გადააცლის ქვეშ მოქცეულ ბალახს, რომ ჯოგი იმ დროს იქ ჰყავდეს და ჯიხვებს ჩლიქებით არ დასჭირდეთ გაყინული საფარის ჩიჩქნა, ზოგჯერ სისხლის ფასად რომ უჯდებათ.

მარილიანი ნყაროები შორს, საჯიხვეების ხევ-ხუვებშია, ბებერ ჯიხვებს თუ კიდევ ახსოვთ და

იმ წყლით დარწყულების ჟინი მოუფლით, თორემ აქ დაბადებულთ არასდროს უნახავთ. აქაური უფერული, უსუნო ყვავილები ლამაზები ჰგონიათ, აქაური ბალახი და უგემური თოვლის ნაჟური – უგემრიელესი. სამაგიეროდ, ყოველი ბლუჯა ბალახისა თუ ყლუპი წყალისთვის შიშით არ აკანკალებთ, ყოველი მხრიდან ტყვიას, მგლის კბილებს ან არწივის კლანჭებს არ მოელიან.

ქვეყანა!..

რა ქვეყანა?!

შენი ქვეყანა...

ქვეყანა იქაა, სადაც გაგედლება და სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული სიკვდილი არ გემუქრება.

მართალია, ყუათიანი ბალახი და მარილიანი წყალი სანახევროდ მშვიერსაც სხვა ძალასა და ღონეს გიჩენს, მაგრამ ტყვიასთან, მგელთან, დათვთან და არწივთან მაინც უძლური ხარ და მათთან ბრძოლა უთანასწოროა. მარჯვე ჯიხვს კლდეებში შეიძლება მგელი და დათვი ვერ დაენიოს, მაგრამ ქიმზე შემდგარ ფოთრს კი არა, შუნსაც შეიძლება გაუჭირდეს ფრინველთა მეფის მოგერიება. შორიდან ნასროლი ტყვიისაგან ხომ ვერაფერი იხსნის.

13

რეხომ ჯოგი საჯიხვეებიდან აქ რომ გადმოხიზნა და მოუგერიებელი მტრები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, ამით დალუპა და დააქცია სამწყსო? მაძლარი, ბუნაგში მიძინარე უმტრო ჯოგი ილუპება და მშვიერ, უძილო, სისხლისმსმელებით გარსშემორტყმულ ჯიხვებს უნერიათ გადარჩენა?

ჯოგი რომ მდევარს დაუსხლტეს, იმისთანა უფსკრულს უნდა გადაევიდნო, ათიდან ერთი მაინც განწირულია და ისეთ ქვესკნელში ჩაიჩეხება, სადაც ვერც ნადირი და მონადირე ჩასწვდება, ორბები და ყორნები თუ დაძიძგიან... ყოველი ასეთი გადარჩენა მსხვერპლს მოითხოვს და ესაა ხსნა და არსებობა?!

„ესაა... ესაა, ესააა!“ – ზუზუნებს რქებში ქარ-შიშხათი.

როგორ, რანაირად! დღედაღამე მტერი არ გასვენებს, გხოცავენ, გჟლეტენ და ესაა შველა, თავის დახსნა?

– ესაა, ესაააა, ესაააა!

რეხო დაყრუვდა თუ რა ღვთის წყრომაა?!

– ესაა, ესაა, ესაა... ესაააა!

14

მენინავეს, ადრე, აქ ამოსვლამდე, დღეცა და ღამეც თვალმოუხუჭავი რომ ფეხზე მდგარა, გამოლილილ-გამოქანცულსაც არაფერი მოსჩვენებია, ახლა რა ემართება!.. ყოველთვის იცოდა, სად რა გაფაჩუნდებოდა და კლდიდან კენჭი რატომ დაგორდებოდა.

არ შეიძლება მენინავეს ერთი ეყურებოდეს და მეორე ესმოდეს, ერთს უმზერდეს და მეორეს ხედავდეს.

ახლა... ამალამ სხვა ესმის და, რომ გათენდება, სხვას დაინახავს? დილით, ეს ქარი რომ ღრუბლებს გადაჰყრის, მზე ქვაბულის პირს მიადგება და ნამძინარევი ნაპატიები ჯიხვების ჯოგი ლალად, უშფოთველად გამომზებურდება, ერთი კოჭლი და ბრუციანი რომ არ ურევია, ამიტომ ემუქრება დალუპება? ამდენ ხანს რომ საჯიხვეებში დარჩენილიყვნენ, სადაც მათი წინაპრები ბინადრობდნენ, ამათგან ნახევარი თუ იქნებოდა დარჩენილი, მუხლები გადაღლეტილი ექნებოდათ კლდეებზე ნახობებს, ჩლიქები წამტვრეული, ტანი ნატყვიარი და რქა დაბზარული, ფერები ჩაცვენილი და თვალები შიშისაგან დაელმებული...

„მაგრამ ფეხი არ ჩაგიცდებოდა!“

„ფეხი... ფეხი სხვას არავის დასცდენია?!“

„ჯიხვს ფეხი ერთხელ დაუცდება!“

„...მართალია, ჯიხვს ფეხი ერთხელ დაუცდება“.

„და, შენ უკვე დაგიცდა...“

„დამიცდა?..“

„დაგიცდა, დაგიცდა, და-გიც-დააა!“

რეხოს რქის ძირები ისე აენვა და შუბლი ისე ასტკივდა, ვითომ ქარიშხალთან კი არა, მყვირალობისას სამენინაოდ ამბობებულ ხარებთან ბრძოლისას დამარცხებულიყოს.

საფარში ჩამოვიდა, შიშითა და სიფრთხილით, უფრო იმიტომ, აქ ფეხის დასაცდენი რომ არაფერი იყო...

თავი მეორე

1

მეწინავე დილაუთენია ჩავარდა მღვიმესთან და საგანგაშოდ დაუსტვინა. გამოსასვლელთან ორი ბებერი ჯიხვი იწვა და მაშინვე ფეხზე წამოცვივდნენ. ქვაბულიდან ხუთიოდე მონიფული და ახალგაზრდაც გამოჩნდა ყურებდაცქვეტილი და მომხმობს უფრო ცნობისმოყვარეობით შეაჩერდნენ, ვინემ რაიმე განსაცდელის შიშით თვალებდაცეცებულნი.

რეხომ ისევ ზედიზედ დასტვინა. სიბნელიდან კიდევ გამოილანდა ორი ცივარქიანი მოზარდი და სამი-ოთხი უფრო შუახნისანი, მაგრამ უმრავლესობას, ზარის რეკვაზე, ყურიც არ შეუბერტყავს.

მეწინავე ქვაბულთან ქვაყრილს გადაევიდა და სიბნელეში შევარდა, რამდენიმე მთვლემარე ხარს რქაც კი გაჰკრა, რომ ფეხზე წამოეგდო. სიღრმეში მძაფრი, მყრალი სითბო იდგა. ძლივსძლივობით გამოირეკა დაბნეული, გაოგნებული სამწყსო წინ და ქვაყრილზე მთელი ძალით დაუსტვინა გასაქცევი, თავის საშველი, რომლის გაგონებაზეც ადრე საჯიხვეებში რომელი რომელს ასწრებდა.

ჯოგი წელისწყვეტით, ძლივს აიყოლია და წინ გაიჭრა. საძოვარს ისე გასცდა, პირი დაუკარებია კი არა, ძირს არ დაუხედავს. მალლა, კლდეთა ქიმებისაკენ გაუტია.

პირველსავე შემალლებაზე შეხტომისას თავი ძლივს შეიმავრა, უკან არ ჩამოვარდნილიყო და იქიდან ფეხათრეული, გაფანტული ჯოგის მოხმობა სცადა. სამწყსო თვალს არ აშორებდა გაოგნებული, რომ ასე დილაუთენია ძილი დაუფრთხეს და საძოვარზე კი არა, სადღაც გათოშილ შიშველ ლოდებთან იხმეს.

ჯოგი რეხოს თვალდახუჭული ენდობა და უფსკრულშიც ჩაჰყვება, რაკი იცის, მის ხელში საფრთხე არ მოელის, მაგრამ ამდილანდელი მეწინავე თავის თავს აღარ ჰგავს, არც ის მოქნილობა და შემართებაა, რომელიც თითო-ოროლა ბებერ თანამოძმეს თუ ახსოვს.

ჯოგი დაიზაფრა. ჯერ კარგად არც გათენებულა, ჯიხვებს ხეირიანად მუხლიც არ გაუმართავთ და პირბასრი ქიმებისაკენ რბოლა რას მოასწავებდა? მით უმეტეს, არსაიდან სიავის არაფერი ჩანდა და ისმოდა.

რეხომ ისევ შემაშფოთებლად დაუსტვინა. შემალლებაზე, სადაც ძლივს იდგა, შეტრიალდა და იქიდან მეზობელ, ასხლეთილ ლოდზე გადაშვება დააპირა, ქვევით ჩასვლა რომ არ დასჭირვებოდა. ლოდი არც ისე შორს იყო, მისწვდებოდა, მაგრამ ზედ დამაგრება გაუჭირდებოდა. არც ჩამოვარდნა იყო საშიში, ასეთი სიმალლიდან არაფერი დაუშავდებოდა, მაგრამ მეთაურის მომცდარი ნახტომი ასე გაოგნებული ჯოგის თვალში ყველაფერს წაახდენდა.

მეწინავე თავისი ჩლიქებივით იცნობს სამწყსოს და იცის, სადაც თვითონ ვერ გავა, ჯოგი იქით პირს არ იზამს. იმდენზე უნდა გადამხტარიყო, წინა ფეხები კლდის შვერილს იქით დაეკრა და თუ უკანა მაინც დაუცდებოდა, თავი როგორმე შეეკავებინა.

ასეთ უმნიშვნელო ნახტომზე რეხო ადრე არასოდეს დაფიქრებულა, ამას თავისთავად, ალლოთი აკეთებდა. ახლა შეჩერება, კარგად მოსაზრება და მოზომვა დასჭირდა.

გადაევილო, დადგა და უკან არა, მაგრამ ბენზე გადარჩა, რომ წინ კისრით არ გადაეშვა. ზედმეტი ძალისხმევით ბარკალზე, სახსართან ძარღვი გაუწყდა თუ გაენასკვა და მწარედ ინანა, ასეთი აჩქარებული, თავანწყვეტილი ჯლიგინი რომ წამოიწყო.

ტკივილმა რომ გაუარა, ჯოგს მოხედა, ქვევით გაოცებულნი იდგნენ და ვერაფერი გაეგოთ, რას გაურბოდა მეწინავე, რა უნდოდა, კლდიდან კლდეზე რომ ინაცვლებდა, ვინ მოსდევდა...

დაფიქრება და ძალის მოსინჯვა დასჭირდა, ახალი ნახტომისათვის რამდენ ხანში გამოდგებოდა. უნდა შეესვენა, რომ შეშინებული კუნთის ძაგდაგი დაეცხრო.

2

რეხო წინ მიბრუნდა. აქეთ ფრიალო იყო, იქით – მოჟანგისფრო სალი კლდე. ორივე იმაზე მაღალი, სადაც იდგა. ადგილიდან რომელიმეზე შეფრენა ახლა აღარ შეეძლო, მაგრამ უახლოესს მაინც, ცოტა მოშორებული, მოჟანგისფრო სჯობდა. შუბლზე ერთი ისეთი ნაბზარი ჰქონდა, მარჯვე ნახტომით შეუჩერებლად შეიძლებოდა ზედ ჩლიქის ჩამოკვრა, ისევ ახტომა და წვერში მოვლება.

გამოუცდელი ჯიხვი, ალბათ, უფრო ახლო, ფრიალოზე გასვლას მოინდომებდა, იგი ისეთი სიპი იყო, თუ მართლა ფრთიანი გაქროლება არა, რომლითაც თავზე დააფრინებოდა, თორემ კედელზე ფეხს ვერაფერს წაჰკიდებდა. არც იქიდან ჩავარდნა იყო მარჯვე ჯიხვისთვის საზიანო, მაგრამ ცოტა დუნესა და დონდლოს შეიძლება გვერდები დაეხევა.

გადახტა და, მართლაც რომ ზუსტად გათვალა, თორემ ნაბზარზე ჩლიქის ჩამოცდენა და გვერდულად გადმოვარდნა ელოდა.

მოჟანგისფრო კლდეზე, სადაც ახლა დადგა, სამი-ოთხი ჯიხვიც დაეტეოდა, მაგრამ ისე მოხდა, როგორც ელოდა. ყველა ახალგაზრდამ და გამოუცდელმა მეორე, უფრო ახლო ფრიალო ამჯობინა. იქიდან, ერთი რქებგაშლილი ჯეელის მეტი, ორნოხებში ჩაცვივდა და ბარე ორი სიმწრითაც აპეტელდა.

რეხოს ერთი ბებერი და ერთიც მონიფული ქედა ჯიხვი ამოჰყვა. ქედა აქ დაბადებული და გაზრდილი იყო, მაგრამ ერთ დაძახებაზეც მენინავის კვალზე მავალი.

სამივენი აქეთ და ერთიც ფრიალოზე იდგნენ და ელოდნენ, კიდეც რა გზას დაადგებოდა მენინავე, რისი მაქნისი, რისი შემძლებელი იყო.

წინ, ახლა, დაბალი ტინი ედოთ, მაგრამ იმდენად შორს, აქედან გადაშვებული რომც მისწვდენოდა, ვერაფრით ზედ ვერ დამაგრდებოდა, იმის იქით – ისევ მაღალი, რუხყანგა, ოდნავ უნაგირა პიტალო.

მენინავე თუ ქვევით ჩაირბენდა, შეეძლო უნაგირასთვის მოევლო და გვერდიდან აჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. არ უნდოდა უკან მოდევნებულ ჯიხვებს ეყურებინათ, რუხყანგაზე როგორ ავიდოდა და ის იოლი გზა დაენახათ.

კარგა ხნის დაყოვნების შემდეგ, როცა მათთან კიდეც ერთმა, რქაჭრელმა ხარმა ამოაღწია, კვლავ გამჭოლად დაუსტვინა და ადგილიდან მოსწყდა.

თავგანწირულად გადახტა, მოდაბლო ტინის წვერს მხოლოდ ჩლიქები წაჰკრა და უნაგირას წინა ფეხებით მისწვდა. ვერაფრით დამაგრდებოდა, აქედან გაქანებას რომ ზედ არ შეესროლა. დადგა, მაგრამ იმ შეშინებული კუნთის გარდა, წინა ცალი მუხლის ცახცახი იგრძნო და არ მოტრიალებულა, თავი ისე მოაბრუნა. წელან მის გვერდით მდგომმა ბებერმა დაბლა ჩასვლა ამჯობინა და იქიდან უნაგირას გვერდიდან უხიფათოდ ამოჰყვა. ჭკვიანად მოიქცა. იგი რეხოზეც უფროსი იყო და არ გაეწბილებოდა.

ქედამ ბებრის კვალზე წასვლა ითაკილა და ისიც ტინზე ფეხის დაკვრით წამოვიდა. აქეთ, უნაგირასაც შემოასკდა, მაგრამ ის ძალა ვერ გამოიყოლა, მაღლა რომ შემოეგდო. უკან გადავარდებოდა, რომ არ ემარჯვა, ჰაერში შეტრიალდა და ქვევით მოხდენილად დახტა. მაშინვე გვერდიდან ამოირბინა და უნაგირაზე მენინავეს მხარში ამოუდგა.

რქაჭრელი აწრიალდა, არც ქვევით ჩასვლა ინდომა და ვერც გადმოხტომა გაბედა... ამასობაში ზურგს უკან მუქრუხი ჯიხვი არ დაელოდა რქაჭრელის ყოყმანს, იშვირა ფეხი და გადმოეშვა. ტინზეც კარგად გადმოეგლო, უნაგირას თავზე ვერ მოექცა, მაგრამ რეხოს გულადობისთვის მაინც მოეწონა. კარგი წვრთნის შემდეგ ასეთი ჯომარდი და გაბედული მიზანს მიაღწევდა.

ბევრი, კლდეების ძირებში ჩაცვენილი, კიკინებდა და ზოგიც ლოდებზე და ორნოხებზე მოხტუნავდა, მაგრამ თხემებზე გადმომსვლელი, ამჯერად, მეტი აღარ ჩანდა.

რეხოს ორი მაღალი ქიმი კიდეც უნდა გადაეგლო, რომ საზღვართან მიეღწია, იმას იქით კი ღრმა, თვალჩაუნვდენელი შვეული კედელი იყო და იმოდენა ხევი, რომლის მეორე მხარეზე თვალს ვერ გააწვდენდი. ეს იყო ის ცაში ატყორცნილი „სიმაგრის“ ზღუდე, ასე საიმედოდ რომ იცავდა მტრისაგან მის სამწყსოს.

იქამდე უნდა მისულიყო და იქიდან კარგად დაეზვერა ის შორი გზა-სავალი, საიდანაც ჯოგმა, ერთ დროს, დიდი ტანჯვისა და სისხლის ფასად აქ ამოაღწია.

რეხოს კიდეც ერთმა ნახტომმა გაუმართლა. ბოლოს მაინც დაუცდა ფეხი, მაგრამ იქ დაუცდა, სადაც შეიძლებოდა დასცდენოდა და წინა ფეხის ჩლიქიც წაიტეხა. ამან უცებ, ერთბაშად დაღალა. სისხლი მალე შეჩერდა და არც იმდენად მტკივნეული იყო, მაგრამ ერთი მეორეს მიემატა და უკან დაბრუნებას გვიანობამდე მოუხდა.

იმ ღამით დაღლილ-დაბეგვილ-დაშავებული ჯოგის მღვიმეში შეშვებაც არ უნდოდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მეტისმეტი იქნებოდა და თან იმდენი საფიქრალი ჰქონდა, აღარ იძია, ღამეს ვინ სად გაათევდა.

დილამდე დიდი დრო იყო, მაგრამ თვალის ნადება მაინც ვერ შეძლო.

რეხო როცა მენინავე გახდა, მაშინ სამენინაო ღონე შესწევდა მხოლოდ და არა ჭკუა. იცოდა, ჯოგისთვის უნდა ეპატრონა, შიმშილით არ დახოცოდა, მონადირეს სათოფედ არ მოეხელთებინა, მგლისა და დათვის არჩივი არ გამხდარიყო, არნივს ქარაფიდან უფსკრულში არ გადაეჩეხა...

იცოდა ის, რაც ყველა ჯიხვმა. მის ადგილზე ყველა მათგანი ეცდებოდა სამწყსოზე ეზრუნა და ყველაფერი ელონა, რისი შემძლებელიც იყო,

ძალ-ღონე თავისთავად, მაგრამ რეხოს იმის მოხერხება და უნარიც აღმოაჩნდა, ჯოგი ცხრა მთასა და მწვერვალზე გადაეტარებინა, გაუვალში გაეყვანა, ეპოვა მტრისთვის მიუდგომელი თავ-შესაფარი და შეეხიზნა. ესვათ, ეჭამათ, დაესვენათ, ეკუნტრუშათ და არ სცოდნოდათ, მტერი რაა და მოყვარე, ფრჩხილიც არავის წამოსტკენოდა, გამრავლებულიყვნენ... მართალია, რბილი, მაგრამ მაინც ქონი დასდებოდათ და არ სცოდნოდათ, რომ ჯიხვის ჯიში, მონადირის თოფის დაგრძელებასთან და ტყვიის გახშირებასთან ერთად უნდა გამამაცებელიყო, გადაუხტომელზე გადამხტარიყო, ფეხდაუდგმელზე ასულიყო, გაუღწეველში გაეღწია და თავი დაეცვა.

... თუ ეს იქვე, საჯიხვეებში უნდა გაეკეთებინა?! იქვე ეზრუნა ჯოგზე იმნაირად, რომ გაეშმაკებულ-გამამაძაღლებული ნადირისათვის მამაცობითა და მოხერხებით ეჯობნა, ფხიზლად ედარაჯა, რომ არნივს ფოთრი უფსკრულის პირას არ დაემარტოხელებინა. დღისით თუ არ მოხერხდებოდა, მარილიან წყარომდე გზა ისე დაესწავლა, ჯოგი ბნელ ღამეში დაერწყულებინა. სამწყსო ბალახსა და ნეკერს იმდენხანს არ შერჩენოდა, რომ ამასობაში შეუმჩნევლად მოახლოებული მტრისაგან თავი ვერ დაეღწია. ხომ არ სჯობდა სანახევროდ ეშინებოდათ, მაგრამ იქ ეცხოვრათ, სადაც გაჩენის დღიდან ბინადრობდნენ?!

მტერი თუ შეიცვალა, სხვა გზა არაა, შენც უნდა შეიცვალო. მომხდური ყოველთვის იმის ცდა-შია, გაჯობოს, ხელში ჩაგიგდოს და ზოგმა ჩიჩიად, ზოგმა მწვადად, ზოგმა ტყავი ტყავად გინდომოს და რქა – ყანნად. მაგრამ მარტო ამისი ცოდნა არას გარგებს, თუ საქმით არაფერს ეცდები, ყელს ისე გამოგლადრავენ, დაპეტელებასაც ვერ მოასწრებ.

ამიტომ რომ ფეხი დაჰკრა და შენი ადგილ-სამყოფელიდან გადაიხვეწო, სად მიდიხარ, ვისთან?! უმტროდ და უმოყვროდ ვის უცხოვრია, რომ შენ სასწაული მოახდინო?..

მტერი ისევაა საჭირო და აუცილებელი, როგორც მოყვარე. შიში რაა, საერთოდ რომ არ იცის, სიკვდილის იმასაც ეშინია. მხდალი და ჯაბანია დამარცხებული, დამარცხებული კი იღუპება. მამაცი და ჩაუქიც ყოველთვის ვერა, მაგრამ იმარჯვებს. ლაჩარი – ვერასოდეს. სიკვდილის შიში თანდაყოლილია. მისი მგელსაც ეშინია, დათვსაც და არნივსაც. სიმამაცეს სწავლა უნდა ისე, რომ კი არ გაგიჟდე და სიკვდილის შიში დაკარგო. უნდა გეშინოდეს, მაგრამ ვერ დაგიმონოს, ვერ დაგაუძღუროს – ებრძოდე და იმარჯვებდე.

სიკვდილის შიშზე გამარჯვებას კი მტრის მეტი ვერავინ გასწავლის.

დედ-მამა, დედმამიშვილი და მოკეთე ჩაგჩიჩინებენ: თავს გაუფრთხილდი, არ დამღუპო, თავი არ დაიღუპო! „არ დამღუპო“ – მე არ დამღუპოო, რაკი უყვარხარ და უშენობას ვერ გაუძლებს, ვერ გადაიტანს. შენც შენს თავზე რომ არ იფიქრო და არ ინალვლო, დედაზე ხომ უნდა იზრუნო, მამის ხომ უნდა ისმინო, მოყვასი ხომ უნდა გიყვარდეს და, ამდენად, თავს შუშასავით გაუფრთხილდე. მგელსა და დათვს შეება კი არა, ბუნაგში ღრმად და თბილად უნდა მოენყო, არ გაცივდე, არაფერი სნება შეგეყაროს და ამდენად, ახლობელი და მოკეთე არ გაამწარო... თავს უფუფუნო, უფრთხოდე ყველაფერს, რაც სიცოცხლეს ემუქრება. რამდენადაც და როგორც მოახერხებ, კაი სვა, კაი ჭამო, გასუქდე და დაძაბუნდე, დადედდე, გამთხლევედე და ყველაფერი იკადრო, ოლონდ მძორს, შენიანების და შენდა სასიხარულოდ, არაფერი მოსწიო.

ასე „გადაირჩინა“ თავი ცხვარმა და თხამ. ერთ დროს, ალბათ, ისინიც არჩვისა და ჯიხვისნაირები იყვნენ. ახლა მათ მტერი პატრონად ჰყავთ და მეორე მტრის – მგლისაგან იცავს. ერთი მტერი იცავს და დარაჯობს, რომ მხოლოდ მან ჭამოს და მეორეს არ დაანებოს, თითქოს თხისთვის და ცხვრისთვის სულ ერთი არ იყოს.

მტერს არ უნდა დაუზავდე, არ უნდა დაუმეგობრდე, ხელში არ უნდა ჩაუყარდე. მტერს უნდა მტრობდე და მაშინაა ის შენი ღირსებისა და ვაჟყაცობის წარმომჩენი. რალა თქმა უნდა, დაუნდობელია და არ ეზოგები. შენზე იზრუნებს კი არა, ათასნაირ ხერხსა და ხრიკს ხმარობს, რომ სიცოცხლე მოგისწრაფოს, მოგსპოს, გაგაცამტვეროს და ეს რომ იცი, გულზე ხელებს ხომ არ დაიკრეფ. იმაგრებს კუნთს და და რკინის მუხლს გაბამს. ილესავს კბილებს და გალესვინებს რქას.

ზხტება ხრამს, რომ დაგენიოს და ევლები უფსკრულს, რომ ვერ მოგწვდეს. მოგელავს მთაზე, უნდა მოგიხელთოს და კენწეროში ექცევი მწვერვალს – პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებ.

ჯიხვი, გგონია, ბარში ვერ იცხოვრებდა ან ტყეში მოკვდებოდა შიმშილით? სითბოში ვერ გაძლებდა ან დაზვინულ თივას ვერ მოინელებდა? მაგრამ რად გინდა, უქარიშხლოდ, უყინვა-თოვლოდ და უმტროდ ჯიხვიც აღარ იქნებოდა...

სადაც ღმერთმა გაგაჩინა და სამკვიდრო გიბოძა, იქ უნდა იცხოვრო და იარსებო. დრომ თუ მოიტანა, ბრძოლის ხერხები უნდა შეცვალო, თორემ ადგილი რომ შეიცვალო და სადღაც, უკაცრიელში გადაიხვეწო, ან ვინმეს, შენზე უფრო ძლიერს, კარზე მიადგე და შეხიზნება მოინდომო, ე, მაშინ დალუბავ თავს, ჯიშა და მოდგმას. შენ შენი ადგილი გაქვს მიჩენილი და თავის გატანა იქ უნდა შეძლო, თორემ უკაცრიელი იმიტომაა უკაცრიელი, რომ იქ არსებობა არ შეიძლება. ძლიერიც იმიტომაა ძლიერი, რომ მან იღვანა და იბრძოლა საამისოდ, კი არ გადახვეწილა, შენსავით რომ ვინმეს შეხიზვნოდა; ხიზანის ხიზნობას აპირებდი?

შენი წინაპარი რომ ათ ნაბიჯზე ხტებოდა, იმიტომ, რომ მისი მტერი ცხრა ნაბიჯს იქით უფსკრულში ვარდებოდა. ახლა თუ ისიც ათზე ხტება და გენევა, თერთმეტს უნდა გადაევიდო და გადარჩები, თორემ სადღაც შორეთში რომ გადაიკარგო და ათის მაგიერ ცხრაზე გადახტომა გაგიჭირდეს, ხომ უკულმა მიგყავს ჯოგისა და ჯიშის საქმე.

რეხოს იმ ღამით არ უცდია, ფერდის ქვეშ მოქცეული დანახნაგებულები ქვა მოეშორებინა. რამდენი წათვლიმა, ქვამ იმდენჯერ ნეკნი კინალამ გამოულო, იმდენჯერ აფიქრა და ათავცემა. წატეხილი ჩლიქიც ძალიან აწუხებდა, სატკივარი სატკივარს ემატებოდა და თავსატეხი – თავსატეხს.

გამთენიისას ერთი წაძინება მდინარესაც წაეძინებო, რომ იტყვიან, გუშინდელ დაქანცულსა და ღამენატეხს წათვლიმა. ესიზმრა: აი... რძით გატიკნილი ცური ჰქონდა შუნივით და ფოთრები კი არ სწოვდნენ, ძუძუებზე მგლის შავ-შავი ლეკვები ეკიდნენ. თვითონ თხასავით კიკინებდა და რაკი ლეკვებს თითო გოჯი სასიყვარულო რქებიც ჰქონდათ, მზრუნველად ლოკავდა, ლეკვები კი ყმუოდნენ და რქებიან შუბლს ჯიქანში სცემდნენ – მეტ რძეს ითხოვდნენ. ხახა წითელი ჰქონდათ, თუ ძუძუდან სისხლს სწოვდნენ...

რეხო თავზარდაცემული შეხტა და გაეღვიძა.

4

გათენებისთვის აღარ დაუცდია. აღმოსავლეთით, რიბირაბოში, კლდის ქიმები რომ შავად გამოისახა, გამოქვაბულთან გაჩნდა.

ახლა, მგონი, გუშინდელ, მხოლოდ საღამოხანს ნაბალახებ, ნახევრად მშიერ ჯოგს ხეირიანად არც კი ეძინა. ერთი დასტვენისთანავე გამოსასვლელს მოაწყდნენ – იქნება, მენინავე დილიდანვე საძოვარზე გაგვიძღვესო.

მზემ მწვერვალებს ქვევიდან ამოანათა და აღმა ასხლეტილმა სხივებმა ოქროს მტვრის კორიანტელი გარინდებულ თეთრ ღრუბლებს შეაფრქვია.

ქვევით ისევ ბნელოდა. რეხომ გუშინდელივით ისე გადაუარა საძოვარს, თავი არ დაუხრია და უფრო შორს, გუშინდელზე მომალლო კლდეს მიაშურა. ახლოს ის ბებერი, რქაჭრელი, რქებგაშლილი ქედა და მუქრუხი პირქუშა მოსდევდნენ, და ერთიც... რეხოს გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა. იგი ახლალა მიემატათ, მაგრამ მთლად ახლოს მოსვლა ვერ გაბედა. იმდენად ახალგაზრდა იყო, ჯერჯერობით რქები გვერდების საფხანად თუ გამოადგებოდა. გუშინდელი აკოჭლებულები ჯოგის ბოლოში მოპეტელობდნენ.

გუშინ პირი არაფრისთვის დაუკარებია რეხოს და დღეს, ფერდებჩაცვენილი, უფრო ტანმჩატედ იყო, მაგრამ დილიდანვე დაღლილი და კუნთებმტკივანი. იმ ცალი წამტვრეული ჩლიქის გამო კოჭლობით არ კოჭლობდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისე სტკიოდა, ფიქრს აწყვეტინებდა, გადახტომისას სიმძიმე მაინც სხვა ფეხზე უნდა გადაეტანა.

ტკივილის ატანასაც გადაჩვეულა!..

ტკივილის ატანა მაშინ შეგიძლია, როცა სულ გტკივა. ათასში ერთხელ ფრჩხილიც რომ წამოგტკივდეს, ისიც შეგანუხებს. ტკივილს ხვედრივით უნდა შეურიგდე და შეძლო, უბედურებად არ გაქცეს.

დიდი ხნის ამბავია, ჯოგი რომ აქეთ მოჰყავდა, მაშინდელი. ათასი კლდეღრეს გარდა, ჟანგის-

ფერი, თეთრი და რუხი მწვერვალებიც უნდა გადმოეღობა. იქიდან ერთადერთ, გაუვალ ქვესკნელის გადმოსახტომზე ჯოგი გადმოესხა და ამ მიუვალ სიმაგრემდე ამოელნია. ამ ზამთარ-ზაფხულ ქათქათა მწვერვალებს შორის რუხი რატომ უნდა იყოს, მაგრამ იგი იმდენად ციცაბოა, თოვლსაც არ იკარებს. მისი კედლის ღრმულებსა და ეხებში სვავები და ორბები თუ ბინადრობენ, თორემ ზედ სულიერი არ ჭაჭანებს.

ჯერ იმ რუხ მწვერვალზე გადმოვლა თქვი და მერე იმ ქვესკნელის თავზე გადმოფრენა. რალა თქმა უნდა, პირველად უფსკრულს რეხო გადმოველო და აქეთა ციცაბოზე რომ შერჩა და იქიდან ქარაფზე გააღწია, ბევრს გაბედულება შემატა. თავგანწირვის ფასად ზედიზედ გადმოჰყვნენ, მაგრამ ერთი კოჭლი, ხნიერი ჯიხვი რომ ჩაიჩეხა, დანარჩენები დაფრთხნენ. რეხომ ქარაფიდან დაუსტვინა და შეაგულიანა, მაგრამ მერე ახალგაზრდა, კოჭნალრძობიც რომ მოსწყდა კედელს, სვავების გულგასახარად, ორი ჯიხვის დაღუპვამ ჯოგს პირი აბრუნებინა. აღარც დასტვენამ და აღარც კლდეზე ფეხის ბაკუნმა უშველა. მენინავე იძულებული გახდა უკან გამხტარიყო და დასაბრუნებელი ბილიკი რქით გადაეღობა.

რეხო თუ ჯოგს როგორმე, თუნდაც მსხვერპლის ფასად გადმოსხამდა, უკან დაბრუნებას არ აპირებდა, რაკი იცოდა, ეს შეუძლებელი იყო.

იქიდან გადმომსვლელს სიპ კლდეზე ზევიდან გამოქანება და გადმოსახტომად ფეხის დაკვრა შეგეძლო, მერე თუ აქეთ მოსწვდებოდი, თავის შესამაგრებელი თითქოს იყო და იქიდან ქარაფზე გახვიდოდი, მაგრამ აქედან იქით, სიპზე ფეხის მოსაკიდებელი – სულ არაფერი. თუ მაინც აქედან რომელიმე მისწვდებოდა და გადაღმა კლდეს მიახტებოდა, სანამ ქვესკნელში გაქანდებოდა, მალლა შემართვა უნდა მოესწრო, ატოტებოდა და იქნებ ერთ, არცთუ ისე ღრმა ნაბზარს რქით მისწვდენოდა. რქა ნაბზარისთვის რომ დაეცილებინა, კედელი შვეული კი არა, პირაქეთ გადმოზნექილი იყო და რალა შეაკავებდა. ამას თავის ადრინდელ ჯოგშიც კი ვერავინ გაბედავდა.

აქაურობა ამიტომაც იქცა მიუვალ ციხესიმაგრედ, რაკი რუხი მწვერვალიდან ეს ერთადერთი გადმოსასვლელი იყო და, თუ ვინმე როგორმე გადმოაღწევდა, უნდა დაევიწყებინა საიდანაც მოვიდა და აქაურობის სამარადისო ხიზანი გამხდარიყო.

რეხომ მაშინ სასწაული მოახდინა – უკან გადახტა! ასე რომ არ ექნა, მისი სამწყსო იმ ხუთიოდე ჯიხვის ამარა დარჩებოდა, რაც იმ ორი დაღუპულის გარდა გადმოჰყვა.

რუხი მწვერვალის კედელს მიასკდა თუ არა, უკუბიძგებამდე მოასწრო ქვესკნელის თავზე ჰაერში შეტრიალება, რქა ნაბზარს უწვდინა და გამოსდო. მერე, რქით დაკიდებული გაქანდა და შვერილზე შეხტა, საიდანაც კლდეზე აკრულ ბილიკს ისე უნდა გაჰყოლოდა, ფერდზე ბალანი გასცლოდა და გააღწევდა, საიდანაც დამფრთხალი ჯიხვები მოშტერებოდნენ. მაშინ რომ იმაზე ეფიქრა, რა ელოდა, ამას ვერაფრით შესძლებდა. მაგრამ ამის დრო არ იყო – დამფრთხალი, განწირული, უმენინაო და ურჩეულებო ჯოგი უკან ბრუნდებოდა.

რეხო გადავიდა, მაგრამ გასაქცევი გზა არ ჩაუკეტავს. ჯოგი ერთბაშად მობრუნდა, ძალა მოიცა და უფსკრულზე გადასვლა დაიწყო. ჯაბანი და მუხლსუსტი მერეც დაიღუპა, მაგრამ დასაღუპავი დაიღუპა, გადასარჩენი გადარჩა...

აი, მაშინ იყო, ყველაზე ბოლოს, ისევ გადმოშვებისას, მაღალი ნახტომი გააკეთა, უფსკრულზე ულამაზესი რკალი მოხაზა, რომ ყველას დაენახა მათი მენინავის ოსტატობა და ყოვლისშემძლეობა. მაგრამ სადაც პირველად დახტა, იმ ადგილს ოდნავ დაცილდა და ნაბზარში ცალი ფეხის ორივე ჩლიქი ჩაეჭიდა, ისე ჩაეჭიდა, რომ ორივე წატყდა. სისხლი თქრიალით წამოუვიდა და როგორი ტკივილი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ზედაც არ დაიხედა, არაფრად ჩააგდო და არც არავის შეუტყვია. შენს ტკივილს შენ თუ მოერევი, სხვა როგორ გაიგებს?! მას მერეც რამდენი იარა. აქაც რომ ამოაღწია, სანამ წაეზრდებოდა, ხომ ანუხებდა, მაგრამ ახლა აღარც კი აგონდება; ეტყობა, მაშინ საკუთარი სატკივარი სატკივარი არ იყო.

წუხილს სიამოვნებად ვერ აქცევ, მაგრამ არც ტანჯვად უნდა აქციო!

5

ჯოგში, ორიოდე ბებერი ჯიხვის გარდა, არავინ იცის, რომ კლდეზე, სადაც ჩლიქის მოსადებიც არაფერია ან ისე შვეულია, ტანით ზედ მიკრულიც უფსკრულში ვარდები, რქა უნდა მოიშველიო. რქით უნდა მისწვდე რაიმე ქიმს, შვერილს ან ნაბზარს და დამაგრდე. აქ ჯერ ეს არავის დასჭირვებია და რაც არ დაგჭირვებია და არ გინახავს, რატომ და როგორ უნდა გესწავლა?! აქედან

ვინც რუხ მწვერვალამდე ჩააღწევს, რქითკიდების გარეშე უფსკრულს ვერ გადალახავს და რუხი მწვერვალის კალთებიდან თეთრ მწვერვალზეც ვერ გადავა, თუ ნაპრაღის შვეულ კედლებს შორის ჩაშვების საიდუმლო არ ეცოდინება. ნაპრაღი მუხანათია, ყოველთვის პირლია არაა, რომ ფეხი არ ჩაგცდეს. ასს რომ ასცდე, ასმეერთე ჩაგყლაპავს. თუ ჯიხვი შიგ ლოდევით გადავარდა, თუ არ იმარჯვა და კედლებს გარდი-გარდმო არ მიახტ-მოახტა, რომ ვარდნა შეანელოს, ფსკერზე დაუღვენავად ვერ გადარჩება.

რეხო იმ გადმოზნეკილ კლდეს მიადგა, სადაც, მახლობელი ქიმიდან გადაშვებული მის კედელს რომ მიახტები, თუ სხარტად თავს ზემოთა შვერილს არ შესწვდი და რქით არ დაეკიდე, აუცილებლად ჩავარდები; მაგრამ აქ უფსკრული ისე ღრმა არაა, რომ ვერ იმარჯვოს, ჯიხვი დამარცხდეს. მთლად უნდილები თუ რაიმეს იტკენენ ან თავით დაეცემიან და რქას გაიბზარავენ, არ უნდა შეიბრალო. ჯიხვი, საიდანაც უნდა მოსწყდეს, თუ ფეხებზე არ დახტა, რქის კი არა, კისრის მოტეხის ღირსია...

6

წუხელ არ უთოვია, მაგრამ ეს ქიმები თოვლს ზამთარშიც არ იდებს, ქარი აცლის. ზაფხული კარზეა მომდგარი, მზე მძლავრობს და კლდეების სამხრეთ ფერდებზე ყინვა-თოშს ალბობს.

გუშინდელი შემშრალი, ჟანგისფერი კედლები სავალად არც ისე სახიფათოა. თუმცა ჯიხვმა თუ ჩლიქის მოსაკიდებელი იშოვა, თუნდაც ყინულისა, უნდა გაიაროს, მაგრამ ნაბზარში რომ ფეხი მოიკიდოს ან რქით დაეკიდოს, თოვლით ამოვსებული და ჩაყინული არ უნდა იყოს.

7

ჯოგი სულგანაბული დგას და მენინავეს ელოდება. რეხოც დგას და იცდის.

ეს გუშინ იყო, ჯოგის დაღუპვის შიშით დაზაფრულმა კლდეების ქიმიდან ქიმზე თითქმის შეუსვენებლივ რომ იხტუნა, მალეც დაილალა და ჩლიქიც დაიზიანა. მეტი წინდახედულება და სიდინჯე მართებდა. ჭკვიანისათვის გუშინდელი დღევანდელის მასწავლებელია. სულელი თავი ფეხებს ატანს ძალას და ავიწყდება, უფეხებოდ თავი იგივე ქვის ნატეხია, რომელიც თავისით ხევში ჩაგორებას თუ შეძლებს.

ჯიხვი ცალ-ცალკე სხვადასხვაა, ერთად შეყრილი – სულ სხვა.

ჯოგი უნდა ალოდინო, აწრიალო, აფიქრო, რომ საქმისკენ თვითონ გაიწიოს და ის მოანდომე-ბინო, რის გაკეთებასაც აპირებ. ისე უნდა მოაჩვენო, თითქოს შენ ასრულებ მათ სურვილს და არა ის, რომ შენს ნებაზე დაატარებ. ბრბო, თავისი სიმრავლის გამო, პატივმოყვარეა და შენი სიმცირის გამო ჭეშმარიტებასაც არ დაგიჯერებს. იქნებ ცალ-ცალკე ყველას ეკითხებოდეს ჭკუა, მაგრამ რაც ბევრია, იმდენად ჭკუა ჭკუას აბათილებს, ვინემ ერთმანეთს ემატება. შენი დაჟინებითა და თვითნებობით რომ ერთი ჯიხვი უფსკრულში ჩავარდეს, არავინ გაპატიებს. ბრბომ ასი იმდენი ფეხითაც რომ გათელოს, უკან არ მოუხედავს.

გუშინ ისეთი ჩასავარდნი არსად იყო, კოჭლობის გარდა ვინმეს რაიმე დაშავებოდა. დღეს საქმე უფრო რთულადაა. აქ, უმრავლესობამ, რქისკიდებით კლდეებზე გადასვლა კი არა, ციცაბოზე გარბენაც არ იცის. ამიტომ მენინავემ სამწყსო ამ გადმოზნეკილ კედელს უნდა გააყოლოს და თუ რომელიმე ჩავარდება, დაცემისას არ დამარცხდეს, მაგრამ არც უსისხლოდ გადარჩეს.

მზე რომ ამოჩახჩახდა და ჟანგისფერ კლდეებში წუხანდელ ჭირხლს ოქროსფერი შეაფრქვია, ჯოგი აწრიალდა: ან საძოვარზე გაგვიძღვეს, ან საითაც ეპირება, ბარემ გვინინამძღვროსო!

რეხომ ფეხი მანამ არ მოიცვალა, სანამ კლდეებს თრთვილი არ შეადნა, ცრემლად არ დადინდა და შემშრალს თავისი ჟანგისფერი არ დაუბრუნდა. უკვე მოთმინებადაკარგული ჯოგიც წინ დაიძრებოდა, რომ მენინავე ქარაფს არ აჰყოლოდა და ცალი ნატეხილი ჩლიქის არიდებით მალლა-მალლა არ წასულიყო.

თითქმის ნახევარზე მეტი ერთად აედევნა და ერთმანეთს ხელი იმდენად შეუშალეს, წვეროზე რეხოსთან ათიდან ერთმა ვერ ააღწია.

მენინავემ სული მოითქვა, დადგა და გაირინდა.

ჯოგმა დაინახა, ყველა იმის შემძლებელი არ იყო, რისიც მოწადინე, მაგრამ ვინც უკან დაბრუნდა ან ჩაცურდა, ბედი ხელახლა უნდა ეცადა.

ყველა გრძნობდა, გუშინ და დღეს რალაც უჩვეულო ხდებოდა. ეს, დილაუთენია, უჭმელ-

უსმელების კლდიდან კლდეზე, ქიმიდან ქიმზე ხტომა და ლოდებზე ხეთქება მენინავეს გასართობად არ მოუგონია, იმასაც ხვდებოდნენ, ეს ერთეულებისა და რჩეულთათვის არ იყო მოგონილი. კოჭლი რომ კოჭლია, იმასაც თავი უნდა გამოედო და თუ დღეს არა ხვალ გაეკეთებინა ის, რასაც, ჯერჯერობით, თითო-ოროლა თუ ახერხებდა, და უშეცდომოდ და უხიფათოდ – ვერც ისინი.

განსაცდელმა ძლიერი და უძლური არ იცის. თუ უფსკრულზე გადასახტომი ათი ნაბიჯია, ის მუხლმაგარისათვისაც ათი ნაბიჯია და კოჭლისა და ხეიბრისთვისაც. ასეთია ბუნების ულმობელი კანონი.

იმ დღეს დიდი ჯაფა დაადგათ. დიდი დავიდარაბა გადაიტანეს და ვინც რქისკიდების საიდუმლოს ვერ ეზიარა, ქვევით ჩაცვივდა და იმდენად ჩაიმზღვლა, ბევრს სისხლიც კი გადინდა ქვისა და ყინვის ნახნაგებზე, მაგრამ რამდენიმემ მაინც შეძლო გადმობრეცილ კლდეზე გასვლა.

რეხოს იმედი მიეცა, თუ ოდესმე მშობლიურ საჯიხვეებისკენ პირს იზამდა, უკან როგორმე მარტო არ გააღწევდა. მანამდე კი ბევრი ამისთანა დღის დაღამება დასჭირდებოდათ და ნაგვემ-ნაბეგვებს ბარე ორი ღამის თეთრად გათენება.

8

კიდევ ერთი საიდუმლო უნდა იცოდნენ ჯიხვებმა...

ნაპრალი ან კლდეებს შორის პირმოღებული უფსკრული, ყველაფერს ნთქავს, რასაც შიგ ფეხი ჩაუცდება და ისე ყლაპავს, მის ბნელ სტომაქში მშვიერი სვავებიც ვერ ჩაიხედავენ.

ერთადერთი ჯიხვია, ამ მოუპირავს რომ არ ნებდება. არადა, ნაპრალი თუ ქვესკნელის ხახა, ზამთარ-ზაფხულ ჩაყინულია, შიგ ისე გაქანდება, ჩლიქს ვერსად მოდებ.

ჯიხვი სასწაულს ახდენს! ამ მხრიდან გადავარდნილი იქითა კედელს აწყდება, რომ იქ რაიმე საყრდენი იშოვოს, თუ არა და იქიდან უკან ხტება – არც აქაა ჩლიქის მოსადები – ისევე იქითა მხარეს ასკდება, რომ ვარდნა შეაფერხოს, შეანელოს და ქვევით ისე არ ჩავარდეს, ძვლებად ჩაიმზღვლეს...

ასიდან გადარჩენის ასივე საიდუმლო უნდა იცოდეს, დამლუპველი ერთის არმცოდნეც იგივეა, რაც ყოვლად უვიცი.

უნდა გამოიძებნოს ერთმანეთთან ნაპრალის კედლებით ახლოს მდგომი კლდეები და ისეთი სიმაღლისა, ზევიდან ჩამოვარდნილი ან მიხტომ-მოხტომის არმცოდნე ჯიხვი დაშავდეს, მაგრამ სასიკვდილოდ არა, გადარჩეს და დაინახოს, თუ კარგად არ გაინვრთნება და არ იმარჯვებს, ნაპრა-ლში ჩაჩეხვისას რა ელოდება.

9

მთელი ზაფხული იწვა რეხო დანახნაგებულ, მუშტის ტოლა ქვაზე, ფერდებიდან რომ ნეკნებს აცლიდა და ღამეებს თვალღია ათევდა იმაზე ფიქრით, რა ეკეთებინა, რაც ჯოგს მცონარობას, დილიდან საღამომდე ძოვასა და თბილ ბუნაგში ნოლას გადააჩვევდა.

ჯიხვებს ღია ცის ქვეშ, თოშსა და ქარ-შიშხათში ღამის თევა მეტისმეტად გაუჭირდათ, რამდენ-ნადაც, მართალია შარდითა და ნაკელით აყროლებული, მაგრამ თბილი ბუნაგი იქვე ეგულეობდათ. დაღლილებს სიცივისაგან ძილი რომ გაუტყდათ, გვიან, ნაშუაღამევს თითო-ოროლა ფეხაკრეფით მაინც შეიპარა და სანამ მენინავე მღვიმის წინ, ქვაყორეზე მთელი ღამე მუხლჩაუხრელად არ დად-გა, მანამდე ვერაფერი გაანყო.

სითბოს მიჩვეული იოლად ცივდება: ახველებს, აცემინებს და სიცხეს აძლევს. ჭამას მიჩვეული ფაშფაშა კუჭი ცოტას აღარ სჯერდება. მოტეხილი, ნაღრძობი და ნაბეგვი ჯიხვსაც სტკივა და გულსაკლავად აპეტელებს, მაგრამ მენინავე, რომელსაც ხევში რა გაიფაჩუნებს და ცაზე რა გადაიფრენს, ის არ უნდა გამოეპაროს, ასეთ დროს ყრუ უნდა იყოს, ბრმა, გულის მაგიერ ქვა ედოს და ცრემლი კი არა, ნატეხილი ჩლიქიდან გადენილი სისხლიც თოვლის ნაჟურად მიაჩნდეს.

მენინავე ის უნდა იყოს, რაც ყველა და ამავე დროს არამც და არამც ისეთი, როგორც ყველაა.

მძიმეა, უსაშველოდ მძიმეა მეფის გვირგვინი, ოქროსი და ბრილიანტით მოოჭვილი, ბრიყვს მსუბუქი და ადვილად სატარებელი რომ ეჩვენება.

თავი მესამე

1

ზაფხულის ბოლოს ჯოგი აიყარა და საჯიხვეებისკენ მიმავალ გზას დაადგა.
გზა...

სადაა გზა და კვალი, ხიდი და ბილიკი, სადაა გასასვლელი და გადასასვლელი, ნინ გადასახტომ-გადასაშვები.

რეხოს და იმ ორიოდ ბებერ ჯიხვს, რომლებიც თავდაპირველად აქ ამოვიდნენ, რა დაავიწყებო, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯი სიკვდილთან ჭიდილი იყო.

ყველა სულიერი სიკვდილის შვილია, მაგრამ ბედნიერება ისაა, რომ არ იცი, სად გელოდება და როდის მოგწვდება. ამისთანა გზაზე კი ხედავ, აგერ, იმ ქიმზე ზის ან ნაპრალშია გალურსული, მთელი ძალისხმევით რომ ნახტომს აკეთებ, იმ კლდეზე გელოდება, სადაც ზევიდან გადმოშვებული უნდა დაენარცხო. ყველა ხევი, ნაპრალი და უფსკრული ჯოჯოხეთის ღია კარია. მიდინარ და ზეციდან ორბების, სვავებისა და ყორნების ყაშყაში მიგაცილებს, რაკი მსუნაგი მტაცებლის უტყუარი ალლო წინდან უხვ სუფრას ჰპირდება...

2

დაბრუნება კი არა, უკან დახევა, დაყოვნებაც დალუბვა ან გადაგვარება. თითქოს ორივე სულერთია, მაგრამ გადაგვარებას – სხვად ქცევას, მაინც დალუბვა-განადგურება სჯობს.

ან ის უნდა იყო, რაცა ხარ, ან არ უნდა იყო.

თუ ჩაუქი გალანრდება, ბოლოს და ბოლოს, ისიც მოკვდება, მაგრამ უკვე ლაჩარი და არა მამაცი. გულადი როცა გამფრთხალდა – მაშინ მოკვდა. არ სჯობდა მაშინვე დაგვეტირებინა და დაგვემარხა, მერე რომ ძაბუნს უცრემლოდ ვასამარებთ?! გმირი დავკარგეთ, რომ გადაგვარებულს ერთხანს ებოგინა. ამ ჯოგიდან, ყველა რომ ერთნაირად ძოვდა, ერთნაირად ლოკავდა თოვლის ნაჟურს და ერთნაირად ეძინათ აძინძიხებულ, მყრალ, მაგრამ თბილ ქვაბულში, ერთმანეთს ჭამის მადითა და სიმსუქნით თუ სჯობნიან, თორემ არავინ უწყის, ვინ ფეხმალი კისკასია და ვინ – საპყარი, ვინ ცქაფია, გულდიდი და ვინ – ლაყე და გულღრძო, ვინ – მედგარი თუ ჯაბანი...

და ათს ერთი არ ჯობს ჯოგიდან, ამ მწვერვალის დამლაშქრავი? ამ ხეების თავზე გადამფრენი და მტრისათვის მიუწვდომელი, შიმშილით მძღომელი და წყურვილით წყურვილის დამრწყულებელი? მცირედითაც კმაყოფილი და სადაც დაულამდება, იქ გამთენებელი?..

რეხომ ამაზე ფიქრით იმდენი დღე დააღამა და ღამე თეთრად გაათენა, კარგა ხანია, იცის, რა დაუკარგა ჯოგს და შეუძლებელის შეძლება მოინდომა – დაუბრუნოს შვილი საჯიხვეებს და ჯიხვს – ჯიხვობა. დაუბრუნოს, სანამ ჯიშში მთლად არ დაკარგულა, არ მომსპარა ჭირთა თმენის და გასაჭირ-გაუსაძლისში გამძლეობის ნიჭი. სანამ ჯიშის ამტანობა-ძალმოსილება თვლემს და არ აღმოფხვრილა!

ჯოგს გამოფხიზლება და თვალის გახელა სჭირდება. რა თქმა უნდა, ისე მხნე და მამაცი, ჯერ-ჯერობით, ვერ გაიღვიძებს, როგორმაც დაიძინა, მაგრამ დიდხანს არ უნდა აზმოროს და თვალები არ იფშენიტოს, უმალ უნდა გამოერკვეს, რომ ძღომა, მყრალ ბუნაგში გდება, თვითკმაყოფილება და თავქეიფი, უნაირო ღნაშვა ხასიათად არ ექცეს, სანამ შეუპოვრობისა და საბრძოლო შემართების წარსული ისევ ახსოვს და მისტირის, სანამ დღევანდელი საჩოთირო ყოფა თვითონაც ეზიზღება, მაგრამ რაკი პირუთვნელობა დაკარგა, პატივმოყვარეობის გამო არ ძრახავს და ვერ ელევა; მანამდე, სანამ იმ ყროლ წუნწუხში გდებას და სავსე სტომაქით ყოფნას ყოფად, ცხოვრებად მიიჩნევს და სიზმრებში გადახდილ ბრძოლებსა და გამარჯვებებს – სინამდვილედ.

სული თუ მძორად იქცა, მძორისაგან მწვადიც აღარ გამოვა. თხისაგან ვერავითარი შორსმჭვრეტელი და ბრძენი მენინავე ჯიხვს ვერ შექმნის, მაგრამ ჯიხვის თხად ქცევა იოლია – საკმარისია ფარეხსა და წველას შეაჩვიო, რომ ჯოგი არვედ იქცეს.

3

რეხოს, ჯერჯერობით, არ ზმანებია, ვინმე რომ წველიდა, მაგრამ ცური რომ ეკიდა და მგლის შავ-შავი ლეკვები წოვდნენ, ამას სიკვდილის მერეც ვერ დაივიწყებს. მას აქეთია მუხლჩაუხრელად დგას და ძილს სათოფედ არ იკარებს. დილიდან საღამომდე კლდეებზე ხტომამ, უმადობამ და უძილობამ დაასუსტა, თვალები ჩაუცვივდა, ნეკნები დასათვლელი გაუხდა.

მეტის გაძლება აღარ შეიძლებოდა, აქაურობა ზეზეურად ჩამოახმოდა, გამოფიტავდა და რისი შემძლებელიც იყო, იმის უნარსაც დაკარგავდა. როცა გადანყვიტა, ხვალ დილით იქაურობას უკან-მოუხედავად გასცლოდა, დამშვიდებული დანვა.

მაშინვე ძილმა მიიტაცა და ესიზმრა ის ხავსით დატალული კლდე, ერთგან ჟანგისფერი მარ-ლი ცრემლივით რომ ჟონავს. ის კლდე ამ უზარმაზარ, უთვალავ მწვერვლებში ერთადერთია, განუმეორებელი, შეუდარებელი... იმ კლდის ძირში, სულ ერთი ციცქნა, ჯილესავით ხვრელში – დედა შუნი ტანს რომ ძლივს იფარავდა – დაიბადა რეხო ნაშულამევს, ცისიერი რომ ძლივს, ძლივს ილანდებოდა. გამთენიამდე კინალამ სული ამოხდა, სანამ დარანში მზემ მწვერვლებზე გადმოდ-გომისთანავე არ შემოიხედა. ბედნიერება იყო, რომ ფოთრის ქვეყნად მოვლინებას ამინდი დაეს-წრო. გაზაფხულის მზე გათომილ ქვებსა და ღორღში ნასხლეტ, აკანკალებულ ფოთრს დედასავით მოეთბო.

იმ დატალულმა კლდემ, იმ პირველხილულმა მზემ და დედა შუნის დამყვავებელმა მოხმობა-პე-ტელმა ბოლოლამინდელ ღრუბლიან და ქარაშოტიან ბნელში დილამდე წათვლემამ არ აცალა და სიცივის მაგიერ სიცხემ გამოაფხიზლა.

აქ სიცხე შუადღითაც არავის ახსოვს. ეს ავადმყოფობაა, იმ დატალული კლდის მონატრების თაკარა, იმ მზის ცეცხლი, დაბადებისთანავე რომ ბარჩხალა სხივებით მიეალერსა თუ გუშინ, გუშინნინ და იმის წინ კლდიდან კლდეზე, თუ ნაპრალებზე ხტომის, რქით კიდებისას ჩამოცურე-ბა-ჩამოვარდნის, ჩლიქის ნატეხვის, მუხლების დაბეგვისა და გვერდების დაბეჭილობის ბრალია?

დილამდე მღვიძარესაც ოფლი ასხამდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და წყურვილს თოვლის ნაჟურიც ვერ უკლავდა. ის დატალული კლდის ძირი უნდოდა სანოლად, იქაური წყალი – დასარწყულვლად, იქაური ბალახი – ნამლად და ყვავილები – თვალგასახარად.

ახალშობილს რომ დედამ თვალეები ამოულოკა და პირველად გაახილა, გამთენიისას კლდის ძირ-ში ოქროსფერი პატარა, ოთხფურცლიანი ყვავილი დაინახა და მზის ამოსვლამდე იმან გააძლებინა. მერე, როცა მნათობი ამობრწყინდა, ისიც ვეება ყვავილი ეგონა. მზეს, რა თქმა უნდა, თვალი ვერ გაუსწორა და იგუმანა: სანამ ჩვილი ვარ, ამ პატარას უნდა დავჯერდე, დიდ ყვავილს, როცა გავიზ-რდები, ალბათ, მერე უნდა ვუცქიროო.

... და დილაუთენია, ხავსით დატალული კლდის ძირში ანთებული პანანინა მზე და ის ჟანგის-ფერი ტინის ცრემლი ისე მოუნდა, აღარაფერი დაეძია, თავიც გასწირა, ჯოგიც და დედაბუდიანად აიყარნენ.

4

მიუძღვება რეხო, მიდის ჯოგი და ბრუნდება მშობლიურ საჯიხვეებში. უბრუნდება სიზმრად-ქცეულ ანკარა ჩანჩქერებს, ჩუხჩუხა მჟავე წყაროებს, აყვავებულ მდელოებსა და ხეებს, იქაურ ნაპრალებს, სადაც წინაპრების ნეშტები და რქები, მაგარი ძვლები ჰყრია. უბრუნდებიან მოძმე ჯიხვეებს, რომლებიც ასე მომრავლებული არ იქნებიან, მაგრამ მყვირალობისას სამკვდრო-სასი-ცოცხლო ბრძოლას გაუმართავენ და აქაურ დუნე თანამემამულეებს მსუქან შუნებს წაართმევენ, რომ ჯიში უკეთესის უკეთესმა გააგრძელოს. ვინც იმ განუწკებულ, გამამაძაღლებულ მგლებშიც შეძლო არსებობა, სადაც დათვი, არწივი, ძერა და ორბი თავს ესხმოდა, მაგრამ გაუძლო; სადაც კბილებამდე შეიარაღებული, მომრავლებული მონადირეები ბილიკებზე უსაფრდებოდნენ, ტყვიას მთიდან მთაზე უწვდენდნენ და თავი მაინც გადაირჩინეს.

გზაზე დადგომამ რეხოს თითქოს უშელავათა, მაგრამ ხიფათი ბანარივით დაკიდებულ ბილიკზე დაშვებისთანავე აედევნათ და ერთმა შარშანდელმა ფოთრ-ჯიხვმა, პირველსავე ციცაბოზე შეტყუ-პებული წინა ფეხებით ჩამოცურებას გადმოხტომა ამჯობინა. ქვევით თავი ველარ შეიკავა, მარცხენა რქის ძირი ლოდის შვერილს ჩამოჰკრა და შუბლი წითლად შეიღება. ეს, იქნებ, სხვა დროს არაფერი, მაგრამ რქისკიდებით გასასვლელებში კოჭლი სჯობია, რაკი ცალქანალაღატევის შესაძლებლობა განახევრებულია და ამ ჯოჯოხეთის გზაზე დამდგარს ძალის გაორმაგებაც ვერ უშველის.

ეს ასეც მოხდა. ეტყობა, ამ საბედისწერო დარტყმამ თავბრუც დაახვია და იმჯერად, თითქოს, მალე გაუარა, მაგრამ დროდადრო, ალბათ, ისევ მოუვლიდა და როცა მყინვარის ენაზე გავიდნენ, რასაც ზაფხული ღრმა ნაპრალებს უჩენს, ცალქანალაღატევის ფეხი პირველსავე ნაპრალებში ჩაუც-და და ჩაიჩენა. თითქოს ასეთ დროს კოჭლი და მუხლსუსტი უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ჯიხვეები სხვაგვარად ცხოვრობენ და სხვანაირად იხოცებიან.

განწირულმა დაპეტელეებაც ვერ მოასწრო. რეხო ნაპრალის თავზე მისეულმა თანამოძმეების ბლავილმა მოახედა. უკან მიბრუნება არ ღირდა. ჩალენილს ცოცხლების ცრემლი ვერაფერს უშველიდა.

თვალცრემლიანი, მტირალი ჯოგი ნაპრალეებისა და უფსკრულების თავზე გზას ვერ გაიკვლევს. ჯოგი გულდაკოდილი და აღრენილი გამოჰყვა.

თითქოს ყველამ იცის, ნამდვილი გული გარედან არ ჩანს, მაგრამ საუბედუროდ, ყველას მაინც ხელისგულზე დადებული გული ურჩევნია.

5

ჯოგს თავში ლოდისცემა აღარ უშველიდა. მოძმის დალუპვას სხვები უნდა გადაერჩინა, მაგრამ საშიშროება ერთგვარი როდი გემუქრება, ერთმა შემთხვევამ ჭკუა გასწავლოს და მეორე არ დაგემართოს. ეს მარცხი შეიძლება მსგავსი ფათერაკის გასათვალისწინებლად გამოდგეს, ციცაბოზე გადავლება ასე ხელალებით მეორედ ვერავინ გაბედოს, მაგრამ მწვერვალეებში იმდენნაირი განსაცდელია, რამდენიც ქვა და ლოდი, რამდენიც გადასახტომი, ნაპრალი, უფსკრული და ქვესკნელი.

სითამამე და წინდაუხედაობა დამლუპველია, მაგრამ შიში და ყოველ ნაბიჯზე უსაფრთხო ფეხის დასადგმელის ძებნაც – შეუძლებელი. ასე, იქნებ, ცხრა ნაბიჯით როგორმე წაინიო, მაგრამ მეთათეს ველარ გადაადგამ. ყოველწამს თუ ელდა შეგიკრავს ფეხებს, მაინც უფსკრულში გადაგადგებს.

რეხოს იმ ჯიხვის დალუპვის შემდეგ ხელახლა დასცხა, ვითომ, რამდენი ქვევით დაინია, მეშელავათაო, რომ ეგონა. ეს სისუსტეა, რომლის გაუმჟღავნებლობა შესძელი, მაგრამ განუცდებლობა – ვერა.

მენინავე შეჩერდა.

ფოთრ-ჯიხვი რომ არ დალუპულიყო, ამ ვინრო ხევზე გადასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. მთელი ძალისმიერი, გრძელი კი არა, წინდახედული, გამოზომილი ნახტომი იყო საჭირო, რაკი სწორედ ამ გადმობტომამ და კლდეს შეხლამ გაუბზარა განწირულს რქა და თავბრუსხვევა დამართა... ისეთი ადგილი უნდა შეერჩიათ, გადაღმა შესახეთქებელი არაფერი ყოფილიყო.

რეხომ თვალის ერთი მოვლებით შეამჩნია – მალლა უნდა აჰყოლოდა. მალლა აყოლა უკან დაბრუნებას ნიშნავს. სიმწრით გამოვლილი გზა ხელახლა გასავლელად და დროის დასაკარგავად დასანანია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დიდი მანძილის გავლა არ დასჭირვებიათ. იქ ხევი, თითქოს, განიერიც კი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, გადაღმა მხარე ოდნავ დაბალი ჰქონდა და ზედ გადავლებული წინ არაფერს შეენარცხებოდა.

იქვე მდგომ ბებერ ხარს დაუსტვინა, წინ ნასულიყო. ბებერს მუხლი ძველებურად აღარ ერჩოდა, მაგრამ გამოცდილება და საჯიხვეების მონატრება ჰქონდა სხვებზე მეტი. ადგილიდან აინია, გადაეშვა და გაღმა იმდენზე მისწვდა, ყურის სიფართე რომ დაჰკლებოდა, ჩაიჩხებოდა. ოდნავ უკან დახევა და რამდენიმე ნაბიჯზე გამოქანება აჯობებდა. ბებერი ან შეცდა, ან ყველაფერი ზედმინეწით ზუსტად იანგარიშა.

რქაჭრელი გამოქანდა და იოლად გადაევლო. მეორე ბებერმა უფრო შორიდან გამოქანება ამჯობინა და დახტომისას ხიფათი ერთი ნაბიჯით უკან მოიჭოვა. ქედამ აქეთაც დააკლო ერთი ნაბიჯი და იქითაც გადააცილა. რეხოს მისი საქციელი არ მოეწონა: საჭიროზე მეტი ძალ-ლონე არ უნდა გამოიყენო, უნდა გამოიზოგო, მომჭირნედ ხარჯო. მფლანგველი სხვაზე ადრე რჩება ხელცარიელი.

6

მზე საშუალოზე იყო და ჯოგს მუცელში არაფერი ედო, გარდა იმ თითო-ოროლა სულმოკლეებისა, გზაში რომ, რაიმე საკბილოს მოახელთებდნენ. ყველაზე ადრე ისინი დაილაღნენ და გაუჭირდათ. წინა კვირაში ქიმებზე ხტომისას აკოჭლებულ ფერდნისლას ვითომ ამ დილით რომ აღარაფერი აწუხებდა, ბოლოს და ბოლოს, სატიკვარმა გაუხსენა და ჯოგს სამ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით აედევნა.

რეხომ ერთხანს მაინც ატარა სამწყსო, მწვერვალის კედელ-კედელ, განივად, ციცაბო დაღმართისა და აღმართის გადალახვა რომ არ დასჭირვებოდათ. ქარაფის ბოლოში შეჩერდა, სადაც თოვლის ნაჟურის ღელე მონანწკარებდა.

უკვე დაღლილ და დადარდიანებულ ჯოგს სული უნდა მოებრუნებინა და ღამეც იქ გაეთია.

წყლის გარდა, ახლომახლო, იმდენი ბალახიც იყო, ამბობებული სტომაქი დაეცხროთ.

ღამითაც ისე აღარ ყინავდა, როგორც ზევით, მათ მიტოვებულ სახიზნარში.

მეორე დილით, უთენია, ფრიალო აღმართს უნდა შედგომოდნენ. დიდხანს უნდა ევლოთ აღ-
მა-დაღმა და მწვერვალისათვის შემოევილოთ, რაკი ფრიალოს იქით მწვერვალს ისეთი შვეული
კლდეები საზღვრავდა, აქედან ორბი და ძერა თუ ჩაფრინდებოდა.

მტაცებელი ფრინველები, რეხოს ჯოგს, რაც ამ მიუფალში გადმოიხვეწნენ და ველარაფერი
საკბილო იშოვეს, იმ დროიდან ჩამოშორდნენ. გუშინ რაკი ქვევით-ქვევით წამოვიდნენ და დღესაც
გზა წინ გააგრძელეს, ამ ლემის მოყვარულებმა სისხლის სუნი დაღვრამდე იკრეს და ცაზე ჯერ
ირაო შეჰკრეს, მერე დაბლა-დაბლა აედევნენ და კედლებზე სახიფათოდ გაბანრულებს ქიმებში
მოთმინებით დაუდარაჯდნენ.

საცაა არნივიც გამოჩნდებოდა, ალბათ, და მენინავეს ჯოგი ან ისეთ ბილიკზე უნდა გაეყვანა,
სადაც ფრინველთა მეფე ფოთრ-ჯიხვებზე თავდასხმას ვერ შეძლებდა, ან თუ სხვა გზა არ იქნე-
ბოდა, ასეთი საბედისწერო ადგილის თავზე თვითონ შემდგარიყო და ქვევით ჯოგი გაეტარებინა.

არნივის დანახვამდე რეხოს მახვილ სმენას მისი ყაშყაში მოესმა. მიუხედავად მისი ულმობე-
ლობისა, არნივი უყვარდა. ხიბლავდა მისი ძლიერი ფრთებით ატეხილი შუილი და უძალისხმევო
ძლიერება. მეფის გამოჩენისას შევარდნები თუ გაიქროლებდნენ ცაზე, თორემ, თვით არნივზე
მძიმე ორბებიც კი ქიმებიდან ქვევით, კლდის ეხებში ჩაინაცვლებდნენ, ძერები და ქორები აფრენა-
საც ვერ ბედავდნენ, ყვავ-ყორნები ხომ იმ არემარეზე არ გაიჭაჭანებდნენ.

არნივი მათ ვერც ხედავს და არც ერჩის, მაგრამ ისინი ხედავენ და მისი ძლიერებით დათ-
რგუნულები გაუდევნელად იდევნებიან.

ესაა, ალბათ, რეხოს რომ მოსწონს. ძლიერებას ძალის გამოვლინება არ უნდა დასჭირდეს, იგი
თვალდახუჭულმაც უნდა დაინახო, როგორც მშვენიერება – თავსაც რომ გარიდებდეს, თვალს
მაინც ვერ უნდა სწყვეტდე. დატალული კლდის ძირში ამოსული ყვავილივით უნდა იყოს, პატარა
მზესავით, თვალიდან რომ ვერ იშორებ, არ ჩანს და ხედავ... აგერ, რეხოს დაბადების დღიდან
უცქერის და სიბერეში ფეხშედგმულს სიზმრიდანაც უნათებს, სიცივეში იმ სიშორიდანაც ათბობს.

არნივი ჯიხვის რქასავით აწვდილ მახვილ ქიმზე დაეშვა. თითქოს ქვევითაც არ იხედება, მა-
გრამ ყველაფერს ხედავს, არ იმალება და არ გეპარება. იცი, აგერაა და, თუ ჭკუა გაქვს, თავს
გაუფრთხილდი. თუ არ იცი, ფეხს სად ადგამ და წინ არ იხედები, არაფერი გიხსნის. ასეთი უთაური
დღეს არა, ხვალ ორბის, ან მგლის არჩივი გახდები და ბარემ მეფეს ერგო, ვინემ შავმა, მყრალმა
ლეშიჭამია ყორნებმა გძიძგონ.

რეხომ დიდი ხნის წინათ ამოიარა ეს გზა, მაგრამ ყოველი კლდე და ქიმი, ქვა და ღორღი ახსენ-
ებს იმას, სად რა ხიფათი იყო ჩასაფრებული და რა დაჰკარგა. ამ არნივის მამა იყო, ალბათ, ჯიხვე-
ბი იმ მონითალო, ღია ბილიკზე რომ გამწკრივდნენ და რეხო შემზარავმა ყაშყაშის ხმამ დაზაფრა.
უკან მობრუნება დააპირა, მაგრამ ერთხანს ფეხი ვერ წადგა, რალაცნაირად ისე დაატყვევა, მალე
კი ყველაფერი გვიან იყო. ზევიდან გადმოსროლილი ლოდით დაეშვა მტაცებელი. მისი შუბივით
წანვდილი თავი ნატყორცნივით სწორხაზოვნად უახლოვდებოდა სამსხვერპლოს. სრბოლისაგან
ატეხილი ქარი ჰკიოდა. სანამ დაეცემოდა, ფრთები გაშალა, ნახევრად გადაიხარა, ცალი მხარი
ჯიხვს დაჰკრა, ქვევით გაისროლა და მალლა ავარდა. დაბლა არც დაუხედავს იმის ზედმინევივით
მცოდნეს, როგორ თხლიშა, სად გაგზავნა და სადილი სად ელოდა.

მენინავე იმ თავლია, მონითალო, კლდის ბილიკზე დადგა, რომ არ გამოპარვოდა მოძალადე
სამიზნედ რომელს ამოიღებდა და ყოველ სამსხვერპლოდ განწირულს ბილიკის თავიდან ბოლომ-
დე გაჰყვა, თავისი მალლა შემართული მძიმე რქების ჩრდილქვეშ სათითაოდ გადაიყვანა არნივის
ულუფად თვალდადგმულნი.

7

რაც ჯოგმა მზიანი კალთებისკენ გადმოინაცვლა, თითქოს ბალახი ყუათიანი და ყვავილი სურ-
ნელოვანი გახდა. წინ დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ, მაგრამ, რაკი დროს არ კარგავდნენ, ხეი-
რიანად დანაყრებისა და დარწყულების დრო აღარ რჩებოდა. თან მტაცებელ ფრინველთა თავზე
წრიალი ჯოგს მადას უკარგავდა. მათი თავდასხმებისა და ვერაგობის არმცოდნე ჯიხვებს თვალი
სულ მალლა ეჭირათ, ყოველი მათი გადაფრენა და ყიპყიპი თავდასხმა ეგონათ. ამასობაში ქრე-
ლი, უმშვენიერესი შურთხებიც გამოჩნდნენ, მათმა განგაშმა და ზარის რეკვამ ხომ ყველაფერი
არია, ერთიანად ააფორიაქა.

ვერც რეხოსა და ვერც ორიოდ ბებერი ხარის სიმშვიდემ დამფრთხალი ჯოგი ვერ დაამოშ-
მინა. ვერ დაიჯერეს, რომ ისინი არც ერთი საშიში არაა, გარდა არნივისა და ისიც მაშინ, როცა

რომელიმე უგუნური ფოთრი ისეთ შვერილზე შეხტება და შეჩერდება, საიდანაც მისი გადაგდება შეიძლება. არადა, ეს შფოთი და შიშია ის, რაც მომხდურებს უნდათ, რომ ცას მიშტერებული და წინდაუხედავი შეიძლება აქ ყოველ ნაბიჯზე გადაიჩეხოს და მტერი გაახაროს. შურთხიცი ზარს იმიტომ რეკავს, რომ ჯიხვებმა ცას კი არ უყურონ, წინ დაიხედონ და როცა ამის საშუალება ეძლევათ, თავაუღებლად ძოვონ და დარწყულდნენ, არ დაიმშენ, მუხლში ძალა არ გამოელოთ და თვალში – სინათლე. ჯიხვმა თუ მუცელში არაფერი ჩაიდო, შურთხი რითი იკვებოს. თავდამსხმელს კი ის უდარაჯებს, რომ ჯოგმა თავისი საქმე მუყაითად აკეთოს.

მტაცებელი ფრინველების მოძალეობამ და შურთხების გნიასმა მაინც შეინირა ერთი ოტროველა, ახალგაზრდაც რომ აღარ ეთქმოდა. არნივის მსხვერპლი მაინც გამხდარიყო, ორბის დაბალზე გადაფრენამ, თავზე დაცემას რომ ჰგავდა, დააფრთხო. ვითომ მარდად გაცლა ინდომა, აინია და უკან გადახტა, ისკუპა, მაგრამ ერთ საშიშროებას რომ გაეცალა, ეგონა, ის ველარ ივარაუდა, სად უნდა დამხტარიყო და ისე, რომ არაფერს წამოსდებია, ხევში გაქანდა. მტაცებლები ყვილით დაედევნენ და ზეცა, ერთხანს, ანიოკებული შურთხების ამარა დარჩა.

ამან ჯოგში უმრავლესობა ისე დააშინა, უმენინაოდ რა ექნათ, თორემ, მათ საიმედო თავშესაფარში დაბრუნება და ისევ ხიზნობა ერჩიათ. ამ უბედურებას თუ კიდევ მგელი და დათვი დაემატებოდა, თან ჯიხვების მძვინვარე მტერი – მონადირეც ტყვიის ცეცხლში გახვევდათ, წინ ნაბიჯის ნადგმა აღარ ღირდა. რომელი ჯიშის გადარჩენაზე შეიძლებოდა ფიქრი და რისთვის იღვწოდა მენინავე? ან ის ორიოდ ბებერი, ერთ დასტვენაზე რომ უფსკრულის თავზე გადადიოდა? ან ის რქაჭრელი, ქედა, რქებგაშლილი, პირქუშა, მენინავის ალი-კვალი და კიდევ ორი-სამი გამოუცდელი ახალგაზრდა რომ აიყოლიეს და იქ დაბრუნება უნდათ, რაც წინაპრებმა დაუტოვეს და მათ თვალით არ უნახავთ.

დაიბნა ჯოგი, გაორჭოფდა, სასო წაერთვა.

თითქოს ისიც იციან, რომ მტრების შიშით რეხო ჯოგს უკან აღარ დააბრუნებს ჯიხვის ჯიშის დასალუპავად. თუ განწირულნი არიან, სჯობია კლდესთან, უფსკრულთან, არნივთან, მგელთან და მონადირესთან ჭიდილში ამოწყდნენ. მეზრძოლი, გამარჯვების მცდელი ჯობს დაილუპოს, ვინემ გამოქვაბულში შემძვრალი ლაჩარი თავისსავე ნეხვსა და წუნწახში ამოიხრჩოს!

შიშველი რქების ამარა ჯიხვების არნივთან, მხეცთან და მონადირესთან დამარცხება ნაგებულ ბრძოლად არც ჩაითვლება. თეთრი მთები და ბნელი უფსკრულები მათ ძვლებს მაინც შეინახავენ იმის დასტურად, რომ აქ ოდესღაც ცატეხია მწვერვალების მშვენიებანი ბინადრობდნენ, რომელთა მსგავსი ქვეყნიერებაზე არ იყო. მართალია, უთანასწორო ბრძოლაში განადგურდნენ, მაგრამ არ დამარცხებულან. შიშველი რქებით ამდენნაირ მუხანათ მტერს ვერ გაუმკლავდა, მაგრამ გამოქვაბულში, ხვრელში და სოროში არ შემძვრალა, სანველ თხად და საკრეჭ ცხვრად არ ქცეულა. სანამდე იყო, ჯიხვი იყო, თავისუფალი, მწვერვალების მშვენიება და როცა არ იქნება, მის ნამოსახლარს მაინც საჯიხვეები ერქმევა. საყვავყორნეს, სატურიას და სამგლეთს ვერავინ დაარქმევს.

თუ ჯიხვის სამყოფელს სხვისი სახელი ჰქვია, ჯიხვი იქ იღარლილებს, თუ ერთ დღეს განყდება, სულერთია, ეს ქვეყანა მისი მაინც არაა. რასაც შენი არ ჰქვია, შენს იქ ყოფნას არყოფნა სჯობს. ვისაც რა ჰქვია, იმას ეძახიან – სახელდებით იცნობენ. შენ თუ ეს ხარ, სახელს სხვას რატომ გეძახიან? თუ იყავი, სახელიც შენი გერქმეოდა და თუ ახლაც ხარ, გვარ-სახელი რა უყავი!

საჯიხვეებში ჯიხვებს უნდა ეცხოვრათ და სატურია, სამგლეთი ან სადათვეთი არ დაერქმეოდა.

ჯიხვს საჯიხვეებს იქით არ ეცხოვრება! რაკი ამ მწვერვალების მშვენიებას ციცაბო კლდეების ქიმებზე დაეძებს მოყვრისა თუ მტრის თვალი. სადმე, გამოქვაბულში, ხვრელში, ან სოროში ვერავინ მოიძებნის და ვერც იპოვის.

თავი მეოთხე

1

ჯოგი იმ უფსკრულის პირას იდგა, რომლის გადალახვაც ერთ დროს ახალგაზრდა მენინავემ და მისმა სამწყსომ, არცთუ უდანაკარგოდ, მაგრამ მაინც შეძლო. მაშინ უკან დაბრუნებაზე არავინ დაფიქრებულა, რაკი მტრებით გარემოცულ საჯიხვეებში ბინადრობას აღარ აპირებდნენ. როგორმე გადმოსვლა მოეხერხებინათ და გადასვლა არავის ადარდებდა, მაგრამ თუ უკან დაბრუნება გინდა, სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე უნდა იფიქრო.

მტერი რომ მტერია, ამიტომ სულელი კი არაა, პირიქით, მონადირე მოსანადირებელზე მოხერხებული და ჭკვიანი უნდა იყოს, თორემ პირში ჩალაგამოვლებული დარჩება. დამპყრობელი თუ მუხანათი, ვერაგი და დასაპყრობელზე ძლიერი არაა, ვერაგის დაიმონებს. ასე რომ, თუ ვინმე ან რაიმე აქეთ სამტროდ გადმოსვლას ინდომებდა, უკან დაბრუნებაზეც იფიქრებდა და იმაზეც – ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო. ამ უფსკრულში ჩამხედავი უმალ მიხვდებოდა, რასაც იქით წაიღებდა, გადმოღმა იმასაც ვერ გადმოიტანდა.

ახლა, ფოთრი რომ ფოთრია, ისიც ხედავდა, სანამ ეს ქვესკნელი ჯიხვებით არ ამოივსებოდა, აქედან ვერავინ გააღწევდა. გამხტომს, იქნებ დიდი ძალისხმევით, იქითა კლდისთვის ფეხი მიენვდინა, მაგრამ იქ იმისთანა ტინს უნდა შეხეთქებოდა, სადაც ვითომ ჩლიქის მოსადები კია, მაგრამ ზედ ვერ შეჩერდები. გვერდით გადმოხეტილ პიტალოს თავზე ვინრო ნაბზარი ჩანს და გაღმა გაღწეულმა რომ წამით დააყოვნოს, მაშინვე იმ ნაბზარს რქით არ მისწვდეს და თან ისე შეუცდომლად, რომ რქა უეჭველად გამოსდოს – ჯოჯოხეთი ჩანთქავს. რომელი სვებედნიერიც ნაბზარზე დაეკიდება, ტანი ისე უნდა გაიქნიოს და გაისროლოს, შვერილს მისწვდეს და ზედ შერჩეს. სამშვიდობოს გასული ამის მერეც არ ეთქმის. იქიდან, კლდეს აკრულმა, ბენვის ბილიკზე ისე უნდა გაიაროს, ფერდები ჩაცვენილი ჰქონდეს და ნეკნებზე ბალანიც უნდა გაცვივდეს, რათა ტანმა აქეთ არ გადმოძალოს და უფსკრულში არ გადაეშვას.

2

მეწინავე იმ ვინრო ნაკვალევის ბოლოში დადგა, საიდანაც ჯოგი ამ ქვესკნელის პირას ჩამოვიდა. აქ ამდენი ჯიხვის არც დასანაყრებელი იყო, არც დასარწყულებელი, მაგრამ თუ მთლიანად დაღუპვას და განადგურებას არ აპირებდნენ, სმა-ჭამა არც უნდა გახსენებოდათ.

რეხომ ჩამოსასვლელი გადაკეტა.

ის ძალა აღარ შესწევდა, წინ გაჭრილიყო, გადაულახავი გადაელახა, გულადები წაექეზებინა და გაეყოლებინა. რომლებიც შიმშილით სიკვდილს არჩევდნენ და უფსკრულზე გადამვლები მაინც არ იყვნენ, იმათთვის უკან უნდა გადმოსულიყო, აქძულებინა, გადაერეკა და ხელახლა გაღმა გაღწევა ისევ შესძლებოდა.

მეწინავე ჩამოსასვლელის თავზე შეუვალად გაირინდა. ყველას უნდა სცოდნოდა, ერთადერთი გზა წინ იდო და ამაო იყო სხვა მხარეზე თვალის გაპარება.

გაღმა, მხოლოდ გადაღმა უნდა ეცქირათ!

გადასვლა ორი სიკვდილიდან უკეთესის ამორჩევას უდრიდა. გამოღმა გარდაუვალი აღსასრულის შიში და სასწაულით გადარჩენის იმედი თუ აიძულებდათ გზას დასდგომოდნენ.

აქეთ არაფერი გიხსნის, იქით – სასწაული.

ასეთ დროს ჯიხვები მეწინავეს ვერ აუმხედრდებიან და თავს ვერც გაქცევით უშველიან. შიშს დიდი თვალეები აქვს და მხდალმა უკეთ იცის, არსად გასაძრომი რომ არაა. დაზაფრულს ფეხები შეკრული აქვს. მამაცმა – მხდალი არ გარბის, მე სად წავიდეო, ავყია დამუნჯებულთა: რომ ავყვირდე, ვაითუ პირველს მაიძულონ გადახტომა და მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო. თუ ხმა ვერ ამოიღე, შენისთანებთან, უმრავლესობაც რომ იყოს, პირს ვერ შეკრავ და მაღლიდან გადმომდგარ მეწინავეს ვერ გადმოაგდებ. ისეთ ადგილასაა, ერთად ორი ჯიხვიც ვერ მიუახლოვდება და სათითაოდ, ვისაც გული ერჩოდა, მყვირალობისას ნაბრძოლია. რეხოს შეტაკება თანასწორ პირობებში არ წაუგია და ახლა, ვინმე მასზე ორჯერ ძლიერიც რომ იყოს, შეუძლებელია ქვევიდან მისწვდეს და მისი მორებადქცეული რქების დარტყმას გაუძლოს.

ჯოგში ბევრი თითქოს გუმანით მაინც გრძნობს, რომ რალაც შეუღეველს, დაკარგულ საუნჯეს უბრუნდება, მაგრამ ვერ გაუგიათ, ისეთი რაა მზისქვეშეთში, რაც იცი, სიცოცხლის ფასად ჯდება და მაინც იქით ეშურები...

ამქვეყნად თუ უნდა, ყველაფერი ცოცხალს და რა შეიძლება იყოს ისე, რაც ცოცხალსა და მკვდარს ერთნაირად სჭირდება?.. დღეს რაა მისთვის აუცილებელი, ყველამ იცის, იქნებ ისიც – რაც ხვალ და ზეგ. უფრო ჭკვიანებმა – რაც ერთი წლის შემდეგ და კიდევ უფრო შორსმჭვრეტელმა – სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ სიკვდილის მერე არავის არაფერი სჭირდება. როცა ამ უფსკრულის ძირში ლოდებზე ძვლები ცალკე გასცვივა, რქები – ცალკე, ხოლო ხორცი სისხლად ჩაიქცევა, ამის მერე რა რჩება? რა შეიძლება სიკვდილმა გადაარჩინოს, რაც სიცოცხლეზე ძვირად ეღირება?!

3

ჯოგი ბრუნავს, დაბლვერილი და რქებმოზიდული კუმტი ჯიხვები მორევივით ირევიან. საკმარი-სია ვინმემ რაიმე წამოიბლავლოს და ის კი არ გაიგონ, რისთვის, რატომ ან რა ბოლმამ აიტანა, მაშინვე ამ ხმის გამღებს ეძგერონ, რომ არავის საბედისწეროდ არ წასცდეს და არ წამოაპეტელოს: წინ დავიძრეთ, უფსკრულზე გადავიდეთ!

ფოთრმაც კი იცის, დედამისიც რომ გადახტეს, თუ თვითონ ძალა არ შესწევს, სადაც ვერ გააღ-ნევს, არ გაჰყვეს. ამას სწავლა არ უნდა, მათი მოდგმა საამისოდ დაკვალიანებული იბადება. ასე რომ არ იყოს, სანამ დაჭკვიანდება და დაბრძენდება, ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ აღსასრულს ვერ გადაურჩება.

ყოველი სულიერის ჩასახვასთან ერთად ჩნდება სიკვდილი და ზოგს დედის მუცელშივე აშთობს. ქვეყნად მოვლინებულს ხომ არავინ იცის, სად წამოენევა და უყვლებს, მაგრამ ჯიხვივით ერთგუ-ლად მაინც არაფერს დარაჯობს – კოჭებში დასდევს და ერთი წაფორხილება კმარა, რომ სული ამოხადოს. ჯიხვმა რომ იცოცხლოს, სიკვდილთან ბრძოლისათვის მზად უნდა დაიბადოს.

ფოთრს დანაბადი ლოპრი და ლორწო შემშრალი არა აქვს, რომ ფეხზე დგას, ნახტომს აკეთებს და გარბის, რომ ხიფათისაგან ჯერდაუნახავი თავი იხსნას. ახლა, როცა დაბრძენდა, თანდაყოლილ თავდაცვის ნიჭს ამდენი ცოდნა და გამოცდილება დაემატა, უკვე მრავალ მტერსა და ფათერაკს გადაურჩა, ადგეს და უფსკრულს მიადგეს, რომელსაც, წინდანი იცის, ვერ გადაეწვება? იქითა ნაპირს რომც მისწვდეს, ფრიალოზე დასადგომი არსადაა, არც იქვე რქით მისანვდომი. კედელს მიხეთქებულმა, უნდა მოასწროს აღმართვა და გადმოხნეკილ სიპზე, ერთადერთ ვინრო ნაბზარში რქით ჩამოკიდება. ცალი რქით უნდა დამაგრდეს და უკუბიძგი, რომელიც ქვესკნელში აგდებს, კი არ უნდა გააბათილოს, როგორმე გვერდზე მიაქციოს, რომ შვერილისკენ გაქანდეს და ზედ შეისროლოს. თუ აქედან გადაყოლილმა სწრაფვამ ვერ უშველა, რქით დაკიდებული დარჩება და სხვებსაც გზას დაუკეტავს.

ჯოგმა ხევის პირზე ჩაიჩოქა. შიმშილზე, წყურვილსა და დაღლილობაზე მეტად, უიმედობამ მოჰკვეთა მუხლი და სასო წარუხოცა.

4

მეწინავე იმ ლამით ჩამკეტი ბილიკიდან არ ჩამოსულა და არც მუხლი ჩაუხრია. ახლა ჯოგში მისი სისუსტისა და დაძაბუნების მოსურნე ბევრი იყო, რათა როგორმე უკან დასაბრუნებელი გზა გახსნოდათ და ხვალინდელ გარდაუვალ უბედურებას გადარჩენოდნენ.

არწივი გაფრინდა, თორემ ორბები, ძერები და სვავები ახლომახლო ქიმებზე ჩამოლაგდნენ. ყვავ-ყორნები მათ ახლოს ვერა, მაგრამ ჩხავილით დაფარფატებდნენ ხეობებში, მსუქანი ლემის მოლოდინით სულწასულები.

ერთი-ორჯერ ფეხზე ნათვლიმა რეხომ და ორივეჯერ დატალული კლდის ძირში, ხაბოს წინ პანანინა ოთხფურცლიანი მზისფერი, ყვავილი ესიზმრა. ჯიხვის ბენვის ტოლა სხივები უბრწყინავ-და და თვალს კი არ სჭრიდა. სიზმარში კლდეც თითქოს ლორთქო, მოლურჯო-მწვანე იყო, ხავსით კი არა, ზურმუხტის ბუმბულით შემოსილი და მუქნითლად დატალული. მეწამულ, დალეკერტებულ სისხლის ფერს ხავსიც აღარ ეთქმოდა და კლდესაც იმ ჟანგისფერზე დასდებოდა, სადაც სინოტივე მარილიანი ოფლივით ჟონავდა, დაისისფერ ათინათს გამოსცემდა, თუმცა მზე არსად ჩანდა.

ფურივით რძით სავსე ცური რომ ჰქონდა, ერთხელაც აღარ ზმანებია. მაინც გაღვიძებისთანავე რქის წვერით ლაჯები მოიქექა. გამხნევა – ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა. უკანა ფეხებზე ჩაიყუნტა, ძილგამფრთხალს ეშინოდა, ამ დაუოკებელ სწრაფვას მეტად არ აეჩქარებინა და ვიდრე ელოდა, თავს იმაზე დიდი უბედურება არ დაეტეხა.

5

დილა ნისლიანი გათენდა: მღვრიე წყალივით თვალგაუღწეველი, იმდენად ნოტიო-სველი, მწყურ-ვალს უწყლოდ რომ დაარწყულებს. ნამის თქორი ქვებსა და ლოდებს ცივი ოფლივით მოწვეთავდა.

მშიერ-მწყურვალ ჯიხვებს შეეძლოთ ნესტით გაჯერებული ჯანლი ფილტვებით ესვათ, სისხლით ძარღვებში წაელოთ და წყურვილი დაეოკებინათ.

ქვაყრილებში ამომძვრალი ბალახი, ჭამაზე სულწასულებს, ნუხელსავე ისე გადაეკორტნათ, ამ დილით ცვარის დასადებიც აღარაფერი იყო.

ამ საბედისწერო გადასასვლელზე უფსკრულში უწინ ისინი ჩაცვივდებიან. არა იმიტომ, რომ იმ-

დენი იშოვნეს, სტომაქი ამოივსეს და დამძიმდნენ, მოსალოდნელი განსაცდელის მცოდნეს, ჭამის მადა არ უნდა შერჩენოდა. ამისთანა თავქეიფა კუჭის მონამ აქედანაც რომ გააღწიოს, ჯიშს მინც გადააგვარებს.

დარდი საქმეს არ შველისო, ამბობენ უდარდელნი. სანამდე ვართ, დრო ვატაროთო, თავში ხელის ცემა და ქოჩრის გლეჯა რას მოგვცემს, რას გვისაშველებსო. თავში ხელის ცემამ, თუ ის თავია, უნდა ატკინოს, აფიქროს, ააზრებინოს, ჭკუა გადაუბრუნოს და სახსნელი აპოვნინოს. ამისთვისაა ჭმუნვა და ვარამი, ურვა და კაემანი. ჭკუა დარდია და ჭკვიანი – დარდიანი.

დარდია, რომ რეხოს ღამეებს უძილოდ ათენებინებს და ფიქრმა ჰქნა ის, რომ ორიოდ ფეხის ჩაცდენამ დალუპვის კარზე მისული, მაძლარი და ბედით კმაყოფილი ჯოგი დაანახვა.

უდარდელი იმას ხედავს, რასაც თვალთ უცქერის. თვალთ ის ჩანს, რომ ჯიხვები ცოტა დაქეცვიანდნენ, თორემ მსუქნად გამოიყურებიან. ამ დღეებში თუ აკოჭლდა თითო-ოროლა, თორემ ჯოგში ფეხუცა არ ერიათ და რქაც მთელი ჰქონდათ. ფიქრმა და დარდმა დაანახვა სულით გაძვალტყავებულნი და ოთხივე ფეხის კუნთზე ქონდადებულნი. დარდმა და საფიქრალმა მორეკა ჯოგი თავის წინამძღოლიანად ამ უფსკრულამდე და თუ აქედან გაღწევა ვინმეს უნერია, ისევ დარდიანსა და ფიქრიანს.

ვისაც ჯავრი და ჭირთათმენა შეუძლია, იცის, აქ დარჩენა დალუპვა და იმას უკან დასაბრუნებელი გზის ჩამკეტი არ სჭირდება. ჯიშის გადარჩენისათვის იმ უფსკრულში გადაჩეხვა უფროა ხსნა, ვინემ აძინძიხებულ ქვაბულში თბილად ნოლა და უნაღვლო დღეების ცოხნა. თუ ხორცმა სულზე გაიმარჯვა, დაჩაგრა და დააბეჩავა, დიდი ძალისხმევაც ვეღარ უშველის. სულია ცოტათიც კმაყოფილი და მოყვასზე ზრუნვით მდიდარი. უსულო ხორცს მგლის მადა აქვს და სვავის გაუმძღრობა.

სულია ჯიხვეს საჯიხვეებში რომ იხმობს, თორემ ხორცი სადაც დარწყულდება, დანაყრდება და ვნებებს დაიცხრობს, მისი სამშობლოც იქაა. თეთრი მწვერვალის დატალული ლოდის ძირში დაბადებული – ციცქნა ხაბოს პირას დახვედრილი ოთხფურცლიანი, ახალშობილის ჩლიქის ტოლა ყვავილი დედის თვალვით რომ უღიმოდა და მზესთან ერთად დედასავით ათბობდა – სხვაგან ვერ დასრულდება! იმ კლდეს მონატრებული – საიდანაც მარილიანი ნაჟური ცრემლივით მონვეთავდა და მუხლმაგარ ფოთრს ზრდიდა – ყოველი ქვის ძირში ღამეს არხეინად ვერ გაათევს!

ქვაბულის მყარალ, მაგრამ თბილ სიბნელეში შობილისთვის, დედა რომ არ დაუნახავს და ძუძუ ვისაც არ უნდა ეწოვებინა, მშობელი ეგონებოდა, სულ ერთია, სად დაულამდება და სად გაუთენდება. მის სიზმრებში, დახუთული მღვიმის უხილავი კედლები ზურმუხტის ქათიბით ვერასოდეს შეიმოსება, ისე, როგორც მისი ყვავილი მზის სხივებს ვერ მოისხამს.

6

რეხოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. თავს ძლივს იკავებდა, ჯოგს გადავლებოდა, უფსკრულის პირიდან შეუჩერებლად აეზიდა მძიმე სხეული საჯიხვეებისაკენ ოტებულ სულს, რკინის მუხლი მოება, ფრთები შეესხა და ძალ-ლონისაგან კი არა, სიძაბუნისა და ხნიერებისაგანაც ძლევა გამოეხმო. აქედან ფიცხელი ნახტომით იქითა ფრიალოზე მინარცხებისას ტინში ჩლიქებით ღრმული გაეჩინა, იქიდან გვერდზე და მალლა ამხტარიყო, გადმოხეიქილი კლდის თავზე ნაბზარს რქით მისწვდომოდა, მერე ტანი წინ გაეტყორცნა და შვერილზე შემდგარიყო, სიპ კლდეს მიტმასნილ ბილიკზე ისე გაერბინა, არ ჩაესუნთქა და გასავალს გაეღწია.

სული კბილით ეჭირა, ისე უნდოდა მიეტოვებინა აქაურობაც და აქ დარჩენის მონადინეებიც. იქით გადასვლის მოსურნეებსაც თვითონ ეზრუნათ თავის თავზე და რეხო საჯიხვეების გზას გაჰკიდებოდა. წინ კიდევ ათასი ფათერაკით სავსე ბილიკებზე ერბინა, ეხტუნა, ეფრინა... ჩასაფრებულ მტაცებელ ნადირებს გასხლტომოდა, მონადირის ტყვია აეცილებინა და ჩაეღწია იმ თავის დატალულ კლდესთან, მოლოდინის ჭირთათმენისაგან სისხლი რომ ჟონავდა და მონატრებამ ის პატარა, ჩვეულებრივი ყვავილი სხივებად აქცია.

მისულიყო და ჩუხჩუხა, მჟავე, მარილიანი, რკინის მუხლისა და რვალის რქის მომბმელი, დედის თვალების ფერი წყაროს წყალი ესვა, ზურმუხტის ბალახი და ხავსი ეძოვა. იმ ეხში შენოლილიყო, სადაც დაიბადა, ღამე გაეთია და დილით, თუნდაც ტყვია გამოვარდნილიყო, ზუსტად, მიზანს აუცდენლად...

აუხდენელი ნატვრით და სიზმრებით განამებულ ბოგინს, დარჩენილი სიცოცხლის ფასად ახდენილი ერთი დღის ბედნიერება ერჩია. აქაურ წელიწადს იქაური ერთი დღე უჯობდა, მაგრამ ვინც მოძმისათვის არ იღწის და უსულოს სულს არ ჩაჰბერავს, თვითონ რჩება სულისაგან გაძარცვუ-

ლი. ვისაც ცოდვის მიტევება არ ძალუძს – შენდობას ნუ ელის. ვინც ბრმას გზას არ უკვალავს – თავის სხივოსან ყვავილს ვერ იხილავს!

რეხომ ჯველობისას დააყენა სამწყსო ამ გზაზე, მაშინდელი ჭკუით, განადგურებისაგან რომ დაეცვა. უკანაც მან უნდა დააბრუნოს – რომ გადაშენებას გადაარჩინოს. თუ ჯიხვმა სამშობლოს, საჯიხვეების სიყვარული არ იცის – მენინავეც უსამშობლო ჰყოლია. მხდალი და ფეხმრუდი თუა, მამაცი და ჩაუქი ვის უნდა აღეზარდა? მისთვის, ვისაც ნაძრახსაც შეუძლია იცოცხლოს, ვის უნდა შთაეგონებინა – ნაძრახ სიცოცხლეს რომ სახელოვანი სიკვდილი სჯობს!

7

ნისლი გათხელდა, მაგრამ ხეირიანად ისევ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ერთხანს იქნებ ეს უკეთესიც იყო. უიმედოს, დამთრგუნველის თვალნათლივ ცქერას, იქნებ სჯობდეს ნისლი და ბნელი ჰფარავდეს?!

ჯოგი უნდა დამშეულიყო, წყურვილს გაეხელებინა და გადასვლა მერე დაენყოთ. რომლებსაც მონატრებული საჯიხვეები არ უხმობდა და უკან გაბრუნება ერჩიათ, ბალახისა და წყლის უქონლობას უნდა გაემამაცებინა და ნაექეზებინა, მაგრამ არც უსმელ-უჭმელობით უნდა დაუძღურებულყვნენ და დაძაბუნებულყვნენ. ჯიხვს ის თონთხლო ქონი აქ უნდა დაეყარა, რაც გადახტომის დროს დაამძიმებდა და არც გაღმა დასჭირდებოდა. აქედან სისხლი, ძვალი და კუნთი უნდა გასულიყო საჯირითოდ და საბრძოლველად, რქა – ხმალად და ფარად; აუცილებელი, რაც სულის ჭურჭლად იყო საჭირო და არა ხორცის ფუფუნებისთვის.

ნისლი გვიან გაიფანტა, მზემ, თითქოს დაგვიანებას ნუხდაო, ერთბაშად დააცხუნა, ნოტიო, ნანვიმარვივით ჩამოტირებული კედლები მალე გამოაშრო. მოთბო ქარიც ასისინდა, ლემით დანაყრების მოიმედვე მტაცებელთა ყაშყაში და ყიპყიპი გამჭოლ ჟრჟოლასავით მოიტანა.

ამდენ ხანს ნისლის საფარით დაიმედებული შურთხები მზეს მოჰყვნენ. ჯოგს ქიმებში ჩადარაჯებული თავდამსხმელების სიფხიზლე ამცნეს. აქ ორივე ერთად იყო – მტერიც და მოყვარეც. დალუპვაც აქვე იყო – ერთ ნაბიჯზე და გადარჩენაც...

8

ის დღე ისე დაღამდა, რეხოს ცისთვის მზერა არ მოუცილებია, მზეს თვალს უშტერებდა. თითქოს სხეულში ახედებდა. უნდოდა სულში ბნელი კუთხე-კუნჭული არ დარჩენოდა, რომ ნათლით არ გამოებერტყა. სულს, გრძნობასა და გონებას ისევე უნდა გამზეურება, გაქარვა და ბერტყვა, როგორც ბუმბულს, რომ არ მოითელოს, არ დანესტიანდეს და დაობდეს.

ქვევით არ დაუხედავს, რომ ჯიხვებისთვის თვალი არ გაესწორებინა. სჯობდა, მწყემსსაც და სამწყსოსაც მნათობისთვის ეცქირათ, რომ ზრახვას და მშვენიერებას ერთნაირად ზიარებოდნენ. კაბადონზე მქროლავი არნივისთვის ეყურებინათ, გუშინინდელ თავლია მენამულ ბილიკზე ფოთრების მოხელთების იმედი რომ გადაუნყდა და ნადავლს სხვაგან დაუნყო ძებნა; თვალი შევარდნებისათვის ედევნებინათ, თავიანთი სისწრაფით თავდაჯერებულები რომ სივრცეს აღმა-დაღმა ისე სერავენ, თვით მბრძანებელსაც არ ეპუებინან.

ქვეყანა დიდია. ისიცაა, რისგანაც სიმამაცეს ისწავლი და ისიც, რაც მუცელმერთად გაქცევს. რაც სიყვარულით აგანთებს, აგამალლებს და ისიც, სისხლს რომ გაგინყალებს და ლეშად დაგაგდებს.

წყურვილი უფრო დაუზოგველია, ვინემ შიმშილი და ღამით რომ განვიმდა, ჯოგს შეეძლო ცას მიშვერილი ღია პირით ენა გაესველებინა, შიმშილი წყურვილს დასწეოდა, ერთმანეთს დადარებოდა.

9

დღემ და ღამემ, სიზმარმა, ცხადმა, შიმშილმა და წყურვილმა თავისი ჰქნა. მესამე დილით, მზის ამალლებას ჯოგიც აჰყვა. უფსკრულს, შიგ გადასაშვები, მღვრიე მორევივით მიანყდა. ჭარმაგმა და ახალგაზრდამ, გულადმა, ცქაფმა, ლოხმა და ლაყემ, ბრძენმა და შეურაცხადმა ყველამ ინამა, ვინც განწირული იყო, ჯოგს უნდა ემსხვერპლა და გადასარჩენს – თავისთვის ეშველა.

ახლა, ვინ იყო ის, ვინც განწირავდა თავს და ქვესკნელს პირველი გადაეველებოდა? ფრიალოზე უსაფეხუროდ დამაგრდებოდა, გადმოზნექილ კლდეზე რქით დაეკიდებოდა, ტანს გაიქნევდა, შვერილზე შეხტებოდა და იქიდან ბენვის ბილიკზე გააღწევდა? ყველაფერი იმ პირველზე იყო დამოკიდებული და ღმერთს ნუ ექნა, რომ გადაჩეხილიყო. პირველი... როგორმე პირველს უნდა გაეღწია და მერე, ორიც რომ დალუპულიყო, გაღწევის იმედი მაინც რჩებოდა.

ბებერი, რქებდაჟანგული ხარჯიხვი ადგა, რეხოს ქვევით რომ იწვა და ჯოგის აშლას არ აპყოლია. მენინავეს ახედა. მერე გაჩახჩახებულ ზეცას უცქირა. მანამ, სანამ ყველა არ მიიჩერა... ბოლოს ისევ ახედა მენინავეს. ერთბაშად დაღუნა თავი, შეტრიალდა და უფსკრულისაკენ გზა გაიკვლია. ჯიხვებს შორის, სადაც ვერ გაეცია, მკერდით გაარღვია და გადასახტომთან დადგა. ქვევით არ ჩაუხედავს, იცოდა, იქ საიმედოს ვერაფერს დაინახავდა. ბნელს თვალი უნდა აარიდო, თუ ნათელის ხილვა გინდა.

ხორცსავსე ისედაც არ იყო და ამ დღეებში ფერდები სულ ჩაცვენოდა. ეს უკეთესი, მაგრამ მთრთოლვარე მუხლები საიმედო არ იყო. ეტყობა, ეს თვითონაც იცოდა და ისიც, ამაზე მეტად რომ ვერ დაიოკებდა. ფიქრითა და ტანჯვით გასავლელი თავგანწირვის გზა რაკი უკვე გავლილი ჰქონდა, თავდაჯერებულმა დაიხია უკან. ნაბიჯის გადმოდგმისთანავე ჯიხვები ერთმანეთს მიანყდნენ და გამოსაქცევი გაუთავისუფლეს.

თავდადებულის ულამაზესი, ათიოდე ნაბიჯი გაიბრინა ბებერმა, გაჩენის დღიდან რაც აქამდე უვლია, ალბათ, ამ ერთ მოკლე გარბენად რომ არ ღირდა; თვითონ გადამხტარა თუ სხვისი მარდი ნახტომი უნახავს, ყველა ერთ მშვენიერებად აქცია. წლების სიმრავლე მხრებიდან ერთბაშად ჩამოიბერტყა, უფსკრულამდე მუხლიც ისე გაიმაგრა, ტანი აისროლა კი არა, შეტყორცნა და გაფრენილს, ქეციანი ბალანიც კი გასაოცრად გაუბრწყინდა მზეზე.

წინა ფეხებით იქითა კედელს ახალგაზრდული სიმარდით მიასკდა და უკუბიძგსაც დაასწრო, ფრიალოს ოდნავ შევაკებიდან, სადაც არავითარი შეყოვნება არ მოხერხდებოდა, მალლა აინია და ტანის სხარტად აზიდვაც შეძლო. ჰაერში აჭრილმა ძველი, მძიმე, დაჟანგული რქის წვერი გადმოზნექილი კლდის ნაბზარსაც უმიზნა, მაგრამ მხოლოდ ვარაუდით, ზურგზე გადანყობილი ვეება რქები რომ მალლა აეშვირა, თავის დახრა იმდენზე დასჭირდა, უკვე ველარ ხედავდა, რაზეც რქა უნდა გამოედო. მაინც ნაჰკიდა, თუმცა ისე ღრმად ვერ ჩაუყარა, ტანის გაქნევის დროს არ წასძრობოდა, ერთი წამით ადრე ჩამოუცდა და შვერილამდე, რაზეც უნდა შემხტარიყო, ერთი ნაბიჯილა დააკლდა.

თითქოს ფრთებშესხმულმა გაიქროლა მწვერვალებში და კი არ ჩავარდა, ქვესკნელშიც ჩასაფრენად ჩაეშვა.

10

რეხოც, თურმე დაბერებულა და ასეთი წარმტაცი არაფერი უხილავს! სიცოცხლეზე გული არ დაწყებოდა, თუ ჯიხვებს მისი დაღუპვაც ასე აღაფრთოვანებდა!

ჯოგს ჯერ სუნთქვა შეეკრა, მერე ერთხმად და ისეთნაირად ამოიგმინა, ქიმებზე დაბუდრებული მტაცებლების ყრანტალმა კლდეები დაზაფრა. აიშალნენ და უფსკრულის ფსკერზე დანარცხებული მშვენიერი სიკვდილის ექო ზეცაში აიტაცეს, ირაო შეჰკრეს.

ქვეყანა ჭრელია. ბევრს მზეს მთვარე ურჩევნია – ღამე მინათებსო, დღე უმზეოდაც ნათელი ჰგონია და არ იცის, მთვარეც რომ მზითაა მთვარე. რაშიც ერთნი მშვენიერებას სჭვრეტენ და აღტაცებულებს ხელი ცას უწვდებათ, მეორეთათვის დამთრგუნველია და შიშის ზარის დამცემი.

მშვენიერება იმდენნაირია, რამდენნაირი დამნახავიც ჰყავს!

ბებერი ხარჯიხვის დაღუპვამ ყველა ერთად ამოაგმინა, აღფრთოვანებით – ცოტას, ბევრს – სასონარკვეთილს. ბებერი ხარჯიხვი დაიღუპა, მაგრამ იმ ცოტამ, რომლებმაც ისე დაინახეს, როგორც ეკადრებოდა, მაშინ ისწავლეს რას ნიშნავს, როცა იღუპები და არ კვდები, როცა კვდები და ცოცხლობ, როცა ნახვედი სამუდამოდ, მაგრამ აქ რჩები. არსებობაც არავინ იცოდა შენი, აღარა ხარ და, ყველასთვის ახლობელი გახდი. ჯოგს შეეძლო ეამაყა, რომ იმ ბებერი, რქებდაჟანგულ-დაკორძებული ჯიხვის ჯიშისა და ჯილაგისა იყო.

ბებერი თუ უფსკრულებს, ნაპრალებსა და ციცაბოებს არ გაეკარებოდა, მუყაითად სძოვდა, შეღამებიდან დილით კარგად მოთბობამდე გამოქვაბულიდან ცხვირს არ გამოჰყოფდა, თუ რაიმე სახადი არ იმსხვერპლებდა, კიდევ შეეძლო ერთი... დიდი-დიდი ორი წელი კიდევ ეჯახირა, ერთ ღამეს კი სული ისე გაეცხო, არავის გაეგო. მერე, გამოქვაბულში, მასავით სითბოს მოყვარულთა გვერდით გახრწნილიყო და ისედაც შარდითა და ნეხვით მყრალი მღვიმე გაუსაძლისი გაეხადა...

ამ ათიოდე ნაბიჯის გარბენა, ნახტომი და სიკვდილი კი ახალ სიცოცხლედ იქცა, მისი ფასი ვინც არ იცოდა, იმათთვისაც დაუფინყარ საფიქრალ-საამბობად და შთამომავლობის გადასაცემ განძად... როგორც ყველა არ ცოცხლობს – არც ყველა კვდება.

ბებერი ჯიხვი სიკვდილმა გააცნო ჯოგს იმად, რაც ყოფილა და ყველას მაშინ დაუახლოვდა, როცა სამუდამოდ დაშორდა. ახლა გაახსენდათ, რომ აზიზი მჭამელი იყო, განმარტოებით იცოდა ბალახის უმადო წინკნა. მღვიმის კართან წვებოდა, რაკი შიგ სიმყრალეს ვერ იტანდა და ღამლამობით ხვნებოდა. არაფერზე უჭირვეულია და არავისთვის ურქენია. არ უყვარდათ, რაკი არავის ლოკავდა და არ პეტელებდა. ყრუც კი ეგონათ, ბევრჯერ გააგონეს კიდეც და რაკი ყური არ შეიბერტყა, დაიჯერეს და დაივინყეს. სახელიც კი აღარავის ახსოვდა მისი. თითქოს მენინავის ახლო-მახლო ტრიალებდა, მხარში ედგა და მაინც ვერავინ ამჩნევდა.

ახლა, ამ ღამაზე სიკვდილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და თურმე, ასე ისინი იქცევიან, ვინც სიცოცხლე არა, მაგრამ სიკვდილი იციან. სიკვდილის ცოდნა ძნელზე ძნელია, რაც არასოდეს გიკეთებია, არავითარი გამოცდილება არ გაგაჩნია, ის უნდა გააკეთო. თანაც, ერთხელ და უშეცდომოდ, რაკი ამ გამოცდილების მეორედ გამოყენების და შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა აღარასოდეს გექნება.

ახლა, უეცრად, ყველას ერთბაშად გაახსენდა, რომ ამ ქეციან, ყრუალა ბებერს, ერთ დროს, სანამ საჯიხვეებს მიატოვებდნენ, ჯილო ერქვა.

აღმოაჩინეს, რომ მათ გვერდით, მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის, ჩაუქი, ნამდვილი საჯიშე ჯიხვი ყოფილა და ასეთნაირი სიკვდილის შანსი რომ არა, უკვე მიხრწნილს სადმე კლდის ძირში მიძინებულს არ გაეღვიძებოდა და ყვა-ყორნებს ისე დაუტოვებდნენ, არავინ დაიტირებდა. სიცოცხლეში რომ არავის ახსოვდა, მკვდრისთვის თავში ხელს ვინ ნაიშენდა და ზარს ვინ ეტყოდა?

ხშირად, ძალიან ხშირად, სიკვდილია აუცილებელი ღირსეულის ფასი რომ გავიგოთ. სიკვდილია, სიცოცხლეში გადადგმულ მათ ყოველ ნაბიჯს რომ აამეტყველებს. ყველაფერს ფასი დაედება, თითქოს ოქრო ბნელიდან მზეზე გამოგეტანოს.

ჯილოს სიკვდილმა ჯოგი დააფრთხო და მხდალიცა და გულადიც ერთნაირად დააშინა. ჯაბანი იმით, რომ დაარწმუნა, აქ ცოცხალი თავით ვერავინ გადავიდოდა და აქედან ფეხის მოცვლა სააქაოდან წასვლასაც ნიშნავდა. სხვებს ვითომ გულიც და მუხლიც ერჩოდათ, მაგრამ თუ გადარჩენას როგორმე მაინც დაიჯერებდნენ, ყველა ხომ ვერ გააღწევდა და თუ დღისით, მზისით არ დაინახავდნენ თავიანთ დიდებას, ბებერი ხარჯიხვივით ამის ხილვას ქვესკნელიდან ვერ შეძლებდნენ.

მამაცები და შეუპოვრები კიდეც უფრო დაიბნენ და დარეტიანდნენ, არა იმიტომ – ჩავიჩეხებით, არაფერი გვიხსნისო. – დაღუპვა ისე არ აფრთხოვდათ, როგორც უსახელო, უღამაზო სიკვდილი. გულადი იმიტომაცაა გულადი, სიკვდილს არ უფრთხის, მაგრამ არც ის ეგონოს ვინმეს, სიცოცხლე ჩალის ფასად უღირდეს. იცის, ერთხელ დაკარგავს და არ დაენანება თუ ამ დაკარგვით ყველაფერს დაიბრუნებს. სიცოცხლე მისთვის ვერცხლის განძია, რომელსაც უშურველად შეეღევა, თუ ეიმედება ოქროდ აქცევს.

ჯილო რომ მონიფული ყოფილიყო ან ჭარმაგი მაინც, ან იმ ფეხბედნიერი ნახტომისას რაიმე შეშლოდა, ისეთი შეცდომა დაეშვა, რომლიც მის თავგანწირვას დაჩრდილავდა და მერე სხვას, ისეთივე თავდადებულს, რაღაცით ეჯობნა, მაინც იმად დარჩებოდა რაც იყო. დამღუპველი ის გამოდგა, გადმოზნექილ კლდესთან რომ თავის ძალიან დაბლა დახრა დასჭირდა, რომ დახვეული რქის წვერი მალლა აენვდინა და ნაბზარისთვის გამოედო, მაგრამ ეს თავდახრილს დაუნახავად, გუმანით უნდა გაეკეთებინა. უფრო ახალგაზრდას რქა მოკლე აქვს და ქედის დადრეკა იმდენად არ დასჭირდება, კარგად ვერ დაინახოს, რქა რას უნდა გამოსდოს და თუ მაინც დააცილა, უფსკრულში უსახელოდ წავა.

ჯილო პირველი გადაიჩეხა(პირველს შეცდომაც ეპატიება), მაგრამ ყველაფერი ისე ღირსეულად გააკეთა, მეორეს, არაფერი დაუტოვა, რომ უკეთესად დაღუპულიყო.

მენინავემ უკვე იცოდა, ახლა გამქცევი არავინ იყო. ასეთმა სიკვდილმა მხდალსაც კი ჩაუდგა გული, მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, არც ისეთი ვინმე დატოვა, ქვესკნელზე გადახტომა გაეხება, ბებერმა ჯიხვმა სიკვდილით რომ დაისაკუთრა. მთელი თავისი გრძელი ცხოვრების გზა ჯილოს ამისთვის გამოუვლია და ახლა ამ სიჩაუქეს არავის ანებებდა.

უმშვენიერეს, უკვდავ აღსასრულს უკვე შეუცვლელი პატრონი ჰყავდა, მაგრამ რჩებოდა მეორე... ჯერ ხელუხლებელი... გადარჩენა!

ცოცხლად გადასვლის დიდება.

ჯილომ დაადასტურა, რომ სალ-სალამათი აქ არ გაიღწევა, სიკვდილით უნდა გასულიყო და გადაეჩინა ჯიში, რაკი ჯოგს, რომელშიც მისნაირებია, გადაშენება არ უნერია.

სიცოცხლე კარგი სიკვდილის ფასად არასოდეს ღირს და ამ უფსკრულზე გადამსვლელი ჯილომ ამაში დაარწმუნა.

ახლა – რაც არასოდეს ხდება, სიცოცხლესა და სიკვდილს ერთი ფასი დაედო.

რეხომ მზეს ერთხანს პირდაპირ უყურა და როცა თვალები დახუჭა, სიბნელეში ყვითელი რგოლების ათინათები არიალდა, მისი მშობლიური დატალული კლდის ძირში გასხვივოსნებული ყვავილის მსგავსი.

ბევრი ფიქრი კი, მაგრამ გადანყვეტილების მერე ჭოჭმანი, ადგილზე ტკეპნა და გულისამაჩუყებელი პეტელი ბებერმა ხარჯიხვმა თავისი დიდებული ნახტომის წინ აკრძალა. მოიფიქრე... წინდანი გაითვალე, აუჩქარებლად იანგარიშე... წინ ბუნდოვანი გზა თუ მაინც გესახება, ყველა რომ ადგება და აწრიალდება, მაშინაც შენთვის იყავი, ზომე, წონე... ყველაფერი მისხლობით რომ გამოორწყე და თვალნათლივ ხედავ, ერთადერთი გასავლელის მეტი აღარაა – გადანყვიტე?.. ნულარ აყოვნებ, ადექი და შეასრულე!

რეხოს ნაპოვნი აქვს ის ერთადერთი გზა. ამ ჯოჯოხეთის უფსკრულზე უნდა გადავიდეს და რაც ჯოგს ჯილომ სიკვდილით ასწავლა, რეხომ სიცოცხლით უნდა დაუმკვიდროს.

ჯიშის ხსნის საქმე სანახევროდ გაკეთებულია – ჯოგმა უნდა იარსებოს! მაგრამ თუ მეორე ნახევარიც არ გაკეთდა, ყველაფერი ლეგენდად, ზღაპრად დარჩება და ამას სხვა ჯიშის ჯოგები უამბობენ ქვეყნიერებას, თვითონ ამ ლეგენდის შემქმნელთა ჯილაგი კი სამუდამოდ გაქრება.

შენი შესაძლებლობა მაშინაა ანგარიშგასანევი, როცა შენს საქმეს ახელკეთილებ. როცა ჯოგისა და ჯიშის ხსნა გეკისრება, იქ ჯოგის და ჯიშის ნება, სული უნდა გადმოსახლდეს შენში, მისი ნებითა და ზრახვით იმოქმედო.

მეწინავე უფსკრულის პირას დადგა.

უკან რამდენზეც უნდა დახეულიყო, ეს ჯილომ გათვალა, ახლა მხოლოდ უნდა გაემეორებინა. გადახტომაც ზედმინეწით ისეთივე იყო საჭირო, ფრიალოზე მიხლა და იქიდან ასხლეტვაც... რეხოს ისღა რჩებოდა, ნაბზარში რქის წვერი უფრო ღრმად ჩაეყარა, რომ ტანის გაქანებისას იმ ერთი საბედისწერო ნაბიჯით მეტზე გადამხტარიყო... ბოლოს, სამი დღის ნაშიმშილები და ნამწყურვალეები, იმ კლდეზე აკრულ ვინრო ბილიკს თუ აეტმასნებოდა, ნეკნებზე ტყავს გაიძრობდა და ისე გაივლიდა – გააღწევდა.

უეჭველად უნდა გაეღწია, რაკი ახლა, ჯილოს ჯიშის მხსნელის სიკვდილი, მართლა ყველაფრის ერთად დალუპვა იქნებოდა.

13

გალმა გაღწეულს რომ ჯოგის ისეთივე გმინვა მოესმა, რაც ჯილოს მოწყვეტისას, სიმწრისაგან წყალგადავლებულივით დასველდა, ძარღვებში დაუტევარმა სისხლმა ოფლივით ტყავიდან ვერ გამოჟონა და ცხვირიდან წასკდა. უკვე ჯიშიანი, ძალუმი, მბორგავი სისხლი ჩუხჩუხებდა, დულდა, ძარღვებში არ ეტია და იღვრებოდა.

ზედიზედ გადმოჰყვენენ გულადი ქედა და ცქაფი რქაჭრელი.

ორივემ სასწაულებრივ გადმოაღწია. რქაჭრელს ფრიალოზე მიხეთქებისას ჩლიქი წაეტეხა და სისხლი სდიოდა. ქედა მუხლებითაც მიხლოდა და ორივე წვივი წითლად ჰქონდა შეღებილი, მაგრამ რას იზამ, ხსნა რომ უსისხლოდ და უმსხვერპლოდ არაა?!

14

ქვესკნელს გადაღმა დარჩენილებში სხვა ქარმა დაჰქროლა, შავი ღრუბელი გადარეკა და იმედის ნათელი მუხლსუსტებსაც და მშიშრებსაც კი გაუჩინა. აწრიალდა რწმენაჩასახული ჯოგი, სადინარ-გაჩენილი მორევივით მოასკდა უფსკრულს.

იმ ორს, რომლებიც მაშინვე გადმოსახტომთან დადგნენ, მუხლიც ერჩოდათ და გულიც, თუკი გადარჩენას ირწმუნებდნენ. ორივემ მოინდომა ერთმანეთისთვის დაესწრო, არც ერთი გვერდზე არ გადგა და რქებიც კი მოიშველიეს. ერთმა, რომელიც უფრო მაღლა იდგა, დაახვეინა მეორეს და ადგილი გაითავისუფლა, მაგრამ, სანამ გამოსაქცევად უკან იხევდა, წელანდელ მის ნადგომზე მეორე შეხტა, გზა გადაუღობა, ისევ დაჰკრეს ერთმანეთს და ამ ჭიდილში ქვევით ჩამოინაცვლეს... ამასობაში, სხვადასხვაფერისთვალეობა ცქაფმა იშვირა ფეხი და გადმოფრინდა.

ორივე პირდაღებული მიაჩერდა, როგორ გადაეგლო უფსკრულს, მიენარცხა ფრიალოს, ასწვდა და ნაბზარში რქის გამოდებაც მოასწრო. დაკიდებულმა სხარტად გაიქნია ტანი, შვერილისაკენ გადახტა, მაგრამ საჭიროზე უფრო ძლიერად და უკვე შვერილზე ველარ შეჩერდებოდა, რომ კედელზე აკრულ ბილიკს ფრთხილად გაჰყოლოდა. არც დაუყოვნებია, მაშინვე გაენტო, იქნებ როგორმე გაერბინა და სამშვიდობოს გაესწრო. რა თქმა უნდა, უფსკრულისკენ გადახრილი წონასწორობას ველარ დაიცავდა და თუ შეშინდებოდა, შეფერხდებოდა, იმ სიჩქარეს დაჰკარგავდა, რითაც ბოლომდე უნდა მიეღწია.

ფიქრის დრო აღარ იყო. მენინავე ამოსახტომთან გაჩნდა, თავი გადაინვდინა და განწირულმაც მოასწრო რქა რქაში გამოედო. რეხოც კინალამ თან გაიყოლა, მაგრამ ცქაფმა როგორღაც წინა ცალი ფეხი კლდეს ჩამოჰკრა, ოდნავ აიძვრა და ორივე გადარჩა.

15

იმ ორიდან, ერთმანეთს რომ ეცილებოდნენ, რომელმაც პირველობა დაიჩემა, ჯილოს დაკანონებულ უკან დახევას დააკლო, მოქიშპემ გზა ისევ არ გადამიღობოსო, გამოქანდა და გადმოხტა, მაგრამ რაც იქ დააკლო, გამოღმა დააკლდა, პიტალოს ერთი ნაბიჯით ქვევით მიანყდა. ვითომ, მალლა შეხტომა მაინც შეძლო, მაგრამ რქას ნაბზარში გამოსადებად რალას უწვდენდა და რალა თქმა უნდა, ბნელეთში ჩაინთქა.

ისევ იბლავლა ჯოგმა, ისევ აუკანკალდათ მუხლები და აუცახცახდათ კუნთები. ახლა გადმოხტომა ერთხანს ისევ აღარავის შეეძლო, გარდა იმ მეორე, მოცილე ჯიხვისა. ღირსებაშელახულს განწირული იმ გულზე არ დანანებია, უკან, ვითომ მოზომილად დაიხია და გამოქანდა, მაგრამ ბრაზმა და ბოლმამ ნაპირიდან ბურთივით ისროლა და პიტალოს ავად მიახეთქა. მუხლები დაუსკდა, მაგრამ არაფრად ჩაუგდია, არც გადარჩენაზე უფიქრია. თავისი უპირატესობის წარმოჩენის ყინს აყოლილმა, ნაბზარზე რქით დაკიდება, იქიდან გაქანება და გადახტომაც შეძლო, მაგრამ იმ ცქაფ, სხვადასხვაფერთვალაზე მეტი მოუვიდა და შესადგომ შვერილს სულ გადაეგლო. კლდეს აკრულ ბილიკსაც ასცდა, თუმცა ცალი ფეხი მაინც ნაჰკრა და უფსკრულში გულადმა ამოტრიალებული ჩაშვავდა.

ქიშპი და მტრობა ისეთ გაუფალსა და გაულწეველში კი არა, მუხლამდე აბიბინებულ საძოვარში მშიერს დაგტოვებს და თხისთვისაც იოლად გასახტომ ხრამში გადაგჩეხავს.

დალუპულთა შუღლი და გაუტანლობა თითქოს მათზე გლოვის ტვირთს გიმსუბუქებს, რაკი ზოგი რამ შეიძლება მათაც დააბრალო, მაგრამ დამნაშავე ვინც უნდა ყოფილიყო, კიდეც ორი ჯიხვი მიიბარა ქვესკნელმა.

ვინც გადახტა, გაღმა ნახევარმა ვერ გააღწია. კიდეც ვინ გაბედავდა სიკვდილისთვის თვალეში ჩაეხედა? ფეხის წინ წამდგმელი აღარავინ იყო. ხსნა ისევ აღარ ჩანდა, თორემ ფიქრსა და თავის მტვრევას შეიძლება ზოგიერთი მაინც მიეხვედრებინა, რომ ხვალ გვიან იქნებოდა. შიმშილი და ნყურვილი დააუძღურებდათ და გადმოზნექილი კლდის თავზე ნაბზარს ვერ შესწვდებოდნენ ან შვერილზე შეხტომისას გადააცილებდა კი არა, იმდენს დააკლებდა, რაც მაინც საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

უკვე ფიქრის თავიც აღარავის ჰქონდა. ჯოგმა უფსკრულსაგან პირი იბრუნა და ზეზეურად გამეშადა, ქვად იქცა.

16

მენინავე გადაღმა ნესტოებდაბერილი იდგა. ვითომ შედედებული სისხლი ცხვირიდან ისევ წასკდა, ფეხებქვეშ კლდე წითელ ზოლად ჩაღება.

ბნელი უფსკრული ლოდებზე დაფლეთილი ჯიხვების უკანასკნელ გმინვას თუ ამოისროდა ან გაფანტული რქა და ძვალი პიტალოებზე დამსხვრეული ზარივით გაიჟღირალებდა, თორემ ახალი მსხვერპლის მოლოდინში, ამაზრზენად დუმდა.

არა, ხვალ უკვე გვიან იქნებოდა! „თავს ზევით ძალა არაა“-ს შიშნეული უიმედობა გაიმარჯვებდა „სიკვდილი, ან გამარჯვება“-ს ყოვლისშემძლე შემართებაზე. თუ ჯილაგში ხსნის იმედი ცოცხლობდა და გადასაშენებლად არ იყო განწირული, ახლავე უნდა გამოჩენილიყო გადაღმა დარჩენილებში კიდეც ერთი ჯიხვი მაინც, იმ სახელდავინყებული ბებერი ჯიხვივით რომ გადმოეშვებოდა, მზეზე გაბრწყინდებოდა და სახელს ხელახლა დაირქმევდა; მაგრამ ჯიშის ხსნის ძალით და ნებით, რო-

გორმე სიკვდილისაგან სასიცოცხლო ძალის გამოხმობით, სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვით, როგორმე... როგორმე... როგორმე სამშვიდობოს გასვლა-გაღწევით.

ლონიერმა ქარმა დაუბერა და უფსკრულის თავზე ოხშივარით დაგუბებული მგუდავი ქუფრი ნაილო, ყელში რომ უჭერდათ და ისედაც დასახეთქად დატენილ ძარღვებს ყოველი ჩასუნთქვისას ლეკერტი სისხლის მხუთავი სუნით ტენიდა.

დალუპულიან-გადარჩენილიანად სამშვიდობოს ცოტა, უმნიშვნელო ნაწილი გავიდა. ჯიხვების უმრავლესობა უკან დარჩა და თუ მათ შორის ერთი მაინც არ ერია, რომელიც ამ ჯოჯოხეთს გადმოლახავდა, ჯოჯი მაინც განწირული იყო, თუნდაც მენინავეს უკან გაბრუნება და მისი ძალით გადმორეკვა მოეხერხებინა.

დარჩენილებს სამენინაო ჯიხვი აღარ ჰყავდათ, რომლის გარეშე სულერთია, არაფერი იხსნით და ესეც რომ არა, არ ერიათ თავზე ხელაღებული უშიშარი, რომელიც განსჯის უუნარობის და წინდაუხედაობის გამო, ჯოჯს მწყემსად არ გამოადგება, მაგრამ გულადობის მაგალითს მისცემს და ბევრ მერყევს მიიმხრობს. ასეთები, ზოგჯერ, გასაკეთებელს ხელის ერთი დაკვრით, იმ ასჯერ გამზომელსა და ერთხელ გამჭრელზე უფრო სხარტად აკეთებენ.

ცხოვრების გზა-სავალზე სანუთრო იმდენ მოულოდნელობას და მუხანათობას უმზადებს, ბრძენ-თა ბრძენიც რომ ვერ ივარაუდებს და ყოველ ახალ ფათერაკს მომზადებული ვერ დახვდება. თუ ჯილაგი გამძლეა და თავის გამტან-გადამრჩენი, განწირულს და იავარყოფილსაც უნდა შეეძლოს თავის თავში აღმოაჩინოს და შვას... არა აწი გასაჩენში, უკვე შობილსა და იქნებ მოხუცშიც – ახალგაზრდა, ახალი, მოსალოდნელი განადგურებისაგან მხსნელი პირში.

ამას ჰგავდა ის პირველი, შეუმჩნევლად მთელი ცხოვრებაჩავლილი ჯილო. დასჭირდა ჯოჯს, პარტახდებოდა ჯიში და უკვე ბებერი ხელახლა ჩასახა, ხელახლა შვა, თვალსა და ხელს შუა გარდაქმნა – დაბადა იმად, რაც მის გადასარჩენად იყო საჭირო.

თუ ჯოჯი სასიცოცხლოა, უნდა შეეძლოს იქვე მორიალე დამფრთხალ-დაბეჩავებულებს შორის ამოარჩიოს ხნიერი თუ ახალგაზრდა, გამოუცდელი, კოჭლი თუ ბეცი, ახლად ჩასახოს, შვას, გაზარდოს, სახელდახელოდ განვრთნას, ჩაუდგას კლდის გული, რკინის მუხლი და ამ უფსკრულზე გადმოტყორცნოს... თუ ასე შეუძლებელია, ფრთა შეასხას და გადმოაფრინოს... მერე რა, რომ ჯიხვს ფრთები არასოდეს ჰქონია?!

17

მენინავე ყველასაგან მოელოდა, მაგრამ თუ ის მოვარდისფროჩლიქებიანი, ნაპატივეები ჯიხვი ჯოჯის მხსნელად თავს ხელახლა იშობდა, ვერაფრით ირწმუნებდა, როცა თვისტომში არც გამძლეობით გამოირჩეოდა და არც ნახტომით. კუნთზე ქონდადებული ვითომ არ ეთქმოდა, მაგრამ უმადობას არასოდეს უჩიოდა და ამ ბოლო დღეების შიმშილი და წყურვილი ისე ვერ დაამტკიცებდა, ამ ჯიშის მხსნელი ნახტომისათვის ზედმეტ სიმძიმეს ხელი არ შეეშალა.

ჯილაგის გამძლეობის სამემკვიდრეო, უკვდავი ფესვი ხის ფესვებივით უხილავია და რაც ხილულია, იმის სიცოცხლისუნარიანობით უნდა შეფასდეს.

მოდიოდა ეს, მოვარდისფრო ჩლიქებზე შეწიკვილი, შეხნიერებული ჯიხვი ზურგზე გადანყობილი დაგრებილი რქებით, რომელშიც გადახრილი მზე ალაგ-ალაგ გამჭვირვალე, ბნელ მოოქროვილ რგოლებს აჩენდა.

საქმე ამ თავგანწირვამაც გააკეთა, გადმოსახტომამდე ოთხმა ჯიხვმა მოაცილა. მათ შორის ორმა ახალგაზრდამ, შარშანდელმა, ჯოჯში ჯერ კიდევ ფოთრი რომ ეგონათ.

ჯილაგი არჩევანში შეცდა თუ მასში გამძლეობის ძალა დაილია?! უფსკრულს რომ გადაევიდო, ვარდისფერჩლიქიანი გაღმა პიტალოს მუხლებითაც მიასკდა და ძვალში შეფარული მოდუნების გაფხიზლება ვერ მოასწრო თუ რა ღვთის წყრომა იყო, სახსარი დაემსხვრა. ახტომა მაინც შეძლო, რქით დაკიდებაც, მაგრამ ტყავზე შერჩენილი მოტეხილი ფეხი ჰაერში აუკონწიალდა. მაინც წინ გადახტომა მოინდომა. ცალი ფეხით, ისიც დაზიანებულით და გასისხლიანებულით, შვერილამდე რომც მიეღწია, თავს როგორ დაიჭერდა და დადგებოდა, როცა პიტალოზე ვერც ორივემ გაუძლო.

გარჩა კლდეზე რქით დაკიდებული. მისთვის ახლა არც წინ სავალი იყო, არც უკან დასაბრუნებელი და აღარც უფსკრული.

ეს იყო სამშვიდობოს გასულთა, უფსკრულზე გადამსვლელთა, დაღუპულთა და დასაღუპავთა ერთნაირად განწირვა, მაგრამ ეს ჯოგს რასაც უკარგავდა, იმაზე მეტს უბრუნებდა. დაღუპულთა ძალა და ენერჯია ჯიშში გადადიოდა – ჯილაგს მუხლსუსტთა და მფრთხალთაგან წმენდდა, რომ საჯიხვეებში დაბრუნებულს, სადაც მტერი გაუმრავლდებოდა, არსებობა შესძლებოდა, ახლა კი ხსნის ყველანაირი გზა მოისპო. რქაზე დაკიდებული ჯიხვი იმ ბენვის ხიდს კეტავდა, რომელიც შეიძლებოდა ნახევარს მაინც გადაელახა.

ამ თავზარდამცემმა ამბავმა ყველა გააქვავა, სასო ისევ წაართვა და დააჩლუნგა.

18

მეწინავეს აღარაფერი მოუსაზრებია, არც რაიმე მოსჩვენებია, არც იდუმალი ხმა სმენია, არც არავის ნებას აუტაცია. მომართულივით გაქანდა, შევარდა იმ კლდის თავზე, რომლის ქვევითაც, ნაბზარზე, ჯიხვი რქით ეკიდა. ზევიდან ჩამოეშვა, განწირულს ზედ რქებზე დაეცა. ასეთ დაცემას, რა თქმა უნდა, ისედაც ცალი რქა რაღას დაიჭერდა და სანამ მოვარდისფროჩლიქიანი უფსკრულში ნავიდა, მოასწრო, უკანა ფეხები კლდეს ძალუმად ჰკრა და ისევ გაღმა გახტა, საიდანაც, ღმერთმა იცის, რა ილაჯისწყვეთით და სასწაულით გადმოაღწია. საგანგაშო, გამჭოლი სტვენით ჯოგს ბოლოში მოექცა, დაურბინა და რომელსაც მისწვდა, რქები გამეტებით დაუშინა, სტვენა ხავილად ექცა, ხავილი – მყვირალობის ბლავილად.

ხანძრით დაზაფრული ცხოველები რომ კლდეებიდან ხტებიან და არ დაგიდევენ, რა მოელით, ოღონდ ცეცხლს გადაურჩნენ, ასე ერთმანეთის მიყოლებით, ზედიზედ იწყეს ჯიხვებმა უფსკრულის თავზე ფრენა. აღარავინ იცოდა, ვინ გააღწია და ვინ ჩაიჩხა.

გაღმა, უკვე სისხლიანი პიტალო როგორც კი ცარიელდებოდა, იქიდან ამხტარი რქით ნაბზარს მისწვდა თუ ჯოჯოხეთს ჩაბარდა, სულ ერთია, აქედან მომდევნო მაშინვე უკან იხევდა და გადასაშვებად გარბოდა. ჰაერში რკალს ხაზავდა და უფსკრული დანთქავდა თუ სამშვიდობოს ეღირსებოდა, ამის გაგების და გარჩევის დრო არ იყო.

ახლა ფიქრი რეხოსთვისაც უგუნურება იყო, აზრი – უაზრობა, წინდახედულება – უსარგებლო. უკან არავინ უნდა დარჩენილიყო: ბებერი, ჯეელი, უძღური, რქაგაბზარული, ფეხმრუდი, გულ-ღრძო და გულალალი... არავინ... არავინ...

როცა ნებამ, ძალისხმევამ და ძალდატანებამ ჯოგი გადადენა, ჯაბანი და ძალგულოვანი ერთი ნაპირიდან მეორესაკენ გასტყორცნა, როცა იქაურობა დაცარიელდა, რეხომაც დაიხია უკან და არ უკითხავს, უკვე ძალადაშრეტილი, სისხლდაცლილი შეძლებდა შეუძლებელს, ერთხელ კიდევ მოეხდინა სასწაული?

გამოქცეული გაღმა, გასისხლიანებულ პიტალოს მიენარცხა. ფრიალოსთან შეჯახებისას წინა ორივე ჩლიქი დაიმტვრია, რაც იქნებ, მისი ჯიშის სისუსტეც იყო. სამშვიდობომდე ჩლიქები სულაც რომ არ გაჰყოლოდა, შეჩერება მაინც აღარ შეეძლო, ამოდენა გადასროლილი, დამძიმებული სხეული ველარც მუხლებმა შეიკავეს, პიტალოს ცხვირი და შუბლიც დაჰკრა. დარეტიანდა, თვალეში ყვავილის ფერი რგოლები არიალდა. დანახვა აღარაფრის შეეძლო, რქის ძირებიდან რომ სისხლი წამოვიდა, არც იმის.

აწი გასაკეთებელს აღარც დანახვა უნდოდა, არც მოსმენა და მოფიქრება. ამას თავისთავად გააკეთებდა ის, რამაც მხდალი და გულადი, მჭლე, მსუქანი, ძლიერი თუ ჩაუქი ერთნაირად გადმორეკა და მანვე იცოდა, ვისთვის ბინა სად მიეჩინა. ვინც ისევ საჭირო იყო, სატანჯველად დაეტოვებინა და ვინ ქვესკნელში დასავანებლად გაესტუმრებინა.

თვალი არც გაუხელია, მაგრამ რეტდასხმულ თავში მაინც მეხვივით დაჰკრა, რომ ნაბზარს დააცილა, ვერ დაეკიდა და ქვევით წასულმა რქის წვერით კლდე ჩახაზა. წონა ერთბაშად დაჰკარგა, ამჩატდა, შურთხის ქრელი ბუმბულივით გახდა. თითქოს ფრთები შეესხა და ქვევით კი არა, მაღლა მიფრინავდა. თვალეში დატრიალებული ყვითელი რგოლები გავარდისფერდნენ და იმ ოთხფურცელა ყვავილებად იქცნენ.

მწვერვალეში ასე მძიმედ სატარებელი სხეულის ეს მსუბუქი, საამო ფრენა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ უფსკრულის სიპ, დანახნაგებულ ქვებზე კი არ დაენარცხა, იმ მწვანე და წითელი ქათიბით დატალულ ლოდზე დაეშვა, ასე რომ ეწადა და ძვალ-რბილიან, ჩლიქიან-რქებიანად იმ პატარა ხაბოში ჩაცვივდა, რაშიც დაიბადა...

რალა თქმა უნდა, ის პატარა, გასხვიოსნებული ოთხფურცელა ყვავილიც იქვე იყო.

ბენეფიცი



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13 დეკემბერს გაიმართება
შემოქმედებითი სადამო:
**ცნობიერების ნაკბალი
გური ოტობაიას
ნანარმომებში**
დასაწყისი 14:00 საათი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციული კორპუსი
VII სართული, საპეტო დარბაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
13 დეკემბერს გაიმართება
შემოქმედებითი სადამო:
**ცნობიერების ნაკბალი
გური ოტობაიას
ნანარმომებში**
დასაწყისი 14:00 საათი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციული კორპუსი
VII სართული, საპეტო დარბაზი

გური ოტობაიას შემოქმედების დიდი აღიარება
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
2019 წლის 13 დეკემბერი.

2019 წლის 13 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი რექტორის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ზურაბ ხონელიძისა** და ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **იური პაპასქუას** ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი საღამო თემაზე: „ცნობიერების ნაკადი გური ოტობაიას ნაწარმოებებში“.

ასე იუწყებოდა გემოვნებით გაფორმებული აფიშა, მაგრამ თავისი არსით ეს არ იყო ვინრო სპეცალიზაციით დააქცენებული ღონისძიება, რომელიც თითქოსდა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის, „ცნობიერების ნაკადის“, სტილისტიკაზე მსჯელობით უნდა შემოფარგლულიყო. ეს შეხვედრა გახლდათ შვიდ ათეულ წელიწადს მიტანებული გური ოტობაიას შემოქმედების შემაჯამებელი პირველი სერიოზული შეკრება მის ცხოვრებაში. ამ ღონისძიებაზე მოვიდნენ **გური ოტობაიას** თაობელი კოლეგები: **ნომადი ბართაია, ზაურ კალანდია, პაატა ნაცვლიშვილი, ტიტე მოსია, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ მოლაშხია, გია ხუბუა, ბესო ლავგილავა...** ახლო მეგობრები: **როსტომ შამუგია, ზაურ ნაჭყებია, ავთანდილ არაბული, გიორგი ფარულავა, მამა-შვილი ზურაბაშვილები – ზურაბ და დავით, ლევან მებონია, მერაბ ნაჭყებია, მიხეილ ჯიბუტი, მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, მანანა სოტკილავა, მურმან კვარაცხელია, იური მაკალათია, ირანდა კალანდაძე, თამაზ ხუბუა, დავით სართანია, ნუგზარ ტიბუა, დანიელ გახარია, ოთარ ხუფენია,** სხვანი და სხვანი

ღონისძიებას მიჰყავდა ფილოლოგს, გამომცემლობა „რაე“-ს დამფუძნებელს, მშვენიერ ქალბატონ **მზია ხაჩიძეს**.

შეხვედრა მუსიკალურ-ვიზუალურად გააფორმა გური ოტობაიას ვაჟიშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა, კომპოზიტორმა **კონსტანტინე ფეტელავამ**.

გური ოტობაიას შემოქმედება შთამბეჭდავად წარმოადგინეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა:

ნანა კუციამ (რომანი „სიცოცხლემისჯილი“). მან ყურადღება გაამახვილა მწერლის თვითმყოფად ხელწერაზე. რომ იგი ზედმინევიანით დახვეწილი სტილით ეგრევე მოქმედების შუაგულში გადაისვრის გმირებს და გხიბლავს წარუშლელი ადამიანური დრამებით;

მარინა ტურავამ ისაუბრა (რომანი „როკი“) ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი ამ ნაწარმოების თავისებურებებზე, რომ მისი პროტოტიპი **შაქრო ჭითანავა** გასაოცარი გამძლეობით თრგუნავს ადამიანების გასასრესად აღძრულ სახელმწიფო მანქანას.

სოსო სიგუამ ჩვეული პროფესიონალიზმით წარმოაჩინა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის – „ცნობიერების ნაკადის“ არსი და ამ ჭრილში საინტერესოდ განიხილა გური ოტობაიას ბელეტრისტული პალიტრა.

გური ოტობაიას პუბლიცისტურ ხელწერას გამოეხმაურნენ პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **იური პაპასქუა**, საღამოს სტუმრის ძუძუმტე **ოთარ ხუფენია**, გური ოტობაიას მეუღლე, რეჟისორი **ნანა ხუფენია**, ნომინანტის თანაკურსელ-თანასოფლელი მანანა სოტკილავა, კომპოზიტორი ვაჟიშვილი კონსტანტინე ფეტელავა.

გური ოტობაიას მეგრულ ლექსებს ავტორისეული თუ **კობა ჭუმბურიძის** თარგმანითურთ პერმანენტულად კითხულობდნენ: ახალგაზრდა მეცნიერი **გიორგი უსანეფაშვილი**, „ახმეტელის თეატრის“ მსახიობი **მალხაზ მიქავა** თუ სკოლოს მოსწავლე **დენის ზალდატანიშვილი**.

წლების განმავლობაში გური ოტობაიას სიტყვით და საქმით ღვაწლი სათანადოდ დაუფასა მშობელმა ხალხმა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჯემალ გამახარია**მ გულშიჩამწვდომი სიტყვით მიმართა სტუმარს და აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციაში განუთქმინა ამაგისთვის გადასცა უმაღლესი ჯილდო – საპატიო სიგელი.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა **მაყვალა გონაშვილმა** ტერენტი გრანელის პრემიით აღნიშნა გური ოტობაიას თვითმყოფადი პოეზია.

რაც შეეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** სტუმრისადმი მიმართვა მეტად ამაღელვებელი გამოდგა დამსწრე საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა გური ოტობაიასთვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა.

მსცოვანი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, თავად სახუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ **ნოდარ ჭითანავას** მიერ სათანადო რეგალიებით შემოსილმა გური ოტობაიამ, მღელვარებისაგან წინასწარ დაწერილი სიტყვის წაკითხვა ვერაფრით შეძლო. მან მადლობა მოუხადა ყველას – თითოეულ იქ მყოფას თუ მიზეზთა გამო, ღონისძიებაზე მოსვლა რომ ვერ მოახერხეს.

დასასრულ, გური ოტობაიამ იუმორით დაასრულა თავისი გამოსვლა: ერთ პიროვნებას, ხოტბას რომ ასხამდნენ სადღეგრძელოში, სამადლობელი სიტყვა ამნაირად წარმოუთქვამს: ძმებო და მეგობრებო, მე ის კი არ მიკვირს თქვენ ამდენს რომ მაქებდით და მადიდებდით, არამედ – მეც რომ თავს გიქნევდით ამის გამო.

ნანა კუცია

ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გური ოტოხაიას რომან „სიცოცხლისჯილის“ ტოპოსის მითო-ეპოლოგიური ასპექტები

(„ცნობიერების ნაკადის“ ერთი მოდერნისტული
კონცეპტის პოსტმოდერნისტული გააზრება)



„ცნობიერების ნაკადი“ სულიერი ცხოვრების, განცდების, ასოციაციების რეფლექსია-რეცეფციაა. ტერმინის შემქმნელს, ამერიკელ ფილოსოფოს-იდეალისტს, უილიამ ჯემსს მიაჩნდა, რომ „ცნობიერება – ეს არის ნაკადი, დინება, „მდინარე“, რომელშიც აზრები, განცდები, წამიერი ასოციაციები განუწყვეტელი ენაცვლებიან ერთმანეთს, უცნაურად, ლოგიკურად ეხლართებიან და შინაგანი მონოლოგის უკიდურეს ხარისხს ირეკლავენ, მონოლოგისა, რომელშიც წანისლულია კავშირი რეალურ სივრცესთან“ [ლიტერატურის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1987, 292 (რუს. ენაზე)], – ასე განმარტავს „ცნობიერების ნაკადის“ არსს ლექსიკონი, მაგრამ ამ „მეთოდის“ ყოველი მეტრი: ჯემს ჯოისი თუ ვირჯინია ვულფი, მარსელ პრუსტი თუ უილიამ ფოლკნერი, გაბრიელ გარსია მარკესი თუ ოთარ ჭილაძე ფიქრის უცნაურ-ალოგიურ მდინარებაში გამუდმებით ამოაჩენს მთავარ „წყველაკრულვიან საკითხავს“ – ადამიანის მეტაფიზიკურ არსსა და ადგილს უნივერსუმში – ანუ რეალურ სივრცესთან კავშირი წანისლული სულაც არ არის. განსხვავებით ადამიანის მეტაფიზიკური არსისაგან, ადამიანისავე „ადგილი“ ანუ ლოკალი, სადაც ის ფიზიკურად მყოფობს, ყოველთვის განსაზღვრული და დასაზღვრულია (ხან რეალური, ხან – წარმოსახული). ჯოისთან ეს ირლანდიაა, ვირჯინია ვულფთან – ინგლისი, პრუსტთან – საფრანგეთი, ფოლკნერთან – ამერიკა, მარკესთან – კოლუმბია, ქართველ მწერლებთან – საქართველო...

„ცნობიერების ნაკადს“, მოდერნიზმის ერთ-ერთ მთავარ დისკურსს, აქტიურად იყენებს პოსტმოდერნიზმიც.

ამ „ნაკადში“ (თხრობის ამ დისკურსში) განსაკუთრებულად აქცენტირდება დ რ ო ის (ქრონოსი) და ს ი ვ რ ც ი ს (ტოპოსი) ფენომენი, როგორც ისტორიის (დროსა და სივრცეში არსებობის) ანარეკლი. ავტორებს ღრმად აქვთ გაცნობიერებული, რომ ქ რ ო ნ ო ს ი ც ა და ტ ო პ ო ს ი ც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, „დამაგრდეს“ ტექსტში.

მოდერნიზმის ქრესტომათიულ ტექსტში, მარსელ პრუსტის შვიდნიგნეულის „დაკარგული დროის ძიებაში“ პირველ ეპიზოდში, რომანში „სვანის მხარეს“ ფიქსირდება განსაკუთრებული მომენტი: „სიმბოლიზმისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც უმთავრესი მ უ ს ი კ აა, სიურრეალიზმი მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს კ ე ნ მიისწრაფის. პრუსტთან კი ორივეა, პრუსტი კუბისტებსა და ფუტურისტებს ადრე მიმართავს მათ მეთოდს, ცდილობს, ს ა გ ა ნ ი და ა დ ა მ ი ა ნ ი ს რ უ ლ ა დ მ ო ი ც ვ ა ს დ რ ო ს ა და ს ი ვ რ ც ე შ ი, არაფერი გამოჩენს... ს ი ვ რ ც უ ლ ი გეომეტრიის მსგავსად, არსებობს ს ი ვ რ ც უ ლ ი ფსიქოლოგია... „სვანის მხარე“ მთელ იმ არემარეს მოიცავს თავისი კუნელებითა და მაჩანჩალა ყაყაჩოებით“ [პრუსტი მარსელ, სვანის მხარეს, თბ., 2016, წინასიტყვაობა სოფიო ბენდიაშვილისა, გვ. 18]. სწორედ ეს „კუნელები“ და „ყაყაჩოები“ ქმნის რომანის მთელ მაგიას. ლანდშაფტის მაგია ვაჟასთან განსაკუთრებული ფერადებით



ფიქსირდება მინდიასებური მზერით. ტრადიციას მოდერნისტები აგრძელებენ („გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?! ეს ჩემი სამშობლოს მთებია“...).

ინანიშვილის პეიზაჟებიც გულისმომწყვლელია, „რადგან ყველაფერს განწირულობის შუქი ადგას“ („სამგორი“) [ინანიშვილი რ., პატარა ბიჭი გოლგოთაზე (მოთხრობები), თბ., 1989, 28].

როგორ ხატავს სულისა და ლანდშაფტის ეკოლოგიას პოსტმოდერნიზმი?

ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ი არც მოდერნისტულ, არც პოსტმოდერნისტულ ტექსტში არ არის მხოლოდ დეკორაცია, ის, ფაქტობრივად, სულიერდება, პერსონიფიცირდება და ლამის პერსონაჟის ფუნქციას იძენს.



ამდენად, პოსტმოდერნისტული ტექსტის ლანდშაფტების (რაც, უპირველესად, „სულის ლანდშაფტის“ ენიგმატაა) „ეკოლოგია“ კვლევის ავტონომიურ, თვითმკმარ სივრცედ უნდა განვიხილოთ.

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, – ვკითხულობთ ქართველთა მთავარ ტექსტში. ზმნა-შემასმენლით „მოგვცა“ ხაზგასმულია არა მხოლოდ უფლისმიერი ნ ყ ა ლ ო ბ ა, არამედ – ადამიანის პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ც ამ „უთვალავი ფერის“ დასაცავად.



პოსტმოდერნისტული რომანის ეკოლოგიური შრეების გასაცნობიერებლად გავეცნოთ ამონარიდს ნაირა გელაშვილის საუბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან მარო მაყაშვილის კაბინეტში: „ჩვენ დიდი ენერგია შევალეთ საქართველოს ბუნების გადარჩენას. საკმაოდ საშიშ ძალებთან გვიხდებოდა ჭიდილი. უზარმაზარი დრო და ენერგია წაიღო ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალმა, რომელსაც უნდა გაენერგია კავკასიონის ქედი, რაც იქნებოდა აშკარა ეკოლოგიური კატასტროფა და ბუნებრივი გალავნის გარღვევა, რომელიც ღმერთმა მოგვცა. შემდეგ იყო ბრძოლა ხუდონჰესის წინააღმდეგ და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ვერც ბუნება დავიცავით, ვერც ადამიანი და ვერც ეს ქვეყანა, რომელიც თანდათან ინგრეოდა“...[კურდღელაშვილი ლელა, რა უთხრა ნაირა გელაშვილმა ახალგაზრდებს, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2005, 15].



გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ ქართული პოსტმოდერნისტული პროზის მნიშვნელოვანი ტექსტია – ერთი მხრივ, მრავალსაუკუნოვანი პროზაული ნარატივის უარსებითეს კონცეპტთა რეფლექსია-რეცეფცია, მეორე მხრივ – თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს კონცეპტთა ხელოვნებისმიერი (ხელოვანისეული) განაზრება.

კონტრაპუნქტის პრინციპით ნაგები პოლიფონიური რომანის მხოლოდ ერთ პლასტზე – მითო-ეკოლოგიურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. საგულისხმოა, რომ ეკოლოგიური ასპექტები ქართული პოსტმოდერნიზმის სხვა მნიშვნელოვან ტექსტებშიც რეფლექსირდება (მაგალითად, ნაირა გელაშვილის გახმაურებულ რომანში „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“, ოთარ ჩხეიძის რომანში „ამაღლება“...).



მხატვრული ტექსტი მეცნიერული ტრაქტატი არ არის და ხელოვანი სამეცნიერო ტერმინებით არ ოპერირებს. რომანში არსებითი ს უ ლ ი ს ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ი, ს უ ლ ი ს ე კ ო ლ ო გ ი ა ა, რაც სათაურშივე პედალირდება – „სიცოცხლემისჯილი“ (ვარიანტით – „რინამისჯილი“) [ოტობაია გ., 2017, 219]. მეგრული „რინა“ პრაქართულის ანარეკლია, ჩვენამდის მოღწეულ პირველსავე ძეგლში ფიქსირებული: „ვერ განსარინებელ არს იგი“ [ცურტაველი იაკობ, 1987, 231].

ტრაგიკული, ტევადი დეფინიცია – „სიცოცხლემისჯილი“ სული-

ერ ლანდშაფტში, სულის ეკოლოგიურ სივრცეში მიმდინარე უმძიმეს, შეუქცევად პროცესებზე მინიმ-
ნებაა (ბეგბედერი ტრაგიკული ირონიით იტყვის, მოდერნიზმი ჯოჯოხეთის წინათგრძობის ხანა იყო,
პოსტმოდერნიზმის ეპოქაში კი ჯოჯოხეთში უკვე ვცხოვრობთ).

ყოფიერების მისტიერია, „არარსებობიდან არსებობად მოყვანება“ (სამყაროს უზენაესი საიდუმლო)
პოსტმოდერნისტულ ტექსტში ტრაგიკული გროტესკულობით კონსტატირდება: „ცაბაოთი მოწყენის
გამო ურევდა თიხაში თითებს“ [ოტობაია გ., 2017, 95] (ოთარ ჭილაძის პერსონაჟი იკითხავს, „რა შეაყ-
ოლა ტალახს ასეთი უსაშველო“).

შუა საუკუნეების კრძალულ ინტონაციას („რომელმან შექმნა სამყარო...“), კრეაციონიზმით აღტა-
ცებას პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ნიჰილისტურ-ირონიული ტონი ცვლის. გური ოტობაია ხელოვანის
პასუხისმგებლობით აფიქსირებს ჟამის „ჟამიან“ განწყობილებებს.

მრავალშროვანი ლოკალის ტოპოსი მნიშვნელოვან საკვლევ სივრცედ იკვეთება რომანში – ზოგად-
კაცობრიული დრამა უვინროეს სცენაზე – საქართველოს ერთადერთ კ უ ნ ძ უ ლ ზ ე გათამამდება და
ეს დასაზღვრულობა (შემოსაზღვრულობა, განსაზღვრულობა) პარადიგმულ-ენიგმურ დატვირთვის იძენს.

ქართული ენციკლოპედიის განმარტებით, მყინვარ ენგურიდან მომდინარე მდინარე ენგური კვეთს
სვანეთის ქვაბულს, დაბა ჯვართან გამოდის კოლხეთის დაბლობზე, სოფელ რუხთან იყოფა ორ ტო-
ტად, რომელთა შორის მდებარეობს 12 კმ სიგრძისა და 0,5-2,0 კმ სიგანის კ უ ნ ძ უ ლ ი (ხაზი ჩვენია
– ნ. კ.), რომელზეც გაშენებულია სოფელი შამგონა [ქსე, 1979, 150].

რეალური სივრცე, ხელოვანის ნებით, ენიგმატურ ველად ტრანსფორმირდება. ტექსტის ერთ-ერ-
თი პროტაგონისტი, „ზეკაცი“ ჯეგე ანთარია (ჟინი ანთარი) – კოსმოგონიური მადითა და „ღმერთს-
მონყურებული უღმერთოს“ (ასე უხმობდა კონსტანტინე გამსახურდია ნიცშეს) ამბიციით სამოთხესავ-
ით მშვენიერ, ციდა ლოკალს ა ხ ა ლ შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე თ ა დ მოიაზრებს: „მე შევქმენი ახალი
მესოპოტამია“ [ოტობაია გ., 2017, 261].

კოსმოგონია გრძელდება: „მივანიჭე ამ ბერნ მიწას (ელიოტის ალუზია – ნ. კ.) ნაყოფიერება, უდ-
აბურ შამგონას „ოდაბადე“ დავანათლე. იგი მარადიული გამოშუქების მატრიცაა, კუნძული-მუდმივა,
კუნძული-ეტალონი – დედნის უფლებით“.

რომან „როკისათვის“ მიდევნებულ ბოლოსიტყვაობაში („რომანების სამზარეულოში“) ავტორი განმარ-
ტავს, აკვალანებს მკითხველს: „პირველ რომანში („სიცოცხლემისჯილში“) დოკუმენტურ-აბსტრაქტულ
გარემოს დავბატავ, ოდაბადე-შამგონა მ ა კ ო ნ დ ო ს ა ვ ი თ ა ა... ვქმნი რეალურ-ირეალურ ტიპაჟებს...
„სიცოცხლემისჯილი“ მიკროსკოპულად ჩაჰკირკიტებს ჩვენს სინამდვილეს“ [ოტობაია გ., 2019, 474].

„სიცოცხლემისჯილის“ მეორე რკალში, რომლის სათაურადაც „ოდაბადე, როგორც ასეთია“ გატანი-
ლი, ლოკალის არსი ვრცლადაა განმარტებული:

„ჩემი მ ი თ ი უ რ ი მ ა მ უ ლ ე თ ი, ო დ ა ბ ა დ ე, მთვარის შუქშია გახვეული [პოსტმოდერნისტი
თითქოს ხიდს დებს „მთვარის მოტაცების“ ლოკალსა და უარსებითეს კონცეპტებთან – ნ. კ.] – დამცხ-
რალი, მინავლული კერიისმაგვარი მთვარისა, რომელიც მამრის სანყისია წარმართული წარმოდგენ-
ებით, დედამიწის გამანაყოფიერებელი – ანათებს და არ გათბობს, განალვლიანებს გუნებაამღვრეულს,
შენეულ სიკეთეებს სავსებით მოიხმარს და არაფერს გინილადებს სანუგეშოს, მაგრამ აი, დ ე დ უ ლ
ე თ ი – შ უ რ ო ბ უ მ უ, მანათობლის არილით მოსილი სულსათხვეველი, გამორჩეული ბუნებისაა –
უკიდურესად მიმტევებელი და ნიადაგ თანალმობის გამომხატველი, სიტყვა „ჩემთავმკვდაროს“ მიმ-
დევნებელი. როცა ფართო აივნები წყრთა სიმინდის აივნებით გაცისკროვნებულა და აქ სპლინისთვის
ადგილი არაა... სამშობლოს ეკვივალენტური სიტყვა „შურობუმუა“ – სულის სათხვეველი, სულის გა-
დასაღვრელი ადგილი – სავანე“ [ოტობაია გ., 2017, 252].

„მდინარის ნახელავ ოდაბადეს“ (ენგურის დელტაში მდებარე სოფელ შამგონას) მწერალი პროტაგ-
ონისტთა მონოლოგ-დიალოგებში განსაკუთრებულ სულიერ ლანდშაფტად წარმოაჩენს: „შამგონაა თუ
ოდაბადე – განსაკუთრებული ადგილია – მ ე ს ა მ ე შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე თ ი წარღვნისწინარე თუ
მერმინდელ წლებში.

პირველი მესოპოტამია ა ტ ლ ა ნ ტ ი დ ა იყო...მეორე ე ვ ფ რ ა ტ ს ა და ტ ი გ რ ო ს ს შორის
მოქცეულ მიწას ეწოდება და იქ უ რ ი ს ტრაგედიის შემდეგ ჩვენი ჯიმ-ჯილაგი, ტოტემი მგლის მოდგ-
მა – იბერიელები ჩრდილოეთისკენ გამოვეშურეთ, დედანუღლიანად აყრილები მოვანყდით კავკასიონს.
ოდაბადე მაშინ დასახლდა ქ უ რ უ მ თ ა მ ოდგმისაგან“.

პოსტმოდერნისტული რომანის პასაჟში ლაპიდარულად ფიქსირება ქართული მოდერნიზმის უარსებითე-
სი კონცეპტი – „ქალდეას მონატრების“ მოტივი, ასევე – რემინისცენცია „მთვარის მოტაცების“ ეპიზოდისა
– „ლირიული ინტერმეცო“. კონსტანტინე გამსახურდია ქართული ანბანის კონფიგურაციის გააზრებისას
წერს: „ხელნაწერს ვათვალიერებ. გაცეხებული შევცქერი ბნელი საუკუნეების საშობი უთარილოდ წარმო-
შობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს... „ინი“ პირნავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ, ცხენოსან
ერს თან მოეტანოს იგი, მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს“ [გამსახურდია კ., 1990, 267].



გური ოტობაიას რომანში „დინაგუძა“ (მინაყრილი) ებრაელთა „მწვანე სამკუთხედთან“ („სიცოცხლის გაჩენის ხელოვნურ ადგილთან“), ეგვიპტურ პირამიდებთან პარალელიზდება, ტექსტი მითოსურ-ისტორიული ციტატებით იქსოვება, რაც ბუნებრივია, პოსტმოდერნიზმისათვის, რომლის ერთ-ერთი ადებტის, როლან ბარტის მიხედვით, „ყოველი ტექსტი ინტერტექსტია, წინმსწრებ თუ გარემომცველ კულტურათა ტექსტები, მათში სხვადასხვა დონეზე მყოფობს მეტ-ნაკლებად საცნაური ფორმით. ყოველი ახალი ტექსტი ძველი ციტატებით ნაქსოვი ახალი ტექსტია“ [ლუკოვი ვ. 2005, 431].

„სიცოცხლემისჯილში“ „წინმსწრებ“ თუ „გარემომცველ“ კულტურათა ტექსტები მრავალგზის გაკრთება („დონ კიხოტი“, „ფაუსტი“, „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ – ისევე, როგორც ფოლკნერთან – ძველი ალექსის, ან ჯოისთან – შექსპირული თუ ირლანდიური ფოლკლორ-მითოსის რემინისცენციები...

რემინისცენციათაგან ერთ-ერთს – მითო-ეკოლოგიურ შრეს მივამყრობთ ყურადღებას „სიცოცხლემისჯილში.“

რომანის მითოსური პლასტი ქართულმა კრიტიკამ იმთავითვე გამოკვეთა. მკვლევარი ეკა ცხადაძე 2001 წელს აღნიშნავდა: „თემატისკა მიმზიდველია, მითიური სანყისის გათანამედროვებაც წარმატებითაა განხორციელებული“.

„სიცოცხლემისჯილის“ კონცეპტუალური ლოკალის – „მდინარის ნახელავი ოდაბადეს“ ხატვისას მწერალი მესოპოტამიის, ასევე, ნილოსის დელტითაა ინსპირირებული. ტოპოსი მითოსური სივრცის პოსტმოდერნისტულ ანარეკლად იქცევა.

შუამდინარული მითოლოგიის მიხედვით, მთასა და უდაბნოს შორის – ორ სკნელს შუა, მოქცეულია კურთხეული ქვეყანა „ქიენგ“ – „სამშვიდობოს დავანებული“... მაგრამ ის არ იქნებოდა კურთხეული, რომ არა ორი წყალუხვი მდინარე იდიგნა (ტიგროსი) და ბურანუნა (ევფრატი), რომელთაც ბიბლიურმა მითოსმა ამქვეყნიურ ედემში მიუჩინა ადგილი“ [კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, 13].

შუამდინარული მითოლოგიის „კურთხეული ქვეყანა“, ბიბლიური მითოსის ედემი ენგურის დელტაში მდებარე შამგონაა, ქართული მაკონდო, „მინიატურული დედამინა“ [ოტობაია გ., 2017, 391] – მწერლისეული მატრიცა-ლოკალი და არა ლოკალური მატრიცა.

სწორედ ეს მატრიცა-ლოკალი განსაზღვრავს მწერლისა თუ პროტაგონისტთა ყოფიერების საზრისს, გზასავალსაც – „კვერცხივით შეკრული ოდაბადედან – კოსმოსივით გაშლილი შურობუმუსაკენ“ [ოტობაია გ., 2017, 306].

რომანის ერთი უმძაფრესი ობერტონი (იქნებ, სულაც მთავარი მოტივი) იმის ფიქსირებაა, რომ სწორედ ამ ლოკალს ემუქრება საფრთხე – რომანის ტოპოსი, ენგურის დელტაში მდებარე ოდაბადე წარღვნის პირასაა და არამხოლოდ მეტაფორულად. ტექსტის ისტორიულ პლასტშიც ცხადია, რომ „გაბიონის მშენებლობა თუ არ დასრულდება, წავიღებს ენგური“ [ოტობაია გ., 2017, 133].

„სიცოცხლემისჯილის“ ეკოლოგიური შრეები სწორედ ენგურის გარშემო განიფინება და ლაგდება. ენგური (იგრი) ქართული მითოლოგიით, საკრალური წყალია [კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, თბ., 2007, 91].

ჰიდროელსადგურის არტახებში გამოკრული მდინარის ანარეკლი ტექსტში, ერთდროულად, ტრაგიკულიცაა და გროტესკულიც. პროტაგონისტ ჭიჭე კვეკვეს სიტყვით, „დღეს რომ ენგურია, მაგდენს სახელდახელო სუფრის შემდეგ მოიიმასქნებენ ხოლმე“ [ოტობაია გ.,

2017, 112] – მდინარე დანრეტილია, ლამის დამშრალი, ამიტომაცაა, რომ „ბალებიც გაუშინაურდნენ“ [მდრ. „მთვარის მოტაცებაში“ დახატულ ენგურს].

უქმდება ბორანიც, რადგან „სადერივაციო გვირავით სხვაგან მიედინებოდა ახლა ენგურის ძირითადი ენერგია და თავდაპირველ კალაპოტში, მერამდენე წელიწადია, საცოდავად მოიწრითებოდა, ფაბრიკა-ქარხნების დორბლით მოწამლული“ [ოტობაია გ., 2017, 123].

საზოგადოებამ ენგურის ნაპირთან ლამისთევას საფეხბურთო რეპორტაჟების ყურება არჩია – „ხალისობანი ხროვისანი“ (ოთარ ჩხეიძე).

ჟინი ანთარის თანამოაზრენი „ენგურის გადაკეცვას ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევენ, ვინაიდან, მათი მტკიცებით, მდინარის დაშრობა მთელ კოლხეთს გადაასხვაფერებს და, ცხადია, მათ შორის, კუნძულ ოდაბადესაც – ზღვა შემოუტევს ნათესებს [მდრ. ზღვის გაპარვის ალეგორიულ-მეტაფორული პასაჟი „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით ნათხზ რომანში ოთარ ჭილაძისა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – ნ.კ.], გახშირდება წვიმები, კუნძულიც ნელ-ნელა დაკარგავს თავის იერსახეს, გამორჩეული ოდაბადე ჩვეულებრივ მიწად იქცევა... ადამიანის ხელი ენგურის მოთოკვას რანაირად მოახერხებს?!“ [ოტობაია გ., 2017, 125].

პროტაგონისტის რიტორიკულ კითხვაში ეკოლოგიური საფრთხე კონსტატირდება, ეკოლოგიურის პარალელურად – სულიერი („კომკავშირ-რაიკომ-აღმასკომად“ დაქარაგმებული).

ეპოქის პარადიგმულ პრობლემად აღიქმება ლაპიდარულ ციტატად კონსტატირებული: „როცა ოდაბადეში სავარგულები ამოიწურება და გლეხი ჰექტრის მეოთხედ ნაკვეთში ჩაიკეტება, ქვეყანას ზედმეტ ტვირთად დაანება“ [137]. იგივე კონცეპტია ხაზგასმული „მთვარის მოტაცებაში“ – ბოლშევიზმი სწორედ მიწას დაეღირა, ბოლშევიზმმავე გააფეტიშა ქვეყნის „ელექტრიფიკაცია“ [„ინყება ქვეყნის უკულმა ელექტრიფიკაციო“, ვკითხულობთ ჯერ კიდევ მოდერნიზებთან].

მწერალი გეოგრაფიულ ლანდშაფტს სულიერთან აკავშირებს: „დროთა განმავლობაში გაუგონრად იკლო აქამდე მოთქლამუნე წყალმა... ტალღების დაცხრომა-დაშრეტამ კუნძულელების სულიც მოაღუნა. მიუჩორდნენ, მიუთამამდნენ ენგურს“ [151].

ტაბუ დაირღვა, საკრალური გაარარავდა. ციტატის დასასრული ნათელყოფს, რომ, ავტორისეული კონცეპტით, ენგური სანმინდარია, სინმინდესთან „მიჩორება-მითამამება“ კი „ვაშინერს.“

პოსტმოდერნიზმი დემითოლოგიზების, დესაკრალიზების ჟამია, წესრიგის ქაოსით ჩანაცვლების ხანა.

სტრუქტურალისტი კლოდ ლევი-სტროსი საკრალურის არსზე მსჯელობისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ისტორია არ წარმოშობს ფუჭ მოვლენებს“ [ლევი-სტროსი კლოდ, ტოტემიზმი დღეს, 2010, 33] და მათი პარადიგმული მნიშვნელობ(ებ)ის ამოკითხვა უნდა ვისწავლოთ.

ბიბლიური მითოლოგიით, მდინარის წყლის სისხლადქცევა ღვთაებრივი განჩინების გამოვლინებაა, ქართული ენის თაურმდგენმა კი, გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, კონცეპტუალურ-პარადიგმული სიტყვები „წყალი“ და „წყალობა“ საერთო ძირით გამოარჩია.

წყალთან „მითამამება“ წყალობასთან (საღმრთო მადლთან) მითამამებასაც გულისხმობს, რაც, ასევე, ტაბუს რღვევაა.

გადარეული მდინარე ხერგავს ყველაფერს. ლოკალური წარღვნა დააფიქრებს შამგონელთ (ქართველ მაკონდოელთ) – რაღაც ხდებოდა ოდაბადეში, აქამდე უცხო, ჯერარნახული, გაუგონარი“ [ოტობაია გ., 2017, 206].

მდინარის ოქსიმორონული არსი სხვა პასაჟშიც ფიქსირდება, რომანის ექსპოზიცივაშივე: „ენგურის მარჯვენა ნაკადი ფრიალოა, ხაბოიანი, აქოჩრილი ჭადრებით გადაჭედელი, ხოლო მარცხენა – ჭაობიანი, სისინა ლელიანით დაფარული, სქელი ნისლით დაყურსული“...

მდინარისავ ბუნების („შინა-არსის“) ნაწილია ონწყომიაც – „რამდენად გადაქათქათებული, იმდენად ვერაგიც“ [8].

რას არღვევს ადამიანი, რომელ ტაბუს, რომელ სანმინდარს მიეთამამება, რომ არისხებს ენგურს გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილში“, ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – ზღვას, ნაირა გელაშვილის რომანებში „დედის ოთახი“ და „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ – ალაზანსა და ვერეს, ოთარ ჩხეიძის „ამაღლებში“ – მთაგრეხილებს?!

სულის ლანდშაფტის რღვევაა სამყაროული ლანდშაფტის რღვევის, კოსმიური წესრიგ-ჰარმონიის დისჰარმონიად ტრანსფორმირების უპირველეს მიზეზთაგანი. გური ოტობაიას ეპიკური ტილოს განაზრებისას მითოსურ-ეკოლოგიური კონცეპტების ანალიზიც უპრიანია, რათა ქართული პოსტმოდერნიზმის ეს მნიშვნელოვანი ტექსტი ბუკვალურ-ისტორიულ, ალეგორიულ, მორალურ და ანაგოგიურ დონეებზე აღვიქვათ, რადგანაც ისევე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“, „სიცოცხლემისჯილის“ უარსებითესი კონცეპტიც არის „ავთენტური გარემოს უნიკალურობა, რომელიც ევროპული ცივილიზაციის თავისებური განმტოების – ქართული სუბცივილიზაციის სახეობას წარმოადგენს“ [კუპრეიშვილი ნ., 2013, 347], სახეობას, რომელიც უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ.

ეკა ცხადაკი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილი“ – კოლხი ზეკაცის ვნებები

(ლონისძიებაზე წარმოდგენილი თემა უკვე დაბეჭდილი იყო
ჟურნალ „პარალელში, 2019, №11).

გური ოტობაიამ ქართველი მკითხველის სამსჯავროზე წარმოადგინა რომანი „სიცოცხლემისჯილი“, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე იხვეწებოდა და ივსებოდა დეტალებით, აზრობრივი ნიუანსებით და შინაარსობრივი შრეებით.

აღსანიშნავია, რომ გური ოტობაია „ცნობიერების ნაკადის“ ჟანრის ერთ-ერთი იშვიათი წარმომადგენელია ჩვენს სინამდვილეში.

„სიცოცხლემისჯილში“ მოთხრობილია კოლხი ზეკაცის ისტორია, მისი რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრების გზა. ამ უცნაურ პერსონაჟს ჟინი ანთარი ჰქვია, რომელიც ევროპული განათლების მქონე უბრალო გლეხის შვილია და რატომღაც „ფრთოსან ჭიანჭველებს“ იკვლევს. მეზობელი გლეხები ვერ იგებენ, რატომ უნდა აინტერესებდეს ვინმეს ფრთოსანი ჭიანჭველები, ან რა საჭირო იყო ამ არსებების შესასწავლად და დასაკვირვებლად დიდი ხარჯის გაწევა და გერმანიაში სწავლა. საქმე ისაა, რომ მთელმა სოფელმა შეუგროვა ფული ჯეგე ანთარიას, იგივე ჟინი ანთარს და მოგვიანებით, სოფელმა ეს ფული უკან მოითხოვა, რადგან მოტყუებულად იგრძნო თავი.

გური ოტობაიას მიერ „ფრთოსანი ჭიანჭველების“ სახე-სიმბოლო ასეა განმარტებული: „ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უკვდავება ფრთების გარეშე არ არსებობს!“ ადამიანების მოდგმისთვის ფრთებად შეგვიძლია ცოდნა და სიყვარული მივიჩნიოთ. გური ოტობაია იკაროსის სახესაც იგულვებს ამ სიმბოლოში და ბევრ სხვა რამესაც, რომელიც მკითხველისათვის ყოველთვის გასაგები როდია.

საერთოდ, „ცნობიერების ნაკადისადმი“ გური ოტობაიას ერთგულება მრავალ ბარიერს უქმნის მკითხველს სათანადოდ გაერკვეს საქმის ვითარებაში, გაიგოს და ჩანვდეს ჰიპერთრიქოზიანთა მოდგმის აზრთა ხვეულებს. გური ოტობაიას დისკურსში ანთარიები პირდაპირ კაცებად იბადებიან და ბავშვობის რგოლს გამოტოვებენ ხოლმე.

ჯეგე ანთარიას, ამ „ზეჭარბი ნვერულვაშა ჭაბუკის“, ტრანსფორმაცია „ჟინი ანთარად“ – ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში მოხდა. აქ მფარველობდა მას ბერტა ფონ ზუტნერი, აქ ხსნიდა უზარმაზარ ფსონებს კაზინოებში და აოცებდა ყველას ბიბლიის ზეპირი ციტირებით. მთელს მის ცხოვრებას მაჟორულ ნოტად გასდევს ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია და სწრაფვა ადამიანებზე აღმატებისკენ. ჟინი ანთარია უკვე ველარასოდეს იქნება კოლხი ბიჭი, ვეღარ გაუწევს ძმობას თავის ექვს ძმას: კვეკვეს, ბათაყვას, ჯღვამას, ბაბუშის, ჩოქოლს და ქვაფუსს. ჟინი ანთარი სატანჯოში გადასახლდება, კეთროვანებთან დაიწყებს ცხოვრებას და ამ უბედურებს თანდათან საიქიოს გაისტუმრებს.

ჟინი ანთარი დაავადებულია ათაშანგით, რომელიც ევროპელი მეძავეებისგან ერგო და რომელსაც მაშინ ვერ კურნავდნენ. იგი თავად იწყებს ხევსური მინდიას დარად განკურნოს საკუთარი თავი და ეხმარება სხვებსაც. მხოლოდ ისე ხდება, რომ მასთან სამკურნალოდ მოყვანილი ქალიშვილები ფეხმძიმდებიან, ბიჭებს აჩენენ და საბოლოოდ უბედურდებიან. ჟინის მრავალი უკანონო შვილი უჩნდება, მათ შორის ბონდო ჰალიძონია და ჭიჭე კვეკვე.

სამშობლოში დაბრუნებული ჯეგე ანთარია თავისი შფოთისთავი წინაპრების მსგავსად უცნაურად იქცევა, ქორწილიდან გაიქცევა და ხალხის საჭოროად სწირავს მაფა ჰალიძონიას. ეს უკანასკნელი ისე იზამს, რომ ძმები ბადუ, ნოჩო და ყიფა თავის საფიცარ დას სასიკვდილოდ განირავენ, ხოლო ის პირდაპირ ჟინი ანთართან ამოჰყოფს თავს, როგორც ადრევე გეგმავდა. სოფლისთვის ჟინი ანთარი და მაფა ჰალიძონია არასასურველი ადამიანები არიან.

ჟინი ანთარმა მაფა ჰალიძონიას არასრულფასოვანი ნაყოფი ბევრჯერ დაუმალა და ჭაობში გადაუგდო. მას არ სურდა, თავისი პირმშოები სხვათა დასაცინად გაეზარდა. ამგვარი სისასტიკეც ვერ აიძულებს მაფა ჰალიძონიას, მიატოვოს დაწყვეტილი კუნძული და მიზანთროპი ქმარი. მწერალი სასტიკი ყოფისთვის იმეტებს საცოდავ ქალს, რომელიც ყველაზე საბრალო არსებაა მთელს რომანში. რატომ არის ასე და რატომ გახდა საცოდავი მაფა „სატანას ხელში დაბეჩავებული წმინდანი“, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის დამახასიათებელ ლოგიკურ აზრთა სვლას არ ექვემდებარება. ეს სისასტიკეა, ხოლო ზეკაცები სასტიკები უნდა იყვნენ, ხალხი ბრბოდ და ფარად მიიჩნიონ – ამას გვასწავლის ნიცშეანურ-ფროიდისტული მოძღვრება, რომელიც გური ოტობაიას რომანის ქვაკუთხედი.

რომანში ჟინი ანთარი ექვსივე ძმის მკვლელად მოიხსენიება, მხოლოდ ბოლოს ვიგებთ, რომ ანთარები რუსებთან შეტაკებას შეეწირნენ, რომლებიც მათთან სოფელში ჟინი ანთარის დახმარებით გამოჩნდნენ. რატომღაც, ზეკაცად დასახულმა ანთარმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება გადაწყვიტა, თუმცა ადრე არასდროს გაუმჟღავნებია ეროვნული სახელმწიფოსადმი სიმპატიები. ამ პერიპეტეიების მთელი ფილოსოფია ისაა, რომ: „კაცობრიობის ისტორია ომების სასაფლაო უფროა, ვინემ ჰუმანიზმის ტაძარი“, თანაც ომი კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ბიძგადაც მიიჩნევა, რაც ბერტასთან გამოთხოვებად დაუჯდა ჟინი ანთარს ახალგაზრდობაში.

გური ოტობაია თუ თეზად ჟინი ანთარს მიიჩნევს, მაშინ ანტითეზად ბონდო ჰალიძონია უნდა ჩაითვალოს, ნამდვილი ჰუმანისტი და მზეჭაბუკი, ახალგაზრდობაშივე დაბრძენებული და ასპარეზიდან უსახელოდ გამქრალი. მისი გაჩენაც, გამოჩენაც და გაუჩინარებაც უჩვეულოა; იგი მეძავად ცნობილმა ცირა შკვითინიამ ჟინი ანთარისაგან ხელოვნური განაყოფიერებით გააჩინა. ამაშია ბონდოს უჩვეულობა, თანაც ის ანთარებში ერთადერთია, რომელიც ჰიპერტრიქოზით არ იტანჯება. რალაც დრომდე არ იცის დედის ვინაობა და უბედური კოჩია ჰალიძონია მამა ჰგონია.

კოჩია ჰალიძონიაზე ყურადღების გამახვილება არც ღირს, მაგრამ ცირა შკვითინია (შკვითინხე) ნამდვილი აფროდიტა – მაცდური, ლამაზი და ავხორცი. მისი რომანი არდაშელ ჰალიძონიასთან, მეტოქეობა მილანდარ ანჩბეხესთან, არდაშელთან განშორება, მრავალი სასიყვარულო ისტორია და საძრახი სახელი, კოჩია ჰალიძონიასთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. იგი ძმის ყოფილ საყვარელზე ქორწინდება და მის უფროს ვაჟს, რომლის მამის ვინაობა ცირამ არც იცის, საკუთარივით ზრდის. კოჩია ბონდოს გაჩენიდან მალევე წაასწრებს ცირას არდაშელთან, გაიტაცებს ბონდოს და მამიდა მავას შეეხიზნება. ასე ჩაუვარდება ხელში ნამდვილ მამას (ჟინი ანთარს) ბონდო და იწყება განსწავლისა და მარტოობის 17 წელი.

ბონდო ჰალიძონიამ ყველაფერი ისე შეითვისა ჟინისგან, რომ შორს წასვლა არ დასჭირვებია. თუ ჟინი ანთარი ევროპაში განისწავლა, ეს უნივერსალური ცოდნა მან ოდაბადებშივე დაუბრკოლებლად გადასცა ბონდოს. ეს იყო ორი მეგობრის, ორი თანამოაზრის თანამშრომლობა. მხოლოდ ბონდო, ჟინისგან განსხვავებით, არასრულწლოვანი გარდაიცვალა, მისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი ქალი უყვარდა და ვიდრე წავიდომა, მთელი თავისი ცოდნა ჭიჭე კვეკვეს გადასცა.

ბონდოს სახელს უკავშირდება ხანძარი სატანჯოში, დიდი ფულის დაკარგვა და ქურდებთან საქმეების გარჩევა, არდაშელის ოჯახის დამცრობა და ამორძალად დასახული ხანტურის მოხიზვლა. ერთი ფრაგმენტი კიდევ საინტერესო, ცირას ოჯახში ღამისთევა და მასთან დაკავშირებული ორაზროვნება. გური ოტობაია დედა-შვილის შეხვედრას განზრახ აბუნდოვანებს, ოიდიპოსის კომპლექსის იმიტაციის შესაქმნელად; თუმცა, ეს პასაჟი ამორფული და უკონტურია და, შესაბამისად, დიდ ყურადღებას ვერ იქცევს.

ბონდო ჰალიძონია ჟინი ანთარზე სუსტი პიროვნებაა, დაკაცება არ დასცალდა და ცხოვრებაც ნაკლებად საინტერესო ერგო. „პირველი სკოლის ხონთქარისაგან ნაჩუქარი სერფბორდის“ სიმბოლიკა ბონდოს მიღმურ სამყაროში გადასვლას ემსახურება, ისე როგორც „ჭოფია ანთარიას ბორანი“ ემსახურება ხთონურ მოცემულობებს.

თუკი დავუშვებთ, რომ ჟინი ანთარი თეზაა და ბონდო ჰალიძონია ანტითეზა, მაშინ ჭიჭე კვეკვე სინთეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა, ამაში ბოლომდე დარწმუნებული ვერ ვიქნებით, რადგან გური ოტობაია ძალიან დამაბნეველი მწერალია და იმდენ ინფორმაციას იძლევა ერთბაშად, რომ ძალიან ჭირს ამ უზარმაზარ ნარატივში მთავარი ღერძის დამახსოვრება და იდეის გამოკვეთა.

ბონდოს მსგავსად ჭიჭე კვეკვეც ჟინის პირმშოა, ჰიპერტრიქოზის გამო საოცარ დისკომფორტს განიცდის; იგი ღორებთან ერთად ცხოვრობს სკოლის იატაკქვეშ. აქედან უსმენს მასწავლებლებს და ყველაზე გონიერი არსებაა მთელს იმ სკოლაში. ზოგჯერ იატაკქვეშეთიდან ამოდის და სქესობრივ კავშირს ამყარებს მასწავლებელ დინა ადელუასთან. ჭიჭე კვეკვესთან სარეცელს იზიარებს ცირა შკვითინია და მისთვის იბრძვის ნორჩი დადუ თუბალიაც. რუსეთში მოგზაურობა, ციხის დიაცებთან შეხვედრა, თმისგან განძარცვა და ბოლოს ისევ შემოსვა – ჭიჭე კვეკვეს ისტორიათა ჯაჭვს პიკანტურ შეფერილობას აძლევს.

ჭიჭე კვეკვეს ბონდომ ჟინისგან გადმოცემული ცოდნა გადასცა, ამონურა საკუთარი მისია და გავიდა ასპარეზიდან. ახლა მთელი იმედები ჭიჭე კვეკვეზეა, რომელმაც უკვე იცის, რომ მოზარდი თაობა უნდა დარაზმოს მსოფლიო პროგრესის სულისკვეთებით და გზა გაუკაფოს ოდაბადედან დაწყებულ „პლანეტის გონითი სივრცის აღმავლობას“.

ავტორის ინტერპრეტაციით, ჟინი ანთარმა თავის თავის პირმშოებს დაუსახა გზა და მისცა გეზი. თეორიული ცოდნით აღჭურვა ბონდო; ხოლო ჭიჭე კვეკვეს ბონდოსგან მიეცა თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები კი მას ისედაც ჰქონდა. ვინ როგორ უნდა დარაზმოს ჭიჭე კვეკვემ და როგორ მოახდინოს ამის ორგანიზება, თავად იცის. ოლონდ საკითხავია, როგორ შეძლებს ამ მისიის შესრულებას ადამიანი, რომელიც არასრულწლოვანების კომპლექსით იტანჯება და აუცილებლად უნდა წავიდეს მოსკოვში „იპოლიტოვიჩთან“ სამკურნალოდ.



გური ოტობაიამ საკითხი დასვა, მიიყვანა გარკვეულ მიჯნამდე და მკითხველს სფინქსის გამოცანა დაუტოვა. იმედია, თვითოეული ჩვენგანი საკუთარი „გონითი სივრცის“ მოხმობით ამოხსნის მას, თუ ჩაძიების ნება და სურვილი გაუჩნდება.

„სიცოცხლემისჯილი“ არაა იოლი ნასაკითხი და გასაგები ნიგნი, რადგან იგი მრავალი აზრობრივი შრისგან შედგება და სხვადასხვა დარგის ენციკლოპედიურ ნაზავს წარმოადგენს, რაც მხატვრული ტექსტისთვის დამატებით სიძნელეებს წარმოშობს.

ჩემი აზრით „სიცოცხლემისჯილი“ საინტერესო ჩანაფიქრის ხორცშესხმას წარმოადგენს, რომლის მიმზიდველობა მინიმუმამდეა დაყვანილი „ცნობიერების ნაკადის“ დისკურსის სტილური გაფანტულობის გამო.



მარინა ტურავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მხატვრულ-დოკუმენტურ ყაიდაზე

ვირჯინია ვულფი თავის ნარკვევში „თანამედროვე პროზა“ ლიტერატურის წარმომადგენლებს ურჩევდა აღენერათ ატომები, რომლებიც გონებას აწვიმს, თანაც იმ თანამიმდევრობით რა თანამიმდევრობითაც ისინი მას ეცემა. მაგრამ ეს მხოლოდ მისი მოგონილი მოთხონებები არ იყო, ისინი დრომ მოიტანა. ტერმინი „ცნობიერების ნაკადი“, რომელიც პირველად ამერიკელმა ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმსმა 1880 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ გამოიყენა, ლიტერატურას არ უკავშირდებოდა, მაგრამ საკითხი ადამიანის არაცნობიერის უწყვეტობის შესახებ სწორედ აქ დადგა. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი პირობითია, რადგან ამ ტიპის ლიტერატურას ადამიანის არა ცნობიერი, არამედ უფრო არაცნობიერი აინტერესებს. ფიქრები არაცნობიერშია შენახული და მათ პერსონაჟის გარკვეული ემოციები გამოიხმობს, როგორც, მაგალითად, ჯეიმს ჯოისის რომანში „ულისე“, სადაც მწერალმა, პირობითად, შეიმუშავა „ცნობიერების ნაკადის“ კონცეფცია. როგორც ცნობილია, ეს მეთოდი თეორიულად არ არის გამყარებული.

მეოცე საუკუნის ლიტერატურაზე, განსაკუთრებით რომანზე ისეთი გავლენა არავის მოუხდენია, როგორც ჯეიმზ ჯოისს, ამ მხრივ მხოლოდ მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“ თუ შეედრება. გასული საუკუნის ყველა დიდმა რომანისტმა, სემუელ ბეკეტიდან დაწყებული სალმან რუშდის ჩათვლით, განიცადა მისი ზეგავლენა.

უილიამ ფოლკნერმა უარი თქვა „ცნობიერების ნაკადის“ შინა-არსობრივ მხარეზე და მიმართა მხოლოდ მის ტექნიკას მხატვრული ეფექტის მიზნით, რამაც მეთოდს გამოაცალა ფუნქცია – არაცნობიერის წვდომა და დაუტოვა მხოლოდ ფორმა. ამის შემდეგ ამგვარი ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პერიოდისა თუ ჟანრის ნაწარმოებებში და ინტერპრეტირებული სახით დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას (თომას პინჩონის „გრავიტაციის ცისარტყელა“ („Gravity’s Rainbow“, 1973), რობერტო ბოლანიოს „ღამით ჩილეში“ („By Night in Chile“, 2000).

ქართულ ლიტერატურაში „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდით, მისი კლასიკური გაგებით, დაწერილი ნაწარმოებები, ფაქტობრივად, არ გვხვდება, მაგრამ ქართველი მწერლის ჭოლა ლომთათიძის 1907-



1914 წლებში დაწერილ მოთხრობებში: „სახრჩობელას წინაშე“, „საპყრობილეში“, „პირველი მაისი“, „ჩემი დღიური“, „თეთრი ლამე“ შეინიშნება „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტები. ამ ნაწარმოებებში წინა პლანზეა წამოწეული გმირის ცნობიერში მიმდინარე პროცესები. ნოველები აგებულია შინაგანი მონოლოგით, რომელიც „თავისუფალ ასოციაციებს“ ემყარება, გარდა ამისა, წამოწეულია დროის ჩარჩო და პასიურია სიუჟეტი. თუმცა, ცხადია, აქ არ იგულისხმება უშუალოდ „ცნობიერების ნაკადი“, რადგან ეს მოთხრობები ბევრად უსწრებს წინ ჯოისის „ულისეს“, სადაც ეს მეთოდი საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

„ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურული მეთოდის გამომსახველობითი ფორმა – ტექნიკა ოთარ ჭილაძეს თავისი პროზის პრობლემატიკის დასახვასა და სტილის გამრავალფეროვნებაში დაეხმარა. ეს ტექნიკა მწერლის რამდენიმე რომანში შეიმჩნევა. თავდაპირველად ის მცირე, თითქმის უმნიშვნელო, ადგილს იკავებს ნაწარმოებში „რკინის თეატრი“ (1981), ნელ-ნელა ძლიერდება „მარტის მამალში“ (1987) და კულმინაციას აღწევს მწერლის რომან „გოდორში“ (2002), გამოყენებულია „აველუმშიც“. ამ ხერხს წარმატებით იყენებენ თანამედროვე ქართველი მწერლებიც.

გური ოტობაიას რომანი „როკი“ არის მეორე წიგნი ტრილოგიისა „ოდაბადე, როგორც ასეთი“ (თბილისი, მერანი, 1998. 896 გვერდი). მეორე გამოცემა 2019 წელს დაიბეჭდა, გამოცემლობა „საარში“, რედაქტორი ელზა მეტრეველია. ამ წიგნში „ცნობიერების ნაკადს“, დროდადრო შინაგან მონოლოგს ავტორი მიმართავს მთავარი პერსონაჟის ასოციაციური და რემინისცენციური აზროვნების ხაზგასასმელად, მისი ინტელექტის წარმოსაჩენად. როკი ოდიშელის ბუნებრივი ნიჭი, ძლიერი ხასიათი, პიროვნული თვისებები ქვეყანამ ვერ გამოიყენა, სწორედ ეს უნდა შეგვავარძობინოს გური ოტობაიამ მთელი თავისი ტრაგიზმითა და სისავსით. თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ეპოპეაში მთავარი გმირის მრავალმხრივი, რთული პიროვნების ცხოვრების გზა და მისი განზოგადებაა. სხვა რეალობაში როკის მსგავსი ძლიერი, გამორჩეული ადამიანები რადიკალურად განსხვავებულად შეძლებდნენ პიროვნულ ფორმირებას, საკუთარი ადგილის პოვნასა და რენომეს შექმნას. ისე არაერთი ცნობილი პერსონაჟის მსგავსად, გარემოების ერთგვარი მსხვერპლია და მისი დახატვით მწერალი იმ ქრონოტოპოსს, იმ რეალობას გვიხატავს, რომელშიც ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობდა საქართველო. მოდერნისტული მხატვრული ხერხების მიღმა, სწორედ რეალისტური მიდგომა და ტრადიციული თხრობის მეთოდი „როკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე. პოეზიიდან პროზაში მოსული მწერალი რომანის ეპიზოდებს ლირიკული წიაღსვლებითა და პასაჟებით ამრავალფეროვნებს, რაც ნაწარმოების მთლიანობას სულაც არ არღვევს, პირიქით, აადვილებს ამ მოცულობით დიდი წიგნის კითხვას.

რომანის ვრცელ დიალოგებში, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი და ინსტიტუციური მოწყობის ავტორისეულ პოზიციას ვეცნობით, მეორე მხრივ კი, წარსულის ერთგვარ რეფლექსიას, ანალიზს. მწერალი ხანაც პირდაპირ, ხანაც პერსონაჟების საუბრებში, მათი მეშვეობით გვთავაზობს რომანის სათქმელსა და პოზიციას! „როკიში“ ეს სათქმელი ძირითადად კონკრეტული შინაარსით არის გადმოცემული. წიგნს ეტყობა ავტორის განათლება და ერუდიციაც, „როკი“ ინტელექტითა და სამშობლოზე ფიქრით გაჯერებული რომანია. მწერალი მხატვრული ეფექტის მიღწევას მდიდარი ლექსიკით, არქაიზმისაკენ მიდრეკილი მეტყველებითა და მეგრული სიტყვების ლიტერატურულ ქართულ სივრცეში შემოტანით ცდილობს. სადაცა და არტისტულიც – ასე შეიძლება დავახასიათოთ ამ რომანის მიხედვით გური ოტობაიას მხატვრული სტილი.

მსოფლიო ამ ბოლო დროს ჰოლოკოსტის ტრავმული მეხისერების კვლევით არის დაკავებული. ამ ტერმინით 1933-1945 წლებში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ ევროპის ტერიტორიაზე ებრაელების, ბოშების, საბჭოთა ტყვეების, შავკანიანი გერმანელების, პოლონელი ინტელექტუალების და სხვა უმცირესობების მიმართ განხორციელებული გენოციდი აღინიშნება. არანაკლებ საინტერესოა საბჭოური კოლონიების რეალობები, სადაც ათასობით ადამიანი იტანჯებოდა. გულაგი ბანაკების მთავარ სამმართველოს ნიშნავდა (ГУЛАГ – Главное Управление ЛАГерей). საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გულაგის პირველი ბანაკები 1918 წელს გაჩნდა. საბანაკო სისტემის შექმნის მთავარი პრინციპი ის იყო, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეები იზოლირებული უნდა ყოფილიყვნენ პოლიტპატიმრებისაგან, სწორედ ამ უკანასკნელებისათვის შეიქმნა გულაგი – ეგრეთ ნოდებული „სიკვდილის ბანაკები“. 1918 წლიდან სსრკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „იძულებითი სამუშაო ბანაკების“ შექმნის შესახებ, რომელშიც პირველად გაიჟღერა აზრმა, რომ ბანაკებისა და ადმინისტრაციის ხარჯების უზრუნველყოფა პატიმრების იძულებითი შრომის შედეგად უნდა მომხდარიყო. შემდგომში საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პლატცდარმი გახდა. რამდენად მოსწონდა ეს ხალხს, არავინ კითხულობდა.

სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ პირველი წიგნი იყო, რომელიც ამ ტაბიურებულ თემას შეეხო. დასავლეთში გამოქვეყნდა 70-იანი წლების დამდეგს, სოლჟენიცინის ყველაზე ცნობილ ნაშრომს ატლანტიკის ორივე მხარეს უზარმაზარი გამოძახილი მოჰყვა.

გულაგების ყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვარლამ შალამოვის „კოლიმური მოთხრობები“. შალამოვი ამბობდა: „მე იმდენად ვწერ ლაგერზე, რამდენადაც ეგზიუპერი – ცაზე, მელვილი – ზღვაზე“; „რომანი მოკვდა და ამქვეყნად ვერავითარი ძალა მკვდრეთით ვერ აღადგენს ამ ლიტერატურულ ფორმას. ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს რევოლუციები, ომები და კონცლაგერები, არაფერი ესაქმებათ რომანთან. გამოგონილი ცხოვრების აღწერა, ხელოვნური კოლიზიები და კონფლიქტები აღიზიანებს მკითხველს“. შალამოვი შეულამაზებლად, დოკუმენტურად აღწერს რეალობას, რომელიც ადამიანს ვერანაირ გამოცდილებას ვერ აძლევს. გური ოტობაიას მეორე რომანშიც არის აღწერილი გულაგების შემადრწუნებელი ისტორიები.

ნანარმოების მთავარი პერსონაჟი როკის პროტოტიპი ჩორნაია პანტერა – შაქრო ჭითანავაა, რომელსაც მწერალი პირადად იცნობდა, ნანარმოებს ნამდვილი, ავთენტური ამბები დასდებია საფუძვლად. პირწმინდად დოკუმენტურ პროზად ვერ ჩავთვლით, მაგრამ მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის ნანარმოები ნამდვილად არის. უამრავი ამბავი, სიუჟეტური ხაზი ერთ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის, ნანარმოების არქიტექტონიკა უზუსტესი და მოქნილია. მწერალი ე. წ. წრიულ პრინციპს იყენებს, თხრობაც მთავარი პერსონაჟის 14 წლიანი პატიმრობის დასრულების შემდეგ იწყება. „როკი“ არის ერთგვარი ეპოპეა, ჟანრული რომანი, რომლის ცენტრში დგას როკი ოდიშელია – ძლიერი პიროვნული თვისებებით, გამოკვეთილი ხასიათით, ინდივიდუალობით. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს უყვარს თავისი პერსონაჟი, ის არ არის გაიდევალებული. ამიტომაც არ ჰგავს სქემებს, ნამდვილი, ცოცხალი პერსონაჟია. როკი ოდიშელიამ საპყრობილეში ზუსტად იცის, სად უნდა იდგეს, ადვილად არჩევს თეთრსა და შავს, ნათელსა და ბნელს, ამიტომაც ტყვეობაში მყოფი გაუტყეხელი, მთლიანი, უდრეკი, შეიძლება ითქვას, ჰარმონიული პიროვნებაც კია, მაგრამ ეს მთლიანობა ირღვევა გარეთ, როცა ის შუბლით ეჯახება რეალობას. რეალობა, რომელიც არაფრით განსხვავდება ტყვეობისგან, დაუნდობელი და ქაოტური. სინამდვილე დიდად არ განსხვავდება საბჭოური გულაგებისგან.

შემთხვევითი არ არის რომანის აფხაზური თემით დასრულება, ერთგვარი წინასწარჭვრეტა იმისა, რაოდენ ტრაგიკულად განვითარდებოდა მოვლენები. გულშიჩამწვდომია აფხაზი ქალების მიმართ სამი ვაჟიშვილის დედისა და რვა შვილიშვილის ბების, ვერა მარშანია-ავიძას მიმართვა, ამ აფხაზმა ქალმა, რომლისთვისაც სწორედ აფხაზური ტრადიციებია სისხლხორცეული, ზუსტად იცის, რასაც მოიტანს გუდაუთური იდეოლოგია და ლიხნის წერილი. მე მაინც ღია ფინალს უფრო ვხედავ ამ რომანში, მოდერნისტული რომანისტიკისათვის დამახასიათებელს. ამის თქმის უფლება იმედად და სასოდ აღმართული ილორის წმინდა გიორგის ტაძრის გამოჩენა მაძლევს, სწორედ კაბადოკიელი ლაზის სახელობის ეკლესიასთან ასრულებს გური ოტობაია თავისი საყვარელი პერსონაჟის სულისშემძვრელ თავგადასავალს!

ჟანრული ნომინალიზმისა და დიდი რომანების, ეპოსების მივიწყების ეპოქაში გური ოტობაია ისევე მონუმენტური, მოცულობითი, მასშტაბური მხატვრული ტილოების ერთგულებით გამოირჩევა, სწორედ ამის დასტურია მისი რომანი „როკი“.

იური პავანსკუა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საზოგადოება და მწერლის სამყარო – სოფიკლავა გენიოსს სიცოცხლეშივე მოვეფეროთ?!

ჩემი მსოფმხედველობრივი მრწამსით, უპირატესობას ყოველთვის „თქმას“ კი არა, „რა არ ვთქვას“ ვანიჭებ. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, შორს გახედვის გარეშეც უნდა ითქვას ის, რაც შესაძლოა, სხვას არ მოეწონოს.

დღევანდელმა შეხვედრამ განმანყო ასე და მინდა რამდენიმე აქცენტი გავაკეთო:

აუდიტორიაში, შეკრებასა თუ კერძო შეხვედრებზე როცა მეგრული ლაპარაკი, მით უფრო, ლექსი ისმის, ეს კუთხურობა ჰგონიათ, ლამისაა დანაშაულად ჩათვალონ.

მეგრული ენა ბევრს დიალექტად მიაჩნია. კოლხური დიდების წარმოჩენას თუ დააპირებ, ეს საქართველოს დაშლის დასაწყისად აღიქმება.

ყოველგვარი მორიდების გარეშე, ვაცხადებ: არაფერია ამაზე ამაზრზენი. ეს სიბნელე, უვიცობა, საკუთარი ფესვების უარყოფა!

ჩვენ განგებამ გვიბოძა გაგვანდეს **სამი ანბანი**: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. **სამი ენა**: – ლაზურ-ჭანურ-მეგრული, სვანური და ქართული.

უნდა გვეამაყებოდეს და გვესმოდეს, რომ ეს აუნონელი სიმდიდრეა, სიტყვათა აურაცხელი მარაგის თითქმის ხელუხლებელი სალარო. ეს ერთიანობის აყლორტებული ნიშანია, შემაკავშირებელი და არა გამთიშველი.

ისინი ანანევრებენ, ვისაც ეს არ ეყურება!..

ჩვენი სალიტერატურო სამეტყველო ქართული წარყვანა „ინგი“, „ისტი“, „ტი“ ან „ციათი“ დაბოლოვებულმა და სხვა სახის ბარბარიზმებმა.

სწორედ ესაა საგანგებო – საკუთარზე უარის თქმა და უცხოურისთვის ხელაღებით კარების გახსნა.

ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ შევიყვაროთ მშობლიური, ფეძე ენები: მეგრული, სვანური. ვისწავლოთ, ვიმეტყველოთ, დავტყუბეთ, ავმალდეთ ამ სწორუბოვარი, ხელთუქმნელი არამატერიალური მემკვიდრეობით.

გური ოტობაიას მეგრულიდან უძვირფასესი მარგალიტები შემოაქვს ლიტერატურულ სიტყვიერებაში. კიდევ უფრო ამდიდრებს, ჟღერადს და ზედმინევნიტ მოქნილს ხდის ზოგად ქართულ მეტყველებას.

გური ორენოვანი მწერალია, თუმცა გასაოცრად სიტყვაკაზმულია მისი შემოქმედება მეგრულ ენაზე. იგი ძირიდან წვერამდის ფლობს ამ ენის უკიდევანო შესაძლებლობებს. ოსტატობა, სიტყვის პენი, მოქმედების, განცდის, წარმოსახვის უზადლო გადმოცემა აქ მას განსაკუთრებით ემარჯვება.

გურის პოეზიაში ბევრია ისეთი პოეტური მიგნება თუ შედეგრი, რომელთაც თითზე ჩამოსათვლელთაგან ნებისმიერი მსოფლიო პოეტი შეიფერებდა. თითქმის ყველა ლექსში ბრწყინავს განუმეორებელი შედარება, აი, ერთხელ წაიკითხავ და მუდმივად რომ გაგყვება: „**მიკმოქუნა ჩხე ქვიშაში ოსარე**“... ან „**ჯიბეს მონტუჭიჭე ფარა**“... „**შარეფ კურჩის ჩაფლაშნერო მუმორნკიპუ**“... „**მა სქიბუ ვორექ ენულირი ყამაშ ორშხეშა**“... „**რინა კისერშა ქიგისქვევა, მუჭოთ მაყურყა**“.. კანსქელი უნდა იყო, რომ ამან არ დაგბურძგლოს.

ვინც მის შემოქმედებით სამყაროში შეიხედავს, გურის უთუოდ შეიყვარებს და აღფრთოვანდება! დაემგზავრეთ მას და დარწმუნდებით.

გურის ჩვენ ყველგან ვხედავთ... ავტობუსში, გაჩერებაზე, გასვენებაში, ტრიბუნაზე... შეგვიძლია ვეკამათოთ, აუგი ვუთხრათ, გულიც ვატკინოთ... ის მოკრძალებულია, თავდაბალი, დამყოლი, გაცხარებაც იცის, ჩვენი თანატოლია, თითქოს არაფრით გამორჩეული – ასეთია ყოველდღიური ურთიერთობის მაცდური ილუზია.

ამ დროს, ჩვენს გვერდითაა გამორჩეული მოაზროვნე, ნიჭიერი შემომქმედი, ხელხვაიანი კალმოსანი, რომელიც მხრებით უზარმაზარ ტვირთს ეზიდება, პირადულსაც და საქვეყნო ტკივილს ყელზე დოლაბჩამოცმულივით დაატარებს. ახლაც კი, როცა ის აქ არის, შევცქერით და შევხარით, მისი გონება მუზებს სტუმრობს, კოლხეთის წარსულზე ფიქრით, მის ანმყოსა და მომავლისკენ იმზირება,



სიტყვებს ეალერსება, პროექტებს ჩაჰკირკიტებს, სიკეთე პეშვით დააქვს და უანგაროდ ანაწილებს – ასეთია მწერლის სამყარო, მისი ხილული და უხილავი ბუნება.

გურის რომანებზე, ხელწერაზე, „ცნობიერების ნაკადის“ განვრცობასა და მასში მისეულ წვლილზე აქ ზეპროფესიულად იმსჯელეს. იმის დამატებას გავხედავ მხოლოდ, რომ ბევრმა, შესაძლოა, არც იცის – ამ ერთმა კაცმა მოიძია, შეარჩია, გადაარჩინა, მომავალ თაობებს შემოუნახა კულტურული მემკვიდრეობის მალაღმასეული ნიმუშები – შექმნა მონუმენტური „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“, განასრულა მუშაობა პროტობერიული სულიერების ძეგლზე და გამოსაცემად მზად არის „იბერიული პოეზიის ანთოლოგიის“ ორტომეული, რომელიც მოიცავს ქართულ, შუმერულ, სვანურ, მეგრულ, ლაზურ, აფხაზურ, ოსურ, ჩეჩნურ, ინგუშურ, ჩერქეზულ, ბასკურ, ირლანდიურ, ისლანდიურ ქმნილებებს;

განსაკუთრებით ტიტანური შრომა ჩადო მან ექვსნიგნეულ ბელეტრისტულ მატრიანეში „**შეუთავსებელთა შეთავსება**“.

შეხედეთ მის აქ გამოფენილ გამოცემებს და ადვილად დამეთანხმებით, რომ მათში უზარმაზარი ენერჯიაა გარინდული.

ჯერ მხოლოდ სამოცდაშვიდს გასცდა და რამდენი შეძლო?!..

უკვე სამოცდაათს იმშვენებს და ასაკის, ხელუხვი მონაგარის მიუხედავად, დღეს პირველად ტარდება მისი შემოქმედებითი საღამო... (ვაიკვენანო, ვამვოლვარა?).

ჩვენში ოდითგან დამკვიდრდა, რომ მხოლოდ გარდაცვლილებს უდგამენ ძეგლებს, სიცოცხლეში კი გამორჩეულებს ვკორტნოთ და ჯვარზე ვაკრავთ..

რატომ არ შეიძლება გენიოსს სიცოცხლეში მოვეფეროთ?! გურიმ ეს დაიმსახურა!

– დღეს ქვეყანა აირია. რუსთაველზე კარვებს შლიან, ხმის ჩახლეჩვამდე გაჰკვივიან უაზრობებს. არავის ცხელა კულტურული ღონისძიებები ატაროს. თალხი ჭარბობს ღია ფერს, სავარძლებს გამოება ხელმოცარულ პოლიტიკოსთა თვალსაწიერი.

სწორედ ამ დროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიცალა საქმისთვის. რექტორის ინიციატივითა და ხელშეწყობით, დღეს აქ იმართება მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი კუთხის – აფხაზეთის მკვიდრის შემოქმედებითი საღამო.

ესაა იმ მისიის ერთგულება, რაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიძინა და თანამინდევრულად, მიზანმიმართულად ხორციელდება.

აქედან ხელი გულწრფელად განვდენილია შერიგებისკენ, აფხაზეთში აფხაზებთან დაბრუნებისკენ. მაღლობა ამისთვის უნივერსიტეტს!

მაღლობა ამისთვის ჩვენს სტუმარს, გურის, რომელიც მისი შემოქმედებით და საქმიანობით აფხაზეთში დაბრუნებას ემსახურება.

ნანა სუჟენია

რეჟისორი, ჟურნალ „კირბის“ პასუხისმგებელი მდივანი

ბური ოტოზანია, როგორც შემოქმედი

ამ დარბაზში თვამოყრილ ძვირფას სტუმრებს მოგესალმებით და რამოდენიმე წუთით თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ბატონ გურიზე, როგორც შემოქმედზე.

ის ფლობს არ მარტო ლიტერატურულ ხელოვნებას, არამედ ასევე ღრმადაა განსწავლული საბუნებისმეტყველო საგნებში, ფილოსოფიაში. ბატონ გურის იდეების საბადოს ვეძახით. მაგრამ მატერიალური ბაზის უქონლობა ყველას განხორციელების საშუალებას არ აძლევს. საქართველოში მან პირველმა 1991 წელს დაარსა ფირმა „ოდაბადე“, სადაც დაიწყო ნობელის პრემიის ლაურეატების ტომეულების გამოცემა. ასეთი პროექტი იმხანად რუსეთშიც არ გაკეთებულა. მხოლოდ უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“ და „დათვის“ გამოცემა მოხერხდა. სამოქალაქო ომს შეეწირა გამზადებული 37 ტომი...1993 წლიდან იბრძვის, აქვეყნებს სტატიებს გაზეთებში, სკოლებში უძველესი მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების შემოღება-სწავლაზე, მათ დანიშნულება-აუცილებლობაზე. მაგრამ ვის ესმის...1995 წელს აყალიბებს გაზეთ „ოდოიას“, სადაც ასეთი რუბრიკა შექმნა: „ათი ზელირსეული



ქართველი“, რედაქციაში შემოსული წერილებით სულმნათი პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ლიდერობდა. ანალოგიური პროექტი წლების შემდგომ ტვ „იმედმა“ ინგლისიდან მოიტანა.

ხელოვანთა, შემოქმედთა საერთოდ ერთდირებულ პიროვნებათა მეუღლეები მუდამ ჩრდილში არიან. ვერც ერთი შექმნის გენიალურს ერთგული, თანამდგომი თანამეცხედრის გარეშე. თუ ასეთი რთული, ესოდენ საპასუხისმგებლო მისია იყო მწერლის მეუღლეობა ყმანვილქალობაში ნამდვილად ვერ წარმომედგინა.

ბატონმა გურიმ უდიდესი შრომის, ენერჯის და ადამიანური რესურსების ძალისხმევით გამოსცა „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“, ასევე გამზადებული აქვს და კეთილი სპონსორის მოლოდინშია „იბერიული პოეზიის ანთოლოგია.“

ბატონ გურის წიგნების გამოცემა ბავშვივით უხარია. სტამბიდან პირდაპირ გაჩუქებაზე გადადის, დიდი ძალისხმევა დაგვიჭირდა პირველად ოჯახში მოტანის დაბედაზე. გაცემისას არც უფიქრდება თავისთვის დარჩა თუ არა, სახლისთვის გადანახვა არ იცის. 1990 წელს გამოსცა პირველი რომანი „სიცოცხლემისჯილი“. ოთხ ფერში იყო ყდის დიზაინი. ღია მუქი, ლურჯი და ნითელი. სად არ გადავმალე: ყუთებსა თუ ჩემოდანში, ყველგან მიაგნო. დღეს ბუკინისტებში შექცნილით ექვს ცალს დაკანკალებთ, ნითელი ფერის საერთოდ არა გვაქვს. ლექსების კრებული, 1996 წელს გამოცემული „გვიმარა“ უსიამოვნო მოგონებას აღმიძრავს. სულ გაასხვისა, კიდევ, რომ არ ეყო სახლიდან ჩვენი ზეცაში დავანებული ანუკისთვის განკუთვნილი ეგზეპლარი უსახსოვრა ვილაცას. ვისარგებლებ ამ ტრიბუნით და მოგმართავთ, ვისაც გაქვთ ანუკის სახელზე, მამიკოს წარწერიანი წიგნი, გთხოვთ, დამიბრუნოთ. ჩემთვის ის ანუკის გაცოცხლების ტოლფასია...

2005 წელს ჟურნალი „კიბისი“ წარუდგინა ქართველ მკითხველს, რომლის რამდენიმე ნომრიდან, ხოლოდ ერთი ეგზეპლარი კიანთებს ოჯახში.

გურის ჰყავს სამი უნიჭიერესი შვილი – მარიკა, ანი და კოკა. მარიკა პოეზიაშია დახელოვნებული. პოემა „ოდიას“ შექმნასა და თარგმნაში დიდი წვლილი მიუძღვის, ასევე მეორე პოემა „გვიმარას“ რამდენიმე თავი აქვს ინგლისურად გაკეთებული, თუმცა გური ყოველ თვე ცვლის, ხვინავს სიტყვებს და მარიკაც იძულებულია ბოლო ვარიანტს დაელოდოს.

მარიკა და კოკა თავიანთი ფინანსებით ყველა პრობლემისგან ათავისუფლებენ მამას და შემოქმედებით ატმოსფეროს უქმნიან.

ცხრა წლის ანიმ ინტერვიუების მთელი კასეტები გაუშიფრა. უნიჭიერესი შვილები დამოუკიდებლად მეცადინეობდნენ, გურიზე გადართულმა ყურადღება მოვადუნე, ვერ ვუპატრონე ჩემს პატარა ანუკის. ანუკიმ სამუდამოდ თავისი კვალი არ ნაშალა, დაგვიტოვა გრაფიკით შესრულებული ნახატები, ხუთი დღიურების რვეული, რომელიც წინადად „მაპატიე, დე“... გამოვეცით 2019 წელს. ანუკიც მუდამ ოჯახზე ზრუნავდა. დღეს აქეთ მომავალთ ნუცუბიდის ქუჩაზე ორი ავტომობილი შეგვხვდა სახელ ანის სერიით. ყოველთვის, მნიშვნელოვან საქმეზე გასულს არ არსებობს ანის სერიის მანქანა არ გამიძღვეს წინ, მაშინვე მაგრძნობინებს ჩვენი ანუკი, რომ ყველაფერი კარგად იქნება და აი, მცირე სასწაული ვიხილე 2019 წლის 13 დეკემბერს, როდესაც სოხუმის სახელწიფო უნივერსიტეტში, სადაც სასწავლებლის რექტორმა ბატონმა **ზურაბ ხონელიძემ**, ფრიად ერთდირებულ, სასიქადულო მამულიშვილ ბატონ **ნოდარ ჭითანავასთან** ერთად,

გურის გადასცა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონმა **მაყვალა გონაშვილმა** კი ტერენტი გრანელის სახელობის პრემია უბოძა. ამ ორ დიდ სიურპრიზზე მიმანიშნა ჩემმა ანუკიმ გზაზე შეხვედრისას. ის იქიდანაც გვეხმარება, გვშველის. დღეს ანუკი აქ არის, მე მას ვგრძნობ, თავზე დასტრიალებს თავის საყვარელ, ძვირფას მამიკოს, რომელიც ძალიან უყვარს. ათი დღის წინათ ჩაიარა ტკივილიანმა ანუკის დაბადების დღემ.

პატარა გოგონა სამშობლოს პატრიოტი იყო. თავის წიგნში მაცხოვარს ასე ავედრებს მამულს: „წმიდაო მარიამ! ეს ქვეყანა შენი წილხვდომილია, არ მოაკლო მას შენი მზრუნველი კალთა და დაგვიცავი. გვედრები უფალო, რაიმე ცუდი არ დამართონ ჩვენს ქვეყანას. შენ ყოველთვის გვიცავდი, საქართველოს რამდენჯერ დაუმარცხებია ურიცხვი მტრის ლაშქარი და ეს ყოველივე, შენი დახმარებით. დაგვიფარე, დაგვიცავი, ეს ბედკრული ხალხი. ამინ. დაე, მან და ციურმა ძალებმა დაიფაროს, როგორც ჩვენი ოჯახი, ასევე საქართველო და მთელი მსოფლიო“.

მომიტყვევთ ამ მინორული გადახვევისთვის, მაგრამ გამიგებთ. იქ, სადაც გურია, ანუკიზე მუდამ ითქმება ორიოდ სიტყვა.

კოკა, რვა წლის ასაკიდან ბატონი გურის ტექნიკური რედაქტორი, ყდების დიზაინერი, წიგნების დამკაბადონებელია. წერს მუსიკას. მამის ლექსებზე, რამდენიმე მელოდია შექმნა, ამზადებს დიდ ალბომს, რასაც დიდი დრო და ენერჯია სჭირდება. საკუთარი შემოქმედების მისახედად დრო თითქმის არ რჩება. მიუხედავად გადატვირთული რეჟიმისა, უნივერსიტეტში წარჩინებით სწავლას, სამსახურს და ბატონი გურის დახმარებასაც დღემდე ახერხებს. თავისუფალი დრო თითქმის აღარ აქვს.

ათეული წლია გური და ჩვენ ერთად მოვდივართ. ჩვენი სიხარულით, ლხინით თუ ცრემლით, ომით თუ მშვიდობით. ოჯახში ვამბობთ, გურის სჭირდება ამკრეფი, რედაქტორ-კორექტორი, დიზაინერი, მთარგმნელი, დამკაბადონებელი და ჩვენც სხვა საქმეებთან ერთად შეძლებისდაგვარად ვუმსუბუქებთ ტვირთს. ისე ხასიათით, მძიმე წონის კატეგორიას განეკუთვნება ბატონი გური. კი, ბატონი გური, გულნაკლულია, მაგრამ ის ნიჭიერებასთან ერთად უდიდესი პიროვნებაა, ყველა ადამიანური ღირსებებით შემკული. ერთგული, უღალატო, უშურველი, მოყვასის ჭირის და ლხინის თანამოზიარე. უსაზღვროდ ახარებს მომავალი თაობის ნიჭიერება. მათ შემყურეს ქვეყნის კეთილდღეობა ეიმედება, როგორაც ძალუძს ასწავლის მწერლობის, შემოქმედების ანა-ბანას. როცა თავად გასაჭირში ჩავარდა მარტო შეუდგა თავის გოლგოთას, ყველანი აორთქლდნენ, თუმცა სხვათა დახმარება ამის შემდეგაც არ შეუნყვევია. არავის აგრძნობინებს თავის ტკივილს... დარდს... საკუთარ პრობლემაზე თხოვნა, წუნწინი არა სჩვევია, ამიტომაც 35 წელიწადი ცხოვრობდა ქირით. ანუკის მამას, ნუგეშის სანაცვლოდ მავანნი უფრორე უმძაფრებენ ტკივილს, როდესაც მის იდეებს, შემოქმედებას პლაგიატები მოიპარავენ, გადააკეთ-გადმოაკეთებენ, თავისად გაასაღებენ გურის ნაღვან-ნაშრომს... მიუხედავად ამისა, ანუკის შემდეგ არ გავბოროტებულვართ, პირიქით. გურისთვის სხვათა დასახმარებლად სიტყვა „არა“ არ არსებობს. თუ ვინმეს მცირე სიკეთეს გავუკეთებთ სული ზეიმობს მაშინ. მსგავსი სარწყაულით არ ვმოქმედებთ.

რომ არა გურის, როგორც პიროვნების, როგორც შემოქმედის მოყვარულნი ღვთისნიერი ბატონები **როსტომ შამუგია** და ჩემი სულიერი უმცროსი ძმა, უღალატო, მუდამ გვერდში მდგომი, საიმედო ბატონი **ზაურ ნაჭყებია**, დღეს ამ საოცარ საღამოზე, რომელიც კეთილშობილმა პიროვნებამ ბატონმა **იური პაპასქუამ** მოაწყო გური ოტობაიას ამ ამპლუაში ვერ ვიხილავდით...

ბატონ გურის, როგორც ხელოვანს და როგორც პიროვნებას ვუსურვებ ხვავიან-ბარაქიანად ეღვანოს. სამშობლოს საკეთილდღეოდ კალამი არ მოდუნებოდეს. უფლის ნყალობა-შენენით ჯანმრთელობა, ბედნიერება არ მოკლებოდეს და ქართველებთან ბრძოლაში, მუდამ გამარჯვებულს ევლოს ამ ცისქვეშეთში. ბატონო გური, ამ საზოგადოების წინაშე სიკვდილის უფლება არა გაქვს, არა გაქვს უფლება, არ დააფასო სოხუმის უნივერსიტეტისგან მონიჭებული ეს საპასუხისმგებლო ტიტული და უფრო მეტი, გაასკვეცებული ენერჯით არ იღვანო.

განსაკუთრებული მადლობა ამ მშვენიერი საღამოს თავკაცებს: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ **ზურაბ ხონელიძეს**, ბატონ **იური პაპასქუას**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ **მაყვალა გონაშვილს**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავკაცს, ბატონ **ჯემალ გამახარიას**, ჩემს სათაყვანებელ კოლხთ, ბატონ **ნოდარ ჭითანავას** და ბატონ **იგორ კვესელავას**.

პატივცემულო სტუმარებო, თქვენი მობრძანებით, გურის შემოქმედების დაფასებით უფრო საინტერესო, მიმზიდველი, მშვენიერი და დაუვინყარი გახადეთ 2019 წლის 13 დეკემბრის დღე.

მზეგრძელობა, ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა არ მოგკლებოდეთ ჩვენო საყვარელო ქართველებო!

კონსტანტინე ჯეტელავა

ფიზიკოსი, კომპოზიტორი

გური ოტობაიას შემოქმედებით სალამოზე წარმოთქმული სიტყვა



მოგესალმებით, ძვირფასო საზოგადოებავ, პატივცემულო სტუმრებო! მაღლს მოგახსენებთ აქ მოსვლისათვის, ბატონი გური ოტობაიას და მისი შემოქმედების დაფასება-სიყვარულისათვის.

თქვენის ნებართვით, მოგახსენებთ, ბატონი გურის შემოქმედების შიდა სამზარეულოზე, როგორც თვითმზილველი. დღეს ამ დარბაზში შეკრებილი საზოგადოება უდაოდ დამეთანხმება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ბატონი გური უნიჭიერესი შემოქმედია. შემთხვევით არაფერი ხდება ცისქვეშეთში და ეს გონიერება მას უფალმა მომადლა. ხელოვანის წინსვლას ოჯახური გარემო განაპირობებს, გამონაკლისი არც ჩვენ ვართ.

პატარა, სკოლის მოსწავლე რვა წლის ბავშვს, მოგესხენებათ ღამე ძილი სჭირდება, რათა დილით დაუგვიანებლად წავიდეს სკოლაში. ბატონი გურის სტიქიაა ღამე მუშაობა. წერაში ჩაძირული, კომპიუტერულ ტექნიკაში გამოუცდელი, გადაუდებელ დახმარებას ითხოვს. მამის მაშველიც აქვია, მეზობელ ოთახში მშვიდ ძილს მიცემული ბიჭუნა. დამადგება თავზე შუალამის 3-4 საათზე, დროს არა აქვს მნიშვნელობა და ნახევრად ძძინარეს, თვალების მსრესავ თქვენს მონა-მორჩილს ამაყენებს თბილი ლოგინიდან, რათა წიგნი დავაკაბადონო. ვის ადარდებს ჩემი სკოლაში წასვლა, ამის შემყურე დედა იზაფრება მხოლოდ. მიუხედავად ღამეების გათენებისა არც სკოლა გამიცდენია არასდროს და არც დამიგვიანებია. ბატონი გურის ამ დახმარებებით მეც გავიწაფე ტექნიკაში, დავეუფლე თაბახების წიგნად შეკვრის საიდუმლოებებს. დღესაც რითაც შემიძლია გვერდში ვუდგევარ, ხშირად საკუთარ საქმეს განზე გადავდებ და ბატონ გურის ვშველი, ისე კი მას დღეში სულ მცირე ხუთჯერ მაინც სჭირდება ჩემი თანადგომა.

ბატონი გური დიდი ადამიანია ყველაფრით. მოყვასისთვის დაუზარელი, უშურველი, უღალატო, უპატიოსნესი და ერთგულია. სხვათა ხელ გასაწვდომად მისი შესაძლებლობების ფარგლებში მუდამ მზადაა. ადამიანებს თავისი გადასახედიდან უყურებს, გგონია ყველა მისნაირია. ასე, რომ იყოს, ქვეყნიერება უკეთესი გვექნებოდა. ჩვენ, შვილები, საერთოდ დამოუკიდებლობას ვართ მიჩვეულნი.

ცხოვრებისეულ ქარტახილებს... ძნელად უმკლავდება, ამ დროს ის პატარა, უმწეო, უსუსურ, გზადაბნეულ ბავშვივითაა. მას აქვს ჯიუტი ხასიათი და ეს სიჯიუტე შემოქმედების დახვეწაში, საკუთარი თავის შეჯიბრებაში, მუდამ დაუკმაყოფილებლობის, მიუღწევლობის შეგრძნებასა და ახლის აღმოჩენაში დიდად შველის. მისი ნაწარმოებების პირველი, ობიექტური შემფასებლები ოჯახის წევრებია, მაგრამ რად გინდა. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, – ნათქვამია და ამ პრინციპს მისდევს ბატონი გურიც. როდესაც სახლიკაცების ანალოგიურ აზრს სხვებიც მოახსენებენ, ან კრიტიკას მიუძღვნიან უკვე გვიანია თითზე კბენანი, ესეც ხასიათიდან გამომდინარეობს. ისე ჯანსაღი კრიტიკა კარგიცაა კალმოსანისთვის. მიუხედავად მრავალჯერ გულ-



ნატკენობისა, მაინც ფეხზე დგას უფლის შენენით, მაინც ბებერ, გრიგალებ გადატანილ მუხასავით მიუყვება შემოქმედებას მისას. საოცარი ენერჯის პატრონია. დღე და ღამე თავდაუზოგავად მუშაობს. ოჯახის ყოველდღიურობა მისთვის მეთებხარისხოვანია. როგორც კალმის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ხელოვნება თავზე მეტად შეგყვარებიაო“... – ზუსტად ასეთია ბატონი გურიც, შემოქმედება და მხოლოდ შემოქმედება. ესაა მისი ცხოვრებისეული კრედო. არასდროს ფიქრობს მატერიალურ კეთილდღეობაზე, ფუფუნება არ იტაცებს. არ ეძებს პოპულარობას, ძალზე მოკრძალებული პიროვნებაა. იოლი გზით არასოდროს უვლია ბატონ გურის, საკუთარ პრობლემაზე არასდროს დაუძრავს სიტყვა. ის წერს და იღვწის სამშობლოსთვის. უფალი ჭეშმარიტებას გვასწავლის: „ადამიანებისაგან ბოძებულ დიდებას ნუ შეიყვარებთ, უფლის დიდებას ესწრაფვოდეთ“. ხშირად იტყვის ხოლმე: „რაც მთავარია მე დავწერე. ნაწარმოების შეცნობას დრო უნდა. მომავალი თაობები წაიკითხავენ, გაიგებენ და დააფასებენო“. პირადულზე მაღლა მამულს აყენებს. „როგორც ჩემი სამშობლო ცხოვრობს, მეც ისე უნდა ვიცხოვროო“, – გვეუბნებოდა ქირით მყოფ შვილებს.

შემოქმედებაში ჩაძირულ ბატონ გურის თუ რამეზე შევეკითხებით, პასუხს ინსტინქტურად გვაძლევს, როცა შევასხენებთ, „არ გიკითხავთ ჩემთვისო“, მოგვიგებს. სამუშაო კაბინეტიდან გამოსული მაინც თავისი გმირების გარემოცვაშია, მაინც ზეცაში დანავადობს, იქითაა მუზათა ლაშქარში და არა ჩვენთან, მიწაზე, ცხოვრებაში, რომელსაც ყოველდღიურობას, ამაოებას ეძახის და არც თუ უსაფუძვლოდ.

გუსურვებ ბატონ გურის დიდი ხნის ჯანის სიმრთელეს, შემოქმედებით წინსვლას, წარმატებებს, რათა ახალი ნაწარმოებებით გაეხარებინოს ყველა აქ მობრძანებული სტუმარი და ეფხიანებინოს კალამი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

იქულეპითი კომენტარები

გური ოტობაია, მწერალი

პირველი კომენტარი

ოქროს სინჯის მიხედვით აფასებენ, ბრილიანტს კარატებით არწყავენ, ცხენს – კბილებით, მაგრამ როგორ მივუდგეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რა კრიტერიუმებით შევიცნოთ იგი? როდესაც ქართულ რომანზეა მსჯელობა, აქ უწინარესად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ *ვეფხისტყაოსანი* და მასთან დაკავშირებული ესთეტიკური პარამეტრები. ჩვენ ადრე გვიმსჯელია, რომ ნაწარმოების ნინუშად არისტოტელე ილიადას განიხილავს. აქ მკითხველი აქილევსის რისხვით ეგრევე მოქმედების ეპიცენტრში გადაეშვება და ამ ფაბულის ფონზე თანდათან გამოიკვეთება ტროაში 9 წლის განმავლობაში დატრიალებული ომის გამომწვევი მიზეზები. რუსთაველთანაც იგივე სტუაციაა – დამაინტრიგებლად შემოიჭება

ჩვენს ცნობიერებაში უცხო მოყმე და შემდგომ ამ უცხო მოყმის ძიების მხარდამხარ დალაგდება ყველა მოქმედება, თვით ტარიელის თავგადასავლის ჩათვლით. აღმოჩნდა, რომ მხატვრულ სამოსელს გვამახსოვრებს ნარუშლელი სიუჟეტით მოწოდებული ამბავი. მატეო ფალკონესთან ამისთანა მომენტი ერთია, როცა დევნილ კაცს შემოიფარებს ფორტუნატო და ამ კაცს საათის ქრთამით გაყიდის, ხოლო შესაბამისად მამა სიკვდილით დასჯის მემკვიდრეს ოჯახის თავსლაფდამსხმელი საქციელის გამო. აი, ეს ყველაფერი ბრილიანტის ერთი კარატია, ცხენის ჯანსაღი კბილია, ოქროს ბაჯალლოს მინამგვანი სინჯი. მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ხომ გაცილებით მეტი აღნაგობისაა, მას შარა გრძელი აქვს გასავლელი და ამ გრძელ შარაზე თუ ვერაფერმა შეძრა შენი სული, ირწმუნე – წყალწყალა ნაწარმოები ნაგვიკითხავს. მწერლისეული თხრობითობის პერიოდში, როცა ივო ანდრიჩის დრინაზე ხიდის აშენებაზე საუბარი მუსულმანურ-ქრისტიანული თემების დამაკავშირებელ ნაგებობად, ამ ყველაფრის მოწინააღმდეგე რადისავის ძელზე გასმა არაფრით ამოგივარდება გონებიდან. დანარჩენი, 400-500 გვერდი ტყუილუბრალოდ გვიქარავნია? ორიგინალური შთამბეჭდაობით გამორჩეულია „დათა თუთაშხია“, რამაც განაპირობა ფაქტობრივად ამ ნაწარმოების გამორჩეული პოპულარობა. ნებისმიერი სიტუაცია მის მთავარ გმირს მკითხველისთვის მოულოდნელ ვითარებაში ამოაყოფინებს თავს და მონათხრობის დახსომების ხარისხსაც ეს უკანასკნელი განაპირობებს. ამ დროს ლიტერატურული უზადობით ჰყვება და ჰყვება მწერალი „რკინის თეატრში“, „აველუმში“ მაგრამ საბოლოოდ ბავშვებისათვის მოსაყოლი ძალზე ცოტა გრჩება. არადა, „მარტოობის ასი წელიწადი“ აღარაფრით ამოგებერტყება გონებიდან მაკონდოში მოწინააღმდეგე ბოშების გამოისობით, რომლებიც მაგნიტებით დაიარებიან და უბირი სოფლებების განჯინებიდან თვალდაყვლეპილი მასპინძლების ცხვირწინ არხენად იტაცებენ ქვაბებს, ტაფებს, ქაფრებს და კოვზებს. დიახ, ორიგინალური რაკურსით მოწოდებულ ამბავთა ერთობლიობა გვამახსოვრებს ნაწარმოებს და ეს მახასიათებელიც განსაზღვრავს საბოლოოდ მის ვარგისიანობასაც.

ამ კრიტერიუმებით ყველა ნაწარმოებს აღმატებული „დონ კიხოტი“ აღმოჩნდა 100 ამერიკელი ესთეტიკოსის. არისტოტელეს მიერ ნიმუშად აღიარებული „ილიადა“ ოცეულში ძლივს ხვდება.

არის მიდგომები: ყველა დროის 10 საუკეთესო მწერალი – ტოპ-10, სადაც ავტორები ამნაირადაა განლაგებული: 1. ლევ ტოლსტოი, 2. უილიამ შესპირი, ფიოდორ დოსტოევსკი, 4. ჩარლზ დიკენსი (ღმერთო ჩემო!); 5. ჰომეროსი (ბედი არ გინდა?!); 6. რუელ ტოლკინი; 7. ედგარ პო („ყორანი“ მსოფლიო ლექსის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ „ვეფხვისა და მოყმის ბალადის“ მსგავსად); 8. ვიქტორ ჰიუგო (კვაზიმოდოს შემქნელი ღირსია ამ პედესტალის); 9. მარკ ტვენი (ტომ სოიერმა და ჰეკლბერი ფინმა გააბრწყინა კაცობრიული ბავშვობა); 10. ჟორჯ ორუელი (ეჰ, მისი კოლტი როგორ ხუნტრუცებს აქაურობაში, ქრისტეა საჭირო, რათა ლეგიონის ეშმაკები იმ კოლტში შელალს და გადახაფროს სელინჯერის ჭვავის ყანობის ფლატედან).

არის განსხვავებული ტოპები: ოცეული, ერგასეული, ასეული, ამ უკანასკნელისგან ფავორიტად „ომი და მშვიდობა“ სახელდება, აქვია „ბიბლია“, მარქსის „კაპიტალი“ და ა. შ.

ჩვენ მსგავსი დილექტანტური ტოპების მამითადი ბევრად არ წავგადაგება მსოფლიო ფასეულობათა დადგენისას, სანამ ნაწარმოების კრიტერიუმად ესთეტიკურად უცდომელ ინსტრუმენტს არ მოვიშველიებთ – ამალღებულობას, მშვენიერის საზრისს (ჰეგელი) და რადგანაც მკითხველის მოხიბვლის ბარომეტრად ნაწარმოების სიუჟეტური სიბასრე დაგვისახელება, გვიკვირს რისი წყალობით აღწევს „თამაში ჭვავის ყანაში“ ესოდენ ნარუშლელობას. აქ უნებლიეთ ამოტივტივდება წინა განმარტებაში დასახელებული სელინჯერის თხრობის ხელოვნება დაახლოებით ამნაირი სქემით: რაღაც, რაღაც, რაღაც, რაღაც და ამბავი; რაღაც, რაღაც, რაღაც, რაღაც და ეგეთი; რაღაც, რაღაც, რაღაც, რაღაც და სირი; მაგრამ ყოფნის კი ეგ საჭურჭლე ეტალონის გასაგისს?!

ნაწარმოების ნარუშლელობაზე როცა ვსაუბრობთ, სულმუდამ გვემახსოვრება ოდისევსისა და პენელოპეს დამარტოხელების სცენა 17-წლიანი განშორების შემდეგ. ითაკას მეფე ლაერტიდი მისიანების მიერ (ძიძა, მელორე ვემოსი) აღიარებულია ოდისევსად, აბეზარი სასიძოები დახოცილია უკლებლივ, მაგრამ ერთგული ცოლის გულს კვლავაც ღრნის ეჭვის ჭია, ვაითუ სხვა იყოს და გამოსაცდელად საზიარო ლოგინის ჩაჩოჩებას სთხოვს ქმარს. აქ კი ირონიული ღიმილით ამგვარად შეეხმიანება ერთგულ თანამეცხედრეს ჭკუაუხვი ოდისევსი: ო, პენელოპე, რა ხარ შენ, არ გახსოვს ჩვენს

ახალგაზრდობაში, ტრიალ მინდორზე გაბარჯლული ზეთისხილის ხე რომ მოვჭერთ, გადავხერხეთ, ზედ დავაგეთ ცოლქმრული ლოგინი და სად გინდა ახლა გამაჩოჩიალებინო.

აი, ჩვენი გაფაციცებული გემოვნების სამუდამოდ შემძრავი მუხტი.

გამორჩეულია ამგვარი მიდგომებით „მთვარის მოტაცება“ და სამართლიანადაც ესაყრდება როსტომ ჩხეიძის ხუთ საუკეთესო ქართული რომანის ჩამონათვალს, მაგრამ რა ესაქმება აქ „მიმქრალ შარავანდედს“, „გმირთა ვარამს“ თუ გნებავთ „ბორიას?!“ მეხსიერებას არ ვუჩუვი საბედნიეროდ და მათგან თავის კუდისხელა რამ თუ ჩამრჩენოდეს წარუშლელად, მარჯვენა გამხმობოდეს!

რა სიტუაციაა ამ მხრივ ჩვენს „სიცოცხლემისჯილთან?“ ჯერ ერთი, ეს ნაწარმოები 42-ჯერ გადაწერისას და ამდენჯერვე გადაბეჭდისას, ვგონებ მიუახლოვდა ესოდენ გაცვეთილ სიტყვას, როგორცაა დახვეწილი. მეორე მახასიათებლად ის შეიძლება დასახელდეს, რომ ტრადიციული პროზისა და ავანგარდისტული „ცნობიერების ნაკადის“ სტილისტიკის თანაარსებობის პირობებში მასში გადალახულია ძველის და ახლის შეთანაწყობის პროცესი, სადაც შენარჩუნებულია მწერლის თხრობაც და ამავდროულად გმირის ცნობიერებაში სხვა პერსონაჟების მონაყოლის ჩაშენების ხელწერაც. ამგვარ მიდგომებს დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურულ სინამდვილეში ჯერხანობით ვერავისთან შეხვდებით, ვერც ჯოისთან და ფოლკნერთან, ველარც სარტრთან და კამიუსთან, ველარც ძუძუების არშინებით ამრწყავ მოსთან.

გამოვა არენაზე, სიტყვისთვის, „მძვინვარებაში“ კვენტინ კომპსონი და ამ თხრობაში ყველაფერს მისთვის ნიშანდობლივი სტილისტიკა შეაფერადებს. შეენაცვლება მოგვიანებით ბენჯი და ახლა ამ შეურაცხადის აზროვნების შესაძლებლობის ფარგლებში ცოცხლდება გარემო, ადამიანები, საგნები. „ულისეშიც“ მთხრობელის ყაიდაზეა მოჭიმული სივრცე – სტივენ დედალოსის ფრაზეოლოგია ლიტერატურულია, მალიგანისა – სტომაქის კაცის – ჩარჩული-პრაგმატული, მოლი ბლუმისა კი – ყოველ გადასახვევს მძუანობით მიშტერებული.

აქ რა ხდება, რა ამოძრავებთ „სიცოცხლემისჯილის“ გმირებს, უფრო სწირად რა სწადია რომანის ცენტრალურ ფიგურას – ჟინი ანთარს, რომელიც ოდესღაც ღვთისმსახური ყოფილა, თეოფილი და ცხოვრებას ადევნებული გამოუსწორებელ ათეისტად ჩამოყალიბებულა, დარვინისტად, მალთუსის თეორიის მიმდევრად. და ეს განსწავლული ბუნებისმეტყველი ჩვენი, თავისი გენების სიჯანსაღე-სწე-ბოვანების (ათაშანგითაა ავად) გასარკვევად მიყოლებით აფეხმძიმებს სამკურნალოდ წვეულ ქალებს. სამი უკანონო ვაჟიშვილი ეყოლება მათგან: გონებასუსტი კემე ანთარია, გონებაჭარბი ჭიჭე კვეკვე და უფლისწულის სადარი – ბონდო ჰალიძონია. ეს უკანასკნელი ღვთიური მეთოდებით გაუზრდია მეცნიერ კაცს, როგორც ტიბეტში სრულყოფილი აღნაგობის მქონე ბიჭუნებისგან დალაი ლამებს შეამზადებენ ხოლმე საზოგადოების წინამძღოლებად. ყველაფერი აუთვისებია ბონდი ჰალიძონიას – ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, თეოლოგია, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებანი, მაგრამ ერთადერთი – ცხოვრება არ იცის ჯეროვნად, საზოგადოებაში მოქმედი კანონზომიერებანი – Homo homini lupus est. სამაგიეროდ ეს ცოდნა საჭიროზე მეტად მოჰმადლა ცხოვრებამ მის ნახევარძმა ჭიჭე კვეკვეს და, აი, ამ ორი ფენომენის თამანშრომლობა-ჭიდილში იხატება კიდევ თავად სანუთროს კაცობრიული არსი. ეს პროცესი, ცხადია, ერთ ნაწარმოებში ვერაფრით დასრულდებოდა. დასახელებული გმირები სხვა რაკურსით, სხვა პერსონაჟების მონათხრობ-ნაფიქრალით კვლავაც განაგრძობენ სიცოცხლეს მეორე, მესამე თხზულებებში, რათა მეტი სიცხადით წარმოჩინდეს რიგით ადამიანებში ეშმაკეულისა და ღვთიურის კუთრი ნონა.

გვეიმედება, რომ ამ ასპარეზზე სიცოცხლემისჯილი არაფრისდიდებით დატოვებს გულგრილს შინაურ თუ უცხო მკითხველს, ოლონდ – წიგნიერს, ოლონდ რამდენადმე ჩახედულს კაზმულ სიტყვიერებაში.

მეორე კომენტარი

სიცოცხლემისჯილის თავისებურებებზე აქამდე რამდენადმე გვილაპარაკია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ამ მიმართებით დასაკონკრეტებელი, კერძოდ: ჟინი ანთარის ცხოვრების გადმოცემა ხდება მისი გარემომცველი ხალხის მეშვეობით. ჟინის ცხოვრება არეკლილია ბონდო ჰალიძონიას ნააზრევში. სანამ ყმანვილის მეობა ჯერ კიდევ არ აფორიაქებულა, ჟინი ანთარის მონაყოლი თუ მაფას მიერ გაცოცხლებული მისი მეუღლის ხატება გაცილებით ზორბა-ზორბა ულუფით გადმოიცემა ბონდო

ჰალიძონიას ნაფიქრალში. მაგრამ გამძვინვარდება ყმანვილკაცი და შესაბამისად ეს მონათხრობიც ფრაგმენტული, მოზაიკური, დაძაბული ხდება.

მე, ვინც საჭიროზე მეტად ვარ დაუფლებული ლიტერატურის თეორიას, იგივე ესთეტიკას, კალისტიკასაც რომ უწოდებს ჰეგელი, თვალნათლივ ვამჩნევ თანამედროვე მსოფლიო სიტყვაკაზმულობაში მიმდინარე პროცესებს. დღეს უკვე ევროპულ მწერალს უჭირს წინწკლებით აჭრელებული ტექსტის ნაკითხვა. იგი რომანის სხეულს აღიქვამს როგორც ცოცხალ ორგანიზმს და ტრადიციული სასვენი ნიშნებით დამძიმებულ ფრაზეოლოგიას ვერ ეთანანწყობა. ამიტომაც არის ტერმინების, სახელების გადმოცემისას წინწკლების მაგივრად მოშველიებული დახრილი შრიფტი. ბუნებრივია, ჩვენც ვიზიარებთ ამ გამოცდილებას. მაგალითისთვის, ჯოისი, მოლი ბლუმის მონოლოგში საერთოდ უარყოფს პუნქტუაცია უშუალოდ მისალწევად. (მითქვამს, კოლფილდის თხრობა სელინჯერის რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“, რამდენადმე დავალებულია ამ ნაწარმოებისაგან). მაგრამ გური ოტობაიას მკითხველი საზოგადოება არ არის პარიზული თუ გენბავთ ირლანდიური და სავალალოდ მას უწევს ზედმეტი დაკონკრეტებები, ვინდლო კითხვაზე გულაცრელებული საერთოდ არ დაჰკარგოს. ჩვენ ვცდილობთ „ცნობიერების ნაკადის“ გადმოცემა უფრო ხელშესახები გავხადოთ. ეს პრობლემა წარმატებით გადაწყვიტა კინემატოგრაფიამ. აქ წამყვანი როლი დაეკისრა ფირს. გმირის ამჟამინდელი სულიერი მიძრაობის სცენები – ფიქრი, მსჯელობა, მოქმედება ფერადი ფირით თუა გადმოცემული, წარსულის სურათები შავ-თეთრიაა მოწოდებული და მაყურებელი ეგრევე ხვდება ფაქტურის შეცვლას, იგი მსწრაფლ უღებს ალღოს, რომ გმირის მოქმედება ახლანდელი დროდან წარსულშია გადასროლილი, გარდახდილი ამბების ნაკადშია მოყოლილი. მაგრამ როდესაც რომანში მსგავსი მეთოდით აწვდი მკითხველს გმირის ცხოვრების ამსახველ სურათებს, თანაც უკომენტაროდ, ეს უკანასკლელი იბნევა, მხრებს იჩეჩს, რთულიაო, ხელებს პარჭყავს, ტუჩებს იბზუებს, არ იტკივებს აუტკივებელ თავს და სჯერდება ტრადიციით გაბატონებულ სტილისტიკის ნაწარმოებებს, რომლებიც აისბერგს მხოლოდ წყლის ზემოთ ხილვადად წარმოაჩენენ, ხოლო წყლის ნაკადით დაფარული მათ ინტერესებში არ შედის. ამ კატეგორიის მკითხველები კმაყოფილდება დუმბადის, გენბავთ ჰემინგუეის ზედაპირული დიალოგებით. ვერ ეთანანწყობიან მწერალს, რომელიც განუხრელად მიდის გმირის შინაგანი სამყაროსკენ. წარმოვიდგინოთ ამისთანა სცენა.

მწერალთა კავშირში სხდომაა. ავადსახსენებელი 37-ია. პერსონალურად განიხილება პაოლო იაშვილის და მისი თანამოაზრე *ცისფერყანწილების* პილიტიკური სახე. ამასობაში კიბებზე ამოაღწევს პაოლო, მოიბჯენს მკერდზე თოფს, გაისვრის და აღესრულება კოლეგების ყურის ძირას. მხოლოდ ერთადერთი, კოლაუ ნადირაძე გამოვა ფოიეში, მხარზე შეიდება მეგობრის ნემტს და გაუტევეს მისი ბინისკენ. დანარჩენი?! თითქოს არაფერი მომხდარიყოს, განაგრძნობს პათეტიკურ მსჯელობებს კომუნიზმის ნათელ მომავალზე. და აი, ამისთანა ვითარებაში მარტოკა დიალოგის ამარა ამბის წარმოჩენა რამდენად სრულყოფილი იქნება, განსასჯელად მკითხველისთვის მიმინდვია.

არის ქაქანი დამკვრელურ ბრიგადებზე, როგორც ეს სჩვეოდა მამაშვილს, ავტორს ერთი ხეირიანი ლექსისა – „ვერხვი“ – *ჩრდილზე დამაბიჯებდნენ და ტანში გამაჟრიალებდა*, – მაგრამ გადატენილ დარბაზში ხომ თავებიც გადატენილია შინაგანი მონოლოგებით? აი, ამის გადმოცემას გაურბოდა საბჭოური რომანისტიკა, გაურბის დღესაც პოსტ-საბჭოურის ჩამომავლობა თუ ლიბერალური ანტიესთეტიზმი – გვადი ბიგვას სამ თითს რომ აკეცვინებს, მექი ვაშაკიძეს ახუნტრუცებს ბარნაბა საგანელიძის ყელმშვენიერი ქალიშვილისკენ – ხრიკუნას, აველიუმს რომ აბაბანებს მწერლის ენაზე – თავისუფალ მოქალაქეს ოთარ ჭილაძისას თუ ბორიაცის ფოლკლორისტს.

მწერალი შეეცდება გარედან მიუდგეს პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ამბავს, გვიჩვენოს მისი სულიერი დეპრესიები, რომელშიც შემდგომ, შედარებით მშვიდ ვითარებაში, მოუწევს თავის მართლება ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის სამარცხვინო პროცესის დროს. აი, ამ ვითარებების გადმოცემა არ გაუჭირდება ბელეტრისტიკას მწერლური მიდგომებით, მაგრამ პერსონაჟების შინაგან მონილოგებს თავს არიდებს, თავს არიდებს იმ ჭეშმარიტ სალაროს, სადაც მეტი დამაჯერებლობაა მიმხდარი ფაქტის გარშემო და ტრიბუნადან ერთის მხრივ, ქება-დებიდებით რომ იმოსება სტალინ-ბერიას კომპარტია და მათი საარაკო საქმეები ქვეყნის აღმშენებლობაზე, თითო-ოროლა ტვინნარძნობის გამოკლებით ყვალა უკურთხავს გუნებაში მათ, ყველა სისხლისმმელს ეძახის მათ ტოტალური რეპრესიების შემზარავი წმენდებს გამო – შეთითხნილი ხალხის მტრის ბრალდებით. ყველა თავისებურად ამიშვლებს ფიქრებში ამ ანტიადამიანურ ქმედებებს, მაგრამ ტრიბუნადან ფახიფუხ-

ია. ამიტომაც მივესელმები მე ცნობიერების ნაკადის ლიტერატურას, როგორც ჭეშმარიტი მწერლური მეთოდით აღძრულს, სადაც გარეგნულ, ცხადია, აუცილებელ რეკვიზიტებთან ერთად ტოლძალოვნადაა წარმოჩენილი შინაგანი, ასევე აუცილებელი სივრცე.

ყმანვილობის პერიოდში მე დოსტოევსკის რომანების კითხვას გავფურბოდი, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ისინი ჩემთვის სამაგიდო, როგორც ტოლსტოის დაემართა ეს შინიდან გარდახვეწის მომენტში, პურგაში რომ დურთა თავი დოსტოევსკის სიდიადით გასენილმა.

ჟინი ანთარის ცხოვრების გადმოცემისას ჩვენ მივმართავთ გმირის ცნობიერებას, როგორც სხვა-თა ნააზრევის გადმოცემის საშუალებას. გმირის ცნობიერება ამ შემთხვევაში სარკეა, ტელევიზორი, კინოთეატრის ეკრანი, კომპიუტერი, რომელიც ცხადლივ ირეკლავს მასში გაელვებულ ამა თუ იმ პიროვნების სულიერ ძვრებს და მერე მოაზროვნე სუბიექტი სათანადოდ აკომენტარებს ამ მასალას, იმისდა მიხედვით, თუ სიტუაცია რამდენად საჭიროებს განმარტებებს.

ჩვენ არ ვჯერდებით საყველპურო შიშველ, მწირ დიალოგებს. ჩვენ გვწადია გაცილებთ მეტი ინფორმაცია მივანოდოთ მკითხველს გმირების ცნობიერების მეშვეობით ასობით პერსონაჟის სულის მდგომარეობაზე და როგორც აღვნიშნეთ, დიალოგის გვერდით წარმოვაჩინეთ ცნობიერების ამგვარ პროდუქციას, რომელიც მთლიანობაში ბუნებაში არსებული სურათების, მოვლენათა ასახვის უფრო სრულყოფილ მწერლურ მეთოდოლოგიად შეგვირაცხავს.

მისამე კომენტარი

ნაწილისა და მთელის თანაქმედების პრობლემას ვერც ჩემი რომანი გადაურჩა. ჰომეროსი ამას კალმის ერთი მოსმით ახერხებს. ამავდროულად მას უწევს ერთი და იმავე ამბის რემდენჯერმე გამეორება სიტყვასიტყვით, უცვლელად და ჩვენი საწიერით რომ შევაფასოთ ყოველივე, *სიცოცხლეშისჯილშიცაა ჩაშენებული ნ ნოველა გარემოების, ვითარების შესატყვისად*. ჩვენ დავდექით პრობლემის წინაშე, რომლის კონკრეტული არსი შემდეგია: გაფართოვდეს თუ არა პერსონაჟის სახე მონუმენტურ ნაწარმოებში. როცა თხრობის მდინარეა დაძრულია ერთი მიმართულებით, რამდენად მიზანშეწონილია ამ პერსონაჟის გამსხვილება თუნდაც საინტერესო შტრიხებით. დიას, ექვსი ნოველაა ჩაშენებული ჩემი რომანის სხეულში: *ესენია: ოდა, თამადა, ყრუ-მუნჯი დები ...* ჩვენ აქ წამითაც არ დავგინყებია ჰორაციუსის შეგონება: *ახლა უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი გადაიდოს, გადაინახოს სხვა ვითარებითვის, სხვა სიტუაციისათვისო*. მაგრამ რა ვუყოთ იმის მოთხოვნილებას, რომ ხანდახან ყველაზე საწიშუმო თეორიაც კი დოგმად არ გაოდგება და რომანის ჩონჩხს ააშენებ ისე, როგორც ამას მწერლური გუმანი გკარნახობს. გავისხენოთ ათმათოვის *Илиада* და იქიდან მშვენიერი ნოველა ქართულ სინდრომზე *ექვსი და მეშვიდე*. როგორ მღერიან დამარცხებული მენშევიკები ბოლშევიკ სანდროსთან ერთად სახელდახელო კოცონის გარშემო; მერე როგორ დახოცავს ამათ ჩეკისტი და ბოლოს თავადაც როგორ მოიკლავს თავს ერთის მხრივ სახელმწიფოებრივი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი და მეორეს მხრივ, ტრადიციული სულიერი ფასეულობებით შეძრული.

ჩვენ ქვემოთ შემოგთავაზებთ მსოფლიო ბელეტრისტიკის განვითარების სურათს და მის ფონზე უამრავი პრემიის ლაურეატის, ჩინებული ნოველისტისა და რომენების ავტორის, ბატონ რევაზ მიშველაძის შემოქმედების ანალიზს.

ჩვენ „ქილილა და დამანას“, „სიბრძნე სიცრუისას“ განჩარჩოებულს ნაწარმოებს ვეძახით, (უმჯობესია გვენოდებინა მოზაიკური), და ყველა მათგანის სათავე „ათას ერთ ლამესთანაა“, სადაც მთხრობელი მშვენიერი შეჰარაზადეა, იგი თავს გადაირჩენს მეზღაპრეობით, რათა მრისხანე შაჰთან კიდევ ერთი ცოლქმრული ლამე ეღირსოს და აშკარა სიკვდილისგან ამ გზით იხსნას თავი. სხვა ნაწარმოებებსაც აქვთ გარკვეული მიზანსასახელობა, მაგალთად, სულხანის იგავ-არაკების კრებული უფლისწული ჯუმბერის განსწავლითაა ზღვარდებული. ვეზირი სედრაქისა და საჭურისი რუქას თითოეული მონათხრობი ამ საწადლითაა აღძრული.

ნოველების სიმრავლეს (აქ უნებლიეთ მახსენდება პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავას შეგონება: *კულო, გაშლილ ზღვაში ათას ნაფოტს ერთი ჯირკუნტია გერჩივნოს, ჩაებლაუჭები ქე მაინც და თავს გადაირჩენ, ათასი ნაფოტი კი ვერაფერში წაგადგება, რომც მოეჭიდო ვერევე წკვერემიაში დაგნთქავს*

მისი მოიძებნაო), კლასიკურ დონეზე აიყვანს რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბოკაჩიო (დანტე ალიგიერის პოემა კომედიის კონგენიალური ნათლიმამობა მისგან მოდის ღვთაებრივ კომედიად); განჩარჩოებულ სტილისტიკას საზღვარს მოურღვევს რუსთველის ვეფხისტყაოსანი, როცა იგი ერთ ფაბულას აირჩევს ნაწარმოების დედაბოძად – უცხო მოყმის გამოჩენას და მისი ძიებისათვის დაფაცურებას ნაწარმოების ნებისმიერი პერსონაჟისგან – როსტევან მეფის, თინათინის, სპასპეტი ავთანდილისა. აი, ამ ყველაფრის ფონზე, წინ წამოინევა ერთი გმირის კონცეფცია.

არისტოტელე სანიშნოდ განიხილავს ჰომეროსის ილიადას, რომელიც აქილევსის რისხვის გარშემო დარაზმავს ტროის 10-წლიანი ომის ბატალიებს. თვით აქილევსის რისხვა კი ომის მიწურულს იწყება – ბერძნების ტყვე ასულის, ქრიზეისის გამოსახსნელად მოსულ მამას, ქურუმ ქრიქსეს, უდიერად მოექცევა ბერძნების გაერთიანებული მხედრობის მთავარსარდალი, მიკენის მეფე აგამემნონი: არავითარი გამოსასყიდი, თვალითაც არ დამენახო, ბებერო! შენი ასული ხარჭად მეყოლება, ქვეშაგების ამბერტყავადო. მოკლედ, ასეთი მწარე სიტყვებით კინნისკვრით გააგდებს უბედურ მშობელს.

ამასობაში ტროელებისგან ბერძნებში ჯორებით შემოგზავნილი დამპალი ხორცი სახადს მოსდებს ლაშქარს, მუსრს გაავლებს მათ, ყველგან კოცონი ხრჩოლავს მათი გვამებისგან, რასაც აგამემნონის უკადრისი საქციელის გამო ღმერთების სასჯელად ნათლავენ ბერძნები. ამისთვისაც გამოესარჩლება აქილევსი ტყვე ქალ ქრისეისს და აგამემნონონს მრისხანედ შეუტევს – მიეცი ასული მამას, ხარბო, გაუმაძღარო, ირემივით წვრილთვალეზავ. ტროელებს ჩემთვის არაფერი დააუშვავებით, პირიქით, მენათესავეებიან კიდეც. შენი რძლის გამო, შენი ოჯახის ღირსების გამოა რომ ვეომებით მათ და ვამრავლებთ საჭურჭლეს შენთვის. ხედავ, ღმერთებმაც რა უბედურება დაგვატეხეს თავს, მიეცი ასული მამას, ხარბო, გაუმაძღარო კაცო.

აგამემნონი კედელთანაა მიმწყვდეული, ვერ აუტანია რანგით აღმატებულს აქილევსის უდიერობა, თუნდაც ბრძოლაში შეუდარებლისაგან, მამაცზე უმამაცესისაგან და თავისი ძალაუფლება რომ დაანახოს, ხარჭა ბრისეისის წართმევით შეემუქრება, ჯილდოდ რომ მიუციათ ბერძნებს. კინალამ მახვილზე გაიკრავს ხელს აქილევსი, მაგრამ მყის მხრებს ჩამოყრის, სინანული გათანგავს: არმად მორთმეულ-წაგვრილ ჯილდოზე.

ნაიყვანეთ, თქვენი ნაბოძვარია, მაგრამ იცოდეთ, მე ჩემს გემში ჩავიკეტები მხედრებიანად და სანამ აქ, ამ გემებამდე, არ მიგამწყვდევენ ტროელები, თითის გამტოკებელი არ ვარო. აი, აქილევსის მრისხანების ძირითადი მიზეზები. ჰომეროსს ეს მოტივაცია უფრო მაღალ რეგისტრში აჰყავს აქილევსის ომში ხელახლა ჩართვის მეცადინეობით. საამისოდ ბერძნები მისთვის უმაღლეს ჯილდოდ ჰეფესტოს გამოაჭედვინებენ საჭურველს, ჩაჩქან-მუზარადს, ფარსა და ხმალს. აქილევს სწყურია მისით აღკაზმვა, მაგრამ ერთხელ დაგდებულ სიტყვას როგორ გადავა, ორპირი დანაიდი როდია, ამაყი – პელაზგია. და აი, მისი მეგობარი პატროკლე ალიკაზმება კიდეც მისეული ჯავშნით. ყველას აქილევსი ჰგონია ომში ჩართული. ჰექტორი განგმირავს ორთაბრძოლაში ცრუ-აქილევსს და რომ გაირკვევა – მისი ძმადფიცული პატროკლე მოუკლავთ, გაოგნდებიან. აქილევსის რისხვას საზღვარი არა აქვს. მისი ბობოქრობის მასაზრდოებელი ის გახლავთ, რომ გაუნბილდება ყოველი ვარაუდი, დედისიანებმა არ დაინდეს, სიკვდილისთვის გასწირეს ღვიძლი. თურმე ომის კანონებისთვის ნათესავური გრძნობა არაფერი ყოფილა! მოკლედ, აქილევსის რისხვა დრამატული მუხტისაა, სავსებით ჰყოფნის ტროას ათწლიანი ომის ბატალიებს ხერხემლად, და აი, მიუხედავად ესოდენ მონოლითური კაცობრიული ნაწარმოების დაბადებისა, მაინც მიყოლებით ჩნდება ათას ერთი ღამე, ვისრამინიანი, დეკამერონი, სიბრძნე სიცრუისა, გნებავთ, აგერ, ყურისძირას რევაზ მიშველაძის სამრომანეული – ჩურჩულს გადაჩვეული კაცი (2010), წამება (2012), ციყვი ბორბალში (2016), სამივე – გამომცემლობა საქართველოს მაცნეს დასტამბული.

რომანის არქიტექტონიკა, აღნაგობა ჰომეროსიდან მოყოლებული, სულმუდამ განიცდიდა ტრანსფორმაციას, განჩარჩოების მხარდამხარ მწერალი სამი, ზოგჯერ მეტი წერტილიდან ავითარებდა მოქმედებას და ამ თემათა მონაცვლეობით მკითხველს აძლევდა გადართვის, ამოსუნთქვის საშუალებას. ძნელია ახლა ეტალონის დასახელება. კათედრალურ თხზულებებს დონ კიხოტს, ტილ ულენშპიგელს, გარგანტუა და პანტაგრუელს ახლავს თავიანთი ხიბლი. აქედენ სერვანტესის ნაწარმოები მთლად პლანეტარულ წიგნადაა დასახელებული, მაგრამ მას არ გააჩნია წერტილის დასმის ლოგიკური მდგომარეობა, მისი დაუსრულებლად გაგრძელება შესაძლებელი, თუკი საამისოდ გმირს

ეყოფა მოფაშფალებულ როსინანტზე ჩინდრიკის უნარი. ასეთი ლოგიკური წერტილი მონახულია ღვთაებრივ კომედიასთან და ფაუსტთან. მათში კულმინაცია, ფინალი მოთხოვნილებაა ნაწარმოების ჩასახვიდანვე, ააღწევს ალიგიერი ბეატრიჩემდე, მოსმენს მის რეჩიტატივებს სამოთხის აგებულებაზე, უფლისეულ განზომილებებზე და მორჩა, იმის იქით სარბიელი ამოწურულია. იგივე სიტუაციაშია ფაუსტი, იტყვის: *ნამო შეყოვნდით*, (რის გამოც ფილისტერს უწოდებს მარქსი გოეთეს – ყოველდღიურობით შეზღუდულს, ობივატელს), და დაცხრება ეშმაკეული ძალით სიკეთის მოსაქმე დოქტორის გარგარი, ფოთოლივით დაეშვება დაბლა. რა იღონოს – კაცობრიული გონების ლოცმანმა პრომეთემ, ან კიდევ განა სხვანაირადაა თავად იესო ნაზარეტელის ბედისწერა?! დათრგუნავს სიკვდილით სიკვდილს ადამიანთა მარადიული სუფივისათვის და ამაღლდება კიდევ ცათა. იგივე შედეგებია ნიცშეს ზარატუსტრასთან, დოსტოევსკის, *ძმებ კარამაზოვებთან*, რუსთაველის *ვეფხისტყაოსანთან* დაუსრულებელ ქორწილომანიის თანხლებით. საიტკენაც გაიქცე, საიტკენაც მიბრუნდე, ფინალი აგვირგვინებს და ასარკოფაგებს ერთდროულად გმირის მიზანდასახულობას. ყველგან ჩიხია, არსაიდან ცრიატებს ღია სივრცე ახალ გადასახედად. და ამ ლაბირინთებში, ჩემეული ჟინი ანთარი ბედისწერასთან გაბრძოლებისას კუკეთესს რას ნაანყდებოდა, ვინემ დიდ თევზს გამოდევნებული მოხუცი სანტიაგოა, ზარების გუგუნით გამოყრუებული კვაზიმოდო, სავეშაპე ბარჯჯის მარჯვედ მსროლელი ქვიქვეგი, თუ რომელი შინაურულ-კარგარეთული გამოცდილება?

მე უნივერსიტეტის წლებში ბატონ რევაზ მიშველაძის რამდენიმე ლექციას დავსწრებივარ ჟურნალისტიკის სადამოს განყოფილებაზე. ყოვლად წარუშლელი იყო ისინი ჩემთვის, თავიანთი მინორული უშუალობითა და სიღრმეებით. ბატონი რევაზი ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი გახლდათ საბჭოეთში, ლიტერატურის თეორიის იშვიათი მცოდნე, გასაოცარი დეკლამატორი და ახლა ამისთანა ერუდიტს რანაირად გინდა ელაპარაკო თხზულების განჩარჩობაზე, მონოლითურ ფაბულიანობასა თუ ცნობიერების ნაკადის სტილისტიკაზე?! რასაც ახლა დავაბრეხებ, უფრო ინტუიციით ვგუჟანობ, რადგანაც მისეული მწერლური კონცეფცია წერილობით ჯერეთ არსად დამილანდავს; ვგუჟანობ, რომ მან საგანგებოდ ნოველის პრიორიტეტი ამჯობინა თხრობისას ათასი ამბის ერთ გმირზე თავს მოხვევას რომანის გასამსხვილებლად. ესეც რომ არა, ამ მიმართებით ხომ თავად არისტოტელეც აქეზებს ავტორს *პოეტიკიდან* – *ტრაგედია* (ჩვენეული ჟანრული გაგებით ნოველლა, ПОВЕСТЬ – დიდმოთხრობა) უფრო სრულყოფილი ნაწარმოებია ეპიკურ ტილოსთან შედარებით, ვინაიდან იგი გაცლილებით მიზანსწრაფულია ერთი ცენტრალური ამბისკენ, უკეთესად ემორჩილება ნებისმიერ ნაწარმოების ეტალონურობის ქვაკუთხედს – ადგილის, დროის და მოქმედების სამერთიანობითო. ჰოდა, ამ თეორიული არსენალით აღჭურვილი ბატონი რევაზი, ეძებს ხერხემალს, რომელიც უზუსტესად იკისრებს მისი ნოველების მკვიდრად შეკონვის მისიას და შებოჭავს კიდევ ყოველივეს მავანთგან გაყიდული სამშობლოს გამოღვიძების საყვირეთს, მამულის საგოდისს, მემლექეთად წოდებულისას აჭარაში, გიმ-ლარდად დაბაბანებულს სვანურში, დობადონას კვილებს შურიმმინე ლაზეთსა თუ შურობუმე-ოდებადე-ობადიშის ოდოიათ სამეგრელოში.

ასე რომ ძნელი მისახვედრი არ არის, თუ კრებსითი ინდივიდუალურობით რატომ წამოკონცხდება რევაზ მიშველაძესთან – სამშობლო. გმირის სადაგი სხეულეზრობით აიზიდება იგი ჩვენს წარმოსახვაში და მოელის უამრავი თემის ამოაღმართებას.

ბატონ რევაზ მიშველაძემდე რომანის გმირად სამშობლო არავის დაუსახავს დედამინის ზურგზე. მამულს ყველგან და ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთების თავდადებულნი განადიდებდნენ ხოლმე, მაგრამ თვითონ სამშობლოს რომ ესულდგმულა გმირის აღნაგობით ჯერეთ არ სმენილა, ეს მწერალ რევაზ მიშველაძის ესკლუზიური ინდივიდუალობაა.

ამისთვის და ზუსტად ამის გამო მწერალი რევაზ მიშველაძე ნოველათა ოცეულით თუ ერგასეულით (50) ქმნის მხატვრულ მთავრეხილს, რომლის მთავარი გმირი საქართველოა, დიახ, დიახ, ჩვენი დუხჭირი საქართველო და ამ გზაზე, მას ამიერიდან არ სჭირდება ფაბულათა სამკუთხედები („ანა კარენინა“) ან პერსონაჟთა კვადრიგები: („ულისე“ – სტივენ დედალოსი, ბლუმი, მალიგანი, მოლი ბლუმი; „ხმაური და მძვინვარება“ – კვენტინ კომპსონი, კვენტინა, ბენჯი, ჯეისონი). მან ამოირჩია თემატიკად სამშობლო – ეს მარადიული ცნება და რანაირი პლასტიკით ჩამოძერწილა მისი ოკრობოკრო შუკა-ბანები, რამდენადაა მოხვედრილი აქ ათიანში ლარის გამოტყორცნილი ისარი, ან რამდენად მიახლოვებია ესთეტიკურ გამოცდილებას მონოლითური თუ მოშვებულ ფაბულიანი რომანი, სხვა საუბრის თემაა.

მეოთხე კომენტარი

ეკა ცხადაძე უდავოდ ნიჭიერი ესთეტიკოსი რომ გახლავთ, ზემოთ შემოთავაზებულ მომცრო რეცენზიიდანაც ჩანს, მაგრამ იგი ჯერაც ვერ გამოსულა ტრადიციული კრიტიკის მაგნიტური არედან, და აქედან გამომდინარე, ნაკლებადაა ჩახედული *ცნობიერების ნაკადის* სტილისტიკაში.

ტრადიციულ რომანს ახასიათებს ადგილის, დროის და მოქმედების ერთიანობა. ასეთი ნაწარმოები ექვემდებარება მოქმედების დინამიკას – ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ა.შ. მისი ამოსავალი წერტილია ადამიანის სიცოცხლის გრადაცია – დაბადება, გაზრდა, ჭარმაგობა, მოხუცობა, სიკვდილი.

ტრადიციული პროზა, გნებავთ ეპიკური ტილო, ვერაფრით გაექცევა მსგავს კონსტრუქციას.

რა ხდება *ცნობიერების ნაკადის* ნაწარმოებში?! აქ ცენტრალიზური ფიგურა თავად გმირია. იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც მთხრობელი, მაგრამ მის თხრობაში ხშირად თავს იჩენენ მოქმედების მდინარებისთვის უცხო პერსონაჟები, მოვლენები, სახეები. ეს, კონტექსტიდან ამოვარდნილი თემები მთხრობელის ცნობიერებაში შემოდის მსგავსის მიერ მსგავსის აღმოცენების მეთოდოლოგიით. მთხრობელის მოწყვეტა ძირითადი თემისგან და მასში ვიღაც თუ რაღაც მასალის შემონიალება გაპირობებულია ქვეშეცნეული აპარატის თავისებურებით. ამ სტილის ნაწარმოებსთვის უკვე ზედმეტია მოქმედების დინამიკური განვითარება. მართალია, მასშიც იგივე ოდენობის ინფორმაციაა ჩადებული, რაც ტრადიციულ სქემატურში, მაგრამ განსხვავებულია ამ თემათა მონოდების ხელწერა, პირველში მიზეზ-შედეგობრივი რომ არის, აქ გარემოების მიერ ნაკარნახევია, გარემოების მიერ აღმოცენებული. პირველს რომ ანბანური თანამიმდევრობით დალაგება ახასიათებს, მეორესთან აღრეულია მათი რიგითობა. ასე რომ, ქალბატონი ეკა ცხადაძის პრეტენზია *სიცოცხლემისჯილისადმი* თანაბრად ეკუთვნის ჯოისს, ფოლკნერს, ბულგაკოვს, მოს და სხვ. ანუ სრულიად *ცნობიერების ნაკადის* აღნაგობის თხზულებებს, რაც დამაფიქრებელია ჩემთვის ერთობ და დამალონებელიც ამავედროულად ლიტერატურულ პროცესებზე ესთეტიკური აზროვნების ესოდენ სიმწირის გამო;

კალისტიკა, ესთეტიკა ჰეგელის ტერმინოლოგიით ვალდებულია ყურადღება მიაქციოს მთავარ ტენდენციებს, მიმართულებებს ლიტერატურაში, ხელოვნებაში ზოგადად. წვრილმანებზე ისედაც იტყვიან მეორღობენი. ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას რიგით მასწავლებელსაც ძალუძს მშვენივრად, ჩვენ მეზღაპრე ბებია-ბაბუების არაკებიდან მოვდივართ, მაგრამ ეს ხომ მედალიონის ერთი მხარეა მხოლოდ. ამდენად, ჩვენს ეკას, *სიცოცხლემისჯილის* მორიგ ნაკითხვისას მოუწევს უცილობლად ამ მიმართულებებზე ხმის დაძვრა. მისი პროფესიული მოვალეობაა ობიექტურად დაინახოს ის სიახლე, რაც გამოარჩევს ტრადიციული პროზისგან თანამედროვეს, *ცნობიერების ნაკადის* სტილურს. აქ თვალშისაცემი რეალობაა ადრინდელი ფაბულიანობის ნიადაგზე მონოლითურობის მკაცრი სიმწყობრით შეკრული თხზულების საპირისპიროდ თავად მთავარი გმირის შემოყვანა ბელეტრისტიკაში კოჭმზიდის ფუნქციით. ახლა ეს მთხრობელი გმირი თავისი მონოლოგი-განსჯის პროცესში თანამიმდევრულად წარმოგვიჩენს ტრადიციული სტილით დალაგებულ სიუჟეტებს, იღონდ მიზეზ-შედეგობრივი ხელნერით კი არა, იმისდა მიხედვით, რომელი მონაკვეთი რა სიტუაციამ გაახსენა, რა მომენტმა ამოატივტივა მის აზროვნებაში. აქედან გამომდინარე გმირის სიყმანვილის წლების სურათები შესაძლოა თხზულების ენდმპილში მოექცეს ჭადრაკის ენით და ხანდაზმულობისა – მიტელშპილში. აქაც გმირის ცხოვრების ეპიზოდებია თანდათან მონოდებული გმირის ცნობიერების სარკის მეშვეობით, ოღონდაც აღრეულად, არა მოქმედების განვითარების ლოგიკით, არამედ გმირის ცნობიერების მდინარების შესატყვისად, რაღაც გარემოება რომ ამოატივტივებს ხოლმე. აი, ის უძირითადესი მახასიათებელი, რომელიც განარჩევს ტრადიციული პროზისგან *ცნობიერების ნაკადის* თანამედროვეს. აქ, ე. წ. ავანგარდისტული, კი არ ყელყელაობს ნიშნისმოგებით: რაღაცით აღვემატები ტრადიციულსო, არამედ წარმოადგენს დროისგან გამოცდილი ტრადიციულის ლოგიკურ ტრანსფორმაციას გმირის უკეთ დასახატად.

აი, რანაირ განზომილებებზე მოუწევს მომდევნო წერილში საუბარი ჩვენს მშვენიერ ესთეტიკოს.

მახუთა კომენტარი

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბედმა მარგუნა მემეგობრა ჩემს პროფესორ-მასწავლებლებთან. მათ შორის გამორჩეული გერმანისტი ბატონი კარლო ჯორჯანელი გახლდათ. მე არასდროს დამავინწყდება ამ დიდბუნებოვანი და ფრიად ერუდირებული პიროვნების ინტელექტუალიზმი ორთოგრაფია-სტილისტიკით დაწყებული, ქართული ფოლკლორის ღრმა ცოდნით.

ზედა ტუჩის გასწვრივ თარაზულად მოსწორებული ბუდიონის შავ-შავი უღვაში ჰქონდა, აინშტაინის თმა და კულისებში ყველა „პაპა კარლოს“ ვეძახდით. ყოველთვის გამახსენდება ძვალმსხვილი, ქათქათა სახის დიასახლისი, ქალბატონი დოდო გვიშიანი, მისი ჩინებული თანამეცხედრის კულინარია და ჰანგებად დაღვრილი მისი თვითმყოფადი პოეზია. დიახ, ხშირად ვსტუმრობდი ოჯახში ჯორჯანელებს. ისინი უნივერსიტეტთან (იმ პერიოდში უნივერსიტეტი ერთი იყო საქართველოში – ივანე ჯავახიშვილის სახელობისა, ეს მერე უკუღმართმა რეფორმატორებმა აურ-დაურიეს ყოველივე და ინსტიტუტები ძალად გააუნივერსიტეტეს), ახლოს ცხოვრობდნენ, კეკელიძეზე, და იქ ჩარბენას ათიოდე წუთი უნდოდა. ბატონი კარლო ოთხი წლის განმავლობაში გვასწავლიდა გერმანულ ენას და ლიტერატურას. მაშინ გერმანულს მეტი გასავალი ჰქონდა, ინგლისური რატომღაც კაპიტალისტურ სამყაროსთან იყო გაიგივებული, და ბატონი კარლოც, როგორც დიდ ჰუმანისტ პიროვნებას შეჰფერის, განურჩევლად გადწავდებოდა შექსპირს და სერვანტესს, დანტეს და გოეთეს, ჰომეროსს თუ ვერგილიუს მარონს. თომას მანი გამორჩევით უყვარდა. ეთაყვანებოდა მის ნოველებს, „ტონიო კროგერი“, „შიმშილი ვენეციაში“, აკი, მოგვიანებით, როცა ნობელიანტების სერიალის გამოცემას მოვკიდე ხელი მთელს მსოფლიოში პირველმა და ერთადერთმა, (ჩემს ძალისხმევას რამდენიმე თვის შემდეგ ფეხი აუბეს რუსებმა. მათ მალე გამასწრეს საგამომცემლო საქმეში. მე პირველი ტომი ფოლკენერი რომ დავსტამბე, იმათ უკვე ექვსი ჰქონდათ გამოქვეყნებული. შემდეგ არეული ცხოვრების კვალობაზე ეს საქმე გამეწელა – 41 ტონა ქალაქი ხომარაულიდან „მხედრიონმა“ გააქრო; შუათანა ასული ანის 17-თვიანმა ციებ-ცხელებამ და მისმა აღსასრულმა ხომ მთლად მომშალა და ა. შ...)

დიახ, დიდი გაქანების შემოქმედი გახლდათ ბატონი კარლო. მისი ძმა გიორგი „ფაუსტს“ ეჭიდებოდა და ონიაშვილის თარგმანზე უკეთესი გამოსდიოდა, მაგრამ სად ეგ და სად ორიგინალში რომ გვაკითხებდა შეუდარებელი მასწავლებელი.

თვალს მივადევნებ „ფაუსტის“ ბატონ დავით წერედიანისეულ თარგმანს და მესიხარულება – დღის ნათელს იხილავს უკვე ორნიგნეულში გოეთეს სიდიადე ქართულად.

ჰომეროსი წრიული პრინციპით გადმოსცემს სათქმელს. მისი ანალოგი „ფესტოსის დისკოა“. აქ პირველ თავში დაწყებულ თემას შეესაბამება ბოლო XXIV-ში წამოწეული სათქმელი; მეორე თავის სცენებს XXIII თავის პასაჟები თანხვდება. ასეთი მიდგომა აიოლებს შემოქმედისთვის ზეპირად გადმოსაცემი მასალის დახსომებს. ამასთან მონოლითურ კალაპოტში აქცევს ნაწარმოების მთელ ორგანიზმს.

დანტესთან ტერცინებით შეკრული ლექსი სამგანზომილებიან სივრცეში განიხილავს სამყაროს, რომლის თავში, ჯოჯოხეთის, სალხინობლის და სამოთხის ზეკიდეს ბრძენი ქურუმივით დავანებულა ალიგიერის სულის ცათაფრენა ბეატრიჩე და სიყვარულის ალუბლების მაგივრად სამყაროსეულ განზომილებებზე ებაასება. დიდ შემოქმედთან ნაწილს ხელს შეავლებ და თავად თუ ზიარებული ხარ აღმატებულს, უკვე იცი რა არქიტექტონიკისაა მთელი. ეს არის გენიალურობა, ეს არის შემოქმედის უფლისეული მიდგომა ვერბარულ მასალასთან. ეს არის სამყაროს შექმნის ექვსდღიანი მარათონი – მუდმივა, რომელიც მეშვიდე დღეს დიადი ანტრექტივით უნდა დასრულდეს, გონებრივი წუთშესვენებით, რათა მომდევნო ექვსდღიური ქმედება კვალაც შეიბოჭოს კანონზომიერი გარინდებით და ასე დაუსაბამოდ.

სათქმელთან მისვლის და აშენების ეს ზენაარული არქიტექტორობა ნაკლებად შეხლართულა გოეთეს „ფასუტთან“, იქ ძნელი დასადგენია მეფისტოფელის ხელში მომწყვედი, უფლის ძეხორციელს, უფლის არჩივს, საკუთარ ხატად და სახედ შექმნილი ადამიანის მსვლელობის ზიგზაგები, მაგრამ თავად ამ ჯიბრს ღვთაებრივსა და მაცოლისეულს ადამიანის გადმობირების გზაზე ახლავს მიმზიდველობის მუხტი, რომელიც უნებურად გვიბიძგებს დასკვნითი აკორდებისაკენ.

ვუბრუნდები საუნივერსიტეტო წლების პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთაგან ბატონ კარლო ჯორჯანელზე რამდენადმე ვიმსჯელებ, ხოლო ბატონებზე: რეზი თვარაძეზე, ნოდარ კაკაბაძესა და ნიკო ყიასაშვილზე ახლა ვაპირებ გულის ამობერტყვას.

ბატონი რეზის ერუდიცია ფართო ასპექტით წარმოჩინდება „დათა თუთაშხიასთან“ მიმართებაში. მთვარის ღვთაების რაინდად ამ გმირის მონათვლა მისგან მომდინარეობს, თუმცა კი ანალოგი ეძებნება ამ ფრაზას „დონ კიხოტთან“ – „მწუხარე სახის რაინდი“. ბატონი რეზი ერთდროულად ფილოსოფოსიც იყო და ფილოლოგიც. მან ჩემს რომან-ტრილოგიის პირველ ნიგნს იმედის მომცემი ნაწარმოები უწოდა, რომელიც გარკვეული რედაქტორული ჩარევების შემდეგ შესაძლოა პირველხარისხოვან ნიგნად მოვლინებოდა ქვეყნიერებას. სამი ათეული წელიწადი გასულა ამ სიტყვების დაძახებიდან (1984) და ეს პროცესი დღესაც დასრულებული არ გახლავთ, ვინაიდან შემოქმედება არ არის მთლად ისე იოლი საქმე, როგორც ეს ჩინებული ყმანვილკაცი ლევან ბებურიშვილის საკბილო ლგპდ კალამ-გირებს წარმოუდგენიათ: ბურჭულაძეებს, ბულაძეებს და დეისაძეთ, სხვათა, დაახლოებით 6 ათეული შეურაცხადი გამოჩეკა „თიბისი ბანკის“ „საბას“ პრემიამ, თუ მისმა მიმდევარმა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ანტიესთეტიზმის ნორმად და ნიმუშად.

ბატონ რეზისთან საუბრები ყაზბეგის ქუჩაზე წარუშლელია ჩემთვის. იგი წელ-წელა მიხსნიდა „დათა თუთაშხიას“ დახვეწის პერიპეტიებს, რომ თავიდან ეს ნაწარმოები 2000 გვერდს აღემატებოდა თურმე და ცხარე დებატების მერე გამესამედდებულა. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ მისმა შემოქმედმა არ იცოდა რას ნიშნავდა ახალი ღვინოს ახალი თხიერში (ტიკი) ჩასხმის აუცილებლობა, რათა ღვინის ბორგვისას არ განხეთქილიყო ძველი და არ დაღვრილიყო საერთოდ.

მოგვიანებით ამ საუბრებს ბატონ ნოდარ კაკაბაძესთან გავაგრძელებ, საპროფესოროსა თუ ტროტუარზე ტაატიტ მსვლელობისას რუსთაველზე. იგი უფრო მიკონკრეტებს „დათა თუთაშხიას“ მუშაობის ნიუანებს, რომ 10-12 კაცი მონაწილეობდა ამ გასაოცარი ნაწარმოების კლასიკურ აღნაგობაში მოსაქცევადო. ახლა ჩემთვის ნათელია კოლექტიური ძალისხმევა ამ თხზულების ჩამოქანდაკების გზაზე. 4 კარედად, 4 ნაწილად მისი დაყოფაც ამ ხალხის დამსახურებაა ოთხთავის შესატყვისად (იგივე სურათია დოსტოვესკისთანაც რომანში ძმები „კარამაზოვები“ და ისიც – ბიბლიის ენას მი-ახლოებული ფილოსოფიით რომ მსწრაფველობს ძე-ხორციელი ცხოველურიდან ღვთიურობისკენ; რომ საბოლოოდ, მხეცი ადამიანური ხორციით რომ განძლება, სახე შეეცვლება, კეთილშობილურ აღ-ნაგ-ფორმას მიიღებს, უარს განაცხადებს მომდევნო ლუკმაზე, ჭამადზე, „აღარ ძალმიძსო“ აღმოხ-დება, რადგანაც ცხოველი უკვე კაცქმნილია, მხეცი გარდასახულია ადამიანად, უფლის ნაწილად, გამოტაცებულია მისი არსი სატანურისგან, რაც მიღწეულია კოლექტიურად ნოდარ კაკაბაძის თქმით.

ეს შეხვედრები დიდხანს არ გასტანს. ჯერ ბატონ რეზის გავაცილებთ სამუდამო გზაზე, შემდგომ ნიკო ყიასაშვილს, რომელზეც სხვა ასპექტით მომიწევს საუბარი.

„ულისე“ თავიდან სანახევროდ გამოიცა. უნაკეროსაც ეძახიან ამგვარ პოლიგრაფიულ პროდუქციას. „ბეზშეინის“ და იმდენად უგერგილო გამოდგება ეს სტამბური სუროგატი, რომ მისი დაფანტული ფურცლები მარკესის ბოშათა მაგნიტებით მაქვს დასაჭერი.

თავად ბატონ ნიკოსთან შეხვედრები კათედრაზე, თსუ IV კორპუსში, სახელდახელოა, იმის გათვალისწინებით თუ დროის რა მონაკვეთის დათმობა შეუძლია ჩემთვის. მე მაშინ არ გამაჩნდა იმდენი ლიტერატურული გამოცდილება, რომ ჩინებული ესთეტის ნათარგმანების კორექტირება შემძლებოდა. მახსოვს მისი გამოზომილად თქმული „ალუზიური“. მიჭირს ამ სიტყვის განმარტება ქართულით: არეკლილი, ასხლეტილი, მსგავსი საგანი-მოვლენა თავდაპირველს რომ გაგახსენებს სრული სისავსით.

მისგან ვეზიარები პირველად ჯოისის ხელწერის ანბანს, მაგრამ იმდენად ზერელე გამოდგება ეს შტუდიები ჩემთვის, რომ ფლკნერის „ხმაურისა და მძვინავრების“ ნაკითხვისას იოტისოდენადაც არ ნამადგება. რადგან წვეთ-წვეთობით შემოვა ჩემში „ცნობიერების ნაკადის“ სული და არა ერთბაშად, არა ნიჩბებით, არამედ კოვზებით ზიარებასავით, ჩემს მოძღვარს, მამა მიქაელს (ბუკია) რომ სჩვე-ვია, წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზს, ისე.

ჩამიმთავრებია „ულისეს“ სრულყოფილი გამოცემა მისი ასულის, ქალბატონ მაია ყიასაშვილის ხელდასხმით და ჩემი პრეტენზიები ქართული მწერლობისადმი იგივეობრივია: ის რაც „ცნობიერების ნაკადად“, მდინარებად მიუჩნევია ამირეჯიბს, ჭილაძეს, დორჩანაშვილს თუ სხვათა, ნაკლებად ესადაგება ამ ცნებას. ეს ყველაფერი ფიქრის მდინარებაა, რომელიც მუდამ ახასაითებდა მწერლო-



ბას, მაგრამ „ცნობიერების ნაკადი“ გაცილებით რთული და ამა-
ვდროულად მართალი პროცესია აზროვნების ადეკვატურად გა-
მოხატვის გზაზე. და რადგანაც მერამდენედ დაგვიძრავს ხმას ამ
მიმართებით, შევეცდები სათქმელი ბოლომდე მივიყვანო.

მაგალითისათვის, ჯოისი არ ცნობს გმირის ფრაზეოლოგიის
მწერლურისგან გამიჯვნის პრაქტიკას. იგი ტირეთი არ გამოყოფს
გმირის სიტყვებისაგან მწერლურ ჩარევებს. მას ჭირივით ეზარე-
ბა წინწკლები, ნაწარმოებთა სახელები, სათაურები და მისთანანი
ბრჭყალების ნაცვლად დახრილი შრიფტით გადმოიცემა. კი, ბატონო,
ეს გასაგებია. გასაგებია ისიც თუ რატომ არ გამიჯნავს ჯოისი
მწერლის სიტყვას პერსონაჟისეულისაგან, რადგან მას ჩინებულად
მოეხსენება, რომ თავად სიტყვაშია კოდირებული მისი აქცენტე-
ბი, ნიუანსები. მართალია, მსგავსი ტექსტები მეტ დაძაბულობას
მოითხოვს მკითხველისაგან, წვდომას, ტვინის განძრევას, მზამზა-
რეულად კი არ მართოს ფორმამ შინაარსი, არამედ თვითონ ამოქა-
ჩოს მისგან ძირითადი. ზემოთთქმული ტრადიციული პუნქტუაციის
იგნორირებით ჯოისი მეტ გამჭვირვალობას ანიჭებს ნაწარმოების
ტექსტს, რადგან ასომთავრულებს, წინწკლებს, ტირეებს, გამუქე-
ბებს იგი მიიჩნევს ანკარა მდინარის დამანავიანებელ ხერგილე-
ბად, რომელიც სტიქიის დაწვევების შემდეგ ნაპირზე გამოირიყება
ხოლმე.

ფოლკნერს შეაქვს ნაწარმოებში შრიფტების გამუქება, რეკლამის
იოროგლიფით შემოტანა. მე ვერ შევიზღუდე თავი ჯოისის
სტილისტური პროკრუსტესეული სარეცლებით და კიდურები გად-
მოვყარე იმის მიხედვით, როგორც ეს სხეულის აღნაგობამ მომთხო-
ვა – არ შევუშინდი მოსალოდნელ ნაჯახებს თუ შეკუმშვის საშიშ-
როებებს.

ავილოთ ასეთი სიტუაცია: საუბრობს სამი პერსონაჟი: ექიმი,
მასწავლებელი და ხურო. სამივეს ფრაზეოლოგიის მიხედვით
სპეციფიკური მახასიათებელი უნდა გააჩნდეს წესით: ექიმი ლათინ-
ურებს მოიშველიებს, მასწავლებლის ტონი დიდაქტიკურია, ხურო
ნახერხსა და ბუბუშელაში ამოგანგლულა. წესით მასწავლებელმა
არ უნდა გარისკოს ექიმის ენით საუბარი და აღარც ხუროს ხელწ-
ერაში დამკვიდრდეს მასწავლებლის კატეგორიული ტონი. უმჯობე-
სი იქნება თითოეული თავიანთ წვენში მოხარშული მსჯელობდეს.
მაგრამ ახლა მოვუბრუნდეთ ამისთანა რეალობას: ეს საუბარი სამ
პერსონაჟს შორის ამნუთას კი არ ხდება, ამ მომენტში, არამედ
რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. უფრო ზუსტად კი ერთი პერსო-
ნაჟის გონება ახდენს უკვე ჩავლილი მათი დიალოგის რესტავრაც-
ციას არა ხელოვნულად, არამედ ნაუცბადვად, ის დიალოგი პერ-
სონაჟის დაუმსახურებლად შემოსულა მასში. დროის გარკვეული
სიხშირით, იმ დოზით რა დოზითაც ამ დიალოგს გააჩნია პერსო-
ნაჟის ფიქრში დახანების უნარი, ანუ ფიქრი მისწი-მოსწიოს და
დროებით ვაკუუმი გააჩინოს მის სივრცეში. შემდეგ, როცა ეს
ძველი დროის სურათი დაკარგავს თავის კუთრ წონას, აიბარგე-
ბა, გაქრება არენიდან და კვლავ ფიქრს დაუთმობს ასპარეზს.
ეს სტილისტიკა დოსტოვესკიმ დაამკვიდრა „დანაშაულსა და სას-
ჯელში“, იქ დედის წერილის ფრაგმენტები, ხშირ-ხშირად შემო-
დის რასკოლნიკოვის ცნობიერებაში, მისდაუნებურად, სრულიად
დამოუკიდებლად. ეს მომენტი შეისწავლეს ფსიქოლოგებმა. უზნაძის

„განწყობის თეორიაში“ მას ქვეშეცნეული ჰქვია, ანუ ცნობიერების ზეგავლენისაგან დამოუკიდებელი, რომელიც პიროვნებას თავს შეახსენებს მსგავს სიტუაციაში, მსგავს გარემოში. თავად ინფორმაციის კუთრი წონის შესაბამისად, რაც უფრო მძაფრია ეს განცდილი მასალა, მით უფრო ძლიერია და ხშირი მისი ზემოქმედების უნარი გმირზე, და ბევრჯერ მიზეზიც კი ხდება სრულიად გაუთვალისწინებელი საქციელისა, როგორცაც ამას ვაფიქსირებთ „დანაშაული და სასჯელის“ მიხედვით: დედის წერილის შინაარსი, რომ დუნია უნდა გათხოვდეს ვინმე ვაჭრუკანაზე, დამამცირებელზე დამამაცირებელია როდიონისათვის, რადგან ძმის კეთილდღეობას ეწირება დის ბედნიერება. რასკოლნიკოვი ერთგვარი მკვლელი გამოდის დის მომავლისა და დასტაცებს კიდეც ხელს რუსულ ნაჯახს, რათა ჩადენილი დანაშაულით მოსალოდნელი უბედურება ააშოროს ღვიძლ დაიას. დედის წერილის ფრაგმენტები, ხშირ-ხშირად რომ შემოეჭრება ხოლმე რასკოლნიკოვს ცნობიერებაში, დიახაც, განსაზღვრავენ მის სამომავლო ბედისწერას.

მსგავსი სიტუაცია იქმნება ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარების“ მიხედვით. იქაც გარყვნილი მემფისით მიტაცებული დის ხვედრია კვენტინ კომპსონის აღსასრულის მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ჩვენ ამ ყველაფრის სიტყვებით გამოხატვის რეალობაზე ვმსჯელობთ. ე. ი. ერთი პიროვნების გონებაში კინოლენტივით შემოიჭრება სამი პიროვნების ჩავლილი დიალოგი. როგორ, რანაირად გამოვხატოთ ახლა ეს ყველაფერი გრაფიკულად? თუ ჯოისს მივედევებით, ერთმანეთისაგან გამოუცალკევებლად ჩამწკრივდება ექიმის, მასწავლებლის და ხუროს საუბარი, მწერლის ჩაურევლად, მაგრამ ამისთანა შემთხვევაში შეძლებს კი თავად მკითხველი თვინიერად მოახერხოს ექიმის, მასწავლებლისა და ხუროს ნალაპარაკების ერთმანეთისგან გამორჩევას – სად ვისგან რაა თქმული და სად ვისგან რაა ნამოქმედარი?! ამიტომაც მკითხველს რომ გაუიოლდეს მონოდებული მასალის სათანადო აღქმა, მე შავ შრიფტში მოვაქციე ფიქრში აღძრული „ცნობიერების ნაკადი“, ანუ უნებლიეთ შემოცურებული მასალა, და ტირების მაგივრად გაჩნდება თავად პერსონაჟის გვარ-სახელი, როგორც ამას აღმქმელი სინამდვილეში ხედავს კიდეც. როცა ექიმი ლაპარაკობს, მის თავლწინ ექიმია წარმომადგარი სამგანზომილებიან სივრცეში, იმის გამოკლებით, თუ ის ექიმი ან სხვა, რას ფიქრობდა ამ მომენტში. ხუროს ლაპარაკში ჩართვის დროს ხუროზე გადაინაცვლებს ჩვენი გონების ობიექტივი და აქაც მისი გვარ-სახელის გასწვრივ დალაგდება მისი ნამოქმედარ-ნასაუბრალი.

ჯოისი უშვებს გამონაკილებს. იგი არაფრად დაგიდევს მუსიკალური ნოტების გრაფიკულ გადმოტანას ნაწარმოებში, ამათუიმ ეპიზოდის დამთავრებას ხაზის გასმით ასრულებს. ჯოისი დაუნდობელია, თუნდაც საყვარელი სამშობლოს მიმართ: მისი სიტყვებით, ირლანდია ეს არის ღორი, რომელიც საკუთარ შვილებს თქვლევს. ოღონდ იგი სიტყვით აფორმებს სათქმელს და არა სურათებით. ჯოისი ლოგოსით აწესრიგებს მოქმედებებს, რომელიც ხატობრივია ჰომეროსისათვის, დანტესთვის, გოეთესთვის. მკითხველი ისრისება სიტყვების ზედახორისგან, ამიტომაც გაკუნძულდა მისი „ულისე“, იმისდა მიუხედავად, რომ აჰა, 100 წელიწადია ითარგმნება მსოფლიოს მრავალ ენაზე. აღიარებენ თითქოს, მაგრამ გულგრილ-



ია ეს აღიარებანი. სანაცვლოდ სერვანტესი ლამის სულიერ ბაირახტრად აქცია ჩვენმა პლანეტამ. ახლახან 100 ესთეტიკოსისგან „დონ კიხოტი“ დედამინის ნომერ პირველ წიგნად დასახელდა ამერიკული გამოკვლევებით.

რა ხდება? რასათან გვაქვს საქმე? სერვანტესს ენის მოქნევის სისადავის მხრივ ვერავინ გაკილავს ცისქვეშეთში. ეს ქართულ თარგმანშიც ჩინებულადაა გამოხატული, მიუხედავად ბარბარიზმების მოჭრებისა. (ბატონ ბაჩანა ბრეგვაძისეულ თარგმანი ჯერ არ წამიკითხავს და ვიმედოვნებ, რომ ამ კუთხით ნაკლები ზადი იქნება).

ნანარმოების მოტორულ ძალად არისტოტელე გმირის მოქმედების შუაგულში გადაგდებას მიიჩნევს. ამავდროულად არისტოტელე უპირატესობას ანიჭებს ტრაგედიას ეპიკასთან შედარებით, ვინაიდან პირველს ახასიათებს ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა. ხოლო მეორესთან მეტი მოშვებულობაა – ავტორს აქა-იქ ჩათვლემს, ანუ ბალასტებია, კორძები. ამ თვალთახედვით განსახილველად არც ღირს მოები და ფამუქები.

ბოლო დროს ნობელიანტების კომიტეტმა მოითხოვა მწარალთაგან საპრემიოდ წარმოდგენილი ნანარმოები არ უნდა აღემატებოდეს 240 გვერდს. ესეც ერთგვარი პროკრუსტეს სარეცელია, ანუ სოციალური თემები უნდა გამოიშინოს, გამოიხშიროს საზოგადოებრივი აქტივებისაგან და დარჩეს მარტოოდენ ხერხემალი, ანუ „ღრუბელი კვადრატში“, როგორც პოეტი რენე კალანადია იტყოდა მოსწრებულად.

ამ სანიერით გულგრილად ჩაუვლი გახმაურებულ „მარტოობის ასი წელიწადს“, სადაც დონკიხოტური იუმორით მიიტაცება ბოშათა მაგნიტებისაგან მაკონდოელების ჯამ-ჭურჭელი, მაგრამ დარწმუნებული ვარ სტიქიური არქიტექტონიკით დღემდე არსებული ესთეტიური ფორმულით: ექსპოზიცია-კვანძი-კულმინაცია-კვანძის გახსნა, ამო მცდელობაა ნანარმოების ჩონჩხის ასაშენებლად. მწერლისთვის გაცილებით მეტის განმსაზღვრელია ნანარმოების არქიტექტონიკა, მისი კარკასი, მისი აღნაგი, დანარჩენი შემოსვის ტექნოლოგიაა. ცხადია, ეგეც როდია ხელნამოსაკრავი ფენომენი, მაგრამ პირველადი მაინც პირამიდის გეგმილია, მისი რეალური თუ აბსტრაქტული ნახაზები, და შემდგომ ლოდების გამოკვეთა თუ მათი დალაგების გარჯილობა.

მონოლითურობის მოთხოვნილება ნანარმოებისადმი ვერ გამოიმუშავა შუმერულმა ცივილიზაციამ, ვერც – ინდურმა და ჩინურმა, ველარც – ეგვიპტურმა და სკანდინავიურმა. იგი მოახერხა მხოლოდ პელაზგურიდან (კოლხურ-ქართულიდან) ამოზრდილმა ელინურმა სამყარომ („ილიადა“, „ოდისეა“) და



ამ ელინურის კანონზომიერებას მიყურადებულმა რენესანსმა, ალორძინების ხანამ, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ სახით. იგი განასრულა გოლიათის მხრებზე ამხედრებულმა გოეთემ, რომელსაც ფაუსტის ტექსტების ჯარი ჩამოუმწკრივა ხელმოცარულ კალამგირთა ჯგრომ ბიურგერულ გერმანიაში. ამას შეძლებენ ჩვენში თუ სხვაგან, ზეგარდმო ნიჭით ცხებული ბელეტრისტიები, რომლებიც სიღრმისეულად გაითავისებენ ორ ქართულ ფენომენს: ერთს ფოლკლორის მიერ შემოთავაზებულს – „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეობა, პატარაში არ კმარიყო“ და მეორეს დიადი ვაჟას ნაბრძნობს – „რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა შაუნახია ჰაერსაო“. აი, ამ ბურჯებზე დაყრდობით და ცხადია, „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდოლოგიის მხარდამხარ, ხელმისაწვდომი გახდება XXI საუკუნის მაჯისცემის სრულფასოვანი ასახვა, სადაც ზედმინევით გათვალისწინებული იქნება ახალი ღვინოს ახალი ტოკჭორებში ჩასხმის ბიბლიური შეგონებანი.

მეექვსე კომენტარი

ნიგნის ყოველი მორიგი გამოსვლა ღვინის ქვევრიდან ქვევრში გადატანას ჩამოჰგავს, იმ განსხვავებით, რომ ამ გადანაცვლებისას ღვინოს აკლდება რაღაც – ლექის, მინარევის სახით, სანამ ზედმინევით დაწვევებოდეს, სანამ უკიდურესობამდე გაძლეგებოდეს იგი. ხოლო გამოცემული ნაწარმოების ხელახალი მოვლინება ჩემთვის გულისხმობს მრავალი პასაჟის, შტრიხის ჩართვას, თუნდაც ხიჭვის ოდენასი, რაც მანამდე აკლდა თურმე მის არქიტექტონიკას მიზეზთა გამო.

ადრეც მითქვამს: ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს თავად მათი ავტორის აღსრულება თუ დააზუსტებს-მეთქი. მანამდე კი ყოველთვის მზად ვარ ყოველთვის შევცვალო რაღაც, შესაძლოა უცხო თვალისთვის უხილველი, თუმცა ქმნილების მოთხოვნილებით აუცილებელი და ასე მიწყვიტო ბოლო ჩაგვირისტებამდე, დოკირიბუა რომ ჰქვია მეგრულად, ად უნგვემ – ლათინურად, სრულყოფილებამდე.

დაე, სხვებმა წერონ სამასნიგნეული, ოთხმოცტომეული. აღსასრულის ჟამს კი ცხოვრების გამოცდილებით ამ მესულსწრაფეთ არ ჰყოფნით ძალისხმევა წყალწყალა ფურცლები დანდობილად ამოხიონ იქიდან ჰონორე დე ბალზაკის კვალობაზე. მე კი ჩემს რომან-ტრიადას, ორნიგნეულ პოეზიას და ხუთნიგნეულ პუბლიცისტიკას მაგრად მივიხუტებ მკერდზე და გავირინდები უმტკივნეულოდ.

თანამედროვეობას თავალს არ ვარიდებ შეძლებისამებრ, მაგრამ ჩემი საკითხავი ლიტერატურა განსაკუთრებულად შემოფარგლულია უკვე და მათი კითხვადობა მკაცრადაა დაქვემდებარებული ამ მაგიური წრის ტრიადს ჩემი სულის გარშემო. ესენია: რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* (დახრა ყველგან ნინწკლების ეკვივალენტურია, რედ.), ჰომეროსის *ილიადა* და *ოდისეა*, ვერგილიუსის *ენეიდა*, დანტეს *ღვთაებრივი კომედია*, გოეთეს *ფაუსტი*, სერვანტესის *დონ კიხოტი*, შექსპირის *ჰამლეტი*, დოსტოევსკის *ძმები კარამაზოვები*, ტროლსტოის *ომი და მშვიდობა*, ჯოისის *ულისე*, ფოლკნერის *ხმაური და მძვინვარება*. ვკითხულობ განმეორებით სხვებსაც, მონატრებისამებრ – *შაგრენის ტყავს*, *დორიან გრეის პორტრეტს*, *ოსტატსა და მარგარიტას*, *თამაშს ჭვავის ყანაში*, *დათა თუთაშხიას...* მსოფლიო პოეზიის ანთეოლოგიის ჩემეულ მონუმენტურ ერთტომეულას და *იბერიული პოეზიის ანთეოლოგიის* ასევე ჩემეულ ორნიგნეულს; ახლებსაც: აკა მორჩილაძეს, ზურაბ ქარუმიძეს, მაგრამ ზემოთ დასახელებულ გრანდიოზულ ბორბალს წელიწადში ერთხელ უცილობლად დავიტრიალებ ცნობიერების თავანზე.

ამასთან, ამ სარბიელზე ხშირად მივაყურადებ ხოლმე არისტოტელეს პოეტიკას და რიტორიკას, ჰეგელის ესთეტიკას და გოეთეს საუბრებს ეკერმანთან. ესენი დიდი ლოცმანები გახლავან, სიტყვაკაზმულობის სულიერი მედროშენი და წინმომლოდინე რიფებს მოხერხებულად ააცდენინებენ შენს შემოქმედებით ოჩხომელურას თუ ებრაელის წყევლით არ მოსარგალებულხარ: არც თავად იცი ჭკვიანური რამ და აღარც სხვისი ბრძნულის გაგონება გნადია.

რომან როკიზე მუშაობისას დასახელებულ მეტრებზე არანაკლები პრაქტიკული დახმარება გამინიეს ან ნეტარხსენებულმა ესთეტიკოსებმა, კარლო ჯორჯანელმა, რეზი თვარაძემ, ნიკო ყიასაშვილმა, მამია ებრალიძემ, დიმიტრი გულისაშვილმა, ნოდარ კაკაბაძემ, ვახტანგ კვარაცხელიამ... მათ უშურველად შემომინალდეს გარშემო ბარაქიანად აღზევებული უმეცრების ძეძვი და ეკალ-ბარდი. დიახაც, მათ დამაგეზიანეს მთავარი მაგისტრალისკენ და ეს სასიკეთო ნიაღვრეები ტრიადის მესამე ნიგნში მეტი სიცხოვლით წარმოჩინდება უცილობლად ხვალ-ზეგ.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება სამეგრელოსთვის ფრიად ნიშანდობლივ ტრიფოლიატას ცოცხალ ლობეს ჩამოჰგავს რამდენადმე. აქ ბევრგან იხილავთ გზისპირზე ბეჭემოტივით ჩამომხობილ ხასხასა მიჯნებს. მათი დეკორაცია წკეპლიანი დიასახლისების გარჯილობის ნაყოფია – ჰიპერტონია,

ელეფანტიზმი. როცა ვეგეტაციის პერიოდი დაუდგება ამ ტრიფილიატას და ცილის სიმაღლეზე აბიზინდება მის ირგვლივ ნორჩი დუყები, აი, ამ დროს გამოემუშურებიან ქალები და შინდის ნკნელის ზუზუნით შემოასხევენ ნაადრევ სითამამეს. რას გაანყობს ბედშავი ტრიფილიატა, გასაქანი წარ-თმევია სიმაღლეში მის სწრაფვას და მიდის სიგანეზე გადმოფაშვების უნიათო ჩინდრიკი.

დიახაც, იგივეს მოიმოქმედებენ-მეთქი ჩვენი ფასეული ლიტერატურის კასტრაციის სპეცი თა-ნამემამულე „ესთეტები“, რომელთა მკაცრად რანგირებული მოვალეობაა ადგილზევე მოაშთონ ყოველი ფასეულის გაფაჩუნება. ასე ხდებოდა ათწლეულების განმავლობაში და ხდება დღესაც ამირეჯიბებისა და ჭილაძეების მიჯაჭვულობები შინაურ გარემოსთან, ანუ იქ, სადაც საზრდოობ და მოისაქმებ კიდევ. ამ დროს, ლამის თავგადაკლული ჭინთვებია მოცვედნო ტიპაჟებისა ფორ-სირებული თარგმნის კუთხით ქვეყნის ბიუჯეტის, ხალხის ნაოფლარის ხარჯზე, რომლითაც საბ-ოლოოდ ქარწყლდება ჩვენი ეროვნული მწერლური რეპუტაცია უცხოეთში. არ ვასახელებ კონკ-რეტულ ვიეთებს, მაგრამ ჩემი შემოქმედების ბლოკირება ამ დაქირავებულ გვარნაცვალ ხალხს არაფრით გამოუვა საბოლოოდ, ვინაიდან ადრე თუ გვიან წყალი თავისით ჩავა ჩასავალს; ადრე თუ გვიან სანთელ-საკმეველი თავისით გაიკვლევს გზასავალს საყოველთაო აღიარებისკენ.

აი, ამეებში ვარ გახირული ძვირფასო მკითხველო და ნუ გაგიკვირდება რაიმე ნიუანსობრივი სიახლე თუ შეჰმატებია როკის წინამდებარე პუბლიკაციას! რეკონსტრუქციის თვალსაზრისით ამ რომანში გამორჩეული ძაღლების დათვალეირებაა. მე ეს თავი სხვათა მონაყოლით ამისახავს ადრე ნიგნში, ზოგი რამ, ცხადია, საკუთარი ფანტაზიითაც ამიკოკოლაგებია, ჰო, ამიკოკოლაგებია და არ შემეძინია აღმაფრენის წყალობით, ვინაიდან როცა უშუალოდ კინოლოგთა ფესტივალს დავესწარე-ბი სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში, თავზარი დამეცემა, ისევ და ისევ ჩემი არაადეკვატურობის გამო – რამდენ რამეს მივქარავდი თურმე; დაკონკრეტდება, მეტიც, უმ-ნიშვნელო ჩარევებით შთმბეჭდავად გაიხსნება რომანის გმირის საპატიმროში მოხვედრის მიზეზები, ჭურის ლერწმოვანებს ცეცხლს რომ წაუკიდებენ ლაქაშებში მიმალული როკის მოსახელთებლად. დეზერტირობის გამო დევნილი ოდიშელია ჟინი ანთარისაგან მომზადებულია მსგავსი ვითარების-თვისაც. ჩაყვინთავს წყალში და ჩალის ლერით შეუძლია სუნთქვა საათობით. თავს ზემოთ ცეცხ-ლის ალი გარგარებს, ძირს ლამის ლიამწოვმა ჩაითრიოს შლამში გახვეული ღლაგების საზრდოდ და ამ სკილა-ქარბდას შუა გახირული, სულს რალაცნაირად დაიხსნის გაპარტახებისაგან. კი, თვი-თონ გადარჩება, მაგრამ ამ სადამსჯელო ოპერაციას საბოლოო შეენილება კუნძულ დიდგვიმარონზე შემორჩენილი, კოლხეთის სალოცავი, ძველთუძველესი გვიმრის ხეები.

ტრილოგიის პირველი ნიგნის ქვეტექსტები მრავლად გაიხსნება მეორეში, მაგალითისთვის, კემე ანთარის ფუნქცია, რომელიც გამორიცხული არ არის მესამე თხზულებაში უფრო მძაფრად გან-ვითარდეს. ნიგნში გაჩნდნენ ახალი, სიფრიფანა პერსონაჟები: მხატვარი, მენაკოიკე-მესვირინგე-თა შეფი ზონებსა და ლაგერებში, მილიციის პოლკოვნიკი დანცინგ ბალდაევი; მოსკოვის III განყო-ფილების უფროსი სტას კირსანოვი, სადაც მალაღჩინოსნების ნათესაგებს მკურნალობენ მხოლოდ, მათ წელკავებს და ბრონქიალურ ასთმებს; ტრილოგიის ორივე ნიგნში ჩაისახება თორღების ქართუ-ლი ცის ნოსტალგია, რომელიც გადანულია ჟინი ანთარის სალ-სალამათ ადამიანთა საცდელ ლაბ-ორატორიებს ლამსდორფში, და რომელიც გაცილებით დამძიმდება ტრილოგიის დამაგვირგვინებელ მესამე ნიგნში; რა, ხელი მეკრა და ზურგი შემექცია ამეებისთვის ფაუსტური მშვენიერი წამის შეყ-ოვნების თვთდამშვიდებით?! არამც და არამც, ძვირფასებო! ჩემი ნიგნები ჩემთან ერთად იზრდები-ან, ჩემთან ერთად მდულარებენ და ძელგდებიან გარკვეულ დრომდე. შეწყდება მაჯისძგერა ჩემი და სამარადისოდ გაირინდებიან ჩემი ნიგნებიც. აი, იმ მომენტიდან მიმიჩნევია თანადროული მათი თარგმნა დანარჩენი მსოფლიოსთვის. აი, ამ მომენტიდან ჩემი ნაზრევის გასარანდად ნებისმიერი ჩარევა ხელყოფად შემირაცხავს ჩემი მეობისა. ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხ-ოლოდ კორექტურის თვალსაწიერით, სხვანაირი კოსმეტიკა გამორიცხულია! ყველაფრის გათვალის-წინებით, ვგონებ მისახვედრებელია თუ იოტისოდენადაც კი რისთვის არ მალეღვებს ჩემი რომანების გადაუცხოების ბედისწერა-ყისმათი; რატომ არ ვიძრობ ცხრაპირ კანს – ვინ უფრო ადრე ეზიარება მას, ინგლისელი, ფრანგი, რუსი, ესპანელი თუ ჩინელი მკითხველი. ბუნებრივია, ყოველივე ამას თავად მე ვერაფრით მოვესწრები, მაგრამ ჩემი შვილები, მათი ნაშიერის ნაშიერი, ჯიმ-ჯილაგი ჩემი, იმედია, სადაგად მოაბამენ თავს ადრე თუ გვიან.

ესთეტიკური ლელო



„მწერლობის მოთვინიერება“ ბრძელდება

ლევან ბებურიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

I

თანამედროვე ქართული მწერლობის იდეოლოგიური საფუძვლები

ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობას კრიზისის ეპოქა უდგას, რისი დასტურიცაა მოძალებული უნიჭო, უზნეო და უფერული ტექსტები, ფსევდოეპატაჟური გამოხტომები და სხვ.

იმვითად გვხვდება შექმნილი სიტუაციის ანალიზის ცდები, მაგრამ ანალიტიკოსთა უმრავლესობა ერიდება ნამდვილ მიზეზებზე მსჯელობას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი პრობლემის რეალურ არსს შესანიშნავად აცნობიერებს.

მწარედ ცდება ის, ვინც აღნიშნული მდგომარეობის საფუძველს მხოლოდ ესთეტიკური აზროვნების კრიზისში ეძიებს, ვინაიდან ეს ვითარება უპირატესად გარეესთეტიკური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზეზებით არის განპირობებული.

უკვე ჩაგვესმის მავანი ნეოლიბერალის ისტერიული ხმა: „ნუ ურევთ ერთმანეთში ლიტერატურასა და პოლიტიკას! ეს ორი სხვადასხვა სფეროა!“

სინამდვილეში, საქმე ასე მარტივად არ არის. ლიტერატურა და ხელოვნება ყოველ ეპოქაში გამოიყენებოდა როგორც იდეოლოგიური იარაღი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **„ლიტერატურა საზოგადოების კულტურული იდენტურობის განსაკუთრებული ნაწილია. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მის მიღმა შექმნილ ფასეულობათა გადაცემას. მას შეუძლია ამ ფასეულობათა კონსტრუირება და იერარქიზირება“**.

საზოგადოებრივ ცნობიერებას ქმნის და ამკვიდრებს ხელოვნება და მასმედია. ვინც აკონტროლებს ხელოვნებასა და მასმედიას, იგი აკონტროლებს და მართავს საზოგადოებრივ აზრს. აქედენ გამომდინარე, პოლიტიკისა და ლიტერატურის გზები ხშირად იკვეთება. როგორც დიდი გერმანელი მწერა-

ლი თომას მანი წერს: „დაუშვებელია სულიერი ცხოვრება პირნიმინდად გავმიჯნოთ პოლიტიკის-
აგან. ის აზრი, თითქოს შესაძლებელია კულტურული ფასეულობების შექმნა და ამავედროულად
აპოლიტიკურობის შენარჩუნება, წარმოადგენს ცდომილებას...“

ქართველი მწერლის აზრითაც, „მწერლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა (არ უნდა ერე-
ოდეს), თორემ პოლიტიკასთან პირდაპირაა დაკავშირებული“.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იწყება
ნეოლიბერალთა გააქტიურება ჩვენს ქვეყანაში. ნეოლიბერალური იდეოლოგია გამოკვეთილად გლო-
ბალისტური ხასიათისაა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „გლობალიზაცია და
ნეოლიბერალიზმი გვერდიგვერდ მიაბიჯებს“. ნეოლიბერალთა მიზანია ე. წ. „ღია საზოგადოების“
შექმნა (რომელიც სინამდვილეში ჩაკეტილი საზოგადოების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს), რაც
საბოლოოდ უნდა დასრულდეს მართვის ერთიანი ცენტრის დაფუძნებით.

თავიანთი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ახალი ლიბერალები ძირითადად უცხოური გრანტებით
სულდგმულობენ და მათი პროპაგანდის საშუალებებიც შედარებით მოკრძალებულია. 2003 წ. ე.წ.
„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ნეოლიბერალები მოდიან ხელისუფლებაში და ნეოლიბერალიზმი
სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია ხდება.

ვინაიდან ნეოლიბერალთა ერთ-ერთი მამამთავრისა და იდეოლოგის აზრით: „არსებობს კონფლიქ-
ტი ღია საზოგადოების ცნებასა და ეროვნული სუვერენიტეტის ცნებას შორის“, იწყება თავგანწირ-
ული შეტევა ყველაფერზე, რაც ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი და ქართული თვითცნობიერების
განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. ღია საზოგადოების უპირველეს მტრებად ნაციონალური,
ეროვნულ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფოები ცხადდებიან. ამიტომაც ეროვნული ცნობი-
ერების მოსპობა ნეოლიბერალთა უმთავრესი ამოცანაა.

ნეოლიბერალები თავდაპირველად უტყვენ ქართულ ეროვნულ ფენომენს. მათი განქიქების საგანი
უპირველესად არის ქართველი ხალხის ბუნება: „უგემოვნო, უტიფარი, უნიჭო, უბირი ადამიანია
საქართველოს სიმბოლო. შემცბარი, უგუნური, ბოღმიანი გამოხედვაა საქართველოს სიმბო-
ლო... კოტიტა თითები, დამანჭული სიფათი, ხვანჯარში გაჩრილი დამბაჩა... თითქოს არამყრა-
ლი სიგარეტის გამონაბოლქვი, ოდეკოლონის შთამბეჭდავი სურნელია საქართველოს სიმბო-
ლო“.

ახლა ზოგიერთი ზერელედ მოაზროვნე უთუოდ წამოიძახებს, რომ ილია ჭავჭავაძესაც ნაკლები
სიმწვავის სიტყვები არ უთქვამს ქართველ ერზე, მაგრამ ილია, უზომოდ რომ უყვარდა სამშობლო,
ხალხის ზნეობრივ ნაკლებზე ამახვილებდა ყურადღებას და არა „კოტიტა თითებზე, დამანჭულ სიფათზე,
ბოღმიან გამოხედვაზე, სიმყრალეზე“ და ა.შ. ასეთი სიტყვების თქმის საფუძველი მხოლოდ სიძულვი-
ლი შეიძლება იყოს.

სხვა მოაზროვნის შეხედულებით კი, „მთავარი დამახასიათებელი თვისება ქვეშემარტი ქართ-
ველის არის მისი ქალურობა... ისტერიულობა, მეძავისათვის დამახასიათებელი მლიქვნელო-
ბა და ტყუილი... ქართველი დაუძინებელ მტერსაც კი უხსნის სიყვარულს და ამას საკუთარი
სტუმართმოყვარეობით ამართლებს, სინამდვილეში კი ეს მეძავი ქალისათვის დამახასიათებე-
ლი ამორალურობაა და მეტი არაფერი“.

მიაქციეთ ყურადღება: მეძავობა ქართველის ერთ-ერთი კი არა, მთავარი დამახასიათებელი თვისე-
ბაა, პასკვილიანტის აზრით. სახეზეა ქართული სტუმართმოყვარეობის ფსიქოანალიზიც. ჩვენ რომ
სტუმარ-მასპინძლობის ფენომენის სათავეებს ქრისტიანულ რელიგიაში ვეძიებდით, თურმე სინამ-
დვილეში იგი ქართველთა მეძავური ბუნებით ყოფილა განპირობებული.

პუბლიცისტი კი აგრძელებს: ქართული „მრავალხმიანი სიმღერა... იმიტომ არის უსაზღვროდ
ლამაზი, რომ თავისი არსით აბსოლიტურად ამორალურია. კაცების გუნდში ყოველი მათგანი
სხვადასხვა ხმას მღერის, ანუ არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს, ამტკიცებს თავისას და იშ-
ვიათად უერთდება უმრავლესობას“.

ამ მსჯელობას კი, უკვე შეუძლებელია, ენოდოს სხვა რამ, გარდა გონებააშლილობისა. ჰარმონია
სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებულთა მონესრიგებულობა. ქართულ ხალხურ სიმღერაში სხვა-
დასხვა ხმა ერთმანეთის წინააღმდეგ კი არ მიდის, როგორც ამას პასკვილიანტი წერს (ამ შემთხვევაში
საქმე გვექნებოდა არა სიმღერასთან, არამედ ყმუილთან), არამედ ავსებს ერთმანეთს, რის შედეგადაც
განუმეორებელ ჰარმონიას ვიღებთ.

ნეოლიბერალები უტყვენ ქართულ მეცნიერებას: „ქართული ისტორიოგრაფიის, ლიტერატურათ-

მცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიის დონე არათუ საერთაშორისო სტანდარტებთან ახლო ვერ მიდის, არამედ უბრალო კრიტიკასაც ვერ უძლებს“. მათვე განახორციელეს საგანმანათლებლო სისტემის დამანგრეველი „რეფორმა“, რის შედეგადაც მინასთან გაასწორეს კვლევითი ცენტრები, პროფესორის ხარისხით აღჭურვეს მედროვეები, ღირსეული მეცნიერების დიდი ნაწილი კი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოაძევეს.

ნეოლიბერალები უტყვენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას: „საქართველოს ეკლესია თავისი ორგანიზაციული წყობით ე. წ. „მასობრივი ტიპის“ ბოლშევიკური ყაიდის პარტიას ჩამოჰგავს“. სხვათა აზრით კი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მისი ანტიდასავლური და იზოლაციონისტური ბუნების გამო წინ ეღობება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ნეოლიბერალები უტყვენ ქართულ ტრადიციებს: „თითქმის ყველა ქართველი თავის ბედს, მთელს თავის ცხოვრებას ბოლომდე ბრმად ანდობს ამ „ათადან და ბაბადან“ მომავალ „ტრადიციებს“, იმას, რაც „ოდითგანვე წესი ყოფილა“ და ამით ძირშივე კლავს თავის ორიგინალურობას, განუმეორებლობას, პიროვნულობას, თავისუფლებას, სიცოცხლის უფლებას – მოკლედ ყველაფერს, რაც ღმერთმა მისცა“. – წერს ლევან რამიშვილი.

„ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი არშემდგარი ქალი, ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა“, – გემოდღვრავს ემზარ ჯგერენაია.

ნეოლიბერალები უტყვენ ქართულ მწერლობას: აგდებულად საუბრობენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაზე (იხ. ქვემოთ), ყალბად და უნიჭობად მიიჩნევენ ნ. ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძეს, ხოლო უახლესი ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს მოიხსენიებენ, როგორც „სადიზმის პოსტსაბჭოთა დიდოსტატებს“.

ერთი სიტყვით, ნეოლიბერალების მიხედვით, ქართველთა წარუმატებლობის სათავე მათ ქართველობაში მდგომარეობს. ქართველები უბედურები იმიტომ არიან, რომ ქართველები არიან! ქართული ტრადიციები, ქართული სუფრა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გვეღობება დემოკრატიისა და მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე. ნეოლიბერალების მიერ მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს ჩვენი ყოფის ყველა ნაკლი, ყველა სიმახინჯე, ყოველი უარყოფითი თვისება თვით ჩვენი ეროვნული ბუნებიდან მომდინარეობს. სწორედ ეს უარყოფითი თვისებები წარმოადგენენ კიდეც ქართველობის არსს, მის ნამდვილ სახეს. ამიტომაც ქართველი არსობრივად უნდა გარდაიქმნას, უნდა გადაკეთდეს. პავლე მოციქულისეული „ახალი ადამიანი“ ჯერ კომუნისტების მიერ გადაშინაარსდა „საბჭოთა ადამიანად“, „Homo soveticus“-ად, შემდეგ კი ნეოლიბერალებმა დაიწყეს „ახალი ლიბერალური ადამიანის“, „ახალი ქართველის“ გამოყვანა, არსებისა, რომლის ინტერესთა სფერო მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებებით უნდა იყოს შემოსაზღვრული.

ფ. დოსტოვესკის „იდიოტი“ გვხვდება საგულისხმო მსჯელობა: **„რუსული ლიბერალიზმი მარტო არსებული წესების წინააღმდეგ გალაშქრება კი არაა, მარტო რუსულ წესებს კი არ ესხმის თავს, არამედ თვით რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჩემი ლიბერალი იქამდეც მიდის, რომ თვით რუსეთს უარყოფს, მაშასადამე საკუთარი დედა სძულს და საკუთარ დედას სცემს. ყოველი უკუღმართული, ყოველი კვიმატური რუსული ფაქტი მას მხოლოდ სიცილსა და ლამის აღტაცებას ჰგვრის. მას სძაგს ხალხის ადათ-ჩვევები, რუსული ისტორია, ყველაფერი... რუსეთისადმი ეს მისი სიძულვილი ყველაზე ნაყოფიერ ლიბერალიზმად მიაჩნია“.**

ჩასვით ამ ციტატაში „რუსულის“ მაგიერ „ქართული“ და მიიღებთ ქართული ნეოლიბერალიზმის ზედმიწევნით ზუსტ დახასიათებას.

ძნელია, არ დაეთანხმო მკვლევრის განცხადებას, რომ „ახალ ლიბერალებს სურთ საქართველოში ისეთ ლიბერალიზმს მიაღწიონ, როგორც დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც არ არის. ეს ცდები ჰგავს ძველი საბჭოთა კავშირის კამპანიას „დავენით და გავუსწროთ ამერიკას“.

თუ ვინმე კრიტიკული თვალთ შეხედავს ნეოლიბერალურ ექსტრემიზმს, მამინვე უპასუხებენ, ერთი შეხედვით, ჩამჭრელი კითხვით: კი, მაგრამ ილია ჭავჭავაძეც ხომ ლიბერალი იყო?

აუცილებელია, ორიოდ სიტყვა ითქვას ლიბერალიზმისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე.

ილიასათვის ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, სრულიადაც არ იყო უნივერსალური: **„სწორედ რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების საწყაო ლიბერალობა ან რეტროგრადობა ან სხვა ამისთანა-კი არ არის არამედ ეს: მართალია კაცი, თუ მტყუანი“.** – წერს ილია და უმკაცრე-

სად ამხელს თანამედროვე ლიბერალებს, რომლებიც ადამიანს აფასებენ არა მისი ზნეობრივი სახის, არამედ იდეოლოგიური პოზიციის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ლიბერალიზმის საკუთარი, ნეოლიბერალთაგან რადიკალურად განსხვავებული, გაგება. თითქოს სწორედ ამ ფსევდოლიბერალთა გასაგონად წერდა ილია: **„ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარი ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისილაა ეგ თქვენი მონონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა? ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი აღინო“.**

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს ლიბერალობა უმთავრესად ესმის არა როგორც იდეოლოგიური, არამედ როგორც ეთიკური პოზიცია. ილიას აზრით, ლიბერალი იგივე ზნეობრივი ადამიანია, რომლის ცხოვრების მიზანსაც სიმართლის დაცვა და მსახურება შეადგენს. საგულისხმოა, რომ ამ სიტყვებს ილია წერს თავის ვრცელ ნარკვევში: „ქვათა ლაღადი“. ილიას ეპოქის ფსევდოლიბერალები, დღევანდელთა მსგავსად, ეროვნული საკითხის სრულ იგნორირებას ახდენდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მკაცრი პასუხი სომეხი ვაი-მეცნიერებისადმი ეროვნული შუღლის გაღვივებას შეუწყობდა ხელს; ეს კი, ლიბერალური პოზიციიდან, გაუმართლებელი იყო. მსგავსადვე, ნეოლიბერალებიც, უკეთეს შემთხვევაში, სრულიად არ აქცევენ ყურადღებას ეროვნული კულტურის აბუჩად აგდებას; უარეს შემთხვევაში კი თავად გვევლინებიან ცილისმწამებლებად. ასეთი ფარისევლობით განრისხებული ილია წერს: **„რას გვიქვიან აქ ლიბერალობა, ან რეტროგრადობა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავ-ბედს ასე აბიაბრუებენ და ძირიანად სთხრიან!“**

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე აცხადებდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“. ვინმეს წარმოუდგენია, რომ რომელიმე ნეოლიბერალი მსგავს რამეს იტყვის? ეს ხომ ყოველად შეუძლებელია! უფრო მეტიც, დღევანდელი გადასახედიდან, ილიას ეს სიტყვები არათუ ლიბერალური, არამედ თხემით ტერფამდე კონსერვატიულია.

ამას შესანიშნავად აცნობიერებენ ნეოლიბერალები, ამიტომაც ყველა საშუალებით ცდილობენ ილიას სიტყვები გააკრიტიკონ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, რომ დღევანდელი ფსევდოლიბერალის აღსანიშნავად შეიქმნა ტერმინი: „ლიბერასტი“.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც ილიას ლიბერალობას უწუნებენ; აღმაცერად უცქერენ ილია ჭავჭავაძეს, როგორ მწერალსაც. მაგ.: ლ. ბერძენიშვილი სიამოვნებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ „გაჩნდა დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის კრიტიკის საშუალება“. მანვე განაცხადა, რომ იგი „ილია ჭავჭავაძეს, ასეთ ქართველ მწერალს, არ იცნობს“. ცოტა ხნის შემდეგ ლ. ბერძენიშვილმა შესაშური გულახდილობით ისიც აღიარა, რომ მას არც აკაკი წერეთელი მოსწონს. მ. ჯავახიშვილი კი, ბერძენიშვილის აზრით, შეიძლება ნივნივადის დონის მწერალია.

სამაგიეროდ ლევან ბერძენიშვილს ძალიან მოსწონს მწერალი ზაზა ბურჭულაძე და სახოტბო წერილებსაც უძღვნის მას.

დავსვათ კითხვა ამგვარად: რატომ არ მოსწონს ლევან ბერძენიშვილს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი? პასუხი: იმიტომ რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი თავიანთი მსოფლხედვითა და აზროვნების წესით ლიბერასტები არ არიან!

კითხვა მეორე: რატომ მოსწონს ლ. ბერძენიშვილს მწერალი ზაზა ბურჭულაძე? პასუხი: იმიტომ რომ ზაზა ბურჭულაძე თავისი მსოფლხედვითა და აზროვნების წესით მგზნებარე ლიბერასტია. ყველაფერი ძალიან მარტივია.

ყოველივე ზემოთ თქმული ხელს არ უშლის ზოგიერთებს, რომ ნეოლიბერალები ილიას საქმის გამგრძელებლად გამოაცხადოს და პარალელები გაავლოს მათსა და ილიას თაობას შორის.

ილია ჭავჭავაძემ უმკაცრესად ამხილა ქართველთა მანკიერებანი, მაგრამ ამ მხილებას ეროვნული ფენომენის უდიდესი სიყვარული ედო საფუძვლად. ნეოლიბერალებიც ბევრს წერენ ქართველთა უკეთურებებზე, მაგრამ მათი საქციელი ეროვნული ფენომენისადმი სიძულვილით არის მოტივირებული; ილია ჭავჭავაძე ებრძოდა იმ არაარსებითსა და არაბუნებრივ თვისებებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ფესვი გაიდგა ქართველთა სულში; ნეოლიბერალები კი ებრძვიან იმ არსებითსა და

ძირეულ ნიშნებს, რომლის გარეშეც ქართველი კაცი აღარ იქნება ქართველი; ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო ქართველებს შეენარჩუნებინათ ისტორიული წარსული, დაბრუნებოდნენ ისტორიულ ძირებს, ამიტომაც ხალხს იდეალად უსახავდა ისტორიულ გმირებსა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულებს; ნეოლიბერალებს კი სურთ ქართველების გადაყვანა აზროვნების სხვაგვარ წესზე, თვისებრივად განსხვავებულსა და არაეროვნულ ნიადაგზე, ამიტომ ისტორიულ გმირებს ქონდრისკაცებად წარმოაჩენენ და ხალხს ეტალონად მამათმავლებსა და უზნეო ადამიანებს უსახავენ; ილია ჭავჭავაძე მედგრად იცავდა ეროვნულ კულტურას აბუჩად აგდებისა და დამცირებისაგან, ნეოლიბერალები კი თავად ესხმიან თავს და ცილს სწამებენ ყოველივე ქართულს. ილია ჭავჭავაძემ დააარსა სათავადაზნაურო ბანკი, რათა ქართულ მინებს უცხოელები არ დაპატრონებოდნენ; ნეოლიბერალები კი უდიდესი სიამოვნებით ასხვისებენ ქართულ მინებს ნებისმიერზე, ვისაც ფულის გადახდა არ დაენანება.

აი, რა განსხვავებაა ნეოლიბერალებსა და სამოციანელების შორის.

ნეოლიბერალთა შეტევის საგანგებო ობიექტია ქართული ლიტერატურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო. იწყება იერიში ქართული ლიტერატურის კლასიკოსებზე და პარალელურად კი – უნიჭო და უზნეო ავტორების გაპიარება. სწორედ ამიტომ ქართული მწერლობა თანდათანობით გადაიქცა ჰეროსტრატეს კომპლექსით შეპყრობილ ადამიანისმაგვართა, ლიტერატურული ქილერებისა და კამიკაძეების თავშეყრის ადგილად.

ქართული მწერლობისადმი გამოცხადებული საბრძოლო კამპანია შესანიშნავად ცნობიერდება თავად ქართველი მწერლების მიერაც: „ვისაც გლობალიზაცია არათუ გარდუვალ უბედურებად, არამედ სასურველ მოვლენადაც მიაჩნია, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სწორედ ეროვნულ ფენომენებს უნდა დაუპირისპირდეს: ენას, ოჯახს, მეურნეობას, მეცნიერებას... ანუ კულტურას მთლიანად, და, თავისთავად ცხადია, მწერლობასაც. მწერლობასაც კი არა, მწერლობას, როგორც მთავარ დაბრკოლებას, როგორც პატრიოტიზმისა და ეროვნულობის სკოლას“. – აცხადებს ოთარ ჭილაძე. მწერალი შესანიშნავად ხვდება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში შექმნილი მოჩვენებითი „კრიზისის“ რეალურ მიზეზებს: „ჩვენმა მტრებმა ჩვენზე უკეთ იციან ქართული მწერლობის ფასი და იმასაც ისეთივე დაუნდობლობით ებრძვიან, როგორც ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას თუ ქართულ მეურნეობას ებრძოდნენ თავის დროზე, ანუ ებრძვიან ყველაფერ იმას, ურომლისოდაც უბრალოდ, შეუძლებელია, ქვეყნად იწოდებოდე, მით უფრო – სახელმწიფოდ. რასაკვირველია, მტრების სივერაგისა და სისასტიკის ბრალია ჩვენი მწერლობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა“ .

ახალი ლიბერალები თავგამოდებით ებრძვიან ავტორიტეტებს, რადგანაც ავტორიტეტები განსაზღვრავენ საზოგადოების თვითრეგულაციას. უნდა მოხდეს ტოტალური დესაკრალიზაცია, არ უნდა არსებობდეს არაფერი წმინდა. ლ. რამიშვილი წუხს, რომ „ჩვენს თავს... სხვა რაღაც ხდება, რაღაც ისეთი, რაც შეიძლება მხოლოდ ჩვენთვისაა დამახასიათებელი... ეს „რაღაც“ არის საკრალიზაცია. ჩვენს ცნობიერებაში საკრალიზებულია დედა... საკრალიზებულია ასევე მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა... და საერთოდ ცნება „ნათესაობა“. საკრალიზებულია ცნება „სამშობლო“, საქართველო, ივერთ მხარე... საკრალიზებულია მეზობლობა, „მოყვარეობა“ და რა ვიცი, რა აღარ“.

რა არის გასაკვირი იმაში, რომ დედა, ოჯახი და სამშობლო ადამიანის ცნობიერებაში საკრალიზებული იყოს? ვაი-რაციონალისტებისათვის ასეთი მდგომარეობა გონებრივ შეზღუდულობად ცხადდება.

ამიტომაც აღარ უნდა გაგვიკვირდეს, როცა დანერგენ: **„დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორი საშინელი მოსასმენიც არ უნდა იყოს ეს ზოგიერთებისათვის, კუჭშიც გადიოდა და, ალბათ, ისევე აფუჭებდა ჰაერს, როგორც სხვა დანარჩენი მოკვდავები და თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობაში (და შეიძლება უფრო მოწიფულ ასაკში და სიბერეშიც კი) მასტრუბირებდა კიდევაც“.**

ნეოლიბერალთა ამოცანაა, დაამყარონ ისეთი მდგომარეობა, რომ ადამიანის ცნობიერებაში არ არსებობდეს არავითარი მორალური იმპერატივი, არაფერი საკრალური. ბიოლოგიური მოთხოვნილებები ცხადდება უმაღლეს ფსეულობად. ავტორიტეტების, ორიენტირების გარეშე დარჩენილი ადამიანთა ჯოგი კი სწორედ ღია საზოგადოების მშენებლობის მთავარი პირობაა. ადამიანთა ასეთი ერთობა მზადაა მიიღოს ყოველგვარი სიახლე, რასაც გამალებული პროპაგანდის საშუალებით შთააგონებენ.

ე.ნ. „მასობრივი კულტურის“ შესახებ

ნეოლიბერალები მასების იდეოლოგიური მართვის არაერთ საშუალებას იყენებენ. მთავარი ფუნქცია, ამ მხრივ, ე. ნ. „მასობრივი კულტურის“ აკისრია, რომელმაც ქართულ სინამდვილეშიც ღრმად გაიდგა ფესვი. მასობრივი კულტურის ფენომენი მეოცე საუკუნის „მონაპოვარია“. მართალია, როგორც მიუთითებენ, მასკულტურის მსგავსი ფორმები უფრო ადრეულ ეპოქაშიც შეიძლება დაფიქსირდეს, მაგრამ თავისი დასრულებული სახით პოპულარული კულტურა მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა.

მასობრივი კულტურის წარმოშობის შესახებ, ძირითადად, ორი თვალსაზრისი არსებობს. პირველის მიხედვით, პოპულარული კულტურა კაპიტალისტური კულტურის ინდუსტრიის მიერ არის შექმნილი და თავისი არსით მოგებასა და იდეოლოგიურ მართვას ემსახურება; ხოლო მეორე შეხედულებით, მასობრივი კულტურა დაბალი ფენებიდან მომდინარე კულტურაა.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ხალხური და მასობრივი კულტურა. ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები მთელი ხალხის, როგორც ელიტის, ასევე მასის საკუთრებაა. მასობრივი კულტურა კი სპეციფიკურად მასისათვის არის განკუთვნილი, იგი თვისებრივად არის მასობრივი. ხალხურ კულტურაში ასახულია მალაღამიანური, საკაცობრიო და საერთო ეროვნული იდეალები, მასობრივი კულტურაში კი ყოველივე მდაბალი და წარმავალი, რაც მხოლოდ მასობრივი ცნობიერებისათვის არის ნიშნული. როგორც ბერდიაევი წერდა: „კულტურის ხალხურობა არასოდეს ნიშნავდა იმას, რომ ხალხის მასების დონე შეესაბამებოდა მათი დაკვეთის შესრულების დონეს. ხალხურობა ხალხის სულის გამოხატულება იყო, გენიოსს კი შეეძლო უკეთ გამოეხატა იგი, ვიდრე მასას. მაგრამ დღეს კულტურისაგან სულ უფრო და უფრო მეტად მოითხოვენ ხალხურობას ხალხის მასების მოთხოვნებსა თუ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს იწვევს კულტურის გადაგვარებას და მას სხვა რანგის ფენომენად აქცევს, რომელსაც სხვა სახელი უნდა ვუწოდოთ“.

ერთი სიტყვით, ბერდიაევის სამართლიანი თვალსაზრისით, ის, რასაც მასობრივი კულტურას უწოდებენ, ნამდვილად არის მასობრივი, მაგრამ არ არის კულტურა, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, არამედ რაღაც სხვა ფენომენი. ვსაუბრობთ რა მასობრივი კულტურაზე, აუცილებელია, განისაზღვროს თავად „მასის“ შინაარსი, თუ რას წარმოადგენს მასობრივი ადამიანი და უმთავრესად ვისთვისაა განკუთვნილი მასობრივი კულტურა.

ხოხე ორტიგა ი გასეტის მიხედვით: **„მასა... ადამიანების ბრბოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ... „ადამიანი-მასა“ ისაა, ვისაც არ შეუძლია როგორც კარგი, ისე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავისი თავი; ვინც თავის თავს აღიქვამს „ისეთად როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას, მას მოსწონს ისეთი იყოს, როგორიცაა ყველა“.**

სწორედ საზოგადოების ასეთი ნევრებისათვის, რომლებიც უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ, იქმნება მასობრივი კულტურა.

გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ პოპულარული კულტურის შექმნის მიზანი მასების კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ეს მოსაზრება სწორი რომ იყოს, მაშინ მასკულტურის შემოქმედებს ხელი უნდა შეეწყოს მასების კულტურული, ზნეობრივი და ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის, მასობრივი ადამიანში ინდივიდუალური, პიროვნული საწყისის წინ წამოწევისა და გააქტიურებისათვის. მათ უნდა ეზრუნათ, ჯოგური ცნობიერებისაგან განეთავისუფლებინათ და ადამიანური სახე დაებრუნებინათ მასისათვის; მაგრამ, სინამდვილეში, დიამეტრულად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე.

მასობრივი კულტურა კლავს პიროვნულ საწყისს ადამიანში და ყოველმხრივ უწყობს ხელს ხალხის მასად ქცევას, რათა ადამიანმა ვერ დააღწიოს თავი მასობრივი ცნობიერებას, ვინაიდან მასაზე ამაღლებული, მყარი პიროვნული ბუნების მქონე ადამიანი უკვე სახიფათოა მმართველი უმცირესობისათვის, ვინაიდან მას გააჩნია კრიტიკული აზროვნების, გადწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ფასეულობათა მყარი სისტემა. სწორედ ამიტომ მასკულტურა ადამიანს აჯაჭვავს დროებითზე, წარმავალზე, იგი უბიძგებს ადამიანს თავი აღიქვას ისე, როგორიცაა ყველა და ნაფოტივით გაჰყვებს დინებას.

მასების იდეოლოგიური მართვის პროცესში სრულიად განსაკუთრებულია მასკულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილის, მასმედიის როლი. განუზომელია ის სულიერი და ფსიქიკური ზიანი, რაც უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მასმედიამ მიაყენა ქართველ საზოგადოებას. ტელევიზია ადამი-

ანის ცხოვრების განუყოფელი მეგზური გახდა. მისი გავლენა საზოგადოებაზე იმდენად მასშტაბურია, რომ, როგორც მკვლევარი მიუთითებს: **„სატელევიზიო გადაცემები აღიქმება როგორც რეალობა, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრება — როგორც ტელემაუნწყებლობის სარკე“** და არა პირიქით, როგორც ეს წესით და რიგით უნდა იყოს.

ცხადია, რომ მასმედიას, თუკი იგი იბრალებს მასებზე ზრუნვას, ნამდვილად შეუძლია განახორციელოს მასების გაადამიანურების პროცესი, მასებს მისაბაძად დაუსახოს ჭეშმარიტად კულტურული და ღირსეული პიროვნებანი, მაგრამ ხდება სრულიად საპირისპირო: მასმედია ამკვიდრებს ცხოვრების მასობრივ წესს, მასებს კი ეტალონად უსახავენ ე. წ. „მოუ-ბიზნესის“ წარმომადგენლებს, რომლებიც მხოლოდ სოციალური სტატუსით განსხვავდებიან მასობრივი ადამიანისაგან, თავისი ცხოვრების წესით, ინტერესებითა და აზროვნებით კი, მასობრივზე მასობრივი ადამიანები არიან.

როდესაც ჩვენს ქვეყანაში მრავალი ეკონომიკური, სოციალური, ეთიკური თუ ეკოლოგიური პრობლემა არსებობს, მასმედიის ინტერესი ვერ სცდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროსტიტუციის ლეგალიზაცია, ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“, ჰომოსექსუალიზმი და ა.შ. ამ თემებზე მსჯელობისას კი ინვევენ არა კომპეტენტურ ადამიანებს, სამედიცინო სფეროს მოღვაწეებს, ფსიქოლოგებსა თუ სოციოლოგებს, არამედ იმავე „ბომონდის“ წარმომადგენლებს, მოქმედსა თუ პერსპექტიულ მეძავეებს, რომლებიც პირდაპირი მოწოდებებით გამოდიან სექსობრივი აღვირახსნილობისადმი. საგულისხმოა ერთი თანამედროვე ქართული ფილმის სახელწოდება: „ჭამა და სექსი“. მავანთა მიზანია, მასის ინტერესთა სფერო სწორედ ამ ორი რამით შემოიფარგლოს, რათა უფრო ადვილად სამართავი გახდეს პირუტყვის დონეზე დასული, ოდენ ხორციელ ინსტინქტებს აყოლილი მასა.

ამ მიზნის მისაღწევად კი უდიდესი როლი აკისრია უზნეო „რეალთი შოუებსა“ და სერიალებს, რომლებითაც გადავსებულია ტელეთერი. სერიალები ამკვიდრებს ცხოვრების არატრადიციულ, სუპერმასობრივ წესს და რაც ყველაზე მთავარია: გადააქვს ადამიანის ინტერესი არსებითიდან არაარსებითზე. მასობრივი ადამიანი ცხოვრობს სერიალის გმირების ცხოვრებით, პირად ცხოვრებაში წარუმატებელი, ხარობს სერიალის გმირთა ბედნიერებით. ბედნიერების სიმულაცია ატყვევებს მას და საკუთარი პრობლემებისა და იმედგაცრუების კომპენსირებას სერიალის მეშვეობით ახდენს. ამ დროს კი ადამიანში მინავლდება საპროტესო მუხტი.

რაც შეეხება მასმედიის მიერ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მეთოდოლოგიას, შენიშნულია, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქმნის ცოდნის ილუზიას მასობრივ ადამიანში, ართმევს მას მოვლენების კრიტიკული ანალიზისა და განხილვის უნარს და რაც ყველაზე საშიშია, მართავს მის ყოველდღიურობას და უგულველჰყოფს მისი არჩევანის თავისუფლებას“.

მართლაც, მასმედია ობიექტურობის ოდენ ილუზიას ქმნის მასობრივ ადამიანში, სინამდვილეში კი დამკვეთი (ჩვენს შემთხვევაში უმთავრესად ხელისუფლება) ყოველთვის ახერხებს კონტექსტის შექმნას, რომლითაც აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას; მასას კი, არ გააჩნია რა კრიტიკული აზროვნების უნარი, ყველაფერს იღებს, როგორც ჭეშმარიტებას.

პოპულარული, მდაბალი კულტურის გავრცელების პარალელურად ხდება სრული იგნორირება ჭეშმარიტი, ეროვნული კულტურისა. მაგ.: როდესაც უდიდესი ქართველი პოეტესა ანა კალანდაძე გარდაიცვალა, ტელევიზიებმა მხოლოდ ერთნუთიანი რეპორტაჟი მიუძღვნეს ამ ფაქტს, მაიკლ ჯექსონს კი ლამის საფლავში ჩაყვნიენ მგლოვიარე ქართველი ჟურნალისტები.

მასკულტურის განუყოფელი ნაწილია სახალხო სანახაობები, განსაკუთრებით კი, საახალწლო კონცერტები, რომელიც ჩვენი ყოფის მარადიული მეგზური გახდა. ასეთი სანახაობების გამართვაზე უდიდესი თანხები იხარჯება. მათი დანიშნულებაა შექმნას ბედნიერების ილუზია მასობრივ ადამიანში, გადაიტანოს მისი ყურადღება არსებითიდან მეათეხარისხოვანზე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს მიზანი შესანიშნავად სრულდება. მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკური ვითარებისა, მასები მაინც თვალებგაბრწყინებულნი მიცუნცულდებიან ამგვარ სანახაობებზე. ზოგჯერ კონცერტების ეიფორია სრულ აბსურდამდეც მიდის. მაგალითად, 2011 წელს გვეპატიჟებოდნენ კონცერტზე, რომელზეც უნდა გვეზეიმა ბიომეტრული საბუთების შემოღება.

ევროამერიკულ სინამდვილეში მასობრივი კულტურის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოებრივ ასპარეზზე მასების განსაკუთრებულ გააქტიურებასთან. ორტეგა ი გასეტი წერდა: **„ძალზე მეეჭვება, რომ ისტორიაში ოდესმე ყოფილიყო ისეთი პერიოდი, როცა ბრბოს შეეძლო ასე აშკარად და შეუფარავად ეკარნახა თავისი ნება საზოგადოებისათვის, როგორც ეს დღეს ხდება“**. მსგავს-

ადვე, ნ. ბერდიაევიც აღნიშნავდა, რომ „მასები მოაზროვნეთაგან და კულტურის შემოქმედთაგან „სოციალური დაკვეთის“ შესრულებას მოითხოვენ“. სწორედ ასეთ ვითარებაში, საზოგადოების ფენებს შორის სოციალური დაძაბულობის მოხსნისათვის და მასების სამართავად შეიქმნა პოპულარული კულტურა.

ქართულ სინამდვილეში კი რადიკალურად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მთელი საუკუნის განმავლობაში, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მასები ყოველთვის უკანა პლანზე, ჩრდილში იდგნენ. ისინი, ფაქტობრივად, არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ კულტურული პროცესების წარმართვაში. ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არსებულა მასების „სოციალური დაკვეთა“. ქართველ მკითხველს, მსმენელს, მაყურებელს ყოველთვის შეეძლო ამაღლებულიყო შემოქმედის დონემდე; მას არასოდეს გამოუთქვამს პროტესტი, რომ ხელოვნება მასობრივი ყოფილიყო.

აქედან გამომდინარე, ხელოვნების გამასობრივება საქართველოში თავად ხელოვანთა და მათ უკან მდგომთა ნებით განხორციელდა, მაგრამ ვინაიდან მასობრივი კულტურის სპეციფიკა ისაა, რომ იგი შესანიშნავად ერგება მასობრივი ადამიანის ინტელექტუალურ თუ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, უცხოური სინამდვილიდან „გადმორგულმა“ მასკულტურამ ქართულ ნიადაგზეც შესანიშნავად გაიხარა, რასაც მოჰყვა ქართველი ხალხის ესთეტიკური გემოვნების გაცამტვერება. მასობრივი კულტურის რეალური დანიშნულება კი, შესანიშნავადაა განმარტებული თავად დასავლელი იდეოლოგების მიერ: **„ჩვენ შევქმენით კულტურა, რომელიც ეფუძნება მასობრივ გართობას და მასობრივ თვითდაკმაყოფილებას... კულტურული სიგნალები გადაიცემა ჰოლივუდისა და „მაკდონალდის“ საშუალებით მთელს მსოფლიოში, და ისინი არღვევენ საზოგადოების საფუძვლებს. ჩვეულებრივი დამპყრობლებისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ვკმაყოფილდებით სხვათა დამორჩილებით; ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენ მოგვბაძონ“** (რ. სტილი).

მასობრივი კულტურის ძირეული თავისებურებაა ტოტალური კომერციალიზაცია. როგორც ცნობილი სოციოლოგი და კულტუროლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, პ. სოროკინი წერდა: **„თანამედროვე ხელოვნება თანდათანობით ხდება საქონელი, უპირველეს ყოვლისა გასაყიდად წარმოებული რელაქციისათვის, მოხმარებისათვის, გართობისა და სიამოვნებისათვის, გადაღლილი ნერვების სტიმულაციისა და სექსუალური აგზნებისათვის... ხელოვნებას თვითონ არ შეუძლია თავიდან აიცილოს ვულგარიზაცია. ნაცვლად იმისა, რომ აღამაღლოს მასები საკუთარ დონემდე, ის, პირიქით, ეშვება მასების დონემდე... იგი სულ უფრო და უფრო სცილდება კულტურულ და მორალურ ფასეულობებს და თანდათან გარდაიქმნება უშინაარსო ხელოვნებად... იგი ამორალური, დესაკრალიზებული, ასოციალური და უფრო სშირად – უზნეო, ანტირელიგიური და ანტისოციალურია“.**

ჩვენს სინამდვილეშიც ხელოვნება ბიზნესის დარგად გადაიქცა, ხელოვანნი კი – ხელოსნებად. ამ გარემოებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შემოქმედებით პროცესებზე. დიდი ხელოვანები თანხმდებოდნენ, რომ შემოქმედება დიდ ტანჯვასთანაა დაკავშირებული. ხელოვანი, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას აუდიტორიის წინაშე, განუწყვეტლივ იღვწის საკუთარი ნაწარმოების სრულყოფისათვის; ყოველივე ეს კი უმძიმესი პროცესია. სწორედ ამიტომ წერდა დოსტოევსკი: **„აი, ჩემს თავს რა ხდებოდა: ვმუშაობდი და ვენამებოდი. თქვენ იცით, რას ნიშნავს შემოქმედება? არა, მადლობა ღმერთს, რომ თქვენ ეს არ იცით.“**

დიდი ქართველი პოეტის თქმითაც, „შემოქმედება თურმე ჯვარცმაა“.

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოუდგება იგივე პროცესი თანამედროვე ქართველ მწერალს. მოგვაქვს ნაწყვეტი აკა მორჩილაძის ინტერვიუდან. შეკითხვაზე: „– როგორ წერთ?“ მორჩილაძე პასუხობს: „რავიცი, მგონი, იოლად, ყოველ შემთხვევაში, თუ დავჯექი, მიერეკება წყალივით... ძალით და ტანჯვით არ მიყვარს“.

როდესაც მწერალი გრძნობს პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე, შემოქმედება უდავოდ დიდ ტანჯვასთანაა დაკავშირებული, ხოლო როცა მწერალს ამა თუ იმ გამომცემლობასთან დადებული აქვს კონტრაქტი, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული რაოდენობის ტექსტი უნდა „ანარმოს“, მაშინ კი უსათუოდ „მიერეკება წყალივით“. რაოდენობაზე ორიენტირებული მწერალი სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს ტექსტის მხატვრულ სრულყოფას, მისთვის მთავარია „სანარმოო გეგმა“ შეასრულოს. ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით წერდა პ. სოროკინი: **„თუკი თანამედროვე ხელოვანს არ სურს შიმშილი, მან არ უნდა შექმნას დროის ახ-**

ირებისა და კაპრიზებისაგან დამოუკიდებელი, მარადიული ფასეულობები. სწორედ ამის გამო იგი აუცილებლად იქცევა საბაზრო ურთიერთობათა მონად, რომელიც თავის საქონელს „ანარმოებს“ მოთხოვნათა საამებლად. ასეთ ატმოსფეროს... მიყვავართ მასობრივი პროდუქციის გარდამავალ „ჭიტებსა“ და დღემოკლე „ბესტსელერებთან“... ხელოვნება იქცევა მხოლოდ დანართად ყავის, წამლის, ბენზინის, სალექი რეზინისა და ყოველივე მსგავსის რეკლამისათვის“.

მასობრივი კულტურის აყვავებამ შედეგად ის მოიტანა, რომ ჩრდილში მოექცა ნამდვილი კულტურა და მასების ისედაც დაბალი ეთიკურ-ესთეტიკური ფასეულობები კიდევ უფრო დამდაბლდა.

III

მწერლობის მოთვინიერების მეთოდები

ნეოლიბერალები არც მალავენ, რომ მათ მიზნად დაისახეს ქართველი ხალხის ცნობიერების გარდაქმნა. 2011 წელს, ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მენტალიტეტის საბოლოოდ შესაცვლელად კიდევ თხუთმეტი-ოცი წელიწადია საჭირო. მენტალური რევოლუციის განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ესთეტიკური ცნობიერების დესტრუქცია, ვინაიდან ადამიანის ესთეტიკური ცნობიერება უმჭიდროეს კავშირშია მის ეთიკურ თუ რელიგიურ ცნობიერებასთან და დიდწილად საზრდოობს კიდევ ეთიკური და რელიგიური წარმოდგენებით. მით უმეტეს, ქართული ლიტერატურა ყოველთვის იყო ეროვნული თვითცნობიერების ერთ-ერთი უმთავრესი საძირკველი. თვით უცხოელთა დაკვირვებითაც: „საქართველოში ფასეულობები... ზნეობრივ-მხატვრულ მახსოვრობაში ძევს“ (გ. გაჩევი, საქართველოს კოსმოსოფია, ჟურნ. „არილი“, 9. III, 1996). აქედან გამომდინარე ნეოლიბერალთა შეტევის ობიექტია ქართული მწერლობაც, ეროვნულ ფასეულობათა საუნჯე.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ნეოლიბერალთა ლაშქრობა „საქართველოს მწერალთა კავშირის“ წინააღმდეგ. ნეოლიბერალურად განწყობილი მწერლები დარაზმულნი არიან „კავკასიური სახლის“ გარშემო. „მწერალთა კავშირის“ კრიტიკოსებს შორის იყვნენ ქართული მწერლობის ნამდვილი გულშემატკივარებიც, რომელთაც გულწრფელად სურდათ ამ ორგანიზაციის სასიკეთო გარდაქმნა, მაგრამ მათ ბევრად სჭარბობდნენ ნეოლიბერალური იდეოლოგიის ერთგული მსახურები. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ვართ იდეალური წარმოდგენის მქონენი მწერალთა კავშირის იმდროინდელ მუშაობაზე; უდავოა, რომ ეს ორგანიზაცია ხშირად იყო პოლიტიკური მანიპულაციების იარაღი; არც იმაზე შეიძლება კამათი, რომ თუ ამ დაწესებულებას სურს რაიმე პოზიტიური როლის შესრულება ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მაშინ იგი ფუნდამენტურ გარდაქმნას საჭიროებს; მიუხედავად ამისა ფაქტია, რომ „მწერალთა კავშირი“, იმ დროისათვის, ინარჩუნებდა ქართული ლიტერატურის დანიშნულების ტრადიციულ გაგებას, რაც დამკვიდრებული იყო საუკუნეთა განმავლობაში. შეტევა „მწერალთა კავშირზე“ კი ირიბად სწორედ მწერლობის ტრადიციულ გაგებაზე და თანამედროვე მწერლობის იმ კლასიკოსებზე თავდასხმას წარმოადგენდა, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მართებულად წერდა ო. ჭილაძე: „ჩვენს თვალწინ ინგრევა თავად ცნება მწერლობისა, როგორც ხალხის სულიერი და ზნეობრივი მთლიანობისა. ისევ ჩემი ვარაუდით, ვილაცას ძალიან უშლის ხელს თავად ქართული მწერლობა, როგორც უაღრესად ეროვნული ფენომენი, და არა, ვთქვათ, ხუთასწევრიანი მწერალთა კავშირი“.

„კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემულ ჟურნალ „აფრაში“ იბეჭდება „მწერალთა კავშირის“ წინააღმდეგ მიმართული წერილი, სახელწოდებით: „სადიზმის პოსტსაბჭოთა დიდოსტატებს!“ აქვე ჩამოთვლილნი არიან სადიზმის პოსტსაბჭოთა დიდოსტატებიც: ანა კალანდაძე, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ტარიელ ჭანტურია, ემზარ კვიციანი, გივი გეგეჭკორი, გურამ დოჩანაშვილი და სხვ. წერილში ამ შემოქმედთა მოქალაქეობრივ უპრინციპობაზეა საუბარი. იმავე ჟურნალში წაანყდებით ასეთ განცხადებასაც: „კომუნიზმის მეხოტბენი მკითხველს აღარ სჭირდება“. სამაგიეროდ ახალ დროს ესაჭიროება სასქესო ორგანოთა მეხოტბენი, რომელთაც უხვად შემოიკრებს კიდევ ირგვლივ „კავკასიური სახლი“.

„მწერალთა კავშირზე“ განხორციელებული თავდასხმების მიზანი მწერლობის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის მოღვაწეობის, დესაკრალიზაცია გახლდათ. სახელგატეხილი მწერლები აღარ უნდა

ყოფილიყვნენ ავტორიტეტები საზოგადოებისათვის, მწერლობა კი უნდა გადაქცეულიყო ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ პროფესიად, შემოსავლის მიღების უბრალო წყაროდ.

ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „მწერალთა კავშირი“ თმობს წამყვან პოზიციებს და მის ადგილს სწორედ ნეოლიბერალურად განწყობილი მწერლები იკავებენ, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ „ყოვლად გაუგებარ, ოდიოზურ სოციალისტურ რეალიზმს ჩაენაცვლა ყოვლად გაუგებარი, ოდიოზური ლიბერალური რეალიზმი, ისევე ნაკურთხი მთავრობისაგან, როგორც თავის დროზე კომუნისტური ლიტერატურა. და შესაბამისად, სამწერლო მდინარეებში სოციალისტური ავანგარდის ნაცვლად გაჩნდა ლიბერალური ავანგარდი, როგორც მანკიერებათა სერიის გვირგვინი“.

ნეოლიბერალური მთავრობა მფარველობს და პროპაგანდას უწევს პოსტმწერლებსა და პოსტპოეტებს. მათი შემოქმედება უცხოურადაც ითარმნება. 2011 წელს კულტურის სამინისტროს ინიციატივით გამოიცა ქართულ-გერმანული ბილინგვური კრებული „თანამედროვე ქართული პროზა“, რომლის ავტორთა ჩამონათვალში არიან: ლ. ბულაძე, ა. მორჩილაძე, ზ. ბურჭულაძე, ბ. ხვედელიძე და სხვ. 2012 წელს კი ამავე კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით დაიბეჭდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგია უკვე ინგლისურ ენაზე. კრებულში კვლავ წარმოდგენილი არიან: დ. ქართველიშვილი, თ. დოლენჯაშვილი, ლ. ბულაძე, ზ. ბურჭულაძე და სხვ.

2011 წელს კულტურის სამინისტროს ინიციატივით რუსულ და პოლონურ ენებზე ითარგმნა ზ. ბურჭულაძის რომანი „ადიბას“. საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მის ფულს კულტურის სამინისტრო ბურჭულაძის პორნოგრაფიული ტექსტის უცხოურად თარგმნაში ხარჯავს.

ბურჭულაძის პროზის თაყვანისმცემელი კი მისი შემოქმედების მაღალი ფასეულობის აღსანიშნავად სიამაყით განაცხადებენ, რომ მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ამის პასუხად შეიძლება ითქვას ის, რომ სოციალისტური რეალიზმის „კლასიკოსებსაც“ უხვად თარგმნიდა იმდროინდელი კულტურის სამინისტრო უცხოურად, თუმცა დღეს მათი სახელები აღარავის ახსოვს.

ძალიან სამწუხაროა, რომ კულტურის სამინისტროს ამგვარად ესმის ქართული კულტურის პოპულარიზაცია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ უცხოელ მკითხველს მიანოდოს არა ისეთი ტიპის ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთაც თავზე საყრელად აქვთ, არამედ რაღაც ახალი, განსხვავებული, ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი, მწერლობა, რომელიც ყველაზე უკეთ ავლენს ერის სახეს, მის ფასეულობებს. მაგრამ ხომ უნდა დავუმტკიცოთ დასავლეთს, რომ გარყვნილებაში არც ჩვენ ჩამოვრჩებით და ჩვენი საწყალობელი მიმდინარე ლიტერატურული პროცესიც დასავლური კულტურის ნაწილია! რა მოხდებოდა, რომ უახლესი ლიტერატურის ის კლასიკა ეთარგმნათ, რომელიც სულიერ საზრდოს მისცემდა მკითხველს, ამ გაუხეშებულ, ტექნიცისტურ ეპოქაში დააფიქრებდა მას მარადიულ ფასეულობებზე?

ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, თანამემამულეთაგან დაუფასებელი, ტრაგიკული ბედის მქონე დიდი შემოქმედი, ადამიანური სიყვარულისა და სიკეთის მქადაგებელი, გოდერძი ჩოხელი გვახსენდება. მისი ორგვერდიანი მოთხრობა „თეთრჩოხიანი და შავჩოხიანები“ გადასწონის თანამედროვე პოსტმწერლების მთელს შემოქმედებას! მიუხედავად ამისა, კულტურის სამინისტროს ურჩევნია უელბეკის, ბეგბედერისა და პალანიკის უნიჭო ქართველი მიმბაძველებით გააცნოს ქართული ლიტერატურა უცხოელ მკითხველს.

თუ კომუნისტები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ მწერლობის მოთვინიერებას, ნეოლიბერალებმა წახალისებითა და მოთაფვლით დაიწყეს იმავეს განხორციელება. საქართველოში არსებობს მგზნებარე ლიბერალური გამოცემები, ჟურნალები: „ტაბულა“, „ლიბერალი“ და „ცხელი შოკოლადი“. ამ ჟურნალების ავტორთა ჩამონათვალში შეხვდებით თანამედროვე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისეთ კორიფეებს, როგორებიც არიან: შ. იათაშვილი, ლ. ბულაძე, პ. შამუგია, ზ. ბურჭულაძე, ა. მორჩილაძე, ა. კორძია-სამადაშვილი, გ. კეკელიძე, მ. ხარბედია და სხვ. გავითვალისწინებთ რა იმ გარემოებასაც, რომ მაგ.: ჟურნალი „ტაბულას“ რედაქტორის თვიური ხელფასი 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარია, თავიანთი ჯამაგირით უკმაყოფილონი არც ასეთ გამოცემებში დასაქმებული თანამედროვე მწერლები იქნებიან. ამ მგზნებარე ლიბერალურ გამოცემათაგან „ტაბულასა“ და „ცხელ შოკოლადს“ აქვთ ლიტერატურული დამატებები, რომლებშიც უხვად იბეჭდება ნეოლიბერალური რეალიზმის წარმომადგენელთა შემოქმედება. დეისაძის „...სირობა“ პირველად სწორედ „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურულ დამატებაში გამოქვეყნდა.

არაიშვიათად ცნობილი ნეოლიბერალი პოლიტიკოსები და ექსპერტები კრიტიკოსის კალამსაც ჰკიდებენ ხელს და ხოტბას ასხამენ თავიანთ ფავორიტებს. ზ. ბურჭულაძის შემოქმედებას ეხმაურებიან: ლ. ბერძენიშვილი, გ. ზედანია, ე. ჯგერენია, ნ. ლადარია და სხვ.

ახალი ლიბერალები არც ჯილდოებს იშურებენ. ნეოლიბერალთა მექამ, ე.წ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წლის საუკეთესო რომანისათვის 10 000 ლარიანი პრემიით დააჯილდოვა ზ. ბურჭულაძე. მისი წიგნის პრეზენტაცია ამავე დანესებულებაში შედგა და მისასალმებელი სიტყვით თვით რექტორი, გ. თევზაძეც გამოვიდა. არ გაგიკვირდეთ, რომ სულ მალე ბურჭულაძე ნობელის პრემიაზე წარადგინონ. უფრო მეტიც, ისიც არ გაგიკვირდეთ, ბურჭულაძემ ნობელის პრემია რომ აიღოს კიდევ!

ამავე უნივერსიტეტში გაიმართა ე. დეისაძის „საიდუმლო სირობის“ პრეზენტაცია. კარგად გვახსოვს ამ წიგნის მხატვრული ღირსებებით აღფრთოვანებული, რესპუბლიკური პარტიის წევრის, დ. ზურაბიშვილის გაბრწყინებული სახეც.

ერთი სიტყვით, ნეოლიბერალები სრულიად აშკარად უჭერენ მხარს ახალ ხელოვნებას და პოპულარიზაციას უწევენ ანტიმწერლებს.

მწერლობის მოთვინიერების პროცესში თავისი როლი აკისრიათ: გამომცემლობებს, ლიტერატურულ პერიოდიკას, ლიტერატურულ კრიტიკას, ლიტერატურულ კონკურსებსა და ტელევიზიას.

1) გამომცემლობები.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ანტიხელოვნების დამკვიდრების პროცესში სრულიად განსაკუთრებულია „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ღვაწლი. ეს გამომცემლობა მწერლებად ასაღებს შემოქმედებით ნიჭთან მწყრალად მყოფ არაერთ ავტორს და გონებას უბნევს მკითხველებს. საკმარისია ვინმემ ეპატაჟური, სამშობლოსა და ეკლესიის სიძულვილით აღსავსე ტექსტი დაჯღაბნოს, რომ სულაკაური მზადაა სასწრაფოდ გამოსცეს იგი. დეისაძის „...სირობა“ სწორედ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა და თან ისეთი ანოტაცია წაანერა წიგნს, რომ შეუძლებელია, გული არ აგიჩუყდეს: **„ეს პროვოკაციული წიგნი პრობლემატიკით ქართული სივრცის კუთვნილებაა, არსით კი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს ეხმიანება – თხრობის ორიგინალურობით, მეტატექსტური თამაშებითა და ირონიული ტოპებით, ეპატაჟით გაჯერებული „საიდუმლო სირობა“ ნამდვილ პოსტმოდერნულ კრებულად შეიძლება ჩაითვალოს“.**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის მაგისტრანტებს ვთავაზობთ სამაგისტრო დისერტაციის თემას: „ე. დეისაძის „საიდუმლო სირობა“ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში“.

ვინმე მართლა ნიჭიერ ახალგაზრდას რომ მიეტანა ფასეული ნაწარმოები სულაკაურის გამომცემლობაში, თავზე გადაახვედნენ. ეპატაჟური, სიძულვილით აღვსილი წიგნაკი კი სასწრაფოდ დაბეჭდეს.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ არის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კურიოზული კრებულის, „წლის 15 საუკეთესო ქართული მოთხრობის“, ავტორი. ამ კრებულში წარმოდგენილი ტექსტების უდიდესი უმრავლესობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს!

კრებულის შემდგენლები გვარწმუნებენ: „თუ გსურთ თვალი მიადევნოთ თანამედროვე ქართულ პროზას, „15 საუკეთესო“ იდეალური მეგზურია“.

ეს განცხადება დაზუსტებას საჭიროებს. უნდა ეწეროს: „თუ გსურთ თვალი მიადევნოთ თანამედროვე ქართული პროზის იმ შენაკადს, რომლისთვისაც ნიშნულია ეროვნული და რელიგიური ნიჰილიზმი, სისაძაგლის კულტი, ბილწსიტყვაობადა მხატვრული აზროვნების სიმწირე, მაშინ „15 საუკეთესო“ 2012 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამ წლის „15 საუკეთესოში“ მოხვდა სამი გულისამრევი მოთხრობა: ზ. ლეჟავას „სამანტას შეუსაბამო პოზა (რომელიც პირველ ადგილზე გავიდა წარმოდგენილ ავტორებს შორის), რომელშიც აღწერილია მამათმავლების სქესობრივი აღვირახსნილობა, ნ. თარხნიშვილის „ლიოკი, ფლიოკი და იოკი“, „მონოდებით მეძავის“ შესახებ დაწერილი ნაწარმოები და ზ. კოშკაძის „მე ბებია, დიდი ბებია და უცხოპლანეტელები“, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ამყარებს პერსონაჟი გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივ კავშირს საკუთარ დიდ ბებიასთან.

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ლიტერატურის ისტორია ყველას აუცილებლად მიუზღავს საკადრის პასუხს ანტიხელოვნების პროპაგანდით ნამდვილი ლიტერატურის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის.

გამომცემლობა „დია“ გამოსცა ექვსტომეული – მსოფლიო ლიტერატურა – რჩეული მოთხრობები, რომელშიც წარმოდგენილი არიან მსოფლიო ლიტერატურის ბუმბერაზები: გოეთე, ბალზაკი, გოგოლი, ჰიუგო, დოსტოევი, ჩეხოვი, ჰემინგუეი და ა.შ.

მეექვსე ტომი (თბ., 2008) ქართველ ავტორებს დაეთმო. კრებულში ვერ მოხვდნენ: ილია ჭავჭავაძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი. სამაგიეროდ ყელი მოიღერეს: ზაალ სამადაშვილ-მა, აკა მორჩილაძემ, ლაშა ბულაძემ, ზაზა ბურჭულაძემ და სხვებმა. ახლა ზოგიერთი გონებაშეზღუდული ნეოლიბერალი იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწერები დროს გაჰყვა. ასეთ სისულელესთან კამათს არ ვაპირებთ. როდესაც ქართულ ლიტერატურაში არსებობს ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, რომელიც დაამშვენებდა მსოფლიო კლასიკური მწერლობის ნებისმიერ ანთოლოგიას, მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „ემმაკის ქვა“, მხატვრული ფსიქოლოგიზმის უბადლო ნიმუში, კ. გამსახურდიას „ზარები გრიგალში“ და მიუხედავად ამისა, კრებულში ბულაძეს და ბურჭულაძეს ჩაჩურთავ, რა შეიძლება ასეთ საქციელს ეწოდოს? ალბათ, სიტყვა „უზნეობა“ ოდნავადაც ვერ გამოხატავს კრებულის შემდგენელთა ქმედების არსს.

თვით ამ კრებულში წარმოდგენილ თანამედროვე ავტორებს მაინც როგორ არ ეუხერხულათ, რომ ისინი მოხვდნენ აღნიშნულ წიგნში და ქართული მწერლობის კლასიკოსები კი – ვერა. მათ ადგილზე, ზნეობრივი ადამიანი უარს იტყოდა საკუთარი ნაწარმოების ასეთ კრებულში შეტანაზე, მაგრამ რა ზნეობრივი მაგალითი უნდა მოთხოვო მათ, როდესაც ამ ავტორებს მართლა მწერლები ჰგონიათ საკუთარი თავი...

გამომცემლობამ „ლინკ“ გამოსცა ჰოლანდიელი მწერლის არნონ გრუნბერგის რომანი „სტატისტიკები“, თითქოს ჩვენთან საკმარისად არ იყვნენ მწერალი-გენიტალისტები. ნაწარმოებში შამპანურით ხელში ასეთ სადღეგრძელოს სვამენ: **„მოდი, გაუმარჯოს სპერმას თმაში, ისე მაგრად რომ ჩაჯდება, რომ სამჯერ უნდა დაიბანო! მოდი, გაუმარჯოს სპერმას ნაწლავებში, შიგნეულს წინაკასავით რომ დაგიოთქავს! მოდი, გაუმარჯოს სპერმას თვალეებში, შამპანივით რომ დაგწვავს! მოდი, მთელი მსოფლიოს სპერმას გაუმარჯოს!“**

სხვაგან პერსონაჟი მოგვითხრობს: **„სასტუმროს ოთახში ვიკეტებოდი და ველურ, ცხოველ ღამეებს ვატარებდი მარტო. აბაზანაშიც საკუთარ სხეულს ვეფერებოდი, ექსპერიმენტის სახით გადავწყვიტე, ყოველღამე წყლის ქვეშ გამეთავებინა. ზოგჯერ დილაობით სპერმის სუნი ამდიოდა თითებზე, მაგრამ ვინაიდან ჩემს თითებს ჩემ გარდა სხვა არავინ ყნოსავდა, პრობლემას ვერ ვხედავდი. ერთხელ ერთ აბიტურიენტს ვკითხე მასტრინხტის თეატრალური სასწავლებლის სასადილოში: – ერთი-ორი კვირაა უკვე შავი სპერმა მაქვს. კუპრივით შავი გამოდის. რას ფიქრობ, ექიმს ხომ არ ვეჩვენო? ვალიარებ, არც ისე სასაცილო ხუმრობა იყო, მაგრამ ხომ ვცაადე მაინც მესუმრა?“** პერსონაჟი არ ცხრება: **„ასოზე წყლულები მაქვს. სულ სამი წყლულია. რა აღარ სცადეს ექიმებმა. ბოლოს რაღაც მალამო გამომინერეს და მეც ყოველ დილას ასოს ვიზელ“.**

ასეთი ტექსტების თარგმნაც სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა დღეს. გამომცემლობები კომერციული და იდეოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე პოპულარიზაციის უწევენ ანტიხელოვნებას.

2) ლიტერატურული პერიოდიკა.

პერიოდული ლიტერატურული გამოცემები მრავლად მოგვეპოვება. დღეს ლიტერატურული ჟურნალის გამოსაცემად სრულიადაც არაა საჭირო პროფესიონალიზმი და ლიტერატურული გემოვნება, მთავარია დაფინანსება. თუ ადრე ლიტერატურული გამოცემების სარედაქციო კოლეგიაში უახლესი ლიტერატურის კლასიკოსები იყვნენ (იხ. ძველი „ცისკარი“, „მნათობი“), დღეს ყველა საეჭვო განათლებისა და გემოვნების ადამიანი რედაქტორი გახდა. უმთავრესად იბეჭდება ზერელე, მხატვრულად უვარგისი ტექსტები. ამიტომაც არაპროფესიონალთა ხელში ჩავარდნილმა ლიტერატურულმა პერიოდიკამ თავისი როლი შეასრულა მწერლობის მოთვინიერების, მკითხველის ესთეტიკური გემოვნების დაცემის საქმეში.

3) ლიტერატურული კრიტიკა.

თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის უსუსური მდგომარეობა ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი. ლიტერატურული სივრცე ნალეკა სადღეგრძელოების მსგავსმა ტექსტებმა, სანთლითაა საძებარი ისეთი ნაშრომები, რომლებშიც ნაწარმოებთა უარყოფით მხარეზე იქნება საუბარი, თითქოს მხოლოდ კარგი წიგნები იწერებოდეს. თუ ვინმე თხზულებათა ნაკლზე გაამახვილებს ყურადღებას, უკვე ეჭვის თვალთ უცქერენ, რომ ვინმეს დავალებით წერს წერილს.

ნეოლიბერალურ მწერლობას მოეპოვება ნეოლიბერალური კრიტიკა. საკმარისია, რომ რომელიმე ამ

ტიპის ავტორმა ახალი ტექსტი გამოსცეს, რომ მაშინვე დაინერება სახობო რეცენზიები ხელის კრიტიკოსების მიერ. ლიტერატურული კრიტიკაც დაკავებულია ზერელე მწერლობის პოპულარიზაციით.

4) ლიტერატურული კონკურსები და პრემიები.

ლიტერატურული კონკურსებიდან და პრემიებიდან მხოლოდ ორ მათგანზე: „P-en-maraTon“-ზე და „საბაზე“ შევაჩერებთ ყურადღებას.

„Pen-maraToni“ გარკვეულწილად ექსპერიმენტული კონკურსი გახლდათ. მონაწილეებს სთავაზობდნენ ერთგვარ დავალებას, რომელიც მათ უნდა შეესრულებინათ. დიდ მხატვრულ შედეგებს კონკურსისაგან არც არავინ ელოდა, თუნდაც იმის გამო, რომ მართონი და დოლი ნაკლებად შეეფერება ისეთ საქმიანობას, როგორც მხატვრული შემოქმედებაა. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორების, ჟიურის საქმიანობასა და მონაწილეთა უნიჭობას საგანგებო წიგნი მიუძღვნა მწერალმა და კრიტიკოსმა ჯემალ მეხრიშვილმა.

ირკვევა, რომ ჟიური საფუძვლიანად არ კითხულობდა კონკურსანტების ნაწარმოებებს. ყოვლად შეუძლებელია ერთ დღეში 86 ნაწარმოების ნორმალურად წაკითხვა, არათუ მხატვრული გააზრება და შეფასება. ჟიურის წევრებიცა და კონკურსანტებიც, ალბათ, უფრო ბანკეტისათვის მიდიოდნენ კონკურსზე.

კონკურსანტთა დაბალ პროფესიონალიზმზე ჯ. მეხრიშვილიც შესანიშნავად მსჯელობს, მაგრამ მაინც მოვიტანთ რამდენიმე ფრაზას 2007 წლის პრიზიორთა ნაწერებიდან, რათა ცხადად გამოჩნდეს მათი აზროვნების დონე (ციტატები მოგვაქვს ჯ. მეხრიშვილის წიგნიდან).

ჯანო ჯიქიძე, მეორე პრემიის ლაურეატი: **„ერთმა ცხენმა დაიფრუტუნა შემთხვევით“** (გვ. 104).

„სულ დაავინყდა, რომ ორმოში იმყოფებოდა ფსკერზე“ (იქვე).

ჯერ ერთი, როგორც ჯ. მეხრიშვილი შენიშნავს, ცხენის დაფრუტუნება ყოველთვის შემთხვევითია და „ამიერკავკასიის ცხენთა ფედერაციის პარტყრილობის დადგენილება“ არ სჭირდება. მეორეც, ადამიანი ორმოში უსათუოდ ფსკერზე იქნება, აბა ჰაერში ხომ არ გამოეკიდება?

თეა თოფურია, პრიზი „დინამიკური ვიზუალური სახეებისათვის“: **„ავტოსტრადაზე ისარივით მიქროდა ახალთახალი „მერსედესი“, რომელსაც ოთხივე საბურავი ჰქონდა“** (გვ. 133).

„მღვდლად ნაწილობრივ იმიტომ წავიდა, რომ ცოლის მოყვანა არ უნდოდა“ (გვ. 139).

„ადმირალს ხასიათი ცოტა უხეში ჰქონდა, შვილები კი გადასარევი ჰყავდა“ (იქვე).

ბექა კოკაია, ფინალისტი: **„ტყეში იყო ვითომ სანადიროდ... სდია კაცმა შველს... და უცებ ძირსწაქცეული ქალი შენიშნა“** (გვ. 161).

ნინო გუგუშვილი, მესამე პრემიის ლაურეატი: **„ყანა და ხართან ერთად უნდა მოხნას“, „ყანის მოხვნა არც შენ შეგიძლია უჩემოდ“** (გვ. 123).

გამარჯვებულის ელემენტარული უვიცობით გაოგნებული კრიტიკოსი კითხულობს: „ყანას ვინ გიჟი მოხნავს?! თავისი ჯალაბისა და ტანჯული ქვეყნის მარჩენალი ყანა მოეხნა კი არა, ქართველი გლეხი უხსოვარი დროიდან დღემდე სულ შიშნარევი ვედრებითა და პირჯვრისწერით შეჰყურებდა და შეჰყურებს ცას, უფალმა სეტყვის ღრუბელი რომ არ მოუვლინოს“.

ციტირებას კი თეონა დოლენჯაშვილის „გენიალური“ შედარებით დავასრულებთ: **„ოცნება სისულელეა და ძილში ნანახი სიზმარივით იშვიათად ხდება“** (გვ. 152). ეს მართლაც უნიკალური შედარება ლიტერატურულ კურიოზებში ალბათ პირველ ადგილს დაიკავებს.

ჟიურის წევრებმა კი, ისე რომ დიდად არც შეუწუხებიათ თავი ნაწარმოებთა წაკითხვით, ასეთი კურიოზული ესთეტიკური ხედვის კონკურსანტებს ჩამოურიგეს საპრიზო ადგილები.

ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიად დღეს „საბა“ მიჩნეული. ეს პრემია მხოლოდ ერთი კატეგორიის შემოქმედებზე გაიცემა. პრიზიორები არიან სულ ერთი და იგივე პირები: ა. მორჩილაძე, ლ. ბუღაძე, ბ. ხვედელიძე, თ. დოლენჯაშვილი, გ. მეგრელიშვილი, ბ. ჯანიკაშვილი, რ. ამალლობელი და სხვ. ერთი სიტყვით, პრემია „საბა“ „ლიბერალური ელიტისთვისაა“ განკუთვნილი და განსხვავებულიებისათვის აქ ადგილი არაა. ამ ლიტერატურული ჯილდოს არაერთი ინდივიდუალური თუ ჯგუფური აფიორის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ნ. დარბაისელის პუბლიკაციები.

როგორც ირკვევა, ჟიურის ზოგიერთი წევრი საერთოდ არ იწუხებს თავს კონკურსანტების ნაწარმოებთა კითხვით. რატი ამალლობელმა, რომელიც ჟიურის წევრი გახლდათ, პრიზიორის, გ. მეგრელიშვილის, წიგნის სათაური მოიხსენია, როგორც „მრავალჯერადი ბილეთები“. ვისაც წიგნის სათაურად გამოტანილი მოთხრობა წაკითხული აქვს, მოთხრობის სიუჟეტიდან გამომდინარე, „ბოთლები“ „ბილეთებში“ არ აერევა. მისი შეცდომა ჟიურის არც ერთ წევრს არ შეუნიშნავს.

როდესაც ერთ ავტორს მიუმართავს ა. კორძია-სამადაშვილისათვის, (რომელიც ჟიურის წევრი იყო), თუ რატომ არ მოხვდა მისი წიგნი „შორთ ლისთში“, კორძია-სამადაშვილს უპასუხია, რომ ვერ ასწრებს ყველა კონკურსანტის ნაწარმოების წაკითხვას და დახმარებისათვის მამამისს მიმართავს ხოლმე, აღნიშნული წიგნი კი სწორედ მამას დაუწუნებია.

ჟიურის წევრ მერაბ ლალანიძეს კი ერთხელ უბრძანებია: რა საჭიროა წავიკითხოთ ბესო ხვედელიძის „ძალღური ცხოვრება“. მაგან შარშან ხომ მიიღო „საბა“... მოდი, წელს ნუგზარ შატაიძე დავაჯილდოვოთ, ნათესავის წლისთავი აქვს გადასახდელი და ფული სჭირდებაო.

უმნიშარი მწერლები, უზერელესი ნაწარმოებების ავტორები რომ გეყოლება ჟიურის წევრებად, სხვას არც არაფერს უნდა ელოდო. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი ერთ წელს ჟიურის წევრია, მეორე წელს კი – პრემიის მფლობელი. რ. ამაღლობელი, ბ. ხვედელიძე, დ. ანფიმიადი, ა. კორძია-სამადაშვილი და სხვ. ჟიურის წევრებიც გახლდნენ და პრიზიორებიც. ახალი „ლიბერალური ელიტის“ წარმომადგენლები მორიგეობით აჯილდოებენ ერთმანეთს და ამ მასკარადს ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიად ასაღებენ.

2012 წელს, ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ჟანრში, პრემია „საბა“ რომელი ნაშრომისათვის უნდა მიენიჭებინათ, თუ არა ყოველივე ქართულის პათოლოგიურად მოძულე გ. მაისურაძის პასკვილების კრებულისათვის: „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 2011).

მაისურაძე იმ ავტორთაგანია, რომელიც გამუდმებით ესხმის თავს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას და ქართველ „ფუნდამენტალისტებს“. მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოდგენაც არ აქვს მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმეტყველებაზე, იგი ყოველმცოდნეს პოზიციიდან აკრიტიკებს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ქართულ ნაციონალიზმს. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ავტორის მხოლოდ რამდენიმე აბსურდულ განცხადებაზე შევჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

საუბრობს რა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის მომხდარ სქიზმაზე, მაისურაძე დაასკვნის: „ბიზანტიის იმპერატორის... აღზევებამ (და არა საბაბად გამოყენებულმა სულიწმინდის ძისაგან გამოსვლისა თუ არგამოსვლის დოგმატზე პოლემიკამ) გამოიწვია XI საუკუნეში ეკლესიის სქიზმა და „მართლმადიდებლობისა“ და „კათოლიციზმის“ გამჯვნა.“

რა ტყუილად იმტვრევდნენ თავს ლათინი და მართლმადიდებელი თეოლოგები და რელიგიის ისტორიკოსები საუკუნეთა განმავლობაში სქიზმის საღვთისმეტყველო მიზეზების შესწავლაზე! აგერ, XXI საუკუნეში მაისურაძემ უცებ აღმოაჩინა, რომ თურმე ყველაფერში დამნაშავე ბიზანტიის იმპერატორი ყოფილა! რომ არაფერი ვთქვათ ავტორის უფიცობაზე ეკლესიოლოგიის სფეროში, საგანგებო აღნიშვნას ერთი გარემოება საჭიროებს. ოღონდ რომის პაპი არ გამოიყვანოს დამნაშავე და ყველაფერს „ბნელი“ მართლმადიდებლების იმპერატორს აბრალებს ავტორი. ყოველგვარ მიკერძოებასაც გააჩნია საზღვარი.

მაისურაძე განაგრძობს: **„დავით აღმაშენებელი პირველი ქართველი მეფეა, რომელიც უარს ამბობს ბიზანტიურ ტიტულებზე და ამით არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკლესიურადაც კი ემიჯნება იმპერიას“.**

კვლავ სახეზეა მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის ელემენტარული უცოდინრობა. რა თქმა უნდა საქართველოს ეკლესია არ გამიჯვნია ბიზანტიის ეკლესიას, ვინაიდან ქრისტიანული ეკლესია ერთიანია ონტოლოგიურად, არსებობს „ერთი წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“ და არა ცალკეული ნაციონალური ეკლესიები.

საუბრობს რა ქართულ რელიგიურ ნაციონალიზმზე, მაისურაძე კაჭკაჭივით იმეორებს საქმეში ჩაუხედავთა მიერ ერთ დროს გამოთქმულ აბსოლუტურ სისულელეს: „თამარის ანონიმი ისტორიკოსი... რომელიც, სავარაუდოდ სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო, თამარს სამების მეოთხე წევრად და მასზე აღმატებულადაც კი მოიხსენიებს: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების თამარ, მისწორებული და აღმატებული“... თუკი საეკლესიო დოგმატიკით ამგვარი წარმოდგენა მწვალებლურია, მის მართებულობას სწორედ პოლიტიკური თეოლოგია განსაზღვრავს“.

კვლავ სახეზეა მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სრული უცოდინრობა. თამარის ისტორიკოსის განცხადება არავითარი მწვალებლური შინაარსის შემცველი რომ არ არის, ეს საგანგებოდაა გამოკვლეული სპეციალურ ლიტერატურაში.

ერთი სიტყვით, მაისურაძის წიგნი სავსეა უმეცარი და ქართველოფობიური გამოსტომებით, მიუხედავად ამისა „საბას“ ჟიურიმ მას მიაკუთვნა პრემია, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ ლიტერატურული ჯილდოს იდეოლოგიურ მიზანდასახულობას.

ლიტერატურული კონკურსები სრულიად ობიექტური ვერასოდეს იქნება, ვინაიდან ზედმინვენით

ობიექტურობაზე ესთეტიკის სფეროში შეუძლებელია საუბარი იყოს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც სურვილია ამ კონკურსების შედეგებისაგვარად ობიექტურად ჩატარებისა.

5) ტელევიზია.

ტელევიზია განუწყვეტლივ აპიარებს ერთი კატეგორიის შემოქმედებს. შეიქმნა „ტელემწერლის“ უნიკალური სახე (რ. ჩხეიძე). საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა შესანიშნავად იცის, რომ მაგ.: ლამა ბულაძე და დათო ტურაშვილი მწერლები არიან, ისე, რომ ერთი პნკარიც არ აქვთ ნაკითხული მათი შემოქმედებიდან.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 35 წუთიანი ფილმი მიუძღვნა ზ. ბურჭულაძეს, რომელიც თითქმის გენიოსადაა გამოცხადებული ჟურნალისტის მიერ. იგივე ბურჭულაძე არაერთი სატელევიზიო გადაცემის ხშირი სტუმარია. მასმედია ყოველი საშუალებით ცდილობს გააპიაროს მისი სკანდალური საქციელი, თუმცა ხანდახან მარცხიც მოსდით ასეთ შემთხვევაში. 2011 წელს ბურჭულაძემ ერთ-ერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე განაცხადა: „ქურდებს – სიცოცხლე, ბოზებს – სიკვდილი“. ტელევიზიამ სასწრაფოდ ატეხა აჟიოტაჟი, თუმცა ამ ზედიოტურ პროვოკაციას არავინ წამოეგო გარდა... საქართველოს პრეზიდენტისა.

ამავე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოზარდებისათვის განკუთვნილი გადაცემა დაუთმო ე. დე-ისაძის „საიდუმლო სირობის“ პრეზენტაციას. იგივე დეისაძე ფაქტობრივად ყველა თოქ-შოუსა და გადაცემაში მიიწვია არაერთმა ტელევიზიამ. იმის მაგიერ რომ ტელევიზიები მართლა ნიჭიერი, ზნეობრივი ახალგაზრდებით დაინტერესდნენ და ისინი გააცნონ პუბლიკას, უზნეო, უტიფარ ახალგაზრდებსა და ანტიკულტურას უწევენ პოპულარიზაციას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გამომცემლობები, ლიტერატურული პერიოდიკა, ლიტარატურული კრიტიკა, ლიტერატურული კონკურსები და ტელევიზია აპიარებს ერთი კატეგორიის შემოქმედებს. შედეგად კი შეიქმნა ჩაკეტილი წრე. თუ ვინმეს სურს, რომ პოპულარული გახდეს, უნდა დაემსგავსოს სხვებს, დაიწყოს წერა სასქესო ორგანოებზე, მიმართოს ეროვნულ და რელიგიურ სატირას. ამ შემთხვევაში ტელევიზიაც დაინტერესდება, გამომცემლობებიც და ლიტერატურული პერიოდიკაც.

სწორედ ამ ჩაკეტილი წრის გამო წერის სურვილი დააკარგინეს ბევრ მართლაც ნიჭიერ შემოქმედს, რომლებიც არ წავიდნენ საკუთარი სინდისის წინააღმდეგ. ზერელე მწერლობის პროპაგანდას უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია. კლასიკურ ესთეტიკაში უდავო ჭეშმარიტებააა მიჩნეული, რომ ესთეტიკური გემოვნება აღზრდას საჭიროებს, რომ „მშვენიერის დასაფასებლად საჭიროა განვითარებული გონი; ადამიანს, ისე, როგორც ის არსებობს, მოუმზადებლად და განუვითარებლად, მშვენიერის შესახებ არავითარი მსჯელობა არ გააჩნია“. თანამედროვე პოსტმოდერნული ეპოქა კი სამწუხაროდ ეჭვის თვალით უცქერს ყოველგვარ აღმზრდელობით საქმიანობას. ესთეტიკური სუბიექტი ყოველ ახალ ნაწარმოებს იმის მიხედვით აფასებს, რაც მისი გემოვნების საფუძველშია ჩადებული. ის ახალგაზრდები კი, რომელთა გემოვნების საფუძველიც ბულაძისა და ხვედელიძის ზერელე ნაწარმოებებს დაემყარება, ესთეტიკურად სრულიად დეგრადირებულნი იქნებიან.

ამასთანავე, ყოველი მხატვრული ტექსტი გარკვეული ეთიკური ფასეულობის მატარებელია. თანამედროვე ნაწარმოებებში კი სინთეზურადაა შერწყმული ზერელე ესთეტიკა და ზერელე ეთიკა. მასებს კი, რომელთაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ავისა და კარგის გარჩევა, გამალებული პროპაგანდის საშუალებით შთააგონებენ, თითქოს ასეთი თხზულებები წარმოადგენენ ნამდვილი ლიტერატურის ნიმუშებს. შედეგად კი ხდება ხალხის ესთეტიკური და ეთიკური გადაგვარება.

IV

ქართული მწერლობის ისტორიული როლის თაობაზე

ქართული ლიტერატურა ოდითგანვე განსაკუთრებულ ისტორიულ როლს ასრულებდა. სამართლიანად შენიშნავდა ა. ბაქრაძე: „ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა“.

ლიტერატურა საზოგადოებრივ ინტერესებს რომ უნდა ემსახურებოდეს, ეს აზრი ისეთივე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა. ქართულ მწერლობას კი, ამ მხრივ, მაინც გამორჩეული მისია ჰქონდა. ლიტერატურის ეროვნული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხი მთელი სისავსით XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში დამუშავდა. როგორც ვაჟა-ფშაველა წერდა: **„მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა... მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს... ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“.**

ქართული მწერლობის ისტორიული როლი ამგვარადაა გაგებული XX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაშიც. ვითარება იცვლება XXI საუკუნეში. ახალი დრო ახალ მოთხოვნებს აყენებს. მწერლობის ტრადიციული დანიშნულება კომუნისტურ გადმონაშთად ცხადდება. მართალია, ნეოლიბერალებმა შესანიშნავად იციან, რომ კომუნისტები აქ არაფერ შუაში არიან, მაგრამ სახეზეა ნეოლიბერალური პოლემიკის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი: იმ თვალსაზრისს, რომელიც მათ არ მოსწონთ, გამოაცხადებენ კომუნისტურად და შემდეგ ამ საბაბით იწყებენ მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ის შეხედულება, რომ მწერალი თავისი ერის უმაღლესი კულტურული ფასეულობების მატარებელი უნდა იყოს, ჯანსაღ საზოგადოებაში დავის საგანი არასოდეს ხდება. მწერალი თავისი ერის, თავისი კულტურის სახეა. სწორედ ამიტომ განაცხადა ამერიკაში, ემიგრაციაში მყოფმა თომას მანმა: **„სადაც ვარ მე, იქ არის გერმანული კულტურა!“**

თანამედროვე ქართველ მწერალს კი ასეთი სიტყვების თქმის არც მორალური უფლება აქვს და, რაც უფრო გულდასაწყვეტია, არც არავითარი სურვილი.

მწერლის საზოგადოებრივი როლის დაკნინება შესანიშნავად ჩანს თავად მხატვრულ ტექსტებში. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით მწერლის მხატვრულ სახეს. ამ ნაწარმოებებში დახატული მწერალი თავისი არსით საშუალო სტატისტიკური მასობრივი ადამიანია, მწერლობა კი გამოცხადებულია პროფესიად, რომლის დაუფლებისთვისაც სრულიად არ არის საჭირო განსაკუთრებული სულიერ-ინტელექტუალური მონაცემები. მას ნებისმიერი იდიოტი შეიძლება მისდევდეს; მთავარია, გააჩნდეს ამის სურვილი.

თანამედროვე ლიტერატურაში აღწერილი მწერალი უთუოდ მსუბუქი ყოფაქცევისაა და აღმერთებს ბოჰემას, მას იშვიათად თუ ნახავთ ფხიზელს. ზოგჯერ გულის გადაყოლება მართლაც აუცილებელია შემოქმედისათვის, რადგანაც როგორც მეფსალმუნე ბრძანებს: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“ (ფს. 103, 15), მაგრამ თანამედროვე მწერალთა ლოგიკით ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ თუ ღვინის სმით თავ-პირი არ დაისიე, ისე კარგ ლექსს ვერ დანერ.

არცთუ უსაფუძვლოდ ნუხდა ო. ჭილაძე: **„...ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნაწამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე..... უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში მონები-სათვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება... ამგვარი ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ზნეშეცვლილ ოჯახთან და კორუმპირებულ საზოგადოებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ყაიდის, მე ვიტყვოდი, ანტიქართული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს“.**

თანამედროვე მწერლობაში ეროვნულ საკითხზე, პატრიოტიზმზე საუბარი უკვე ჩამორჩენილობად აღიქმება. თავისი გონებამახვილობით გამორჩეული თეოლოგი, კულტუროლოგი და მუსიკოლოგი ნოდარ ლადარია გვთავაზობს „პროვინციალი“, „მოპატრიოტო პოეტის“ კრებით სახელს: „მუხრან ხარხელაური“, რომელიც ასე იმიფრება: მუხრან მაჭავარიანი + ტარიელ ხარხელაური. ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ პატრიოტულ თემაზე წერა ერთგვარ კლიშეად გადაიქცა და ხშირ შემთხვევაში სახეზეა ავტორის ემოციის სიყალბე. ამ ლოგიკით პატრიოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უგუნურებაა. დაკვირვებული მკითხველისათვის სირთულეს სრულიად არ წარმოადგენს განასხვავოს ერთმანეთი-

საგან ყალბი პათეტიკა და ნამდვილი გრძნობა. პატრიოტიზმი არც იმას გულისხმობს აუცილებლად, რომ პოეტი მიასკდეს მშობლიურ მთებს და ველებს და საგალობელი აღუვლინოს მათ. პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ნაკლის, ყოფითი სიმახინჯის მხილებას ნიშნავს. ოღონდაც, ამ საქმეს სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად. თანამედროვე ქართველი მწერლების „მხილებითი“ მოღვაწეობა კი ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური ზიზლით არის გაჯერებული.

როგორც ო. ჭილაძე წერდა: **„პატრიოტიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მართლაც სისხლხორცეულად აუცილებელია მწერლობისათვის. ამ მარად მფეთქავი, მარად ფხიზელი ნერვის გარეშე, ნებისმიერი ტექსტი, პოეტურიც და პროზაულიც, შეიძლება გარეგნულ მომხიბვლელობას არ კარგავს, მაგრამ აშკარად კარგავს შინაგან მუხტსა და დაძაბულობას“.**

მართლაც, პატრიოტული პათოსი ერთ-ერთი უმძლავრესია (თუ არა ყველაზე მძლავრი) სხვადასხვა სახის პათოსთა შორის, მას მკითხველზე განუმეორებელი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა გააჩნია.

საყოველთაოდაა აღიარებული ლიტერატურის უდიდესი როლი ადამიანის პატრიოტული აღზრდის პროცესში. მოზარდი ამ ღვთაებრივ გრძნობას უპირველესად სწორედ ლიტერატურული შედეგების საშუალებით ეზიარება. ეს გარემოება შესანიშნავად იციან ახალმა ლიბერალებმაც. ქვემოთ მოვიტანთ დოკუმენტს, რომელიც არაერთხელ გამოქვეყნდა ქართულ პრესაში. იგი წარმოადგენს თბილისის ყოფილი მერისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ზ. ჭიაბერაშვილის საგრანტო პროექტს: „წინ, ტრადიციისაკენ“ (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება):

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე. წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები — ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება. პროექტი „წინ ტრადიციისაკენ!“ თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ფასეულობათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.

აღმასრულებელი დირექტორი: ზ. ჭიაბერაშვილი.

სრულიად ნათლადაა გამოკვეთილი ნეოლიბერალთა შეტევის ობიექტი: უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტები. ეროვნული თვითცნობიერების საფუძვლებს სწორედ ეროვნული მეცნიერებები, უმთავრესად კი ისტორია და ფილოლოგია აყალიბებს. ამიტომაც იმყოფება მეცნიერების ეს ორი სფერო უდიდესი წნეხის ქვეშ.

ახლა აღარ არის გასაკვირი, თუ რატომ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან პატრიოტული ეპიკის ბრწყინვალე ნიმუშები: გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და რატომ შეიტანეს მათ მაგიერ ზერელე ტექსტები; ამით სწორედ მოზარდების მენტალურ სიჯანსაღეს უფრთხილდებიან, რათა „იზოლაციონისტი“, „ფუნდამენტალისტი“ პატრიოტები კი არ გაიზარდონ, არამედ ღია საზოგადოების ღირსეული წევრები, სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომი, დედამიწის ღირსეული მოქალაქეები – „დედამიწელები“.

ქართული მწერლობის ისტორიულ როლზე საუბარს კი იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით დავასრულებთ: **„ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისთვისაო. ამ პრინციპს ადგილი შეიძლება მიეცის მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავალწევთ აწინდელს, მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევეებს და... ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში“.**

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ბრძოლა არსებობისა და ეროვნული ვინაობის შენარჩუნებისათვის ქართველთა მარადიული საზრუნავია, შესაბამისად იგივე საკითხი არის და იქნება ქართული მწერლობის მთავარი პრობლემაც.

„დღეს დამუკიდებლები ვართ, – იტყვის ზერელედ მოაზროვნე ნეოლიბერალი, – ასე, რომ საზო-

გადოებრივ პრობლემებს დემოკრატიული ინსტიტუტები მოაგვარებენ, ხოლო მწერლობას შეუძლია წმინდა ესთეტიკის სფეროში დარჩეს“.

ჯერ ერთი, ბატონის გამოცვლა დამოუკიდებლობას სრულიად არ ნიშნავს; მეორეც, იქნებ საქართველოს ისტორიაში ჩვენი ქვეყანა არასოდეს მდგარა ისეთი დიდი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს. თუ ადრე მტერი ხილულად იბრძოდა და მისი მოქმედების მიზანდასახულობაც სრულიად ნათელი იყო, დღეს ეროვნული გადაგვარების პროცესი უაღრესად ფაქიზი და დახვეწილი ტექნოლოგიებით მიმდინარეობს. ამიტომაც, საღად მოაზროვნე ქართველმა მწერლებმა საკუთარ შემოქმედებაში მთელი სიმწვავეთ უნდა დააყენონ ეროვნული პრობლემატიკა, თანამედროვე ავტორებმა კი თავად გააანწყვიტონ, თუ ვის გააწყვებიან მწერლობის არსის განსაზღვრისას: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას გზას, თუ ნოდარ ლადარიასა და ემზარ ჯგერენაიას ბილიკს.

V

თანამედროვე ქართული მწერლობის ზოგიერთი მხატვრული თავისებურების შესახებ

თანამედროვე მწერალთა უდიდესი ნაწილი რაიმე ფორმით მაინც დაკავშირებულია ე. წ. პოსტმოდერნისტულ დისკურსთან, ამიტომაც თანამედროვე ქართული ლიტერატურის მხატვრული თავისებურებების განხილვა სწორედ პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ქრილში უნდა მოხდეს.

უპირველეს ყოვლისა ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას თავად პოსტმოდერნიზმის ქართულ სივრცეში დამკვიდრების თაობაზე. ერთნი მიიჩნევენ, რომ პოსტმოდერნიზმი ქართულმა სინამდვილემ თავისთავად წარმოშვა, იგი ობიექტური განვითარებით არის გაპირობებული; მეორე თვალსაზრისით კი, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, პოსტმოდერნი თავს ძალად მოხვეული კულტურული ვითარებაა, პოსტმოდერნიზმი კი ასეთივე ფორმით დამკვიდრებული ლიტერატურული მიმართულება, მოდა, რომელსაც ხშირად გაუცნობიერებლად მისდევენ.

მარტივი მაგალითი ჩვენი ყოველდღიურობიდან: პოსტმოდერნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტოტალური ირონია ტრადიციულისადმი. ეს ტენდენცია თავს იჩენს ჩაცმულობის სფეროშიც. დახეული ჯინსი პოსტმოდერნის „მონაპოვარია“. ასეთი სამოსით პოსტმოდერნისტი ირონიას ავლენს ტრადიციულ შეხედულებაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანს აუცილებლად მონესრიგებულად, კლასიკურად უნდა ეცვას, არამც და არამც გახეული სამოსი.

გააჩრეთ ქუჩაში ნებისმიერი საშუალო სტატისტიკური იდიოტი, რომელიც დადის დახეული ჯინსით და ჰკითხეთ ამის მიზეზი. რა თქმა უნდა, იგი გაგებაშიც არაა პოსტმოდერნისა, არამედ, უბრალოდ, მოდასაა აყოლილი.

რაც შეეხება ლიტერატურას, თუკი პოსტმოდერნიზმს ქართული მწერლობის განვითარების კანონზომიერ და გარდუვალ ეტაპად მივიჩნევთ, მაშინ იმის აღიარებაც უეჭველად მოგვინევს, რომ ქართულმა ლიტერატურამ გადაუხვია თავისი განვითარების მაგისტრალურ ხაზს, ვინაიდან პოსტმოდერნისტების შემოქმედებაში უმთავრესად გამოხატულია უარყოფითი მიმართება, მათივე ტერმინით რომ ვთქვათ, „ანტი-მიმართება“ ეროვნული მწერლობის ძირეული ტენდენციებისადმი.

პოსტმოდერნიზმი არის ნეოლიბერალთა სახელმწიფო იდეოლოგია ხელოვნებაში. ყურადღება რომც არ მივაქციოთ პოსტმოდერნისტული შემოქმედების მხარდაჭერასა და პოპულარიზაციას ნეოლიბერალთა მხრიდან, იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ თვით უმაღლესი ხელისუფლის უშუალო ჩარევით იქმნება პოსტმოდერნისტული სკულპტურის ისეთი „ღირსშესანიშნავი“ ნიმუშები, როგორებიცაა: ველოსიპედის ძეგლი, დაჭმუჭნული ბოთლის ქანდაკება, კვერცხებზე დალაგებული ფლოსტების სკულპტურა, ბეჭემოტზე ამხედრებული თამარ მეფის ძეგლი და ა. შ. რატომ უჭერენ ნეოლიბერალები გამალებით მხარს პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას? იმიტომ, რომ რაც არის ნეოლიბერალიზმი პოლიტიკაში, იმავეს წარმოადგენს პოსტმოდერნიზმი ლიტერატურაში. ამ მსოფლხედვათა ძირეული მსგავსება მდგომარეობს რელატივიზმში. ამ მოძღვრებათა მიხედვით, ადამიანებს არ ძალუძთ ობიექტური ქვეყნარსებების ნვდომა, ისინი თავად ადგენენ რა არის მათთვის კარგი და ქვეყნარსები.

გარდა ამისა, პოსტმოდერნული მსოფლხედვისათვის დამახასიათებელია კრიზისულობა, სკეფსისი მარადიულ ფასულებათა, იდეალური სამყაროს მიმართ. სწორედ ამ კრიზისული მსოფლხედვის გავრცელებას ესწრაფვიან გამალებით ქართულ სინამდვილეშიც. ქართველი ხალხი, დღევანდელ მდგომარეობაში, ნამდვილად არ განიცდის მსოფლმხედველობრივ კრიზისს. კომუნისტური მარწუხ-

ებისაგან განთავისუფლებულნი სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ეკლესიას, თავის ნამდვილ არსს კი ადამიანი სწორედ რელიგიურ ცხოვრებაში სწვდება. სხვა საკითხია რამდენად ჯანსაღი ეთიკით ცხოვრობს საზოგადოება, მაგრამ ფაქტია, რომ ცნობიერ დონეზე საზოგადოებაში კრიზისი არ შეინიშნება. ყოფითი საზრუნავით დამძიმებულ ადამიანებს არც რჩებათ დრო ექსისტენციალურ საკითხებზე ფიქრისათვის. მიუხედავად ამისა კრიზისულ ცნობიერებას უდიდეს პროპაგანდას უწევენ, ასეთი ცნობიერება კი არღვევს საზოგადოების ეთიკურ და რელიგიურ საფუძვლებს, აჩენს ურწმუნოებას, ეჭვს და ფასეულებათა გარეშე ტოვებს უსუსურ ადამიანს სამყაროს პირისპირ.

მართებულია პ. ჩხეიძის მსჯელობა: **„პოსტმოდერნი მიჩნეულია იმ საიდუმლო ფასეულებად, რასაც კომუნისტური რეჟიმი გვიმალავდა და რითაც დასავლური ფასეულობანი უნდა შემოსულიყო და ჩანერგილიყო. თავისთავად პოსტმოდერნის აგრესიულ შემოსვლაში ცუდი არაფერი ყოფილა. ფილოსოფიას სჭირდება განახლებული განსჯანი, ლიტერატურას – ახალი ხერხები, პოლიტიკას – ახალი იდეები. მაგრამ პოსტმოდერნმა ეჭვქვეშ დააყენა ისტორიული გამოცდილების უწყვეტობის საკითხი... ამაშიც არ იქნებოდა დიდი საფრთხე, ალტერნატიული მსოფლხედველობა რომ შეგვეთავაზებინა დროულად და ისევე აგრესიულად, როგორც პოსტმოდერნი შემოიჭრა, მაგრამ დასავლური სექტებისა არ იყოს, პოსტმოდერნი დაფინანსებული აღმოჩნდა, სწრაფად დაიკავა ტელევიზია, პრესა, თეატრი, კინო და გამაწონასწორებელი მსოფლხედვანი ორიოდვე ყურნალისა და კანტი-კუნტი წიგნების ამარა დარჩა“.**

ჩვენს კულტურულ სივრცეში ბუნებრივი მდგომარეობა მაშინ იქნებოდა, ქართულ მწერლობაში პოსტმოდერნიზმი რომ არსებობდეს, როგორც მწერლობის ერთი შენაკადი. მაგრამ დღეს პოსტმოდერნიზმმა საყოველთაოდ გაბატონებული და დაკანონებული ესთეტიკური მოძღვრების სახე მიიღო, რაც სრულიად არაბუნებრივია.

გადავიდეთ მხატვრულ ტექსტებზე. თანამედროვე მწერლობის ერთი-ერთი მთავარი მახასიათებელია ზედაპირულობა. რეალისტური ხელოვნება აღიარებდა სამყაროს თავისთავად ფასეულებას, ამიტომაც რეალისტი შემოქმედი მიისწრაფოდა ყოფიერი მოვლენების სიღრმისეული არსის წვდომისა და მათი გრძნობადი ფორმით გამოხატვისაკენ. ილია ჭავჭავაძის თქმით, ხელოვნება უნდა **„ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“.**

მოდერნისტული მსოფლხედვით, რეალური სამყარო იდეალური სამყაროს ასლია, შესაბამისად, მას იმდენად აქვს ფასეულება, რამდენადაც მიგვითითებს, მიგვანიშნებს იდეალურზე.

პოსტმოდერნისტული მსოფლგანცდა კი უარყოფს იდეალური სამყაროს არსებობას; აქედან გამომდინარე, რეალური სამყარო არის ასლი ორიგინალის გარეშე. პოსტმოდერნისტისათვის **„მთელი ყოფიერი სამყარო... საკმაოდ საეჭვო თვისებრიობისაა, უფრო ზუსტად, მას საერთოდ არ გააჩნია თვისებრიობა, არსი, თავისთავადობა“.** სწორედ ამიტომ **„პოსტმოდერნისტული ხელოვნება იქმნება ისე, რომ მისი მიზნები არ მიემართება არც ტრანსცენდენტურ, არც ემპირიულ რეალობას, სიღრმისეულ რეალობას მისი რაიმე ფორმით“.**

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ თანამედროვე შემოქმედს ნამდვილად აქვს იმის ტალანტი, უფრო სიღრმისეულად ასახოს რეალობა, ამას არ აკეთებს პოსტმოდერნისტული ესთეტიკისადმი თავისი უგუნური ერთგულების გამო და მუდამ ზედაპირზე ტრიალებს. სამყაროს ზედაპირულობისა და ქაოტურობის აღწერას კი დიდი მხატვრული ოსტატობა სრულიადაც არ სჭირდება, ძნელი ყოფის შინაგანი სირთულეების გამომზეურებაა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს პოსტმოდერნისტული მწერლობის მიდრეკილება ატიპურობისადმი. რეალისტური ხელოვნება უხვად ქმნიდა ტიპურ ხასიათებსა და ტიპურ სიტუაციებს. თანამედროვე ქართული პოსტმოდერნისტული მწერლობის თითქმის ერთადერთი ტიპი კი არის საშუალო სტატისტიკური იდიოტი, ადამიანი-მასა, რომელიც ტიპურია თავისი ატიპურობით. უსიცოცხლო, გამოფიტული, სისხლისაგან დაცლილი, უსახური პერსონაჟები საწყალობლად დალასლასებენ ნაწარმოებთა ფურცლებზე. ისინი მოკლებულნი არიან ინდივიდუალურობას, ერთს მეორისაგან ვერ გაარჩევენ, მათ არ აქვთ ცხოვრების ღრმა საზრისი და მხოლოდ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს აყოლილნი უთავბოლოდ დახეტილობენ სამყაროში.

პოსტმოდერნისტულ მწერლობაში ტიპურის ადგილს, ხშირ შემთხვევაში, იკავებს პათოლოგიური. როგორც პ. სოროკინი წერდა: **„ჩვენი ხელოვნება სექსუალურად გაუნონასწორებელი და შერყვნილია, ხოლო ზოგჯერ, სადისტურიც კი არის. თანამედროვე ხელოვნება უპირატესად სოციალური და კულტურული პათოლოგიის მუზეუმი. იგი კონცენტრირებულია პოლიციის მორგებში, დამნაშავეთა თავშესაფრებში, სასქესო ორგანოებზე“.**

თანამედროვე ქართული მწერლობაც სწორედ „პათოლოგიის მუზეუმი“. მწერალთა ინტერესის საგანია ისეთი თემები, როგორცაა: ადამიანის სქესობრივი ლტოლვა დედისადმი, დედამამიშვილისადმი, ბებიისადმი, სადიზმი, მოხუცებულთა შეურაცხყოფა და სხვ. ვერავინ იტყვის, რომ იგივე სისხლის აღრევა აქტუალური საკითხია, მაგრამ თანამედროვე მწერლობა თითქმის საკაცობრიო პრობლემის დონეზე აყენებს ამგვარ ფსევდო-აქტუალურ თემებს.

თანამედროვე მწერლობის შემოქმედებითი მეთოდი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვულგარული ნატურალიზმი. თანამედროვე ავტორები სინამდვილეს გვანვდიან უხეშად, აღწერენ მას მთელი თავისი სიბინძურით. მხატვრული შემოქმედების სპეციფიკა კი ის გახლავთ, რომ შემოქმედმა ყოფის უხეში მასალა ესთეტიკურად უნდა გარდაქმნას, სინამდვილის ვულგარულ-ნატურალისტურ კოპირებას შეუძლებელია მაღალი ესთეტიკური ფასეულობა გააჩნდეს: **„ცხოვრებასთან რაც შეიძლება მეტი სიახლოვის მოთხოვნილება არ შეიძლება ყოველთვის პირდაპირი გამოხატვის გზით დაკმაყოფილდეს, რამდენადაც პირდაპირი გამოხატვა ხშირად დაიყვანება მდაბლის, გამლიზიანებლის, აუტანელის აღწერამდე. განსაკუთრებით ბოლო დროს, თითქოს სიმართლის ერთგულების მოტივით მომრავლდა ლიტერატურაში მდაბალი, გამალიზიანებელი, უხეში, ჭუჭყიანი, მდარე, უნიჭო ეროტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთ შემთხვევაში მწერლები (თუ შეიძლება ყველა ნამდვილ მწერლად ჩაითვალოს) ივინყებენ, რომ ხელოვნებას თავისი კანონები აქვს, განსახიერების თავისი წესები, რომ სინამდვილის, ყოფის მასალა ესთეტიკური აღქმის დონეზე აიყვანოს, ლიტერატურის ფაქტად აქციოს, ხელოვნების ენაზე მოგვანოდოს ისე, რომ სინამდვილის სიმძაფრე, სიმწვავე არ დაიკარგოს, მაგრამ ხელოვნების ენაზე მისაღები და ასატანი გახდეს“** (ლ. მინაშვილი).

ვულგარული ნატურალიზმი განსაკუთრებით იჩენს თავის სექსუალური სცენების აღწერისას. მწერლები უმცირესი წვრილმანების გამოუკლებლად, დეტალურად აგვიწერენ ამგვარ ეპიზოდებს, ამიტომაც არ ძალუძთ მათ ესთეტიკური შემოქმედების მოხდენა მკითხველზე. მ. ჯავახიშვილსაც ისევე რომ აღწერა ჯაყოს მარგოზე ძალადობა, როგორც ამას თანამედროვე ავტორები აკეთებენ, ცხადია, მას არავითარ ესთეტიკური ფასეულობა არ ექნებოდა. მწერლობა, არაერთი მოაზროვნის განსაზღვრებით, იგივეა, რაც **„გამოტოვების ხელოვნება“**. ავტორმა უნდა გამოტოვოს ყოფის ზოგიერთი უხეში ფაქტი, მკითხველმა თავად უნდა იგულისხმოს ისინი.

უზნეობის აღწერას მაშინ აქვს ესთეტიკური ფასეულობა, როდესაც მწერალი საპირისპირო, ეთიკური პოზიციიდან უცქერს მას. ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრების წესის აღწერას იმიტომ აქვს მხატვრული ხიბლი, რომ ილია მას ეთიკური პოზიციიდან აფასებს. თანამედროვე ტექსტებში კი უზნეობა წარმოდგენილია, როგორც სასურველი და ბუნებრივი, ჩვეულებრივი მდგომარეობა, რომლის გამოსწორებაზეც საუბარი არაა.

თანამედროვე ქართული მწერლობის საერთო მახასიათებელია სტილური ერთფეროვნება. თანამედროვე ლიტერატურის დიდი ნაწილი ერთი ზერეულ მწერლის ხელიდან გამოსულ ტექსტებს ჰგავს. იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რა სტილური თავისებურებით განსხვავდება ლაშა ბულაძის პროზა ბესო ხვედელიძის პროზისაგან, ანდა დ. ქართველიშვილის ნაწარმოებები თეონა დოლენჯაშვილის ნაწარმოებებისაგან?

თანამედროვე ქართული ლიტერატურა ხშირად ავლენს ინტერესს კომიკურის სხვადასხვა სახეებისადმი, მაგრამ მიუხედავად ამისა შორს დგას ჭეშმარიტი კომიზმისაგან. თანამედროვე იუმორი ძირითადად დაფუძნებულია სკაბრეზზე, არაიშვიათად კი იგი მიდის უკიდურეს ცინიზმამდე, რომლის საფუძველიც ნიჰილიზმია და სადაც იუმორისათვის ადგილი აღარ რჩება.

რაც შეეხება სამწერლო ენისადმი დამოკიდებულებას, თანამედროვე მწერალთა ნაწილი გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა სახის სოციოლექტს, ჟარგონს, დიალექტიზმს. ჟარგონისა და დიალექტიზმის მხატვრულ დონეზე აყვანა უდიდეს მხატვრულ ოსტატობას საჭიროებს, რომელიც თანამედროვე მწერლებს ხშირად არ ჰყოფნით (გადამლაშებული დიალექტის შესანიშნავი ნიმუშია კ. ჯანდიერის „გლობალიზაცია“. ავტორი დიალექტური მეტყველებისას იმდენად აჭარბებს, რომ მკითხველს უსიამოვნო შეგრძნება ეუფლება ძალად დაღვლარაქნილი ენის გამო.).

ერთი სიტყვით, პოსტმოდერნისტული ესთეტიკა იშვიათად გვთავაზობს რაიმე ახალს, ორიგინალურს და ძირითადად ძველის გამარჯვებითა და ირონიზირებითაა დაკავებული.

(დასასრული იქნება)



შინაგანი მეტყველება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

სოსო სიგუა

პროფესორი, ტექნიკური უნივერსიტეტი

ბანახლების პერმანენტული პროცესი

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ქართული ლიტერატურა შინაგანი აუცილებლობით მივიდა მოდერნისტული პოეტური კულტურის ათვისებამდე. ა) ლექსი უკიდურესად გამარტივდა. ა. წერეთლის სადა პოეტური სისტემა თითქმის ყველასთვის მინასვდომი იყო, მაგრამ მან პირდაპირი მემკვიდრე ვერ წარმოშვა. „განთიადის“ ავტორი მიუახლოვდა მეტყველების ისეთ ზღვარს, რომლის გადალახვა აუცილებელი მარცხით დამთავრდებოდა. თვით მისი პოეტური ხაზი შემოვლითი უარყოფა გახლდათ ძველი ქართული ლექსისა. ამიტომაც ბენვის ხიდზე სიარული აკაკისათვის ხშირად სახიფათო იყო, ხოლო მის მიმდევრებს საერთოდ არ შეეძლოთ. მაქსიმალური რაფინირება (ხალხურ მეტყველებასთან მისვლით), ზედმეტი სინათლე, ყოველდღიურის, თითქმის ტრივიალურის წარმოსახვა თხოულობდა განუზომელ პოეტურ ენერჯიას, რათა თავისთავად „არაპოეტური“ მასალა ესთეტიკურ ფასეულობად გადაქცეულიყო. შედეგი: აკაკის ცოტა აღმოაჩნდა შედეგები. მაგრამ ამჟამინდელ პარნასზე იგი იყო ქართული ლექსის მეტრი. მან შექმნა ფასეული პოეზია, თუმცა მისი განვითარება უნდა ყოფილიყო გაგებულნი, როგორც ფორმალურად და თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა; ბ) პროზა ვერ გასცილდა სოფლის თემატიკას. ქალაქური გარემო და ინტელიგენტის ტიპი თითქმის უცნობი იყო ახალი ქართული პროზისათვის. მხატვრული სტილი

დაიქანცა ტრადიციული სქემების განუწყვეტელი ვარიანტებით. მასალასთან ერთად წერის ტექნიკა, კულტურა, მხატვრული აზროვნების სტრუქტურა თხოულობდა გადახალისებას; გ) მაგრამ წარმოიშვა საპირისპირო ტენდენციაც. ტრადიციონალისტი მწერლები ინტუიციის ძალით დაესესხნენ ევროპული მწერლობის მონაპოვრებს, რაც ჯერ კიდევ არ იყო მოდერნიზების დასაწყისი. ეს პროცესი რომ დაწყებულიყო, მას სათანადო ტრადიციული ნიადაგი უნდა დახვედროდა. ვაჟა-ფშაველას პოეზიის სომბოლურ-ალეგორიული და მითოლოგიური ხედი, ვასილ ბარნოვის პოეტური პროზა, ჭოლა ლომთათიძის ნაღვლიანი ელეგიები, შიო არაგვისპირელის ცალკეული ნოველების მისტიკური განათება უკვე შინაგანად ამზადებდა ბაზისს მოდერნიზმის მისაღებად.

ლექსის გენეტიკური ხაზი ასე გაიმართა: რუსთაველი-ბესიკი-ვაჟა-ფშაველა. ქართულმა სიმბიოზმა მოინდომა მისი როგორც ლოგიკური კანონზომიერების დასაბუთება. მაგრამ სიახლე იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ქართველი საზოგადოება ვერც კი გაერკვა მიმდინარე პროცესის ხასიათსა და მნიშვნელობაში. ახალგაზრდობა კი ზოგჯერ უხეშადაც ეპყრობოდა აღიარებულ ფეტიშებს, თუმცა წარსულს არ უარყოფდა: „**ჭაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს**“; დ) ისტორიულმა პირობებმა მოდერნიზმი საერთაშორისო მიმდინარეობად გადააქცია. ქართული მხატვრული აზროვნება, რომელიც შეეცადა ზიარებოდა ევროპას,

ეროვნულ სულს უსადაგებდა უახლეს მიღწევებს. ქართული ლექსი აინია ევროპული სტანდარტების დონეზე (გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი...). ლექსის მოდერნიზების პროცესი გაგრძელდა 20-იან წლებშიც. საერთოდ, პოეტური სიტყვის განახლებას იწყებს ი. გრიშაშვილი. საამისოდ იგი მიუბრუნდა უკუგდებულ აღმოსავლურ ნაკადს. ერთ ხანს მის გავლენას ვერ აცდნენ გ. ტაბიძე და ა. აბაშელი. მაგრამ გალაკტიონმა სიახლის საკუთარი პათოსი ჰპოვა ფრანგულ და რუსულ სიმბიოზში. „ცისფერყანწელებმა“, თავიანთი მხრივ, გაანატიფეს ი. გრიშაშვილის ლირიკა.

20-იან წლებში გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე აღმოჩნდნენ ინდივიდუალურ პოეტურ არეს, რითაც დასრულდა ქართული ლექსის მოდერნიზება. სიმბოლიზმის მიერ აღიარებული მუსიკალობის პრიმატი ს. ჩიქოვანმა და ტ. ტაბიძემ (ბოლო პერიოდი) უკუაგდეს. მათ შექმნეს ახალი პოეტენციალური შესაძლებლობანი. ფრაზები ხორკლიანი გახდა, რითმა – არაზუსტი, განცდა – ზოგჯერ პროზაული. ჰაეროვანი სინატიფე, დაწმენდილი ინტონაცია, ნაირ-ნაირი ფერების ლივლივი მოკვდა. ლექსს მოეძალა ყოფითი დეტალები. სმენადი მხაროდ დომინანტობის აღკვეთამ გაამკვეთრა ფერების ხილვადობის უნარი, გზა გახსნა პროზაული ელემენტების შემოსაშვებად. სიტყვის გრაციული სინარნარე გაუფასურდა. წინა ადგილი დაიკავა თვით მხატვრული აზროვნების პროცესის ჩვენებამ. ადრე თუ გვიდროდა ფაქტიდან გამომდინარე შედეგი, ამჯერად თვით არსის გულდაგული ჭვრეტა არის პოეტური გზების საგანი.

ასე შეენაცვლა მოდერნიზმს ავანგარდიზმი.

ს. ჩიქოვანი არ არის ტრადიციული თუ სიმბოლისტური გაგების ლირიკოსი. მისი ყოველი ლექსი თითქოს გრანდიოზული პანორამის შეკუმშული ვარიანტია. მას ბოლომდე შემორჩა ფუტურისტული ნიუანსები. თუ გ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა და გ. ლეონიძემ სტილურად და ხარისხობრივად დათმეს აღებული პოზიციები და ნელ-ნელა უკუიქცნენ თითქმის სანყის მომენტამდე, ს. ჩიქოვანი თანამიმდევრულად, განუხრელად მიისწრაფოდა ეპიკური ლირიკის შექმნისაკენ. ლირიკის ჩარჩოების გაფართოება მას წარმოედგინა, როგორც სხვა ყანრთა სპეციფიკური ნიშნების პოეტურ „მე“-ში დასინთეზება. მსჯელობა და ინტელექტუალური ჭვრეტა შეეფარდა სიცოცხლის მძაფრ შეგრძნებას. მისი სტრიქონები არ არის სიმსუბუქით სასვე. ამიტომ მიაკვლია ისეთ მეტრულ წყობებს, რომელთა ტერფების თავისთავადი რიტმულ შინაარსი ლექსს განაშორებდა წმინდა აზროვნებისათვის ნიშნულ სირთულესა და სიმძიმეს. ამდენად, ს.

ჩიქოვანი სანყის აძლევს რიტმულ პოეზიას, რომელიც შეიცავს ახლებური მელოდიკის პოტენციურ შესაძლებლობას. ამ პრინციპში აღმოჩნდა ის „რაციონალური მარცვალი“, რამაც ს. ჩიქოვანის პოეზიას მეტი გამგრძელებლები გამოუჩინა, ვიდრე სხვა რომელიმე ფუძემდებელს. მისეული ინტონაციები არაიშვიათად ჟღერენ იმ ახალგაზრდა პოეტთა ლექსებში, რომლებიც დღეს შემოდიან ლიტერატურაში.

„ეპიკური ლირიკის“ შექმნის პროცესმა კვლავ მოითხოვა ევროპული მხატვრული აზროვნების გათავისება. ლექსში პროზის შემოშვებამ დასვა პრობლემა, თუ რაგვარი უნდა ყოფილიყო ეს გარე ელემენტი. საფუძვლის მიღება არ ნიშნავს მისით შემორკალვას. იგი არსებობს, როგორც მომავალი ექსპანსიის წინაპირობა და გამართლება. ქართულ პოეტურ კულტურას თითქოს მხედველობიდან გამოორჩა მოდერნისტული პროზა, რომლითაც არსებითად დასრულდა ჭეშმარიტი ევროპული მოდერნიზმი. იგი გულისხმობდა ინტელექტუალიზმის არა უარყოფას, არამედ შინაგანი დაძლევიტ მოხსნას. პოეტური სიტყვა უმაღლეს საფეხურზე ეზიარებოდა პირველყოფილ სანყისებს. სამყაროს ინტეგრალური ჭვრეტა თავისთავში შეიცავდა მხოლოდ სასიცოცხლო ძალების ხილვის უნარს. მეცნიერული და მხატვრული, პოეტური და პროზაული, ლირიკული და დრამატული, სანტიმენტალური და ამადლებული – მთლიანმა წარმოდგენამ გათქვიფა. გლობალური სამყარო გლობალური რღვევიტ შენივთდა. ამიტომაც ქართული პოეზია შეეცადა, შეეძინა აბსოლუტური ხილვის ენერგია.

„ცნობიერების ნაკადი“, შინაგანი მეტყველება, როგორც სტილური ემთოდი, თავისი თუნდაც დაქვემდებარებული როლიტ, მოასწავებდა მოდერნიზების შეწყვეტილი პროცესის გაგრძელებას, მოდერნიზმის ხელმეორე შემოჭრას, ავანგარდული ფორმების ათვისებას, რაც მიზეზობრივი განვითარებითა და უკუგდებით ამთავრებდა დიადი განახლების სურათს. განახლება და წინსვლა მუდამ აღმასვლა როდია. ამიტომაც, ცხადია, თანამედროვე ქართული პოეზია თვალს ვერ გაუხსნორებს იმ პოეტთა დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენში შეიქმნა ეროვნული მოდერნიზმის გარიჟრაჟზე. სტილური და ხარისხობრივი განვითარება არ არის პარალელურად მიმდინარე. მაგრამ ყოველი სტრუქტურული სიახლე მიმართულია ორიგინალური ფასეულობის მისაღწევად. ქართული ლექსი ტრადიციულად ილტვოდა ესთეტიკური მეტყველებისაკენ. ეს ალბათ ენის ფენომენის შესაძლებლობათა და ეროვნული სულის საარსებო პოტენციალის გამჟღავნებაც იყო. პუბლიცისტური ნაკადი მუდამ ანაქრონიზმის შეგრძნებას იწვევდა, გოდება რითმის

გადაგვარების გამო, ალბათ, ამ მოტივმა წარმოშვა, ამიტომ ლექსში შემოჭრილი პოეზიის ელემენტები პოეტურთანაც უნდა ყოფილიყო წილნაყარი. აქაც არსებობს პარალელური სურვილი დინების წინააღმდეგ სვლისა, რამდენადაც თვით ეს დინება ტრადიციულია და მხატვრული აზროვნების სპეციფიკით არ გახლავთ დაკანონებული.

ქართული პროზის გზა სხვაგვარად განისაზღვრა. მისთვის თითქმის უცნობი დარჩა საერთო განახლების მონუმენტები: „**ულისე**“ და „**დაკარგული დროის ძიება**“. ევროპის კარები ნელ-ნელა გადაიკეტა. პროზის მოდერნიზება უნდა მომხდარიყო პოეზიის ხარჯზე, რომელმაც შექმნა ახალი კლასიკა. სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ. ე.წ. დეკადენტური სკოლები დარჩნენ ლირიკის აპოლოგეტებად. მხოლოდ XX საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში შექმნილმა „**ცნობიერების ნაკადის**“ პროზამ აღძრა საერთო სენსაცია. „**ფინგანის ქელები**“ – ეს იყო გამოგონებული ფაქტი, რომელშიც მოდერნიზმმა თვითუარყოფის სამანს მიაღწია.

ამიტომაც გამოვიდნენ კ. გამსახურდია, დ. შენგელაია და ზოგიერთი სხვა ოსტატი პოეტური პროზის მედროშეებად. ტრადიციული რომანის სტრუქტურა შეიცვალა, ეს სიახლე იყო რეფორმაციული (ნოვატორული) და არა რევოლუციური (მოდერნისტული). ფაბულა დარჩა პროზის ხერხემლად, მაგრამ მას დაემატა ლირიკული ემოციის სიჭარბე. ფრაზებმა შეიძინეს მუსიკალური ჟღერადობა. პათოლოგიური ტიპები, ნამდვილი ინტელიგენტები, ევროპული ცივილიზაციის გესლი და პატრიარქალობის მისტიკა დაემატა არსებული მოდელების ერთობლიობას, რომელიც, თავისი მხრივ, გათანამედროვდა. თავისთავად გ. ტაბიძის ადრინდელი ლირიკა იყო საეტაპო ფაქტი ქართული სინამდვილისათვის. მისი ორიგინალობა განიზომება ქართული პოეტური კულტურის საერთაშორისო დონეზე ატანია და არსებულის მაქსიმალური დაუფლებით. იგივე მისია გაიმეორა ქართული პროზის მიმართ კ. გამსახურდიამ (აქაც ივარაუდება თანამოკალმეთა დამსახურება). ოღონდ მას არ უცდია ტრადიციული რომანის მთლიანი დაშლა და შემოიფარგლა არსებულისათვის სიახლეთა მიმატებით.

როგორც პოეზიის, ისე პროზის განვითარების ხაზი რამდენადმე შეწყდა. კ. გამსახურდია, დ. შენგელაია თანდათანობით დაუბრუნდნენ მკაცრ პროზას. მათ შემოქმედებაში თანდათან შენელდა პოეტის მგზნებარება. შესაბამისად დაქვეითდა მხატვრული აქტივობის უნარი, ხოლო შექმნილი მემკვიდრეობა არ აღმოჩნდა შემოქმედებითად პოპულარული: კ. გამსახურდიას დიდი შემო-

ქმედება თითქოს ამოვარდა რეალობიდან: მას არ გამოუჩნდა არათუ გამგრძელებელი, არამედ უარყოფელიც და დღეს მისი ბრწყინვალე რომანები გვესახება, როგორც უპრეცედენტო მაგალითები, რომლებიც ნაკლებად ჩართულან მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში. ქართულმა პროზამ ჯერჯერობით ვერ იგრძნო, რომ ვ. ბარნოვისა და კ. გამსახურდიას პროზის პოტენციური ინერციის შინაგანი გაუქმებაა საჭირო (ურომლისოდაც მითუმეტეს ძნელია ტოლფასი ნიმუშების შექმნა). მაგრამ იმას კი მი ხვდა, რომ მოდერნიზების დამამთავრებელ ფაზაში, თუნდაც ფორმალურად, უნდა შესულიყო, რათა ერთფეროვნებას გემოვნება არ წაეღეკა, რათა სული არ დაღლილიყო ემპირიულობად ქცეული საგნების უწყვეტი ხილვით.

მოდერნისტული პროზა არ არის, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, სავსებით მისაღები. ზოგჯერ უკიდურესი ბუნდოვანი მეტყველება, სიტყვების სალტო-მორტალე და ადამიანის ავადმყოფური ბუნების ესთერიკურ იდეალად დასახვა გულწრფელ გაუგებრობას ბადებს. მაგრამ არსებითი ნიშნების შერბილებული გამოვლენა ამძაფრებს რეალისტურ მსოფლალქმას. ყოველდღიურობაში გაფანტული ადამიანის ხედვა, ხელოვნურად მაინც, მთლიანობად სახავს ინტელექტის მიერ დიფერენცირებულ სამყაროს, რომელიც აინტერესებს ინდივიდს ის, როგორც არის, ან როგორც უნდა იყოს.

პირობითობის ახალი ზღვარი

„ცნობიერების ნაკადის“ მწერლობის სათავესთან დგანან ირლანდიელი ჯეიმს ჯოისი და ფრანგი მარსელ პრუსტი. „**სწეული საუკუნის სწეული წიგნი**“ (იგულისხმება „ულისე“) ხელოვანთა ერთი ნაწილისთვის კოლოსალურ მიწნევად და დამკვიდრდა. ამ ორმა დიდმა მწერალმა თავიანთი ორიგინალობითაც გააოგნეს ლიტერატურული საზოგადოება. მათ ყველაზე უკეთ გაამართლეს ანტიკური სიბრძნე: „**პოეზია ბოდვია**“ (პლატონი), „სალი გონების ადამიანი პოეტად არ მიმანია“ (არისტოტელე). ჯოისი და პრუსტი მონიშნაღმდეგეთა მიერ ზოგჯერ პათოლოგიურ ფიგურებადაც კი არიან გამოცხადებული, რასაც თითქოს ადასტურებს კიდევ მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად პირადი ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობის ხასიათი.

ევროპულ ენებზე „ცნობიერების ნაკადის“ (ეს ტერმინი პირველად ფსიქოლოგმა და ფილოსოფოსმა **იულიამ ჯეიმსმა** გამოიყენა) ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, რომელშიც უამრავი საპირისპირო კონცეფცია და შეხედულება წარმოგვიდგება. ლიტერატურისმცოდნეობა უარყ-

ოფს „ცნობიერების ნაკადს“, როგორც უნივერსალურ მეთოდს, მაგრამ აღნიშნავს მის ღირსებებს, რომლებიც აფართოვებენ რეალიზმის საზღვრებს, ოდეს ექვემდებარებიან მეტყველების მაგისტრალურ ხაზს. თავისთავად ნებისმიერი სტილი შეიძლება ჩავაყენოთ ნებისმიერი იდეის სამსახურში. შინაგანი მეტყველება (დასავლეთის ლიტერატურისმცოდნეობა აიგივებს ცნებებს – შინაგანი მეტყველება და „ცნობიერების ნაკადი“. ჩვენ ამ ცნობას ორგვარი შინაარსით ვიყენებთ, – იხ. **„შინაგანი მეტყველება“**), რამდენადაც იგი დალმხრობას ვერ სძლევს (ინდივიდი იზოლირებულია, ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ირღვევა და ა.შ.), ამდენად მხოლოდ გარკვეულ მომენტებში იძლევა მხატვრულ ეფექტს. ლიტერატურის თანდათანობითი განვითარებით შეიძლება იგი უფრო ფართოდ იქნეს ათვისებული, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი აუცილებლობა გამოირიცხებულია (შდრ: ს. ეიზენშტეინის დაინტერესება „ულისეთი“ **„ჯოისი უნდა შევისწავლოთ და გადავლახოთ“** – ვს. ვიშნევსკი და სხვ.).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ულისე“ მიჩნეულია არა კაპიტალიზმის აპოლოგად, არამედ მისი კრიზისის მხატვრულ გამოხატულებად (შდრ.: ბალზაკი მოაზროვნე და ბალზაკი მხატვარი). „ცნობიერების ნაკადის“ პროგრესულ ნიშნებზე მიგვითითებს ისიც, რომ მის ელემენტებს, ხერხებს, კანონებს მეტ-ნაკლებად გამოავლენენ რეალიზმის სახელგანთქმული წარმომადგენლები: მაქსიმ გორკი („კლიმ სამეგინის ცხოვრება“), ლუი არაგონი, ანა ზეგერსი, ნაზიმ ჰიქმეთი, შონ ო'კეისი... შინაგანი მონოლოგით იხატებიან უან კრიტოფი, თომას ბუდენბროკი, ფორსაიტები, ტიბოები. მისი დიდი გავლენა განიცადა ე. ჰემინგუეიმ...

50-იან წლებამდე პრუსტის მნიშვნელობა შეზღუდული იყო. ამ დროიდან კი ის უკვე უზარმაზარ გავლენას ახდენს, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით მას მონაფეები არ ჰყოლია. პრუსტის გავლენა იყო სწრაფი, ფართო და ღრმა. მისი პრინციპების განვითარებამ წარმოშვა ფრანგული „ახალი რომანი“ და „კიდევ უფრო ახალი რომანი“ (საროტი – „ჯოისი, ფოლკნერი“; რობ-გრიე – „ფლობერი, დოსტოევსკი, პრუსტი, კაფკა, ჯოისი, ფოლკნერი, ბეკეტი“ და ა.შ.). რა თქმა უნდა, მარსელ პრუსტი არ წასულა ისე შორს, როგორც ჯოისი. მისი რომანის ნაკითხვა არ ქმნის კოლოსალურ სირთულეს. საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქციები ენობრივი გარსისა სიმეტრიულად განაწილდა. მას არ ახასიათებს პრინციპული ორიგინალობის მანია, ამიტომაც ყოველი დეტალიზება და უპრეცედენტობა თითქოს ჩვეულებრივ ელფერს იძენს. პრუსტი საერთოდ არ ცნობს „ზაუმურ“ ენას. მას სჭირდება მუდმივი კონტაქტი მკითხ-

ველთან. მისი შინაგანი მეტყველება მისანვლო-მია მკითხველისთვის. აქ ბარიერს ქმნის ავტორის ღრმა ერუდიცია. მაგრამ ერუდიცია არასოდეს სალდება თვითმიზნად. ფრანგული სულის სინატიფე და არტისტიზმი სრულყოფილად გამოვლინდა „დაკარგული დროის ძიებაში“.

ჯოისი თავისი ექსტრავაგანტული ექსპერიმენტებით იყო საერთო აღტაცებისა თუ უარყოფის საგანი. მას მუდამ გამომწვევი პოზიცია ეჭირა. შინაგანი მეტყველება თავის პოპულარობას სწორედ ჯოისს უნდა უმაღლოდეს. დღეს დასავლეთ ევროპაში იშვიათად მოიძებნება მწერალი, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყენებდეს ამ მეთოდს. მაგრამ მან ყველაზე სრულქმნილი სახე მემკვიდრეთაგან უილიამ ფოლკნერთან მიიღო. რომანი **„ხმაური და მძვინვარება“**, რომელიც „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდითაა დაწერილი, ისევე დიდი მოვლენაა როგორც „ულისე“ და „დაკარგული დროის ძიება“. და დღეს ფოლკნერი წარმოგვიდგება, როგორც შინაგანი მეტყველების მწერლობის ფუძემდებელთაგანი (შემდგომში მწერალი თანდათანობით დაუბრუნდა უფრო ტრადიციულ პროზას).

სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ შინაგანი მეტყველება სრულიადაც არ ყოფილა მოდერნისტების და ავანგარდისტების მონაპოვარი. დოროთი რიჩარდსონი და ედუარდ დიუჟარდენი ადრევე წერდნენ ამ მეთოდით. მხოლოდ მათ მიერ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია არ აღმოჩნდა ხარისხობრივად ისეთი რანგისა, რომ მიმდევრები წამოეშვა (ჯოისთან და პრუსტთან კი ეს მეთოდი ყოველნაირად დაიხვეწა და ჩამოყალიბდა). მაგრამ ისიც გამოირკვა, რომ თვით ეს მწერლებიც ტრადიციაში ჩამალულ საწყისებს ანვითარებდნენ. სტენთან, სტენდალთან, ტოლსტოისთან, ფლობერთან მიკვლეულ იქნა შინაგანი მეტყველების მაგალითები. მაშასადამე, ეს ტენდენცია ჩაისახა რეალიზმში, ხოლო მოდერნიზმმა აითვისა და უნივერსალურ საშუალებად გამოაცხადა. მთავარია აქ საკითხის არსი, თორემ, ცხადია, განუზომლად შორს დგანან ამ მხრივ არა თუ ტოლსტოი და ჯოისი, არამედ თვით პრუსტი და ჯოისიც კი.

ამრიგად, ლიტერატურის განვითარების ზოგადი პროცესი ცხადჰყოფს, რომ შინაგანი მეტყველება, როგორც გამოხატვის სტილი და არა მსოფლმხედველობის გამოვლენა, გამოყენებულ უნა იქნეს. თანამედროვე პირობებშიც კანონზომიერი ჩანს იმ პროგრესული თვისებების თანამიმდევრული გამოყენება, რაც გააჩნია მოდერნისტულ და ავანგარდულ პროზას. აქ მეორდება იგივე, რაც მოხდა პოეზიის მიმართ.

ფუგა და კონტრაპუნქტი

მას შემდეგ, რაც „მოიხსნა“ ნანარმოების ტრადიციული არქიტექტონიკა, საჭირო გახდა ძიება ახლებური კონსტრუქციებისა; კომპოზიციის ასაგებად გამოყენებულ იქნა ბუნების მოვლენები: წელიწადის დრონი, ზღვის მიმოქცევა და ა.შ. განსაკუთრებით მახლობელი და ხელსაყრელი აღმოჩნდა მუსიკალური ნანარმოების კანონების მიხედვით განლაგება თხზულების სტრუქტურული წყობისა. თუ სიმბოლისტებმა თეორიულად იქადაგეს და პრაქტიკულად განახორციელეს პოეზიაში მუსიკალობის პრინციპი, „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობა უფრო შორს წავიდა. მან მოინდომა სიუჟეტური ამორფულობით გამოწვეული სიცარიელე მუსიკის პრინციპების გამოყენებით შეეცხო. ოლდოს ჰაქსლის სურდა შეექმნა პოლიფონიური მუსიკის მსგავსი რომანი. მისი ერთ-ერთი თხზულების სათაურიც კი მუსიკალური ტერმინით აღინიშნება („კონტრაპუნქტი“), რასაც ამართლებს თვით რომანის შინაგანი წყობა. ასევე მუსიკალური კონსტრუქციის პრინციპებით იწერება ვირჯინია ვულფის „მისის დელოუი“. ფუგისა და კონტრაპუნქტის ხელოვნება შეენაცვლა სიუჟეტის ტრადიციულ განვითარებას. ჯეიმს ჯოისი და მარსელ პრუსტი პირველნი ავლენენ ამ თვისებას. „ულისე“, „ფინეგანის ქელეხი“ და „დაკარგული დროის ძიება“ სავესეა პარალელური და კონტრაპუნქტული თხრობით, შეხვედრებითა და განშორებებით. ცალკეული ნივთი თუ ფაქტი იძლევა უთვალავ ვარიაციას, რომელთა გაერთიანება ასოციაციების ასაკინძი ძირითადი იდეით ამთავრებს გარკვეულ ხედს ან მონაკვეთს.

ფუგა კვანტური იმიტაციის პრინციპზე აგებულ პოლიფონიურ მუსიკაში სხვადასხვა ხმებით ერთი და იმავე თემის თანამიმდევრულ გაშლას ეწოდება, ხოლო კონტრაპუნქტი გამოხატავს რამდენიმე დამოუკიდებელი მელოდიაკური ხაზის ერთდროულ მიმდინარეობას, რაც გარკვეულ ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის. ფუგასა და კონტრაპუნქტს ლიტერატურაში პარადიგმა შეესაბამება.

ოთარ ჭილაძის პოემები ერთი გარკვეული იდეის ნაირგვარი ტრანსფორმირებაა. ადამიანის ბრძოლა საკუთარ იდეათა და წარმოსახვათა გაუკვდავებისაკენ, უძველესი დროიდან ვიდრე დღემდე, არის მისი ათივე პოემის ძირითადი მსოფლმხედველობრივი საფანელი. მეტყველებს გილგამეში თუ ორფეოსი – ეს ავტორის უთვალავ სპექტრად დაშლილი „მე“-ს ძახილია, რომელიც გაკერძობული ზოგადის ხილვებში მოაქცევს ადამიანური აზროვნების მტანჯველ კითხვებს. ცალკეული პოემა

ამ საყრდენი მომენტიდან გამომავალი სიუჟეტური ხაზების კონტრაპუნქტული ათვისებაა. დანაწევრების პროცესი უსასრულოდ გრძელდება. აქ აბსტრაქტულიდან პიროვნულში გარდასახვის სურათი მთავრდება ახალი აბსტრაქციების ამოზიდვით, ამიტომაც ოთარ ჭილაძის პოემები, როგორც ერთი თემის ნაირსახოვანი გამოხატვა, განსხვავებულ სიტუაციასა და კონკრეტულ ფაქტში, ქმნიან ფუგას ეფექტს. თითოეული პოემა, რომელშიც ზოგადი აზრი ახალი კალაპოტით წარმოდგინდება, კონტრაპუნქტულად დაშლილი რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზით მთლიანდება, რითაც აღდგება ილუზიურად დარღვეული ჰარმონია. ზოგჯერ ეს ტენდენცია შემოიფარგლება კომპოზიციის ასოციაციური მრავალხედიანობით (მაგ. „იტალიური რვეული“), ხანაც ერთმანეთს ექსოვება რამდენიმე მიკროპოემა (მაგ., „სიყვარულის პოემა“), როდესაც მათ შორის მოხსნილია გაუშუალობის პრინციპი. „სიყვარულის პოემაში“ სამი სიუჟეტური ხაზი ერწყმის ლაიტმოტივს: „ფიქრები – სიყვარული გაზაფხულზე – ევრიდიკე და ორფეოსი. ლირიკული თხრობის მდინარება მოკლებულია სწორხაზოვან სტრუქტურას: მოქმედება და სამოქმედო არე არეულია, კინოკადრივით სწრაფად ენაცვლება მომენტი მომენტს, მხოლოდ ავტორისეული რემარკი („გაგრძელება“, „დასასრული“) მიგვანიშნებს, თუ საით უნდა წარიმართოს მკითხველის აზრი.

თამაზ ჭილაძის ბელეტრისტული თხზულებანიც ანალოგიურ თვისებებს ამჟღავნებენ. ფუგასებურია მისი პროზა იმდენად, რამდენადაც გამოხატულია შინაარსობრივად სტერეოტიპული გარემო, სადაც მოძრაობენ, მოქმედებენ და საუბრობენ არა ინდივიდუალიზებული ტიპები, არამედ ისეთი პერსონაჟები, რომლებიც თითქოს გადადიან მოთხრობიდან მოთხრობაში, ერწყმიან ერთ აზრსა და თემას (ჩვეულებრივი მწერალი და ინტელიგენტი თანამედროვე პირობებში), გამოავლენენ ნათესაურ ხასიათებს. ამიტომაც თ. ჭილაძის გმირები ორიგინალური არიან თანამედროვე ლიტერატურის ფონზე, მაგრამ თვით ავტორის შემოქმედებაში თითქოს იმეორებენ თავიანთი ცხოვრების ქვეცნობიერ სიღრმეში დაძირულ მონაკვეთებს. თვით კონკრეტული ნანარმოები იმდენად განიტოტება ასოციაციური ხედებით, რომ ქმნის დამოუკიდებელ სტრუქტურულ შენაკადებს (ოთარ და თამაზ ჭილაძეები – ერთი პოეზიაში, მეორე – პროზაში – ახორციელებენ ზიარ ესთეტიკურ-პოეტიკურ მრწამსს). მაგალითად, მოთხრობაში „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ გამოიყოფა ორი დამოუკიდებელი ფაბულა, რომელიც მიმდინარეობს ერთი პერსონის ირგვლივ: ა) ზღვაზე და ბ) წვეულებაზე

ერთდროულად იშლება მოქმედება; ფრაგმენტების სწრაფი ცვლით სიუჟეტის განვითარება ორივე ხედში ერთ – გამოგონილ – დროში ხდება. თავისი მხრივ ზღვისპირეთის მოგონებანი იძლევიან ორ პარალელურ ქვეხაზს: ა) მარი და ლევანი; ბ) მარი და მიტო. ტრადიციული პოეტიკის მიხედვით, ქაოსურ წყობაში სინათლე იჭრება კონტრაპუნქტის ხერხით, რომელიც სხვისებრ გაბნეულ მონაკვეთებს მოაქცევს საერთო ფოკუსში. ავტორი თავად გვანვდის რემარკებს, რათა ლაბირინთულ სისტემაში ადრევე გავერკვეთ, ხოლო როცა ნანარმოები აღიქმება, ქრება ყოველგვარი უხერხულობა. გადატანილი და გაფანტული ადგილები ჩაჯდებიან კუთვნილ ადგილას და შეჯამებული აზრი გამოსჭვივის. მუსიკის პრინციპი აქ გამოყენებულია ფაბულის სიუჟეტურად გაშლის დროს.

ცნობიერების პიობრაფია

როგორც ითქვა, დასავლეთ ევროპის მწერლობა ამ საუკუნის 10-იანი წლებიდან მიუახლოვდა ფსიქოლოგიური მოტივირების ახალ ზღვარს. ობიექტური გარემო და ნივთები გამოხატვის ღირსი გახდნენ იმდენად, რამდენადაც კვალს სტოვებდნენ ცნობიერებაში. ყოველი კონფლიქტის ცენტრი და ასპარეზი აღმოჩნდა ადამიანის ფაქიზი და ნერვიული ფსიქიკა. განცდები, ფიქრები, მოგონებანი, ზმანებები ქმნიან უშუალო სინამდვილეს. სამყარო აისახება, როგორც სუბიექტურ შეგრძნებათა კომპლექსი, რომლის რეალური თავისთავადობა განმტკიცდება შთაბეჭდილებათა ასოციაციური სისტემით. ცნობიერების მოძრაობა, თავგადასავალი, მდგომარეობა გადაიქცა ასახვის ობიექტად. თუ ტრადიციული პროზა შეგრძნების პროცესს ხატავდა, მოდერნისტები შემეცნებული თუ გონების პრიზმაში გადატეხილი და ჩარჩენილი მოვნებებისა და საგნების გამო მსჯელობენ. უზარმაზარი სამყარო ჩაიძირა სულის მიკროკოსმოსში. უზოგადეს განონებს გამოეძებნა უჩინარი და უმცირესი დასაყრდენი ქვეცნობიერ ფსიქიკაში. გონებისმიერმა ფაქტორმა საბოლოოდ განიმტკიცა პრივილეგირებული უფლება. ემოცია გონებაში დაგროვილი წარმოსახვების ანალიზმა წარმოშვა. ხილულ ქვეყანას წაეფარა ილუზიური სამყარო. ეს მეორადი სინამდვილე გამოცხადდა ფასეულად და ჭეშმარიტად. საკუთარი თავის შეცნობის აქტი, ანუ ადამიანის ბუნების ანატომიზირება გულისხმობდა ინდივიდუალური ცნობიერების ვიზუალურ აღწერას. ამიტომაც სუბიექტის მიღმა არსებულმა რეალობამ დაკარგა სუბსტანციური მნიშვნელობა.

დავუბრუნდეთ თ. ჭილაძის მოთხრობას „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ აქ ერთმანეთს გა-

დაეწნა რეალური და წარმოსახვითი ხედი: ლევანი წვეულებაზეა, მაგრამ მისი ფიქრები სხვაგან ისწრაფვიან და მოგონებათა საშუალებით ცდილობენ გადაასახლონ პერსონაჟი ცნობიერებაში მომწყვდეულ გარემოში. სიბრტყეების მონაცვლეობა, ჯვარედინი ფიქრები ემსახურება ობიექტურად არარსებულის ხელმეორე განცდას, რომელიც უფრო მძაფრია, ვიდრე თვალწინ მიმდინარე მშვენიერი სურათები. მოგონება გაძვირფასდა: ლევანი ეთამაშება ბავშვს თუ ცეკვავს ქალთან, გონებით გარდასულ დღეებთან დაბრუნებას და მათ გამოხმობას ცდილობს. მოცემულ დროს ცნობიერებაში არეკლილი ვითარების შთაბეჭდილებანი უფრო ძალუმად შეიგრძნობა, ვიდრე ინდივიდზე ზემოქმედი სინამდვილე: მოგონება ქმნის რეალობას. ამდენად, მოთხრობაში გახლავთ გადამქრალ დროში, ანუ საკუთარი ცნობიერების იდუმალი ხვეულების წვდომა. მოხეივმე გარემო გაიაზრება მთლიანი მოქმედების ექსპოზიციად, გამომწვევ პანორამად. ეს არის მოტივი იმისა, რომ ლევანის მიერ განვლილი გზა და დრო – ოჯახიდან გასვლის მომენტი დაწყებული ვიდრე დაბრუნებამდე – მოულოდნელსა და საინტერესოს არაფერს შეიცავს. ის, რაც მან აწმყოში განიცადა, მოკლებულია ობიექტურ ღირსებას. ნანარმოების კომპოზიცია სწორედ მოგონებათა ამეტყველების ინერციით სისტემდება. მისი გასრულება და ლევანის დაბრუნება სახლში (რაც ამ ხედის სიმბოლურ გამოხატვას ნიშნავს) შინაგანი დაძაბულობის განმუხტვასა და სათხრობი რეგლამენტის ამონურვას დაემთხვა.

ო. ჭილაძის პოემაში „ცირკი“ ორი სიბრტყე ენაცვლება ერთმანეთს: ცირკი და ცხოვრება. მაგრამ არენა მხოლოდ იმპულსს იძლევა ცნობიერებაში ჩაძირული მოგონებების გასალვადებლად. კლოუნი, აკრობატი და ვეფხვი ფაქტობრივად მოძრაობენ, დაუკარგავთ საკუთარი არსებობა და ცოცხლობენ უცხო შინაარსით ემპირიულ ცნებაში. ცირკის არენა, თავისთავადი ფასეულობით, გაცნობიერების სურვილის მიღმა რჩება. იგი იხილვება თვალთ, მაგრამ გული და გონება გადადიან ასოციაციებით მოქსოვილ სამყაროში, რომელიც ცხოვრების დაკარგული მონაკვეთის ხელმეორე შეგრძნებაა. ფიქრებში ხეტიალი, მოგონებებში ჩაკეტილი ბრუნვა და ზმანებების განახლება წამიერად წყდება არენაზე მოქმედებისა და სიტუაციის გადაადგილებით, რაც კვლავ ახალ სპექტრში გადაკვეთს გადარჩენილი წარსულის ქაოსურ დინებას. ინდივიდუალური ცნობიერების თავგადასავალი ეხლართება გაშარყებულ სინამდვილეს, რომელიც ოდესმე იქცევა მოგონებათა კუთვნილებად, მაგრამ ვიდრე ფიზიკურად განიცდება – არ არის ყურადღების ღირსი. იგი იხატება თვალის გუგაზე,

მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით არ აღიქმება, რადგანაც საბაბია და არა მიზანი, რამდენადაც ეს მომენტი ძვეს საკუთარი წარმოსახვით დადგენილი სინამდვილის საუფლოში. რასაკვირველია, ამ ორი სიბრტყის ურთიერთიზოლირება დაშლიდა პოემის თავისუფალ არქიტექტონიკას. მათ შორის საერთო ნიშნები გამოიტანება პარალელურ დინებათა შეერთებით. მაგრამ დრამატიზმი მიიღწევა მეორეული ხედის არსებობით. რეალური სიბრტყით მოჩარჩოვდა გაუფორმებელი ფიქრები. ცნობიერების ხედმა კი განფინა ძირითადი შინაარსი. მათი დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზები იქმნება პარალელური და პერპენდიკულარული ფრაგმენტების მოშველიებით. ყოველი რეალურის აღქმა გადადის ცნობიერების სფეროში („და პანანინა ძაღლის თათებმა ვეება ბურთი ისროლეს მალლა. მალლა შენ ზიხარ... თითქმის კედელთან“...), რაც თავის მხრივ, დიფერენცირდება („დღეს კი ხეს გავხარ, რომელსაც უკვე გადაუარეს თავზე ღრუბლებმა. მეც ღრუბელი ვარ, მაგრამ შენს მხარეს არ წამომიღებს ქარი დღეიდან“). ცნობიერების უპირობო მოძრაობა თრგუნავს ხილულ საგნებს, ართმევს ნამდვილ აზრს და წარმოადგენს წმინდა ფორმების გროვად, რომელშიც სუბიექტური თვალსაზრისი ჩასახლება. პოემა „ცირკი“, ისევე, როგორც „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ აქტიური მოგონების ძიებით შექმნილი ნაწარმოებია.

ედიშერ ყიფიანის რომანი „წითელი ღრუბლები“ იერთებს მოდერნისტული პროზის ნაკადს, მაგრამ ნაწარმოების აგების ტრადიციულ პრინციპებს ინარჩუნებს. მწერალმა შემოიტანა ის, რაც ამკარად აკლდა ტრადიციული რომანის სქემას, მაგრამ ექსპერიმენტის გზით არ წასულა. ცნობიერების თავგადასავალი იხატება და ანალიზდება თხზულების მესამე სიუჟეტურ ხაზში – „სამსონი – თეთრი წერტილები“. სხვა შემთხვევაში ნაკლებია რეტროსპექტული სვლები, შინაგანი მონოლოგები და დაშლილი მოქმედება. სამი სიუჟეტური ხაზის კონტრაპუნქტული დინება კარგავს რომანის არქიტექტონიკას, რომლის გაგება ძირითადად თავსდება ტრადიციული რომანის პოეტიკაში, სიხლე კი მოიპოვება როგორც არსებულის დანამატი (ამასთანავე გასათვალისწინებელია მოდერნისტული ტექნიკის გამოყენების კონკრეტული პასაჟებიც).

სამსონი არ არის ანალიტიკური ქუის პატრონი. იგი ერთი უბრალო რკინიგზელია. ამიტომაც მისეული განსჯა ფაქტებისა – პრიმიტიულია. აქ საინტერესოა თვით ავტორის პოზიცია და ხერხები, რომლებიც წარმოაჩენენ ავადმყოფი პერსონის დაბურულ ზმანებებს. წყვილით გარემოცულ გონებაში შეჭრილი სინათლის წერტილები უკვე ნიშნავს ქვეცნობიერი ფანტაზიის ამოძრავებას.

ინთებიან ჩამქრალი ნათურები. ცოცხლდება დავინწყების ლიბრით დაფარული სურათები. მოგონებები ელვის სისწრაფით ჩაატარებენ სამსონის წინ განვლილ სიცოცხლეს. ცნობიერება უნებლიედ ამოატივტივებს გარდასულ დღეთა გახსენებას: **„არაფერი ერთმანეთს არ უკავშირდება, სულ არაფერი, არც ერთი ხმა არ იწვევს მსგავს ხმას; არც ერთი სურათი – მომდევნო სურათს. ნაკუნ-ნაკუნ დაფლეთილი წიგნივითაა გონება, თავგების შეჭმული წიგნივით, მისი აღდგენა, ალბათ, აღარ შეიძლება“**. ეს თვით ავტორისმიერი რემარკაა, რითაც განისაზღვრება გმირის მთლიანი თუ დაქუცმაცებული ფიქრები. პერსონაჟის პრიმიტიული გონება შემოიფარგლება მოგონებათა სურათების (კომპოზიციური თანამიმდევრობის თვალსაზრისით) უთავბოლო ჩვენებით. თვით ანალიზის პროცესი, განსჯა და მსჯელობა მას არ ძალუძს. ამიტომ ავტორის მეტყველება ჩასახლება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გმირის ფსიქიკაში, რითაც გამოიხატება ინდივიდის მოძრაობანი ლეთარგიული ძილის დროს. ტვინში დაგროვილი უზარმაზარი სიბნელე იცრიცება. სული იფანტება წარსულის დღეთა ხსენებაში. აწმყო მოიხსნა. მასთან გმირს სუბიექტურად არაფერი აკავშირებს. აწმყო დროისა და საგნებისთვის მკვდარია. ფიქრები ასოციაციებით იშლებიან. ცნობიერების ველში ყოველი თეთრი წერტილის შემოსვლა აღძრავს ახალ სურათებს. დავინწყების კარი იხსნება. ხსოვნაში ქვეცნობიერად არსებული ლანდები ამოინევიან ემპირიულ რეალობამდე, რომელიც სუბიექტურ წარმოდგენათა შედეგია (**„ოდესღაც გაუგონია ეს ხმები, ეს სურათებიც უნახავს, მაგრამ აქამდე არასოდეს გახსენებია. ახლა კი ახსენდება თავისთავად, ძალდაუტანებლად, გაძახება არც სჭირდებათ, თვალს მოჰკრავს თუ არა, განათებულ ქუჩურტანას, მაშინვე დაიძრება ახალი სურათები და ახალი ხმები“**). აღსანიშნავია, რომ გამოხატვის სპეციფიკური სტილი განაპირობა ფაქტის თავისებურმა, არატიპიურმა ხასიათმა.

ამრიგად, ნაწარმოებიდან ნელ-ნელა იდევნება სუბიექტი – დომინანტი. ცნობიერება, როგორც აბსოლუტური გმირი, დინების პროცესში წარმოაჩენს ინდივიდუალურ აზვირთებებს. ნაკადის მოძრაობის სიჩქარე წარმოშობს ზედაპირზე ტალღის გრეხილებს. ჭავლის ციმციმით აღტაცება და სიღრმეში ჩაძირვის ნება გამოაჩენს ხელოვანის პოზიციას – მიმართებას ესთეტიკურის მიღმა მდგარ საგნებთან. თვით ეს მომენტი, რომელზეც შედგა ინდივიდი, რათა მოგონებების გამმა აესახა, პიროვნებისთვის შეჩერებული ჟამის ფაქტობრივი წერტილია. ამ დროისათვის ადამიანი თითქოს კი არ ცხოვრობს, არამედ იხსენებს, აღიდგენს.

პარალელური დროები

„ცნობიერების ნაკადის“ მეთოდის მიხედვით, არ არსებობს კალენდარული დრო (რაც იდეალისტური თვალსაზრისის მხატვრული გარდასახვაა). იგი ნაყოფია ჩვენი სუბიექტური წარმოდგენებისა. მარსელ პრუსტს შემოაქვს ლიტერატურაში რეალური დროის ახლებური გაგება: ის, რასაც ამჟამად განვიცდით – ყალბია, რეალური კი არსებობს ჩვენს მოგონებებში. დაკარგული დროის აღდგენა ცნობიერებაში – უშუალო სინამდვილეა. იგი წარმოიშობა ხილვების მიერ მოგროვილი საგნობრივი შეგძნებებით, რითაც დასტურდება საკუთარი არსებობა. რომანის გმირები ნაწარმოებში კი არა, ავტორის მოგონებებში არსებობენ. სანამ „მე“ ვცოცხლობ, გრძელდება დრო განუწყვეტელ წარმოდგენებში. ხოლო „მე“ პრუსტისათვის განუსაზღვრელია. რომანის მთავარი გმირი ეძიებს დაკარგულ დროს და რაც უფრო მეტი აღდგება, მით უფრო გამდიდრდება სუბიექტის უშუალო სინამდვილე. საამისოდ საგნები დაინახება სხვადასხვა განზომილებაში. ქრონოლოგიური აღრევები საბოლოოდ აუქმებენ ტრადიციულ შეხედულებას დროზე.

ჯეიმს ჯოისის „ულისეში“ გამოისახა წარსული და თანამედროვეობის ნეგატიური კავშირი. წარსული, ანმყო და მომავალი მოქცეულია ერთ ღვთაებრივ ხედვაში. მასთან დრო ხარისხია და არა მანძილი. რომანში აღწერილი 1904 წლის 16 ივნისი განასახიერებს კაცობრიობის მთელს ისტორიას. პარალელური და აჩქარებული დროები შლიან კონკრეტული შეგრძნების ზღვარს; „ფინეგანის ქელეხში“ მოთავსდა ყველა დროის და ხალხების თავგადასავალი. ენციკლოპედიური რომანი გადაიქცა იდეალურ ისტორიად. ოლდოს ჰაქსლი ერთ ხედვაში ათავსებს სხვადასხვა დროის ექსპოზიციებს – წარსულსა და მომავალს. ასევე იქცევა ერნესტ ჰემინგუეი (ვიდრე განიცდიდა ჯოისის მძლავრ გავლენას). ვირჯინია ვულფის რომანში „მისის დელოუი“ ერთი დღით განისაზღვრება მოქმედება. დღვანდლობის პრიზმაში წამოისახება მთლიანი წარსული. შეკუმშული ჟამი იძლევა საშუალებას თხზულებაში რამდენიმე ხედის შემოტანისა, რითაც ყალიბდება სიმბოლური სტრუქტურა და მოქმედება, როგორც ალევორია. **„ჩვენ ჩვენსავ თავში დავხეხებთ“**, აცხადებს სტივენ დედალოსი. მაგრამ საკუთარ გონებაში წრებრუნვა, თუ ვერ გასცილდა მოგონებებს, უპერსპექტივოა. ხოლო როცა თავისუფალი ასოციაციების თამაში, იღუმალი მინიშნებანი და შორეული ასპექტები მთლიან სამყაროს შეიტანენ პერსონაჟის ცნობიერების ფენებში, გაერთიანდება დრო და აღდგება ფიზიკურად დაკარგული სულის წარსული. დროების პარალე-

ლური დინება და ესთეტიკური შეგრძნება ავსებენ ჩვენს შეხედულებებს გარემომცველ სინამდვილეზე. ხოლო მათი ხშირი გადაკვეთებით, მოჩვენებითი ალოგიზმით (როცა ვერ ხერხდება გარჩევა, მოქმედება მოხდა, მოხდება თუ ხდება) პრაქტიკულად გაუქმებულია კალენდრით დაწესებული ჟამი – ხელოვნებაში შემოდის გამოგონილი დროის ცნება, რომელიც ინარჩუნებს აბსოლუტური დროის თვისებებს. ამიტომაც იგი, როგორც იდეალური დრო, მოკლებულია სიმყარეს. რეალურსა და იდეალურ დროებს შორის არ მოიძებნება საერთო პირობითი ნიშნები: ერთი საათი ზოგჯერ საუკუნეებს იტევს და ა.შ. ფიქრების სკრუპულოზური ანალიზი კი იწვევს საპირისპირო ტენდენციას.

თამაზ ჭილაძის მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით“ იწყება ასე: ნიკა დგას ფანჯარასთან და წვიმიან მიდამოს გაჰყურებს. სიუჟეტების პარალელური დინება, კონტრაპუნქტის ხერხი მის ფიქრებს წარმართავს ობიექტური წარსულისაკენ: ა) ნიკას აგონდება უცნაური რკინიგზელი და ბ) მისი ცოლის მოულოდნელი სტუმრობა. აქ წყდება გახსენებათა სურათი, მაგრამ გარემომცველი საგნებიდან რომელიმე მათგანზე ყურადღების შეჩერება კვლავ ცვლის სუბიექტის მდგომარეობას: **„ნიკა ადგა, კედლისაკენ პირშექცეული ნახატი აიღო და მოლბეტზე დაამაგრა. თეთრი ცხენი ნაღვლიანი თვალებით უყურებდა. მერე ნიკას გაახსენდა, თუ რატომ დახატა ცხენი“**... მეზობლის კარებზე დაკაკუნებამ ისევ შეუცვალა ფიქრთა მდინარეებს გეზი, ვინაიდან იცოდა, რომ ეს გვიანი სტუმარი რკინიგზელის ცოლთან მიდიოდა. თანდათანობით ცნობიერებაში ამოიწია მარინეს სახე. ნიკას მოაგონდა მისადმი მიწერილი ბავშვური ბარათები. აქ ისევ ანმყო ჩაერთო. ნიკა „დღეს კინოში წასასვლელი არ იყო“. ამ ფაქტმა ახალი ნიუანსით შეავსო დაკარგული დროის აღდგენის პროცესი. ახლა მას ახსენდება თავისი პატარა კაიუტა და აისორი ბიჭი ჩიპო. შემდეგ, არც იცის რატომ – ქვეცნობიერად – ხელმოცარული მხატვარი ძია კონია გაახსენდა. ექსპოზიციური ფონი დასრულდა, ხოლო სიუჟეტი გაიკვანდა მარინეს მოსვლით. ნიკა უკვე ღრმად იძირება ფიქრთა სქელ ფენებში. ასოციაციების ქსელი ამოზიდავს ანმყო დრომდე ნიკასა და მარინეს სიყვარულის თავგადასავალს, რომელიც რამდენიმე ქვეხაზად იშლება: ა) ნიკას ახსენდება მამა, პირველი ნახატები, დედა, გიჟი ეფრემა, სასაფლაო; ბ) დათოსა და ამრინეს ურთიერთობა, რომელიც კიდევ დიფერენცირდება და ა.შ. მათი შეერთება ქმნის მოგონებათა ხედს. პირველი ქვეხაზი ვითარდება ნიკას, მეორე – მარინეს მოგონებებით, მაგრამ სასაზღვრო კომპონენტები მოხსნილია: ავტორი თა-

ვისთავში აერთებს პერსონაჟთა ბიოგრაფიებსა და ინტონაციებს, ხოლო რეალური ხედი ყალიბდება თხზულების შუაგულის შემდეგ. მასშიც იჭრება ფრაგმენტული გახსენებანი. ამრინესადმი სიყვარულის გრძნობა ამთლიანებს პირობითად დაყოფილ ხედებს. პარალელურ დროებში დახარჯული ვნებები განიცდება, როგორც უშუალო სინამდვილის შინაარსი.

მოთხრობა „შუადღე“ (თ. ჭილაძე) გაცილებით რთული სტრუქტურის ნაწარმოებია. აქაც ორი ხედია: გარდასული და რეალური. მაგრამ მათ წამყვანი ფუნქცია თხზულების კომპოზიციის ასაგებად არ ეკისრებათ. თავიდან, ექსპოზიციურ ნაწილში იხატება სიმბოლურ-ალეგორიული სურათი: სასაფლაო, შაოსანი ქალი და ტაქსისტი. აქ უკვე არეულია ცნობიერი ხედები. მათ გამოცალკევება წარმოსახვაშია შეიძლება. მოთხრობის კონტრაპუნქტული ნყოფა გამოყოფს ორ ძირითად ხაზს: ა) თებროს ამბავი და ბ) ტაქსისტი გოგი. მოქმედება ორივეგან პარალელურად მიდის, მაგრამ მათ შორის დროის სხვაობა ათი წლით განიზომება. საკმარისია თებროს სტეფანემ ერთი ფრაზა უთხრას („ცოდო ხარ, გოგო, ათი წელი სულ მარტოდმარტო...“), რომ წარსული განათდება, გადამქრალი აცხადდება. მწუხარე ქალის გონებაში ჩაიქროლებენ ტკბილმწარე დღეები. მისი თავგადასავალის მოგონებას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, არაერთგზის გადაკვეთს მარიკასა და გოგის სასიყვარულო ამბები, მაგრამ არც ეს მდინარებაა სწორხაზოვანი. აქაც გამოვლინდება ასოციაციური ფრაგმენტები. ხოლო ორივე ძირითად ხაზს ემატება და ამთლიანებს საიქიოს პაროდირების სურათი – სიმბოლური ხედი – რომელიც კომპოზიციურად გამოვლინდება თებროს ამბის გაშლით. იგი თხზულების მესამე, დამატებითი სიუჟეტური ხაზია, ვინაიდან ისევე თავისუფლად გადმოცემა და ვითარდება, როგორც დანარჩენი ორი. გოგის ამბავში გამოცალკევდება ბავშვობის მოგონება. ტაქსში მგზავრები უსხედან. საუბარი პატარა გოგონასთან – ლიზიკოსთან უნებურად გადატყორცნის შორეულ ბავშვობაში. საჭესთან მჯდომი შოფერი იძირება წარსულში. ლიზიკოს გაუკვირდა, რომ გოგის ხელის ზურგზე ეწერა „ც“. გოგის მოაგონდა, თუ ვინ და როგორ ამოასვირინდა მის ხელზე ასო „ც“, მაგრამ ეს სურათი მეორეს ნაება: ცირა, გაახსენდა, აქ ლიზიკოს შეკითხვებმა განწყვიტეს ფიქრები: „უხელოდ... შენ შეგიძლია ნაიყვანო უხელოდ?“. მოგონებათა ფონზე კვლავ გამოჩნდა ცირა, რასაც მოჰყვა მამა, ფრანგულის მასწავლებელი, ომობანა, ძია არტემა (რომელმაც, თავისი მხრივ, ახალი შტრიხები შემოიტანა). ლიზიკოს საუბარი კოცონზე ანგარიშიუცემლად

ომს დაუკავშირდა და ა.შ. გოგის ამბავიც კი შეიცავს უამრავ გადახვევას რეალური დროიდან, მაგრამ წარსულის ყოველი სურათი არსებობს ან-მეოს პარალელურად. თვით ეს მრავალსვლიანი ფაბულა კი პარალელურია დროის, სივრცისა და მოქმედების შესაბამისად თებროს ამბისა. პერსონაჟების მთელი ცხოვრება რამდენიმე დღეში ჩვენს თვალწინ ჩაივლის. დროის შეგრძნება მკვირვდება, ცარიელი წუთები ამოვარდება მეხსიერებიდან და რჩება მარტოდენ არსებითი და სასიცოცხლო.

რომანი „აჰა, მიწურა ზამთარი“ (თ. ჭილაძე) ამკარად ატარებს განფაბულების ტენდენციას, მაგრამ მასში შედარებით ნაკლებია მოგონებანი, ფიქრები, შინაგანი მონოლოგები, ასოციაციათა ნაკადი. თუმცა პარალელური დროების გამოსაყენებელი არე შეიზღუდა, იგი სავსებით არ აღკვეთილა: ზაზას ხელში ხვდება ხუთი წლის წინათ გადაღებული სურათი მაგდასი, რაც აგონებს იმ საღამოს, როდესაც ეს ქალი გაიცნო, ან კიდევ: ოთახში შესვლისას ზაზამ თვალი მოჰკრა კუბოს თავს: ორი დღის წინათ მისი მეზობელი ბატონი ვალერიანი გარდაცვლილიყო, რამაც მისი ფიქრები გაშალა ამ ადამიანის გარშემო. მოსკოვში ჩასული ზაზა უბრუნდება მოგონებებს მაგდაზე: ახსენდება მხატვრების საგაზაფხულო გამოფენა და მაღალი გოგო. ეს ფაქტი გადაეკანცა მეორე ამბავს: როდესაც ზაზა და მაგდა შევლენ პაპუნას სახელოსნოში, მოაგონდება თუ როგორ უნიშნავდა ზაირას აქ პაემნებს. რომანში მოგონებათა ხედი არ აყალიბებს დამოუკიდებელ სიუჟეტურ ხაზს. იგი ჩაერთვის ძირითად თხრობას, რათა სრული წარმოდგენა გვექნეს პერსონაჟების შესახებ. მაგალითად, ზაზასა და დავითის საუბარში სიტყვა ჩამოვარდა თორნიკეს საეჭვო ღირსებებზე და მას ახსენდება ობივატელი მეგობარი, ჩაესმის მისი ხმები. მონაცვლეობენ გუშინდელი და დღევანდელი დროები. რესტორნის ხმაური გამოაფხიზლებს. საზიზლარი მუქარა. შინაგანი მონოლოგები. დაბრუნება რესტორანში. წარსულიდან დღევანდელობაში ამოხტომის უხერხულობა („თქვენ იცით, როგორ ტირიან ბავშვები?... გულდათუთქული, – თქვა მან ხმამაღლა და გაკვირვებულ დავითს თვალი აარიდა... სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა“).

„თიხის სამი ფირფიტა“ (ოთარ ჭილაძე) ორ კონტრაპუნქტულ ხაზს შეიცავს: ა) გილგამეში და ბ) ავტორი. მოქმედება ხდება ერთდროულად III ათასწლეულში და დღეს. პარალელური დროების მდინარება იკვრება ლაიტმოტივით. სამ თავად დანაწევრებული პოემა თანამიმდევრული მონაცვლეობით ადგილს უთმობს გილგამეშსა და ავტორს, რომელიც ისე შეეპასუხება ურუქის მეფეს, როგორც თანამედროვე პიროვნებას. პირობითობით

შემოტანილმა აბსოლუტურმა დრომ გააუქმა სა-საზღვრო ხაზი მათ შორის, ვინაიდან ბრძოლა ადამიანის მოქმედების უკვდავებისათვის ყოველთვის აქტიურ შინაარსს ინარჩუნებს.

ის, რამაც ააღელვა გუშინდელი ადამიანი და სიცოცხლე მოუშნა, გადმონვა დღევანდელი პიროვნების სულსაც, რადგან თანაბრად განიცდიან მარადისობის უფსკრულში გაქრობის საშიშროებას. ემპირიულმა დრომ ვერც ადამიანის სულსა და ვერც გარემოში არსებითი ცვლილება ვერ შეიტანა. ამიტომ ფიქციურად არსებობს. არსი კი იგივე დარჩა. მაშასადამე, დროის დინება ილუზიური ყოფილა: იგი კვალს ვერ ტოვებს. ამდენად, მოიხსნა მისი საჭიროება. სხვა პოემში („სინათლის წელიწადი“) პოეტი შენიშნავს: **„დრო ჩვენ შექვემნიტ, რათა გაგვეგო, რამდენხანს გასტანს ეს განშორება, ხოლო ცხოვრების ასაჩქარებლად დავაქუცმაცეთ იგი წამებად. დრო ჩვენ ვართ თვითონ, რადგან ჩვენს მერე ისიც გაქრება, ან გაჩერდება“**. მასში ერთი წლის ამბავი სიმბოლური შემოკლებით ჩაეტია რამდენიმე საათში: პოემა იწყება გამოღვიძების სურათით: **„მე კიდევ დიდხანს ვინეჭი ბნელში, სანამ დავრწმუნდი, რომ გამელვია. მერე კი თვალი ბნელს შეეჩვია და გაიელვს კედლებმა თეთრად, თითქოს გაცოცხლდნენ და წყვდიადიდან თითო ნაბიჯი გადმოდგეს ჩემსკენ“**. პერსონაჟი ჩამოჯდება ზღვისპირა სახლის კიბეზე და ერწყმის საკუთარ ფიქრებს. მდგომარეობა უცვლელია: **„მე ცივ კიბეზე ვიჯექი ჩუმად“** (თავი მეექვსე, XXX-VI), **„მე კი ვიჯექი და ვუყურებდი შეცბუნებული და დაბნეული“** (თავი მეექვსე, XXII), მაგრამ წარმოსახვით აღადგენს ერთი წლის განმავლობაში განცდილ შემთხვევებს, რომლებიც შთაბეჭდილებების სახით ჩარჩნენ ცნობიერებაში: პარალელური დროის იმპირიულ ოდენობას განსაზღვრავს პროლოგი:

„გამოჩნდა მინა ჩუმი და სველი ფოთოლზე ფოთოლს დაცურდა ლანდი და გამახსენდა, რომ მთელი წელი, აღარც ისმოდო და აღარც ჩანდი. ხოლო ის წელი, ის ერთი წელი, რომელიც უკვე უკუნეთს ერთვის, ჩემთვის გავიდა ძალიან წელა და, ღმერთმა იცის, რა იყო შენთვის“.

მოგონებათა დინება მთავრდება გათენებისას: **„ამასობაში ინათა კიდევ... და ზღვაც გამოჩნდა ჰორიზონტამდე გადახაზული ოთხფეხი კვალით“**. პოემის კონსტრუქციის ასაგებად გამოყენებულ იქნა რეალური დრო – შუალამიდან განთიადამ-

დე. ამასთანავე კომპოზიციური ფუნქცია აკისრია ბნელში მბორგავ ზღვას. არ არის გამოკვეთილი, მაგრამ გამოვლინდება პარალელური სიუჟეტური ხაზები, რომლებიც იდეალურ დროს რამდენიმე ფენად შლიან (კონტრაპუნქტული და სიუჟეტური ხაზები, პარალელური დროები დაახლოებით საერთო შინაარსს შეიცავენ).

„წითელ ღრუბლებში“ მესამე კონტრაპუნქტული ხაზი – „სამსონი – თეთრი წერტილები“ მთლიანად აწმყო დროის პარალელურად ვითარდება. პერსონაჟი, რომელიც ფიქრებში იმეორებს თავის ცხოვრებას, მთელი რომანის ვითარებისას მდუმარედ წევს, ხოლო სხვა პირები წამიერად უბრუნდებიან წარსულს. მათი აქტიური არსებობა ჯერ კიდევ მოქმედი პროცესია, ამიტომ გარკვეული საგანი თუ ფაქტი გამოამზეურებს ხსოვნაში მიძინებულ დღეებს. ჯაბა წევს და ოთარს აკვირდება. ახსენდება მისი მოკლე ისტორია. ანაზდად პაპიროსს გადასწვდება და გააბოლებს. აგონდება მეზობლის დაბეზლებით როგორ უსამართლოდ დასაჯა დედა. შემდეგ ეს ფაქტი უკავშირდება სხვა ფაქტს. დედის შემოსვლა გაუფანტავს ფიქრებს. ახლა საკლასო ჟურნალს ფურცლავს ჯაბა: სკოლის წლებს უბრუნდება გონება. ქუჩაში, რედაქციისკენ მიმავალს, კი აგონდება თუ როგორ ნახა პირველად კაცის მკვლეელი. ამრიგად, რეალურ დროში იმდენად შემოიჭრა წარსული, რომ რამდენიმე ემპირიულ წუთში ჯაბას ცხოვრების საეტაპო შტრიხები ჩაეტია. ზოგჯერ კონტრაპუნქტული ხაზები ერთმანეთს გადაკვეთენ. იდეალური და ემპირიული დროები ერთიანდება. ლოკალური გარემო სიმბოლოებით თანაბრდება: ბენედიქტე მიუახლოვდა სამსონის საწოლს: **„...მე მოვარჩენ ბატონ სამსონს, კაცი არ ვიყო, თუ ფეხზე არ წამოვაცენო!“** უცებ თხრობაში ჩაერთვის ავადმყოფის შინაგანი მეტყველება. ერთი ფაქტი მეორედ ახსენდება **„...მე ვიყო მართლა ექიმბაში, თუ ამ ბიჭმა ერთ თვეში ფუტბოლი არ ითამაშოს“**. – თქვა მალაქია თურმანიძემ“ და ა.შ. მოქმედებაში კვლავ გრძელდება სათხრობი დრო.

ასეთივე ხერხით არის დაწერილი არჩილ სულაკაურის მოტხრობა „დიდთოვლობისას“.

მთლიანი სივრცე

გაერთიანებული დროის პრაქტიკულმა განხორციელებამ წამალა ლოკალური და ქრონოლოგიური ზღვარი სივრცეებს შორის. ანრიკური ზეცა შემოვიდა დუბლინის ქუჩებში. დედალოსისა და იკაროსის მოდერნიზებული მითები უშუალო სინამდვილედ გადაიქცა. „ულისე“ გააზრებულ იქნა როგორც ახალი „ოდისეა“. ჯოსმა გაიმეო-

რა კლასიკური ეპოსის კომპოზიციური აღნაგობა. რომანი პირველი ვარიანტი ჰომეროსისეული სათაურებით დაიწყო: „ტელემაქე“, „ნესტორი“, „პროტეოსი“, „კალიფსო“, „ლოტოფაგები“, „აედები“, „ეოლოსი“, „ლესტრიგონები“, „სცილა და ქარიბდა“, „მოხეტიალე ლოდები“, „სირინოზები“, „კიკლოპები“, „ნავზიკე“, „ჰელეოსის ხარები“, „კირკე“, „ევმე“, „ითაკე“, „პენელოპე“. დუბლინის საროსკიპოები განათდა, როგორც ვალპურგიის ღამე. კონკრეტული ქალაქის გარემოში ჩაეგია უზარმაზარი სივრცე, განფენილი თანამედროვე და ისტორიულ განზომილებაში. იწყება ელისეს მინდვრების მითოლოგიზება. ბანალურში გამოკრთის უჩვეულო. რ. ოლდინქტონი თხზულებაში „ლეგიონის მეთაურის ქალიშვილი“, ჯოისის კვალდაკვალ, იყენებს „ოდისეას“ მოდერნიზებულ კონსტრუქციას. ო. ჰაქსლისა და ე. ჰემინგუეისთან ანმოსა და ნამყოს შერწყმით წარმოიშვა წარსულისა და თანამედროვეობის გამთლიანებული სივრცე. რობერტ მუზილის დაუმთავრებელი რომანი „უთვისებო კაცი“ სამოქმედო რეალურ დროდ მოიცავს ერთ წელიწადს (1913 წლის აგვისტო – 1914 წლის ივლისი). მაგრამ ცნობიერებით გაფართოებული სივრცე აკავშირებს მითოსსა და ისტორიას, გარდასულს და არსებულს, სხვადასხვა ქვეყნის მხარეებს. ჰერმან ბროხის ნაწარმოებში „ვირგილიუსის სიკვდილი“ მოქმედება უმთავრესად რომაელი პოეტის ოთახში ხდება. რეალური დრო შეიზღუდა და დავიდა 18 საათამდე. მიშელ ბიუტორის რომანში „მოდისიკაციები“ აღწერილია ლეონ დელმონის მგზავრობის 21 საათი. რეალური სამოქმედო ადგილია ვაგონის კუბე. ასოციაციები, მოგონებანი, ფიქრები მას ამოაგდებენ ობიექტური სივრციდან: ცოცხლდება ბავშვობის, პარიზისა და რომის სურათები. ფანტაზიით სივრცე უსაზღვროდ ფართოვდება.

„ცნობიერების ნაკადის“ მწერლებთან ახლებური გაგებით აღდგა კლასიციტური პრინციპი დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობისა. რეგლამენტირებული დროის გაუქმებამ მას მოუპოვა აბსოლუტური ფორმა, რითაც შეერთდნენ ისტორიულად და გეოგრაფიულად დაცილებული წერტილები. მოქმედების შინაარსი დაიშალა. ხელოვნების ქაოსური სპეციფიკა მიესადაგა სინამდვილის დაქუცმაცებულ და აღრეულ სურათებს. „ცნობიერების ნაკადის“ დინებას მოეხსნა გარეგნული ბარიერები. წარსულის შუქზე უფრო გამომჟღავნდა თანამედროვე რეალობის ხარისხი და თვისება.

რომანში „აჰა, მიინურა ზამთარი“ არის პასაჟები, რომლებშიც სიბრტყეების მონაცვეობა, ხილვები იდეალურ დროში და ასოციაციური გად-

ასვლები იძლევიან მთლიანი სივრცის აღქმას: ზაზამ სინათლე ჩააქრო. დაწვა, ფიქრებმა აიყოლიეს. თითქოს განვიდა თავისი თავიდან.

იდეალური სივრცის ჩარჩოდან გამოეთიშა კონკრეტული გარემო. აღდგა რეალური თანაფარდობა.

მოთხრობაში „პოსეიდონის სასახლე“ (თ. ჭილაძე) ავტორი გვანვდის აზრს, რომელიც, ამ თვალსაზრისით, მისი შემოქმედების კვინტესენციაა: **„ადრე, მგონი, გითხარით, ფიქრით ერთდროულად სხვადასხვა ადგილას შემოძლია ვიყო-მეთქი. ისე, რომ თანამოსაუბრე ვერც კი შეამჩნევს და თუ არ ვცდები, ამის დასამტკიცებლად მაგალითიც მოვიყვანე“**. წარმოსახვითი გადაადგილება უკავშირდება დატეხილი დროების აღრევას, სხვადასხვა სიბრტყეების ურთიერთგადაბმას.

„თიხის სამი ფირფიტა“, როგორც აღინიშნა, წარსულისა და დღევანდელობის გამაერთიანებელი პოემაა. გილგამეშის კეთილშობილი ტრაგიზმი, შინაგანი დაეჭვება და ჭმუნვარება დროისა და სივრცის ნისლით არ იბინდება. ავტორმა იგი აამეტყველა, როგორც სავსებით თანამედროვე სულისკვეთების ადამიანი, რითაც ნაიშალა ზღვარი მოგონებასა და რეალურს შორის: **„მე, გილგამეში: ნანსუნის შვილი, ურუქის მეფე და გმირთაგმირი, ჩემი მაღალი ხმითა და ტანით მოვარღვევ მინას და თვალწინ მიდგას ევფრატის წყალი, ქალურად უხვი და იდუმალი“**. გილგამეში და ავტორი ერთ სახეში გაერთიანდნენ (ცხადია, სივრცის კატეგორიის დაძლევა და მასზე ამაღლების სურვილი არის მარტოოდენ პოეტური ილუზია, რომელიც იძლევა საკუთარი ნააზრევისა და განცდილის მეტი ორიგინალობით გამოხატვის გარანტიას).

განვსაზრებელი და დასული მასალა

მოდერნისტულ და ავანგარდისტულ პროზაში ფაბულამ დაკარგა ნამყვანი ფუნქცია. ტრადიციული სიუჟეტის პოეტიკა გაუქმდა, ან იმდენად იცვალა სახე, რომ მეორე თუ მესამე ხარისხოვან მოვლენად გადაიქცა. ხელოვანი ჩაღრმავდა ინდივიდუალურ ფსიქიკაში. იქმნება სექსის რელიგია. შესაბამისად დაირღვა ხელოვნების ტრადიციული კანონები. სინამდვილის ქაოსურ ბუნებას მიესადაგა ასიმეტრიული სტრუქტურა, რომელმაც მოიტანა ჰარმონიისა და პროპორციის ახალი გაგება. ფაბულის აგების ტრადიციული ტექნიკა ჩათვლილ იქნა სქემატურად, რამდენადაც არ აჩვენებს სინამდვილეს ისე, როგორც არის. რეალობას არ სჭირდება მხოლოდ პოეტური შარავანდედით

გარემოცვა. გონება გადაიღალა ატასგვარი ნავრ-
ილმანებითა და შთაბეჭდილებებით. ყოველი დღე
მოიცავს უთვალავ ბანალურ ეპოზოდს. ცხოვრება
სრულიადაც არ არის სიმეტრიული. პეროიკული
ირონიულს ემეზობლება, სასაცილო – სატირალს,
ტრაგიკული – კომიკურს და ა.შ. განუწყვეტილი
იცვლება გარე და შინა სამყარო. გამორიცხულია
სწორხაზობრივი მდინარება. ერთი იმპირიული
დღეც კი მოიცავს უამრავ გადამკვეთ შეხედულებას,
განცდას, აღქმას, მოგონებას, ასოციაციას,
თვითანალიზს. ყოველივე ეს მით უფრო რთულ-
დება, რამდენადაც რაფინირდება ინტელექტი, მახ-
ვილდება ცნობიერების უნარი. ამიტომ ხელოვნებამ
უარი უნდა უთხრას ტრაფარეტულ ერთფეროვნე-
ბას, რომელიც მოითხოვს კონკრეტული ამბის, ინ-
ტრიგის განვითარებას, თანაც ისე, რომ არცერთი
საფეხური არ იქნეს გამორჩეული. ყოველივე მასში
მათემატიკური სიზუსტითაა გამოთვლილი: პრო-
ლოგი, ექსპოზიცია, გაკვანძვა, მოქმედების განვი-
თარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა და სხვა. მათ
შიგნით კიდევ ისახება პოტენცია დიფერენცირე-
ბისა. რადგან თანამედროვე ადამიანის ცხოვრება
გადაიტვირთა უზარმაზარი გარეგანი ინფორმაცი-
ით, გართულდა პიროვნების ფსიქიკური წყობა.
ტექნიკის უმაგალითო განვითარებამ, ურბანიზე-
ბის სწრაფმა პროცესმა და საერთოდ, მთელმა
ცივილიზაციამ ადამიანს შეუზღუდა ფიზიკური
მოქმედების საჭიროება და სივრცე. ამიტომ თუ
ტრადიციული ხელოვნება იყო ექსტროსპექტული
– შიგნიდან გარეთ მიმართული, „ცნობიერების ნა-
კადისა“ და შინაგანი მეტყველების მეთოდი გარე-
დან შიგნით არის ჩაბრუნებული – ინტროსპექტუ-
ლია, რაც ფართოდ გახდა პოპულარული. გუსტავ
ფლობერის სურვილი მატერიალობისაგან განწმენ-
დილი პროზის შესახებ, მოდერნისტებმა განახორ-
ციელეს, ხოლო ფრანგული „ახალი რომანის“ და
„კიდევ უფრო ახალი რომანის“ წარმომადგენლები
უკიდურესად შორს წავიდნენ. მათთან ყველაფერი
ანონიმურია. ზოგან პერსონაჟიც ქრება (ნატალი
საროტი – „ოქროს ნაყოფი“, ალენ რობ-გრიე –
„მოშურნეობა“...). მოდის წმინდა ლიტერატურის
კულტი, რომლის წარმოდგენა გაუცნობიერებელი
განცდების, შესტების, ინსტინქტებისა და ქვეც-
ნობიერი საუბრების ჩანაწერად ნიშნავს ხელოვნე-
ბაში ყოველგვარი პირობითობის და აბსურდის
დაშვებას. თუ პრუსტი და ჯოისი მიდიან ექსპერი-
მენტების გზით – საბოლოოდ კავშირს ტრადიცი-
ასთან არ წყვეტენ, ვინაიდან მოითხოვენ მის მოდ-
ერნიზებას და არა ყველაფრის თავიდან დაწყებას
(„ფინეგანის ქელეხის“ გამორიცხვით).

რასაკვირველია, ქართულ სინამდვილეში ანა-
ლოგიური თვითნებობანი არ შეინიძნება, მაგრამ

განფაბულების ტენდენცია იმდენად მძლავრია,
რომ ლირიკულ პოემებში უკვე საბოლოოდ დაიშა-
ლა მასალა (ო. ჭილაძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია,
გ. გეგეჭკორი, ე. კვიციანიშვილი, რ. ამაშუკელი...),
ხოლო პროზაში შენარჩუნდა, მაგრამ სიუჟეტის
განვითარებას მოაკლდა დრამატიზმი. ამბავმა ჩამ-
ოიშორა ძველებური ინტერესი. სულის მოძრაობის
ჩვენებას დაემორჩილა ნაწარმოების სტრუქტურა
(თ. ჭილაძე, ე. ყიფიანი, გ. გეგეშიძე)...

თამაზ ჭილაძის მოთხრობა „წერო“ მოკლე-
ბულია სწორხაზოვან ფაბულას. ძირითადი ამბა-
ვი, რომელიც მას აძლევს არქიტექტონიკურად
გამთლიანებულ სახეს (იგულისხმება ტრადიციული
მოთხროვნა), არის ნაწარმოებში ჩართული სიზმარი.
თავიდანვე ნაშლილია ცხადსა და სიზმარს შო-
რის გამთიშავი, სასაზღვრო ხაზები. გვეჩვენება,
რომ მოქმედება რეალურად მიმდინარეობს. ყოვე-
ლი დეტალი ნათლად არის მოქცეული თხრობა-
ში, მაგრამ მოულოდნელი გაფრთხილება გვარწ-
მუნებს („მერე ჩვენც უკვალოდ გავქრებით და
არაფერი დარჩება, – ისმოდა ქალის ხმა, თუ
ზღვა ლაპარაკობდა ქალის ხმით? უცებ მანქა-
ნის ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა, –
რომელი საათია ნეტავ? – იკითხა – თორმეტი
იქნება, – უპასუხა ქალმა“), რომ თურმე ავტორი
თავისი გმირის სიზმარს ხედავდა და გვიყვებოდა:
უკვე ეს ფაქტი მკითხველს აიძულებს, სხვა თვალ-
ით შეხედოს თხზულებას. თავიდანვე მკითხველი
შედის პარალელური დროებით გაერთიანებულ
სურათებში. ცალკეული დეტალი კომპოზიციურად
დასრულებულია. იდეათა კომპლექსი გამოვლინ-
დება მოქმედებაში, მაგრამ არაიშვიათად წყდება
ეპიკური პასაჟები ლირიკული გადახვევებით.
ტრადიციული შეხედულებით, მოთხრობის ფინალი
ბუნდოვანი და უინტერესოა. ქმარმა ძალით ჩააცვა
ცოლს საქორწინო თეთრი კაბა და გარეთ გავიდნენ.
წვიმა. მთვარე, ზღვისპირი. ცირა უცებ გაიქცა,
უჩას დაძახილზე უკან არ მოუხედავს. ამ მომენტს
მოსდევს ლირიკული მონოლოგი. თხზულება გან-
იცდება სიმბოლოების არსის ამოხსნით. ამჯერად
ქალი დახატულია, როგორც წერო. სიმბოლო იმ-
დენად დაუახლოვდა აღსანიშნ საგანს, რომ წარ-
მოიშვა გმირის ორსახოვანი სტრუქტურა. ამიტო-
მაც ლირიკული მონოლოგი ვითარდება წეროზე
ფიქრით: „წერო მიფრინავდა. წვიმით გატე-
ნილი, ზღარბივით გაბურძგნილი ღრუბლები
გზას უკეტავდნენ. დაბლა ზღვა იყო, ბინდით
დაფარული, გარინდებული, მიფრინავდა და
ვერაფერს ხედავდა, ვერც დაინახავდა რამეს,
რადგან გარშემო ღრუბლების მეტი არაფერი
იყო. იცოდა, რომ უნდა ეფრინა, თუ სიცოცხ-
ლე უნდოდა, უნდა ეფრინა დაუსრულებლად,

შეუჩერებლად. არ უნდა დაღლილიყო, ან არ უნდა ეგრძობინებინა ღრუბლებისათვის, რომ დაიღალა. იცოდა, ვერავინ უშველიდა. ამ ყრუ სიმარტოვეში მხოლოდ ფრენას შეეძლო მისი გადარჩენა და ისიც მიფრინავდა იქით, საითაც ახლა მასთან ერთად მიეშურებოდნენ ქარი და ვარსკვლავები, რომელთა დაჯერებულ რბოლასაც ის გუმანით გრძნობდა, რადგან ვერც ვარსკვლავებს ხედავდა, ქარი დროის დინება იყო, მკვრივი და მოციმციმე მდინარე, რომლის ტალღებზედაც ის ფრთებს ასვენებდა ხოლმე, ეგდო მის ზედაპირზე გულამოვარდნილი და ფრთაგაშლილი და დრო მიაფრენდა მას თვალუნვდენელი ზღვის თავზე, შორს, მთვარით განათებული ბალახისა და სიმშვიდის ქვეყანაში, საიდანაც მერე ისევ უცებ აიტაცებდა და უკან წამოიყვანდა ისევ ამ მდუმარე, ბნელი და სახიფათო გზით და ასე დაუსრულებლად. განა ქარს რაიმე დაღლიდა? ამიტომ ის არ უნდა დაღლილიყო, თუ უნდოდა, რომ ეცოცხლა“.

მოთხრობა იწყება ქალის საუბრით წეროებზე; როცა უჩამ შენიშნა ცირა – თემშარაზე გამოსული (მაშინ ცოლ-ქმარი არ იყვნენ), იგი ცას აპყურებდა და იძახდა: „წერო!“ „წერო!“ ამ დროიდან კაცის წარმოსახვაში წერო და ცირა ერთმანეთის ნაწილად იქცნენ: „მარტო ეს სიცილი მოძრაობდა, ნელ-ნელა ადიოდა მალლა და რაც უფრო მალლა ადიოდა, სახეს იღებდა, საღამოს ცის ნაცრისფერ ბინდბუნდში ჯერ მკრთალად, მერე კი თანდათან უფრო მკაფიოდ წეროს დაემსგავსა, ლალად ფრთაგაშლილ, შორს გადასახვენად აღზნებულ წეროს“. უჩამ ქალის სული წეროდ აღიქვა; შეამჩნია მისი ჰაეროვანი და მეოცნებე ბუნება. კაცის სიზმარი ამ მოტივის ხილვა, ქვეცნობიერად მოცემული გრძნობის გაცნობიერება: ცირას მიერ ოჯახის ხშირი მიტოვება და აეროდრომში წავლა ნიშნავს, რომ იგი ვერ შეეგუა მომქანცველ ერთფეროვნებას. ქმარსაც ამიტომ ეკითხება: „ჩვენ რისთვის ვცხოვრობთ?“. მოგონებების ხედში ამოცურდება საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილობის გრძნობა: „რად გინდოდა ჩემისთანა სულელი ცოლი?“ რეალურ ხედში მოთხრობილია, როგორ მოიტანა უცხო შოფერმა მოკლული წერო. „ქალმა მოკლული წერო მაგიდასთან დადო. კარადის დიდ სარკესთან შეჩერდა, თავის თავს დააკვირდა, თმაზე ხელი გადაისვა. ქმარმა თვალი შეასწრო. რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა გულში, უცებ ისე შეეცოდა ქალი, რომ ყელში ცრემლი მოაწვა“. წეროს მოკვლით სიმბოლურად მოკვდა ქალის ფაქიზი სული. ის ან შეეგუება მოსაწყენ ცხოვრებას, ან უჩას დაშორდება. ამიტომაც „გაოცებული და შემკრთალი იერი ჰქონდა, თითქოს უკვირდა, ეს

ნამდვილად თვითონ იყო თუ არა“. საგულისხმოა მოთხრობის სათაურიც – „წერო“.

შინაგანი მეტყველება

მეტყველება და აზროვნება ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესებია. როცა ინდივიდს უჩნდება აზრის წინაგანცდა. ინტუიციურად იწყებს სიტყვების ძიებას, წინადადებათა აგებას. შინაგანი მეტყველება გამოუთქმელად გამოიყენება. იგი არ სცილდება სუბიექტის შინა სამყაროს. მისი ერთადერთი ფუნქციაა აზროვნების პროცესში მონაწილეობა. ვინაიდან გამოხატავს აზრის დადგენის მომენტებს, ამიტომაც არ გააჩნია საკომუნიკაციო დანიშნულება. შესაბამისად შეცვლილია მეტყველების სტრუქტურა: მისთვის ნიშნულია შემოკლება, ფრაგმენტულობა, პუნქტინისებრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები. სრული წინადადებანი ქრება; ხშირია გამოტოვებანი; წინადადება სინტაქსურად მარტივდება, აზრი შეკუმშულად გამოითხმის, მცირდება სიტყვათა რაოდენობა; მატულობს პრედიკატების ხვედრითი წილი. შინაგანი, უხმო მეტყველებიდან სუბიექტი გადადის საკომუნიკაციოზე. როდესაც ხელოვანი ამგვარი თხრობის მეთოდს მოიმარჯვებს, ცდილობს მისი საზღვრების გაფართოება, სტრუქტურის დახვეწას, ექსპრესიული ასპექტის მაქსიმალურ წარმოჩენას (შინაგანი მეტყველება და „ცნობიერების ნაკადი“ სინონიმური ცნებებია, ხოლო შინაგანი მონოლოგი გამოხატვის კონკრეტული ფორმაა. ზოგჯერ, როცა მეტყველება გამოუცნობი სიმბოლოები, ფარული ქვეტექსტებისა და აზროვნების პროცესამდელი კოდებისაგან შედგება, ვამბობთ, რომ გამოყენებულია „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი თავისი ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს თხრობის სტრუქტურის თვალსაზრისით, არატრადიციულ მეტყველებას).

ტრადიციული მხატვრული ხერხები შინაგანი სამყაროს გამოვლენისათვის გაიმიზნა, მაგრამ მისი ადეკვატური წვდომა შეიძლება მარტოოდენ სრული მიახლოებით. ამიტომ პერსონაჟის ცნობიერების ამოსახსნელად მეტყველება ჩაღრმავდა, ჩაშინაგანდა. აზრის გამონასკვის პროცესის ჩვენება გახდა იდეალური მომენტი.

ოთარ ჭილაძესთან „ცნობიერების ნაკადი“ უპირატესად წარმოდგენილია შინაგანი მონოლოგის ფორმით, ვინაიდან მეტყველების აქტი ერთი პერსონაჟის მეტს არ მოითხოვს. ზოგჯერ, შინაგანი ხილვის უნარით, ცნობიერების ველზე გამოჩნდება რამდენიმე პერსონა („სინათლის წელიწადი“), როგორც დამოუკიდებელი სახე. ხოლო როცა წარმოსახვითი მირაჟები ასოციაციურ ხედში ექცევა („დევებით სავსე ქუდი“), დაშლილი მასალა წმინდა სააზროვნო ასპექტში განიხილება. კონკრეტული

სიმბოლოს („დევებით სავსე ქუდი“) გარშემო ტრი-
ალებს ფიქრთა რამდენიმე ფენა. ავტორის მდგო-
მარეობა უცნობია. ჩვენ ვეცნობით მარტოოდენ
მისი განცდებისა და წარმოდგენების ლაბირინთს.
ამასთანავე პერსონალური მეტყველება არც მოი-
თხოვს მსმენელს: იგი ექსპრესიულობის მიღწევას
ცდილობს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს, ეს პერ-
სპექტიული შედეგი რამდენად იქნება სხვისთვის მი-
საწვდომი. თვითჩრმავება, საკუთარი გრძნობები-
სა და შეხედულებების ანალიზი არის პოემის თემა.

თამაზ ჭილაძის პროზაში ერთიანდება შინაგანი
და ავტორისეული მეტყველებანი. „ცნობიერების ნა-
კადი“ გამოიყენება მხატვრული ნაწარმოების კონ-
სტრუქციად. ამიტომ თვით სტრუქტურა არის ამ
მეთოდით აგებული (ფაბულის საკითხი, სიუჟეტის
განვითარება, პერსონაჟი და ავტორი, მუსიკალური
წყობის ანალოგია...). საკუთრივ „ცნობიერების ნა-
კადის“ ფორმით თხრობას, რომელიც ქაოსურობის
შთაბეჭდილების აღმძვრელია, იშვიათად მიმარ-
თავს. მხატვრულ სახეთა სისტემის განლაგება და
აგება მას სულ სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი,
მაგრამ შინაგანი მონოლოგები ხშირად იჭრება სიუ-
ჟეტის მდინარეებში: „თითქოს არ იცოდე და და-
ნალმულ ველზე კი მიდიოდე. მიდიხარ, რაზე არ
ფიქრობ, ცა მოწმენდილია, ირგვლივ ბალახი
ბიბინებს, უცებ ნაბიჯს გადადგამ და იფეთქებს,
ყველაფერს დაამსხვრევს, არევ-დარევს. მი-
დიხარ მერე, ნაღმის უზარმაზარი ნამსხვრევი
გულში გაქვს ჩაჭედილი და ბალახზე სისხლი
წვეთავს, მიდიხარ და კვალს ტოვებ, როგორც
ჩამავალი მზე ზღვაზე და შენ თვითონვე გიკ-
ვირს: როგორ მოხდა ეს? როგორ მოხდა? მერე
მარტოხელა ადამიანს დაინახავ, ფანჯარასთან
რომ ზის და ქსოვს. და თოვლი მოდის, და წლები
გარბიან. და ჩამავალი მზე ფანჯარაზეც წითელ
კვალს ტოვებს. არაფერი, – ჩურჩულე შენთ-
ვის, – დიდი არაფერი არ მომხდარა. ის კი ქსოვს
ან გაყინულ კულისებში ზის და ტირის. მინდ-
ორი კი დიდია, ყოველ წამს შეიძლება ახალი
ნაღმი აფეთქდეს. მერე რა? – ფიქრობ შენ და მი-
დიხარ. ირგვლივ ბალახი ბიბინებს, თეთრი ბალ-
ახი, არა, ეს თოვლია, ბალახით შრიალა, მაღა-
ლი და იდუმალი“ – („აჰა, მიიწურა ზამთარი“)...
ზაზას შინაგანი მონოლოგი ანალიზებს იმ ფაქტს,
რომ ნინიკომ მას მოულოდნელად გრძნობები გა-
მოუმჟღავნა; ან კიდევ: გიგას ეწვია 12 წლის უნახა-
ვი, ჭაბუკობისდროინდელი შეყვარებული სოფიკო.
გაიშალა მოგონებათა პანორამა: მასში ჩართულია
ვრცელი შინაგანი მონოლოგი, რომელიც აღძ-
რულია სოფიკოს დაკარგვით და ა.შ.

ედიშერ ყიფიანის რომანებში „წითელი ღრუ-
ბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“ ალაგ-ალაგ
მოშველებულია შინაგანი მეტყველების მეთოდი,

რითაც გმირის სულის მოძრაობა დეტალიზდება.
ზაალს ქალბატონმა მაკამ მეუღლის წერილები
მიუტანა. მათმა ნაკითხვამ შეარყია პერსონაჟის
ფსიქიკური მდგომარეობა. ინტრიგის ყველა ძაფმა
თავი მოიყარა ზაალის შინაგან მეტყველებასა და
ხილვაში. „მანქანას აასწრო ხევეში იროდიონმა.
მდინარეში ჩაინთქა. მანქანა ზემოდან დაე-
ცა, აღმა ატრიალებული. ყუთები ნელ-ნელა
იძირება წყალში. დედაბერი ფლატეზე ამოსულ
ხის ტოტებში გარჩენილა და მალლიდან დაჰხ-
ითხითებს. მდინარე აიძვრა, ჯერ გამწვანდა,
მერე განითლდა, გაშავდა... ჭიდან ამოაქვს წყა-
ლი გლეხის ქალს. ბავშვები სვამენ ვედროდან,
სათითაოდ ეცემიან მიწაზე და იბერებიან.
ქალი სახეს იხოკავს... ძროხების ნახირი სვამს
მდინარის შავ წყალს, ძროხებს მუხლები
ეკედებათ და მთელი ნახირი იხოცება, მერე
იბერება და ჩნდება აშმორებული დიდი მთა...
ძალღს ენა გადმოუგდია და აწკლავუნებს
მდინარის წყალს, იქვე ეცემა, სწრაფად იბერე-
ბა... მიცქეფს მონამლული მდინარე და ბალახ-
ები ჭკნებიან, ხმება ნაბლისა და რცხილის
ხეები, მიწა იხრუკება. ფრთამოკეცილი პეპ-
ლები ცვივიან წყალში, მდინარე გაშმაგებით
მიილტვის დიდი ზღვრისკენ... აჰა, მიაღწია,
შეიჭრა, თავს გადაეწვლო ლურჯ ტალღებს და
მთელი ზღვის ფსკერი ამოტრიალდა. ეს ზღვა
არ ყოფილა უზარმაზარი საოცრად გაბერილი
მკვდარი თევზი წევს მუცელამოტრიალებული.
ზღვა აღარ არის. „ვიღუპებით, ვიღუპებით!“
ისმის მთებში ძახილი, ხალხი გარბის, მდინარეში
ჩაყვინთეს სკაფანდრიანმა კაცებმა... ამოიღებენ
საწამლავს? დამხრჩვალ საწამლავს?“... შინაგანი
მეტყველება თანდათანობით გადადის სიზმარში,
რომელშიც სიმბოლურად გაცნობიერდება ცხადად
ფარული და მიუგნებელი.

გურამ გეგეშიძე შინაგან მონოლოგს მიმართავს,
როგორც პერსონაჟის სულიერი პორტრეტის შექმ-
ნის საშუალებას. ფსიქოლოგიური განცდების დე-
ტალური და მახვილი ანალიზი, რომელიც ზოგჯერ
რამდენიმე გვერდს მოიცავს, ემყარება სახეთა
ტრადიციულ სისტემას, მაგრამ თუ სტრუქტურულ-
ად პერსონაჟის მეტყველება არ არის მოდერნი-
ზებული ხასიათისა, ენიჭება ის სპეციფიკური
დანიშნულება, რომლის სამსახურშიც იგი მოდ-
ერნისტულმა პროზამ ჩააყენა: ...„შენ დგახარ
მდინარესთან და გატკობს მისი უცნაური
ჩურჩული, როგორც გაზაფხულზე ბულბულის
გალობა. შენ დგახარ მდინარესთან და მაღა-
ლი მთებიდან ჩამონაჟური წყლის სიგრილე
ზამთრისაგან მისუსტებულ ენერგიას გიორკე-
ცებს, სილალითა და სიყვარულით ალაგზნებს.
შენ დგახარ მდინარესთან და გიყვარს ის სო-

ფლები, – ყავრით დახურული ოდა-სახლები, ისლიანი ქოხმახები, ოჩოფხებზე შემდგარი სასიმიინდეები, – რომლებიც მოჩანს შორს, ხეობის სიღრმეში, ტყიან ფერდობზე. როგორ გიყვარს ტყე! ახლა ტყეს ფოთლები ჩამოსცვენია და დაკვირვებული, გამჭრიახი თვალი ხეებს შორის ჩაცუცქულ კურდღლებსაც კი დაინახავს, პატარა, უვნებელ ყურცქვიტებს, არავის რომ არაფერს უშავებენ, მთელი სამყარო კი მაინც მტერია მათი. გაძარცული ჭალებიდან შაშვების ჭახჭახი გესმის და მზე გავიწყებს, რომ ახლა ზამთარია, როგორ გიყვარს მზე! მაგრამ გიყვარს თოვლიც და გენატრება მისი ბრჭყვიალი, რადგან თავის ადგილზე და თავის დროზე ყველაფერი კარგი და ლამაზია. კარგი და ლამაზი კი ის არის, რაც გიყვარს, შენ გიყვარს თოვლიანი მთები მენამულად რომ აუფერადდება მზის სხივებს...“.

შინაგანი მონოლოგი ქვეცნობიერის სამეტყველო შინაარსად ქცევის ფორმაა, შინაგანი ქცევის სამოქმედო გამოვლენა. გმირი-ავტორი არის კომენტატორი საკუთარი მოულოდნელი ქცევისა. ქვეცნობიერი გამოიყოფა და თანდათანობით შეიცნობა, შეიცნობა კავშირის ზოგიერთი სახე ცნობიერისა და ქვეცნობიერისა. დადგენილია შინაგანი მეტყველების ორი ტიპი: ა) ერთი, რომელიც ლოგიკური, ბუნებრივი მიზანსწრაფვით გამოირჩევა; ბ) მეორე, რომელიც ირაციონალური, გაუფორმებელი სტიქიის სიტყვიერი ფიქსირებაა. პირველის ყველაზე კლასიკური გამოვლენაა პრუსტის პროზა, მეორისა – ჯოისის მეტყველება.

შინაგანი მეტყველების – „ცნობიერების ნაკადის“ სტრუქტურა ზოგად შტრიხებში ასე გამოისახება: შინაგანი სიგნალები და შთაბეჭდილებანი ინტუიციური ფორმით სამეტყველო ზონაში ექცევა. გაურკვეველი განწყობის ფენები იხატება. ავტომატური, მექანიკური ნიშნები და მინიშნებიანი მოქმედებით ცხადდება. ოპერირებული აღქმა სიტყვებით. ფსიქოლოგიური პარალელიზმი, როცა ერთი შეხედულება იხილება მეორის ფონზე. თვით მეტყველების დინება მუდამ ორი თემის გახლეჩილი მთლიანობაა. კოლიზია აუქმებს ხედვით დინამიკას. სტატიკური მოძრაობის უნარი აბსოლუტდება. დაკარგული განცდები ხელმეორედ შეიძინება, აღიდგინება. ცნობიერების ველი უჩინრად ინალდება მირიადი მომენტით. შინაგან წარმოდგენებში მექანიკური ხეტიალი უეცარ აფეთქებათა ფეიერვერკს გვაძლევს. გადაშლილი შრეები გამკვეთრდება. იდუმალი დაძაბვა განიმუხტება. გახუნებული ფერები გაცხოველდება. მოქმედების არე შეიკვეცა. ერთ წერტილზე მარადიული ბრუნვა მუდამ პასიურ – გაბრძოლების თვისებებს ინახავს. მაქსიმალური ჩაღრმავებით ირაციონალ-

ური მიინვდომება. იგი არ არსებობს რეალურად, მაგრამ პოეტური წარმოსახვისთვის ამ მომენტს აზრი ეკარგება. ზოგჯერ ხელოვანი მხოლოდ სიტყვებით აზროვნებს. გამოირიცხება როგორც სახის, ისე ცნების პრიმატი. ეს იმდენად, რამდენადაც ყოველი ცალკეული სიტყვა ატარებს პუნქტირისებრ შინაარსს. მათი შეერთებით მიიღება აზრობრივი მთლიანობა. შეგრძნების მწვავე პროცესი ინტუიციურად განალაგებს სიტყვებს, ფრაზებს, დეტალებს. შინაგანი მეტყველება მუდამ პროცესის აქტივობის ჩვენებაა. შედეგი თავისთავად ბოლოვადი ელემენტია. აზრი – გააზრიანებამდე, განცდა – განცდის შემეცნებამდე, მეტყველება მეტყველების ორგანიზებამდე – „ცნობიერების ნაკადის“, როგორც მხატვრული გამოხატვის ფორმის და მეთოდის სპეციფიკური ნიშნებია. შინაგანი მეტყველება თითქოს წყალქვეშა მოვლენებს უკავშირდება, რაც საზოგადოდ უცნობია. მუსიკა და ფერწერა შეექსოვა ენობრივ ფენომენს.

როგორც ითქვა, შინაგანი მეტყველება და „ცნობიერების ნაკადი“ ზოგადად ერთგვარ შინაარსს ატარებენ. საკითხის დაზუსტებისთვის: „ცნობიერების ნაკადი“ მიესადაგება მეტყველების სპეციფიკურ ფორმას. ამრიგად, მას გააჩნია ფართო და ვიწრო მნიშვნელობა. ქართულ სინამდვილეში შინაგანი მეტყველება უფრო პრუსტიანული ხასიათისაა (განსაკუთრებით ეს ითქმის თ. ჭილაძეზე. იგი პრუსტს მოიხსენიებს ერთ-ერთ მოთხრობაში – „შუადღე“).

ქვეცნობიერის ანალიზი

„ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი დაკავშირებულია ანრი ბერგსონის და ზოგმუნდ ფროიდის სახელებთან, ვინაიდან მოქმედება გადმოტანილ იქნა ფსიქიკაში, მოდერნისტული პროზის წინაშე დაისვა პრობლემა ცნობიერების საიდუმლოებათა მაქსიმალური წვდენისა. სულის ფენებში მთლიანი გარესმყაროს შეტანამ და მასში ჩაძირვამ წარმოშვა აუცილებლობა არაცნობიერის მოტივირებისა, რომელიც შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ ირაციონალური რეალობის პარალელად ინდივიდში. ადამიანის ცნობიერება განუწყვეტლივ ივსება ახალი განცდებითა და შთაბეჭდილებებით. ისინი ერეკებიან ძველ ემოციებსა და შეხედულებებს იმ სიღრმეში, სადაც არ წარმოადგენენ ცნობიერების ფაქტებს. მხოლოდ უმაღლეს ნერვულ სისტემაში რჩება მათი ანაბეჭდები. იქმნება მესხიერების პასიური მარაგი, ქვეცნობიერის ფსიქიკური რეზერვუარი. ქვეცნობიერს გააჩნია 4 რომელიც: წინარეცნობიერი, განდევნილი, არქაული მემკვიდრეობა, საკუთრივ ქვეცნობიერი. ფსიქიკა მოიცავს სამ ფენას (ინსტანცია): „იგი“ (განდევნილი და საკუთრივ ქვეცნობი-

ერი), „მე“ (ცნობიერი და წინარეცნობიერი), „ზე-მე“ (ცნობიერი და არქაული მემკვიდრეობა). ქვეცნობიერი ცნობიერ ფსიქიკაში გამოავლენს კვალს, დისპოზიციას, მიდრეკილებას, რომელიც ინსტინქტის ანალოგიური მოვლენაა. ქვეცნობიერი (ანუ არაცნობიერი) ინსტინქტების საუფლოა, რომლებიც დამოუკიდებლად მართავენ ინდივიდის ნება-სურვილებს. სწარმოებს ინსტინქტების გადანაცვლება და ტრანსფორმირება. ლტოლვათა ეგოისტური არსი თავსდება ქვეცნობიერი სიღრმეში, სადაც გარკვეულ მომენტამდე, რეპრესირებულ მდგომარეობაში იმყოფება. ხოლო შესაფერის ჟამს, რომლის დადგომა ცნობიერებისთვის უცნობია, ამოხეთქავს და ღებულობს პათოლოგიურ სახეს. ინსტინქტები ორ ჯგუფად ნაწილდება: ა) თვით შენახვის, ანუ თვითგანმტკიცების ინსტინქტები – ეროსი (მითოლოგია); ბ) განადგურების ინსტინქტები – თანატოსი (ჰერაკლიტი). მათი ძირითადი საფუძველი არის ლიბიდო – სექსუალური ენერჯია (იუნგს შემოაქვს, ნაცვლად ინდივიდუალურისა, კოლექტიური ქვეცნობიერის ცნება, ნაცვლად ლიბიდოსი – საერთო ფსიქიკური ენერჯია), რომლის შინაარსს ქმნიან ჩანახლული, რეპრესირებული სექსუალური გრძნობები. ფროიდის მიერ გულდაგულ ანალიზდება პანსექსუალიზმი, კომპლექსების თეორია, ოიდიპოსის კომპლექსი, კასტრაციის (დასაჭურისების) კომპლექსი, სიყვარული, როგორც ნოსტალგია. გამოიყოფა სექსუალური ენერჯიის გადანაცვლების სამი ტიპი: ა) უშუალო სექსუალური ვნებების სიჭარბე; ბ) ინტელექტუალური ელემენტების გაძლიერება; გ) ინტელექტის გაბატონება. ხელოვნება არის ოცნებად ქცეული რეპრესირებული სურვილების განსახიერება. ზ. ფროიდმა (და საეროდ „სიღრმის ფსიქოლოგიამ“) უსაზღვრო ზეგავლენა იქონია XX საუკუნის მწერლობაზე. მეცნიერებაში აღნიშნულია მისი გარკვეული დამსახურებანი, მაგრამ როგორც მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, უკუგდებალია. თვით ქვეცნობიერის საკითხი (მას ადრევე განიხილავდნენ შოპენჰაუერი, ნიცშე, ლიპსი...) არ არის დამაჯერებლად არგუმენტირებული, მაგრამ მისი, თუნდაც, ობიექტური არსებობა ხელს არ უშლის ხელოვანს, დახატოს პერსონაჟის ილუზიური ფსიქიკა.

ბერგსონმა გამოაცალკევა ცნობიერების ორი მიმართულება: **ინტელექტი და ინტუიცია**. მთელი სინამდვილე გაიგება როგორც ინერტული მატერია და სიცოცხლის სწრაფვა. სიცოცხლე ზემოქმედებს მატერიაზე და ცდილობს განსაზღვრული ფორმების განხორციელებას, რასაც

აღწევს ინტელექტის მეშვეობით. მაგრამ სიცოცხლემ (ვიდრე წესრიგს შეიტანდეს გარსშემოკრებილი ელემენტების თვისებებში) უნდა ჩაიხედოს საკუთარი სულის სიღრმეში, გაარკვიოს ინდივიდუალური არსებობის რაობა. **საამისოდ ინტელექტი უძლურია. მოქმედებენ ინსტინქტები, რომელთა უმაღლესი ფორმა არის ინტუიცია**. იგი ცნობიერების ხარისხში აყვანილი ინსტინქტია. ინტელექტი სიცოცხლის გამოვლენაა უსულო საგნების, არაორგანული მატერიის მიმართ. ამიტომ ჭვრეტის ასპარეზი შიგნიდან გარეთ არის მიმართული, ხოლო ინტუიცია სიცოცხლისაკენ მსწრაფვი სიცოცხლეა; ამდენად ემსახურება შინაგანის წვდომას; ჭვრეტის მომენტი შიგნიდან ცდილობს შინა სამყაროს ამოცნობას. სიცოცხლეს სჭირდება კონტაქტი თავის თავთან. ინტელექტი და ინტუიცია ავსებენ საერთო მიზნის სხვადასხვა მხარეს. ქვეცნობიერის ამოხნისა და წვდომის ფორმად და მეთოდად დასახა ინტუიტივიზმი. „ცნობიერების ნაკადი“, ასოციაციები, მოგონებანი გვაზიარებენ ჩვენს სულში მიმალულ წარმართველ ძალებს. ყველაზე უკეთ ჩვენ ვიცით საკუთარი არსებობა. მე ვახდენ იმის კონსტანტირებას, რომ გადავდივარ ერთიდან მეორე მდგომარეობაში. განცდა, გრძნობა, სურვილი, წარმოდგენა ქმნიან ჩვენს არსებობას. მე ვიცვლები: ვფიქრობ ჩემს ყოველ მდგომარეობაზე. მე ვიცი, რომ ვიცვლები. თითოეული მდგომარეობისაგან ინახება ნაწილობრივი არსი. ჩემი შთაბეჭდილება მოცემულ მომენტში განსხვავდება მომავალი მომენტის შთაბეჭდილებისაგან. მეხსიერება ივსება განცდებით. ერთი ვითარებიდან მეორეში გადასვლა არ იძლევა პრინციპულ ზღვარს. ფსიქიკური ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. ჩვენი არსებობა რომ შედგენილი ყოფილიყო ცალკეული მდგომარეობებისაგან, არ გვეცოდინებოდა დრო, იგი არ არის წამი. დრო წარსულის უწყვეტი პროგრესია, უწყვეტად მზარდი, უსასრულოდ შემონახული. წარსული სინამდვილეში მოიპოვება თავისთავად, ავტომატურად. წარსული ანმყოფ რჩება. ცხოვრება და პიროვნება მუდმივად იზრდება და ვითარდება. ცხოვრების წინსვლის მთავარი მიმართულებანია: უძრაობა, ინტელექტი, ინსტინქტი. ისინი კიდევე ავსებენ და კიდევე ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. არ იქნება ინტელექტი, თუ იქვე ინსტინქტის კვალი არ არის და პირიქით, რეალობაში ისინი გვერდიგვერდ არიან, ვინაიდან ავსებენ ერთმანეთს. ინტელექტს ცნებები წარმოშობს, ცნებებს – წარმოდგენები, წარმოდგენებს – განცდები. ინტელექტი პრაქტიკული ცხოვრების იარაღია, ხოლო პრაქტიკისაგან განწმენდილი ინსტინქტი ინტუიციაა. იგი არაცნობიერი აქტია, სასიცოცხლო იმპულსის გამოვლენა: ამთემატიკურ წესრიგს უნდა დაუპირისპირდეს სი-

ცოცხლის წესრიგი.

ამრიგად, ფროიდმა და ბერგსონმა გამოიმუშავეს ის თეორიული საფუძველი, რომლის მხატვრული გარდასახვა მოგვცეს მოდერნისტული პროზის შემქმნელებმა. ამიტომაც ჯოისისთვის კაცობრიობა – ეს ქვეცნობიერი ცხოვრების ნაკადია, რომელსაც გაშიფრავენ შინაგანი მონოლოგები, სიმბოლოები, რემინისცენციები, ასოციაციები.

ქართულ სინამდვილეში გამოიხატება ზოგადი პრინციპი: ქვეცნობიერის პოეტური გამოაშკარავება შესაძლოა შინაგანი მეტყველების მეთოდით, რომელიც ზოგჯერ ლებულობს „ცნობიერების ნაკადის“ სპეციფიკურ სააზროვნო ფორმას, ხოლო ფროიდისტული და ბერგსონისებრი შეხედულებანი მოტივირდება იმდენად, რამდენადაც აიტანს მას თხრობის ტრადიციული სტრუქტურა და რეალიზმის პრინციპები (კლასიკა+მოდერნიზმი). მათ ნააზრევში ფუნდამენტური შეცდომების გვერდით მოიძებნება ისეთი პროგრესული ელემენტები, რომელთა პოეტური დასისტიმება და გამოყენება არ უკარგავს ხელოვნებას ჯანსაღ ხასიათს. მაგალიტად, თამაზ ჭილაძის მოთხრობაში „მდგმურები“ შეინიშნება „ოიდიპოსის კომპლექსის“ მოდელი: მამა-შვილს, იონასა და ვახტანგს, მოეწონებათ ერთი ქალი: ევა. თავდაპირველად მოხუცს აღეძვრება უნებლიე გრძნობები მდგმურის მიმართ, მაგრამ ისინი ცნობიერებიდან გაძევებულია. სუბიექტი არ უფიქრდება საკუთარი სულის მოძრაობას; უფრო ზუსტად, იდუმალად მონოლილი გაურკვეველი გრძნობა, რომელიც პირველშემჩნევისთანავე რეპრესირებულ იქნა, არ ანალიზდება. ქვეცნობიერში მომწყვდეული აზრი თითქოს ცდილობს გარეთ გაღწევას:

„ქალმა ფეხსაცმელი ჩაიცვა. ჩაცმის დროს იონას დაეყრდნო ხელით. ქალის სველი თმა იონას ლოყაზე მოედო, გააჟრჟოლა, ქალს გამოეცალა, გვერდზე გადავა, ქალი ნაბარბაცდა.

– რა იყო? – ჰკითხა გაკვირვებულმა ქალმა.

– არაფერი, – უპასუხა იონამ. – წავიდეთ.

რა იყო, გესმის, იონა? შენ კი რა ბრიყვი ხარ, ბებერი ბრიყვი, ვირის ტვინი ხომ არ გაჭამეს, შე უბედურო, რამ გამოგაშტერა ამ ხნის კაცი. თუ რამ სათქმელი გაქვს, თქვი, შე კაი კაცო, თორემ გათავდა ცხოვრება და ახია შენზე.

– წელს წელი ემატება, მაგრამ არითმეტიკამ როგორ უნდა აჯობოს ადამიანს, – ამბობდა ქალი, – მთავარია გული იყოს მუდამ თვრამეტი წლისა“...

ფრაგმენტი დასრულებული სურათია პერსონაჟების ვნებებთან მიმართებისა. იონა გრძნობს რაღაც გაუფორმებელი, შინაგანი ტალღის მონოლას, მაგრამ ქვეცნობიერი სურვილების ამოტივტივება სურს და არც სურს: ევას მოძრაობა და

ლაპარაკი მათი ძალუმად ინვეს ქალის შეგრძნებას. ყოველი დეტალი მკაცრად წარმოაჩენს სექსობრივი ლტოლვის რეპრესირებას: **„იონა ზღვისკენ ზურგშექცეული იდგა, მაინც ყველაფერს ხედავდა: როგორ გაიხადა კაბა ქალმა, როგორ მივიდა წყალთან...“** „იონამ მოიხედა, ქალს ერთი ხელით კეფასთან თმა მოებლუჯა, მეორეთი კი წურავდა, – მთლად სველი ვარ. იონამ თვალი აარიდა“. დამალული ინსტინქტები გადაიკარგნენ, როცა სამხედროდან ვახტანგი დაბრუნდა. ისინი ღრმად ჩაიმაღნენ ქვეცნობიერში. შვილის ხილვით მოგვრილმა სიხარულმა თითქოს ყოველივე გააბათილა, მაგრამ მათ შორის დარჩა გარეგნულად ცივი, ფრთხილი და რამდენადმე, მტრული დამოკიდებულება, რაც ვახტანგის ბავშვობიდანვე ყალიბდებოდა. ზოგჯერ მამაშვილური სიყვარული მაინც ვერ იმაღავს თავს და უეცრად ალაგზნებს პერსონაჟებს: **„ვახტანგი კისერზე მოეხვია და გულამოსკვნილი ტირილი ამოუშვა:**

– **„მამიკო, მამიკო, საწყალი დედა... არ ნახვიდე, მამა, არ ნახვიდე, აქ იყავი ჩემთან“...**

დედა მიიცვალა. უცხო ქალი შემოიჭრა. მეტოქეობის გრძნობა ცოცხლობს ქვეცნობიერში. ჯერ მასზე არაფერი იციან. ჯერ სიტუაცია არ დამდგარა. მდგომარეობა მაინც დაძაბულია. რატომ? მაგრამ მოვა შესაფერი ჟამი და ხანგრძლივი დუმის უხერხულობა დაირღვევა. იწყება ქვეცნობიერის გამომზეურების პროცესი. მაგრამ თუ ეს ჩვეულებრივ ეკისრება შინაგან მეტყველებასა და „ცნობიერების ნაკადს“, ამჯერად ინტრიგის გაშლით ხდება. იონას მოესმა თუ როგორ გადაეკეტა ევამ კარი, რასაც ადრე არ აკეთებდა: **„რა ჩაიდინა ნეტავ ვახტანგმა ამისთანა?“** შეკავებული ინსტინქტები ამოძრავდნენ. თუ წინათ შვილი ამჟღავნებდა ჭირვეულ ხასიათს, ახლა მამა გახდა იჭვნიელი. ჩნდება და იხატება შვილისადმი ფარული მტრობის გრძნობა: **„შენმა მასწავლებელმა საყვედური შემოგიტვალეს, – დაინყო იონამ, ნამდვილად კი უნდოდა ქალისთვის ეყვირა, გაჩუმდით. მისმა სიცილმა თავბრუ დაახვია“.** სიცილით თავბრუსხვევა გამორიცხავს მორალურ-ეთიკური სინამდის თვალსაზრისით ზომიერების დაცვას. შვილს იმიტომ უჯავრდება, რომ ეს ქალი ადრე მისი გაძევებული ლტოლვების უნებლიე საგანი იყო. ახლა ხედავს, რომ ვახტანგი ჩაერია და ევას გული მოიგო. ამიტომაც უხერხულობის აჩრდილი არ ადგას იონას. ევა კი ჩვეულებრივი ქალი იყო, რომელიც ელოდა მამაკაცს. მისთვის ერთი ფასი ჰქონდა იონას თუ ვახტანგს. მოხუცის შეურაცხყოფილი განცდები მჟღავნდება: იჭვით ავსილი უბოდიშოდ შედის ევას ოთახში: **...„ზღურბლზე გაშეშდა: დილის ბინდ-ბუნდში მკაფიოდ დაინახა, ვახტანგს ევას გვერდით**

ეძინა, ბალიშზე კისერგადადებულს: ქალმა თავი წამოჰყო, იონა რომ დაინახა, ტუჩზე თითი მიიღო და ჩუო, – უთხრა.

იონა აივანზე გამოვიდა. აივნის ბოძს ორივე ხელი შემოხვია და ზედ მიეკრა, რადგან ეგონა, ქვეყანა ტრიალებდა“. ბოლო ფრაზით მინიშნებულია ამბის ემპირიულ შინაარსზე. მაგრამ თუ ფროიდთან ეს ფაქტი დაიტვირთებოდა ირრაციონალური მომენტებით, „მდგმურებში“ ფსიქოანალიზი გამოვლინდა ობიექტურად შესაძლებელი ამბის მიმართ. ვენელ კლინიცისტს ჩამოსცილდა თალხი სამოსი. „ოიდიპოსის კომპლექსი“ შერბილდა. ტრანსფორმირებული ტეორია გაიშალა რეალისტური ნიუანსებით.

ქვეცნობიერის არსი ჰერმეტიული ეგოიზმია. ეთნიკური ნორმებით შებოჭილი ადამიანი პირველყოფილ ვნებებს მოაქცევს ქვეცნობიერში. ეგოისტური მოტივები ყველაზე მეტად სიზმარში ვლინდება. ამ მხრივ საინტერესოა თ. ჭილაძის მოთხრობა „პარასკევა“. მასში გამოვლენილი უცნაური ამბავი სიზმარში გახსნილი ქვეცნობიერი ფსიქიკიდან წარმოდგება. უნებლი სიზმრული წარმოსახვა დამაბნეველი ხდება თვით სუბიექტისათვის. გარკვეული კონცეფცია ხერხია მოქმედების ორიგინალური გაშლისათვის. ყურადღების საგანია აზრის ინდივიდუალური ფორმა, რომელშიც ნებისმიერი შინაარსი ჩაეტევა. თვით ჯოისისათვის, იყენებს რა ფროიდისტულ ნაზრევს, მისი არსი არ არის მთავარი. მან თვითონვე აღნიშნა, რომ უბრალოდ სჭირდებოდა ისეთი ფორმა, რომელიც შეკრავდა 18 ნაწილად დაშლილ „ულისეს“. აზრის ქვეშარტივებს მისთვის ფასი არ ჰქონდა: ფროიდიზმი აინტერესებდა, როგორც გამოსახვის საშუალება.

ნაშლილი საზღვრები

ცნობიერება მიედინება ფორმალური საზღვრების გარეშე. ირღვევა ტრადიციით კანონიზებული ჟანრები: იშლება სასაზღვრო ხაზები; მონაცვლეობენ მოტივები. ნატურალისტური აღწერა გადადის შინაგან მონოლოგში. „ცნობიერების ნაკადი“ ერთვის ეპიკურ პანორამას. სიმბოლიკური მინიშნებანი, ქვეტექსტები, უეცარი ხილვები ითქვიფება ერთ „სიმულანტურ მთელში“. ჟანრები იჭრებიან ინდივიდუალურ სივრცეებში. დგება განუთიშველი სინკრეტიზმის პერიოდი. ცნობიერების ფრაგმენტები შლიან ესთეტიკური კატეგორიების ფორმებს. დასინთეზებული წარმოდგენები გვაახლოებენ არაცნობიერსა და ირრაციონალურს. სინამდვილე პლაცდარმია იმქვეყნიურსა თუ ქვეცნობიერში შეღწევისა, კონცენტრირებული ერთი ხელოვნების საარსებო ფაქტორთა კომპლექსით წარმოაჩენს გამკვრივებულ რეალობას. ყალ-

ობდება ლირიკული ეპოსი და ეპიკური ლირიკა. ჟანგების შეჯვარებით იქმნება ლიტერატურის პრინციპულად ახალი, სინთეზური სახე: ეპიკაში ლირიკული აფექტორები ასრულებს ძირითად ფუნქციას, ხოლო ლირიკაში – გრძობათა გაეპიკურება, მონუმენტური წარმოჩენისკენ სწრაფვა.

თამაზ ჭილაძის პროზაში შესუსტებული ფაბულის პულსაცია შლის გზას ლირიკული მეტყველებისაკენ. ხასიათები ზოგჯერ არც გამოიკვეთება. ცალკეული მკვეთრად მოხაზული კონტურები შემთხვევითობის გამოვლენაა. ამალღებული სინამდვილე პერსონაჟებს პოეტურ შარავანდედში ახვევს. შინაგანი მონოლოგები ემყარება წმინდა ლირიკულ შინაარსს. იმდენად ძლიერია რიტმული მდინარების ინერცია, რომ ფრაზები თავისუფალი ლექსის ქიმერას გვიქმნის. ზოგიერთი მოთხრობა გაიგება როგორც ლირო-ეპიკური პოემა (მაგალითად, „წერო“), ხოლო ტრადიციული პრინციპების მიხედვით გამართული პროზაული ქმნილება, რომელიც დაიცავდა მკაცრი ეპიკური თხრობის სტრუქტურას, თ. ჭილაძეს არ დაუნერია. პერსონაჟების დიალოგი ატარებს პოეტური უშუალობისა და გულბრყვილობის ელფერს („შუადღე“, „პოსეიდონის სასახლე“, „პირველი დღე“). მოქმედების განვითარება ნაკლებად ავსებს საერთო მაგისტრალური ხაზის ემოციურ შინაარსს. განვითარება გაიგება არა როგორც საფეხურებრივი ესთეტიკური სრულყოფა. ცალკეული დეტალი და მოტივი თავის ირგვლივ იქმნის შემორკალულ ემოციურ ატმოსფეროს. დამოუკიდებელი პოეტური ზონების შეერთება გვაძლევს არა აღმაჯალ ხაზს, არამედ გადაბმულ რგოლებს. ივსება მთლიანი განცდის რეზერვუარი. სიუჟეტის გაშლა და ფაბულა არის ასაკინძი ლირიკული შენაკდებისა („აჰა, მიიწურა ზამთარი“...). ვნებების დრამატიზება ვლინდება ფსიქიკის ლირიკული წარმოსახვით. აღსანიშნავია, რომ თ. ჭილაძის პროზაში არ კვდება არცერთი მთავარი პერსონაჟი, რითაც მკვეთრად გამოიყოფა ტრადიციული ბელეტრისტიკისაგან, რომელშიც კულმინაცია არის გმირის დალუპვის სცენა. იგი მზადდება მთელი თხზულების განმავლობაში. სიკვდილი, როგორც ყველაზე დრამატული, როგორც ერთგვარი მიზანი, ხელივების ნაწარმოებს ავსებს მძაფრი ემოციებით, ხოლო მისი გაუქმება ნიშნავს მხატვრული დანოლის გადანაცვლებას სხვა ფაქტორზე ლირიკულმა ნაკადმა გამორიცხა სიკვდილის თემის აუცილებლობა.

ედიშერ ყიფიანთან უფრო დაცულია პროზის ეპიკური სტილი, მაგრამ სინამდვილის სურათების ჩვენებას დაემატა პერსონაჟის ფიქრთა მდინარეობა. სიუჟეტის გაშლა იძენს ლირიკულ სისათუთეს.

დიალოგები აიგო გულუბრყვილო ელემენტების კონგლომერატზე („წითელი ღრუბლები“). სინამდვილე გამოჩნდა, როგორც ბავშვის წმინდა ოცნება. ფაქიზი და ნათელი გრძნობების ფონზე დაიხატა გაშარჯებული ხასიათები (ბენედიქტე ზიბზიბაძე...). ქალაქური ყოფა და კოლორიტი, ინტელიგენტთა მხატვრული სახეები იძლეოდა გარანტიას მოქმედების შეკვეცისა. არც მის რომანებში („წითელი ღრუბლები“, „ცაში ასროლილი ქუდები“) კვდება რომელიმე პერსონაჟი.

მაგრამ თუ თ. ჭილაძესთან და ე. ყიფიანთან რომანისა თუ მოთხრობის ფარგლებში დარჩა ლირიკული ნაკადი, ო. ჭილაძესთან, ტ. ჭანტურიასთან, გ. გეგეჭკორთან ლირიკული ეპოსის შექმნის განუწყვეტელი ცდები დამთავრდა ტრადიციული ეპიკის გაუქმებით. პოემაში იმდენად შემოვიდა ლირიკა, რომ აშკარად სადავოა თანამედროვე პოემის ნიმუშები ლიტერატურის რომელ გვარს მიეკუთვნება. იგი შეიძლება ერთდროულად წარმოვიდგინოთ როგორც ლირიკის სივრცის გაფართოება და როგორც ეპიკის დაყვანა ლირიკამდე. მაგრამ თუ მხედველობაში მიიღება, რომ დაშლილი მასალა სტრუქტურულად შეესაბამება სინამდვილეს, რომ ანალიზდება მრავალნახნაგოვანი სინამდვილის მოდელი „მე“-ს ცნობიერებაში, უფრო მართებული აღმოჩნდება, რომ იქმნება ეპოსის ახალი ფორმა, რომელიც მთლიანობაში გააზრებით გაამართლებს სახელწოდებას.

თავისი მხრივ პროზამ შეიტანა საგრძნობი ცვლილებანი პოეზიაში. საგნები და მოვლენები, გაპოეტურების უნარის გარეშე, აღმოჩნდნენ ლირიკულ ნაწარმოებში. ნარმოიშვა ე.წ. პროზაიზმები, რომელთა მოშველიება ეფექტური გამოდგა. სალონური სინატიფისაკენ ლტოლვა, გადამეტებული რაფინირების სურვილი შეიცვალა უხეში სინამდვილის ადეკვატურ ფორმებში დატყვევებით (იგულისხმება ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პოეტების შემოქმედება). ამიტომაც შესუსტდა მუსიკალობისადმი ყურადღება. ფრაზების მელოდიკური სრულყოფა თუ სიმბოლიტებმა თითქმის თვითმიზნად გამოაცხადეს, თანამედროვე პირობებში გააქტიურდა ტენდენცია ანალიტიკური წვდომისა, რომელსაც სტილურად უსარგებლო მოეჩვენა ეფფონიური მხარის წარმოჩენა. სამაგიეროდ მკვეთრი რიტმული ერთეულები განჰყოფენ სინამდვილეს პროპორციულად. რაკი ნაშლილია მიჯნები პოეზიას და პროზას შორის, ეს მომენტი მელოდიკის პრინციპშიც უნდა აირეკლოს. ზოგჯერ მხოლოდ ფორმალური სქემა განასხვავებს ლექსს პროზისაგან, ვინაიდან გამოსახატავი შინაარსი პოტენციურად ერთია და ძვეს

საერთო სიბრტყეზე (ეს ტენდენცია ახალგაზრდა ლირიკოსებთან უკიდურესად გაღრმავდა).

ყანრების ურთიერთდაახლოების პროცესი გრძელდება. შემოდის დრამატურგიული ხელოვნების ელემენტები. გამარტივებული დიალოგები, რომელთაც ხშირად მხოლოდ საკომუნიკაციო დანიშნულება აქვთ, აგებულია როგორც პიესის ერთი სცენა (შდრ.: თ. ჭილაძის მოთხრობები და პიესები). მოქმედება ორმხრივი მეტყველებით იკვეთება. ქართული სინამდვილეს გამოავლენს ლიტერატურის ფორმათა განვითარების ზოგად კანონზომიერებას.

რომანის პრობლემა

რომანის ტრიუმფი იყო XIX საუკუნე. რეალიზმმა მასში ჰპოვა დასრულებული ფორმა. გამოისახა ცხოვრების ვრცელი და რთული პანორამა. ხელოვანი ქმნიდა ობიექტური სურათების გალერეას, ჭვრეტდა მღვრიე სასიცოცხლო კოლიზიებს. ასეთი რომანი იყო რეტროსპექტიული (ცენტრიდანული). ბალზაკი მისი კლასიკური გამოვლენა გახლდათ. XX საუკუნის დასაწყისიდან მკვეთრად შეიცვალა ძველი ცხოვრება, წარმოიშვა ურთიერთობის ახალი ფორმები. გარემო ადამიანის გონების დაძაბვით დეფორმირდა. თითქოს დაიკარგა ბუნებრივი ბუნება: გარდაიქმნა პიროვნების მიმართება რეალობასთან. სოციალისტურმა რევოლუციებმა, საერთაშორისო ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, ორმა მსოფლიო ომმა, სტრ-მ დაარღვია ობიექტური საგნების სურათი. ხელოვანი აღქმას ვერ ასწრებდა, ისე იცვლიდა გარემო ელფერს. გარეგანი ნივთების ხშირმა და მოულოდნელმა სახეცვალეობამ გააუფასურა მიუდგომელი დაკვირვების შედეგები. დინამიკური სამყარო დინამიკურ სტილს მოითხოვდა. რომანი ლექსი ხომ არ არის, იოლად მოიპოვოს ან დათმოს დამოუკიდებელი სტრუქტურები. თავისი ბუნებით ის გაცილებით მდგრადია და კონსერვატიული, მაგრამ სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციებით კონსტრუირებული ქვეყანა ძველი მოდელებით ვეღარ განიზომებოდა. XX საუკუნის რომანი არის ინტროსპექტიული (ცენტრისკენული) მასში ჭარბ ადგილს იჭერს ავტორის შინაგანი მონოლოგები, ასოციაციები, ლირიზმი, გროტესკი, სიმბოლურობა, მეტაფორულობა. რბილდება და ირღვევა ფაბულა. რომანი გადაიქცა სუბიექტური რეალობის ამსახველად. ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, რ. მუზილი, ფრ. კაფკა, თ. მანი, უ. ფოლკნერი, ვ. ვულფი ქმნიან ადამიანთა ახალი ურთიერთობის შესატყვის ფორმებს. ბურჟუაზიულ დასავლეთში უკვე 50-იან წლებში რომანის თვითკვდომის შესახებაც გაიშალა

პაექრობა. „ანტირომანი“ მიიჩნის დასტურად რომანის კრიზისისა. ცხადია, ბალზაკი არ არის ფეტიში; აუცილებელი როდია, ინერებოდეს მხოლოდ ძველმოდური რომანები. სინამდვილის ტრანსფორმირება უანგბადშიც ირეკლება. ის, ვინც ამ თანაფარდობას ვერ შეიგრძნობს – ჩამორჩენილად მიიჩნევა. გრძელდება ტრადიციული ბრძოლა ტრადიციების წინააღმდეგ (ნ. საროტი). ამიტომაც მცდარია თეორია „რომანის სიკვდილისა“. უბრალოდ მან, ისევე როგორც პოემამ, ფორმები შეიცვალა. განმეორდა იგივე, რაც მოხდა ეპიკური პოემის მიმართ, ოლონდ დაგვიანებით. დღეს იქმნება რომანისა და პოემის ახალი სახე, რომელიც, თავის სტრუქტურით, ანტია კლასიკის მიმართ. თანამედროვეობას სჭირდება შესატყვისი სტილით გამოხატვა.

როგორც ითქვა, დღეს აშკარაა რეაქცია ლექსის წინააღმდეგ. პროზაული ცხოვრება ასპარეზიდან აძევებს რომანტიკულ იდეალებს. თვით ეპოქის დახლართულმა მსვლელობამ მოითხოვა რომანის გააქტივება. მკითხველის პროზისაკენ სწრაფვა შემთხვევითი როდია. ის მუდამ ინსტინქტურად გრძნობს მინიერს, ჯანსაღს, სასიცოცხლოს, არსებობისათვის აუცილებელს. თანამედროვე რომანი იძლევა ახალ-ხალ სახეებს (რომანი-ესე, რომანი-ალსარება, რომანი-მონოლოგი, მიკრო-რომანი და ა.შ.), რომლებიც მოქნილად წარმოადგენენ აჩქარებულ და ნერვულ სინამდვილეს. სამწუხაროდ, ჩვენ არა ვართ განებივრებული რომანებით. ზოგჯერ შეგვახსენებენ ხოლმე, რომ არ გაგვაჩნია დიდი პროზის ტრადიცია, რომ საქართველოს პოეზიის ქვეყანაა. ალბათ, ქართულად 500-მდე რომანი არც იქნება დაწერილი, რაც უსაშველოდ მცირეა თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურის მქონე ერისთვის. მაგრამ, საბედნიეროდ, აქ რაოდენობა ხარისხის გამოხატულება არაა. ჩვენ გაცილებით მკაცრი, მომთხოვნი და ულმოებლნი ვართ რომანის მიმართ. ინერება უამრავი უნიჭო ლექსი. ამის გამო არავინ ნუხს, თუნდაც მათმა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბოს, მაგრამ ზედიზედ რომ 10 სუსტი რომანი გამოქვეყნდეს, ამას უკვე აღარავის აპატიებენ. ცხადია, უნდა არსებობდეს ობიექტური ლიტერატურული კონტროლის გრძნობა, მაგრამ ამ მძაფრი პასუხისმგებლობის შეგნებამ კი არ უნდა გაანელოს, არამედ – გააღვივოს შთაგონების ცეცხლი. ისევე სამწუხაროდ: ჩვენ არ გაგვაჩნია გერმანული სტოიციზმი და ფანატიზმი: აუცილებელია, ქართველი მწრლის შეგნებიდან განიღვენოს თვითკმაყოფილების ტკბილი შხამი. თანამედროვე ეტაპზე ისევე რომანი არის ლიტერატურის უმთავრესი საარსებო ფორმა. მასში მთლიანდება წარსული და აწმყო, პროზა და პოეზია, რელიგია და მეცნიერება. ცოცხლობს თეზისი ჰეგელისა და ბალზაკისა. კვლავ დაისმის რომანის პრობლემა.

ქართულ პროზას ეს პრობლემა 20-იან წლებში გაუჩნდა. ლიტერატურის განახლების უნაპირო პათოსმა ლირიკის შემდეგ რომანი ამოსწია. როგორი უნდა ყოფილიყო მისი სტრუქტურა? ვასილ ბარნოვი ერთდროულად აერთებდა არქაულ და თანამედროვე ტენდენციებს. მან პირველმა წამოიწყო ქართული პროზის რეფორმა, მაგრამ ცდები რჩებოდა მეტყველების პოეტიკის სფეროში. მან ხელი არ ახლო ტრადიციულ სტრუქტურებს (ფაბულა და სიუჟეტი, კომპოზიცია, ხასიათები, ეპოქა და ა.შ.). მერმე შეიქმნა უახლესი ქართული რომანის ნიმუშები („სანავარდო“, „დიონისოს ლიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ბათა ქექია...“), რომლებიც ცვლიან ჩვენს წარმოდგენებს. რომანი პოეზიას დამეგვანა. ფრაზები მუსიკალურად აჟღერდნენ. მეტაფორული პირობებით დაქარაგმდა მეტყველება. გამოჩნდნენ უჩვეულო პერსონაჟები (სავარსამიძე, ტაია შელია, ბონდო ჭილაძე, ბათა ქექია, თარაშ ემხვარი, ლუკაია ლაბახუა და ა.შ.). ყურადღების ცენტრში მოექცა არისტოკრატი და ინტელიგენტი, ქალაქური გარემო – სოფლის სანაცვლოდ. აღმოცენდა სრულიად ახალი პრობლემატიკა – აღძრული ეპოქის ტკივილებით. პარალელურად შეიქმნა მიხეილ ჯავახიშვილის ტრადიციული, მაგრამ დიდებული რომანები. 30-იანი წლებიდან ნელ-ნელა შეწყდა ბრძოლა ახალ სტილურ საშუალებათა მისაგნებად. 60-იან წლებში სტრ-მ დასხვა ფაქტორების აშკარა შემოტევამ გამოაღვიძა მიძინებული ტენდენცია. გარემოსა და სიტუაციების ტრანსფორმირებამ შემოქმედი აიძულა სინამდვილე აესახა ისე, როგორც ის არის. აღდგა გადანყვეტილი კონტაქტი ზოგად ლიტერატურულ პროცესთან. ამრიგად, ქართული რომანის პრობლემა ხელმეორედ წამოიჭრა 60-იან წლებში. გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო ნაწარმოები, მაგრამ ისინი ვერ უახლოვდებიან 20-იან-30-იანი წლების ბრწყინვალე ქართულ რომანებს.

ჩვენ არ გაგვაჩნია ქართული რომანის მტკიცე და დადგენილი ცნება, მისი მკვეთრი და გამორჩეული ეროვნული ხასიათი. მაგრამ ხერხდება გამოყოფა ერთი ზოგადი ნიშნისა: ეს არის ლირიზმი, პოეტურობა. ალბათ, ქართული რომანის ორიგინალური სახე ამ სპეციფიკის გაშლით დადგინდება. ახალ დროში ვასილ აბრნოვმა იგრძნო, რომ მშრალი ბელეტრისტიკა არ ივარგებდა. მან აღადგინა შორეულ ძირებთან მაერთებელი დანყვეტილი ძაფები. შემდეგ ჭოლა ლომთათიძემ შექმნა ასოციაციური, ლირიკული და ნაზი პროზა, რომელიც დღეს უაღრესად თანამედროვედ გამოიყურება. მან ჩამოიცილა ტრადიციული თხრობის სიდინჯე და ეპიკურობა. მოცახცახე და ავადმყოფი სული შესატყვისი სტილით ამეტყველდა და ბოლოს – კონსტანტინე გამსახურდიამ შეძლო ტრადიციული და მოდერნული ტენდენციების კანონზომიერება: მან მოგვცა

ლირო-ეპიკური რომანის მოდელი, როგორც ნიმუში. ლირიკული ნაკადი ქართულმა რომანმა აღადგინა 60-იანი წლებიდან (თამაზ ჭილაძე – „აჰა, მიწურა ზამთარი“; არჩილ სულაკაური – „ოქროს თევზი“; „ნოდარ ღუმბაძე – „მე ვხედავ მზეს“; ედიშერ ყიფიანი – „წითელი ღრუბლები“; ნოდარ წულეისკირი – „თუთარჩელა“; ოთარ ჭილაძე – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“). ლირიზმით განათდა ნოველა და მოთხრობა (ამ მხრივ გამოსარჩევია შესანიშნავი პროზაიკოსის რევაზ ინანიშვილის ნაწერები). დაიბეჭდა რამდენიმე მიკრორომანი (ჭ. ჭილაძე – „შუადღე“, „თეთრი კვამლი“; „ნ. ღუმბაძე – „მე, ბებია, ილიკო და ილარინი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“; გ. გეგეშიძე – „დევილი“). მათში მყარი და ხილული ნივთები პოეტური მღელვარებით ტორტმანებენ და თითქოს ირეალური შუქი ადგათ. სიტყვებში ჩაშლილი საგნები მუსიკის უცარი ინერციით მიედინებიან („მზეზე გამთბარი წყალივით თბილი და სასიამოვნო ჩრდილები მინაზე, ქვებზე და მხრებზე ფათურობდნენ და მოთენთილი სხეულები ბუნების ზრდასა და აყვავებას მინებებოდნენ“.

„ადამიანის გული კვირტივითაა, გაზაფხულზე გასკდება და აყვავდება“. „ყოველ გაზაფხულს?“ – „ჰო, ყოველ გაზაფხულს, ისევე როგორც ხე ახალი ფოთლით, ადამიანიც ახალი სურვილებით იმოსება“ – თ. ჭილაძე); ასოციაციათა თავისუფალი და ფერადი თამაში ჟღერს, როგორც ლექსის რთული სტრუქტურა („სანერ მაგიდაზე მირიანის მოთხრობები იყო გაშილი, თეთრი, ქათქათა ფურცლები, დათოს ერთი სული ჰქონდა წაეკითხა, მაგრამ... ფურცლებს შავად მზინავი, ჰაეროვანი და ამავე დროს მძიმე თმა გადაეყარა. მთელი მაგიდა გადაფარა აბურდულმა თმამ. დათო გულაღმა გადაწვა ბურბუშელაში და ხელის ფათურით მოძებნა ციცინოს ხელი. ციცინოს ხელი ცივი იყო და გათბობა დაუპირა, მირიანი კი დაიხარა და მანანას მხრიდან რალაცა ააცალა. მანანა გაირინდა, გაყურდა. დათოს მაინც უნდოდა მირიანის მოთხრობები წაეკითხა, მაგრამ მაგიდაზე შავი ბურბუშელა ეყარა. მერე მოვიდა უცნობი ქალი – ბუბა ეშბა, ყველაფერი მოლურჯო-ლაჟვარდისფრად დაინისლა. წითელი ფერი კი მიხაკის სურნელი იყო. დათოს შესცივდა და ეს სიცივე აგრძნობინა ხატაურას თბილმა და ფაფუკმა ბენვმა. ყვითელი ვარდების მოჩითულ კედელზე პანანინა, ყვითელი ჭია მათა მოდიოდა“ – არჩილ სულაკაური); ლირიკული ინტერმეცო შემაჯამებელი დასკვნა რომანული კოლიზიისა („სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარაგზიო და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარაგზიო და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო და მეც მაღლიერი-

ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წაგვიყვანო – მე და ხატია, წაგვიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ. ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული. შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილობია და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით ბაჯალლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამაღლა: ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე“ – ნოდარ ღუმბაძე).

პროზაშიც ვრცელ ადგილს იჭერს ჟურნალისტური ნაკადი. ენობრივად გარდაუქმნელი ინფორმაცია უხეშ ფორმებს ლებულობს. საერთოდ დღეისათვის ჩამოყალიბებულია საგაზეთო ენა, რომელიც ერთგვარ ჟარგონადაც შეიძლება მოინათლოს. მას თან ახლავს დილექტანტობა, ზერელობა, არახატოვანი გამოთქმები. ოფიციალური საგაზეთო ენა ხშირად მოწყვეტილია სასაუბრო მეტყველებას, ხოლო ვერც მეცნიერული და ვერც მხატვრული აზროვნების პრეტენზიას ის ვერ განაცხადებს. მასში გამქრალია სასიცოცხლო ალქმის ძალა. ჭარბია ნაძალადევი, ტრაფარეტული და ყალბი კონსტრუქციები, რუსიციზმები და უსახური წინადადებანი. ლირიზმის პარალელურად პროზაში და, კერძოდ, რომანში სწრაფად ვრცელდება ჟურნალისტური სტილი. ვფიქრობ, ეს ცუდი ტენდენციაა, მაგრამ შეუძლებელია ალკვეთა: ერთბაშად ჭირს ახალ-ახალი ობიექტებისა და სიტუაციებისთვის სათანადო ხატოვანი ფრაზების მორგება. აჩქარებული დროის რიტმი გვართმევს ფიქრის საშუალებას. ინფორმაციის წამლეკავი ტალღა შემოქმედს ურღვევს წონასწორობას. ერთხელ მიგნებული შედეგი კვლავ მისაგნები ხდება. არ მომაქვს ჟურნალიზმის მაგალითები. ის ნიშნეულია არა მხოლოდ ტრადიციონალისტი მწერლებისთვის. თვით ნატიფ ლირიკოსებსაც კი (ა. სულაკაური, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე) არ ეჩოთიერებათ მათი შემოტანა. დაისმის კითხვა: რომანი ენობრივი თუ აზრობრივი ფენომენია? როგორი პასუხიც გაეცემა მას, ისეთივე სტრუქტურა მიიღება. მე მოკლედ, ამ თვალსაზრისით, დავახასიათებ რამდენიმე რომანისტს:

თამაზ ჭილაძე. მისთვის პროზა არსებობს მუსიკალური, მეტაფორული, ლირიკული. მთავარია ხასიათების არა ფსიქოლოგიური, არამედ ლირიკული მოტივირება. ცალკეული პასაჟები ბრწყინავენ პოეტური სიფაქიზით. პერსონაჟები ნაკლებად გვახსომდება. მეტყველების ემოციური მდინარეა ინდივიდუალიზებას არც ემსახურება. სიხლენი უპირატესად ფორმას განეკუთვნება. პოეტი გვიხატავს თავისთავს და არა გმირებს. ნაწარმოების წაკითხვის შემ-

დეგ მეხსიერებაში ყველაზე მეტად რჩება თავად ავტორი. ეს სუბიექტური პროზის თვისებაა.

არჩილ სულაკაური. გადმოიცემა გარკვეული ამბავი. მას უნდა ახლდეს იდუმალი მოტივი. ფაბულის მიღმა რჩება რალაც საგულისხმებელი. სიუჟეტი პირდაპირ ვითარდება. მოქმედების სურათი იწერება რბილი და პოეტური ნიუანსებით. ენობრივი მოდელი ემორჩილება ამბის განვითარების დინამიკას. მოძრაობენ საპირისპირო განცდებით შეპტრობილი ადამიანები. ავტორი შენიღბულია, მაგრამ ლირიზმის გზით წარმართავს თხრობის მსვლელობას. ნოდარ დუმბაძე. აისახება ერთი პიროვნული მოდელის მრავალგვარი მდგომარეობა. კომიზმი, ნათელი და ლირიკული ფრაზები, ტრაგიკული სიტუაციის ფონი ამჟღავნებს კეთილშობილ პერსონაჟთა ხასიათებს. ენა საშუალებაა გარეგანი თავისუფალი მოვლენების ასამეტყველებლად. იქმნება ფაბულური ჩარჩო. ასახვის მანერა გამორიცხავს სტილურ გართულებებს.

ბურამ ფანჯიკიძე. ვითარება მძაფრი სიუჟეტი. ავტორი არ ერევა ნაწარმოებში. იკვეთება ტიპიურ პერსონაჟთა სახეები. თხრობა ზუსტია და სადა. ის გარემო, რომელშიც მოქმედება იშლება, სავსებით ნაცნობია შორეული და მიუწვდომელი არ იმიფრება. თხზულების ყოველი კომპონენტი ცდილობს ობიექტური სამყაროს მართალ გამოხატვას. მთლიანად აღკვეთილია ლირიკული ნიაღვრები.

ბურამ ბებეშიძე. ფანტაზია ესწრაფვის ლოგიკურ დასაბუთებას. გამოგონილი გარემო და პერსონაჟები უახლოვდებიან ხილულ ქვეყანას. მწერლის ენა მოკლებულია რაფინირებას. ზოგჯერ გვეძლევა პუბლიცისტური პასაჟები. აქცენტი გადაინაცვლებს რთული ფსიქიკის ჩვენებაზე. პიროვნების დახლართული ცნობიერების ამოხსნა თრგუნავს ყოველივეს.

ოთარ ჭილაძე. აისახება უშორესი ეპოქა. ფანტაზია ქმნის რეალობას. ნაოცნებარი საგნები წავრილმანებად ვერ დაქუცმაცდება. მეტყველება რთულდება. ფიქრთა მდინარება მეტაფორებით ფორმირდება. თხრობა უსასრულო სივრცეს მოიცავს. სუბიექტური წარმოსახვა აუქმებს ისტორიზმის პრინციპს. წრასული განიცდება, როგორც თანამედროვეობა. ის მწერლისთვის სააზროვნო მასალაა... ამრიგად, ვითარდება ორი ტენდენცია: ერთი

ლირიზმის აპოლოგიაა, მეორე – ეპიკისა. ის რომანისტიებიც, რომელთა შესახებაც არაფერი მითქვამს, ამავე დეფინიციას ემორჩილებიან.

ლირიკოსი რომანისტიები მხატვრულად მეტყველებენ. ისინი ქმნიან ემოციურ ფოიერვერკს, ავლენენ შესაშურ ოსტატობას, ფლობენ ენას. მათი ღირსება ამოზრდილია მშობლიური სიტყვის მისტიკიდან. ამიტომ ჭირს გადათარგმნა, მეორე ენაზე გადატანისას საოცრად ღარიბდებიან. ქრება ეროვნული ენის ჯადოქრული სტიქია. თარგმნისას პირნიმნდად იკარგება მუსიკალობა, ენობრივი სილამაზე, ფორმალური აქსესუარი. სხვათაშორის, ეს ნაკლი დიდად დაეტყო კ. გამსახურდიას, მაგრამ ეპიკოსი რომანისტიების ბედი სხვაგვარია. მათ ხელს აძლევთ თარგმნა: მეორე ენაზე გადასვლისას არაფერს კარგავენ. ენას ენიჭება საკომუნიკაციო ფუნქცია, ხოლო ექპრესია მიიღწევა სიტუაციების შექმნით. ამიტომ ეპიკოსი რომანისტი გამარჯვებული გამოდის. ენის სიმდიდრე, სილამაზე, მუსიკა, ფრაზის ოსტატობა ეფემერული ხდება. მათი აუცილებლობა აშკარაა მხოლოდ ნაციონალურ ფარგლებში.

სხვაგვარია „ინტელექტუალური პროზის“ ბედი (ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „თ. ჭილაძის რომანები, გ. გეგეშიძის „ცოდვილი“). როგორც კი აზროვნება ფორმის სფეროთი შემოიზღუდება, მაშინვე ეცემა ზოგადი ფასეულობა. ო. ჭილაძისა და გ. გეგეშიძის რომანები ამ მხრივ დაზღვეულია. მათთვის რომანი სწორედ აზრობრივი ფენომენია. აქ გარდაუვალია ერთგვარი გაშიშვლება. ვერც ფორმა და ვერც დრამატული სიუჟეტი ვერ გამოისყიდის დილექტანტურ აზროვნებას. უნდა ითქვას, რომ გ. გეგეშიძე ამ თვალსაზრისით ხშირად სცოდავს. მასთან ჭარბად მორიგეობს ჟურნალისტური მსჯელობა და გულუბრყვილო თვითნალიზი.

ამრიგად, 60-იანმა წლებმა კვლავ წამოჭრა რომანის პრობლემა. უანრული სახე ყველას ერთგვარად როდი აქვს წარმოდგენილი. პირობითად შესაძლოა სამი მრწამსის გამოცაკავება: ერთი ტრადიციის ერთგული, მეორე – თანამედროვე რომანის ფორმირებისა, მესამე კი თითქოს მათ სინთეზირებას ლამობს.

ნიგნებიდან:

„ლიტერატურული პრელუდიები“ (1974),
„ეპოქა და სტილის პრობლემა“, (1976).



„შესაძლო სამყაროთა“ სემინტიკა

მარიამ მირესაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„შესაძლო სამყაროთა“ ცნებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომ შესაძლებელია ახლანდებლობას ჰქონდეს მომავალში არა ერთი, არამედ განვითარების რამდენიმე გზა. ლიტერატურათმცოდნენი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აღნიშნული წარმოდგენა ადრეც არსებობდა, თუმცა XX საუკუნეში, აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან დაკავშირებით, იგი გააქტიურდა; სწორედ მაშინ გამოითქვა ვარაუდი, რომ დრო წარმოადგენს მეოთხე განზომილებას და მასში, ისევე როგორც სივრცეში, შესაძლებელია გადაადგილება.

ზოგადად, „შესაძლო სამყაროთა“ ცნება ლოგიკურ-ფილოსოფიური წარმომავლობისაა; იგი ფიქსირდება **გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცის (1646-1716)** ნაშრომებში, რომლებშიც ავტორი მსჯელობს ჭეშმარიტი გამონათქვამის პრობლემის შესახებ. ფილოსოფოსის აზრით, უცილობლად ჭეშმარიტ გამონათქვამად შეიძლება მივიჩნიოთ ის გამონათქვამი, რომელიც ჭეშმარიტი იქნება ნებისმიერ გარემოებაში, მოვლენათა განვითარების ნებისმიერი შესაძლო ვარიანტის შემთხვევაში, ნებისმიერ შესაძლო სამყაროში; ხოლო შესაძლო ჭეშმარიტ გამონათქვამად შეიძლება მივიჩნიოთ ის გამონათქვამი, რომელიც ჭეშმარიტი იქნება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე შესაძლო სამყაროში, ანუ მოვლენათა განვითარების ერთი ან ორი შესაძლო ვარიანტის შემთხვევაში.

ლიტერატურის ისტორიაში „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკის ასახვის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად აღიარებულია XX საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნებული იაპონელი მწერალის, **რიუნოსკე აკუტაგავას** გახმაურებული მოთხრობა „**უსიერ ტყეში**“ (მის კინემატოგრაფიულ ვერსიას წარმოადგენს აკირა კუროსავას „რასემონი“). ფაქტობრივად, აღნიშნულ მოთხრობაში გაცხადებულია წარმოდგენა, რომ რეალურ სამყაროს პრივილეგირებული მდგომარეობა სულაც არ უკავია. მოთხრობა აგებულია რამდენიმე მოწმის ჩვენებაზე, რომლის თანახმად, უსიერ ტყეში სამურაის მოკვლის ბრალდებით დაკავებული ავზაკი აღიარებს, რომ მან შეიტყუა სამურაი და მისი მეუღლე ტყეში, ქმრის თვალწინ შეურაცხყო ცოლი და შემდგომ მოკლა სამურაი (ანუ, ყაჩაღის შესაძლო სამყაროში ის თავად გვევლინება მკვლელად). მეორე ვერსიის თანახმად, რომელსაც მოკლული სამურაის ცოლი გადმოგვცემს, ყაჩაღმა მართლაც შეიტყუა ცოლ-ქმარი ტყეში, სამურაი ხეს მიაკრა, მის თვალწინ შეურაცხყო ცოლი და გაიქცა. შერცხვენილმა ქალმა გადაწყვიტა მოეკლა ქმარი (რომელმაც იგი ვერ დაიცვა ყაჩაღის შეურაცხყოფისგან) და თავადაც გამოსალმებოდა სიცოცხლეს. მართლაც, მან სისრულეში მოიყვანა გადაწყვეტილების პირველი ნაწილი (მოკლა ქმარი), მაგრამ

შემდეგ გული წაუვიდა; გონს მოსული კი, შეშინებული გაეცალა იქაურობას (ანუ, ქალის შესაძლო სამყაროში ის თავად გვევლინება მკვლელად). დაბოლოს, უკანასკნელი ვერსია, რომელსაც მოკლული სამურაის სული გადმოგვცემს; მისი ვერსიით, მას შემდეგ, რაც ყაჩაღმა მისი ცოლი შეურაცხყო, ქალმა თავად სთხოვა ყაჩაღს, რომ მისი ქმარი მოეკლა; აღშფოთებულმა ყაჩაღმა ფეხი ჰკრა ქალს, სამურაი ახსნა ხიდან და გაიქცა, ხოლო შერცხვენილმა სამურაიმ თავად გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს (ანუ, სამურაის შესაძლო სამყაროში ის თვითმკვლელად გვევლინება). აკუტაგავა არ იძლევა საბოლოო ვერსიას, თუ რა მოხდა სინამდვილეში უსიერ ტყეში; პირიქით, იგი მიგვანიშნებს, რომ სამივე ვერსია, გარკვეულწილად, შეიცავს სიმართლის ნაწილს.

მწერლის ამგვარ მიდგომაში იკვეთება პრინციპული სხვაობა შემთხვევის/მოვლენის ტრადიციულ და არაკლასიკურ გაგებას შორის; კერძოდ, შემთხვევა/მოვლენა, მაშინ შეიძლება დავაფიქსიროთ, როდესაც ორი პირობა სრულდება:

- ის პირი, ვისაც რაღაც შეემთხვა, მისი ზეგავლენით, სრულიად ამ ნაწილობრივ, იცვლის ცხოვრებას. შემთხვევის/მოვლენის ამგვარი გაგება ტრადიციულია და საესკებით მისაღები XIX საუკუნის კლასიკური ლიტერატურისთვის;

- შემთხვევა/მოვლენა აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, აღინეროს მისი მონაწილის/მონწმის მიერ; ამასთან, მისი ხედვა შესაძლოა დაემთხვას ან არ დაემთხვას შემთხვევის/მოვლენის სხვა მონაწილეთა/მონწმეთა შეხედულებებს. სწორედ ამაში მდგომარეობს XX საუკუნის ლიტერატურის მიერ შემოთავაზებული სიახლე შემთხვევის/მოვლენის გაგებაში.

XX საუკუნის ლიტერატურაში მოვლენის/შემთხვევის ასეთი სუბიექტივისტური გაგება უკავშირდება ობიექტის, დროისა და ჭეშმარიტების (ანუ, ყველა ტრადიციული ონტოლოგიური ობიექტის) ცნებების რელატივიზაციას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც XIX საუკუნეში შემთხვევის/მოვლენის ქრონოლოგიას წარმოადგენდა, XX საუკუნეში მოვლენათა სისტემად იქცა. ამდენად, აკუტაგავას ზემოთ განხილულ მოთხრობაში მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დალაგება შეუძლებელია; მასში არ არის წარმოდგენილი სწორხაზოვანი, წრფივი დრო; პირიქით, წარმოდგენილია სისტემა, რომელიც სამი ურთიერთგადასაკვეთი ხაზისგან შედგება (ყაჩაღის, სამურაის და მისი ცოლის თვალსაზრისისგან). სწორედ ამაში მჟღავნდება „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკა, რომლის პათოსი ის არის, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, იგი დამოკიდებულია მოვლენის/შემთხვევის მონაწილე პირებისა და მონწმეების თვალსაზრისზე.

„შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკამ ფართო აღიარება მოიპოვა მოდერნიზმის ლიტერატურაში. სწორედ მასზეა აგებული მოდერნიზმის გამორჩეული კლასიკოსის, ხოსე ლუის ბორხესის ნოველათა მხატვრული სამყარო („იუდას ლალატის სამი ვერსია“, „მოლაღატისა და გმირის თემა“, „განტოტვილი ბილიკების ბალი“ და სხვ.), რომელშიც გმირები, როგორც წესი, განსხვავებულ ვითარებებსა და გარემოებებში, რამდენჯერმე კვდებიან. ამით ავტორი მოვლენათა განსხვავებული განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ნოველაში „იუდას ლალატის სამი ვერსია“; ავტორი მოგვითხრობს ლუნდში (თუ მალმეში) მცხოვრები ნილს რუნებერგის – ნაციონალური ევანგელისტური საზოგადოების წევრის – სამი ნაშრომის შესახებ, რომელშიც, შესაბამისად, განხილულია იუდას ლალატის სამი ვერსია. პირველი (ტრადიციული) ვერსიის თანახმად, იუდამ მაცხოვარს შურისა და ვერცხლისმოყვარეობის გამო უღალატა (ანუ, წარმოდგენილია აქსიოლოგიური მოდალობა, იუდას მიერ უარყოფილ იქნა ზნეობრივი ფასეულობები, რასაც მოჰყვა მაცხოვრის ლალატი). მეორე ვერსიის თანახმად, იუდამ ალტრუისტული მოსაზრებებით უღალატა მაცხოვარს; მას სურდა იესოს სახელის უკვდავყოფა და ამიტომაც გასცა იგი (დეონტიკური მოდალობა – იუდას მიერ ხდება აკრძალვის დარღვევა, იმავდროულად მან მოიხადა უწმინდესი ვალი). დაბოლოს, მესამე ვერსიის თანახმად, იუდა სწორედ მაცხოვარია, რომელმაც უმძიმესი ცოდვა – ლალატი – იტვირთა (ეპისტემიური მოდალობა, იუდას საქციელის საიდუმლო ასე მოულოდნელად იქნა ახსნილი ნილს რუნებერგის მიერ).

„შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ მოდერნისტულ, არამედ პოსტმოდერნისტულ პოეტიკაშიც. ამის დადასტურებაა პოსტმოდერნისტული მწერ-

ლობის საეტაპო რომანი, მილორად პავიჩის (რომელსაც ხშირად ბალკანელ ბორხესს უწოდებენ) „ხაზართა ლექსიკონი“. რომანი აგებულია სამი სხვადასხვა ფერის წიგნის – წითლის, მწვანისა და ყვითლის – თანამიმდევრობაზე, რომლებშიც, შესაბამისად, შეკრებილია ქრისტიანული, ისლამური და იუდეური წყაროები/სტატიები ხაზართა მიერ ახალი სარწმუნოების მიღების შესახებ: ქრისტიანების ვერსიით, ხაზარები გაქრისტიანდნენ; მუსლიმანების ვერსიით – ისლამი აღიარეს, ხოლო ებრაელების ვერსიით – იუდაიზმი. „ხაზართა ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს პოსტმოდერნისტული მწერლობის ცნობილ ხერხს, რომლითაც ხაზს უსვამს ერთიანი ტექსტის (ჰიპერტექსტის) ცენტონურობას, ციტატურობას; იგი მიუთითებს, რომ წინამდებარე სტატიების ნაკითხვა ნებისმიერი თანამიმდევრობით შეიძლება: თავიდან ბოლოსკენ, ბოლოდან თავისკენ ან მკითხველის მიერ არჩეული ნებისმიერი ცალკეული სტატიების/მონაკვეთების მიმდევრობით. არც ის არის შემთხვევითი, რომ ავტორი ხაზართა სახელმწიფოსა და ხალხის ისტორიას წარმოადგენს არა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, არამედ სისტემის (ლექსიკონში შეკრებილი სტატიების/წყაროების) სახით.

პავიჩის რომანი ურთულეს ინტელექტუალურ ტრილერადაც შეიძლება განვიხილოთ, რომელშიც სამი სხვადასხვა დრო და სამი ცენტრალური მოვლენაა წარმოდგენილი:

1. ხაზართა რელიგიური პოლემიკა IX საუკუნის ბოლოს;
2. XVII საუკუნე – ავრამ ბრანკოვიჩის ისტორია და მისი სიკვდილი;
3. 1982 წლის ცარგრადის კონფერენცია ხაზართა შესახებ და მასთან დაკავშირებული მოვლენები (ხაზართა ლექსიკონის შედგენასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული უკანასკნელი მოწვევების თავიდან მოცილება). აღნიშნული მოვლენების შეფასებაში მწერალი არ გვახვევს თავის აზრს; იგი წინასიტყვაობაშივე აღნიშნავს: **„ჰიპერლიტერატურა გვაჩვენებს, როგორ შეუძლია რომანს რამდენიმე მიმართულებით განვითარდეს – ისევე როგორც ცნობიერებას.... მე შევეცადე შემეცვალა კითხვის ჩვეული მანერა და გავაძლიერე მკითხველის როლი და პასუხისმგებლობა რომანის შექმნის პროცესისას ... მკითხველს გადავეცი რომანის ძირითადი მოვლენებისა და სიუჟეტის განვითარებისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლება: რომანის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრა იქნება ეს თუ მთავარი გმირების ხვედრი“.** როგორც ვხედავთ, მწერლის წინასიტყვაობაშივე გაცხადებულია „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკა; იგი მკითხველს ანდობს საბოლოო ვერდიქტის გამოტანის უფლებას, იძლევა საშუალებას, რომ ყოველ მკითხველს „თავისი სიმართლე“ ჰქონდეს.

„შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკას ვერც ქართულმა პოსტმოდერნიზმმა აუარა გვერდი. მხედველობაში გვაქვს აკა მორჩილაძის რომანი „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი“ (იმთავითვე, რომანის სათაური გაცნობიერებულ მკითხველში იწვევს მილორად პავიჩის „საწერ მოწყობილობათა ყუთის“ რემინისცენციას), რომელიც ვიზუალურად წარმოადგენს არა ერთ ნარატიულ ტექსტს, არამედ ყუთში ჩადებულ ოთხ დანომრილ საქალაქს წარწერებით: ჯესიკა, ამირბარი, სიდონია; ამავე ყუთშია მოთავსებული ბლოკნოტი, სავიზიტო და ღია ბარათები, პირადი წერილები, ამონაჭრები გაზეთებიდან, საექსკურსიო ბილეთები, რვეულები. ყოველივე ზემოაღნიშნული მიემართება მისტერ დიქსლის, რომელიც იძიებს 700 ნაბიჯის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას. საკუთრივ დეტექტიური ქარგა აკა მორჩილაძესთან მხოლოდ საშუალება გახლავთ ტექსტში მკითხველის შესატყუებლად, რომელიც მისტერ დიქსლისთან ერთად (ყუთში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე) იძიებს მთავარი გმირის (ტექსტში ნამდვილად რა ჰქვია – ასურასტან ასურასტანი, ირაკლი ყაზბეგი, ჯიბრაილ ვისრამიანი თუ გიორგი ბედაური – უცნობი რჩება) მკვლელობას. ზემოთ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, მკითხველი თავად უნდა მიხვდეს, თუ ვინ არის მკვლელი უამრავ ფათერაკ-გამოვლილი ადამიანისა, რომელიც საბოლოოდ სრულიად ბანალურ ვითარებაში კვდება (რამდენადაც პერსონაჟის პროტოტიპი, რომელიც ყველა ქართველისთვის ნაცნობია, ჩვენს საკვლევ პრობლემას არ ეხება, ამდენად ამ პრობლემას გვერდს ავუვლით). პოსტმოდერნისტული კანონის შესაბამისად, „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთის“ პერსონაჟები და ძირითადი მოტივები მკითხველში ლიტერატურულ რემინისცენციებს ბადებენ: მწერალს ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი მინიშნებებით „შემაოქვს“ ნაწარმოებ-

ში ნაცნობი (ან ნაკლებად ცნობილი) ტექსტები: ვიდრე ანტიკური ლიტერატურიდან დღევანდელობის ჩათვლით. ზემოთ განხილული რომანების მსგავსად, აკა მორჩილაძე „აქტიურებს“ მკითხველს, მას უტოვებს მკვლევლობის გამოძიებისა და სიმართლის დადგენის უფლებას. ცხადია, როგორც მილორად პავიჩის რომანში, აქაც გაცხადებულია აბსოლუტური ჭეშმარიტების არარსებობასთან დაკავშირებით „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკა; მოვლენათა შეფასებისას სიმართლის/ჭეშმარიტების ურთიერთ-მიმართება არა მარტო მონაწილე პირებისა და მოწმეების, არამედ მკითხველის თვალსაზრისზე.

გვერდს ვერ ავუვლით „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **სოლ კრიპკეს** ქრესტომათიულ მაგალითს თვალსაზრისთა კონტექსტის შესახებ: „იგი ვარაუდობს, რომ...“, „მას მიაჩნია, რომ...“, „მას სჯერა, რომ...“. აღნიშნული მაგალითის თანახმად, ფრანგი მამაკაცი, რომელიც ლონდონში არასოდეს ყოფილა, იზიარებს ფრანგებში დამკვიდრებულ აზრს, რომ „ლონდონი ლამაზია“ („Londres est jolie“). გარკვეული პერიპეტეიების შემდგომ იგი მოხვდება მისთვის უცნობ ქალაქში, დასახლდება გარეუბნის ერთ-ერთ ჭუჭყიან კვარტალში და მისი ცხოვრება ისე აენწყობა, რომ არც მოუწევს ამ ქალაქის ისტორიულ ცენტრში მოხვედრა; რაც შეეხება აქაურთა ენას, იგი მას თანდათან ეუფლება. ფრანგ მამაკაცს თავში აზრადაც არ მოსდის, რომ იგი სწორედ იმ ქალაქში იმყოფება, რომელსაც ადრე Londres უწოდებდა და ლამაზად მიაჩნდა, ახლა კი, London-ს ეძახის და იზიარებს თავისი ახალი მეზობლების თვალსაზრისს, რომ „ლონდონი არ არის ლამაზი“ („London is not pretty“). ამასთან ერთად, იგი კვლავინდებურად დარწმუნებულია, რომ „Londres est jolie“.

დაბოლოს, სტრუქტურალური პოეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აღნიშნავდა: **„მთლიანობაში, კულტურა შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც ტექსტი, თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ძალზე რთული ტექსტია, რომელიც მოიცავს რთულ იერარქიულ დაქვემდებარებაში მყოფ „ტექსტებს ტექსტში“.** ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მიდგომაც იძლევა გასაღებს „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკის სიღრმისეული კვლევისა.

ანოტაცია

„შესაძლო სამყაროთა“ ცნებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომ შესაძლებელია ახლანდელობას ჰქონდეს მომავალში არა ერთი, არამედ განვითარების რამდენიმე გზა. აღნიშნული წარმოდგენა ადრეც არსებობდა, თუმცა XX საუკუნეში, აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან დაკავშირებით, გააქტიურდა; სწორედ მაშინ გამოითქვა ვარაუდი, რომ დრო წარმოადგენს მეოთხე განზომილებას და მასში, ისევე როგორც სივრცეში, შესაძლებელია გადაადგილება. სტატიაში განხილულია მოდერნისტული (აკუტაგავა რიუნოსკე, ხოსე ლუის ბორხესი) და პოსტმოდერნისტული მწერლობის (მილორად პავიჩი, აკა მორჩილაძე) აღიარებული ტექსტები, რომლებიც ადასტურებენ „შესაძლო სამყაროთა“ სემანტიკას.

ლიტერატურა:

1. აკუტაგავა რიუნოსკე. უსიერ ტყეში. თბილისი. 2010.
2. პავიჩი მილორად. ხაზართა ლექსიკონი. თბილისი. 2010
3. Готфрид Лейбниц. Сочинения. Книга четвертая. О познании. <http://krotov.info/lib – sec/12 – 1/ley/leybniz – 2 – 363.htm>
4. Крипке С. Загадка контекстов мнения // Новое в зарубежной лингвистике. Вып. 18. Логический анализ естественного языка. М., 1986.
5. Лотман Ю. М. Текст в тексте // Учен. зап. Тартуского ун-та, 1981. – Вып. 567.
6. Руднев В. Феноменология события, ж. Логос, #4, 1993. <http://imperium.lenin.ru/LUZHIN/desert/ktxts/Borges.html>



პაუნდის კანტოები: სამყარო კონტრაპუნქტი

მანანა გელაშვილი

პროფესორი. თსუ, შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის; დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

„ნებისმიერ სწავლულს შეუძლია არნო დანიელი ან გვიდო კავალკანტი ლიტერატურულ ფიგურებად აღიქვას, მაგრამ მათი ცოცხალ არსებებად დანახვის უნარი, მხოლოდ პაუნდს შესწევს. დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში აზრს კარგავს და მნიშვნელობა არა აქვს ის ადამიანი, რომელსაც როგორც ცოცხალს ისე აღიქვამ, არნო დანიელია თუ თქვენი მემწვანილე“ (ელიოტი 2010: 365). ტომას ელიოტის ეს ერთი შეხედვით პარადოქსული მოსაზრება (აბა რა საერთო შეიძლება იყოს XII ს-ის პროვანსალელ ტრუბადურ არნო დანიელსა და პაუნდის მემწვანილეს შორის?) სინამდვილეში ძალიან ზუსტად გამოხატავს პაუნდის მხატვრული აზროვნების ერთერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას: ქრონოლოგიურად განფენილი ისტორია მითის ზედროულ სამყაროდ აღიქვას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „კანტოები“ (კანტო იტ. სიმღერა, რედ.) – პაუნდის მაგნუმ ოპუსი (Opus magnum; ლათ. უდიდესი ნამუშევარი, რედ.) 20-იანიწლებიდან გარდაცვალებამდე, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც იგი პარიზიდან იტალიაში, ქალაქ რაპალოში გადასახლდა, „კანტოები“ იყო ერთადერთი პოეტური ქმნილება, რომელზეც იგი მუშაობდა.

ავტორის აზრით, ამ ნაწარმოებს კაცობრიობის ისტორია უნდა მოეცვა. „კანტოებში“ ისტორიული აზროვნების ადგილს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დროში ქრონოლოგიურად განლაგებდა, მითოსური აღქმა იკავებს, რომლისთვისაც დრო ციკლურია და ამდენად ესა თუ ის ხდომილება ერთჯერად აქტად კი არ აღიქმება, არამედ განმეორებადად. როგორც **ჯოზეფ ფრენკმა** შენიშნა: **„დროში განფენილი სამყარო, რომელიც ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენდა მითოსურ ზედროულ სამყაროდ ტრანსფორმირდება“** (ფრენკი 1948: 59).

შემთხვევითი არ არის, რომ ტომას ელიოტმა თავისი „უნაყოფო მიწა“ პაუნდს მიუძღვნა სიტყვებით „ჩემზე დიდ ოსტატსო“, რითაც არა მხოლოდ თავისი მადლიერება გამოხატა იმ ღვანლის გამო რომელიც პაუნდს მიუძღვის ელიოტის ამ ნაწარმოებისათვის საბოლოო ფორმის მიცემაში (პაუნდმა რედაქცია გაუკეთა „უნაყოფო მიწას“), არამედ პატივი მიაგო პაუნდის დამსახურებას ზოგადად მოდერნისტული ესთეტიკის, შემოქმედებითი პრინციპების დამკვიდრებაში.

„კანტოები“ შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორია მოდერნისტი მწერლის დამოკიდებულება დროისა და სივრცისადმი, კერძოდ, მასში ადგილი აქვს დროის მითოლოგიზაციასა და დროის სივრცედ ქცევას. ამასთანავე მითოსისადმი მიბრუნება სავსებით ცნობიერია, ანუ გარკვეულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს, გაცნობიერებულ, გააზრებულ, დამუშავებულ მხატვრულ ხერხს და არა

სამყაროს მითოპოეტური აღქმის თანდაყოლილ უნარს, რომელიც ინტუიტიური მოცემულობაა და არამხატვრული ხერხი.

„კანტოები“ ობიექტური დროის უზარმაზარ მონაკვეთს მოიცავს, უფრო სწორად კაცობრიობის ისტორიას მთლიანად, ანუ დასაბამიდან თანამედროვეობამდე. პირველი 30 კანტო ოდისევსის, პოეტის ალტერ ეგოს მოგზაურობით იწყება, რასაც ქვესკნელში ჩასვლა, შემდეგ კი აფროდიტეს-და დიონისეს დაბადება მოჰყვება (შესაბამისად: პირველი კანტოს და მეორე კანტოს დასასრული), შემდეგ კი – ვენეციაში, ზღვაში ჩამავალი კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა პოეტის სახე. ბერძნული მითების სამყარო, სიდის ისტორია (XI საუკუნე), ინეზ დე კასტროს სიკვდილი (XIV საუკუნე), მანტენას მიერ XV საუკუნეში მოხატული მონასტერი მანტუაში – აი, არასრული ჩამონათვალი იმ დროთა სპექტრის, რომელსაც მხოლოდ პირველი სამი კანტო მოიცავს.

პირველი სამი კანტოს შემდეგ ისტორიული დროის არეალი კიდევ უფრო ფართოვდება. ახალგაზრდა პოეტი (ალბათ თვით პაუნდი) ვერონაში რომაული არენის ნანგრევებთან ჩამომჯდარა და თითქოს მის თვალწინ ჩაივლის კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები: პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის რევოლუცია (კანტო XVI), კონფუცის ეპოქის ჩინეთი (კანტო XIII), რენესანსის ხანა ვენეციაში (კანტოები XXV-XXVI), ხელოვნებათა მფარველის სიგიზმუნდ ომალატესტას მოღვაწეობა (კანტოები VII-XI).

მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, გაძნელება დავასახელოთ მეორე პოემა, რომელიც ამდენ ისტორიულ მოვლენას მოიცავს, „კანტოები“ ისტორიული პოემა არ არის. უფრო მეტიც, პაუნდის პოემაში მთელი ეს ისტორიული მასალა, სრულიად სხვა მიზანს ემსახურება. კერძოდ, წარსულის ან უფრო სწორად წარსულების (რადგან ნაწარმოებში, როგორც აღვნიშნეთ არ არის ერთი რომელიმე ეპოქა, ან ადგილი) გარკვეული მომენტების პროექტირებას ანმყო გარკვეულ მომენტზე მითის ზედროულ სამყაროში გადაყვარათ, სადაც „მშვენიერი ელენე“ ერთსა და იმავე დროს ელენე აკვიტანელიცაა, ტროელი ელენეც, მშვენიერი დანაიაც და პროვანსალელ ტრუბადურთა ტრფობის ობიექტიც. პაუნდის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „მეტამორფოზის მაგიურ მომენტში“ ყველა დრო თანაარსებობს მითოსის ერთ ზედროულ დროში.

მაგრამ ერთია რისი გამოსახვა სურს ავტორს და მეორეა რამდენად და რა ხერხებით ახერხებს იგი თავისი ჩანაფიქრის მიღწევას. რადგან არსებითად მხატვრული ტექსტი უპირველესად იმით ფასდება, რამდენად ახერხებს ავტორი ადეკვატური ფორმის მორგებას სათქმელისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე კეთილშობილური ჩანაფიქრიც კი მხოლოდ დეკლარაციად დარჩება და ლიტერატურული ტექსტი არ შეიქმნება. პაუნდის ტექსტის ზემოქმედების ძალა სწორედ მის მხატვრულობაშია, ანუ იმ ხერხებისა და მხატვრული მიგნებების მთელ არსენალში, რომელიც მის თეორიულ მოსაზრებებს ნაწარმოების ქსოვილში განაცხადებს.

დროის მითოლოგიზებისა და ზედროულობის მიღწევის ერთერთი ხერხი, „კანტოებში“ ჩანაცვლების პრინციპია. „კანტოებს“ არ ჰყავთ ერთი ან რამდენიმე მთავარი პერსონაჟი, არამედ პერსონაჟთა მთელი წყება, რომლებიც ერთნაირ ან მსგავს სიტუაციებში ერთმანეთს ჩაენაცვლებიან. უფროსწორად, მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუნოლოთ პერსონაჟები, რადგან „კანტოების“ მრავალრიცხოვანი პერსონაჟები, რომელთაგან ზოგი მხოლოდ რამდენჯერმეა ნახსენები, ზოგი კი ხშირად გვხვდება, არსებითად ორი ძირითადი არქეტიპის სახეცვლილებებს წარმოადგენენ, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ეპოქაში სხვადასხვაგვარ ხორცშესხმას იღებენ. ეს ორი ძირითადი არქეტიპია: ერთი მხრივ მამრობითი საწყისი, რომელიც პაუნდისათვის ასოცირდება ახლის და აქამდე შეუცნობის ძიებასთან, ხეტიალთან, ქმნა-შემოქმედებასთან და მეორე მხრივ, მდებრობითი საწყისი, რომელიც „კანტოებში“ წარმოგვიდგება, როგორც ქაოსი, უფორმოება, ბიოლოგიური პროცესი, რომელიც დასრულებას ეძიებს. პირველი არქეტიპის განსხეულება „კანტოებში“ სხვადასხვა პერსონაჟით წარმოგვიდგება. ესენია ლიტერატურული და ისტორიული გმირები: ოდისევსი, როლანდი, სიდი, პროვანსალელი ტრუბადურები, ამერიკელი ლიდერები: ჯონ ადამსი, ტომას ჯეფერსონი და სხვ. ხოლო მეორე მხრივ ჯგუფდებიან: მშვენიერი ელენე, ელეონორა კვიტანელი, ინეზ დე კასტრო, დემეტრე, მთვარე, სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე, რომელიც „კანტოებში“ სხვადასხვა სახელით წარმოგვიდგება: ვენერა, კითერა ანუ ციტერა, პრიმავერა. იგი არის ხელოვანის მუზა, მისი „ერთგული პენელოპე“, („Poet's true Penelope“) როგორც პაუნდი უნოდებს ხელოვნებას თავის ერთერთ ადრეულ ნაწარმოებში („Hugh Selwyn Mauberley“, 1920).

ყველა ეს პერსონაჟი ერთმანეთს ენაცვლება „კანტოებში“, რაც საშუალებას აძლევს ავტორს კაცობრიობის ისტორია და კულტურა არა დიაქრონულად, არამედ სიმულტანურად წარმოადგი-

ნოს. პერსონაჟთა ჩანაცვლება არა მხოლოდ გარკვეული მხატვრული ხერხია, რომელიც ნაწარმოების პოეტიკას განსაზღვრავს, არამედ ამასთანავე პაუნდის შემოქმედების ცენტრალურ თემასაც უკავშირდება: ეს არის პიროვნების მეტამორფოზის თემა, რომელიც პირველად მის ერთ-ერთ ადრეულ ლექსში გაისმა:

**ვიცი, რომ ყველა დიდი
ადამიანის სული
დროდადრო ჩვენშია ასე,
რომ ზოგჯერ დანტე ვარ,
ზოგჯერ ფრანსუა ვიიონი –
ბალადის მეფე და ქურდბაცაცა.**

(„ჰისტორიონი“)

პაუნდს მიაჩნია, რომ როგორც კი ადამიანი ამბობს „მე ვარ ეს“ იგი კლავს საკუთარ თავს, რადგან ყოველგვარი დეფინიცია სპობს ცვალებადობას, კლავს პროცესს, ხოლო არსებობა თავად პროცესია. პიროვნების მიერ თვითობის ძიება მრავალი სხვადასხვა ნიღბის მორგებასა და მოცილებას გულისხმობს. ნიშანდობლივია, რომ პაუნდის ერთერთ კრებულს „ნიღბები“ ეწოდება, ხოლო ტომას ელიოტიმ პაუნდის მხატვრულ მეთოდს ნიღბების უსასრულო მონაცვლეობა უწოდა.

„კანტოებში“ პაუნდი ხშირად მიმართავს მონტაჟის ტექნიკას, რომლის დროსაც დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან დაშორებული ხდომილებანი ერთმანეთს ენაცვლებიან და მოზაიკურ მთლიანობას წარმოქმნიან. მაგ. მე-17 კანტოში სამი მოვლენა ენაცვლება ერთმანეთს: ოდისევსის მოგზაურობა ითაკაში დასაბრუნებლად, იაზონისა – კოლხეთისაკენ და გემის შემოსვლა თანამედროვე ვენეციაში. და თუ პირველი ორი არსებითად ერთსადაიმავე სიმბოლოს მიგვანიშნებს, (კერძოდ, სიბრძნის, თვითობის ძიებასა და ამ ძიებაში გამოვლილი გზის ხიფათსა და სიძნელეზე), თანამედროვე მერკანტილურ სამყაროში მოგზაურობაც მერკანტილურ მიზნებს ემსახურება. ხოლო ამ უკანასკნელის პროეცირება იაზონისა და ოდისევსის გმირულ სამყაროზე კიდევ უფრო ამძაფრებს თანამედროვე ადამიანის დაცემის, თანამედროვე სამყაროს დეჰეროიზაციის თემას.

მონტაჟის ტექნიკა დროსა და სივრცეში თავისუფალი გადაადგილების საშუალებას იძლევა. თუმცა თავისუფლება მოჩვენებითია და მონაცვლეობას მოდერნისტულ ნაწარმოებში მკაცრად მოტივირებული შინაგანი ლოგიკა აქვს. ფრაგმენტულობა სინამდვილეში უბრალოდ სხვაგვარად ორგანიზებულ ტექსტს ნიშნავს, სადაც სიუჟეტის ნაცვლად ფორმის მიმცემ ელემენტად მითოსური სქემა წარმოგვიდგება. ამ თვალსაზრისით პაუნდი იგივე მეთოდს იყენებს, რომელსაც სხვა მოდერნისტებიც მიმართავდნენ, კერძოდ ჯოისი „ულისესა“ და „ფინეგანისთვის ლამისთევამი“, ხოლო ელიოტი პოეზიაში. ელიოტივე იყო პირველი, რომელმაც ესეში „ულისე: მითი და წესრიგი“ მითოსის გამოყენების ახალი ხედვა ჩამოაყალიბა, რომელიც მოდერნიზმმა მოიტანა. ელიოტი წერდა: **„ეს უბრალოდ საშუალებაა ვაკონტროლოთ, წესრიგი, ფორმა და აზრი მივცეთ ამაოებისა და ანარქიის იმ უზარმაზარ პანორამას, რაც თანამედროვე ისტორიაა... ნარატიული მეთოდის ნაცვლად, ახლა მითოსური მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ. ეს კი... ერთი ნაბიჯია რათა თანამედროვე სამყარო ხელოვნებისათვის შესაძლებელი გავხადოთ, ნაბიჯია წესრიგისა და ფორმისაკენ“** (ელიოტი 1975: 178).

მართლაც, „კანტოებში“ მითოსი ფორმის მიმცემ ფუნქციას ასრულებს და ერთ მთლიანობად კრავს უზარმაზარ, არაერთგვაროვან მასალას; ხოლო კაცობრიობის მთელი ისტორია აღიქმება და მოიაზრება, როგორც სივრცეში განფენილი და სიმულტანური მოცემულობა, სადაც ყველაფერი ერთმანეთზე ზემოქმედებს, რადგან ერთდროულად არსებობს. ამიტომ ისტორიული ქრონოლოგია ნაკლებ მნიშვნელოვანია და კულტურული დიალოგი ორმხრივია, სადაც წარსული და აწმყო მუდმივად ურთიერთზემოქმედებენ. ანუ არა მხოლოდ „ოდისეა“ ახდენს ზემოქმედებას პაუნდის კანტოებზე, არამედ პირუკუც, „კანტოებიც“ ზემოქმედებს ჰომეროსის „ოდისეაზე“.

ამ თვალსაზრისით „კანტოები“ ბრწყინვალე განხორციელებაა ტრადიციის გაგების, რომელსაც ტომას ელიოტი პოეტისაგან მოითხოვს და რომლის არსიც ის გახლავს, რომ პოეტმა ისე უნდა წეროს, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა ჰომეროსიდან მოყოლებული დღემდე ერთდროულად არსებობს. ამიტომ მოდერნისტებისათვის საშენ მასალად ხშირად წარმოგვიდგება კაცობრიო-

ბის კულტურული მემკვიდრეობა და პაუნდის „კანტოებში“ ბერძნულ-ლათინური მითების სამყარო, კონფუციის დროის ჩინეთი, აღორძინების ხანის იტალია და ჯეფერსონის ამერიკა ერთდროულად არსებობს.

ერთდროულობის მიღწევის ერთერთ ხერხს ნაწარმოებში სხვადასხვა ენაზე ჩართული ციტატებიც წარმოადგენს. „კანტოების“ მრავალენოვნებას რამდენიმე ფუნქცია აქვს: ჯერ ერთი, თარგმნის პროცესი, პაუნდის აზრით შემოქმედებაა, ქმნაა, რადგან მთარგმნელი სხვა ენობრივ სამყაროში არსებულ მოვლენას ახლად ქმნის სხვა ენობრივ სამყაროში. იგი სახელდებას ახდენს და ამით სიცოცხლეს ანიჭებს, ანუ სიტყვით იღვწის შემოქმედის დარად. ამასთანავე ამა თუ იმ ფრაზის სხვადასხვა ენაზე წარმოდგენა-გაჟღერება ნაწარმოებში კონტრაპუნქტის ეფექტს წარმოქმნის, ნაწარმოების სწორხაზოვან განვითარებას სპობს და წრეზე ბრუნვის ეფექტს წარმოქმნის, რაც თვისებრივად ახალ პრინციპზე დაფუძნებულ სტრუქტურას ქმნის.

გარდა ამისა, ამგვარი ვარირება ხშირად ქვეტექსტად დამატებით ინფორმაციასაც შეიცავს. მაგალითად კირკეს რჩევა ოდისევსისადმი რამდენჯერმე მეორდება სხვადასხვა კანტოში სხვადასხვა ენაზე (ბერძნულად, ლათინურად, იტალიურად, ინგლისურად). ამ ტრანსფორმაციის არსს პაუნდის შემოქმედების ერთერთი ავტორიტეტული მკვლევარი **ფორესტ რიდი** იმაში ხედავს, რომ თავდაპირველად ოდისევსიცა და მასთან ერთად მკითხველიც მხოლოდ ისმენს კირკეს რჩევას, მის აზრს კი ვერ სწვდება და მხოლოდ თანდათან, მძიმე გზის გავლისა და სიბრძნესთან ზიარების შემდეგ აცნობიერებს კირკესს იტყვების სიბრძნეს: **ცოდნა ჩრდილის ჩრდილია, და მაინც უნდა გასცურო მის საძიებლად.**

ეს სიტყვები, რომელიც მრავალგვარი ვარირებით, მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ენაზე წარმოდგენით, რეფრენივით გასდევს „კანტოებს“, ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ თანამედროვე ოდისევსის მოგზაურობა ყოფიერების შეცნობის, პიროვნული მეობის ძიებაა. ხოლო რადგან „ყოფიერების შეცნობის ჰორიზონტი დროა“ (**მარტინ ჰაიდეგერი**), ყოფიერების „გახსნის“ („Erschlossen“) პრობლემას ისევე დროის პრობლემასთან მივყავართ, რადგან ყოფიერების გამჭვირვალეობა გულისხმობს სამივე დროის სიმულტანურ ჭვრეტას ერთ მომენტში, რისკენაც ისწრაფვიან პაუნდის გმირები.

ამრიგად, პერსონაჟთა ჩანაცვლება და ხდომილებათა ციკლორობა გარკვეული მხატვრული ხერხია, რომელიც, ერთი მხრივ, კონკრეტულ დროსა და სივრცეს სპობს და მეორე მხრივ, ნაწარმოების გამთლიანებასაც ემსახურება გარკვეული მუსიკალური პრინციპის საფუძველზე, კერძოდ კი კონტრაპუნქტის საშუალებით. წერილებში პაუნდი „კანტოებს“ ფუგას უწოდებს, ხოლო **უილიამ ბატლერ იეიტსის** მოგონების თანახმად, პაუნდს სურდა შეექმნა „**უსიუჟეტო, ქრონოლოგიას მოკლებული, ორი ძირითადი თემის ვარირებით გამართული**“ ნაწარმოები.

თვით პაუნდი 1927 წელს იტალიიდან, რაპალოდან მამისადმი მიწერილ წერილში ასე აყალიბებს იმ სამ ძირითად თემას, რომელთა ვარირებითაც აპირებს ააგოს ფუგა ლიტერატურაში:

- A.A. ცოცხალი ადამიანი მიცვალებულთა საუფლოში ჩაქმება.
- C.B. განმეორება ისტორიაში.
- B.C. მეტამორფოზის მაგიური მომენტი.

პაუნდის ეს წერილი არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით არის საგულისხმო, რომ მკაფიოდ აყალიბებს „კანტოების“ აგების პრინციპს, არამედ იმითიც, რომ სამივე თემა, რომელთა ვარირებასაც პაუნდი აპირებს თავის ნაწარმოებში, ცალკე აღებულიც, თვითონვე თავისთავში იძლევა შესაძლებლობას ისტორიის, ტრადიციის მითოსურ ასპექტში წარმოდგენის, ანუ სამივე თემა დროის წრიულ, ან სიმულტანურ აღქმას გულისხმობს და არანრფივ-პროგრესირებადს.

დროის პრობლემა თავს იჩენს არა მხოლოდ ნაწარმოების აღნაგობაში, არამედ „კანტოების“ ერთ-ერთ ნამყვან თემადაც გვევლინება, რომელიც ვლინდება ავტორის ან ცალკეულ პერსონაჟთა დამოკიდებულებაში დროისადმი. ნაწარმოებში ხშირად გაისმის, რომ დრო ბოროტებაა, რომ ყველაფერი ცამტვერდება და მხოლოდ დროის მდინარებაა მარადიული (დრომ დასცა ტროა, და-ამარცხა როლანდი და სხვ.) დროის მდინარებისაგან თავის დაღწევის მცდელობა არა ერთხელ გვხვდება „კანტოებში“. მაგალითად **„ვენეციურ კანტოების მარმარილოს ტყე, რომელიც მშვენიერია, სტატიური, ხელოვნური და ერთი შეხედვით ზედროული. მაგრამ დროის გაყინვა უფრო**

დიდ ბოროტებაა ვიდრე მისი წარმავლობა, რადგან მცდელობა სტატიური დროის შექმნისა „არაბუნებრივია“. („contra naturam“, kanto, XLV).

„Contra naturam“ ტრაგიკულ აბსურდამდე მიდის, როდესაც პაუნდი ხატავს პორტუგალიის მეფის **პედროს** მცდელობას დროის დინებას იმით შეებრძოლოს, რომ გარდაცვლილი დედოფალი ტახტზე დააბრძანოს და დიდებულებისაგან მოითხოვოს მისთვის თაყვანისცემა.

**დრო ბოროტებაა, ბოროტება
დღე დღეს მისდევდა...
თაყვანსა სცემდნენ ლისაბონის
ლორდები მაინც
დღე დღეს მისდევდა
თაყვანსა სცემდნენ.
ტახტზე ჩამომჯდარს –
ჩამქვრალ თვალებს...**

დრო ბოროტებაა, ამბობს პაუნდი, მაგრამ ამგვარი მცდელობა დროის ხელოვნურად შეჩერების, გაყინვის, დროის სტატიურობის კიდევ უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე დროის მდინარება. სტატიურობა სიკვდილია. ამიტომ არის მკვდარი ზემოთ აღნიშნული ვენეციელთა მიერ ხელოვნურად შექმნილი მარმარილოს ტყეც.

სტატიურობა „კანტოებში“ ხშირად უნაყოფობას, სტერილურობას უკავშირდება, „ზაფხულში გადასული გაზაფხულია“ („spring overborn in summer“), რომელსაც შემოდგომ ის ნაყოფიერება არ მოჰყვება. საპირისპირო სქესთა შეყრა რომელიც „კანტოების“ სივრცეში მრავალჯერ მეორდება სხვადასხვა წყვილთა ჩანაცვლებით (ოდისევსი და კირკე, ოდისევსი და პენელოპე, დანაე და იუპიტერი, ზევსი და ცერერა, კიბელე და ატისი, ვენერა და ადონისი და სხვ.) ამ შემთხვევაში დამანგრეველ ძალად იქცევა და ელიოტის „უნაყოფო მიწის“ მსგავსად უღმერთო, დაცემული სამყაროს უნაყოფობის სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

ერთ-ერთ „კანტოში“ პაუნდი წერს: **„ელევსინისთვის მეძავები მოუყვანიათ“**. ელევსინის მისტერიებში, სადაც სქესობრივი აქტი საკრალურ რიტუალს წარმოადგენს, მეძავთა შემოყვანა თანამედროვე სამყაროში ზოგადად მისტერიისა და საკრალურის შეუძლებლობას გამოხატავს, მაშინ, როდესაც წყვილთა ნამდვილი შეერთება, რომელიც „კანტოებში“ პენელოპეს საქორწინო რიტუალით არის წარმოდგენილი, სწორედ დროის მდინარების დაძლევას, წარმავლობისაგან თავის დაღწევას წარმოადგენს განახლების გზით. ამ დროს გაზაფხული „ახლად იქმნება“ („made new“). ამრიგად, დროის დაძლევა არ ნიშნავს მის გაყინვას, სტატიურობას. არამედ წარსულის, ანმყოსა და მომავლის ერთ მაგიურ წამში თავმოყრას, რომელიც nunc stan-სწარმოადგენს.

პაუნდის მთელ ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს მარადიული ცვალებადობის თემა: ჰერაკლიტეს „ყოველიმიდინება“ და კონფუციუსის „მარადიული განახლება“, რადგან „ყოველი არც დაიწყო და არც მთავრდება“ („nor began nor ends anything“, Canto 114). სიკვდილისა და განახლების თემა გამოიხატება მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთების სახითაც. ადონისი, პროზერპინა, თამუზი და მათთან დაკავშირებული სიმბოლოები (ბრონეული – პროზერპინა, ანემონები – ადონისი) „კანტოების“ განუყოფელი ნაწილია. ასეთ მარადიულ ცვალებადობა-განახლების სურათს წარმოქმნის აფროდიტეს დაბადება ტალღებიდან (XXIII კანტო), სადაც ხაზგასმულია, რომ მარადიული მშვენიერება მხოლოდ ამგვარად შეიძლება შეიქმნეს:

**and saw then, as of waves taking form,
As the sea, hard, a glitter of crystal,
And the waves rising, but formed, holding their form.**

შემთხვევითი არ აარის, რომ მარადისობასთან ზიარება ყველაზე მეტად „პიზის კანტოებში“ ხდება. პაუნდი ხშირად იმეორებდა, რომ მისი „კანტოები“ თანამედროვე „ღვთაებრივ კომედიას“ წარმოადგენს. იგი დანტეს პოემასავით ჯოჯოხეთში შთასვლითი წყება, შემდეგ ადამიანურ ცოდვათაგან განსანმენდელს გაივლის და სინათლით, ანუ სამოთხეში მისვლით დამთავრდება. თუმცა პაუნდი იმასაც აღნიშნავდა, რომ დანტეს მონესრიგებული კოსმოლოგია თანამედროვე პოეტისათ-

ვის აღარ არსებობს. პაუნდი არაერთხელ ახსენებს თომას აქვინელს და მის რუქას, რომელიც დღეს აღარ გამოდგება („Aquinas-map; Aquinas not valid now“). საფიქრებელია, რომ აქვინელის რუქა პაუნდის აღქმაში არა მხოლოდ დანტეს პოეტური წარმოსახვის გეოგრაფიას წარმოადგენს, არამედ ეპოქის კონცეპტუალურ-მორალურ ფასეულობებსაც, რომელიც თანამედროვე დაცემულ სამყაროს აღარაფერში არგია. **„აბსოლუტი გაქრა სამყაროდან, ან ბრედლის აბსოლუტად იქცა, ანუ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვად, რომელსაც ფილოსოფოსები პრობლემების გადაჭრაში მოიხმარენ და რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში გამოგონებაა, ღმერთის სიკვდილითა და მისტიციზმის ჩაკეცივით წარმოქმნილ სივრცეზე ნოსტალგიის დასაკმაყოფილებლად – ასე დაასკვნა პაუნდის მეგობარმა ელიოტმა თავის ჰარვარდში დაცულ დისერტაციაში“.** (კირნზი 1989: 7).

ამიტომ კანტოებში დანტესაგან განსხვავებით ჯოჯოხეთი, სამოთხე, განსაზღვრული არ არის მკაფიოდ გამიჯნული და პაუნდის სამოთხეში ინფერნალური მოტივი ხშირად ჟღერს ხოლმე. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. 60-იან წლებში მიცემულ ინტერვიუში პაუნდი თავს იმ პატარა ბიჭს აღარებს, რომელიც ღმერთს ხატავდა და უფროსების შენიშვნას, რომ არავინ იცის ღმერთი როგორია, პასუხობდა, რომ მისი ნახატის შემდეგ ეცოდინებოდათ. პაუნდი ფიქრობს, რომ ამ ბიჭივით ისიც, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა ღმერთის მისეული სურათი დაეხატა, სინკრეტული რელიგია შეექმნა, რომელიც ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას, ელევსინის მისტერიებს, ქრისტიანულ და წარმართ ნეო-პლატონიზმს, კონფუციუსს, ეზოთერულ ბუდიზმს და ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს მოიცავდა. თუმცა იმავე ინტერვიუში იმასაც დასძენს, რომ სურათი არ დახატულა, სამოთხე, რომლისკენაც პოემა მიდიოდა, მიუღწევადია, რადგან თანამედროვე სამყაროში რწმენა შეუძლებელი გამხდარა („Confidence is no longer attainable“).

თუ აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ პაუნდითავის Paradiso-ს(ასე უწოდებდა იგი „პიზის კანტოებს“) პიზის სამხედრო ბანაკში დატყვევებული წერდა, სადაც მან 1945 წელს ექვსი თვე დაჰყო, ალბათ, გასაკვირი აღარ იქნება, რომ მისი სამოთხე დანტეს სამოთხისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ეს თერთმეტი კანტო არსებითად ჯოჯოხეთში სულიერი სიმშვიდისა და ნათელის ძიების მცდელობაა, რომელშიც ერთმანეთშია გადახლართული რეალური მოგონებები: ამერიკაში გატარებული ბავშვობა, ახალგაზრდობის წლები ლონდონსა და პარიზში; მეგობრობა ტომას ელიოტთან, ჯოისთან, იეიტსთან; საყვარელი ქალები, ლიტერატურული და ისტორიული რემინისცენციები, რომელიც რეალურ დროში არ არის ლოკალიზებული და პაუნდის სიტყვები რომ ვიხმაროთ **„უდროობის ელფერი დაჰკრავს“**. მეორე მხრივ კი ტყვეთა ბანაკის „რეალური დროა“, რომელიც მკაცრად განსხვავდება წარმოსახვითისაგან, და რომელიც მხოლოდ ნაკლებ მნიშვნელოვანი ფონია. ამრიგად, „პიზის კანტოებიც“ სხვადასხვა დროთა კონტრაპუნქტს წარმოქმნის და ავტორი ერთხელ კიდევ იმეორებს 79-ე კანტოში, რომ მისი ნაწარმოების აგების პრინციპს კონტრაპუნქტი წარმოადგენს. **„Some minds take pleasure in counterpoint“** – წერს პაუნდი.

როგორც აღვნიშნეთ, „პიზის კანტოების“ ცენტრალური თემა ნათელის ძიებაა. ამ პროცესში სხვადასხვა „წარსულები“ ერთიანდებიან ანმყოს ერთ მომენტში, რომლის დროსაც სუბიექტი და ობიექტი ერთმთლიანობად იქცევა, ანუ სუბიექტი გარედან კი აღარ აღიქვამს ობიექტს, როგორც სხვას, არამედ, ობიექტი მის შინაგან გამოცდილებად გარდაიქმნება. ამ კონტექსტში საინტერესო იქნება, თუ პაუნდის მიერ შემოთავაზებულ შემეცნების სამ საფეხურს ვახსენებთ, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მეთორმეტე საუკუნის მისტიკოსსა და თეოლოგს **რიჩარდ სენვიქტორს** ეკუთვნის (სხვათა შორის მისი სახე დანტეს სამოთხეშიც გაილვებს, რაც, უთუოდ, ასევე მნიშვნელოვანი მომენტი უნდა ყოფილიყო პაუნდისათვის). პაუნდის აზრით, შემეცნების პროცესის პირველი ფაზა ობიექტის ჭვრეტაა, რომლის დროსაც მჭვრეტელის გონება უმიზნოდ ეხება ობიექტს, მეორე მედიტაციის საფეხურზე – უკვე გამიზნულად დასტრიალებს ობიექტს, ხოლო მესამე შემეცნების საფეხურზე ობიექტს ერწყმის. პაუნდის ეს მოსაზრება გარკვეულწილად ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ შემეცნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პაუნდისათვის სუბიექტისა და ობიექტის შერწყმაში მდგომარეობს, ანუ ობიექტი შემეცნების გამოცდილების ნაწილად იქცევა და ამით შემეცნებელიც მდიდრდება და იცვლება და ობიექტიც ახალ „ნამდვილ“ სახეს იღებს (გავიხსენოთ, რომ არა მხოლოდ „ოდისეა“ ახდენს გავლენას „კანტოებზე“, არამედ პირუკუც).

„პიზის კანტოებში“ პაუნდი-ოდისევსი თავს „აქრონოსს“ („დროისაგან გათავისუფლებულს“) უწოდებს, მას უკვე გრძელი გზა გამოუვლია, გარდაცვლილთა საუფლოშიც ჩასულა, (ინიციაციის

მრავალსაუკუნოვანი სიმბოლო), რასაც სიბრძნის, მშვენიერების, ჰარმონიის გამოცხადება უნდა მოჰყვეს. „კანტოებში“ იგი ქალის სახით წარმოგვიდგება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბეატრიჩეც არის, პენელოპეც, გეაც, მთვარეც, მარადიული სატრფო, დედა და მეუღლე.

ამ კანტოებში ფრაზა „დრო ბოროტებაა“, რომელიც მთელ ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევდა, ისევ მეორდება, მაგრამ იგი უკვე სულ სხვაგვარ კონტექსტშია წარმოდგენილი. დონ პედროს კანტოს დაძაბული და სასონარკვეთილი ტონის ნაცვლად საგანთა ბუნების ღრმა მცოდნე ადამიანის ხმა ისმის, რომელმაც შეიცნო, რომ ყოველი წარმავალია, ისიც შეიცნო, რომ დროის შეჩერება-გაყინვა აბსურდია და დროის დინებაზე დიდი ბოროტება; ისიც იცის, რომ ყველაფერი ამაოებაა და მაინც, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ისიც იცის, რომ ყველაფერი ამაოება არ არის: დრო აღარ არსებობს, რადგან წამმა მოიცვა მარადისობა. საყვარელი ქალის პროფილი, რომელსაც პაუნდი კამეის კონტურს უწოდებს, ფანჯარაზე არეკლილი ცოცხლდება მის შინაგან ხედვაში. ფანჯრის მიღმა კი ზღვაა, რომელიც არა მხოლოდ მოძრავი, დინებადი, მრავალი ფერის მომცველი ფონის ფუნქციას ასრულებს, რომლისგანაც მშვენიერი აფროდიტე ამოდის (ერთერთი მნიშვნელოვანი ხატი კანტოების), არამედ ამავე დროს სიმბოლურად ქალური სანყისის არქეტიპსაც უკავშირდება. ხოლო თავად პაუნდი-ოდისევსი პიზაშიც არის, სამხედრო ბანაკში დატყვევებული, როგორც სამხედრო დამნაშავე, პარიზის კაფეშიც და **ტაიშანის** წმინდა მთაზეც, სადაც ბრძენი განმარტოვებულები, რათა „დადგინება“, „მდინარება“ (flux), „უცვლელი ცვალებადობა“ შეიგრძნონ, რომლისკენაც მთელი „კანტოების“ განფენილობაში ილტვოდა პაუნდი – ოდისევსი. ამ მთაზე „ზღვა კარგად მახსოვს“. რადგან გზა იყო გამოცდილება, თვითგადგინების მტანჯველი პროცესი.

„პიზის კანტოების“ ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლოს ქალაქი და მთა წარმოადგენს: ორივეს პაუნდი „ხილვას“ უწოდებს. პაუნდის ქალაქი, რომელიც სხვადასხვა სახელით მოიხსენიება, ყოველგვარ გეოგრაფიულ ლოკალიზებას მოკლებულია და მხოლოდ გონებაში არსებობს, როგორც მარადი ქალაქის სიმბოლო, რომელიც „პიზის კანტოებში“ სხვადასხვა სახელით წარმოგვიდგება. მისი სახელდება ღრმად ნიშნადია: ერთი მათგანია ჰეროდოტეს მიერ ნახსენები შვიდი კედლით შემოსაზღვრული და განსაწმენდელის ფორმის ქალაქი **დაიოსი (Dioce)**, ხოლო მეორე ქალაქის **ვოგადუსი (Wagadu)**, შესახებ პაუნდმა **ფრობენიუსის** ნიგნში ამოიკითხა. (ფრობენიუსის გამოკვლევებით პრიმიტიულ ხელოვნებასა და კულტურაზე არა მხოლოდ პაუნდი იყო დაინტერესებული. მისმა თეორიამ მითოლოგიაზე დიდი გავლენა იქონია იუნგზე, იეიტსის პოეზიაზე: ფრობენიუსის პრიმიტიული ხელოვნების კოლექციით გატაცებული იყო აპოლინერი, და მხატვრების მატისის, დერენის, პიკასოს პრიმიტივიზმით დაინტერესებაშიც უთუოდ გარკვეული როლი ითამაშა. ეს ქალაქი ოთხჯერ ააგეს და ოთხჯერვე დაინგრა, ამასთანავე ყოველი აგებისას სახელს უცვლიდნენ და ახლა მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს („In mind indestructable“ – ამბობს პაუნდი).

ნაწარმოებში მარადიული ქალაქის სხვადასხვა სახელი ისევე მონაცვლეობს, როგორც პერსონაჟთა ურთიერთიანაცვლება. იგი თითქმის ყველა „პიზის კანტოში“ გვხვდება, სადაც მარადიული ქალაქის აგება ნათელის ძიებას უკავშირდება. ყველაფერი მის არამატერიალურობაზე მეტყველებს, ისიც, რომ მისი ტერასები ვარსკვლავების ფერია; ისიც, რომ იგი სიტყვით იგება; ისიც, რომ აგება მთვარის სინათლის ქვეშ ხდება (მთვარე, როგორც წარმოსახვის განმგებელი და ამასთანავე ქალური სანყისის სიმბოლო). [განსხვავებით ქართული მითო-წარმოსახვისა: მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი, გაბადრული ვარსკვლავები – და და ძმაა ჩემი. რედ.]. **მარადიული ქალაქი არის ის, რაც უნდა დარჩეს და დაუპირისპირდეს დროის რბოლას. ასეთი კი შემოქმედებაა.** ამ მოსაზრებას პაუნდის 1953 წლის ერთ-ერთი ინტერვიუც ადასტურებს: „**ჩემს სამოთხეს არც წმ. დომენიკი ეყოლება და არც ნეტარი ავგუსტინე... ქალაქის მშენებლობას მივადექი, მთელი ტრადიციის**“... ეს ინტერვიუ მიუთითებს, რომ პაუნდის ცნობიერებაში ქალაქის მშენებლობა მთელი ტრადიციის გააზრებას უკავშირდება, რაც ფაქტობრივად მისთვის იგივე იყო, რაც შემოქმედება. რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ პაუნდი მხატვრულ შემოქმედებას ტრადიციის მთლიანობაში მოაზრებად მიიჩნევდა.

ამრიგად, ის რაც რჩება, შემოქმედებაა, რადგან მითოპოეტურ სამყაროში დროისა და სივრცის სრულიად სხვა კანონები მოქმედებს და „**უცვლელი ცვალებადობის მაგიურ მომენტში კაცობრიობის მთელი ისტორია სიმულტანურად არსებობს, როგორც ეს „კანტოებშია“.**

* **ფრენსის ჰერბერტ ბრედლი (1846-1924)** – ბრიტანელი ფილოსოფოსი, რომელსაც ეძღვნება ტომას ლიოტის სადოქტორო ნაშრომი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას.

ფრობენიუსი, ლეო ვიქტორ 1873-1938 – გერმანელი ეთნოლოგი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი.



მარადიული დაბრუნების კოსტმოდერნისტული ვარიაციები

სალომე კაპანაძე

ასოცირებული პროფესორი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი

კოსტმოდერნისტულ ეპოქაში მწერლობისათვის იმანენტური რჩება არამარტო გრძნობითი აღქმა, არამედ პერცეპციების საშუალებით არსებული რეალობის წვდომა და კონტროლი. პირველსაწყისზე დაყრდნობით სამყაროში მიმდინარე პროცესებზე რეაგირება, მისი განაზრება და მხატვრულ ქსოვილში მოქცევა, ნათელს ფენს და ასაზრდოებს იმ კონცეფციებს, რომელიც საზოგადოების სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას განაპირობებს. საყოველთაო სულიერი კრიზისის დროს მწერლობას ძალუძს შექმნას ოაზისები, სადაც ადამიანი შეძლებს არსებობას. **„იგი იქცევა გენეტიკური სელექციის სიმბოლურ პუნქტად“** (ვოლფგანგ ველში) და სიცოცხლე კვლავ შესაძლებელი ხდება.

თანამედროვე ავტორის ტექსტი მკითხველზე ზემოქმედებს მთხრობელის წარმატებული მხატვრული მანიპულაციებისა და პერსონაჟების წყალობით, რომლებიც ატარებენ ეპოქის დამლას და მისი ლიტერატურული წინამორბედებისაგან განსხვავებით ნაკლებად არიან გამრეები და რეველუციონერები. ისინი უფრო რეპრესირებული, ისტორიასთან კონფლიქტში მყოფი, თუმცა გარკვეულწილად მოჯანყე პერსონაჟებია, რომლებიც ხშირად ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვართან დგანან. ქართულ სალიტერატურო სივრცეში არსებობს მოთხოვნა ასეთ პერსონაჟებზე. მხოლოდ „გრძნობად ხელოვნებაზე“ ორიენტირებული მწერლობის ემოციური ტონი ყოველთვის არასაკმარისი იყო ქართველი მკითხველისათვის. „ჰოლივუდური შოუს“ ელემენტებზე აპელირება მოკლევადიანია და არათუ ინტელექტუალურ, საშუალო გემოვნების მკითხველზეც არ არის გათვლილი. იდენტურობის, „შინა სახის“ შენარჩუნებისა და სულიერ კრიზისზე დროული რეაგირების მძლავრ ინსტიქტზე ორიენტირებული ქართველი მკითხველი სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით მართავს ლიტერატურული ტექსტის აღიარების პროცესს. ამ მოცემულობის გარეშე მხატვრული ტექსტი კარგავს აქტუალურობის შანსს. თუმცა ეპატაჟური და კვაზი-მხატვრული ტექსტებით საკმაოდ გაჯერებული ჩვენი სალიტერატურო სივრცე თავისი უნაყოფო მოცემულობით დროებით, მაგრამ მაინც ახერხებს საშუალო მკითხველის ყურადღების მიპყრობას. ასეთი ლიტერატურული ექსცესები უმნიშვნელოდ ვერ მიიჩნევა, ვინაიდან მწერლობა არ არის იდეოლოგიური დანამატი, იგი ერთ-ერთი მძლავრი და წარმმართველი ძალაა, რომელსაც შეუძლია ერის მენტალური დეზორგანიზაცია შეაჩეროს და მისი სასიცოცხლო ველი თვითგანადგურებას გადაარჩინოს.

მწერალთან დავა თვითგამოხატვის ფორმასა და ესთეტიკაზე ყოველთვის საფრთხილოა, თუმცა ბოლოდროინდელ ქართულ მწერლობაში, სამწუხაროდ, **პოლ ვალერის** ცნობილი გამონათქვამის „**დიდად მშვენიერი აღფრთოვანებისგან გვამუნჯებს**“ პროფანაციის საშიშროება ჩნდება, სახეზეა ეპატაჟურ-სკანდალური ინსინუაციებით მწერლობაში თავის დამკვიდრების მცდელობა და მკითხველის ამ მეთოდით „დამუნჯება“. აღნიშნული რეალობა უსათუოდ საჭიროებს სახელდებას. **რეცეფციული**, ანუ აღქმის ესთეტიკა ჩვენი პოსტსტრუქტურალისტური ეპოქის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურათმცოდნეობით მიმდინარეობად არის აღიარებული და მამასადამე, ტექსტის სუბიექტის გრძნობად კონკრეტული ემოციებისა და ცნობიერების კორექტურა ბევრ წილად ლიტერატურის ხელშია. **წარმოუდგენელია, ავტორმა არ იფიქროს მკითხველზე. არ იფიქროს, თუ რისი გამონკვევა უნდა რეციპიენტში – სიმშვიდის, სამართლიანი პროტესტისა და კრიტიკული რეაქციის, ესთეტიკური ტკბობის, იდეური სიმტკიცის, თუ სულაც მორალურ-ეთიკური კოლაფსის.** ამ უკანასკნელის გამონკვევის ამკარა მცდელობებია ბოლო დროს მომრავლებული სექსუალურ-ინცესტუური და მრუშიან-ორგინალური მოტივები ქართულ მწერლობაში. ასეთ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ მწერალთა შემოქმედება, რომლებსაც სწორი სულიერი ორიენტირები აქვთ და კარგად იციან იმის ფასი, რასაც ქმნიან. მათ რიცხვს უსათუოდ განეკუთვნება სოხუმელი მწერალი **გურამ ოდიშარია**, რომელიც თავისი სამწერლო მოღვაწეობის ნებისმიერ ეტაპზე ასერხებს მკითხველში იმ ემოციების გამონკვევას, რომელიც თანაბრად ინვესტს სულიერი სიმშვიდისა და სიფხიზლის გრძნობას, ბადებს მკითხველში მსოფლმხედველობრივი ცდომილებების აღმოჩენისა და გადასინჯვა-გადახალისების სურვილს. მისი რომანების სტრუქტურა და საზრისი ყველა პირობას ქმნის ამისათვის და რაც მთავარია, მასთან მუდმივად ტრიალებს აფხაზეთში დაბრუნების იმედთან ასოცირებული და ამ იდეიდან ამოზრდილი პარადიგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, **ფრიდრიხ ნიცშეს** მარადიული დაბრუნების იდეის კონცეფციასთან, მარადიული განახლებისა და კვდომის, სამყაროს ციკლური მოძრაობის უკვდავ კანონზომიერებების სააზროვნო მოდელს ემყარება.

ნიცშეს ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქართველი მკვლევარი **თამაზ ბუაჩიძე** თავის ნაშრომში „ცხოვრების მასწავლებელი ნიგნი“ ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გამოცემას ეხმაურება და აღნიშნავს: **„ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია-გასაგებია, თავისებურად-ნიცშეს ყველა ძირითადი იდეა, მთელი ცხოვრების გზა, თითქმის ყველა ის საკითხი, რომელზეც ბევრი უფიქრია მას შემოქმედებითი ძიების დროს. აქ მკითხველი გაეცნობა ზარატუსტრას ავტორის შეხედულებებს ნიჰილიზმზე, ძალაუფლების ნებაზე, დიონისურ სანწყისზე, ზეკაცზე, ჭეშმარიტ და ყალბ ფასეულობებზე, მარადიულ დაბრუნებაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე. მთავარი მაინც ისაა, რომ ნიგნიში წამოჭრილი პრობლემები საოცრად ეხმაურება თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობას, განსაკუთრებით ეს ითქმის ღმერთების სიკვდილის თემაზე“.** გრჩება შთაბეჭდილება, თამაზ ბუაჩიძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასაც გაუჩნდებოდა სურვილი მარადიული დაბრუნების კანონზომიერებით ენუგეშებინა თანამედროვე საქართველოს ბოლოჟამის ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟები – აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოხიზნული ქართველები, რომელთათვის დაბრუნების აქტი არ არის მხოლოდ სახლში დაბრუნება, სახელმწიფოებრივი და ადამიანური ღირსების რეაბილიტაციის პარალელურად, ეს არის იდეა, მსოფლმხედველობა, ცხოვრების საზრისი.

გურამ ოდიშარიას რომანები **„სოხუმში დაბრუნება“**, **„შავი ზღვის ოკეანე“**, **„სათვალისანი ბომბი“**, **„პრეზიდენტის კატა“** ამ იდეის მსოფლმხედველობრივ სტრუქტურაზე აგებული მხატვრული ტექსტებია. ეს „ქვა-სვეტი“ მყარად დგას და განსაზღვრავს მისი შემოქმედების იდეურ არქიტექტონიკას. ჩვენი კრიზისული დროის ყველაზე გამოხატული ისტორიული მოვლენები – საბჭოეთის დემონტაჟი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სისხლიანი კონფლიქტი მიბმულია ერისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ფასეულობებზე, ცხოვრების ცოცხალ შეგრძნებებზე, მორალურ-ზნეობრივ ვალდებულებებზე. მე-20 საუკუნის დასასრულს ეს მოვლენები კვლავ გახდა მიზეზი თაობათა დაპირისპირებისა, რომელიც გურამ ოდიშარიას რომანში „სათვალისანი ბომბი“ არსობრივად არის განაზრებული. რომანი ეძღვნება ტელეოპერატორებს. მათ, ვისაც ძალუძს მარადიულობა მიანიჭოს იმ წუთებს, რომელიც ვერასოდეს დაბრუნდება. ვფიქრობთ, ეს მიძღვნაც სიმბოლურია. კადრი რეალურად ინახავს იმას, რასაც ადამიანის მეხსიერება იმპროვიზაციას ვერა-

სოდეს გაუკეთებს. რომანის გმირები ომების, პოლიტსპექტაკლებისა და კერპთა მსხვევცის ეპოქაში ეძებენ ხსნის ფორმულას. ამ ძიებაში წარმოიშობა თაობათა კონფლიქტი, როგორც კანონზომიერი შედეგი ქართული ყოფიერებაში დაგროვებული ვენბათაღელვის და ამავდროულად, მუდმივი განახლების სანინდარია, რომლის ათვლა შეიძლება ადამიანის პირველი მხატვრული რეცეფციიდან – მითოლოგიური თქმულებებიდან შეიძლება დავინყოთ, ოლიმპოს მთაზე დანყებული ღმერთების პირველი გაბრძოლებიდან, რომლის პირველმქნელი დიდებული ზევსი იყო და რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში „ტიტანომაქიისა“ და „გიგანტომაქიის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ეს იყო ფაქტობრივად თაობათა პირველი ბრძოლა, რომელიც ბედისწერასავით შემორჩა კაცობრიობას როგორც მარად განმეორებადი ფენომენი. საზოგადოებრივი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე იგი პერმანენტულად მეორდება. ამ მოდელს – სულიერ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას მამებსა და შვილებს შორის ყოველთვის მოაქვს ის, რაც სიცოცხლის გაგრძელების სანინდარია. გურამ ოდიშარიას რომანში „სათვალისანი ბომბი“ დროისაგან ნაშლილი მიაშიტური მგრძობელობის, სიმულაციებისაგან თავისუფალი და თავხედურად მართალი შვილების თაობა უკომპრომისო ბრალმდებლის როლში გვევლინება. ეს არის მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი, საიდანაც შვილი გამოსავალს მარტივად პოულობს – **„მარად ერთი კაცის შემყურე და მოიმედე ქვეყნიდან“** გარბის. **„გაქცევა ყველაზე ადვილია, შენ აქ უნდა იყო და ქვეყანას უშველო, იფიქრე“** – მოძღვრავს მამა, რომელმაც უკვე მოისმინე შვილისაგან უსასტიკესი ბრალდებები: **„არ გიყვართ ის, ვისაც ყველაზე ხშირად ახსენებთ – ღმერთი! და, რა თქმა უნდა, არც ის გიყვართ, ვინც აღარ გახსოვთ – ადამიანი. საკუთარი თავი კი, კარგა ხანია სადღაც დატოვეთ. ჩემი სახე თქვენი ომების ნიშანს ატარებს. ეს შენი ავტოგრაფია, ჩემო სამშობლოვ, შენგან ნაბოძები მემკვიდრეობა, თქვენი შიში და კონფორმიზმი გულის ამრევიკა, უნამუსოდ თავისუფლებო. მორჩა, მოგიკვდათ მოსამართლეც, სინდისიც. პრიმიტიულ მითებს იგონებთ და მშვიდდებით. ასე კომფორტულად გრძნობთ თავს, სიმართლის გეშინიათ“.** შვილის მამისადმი მიწერილ წერილში გაჟღერებულ ბრალდებათაგან უმძიმესი ღმერთის დაკარგვის, მისი ფსევდო-მოსაკლისების, ქრისტიანულ მცნებათა შებლაღული არსებობის ბრალდებაა. ზარატუსტრა ნიციშეს უკვდავ ქმნილებაში იმასვე საყვედურობს ადამიანებს: **„ღმერთის ნილაბით დაიფარეთ თავი თქვენივე თავიდან, თქვენ „უბინონო“, ღმერთის ნილაბში დაიმალა თქვენი საშინელი ჭიაყელა“.** (97) მოჯანყე შვილი მამისგან იმის აღიარებას მოითხოვს, რომ მათ კარგა ხანია დაკარგეს ღვთისა და ადამიანის სიყვარული, **„ქვეყანა კი სანაგვეში გადასაგდები ქალღმერთით დაჭმუჭნეს“.** ღვთის სიყვარული, მისი აზრით, მამებმა პროფანაციადა აქციეს. მოჯანყე შვილი ახალ წესრიგს მოითხოვს, პროტესტსაც არაადეკვატურად – ქვეყნიდან გაქცევით გამოხატავს. ასეთია მის მიერ მოძიებული გამოსავალი, ასე გამოხატა მან მამების მიერ შექმნილი კრიზისისადმი თავისი დამოკიდებულება. **„უკვე შეჩვიეთ და გიყვართ კიდევ თქვენი მშობლიური უბედურება და სიკვდილიც! არაფერში გაცვლით, კი ღებავთ და აჭრელებთ სახლებს, მაგრამ სული მაინც ბნელი გაქვთ და სასონარკვეთილი, დამსკდარი და ჩამოცვენილი, როგორც ძველთაძველი კედელი“.** რომანში მამა სიმბოლიზებულია თაობასთან, რომელსაც ნვლილი მიუძღვის ქვეყნის დანგრევაში, მისი ღირსების გაბახებაში, პატრიოტული გრძნობებისა და თავისუფლების განცდის სიმულაციაში. **„უნამუსოდ თავისუფლებო“** – ამ სინტაგმაში აქცევს შვილი განვლილი ათწლეულის მონაგარს, რომელიც ასე მძაფრად აირეკლა მისმა სულიერმა სამყარომ, მისი ბავშვობის წლებმა. რომანში ორივე მხარეს მოჩანს სიმართლე, რომელიც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო თანაბრად ანანილებს პასუხისმგებლობას თაობათა შორის. მამას არ სურს ერის თვისებად აღიაროს ბოლო ათწლეულში გამოვლენილი მანკიერებანი. მამისა და შვილის პოლემიკაში ბალანსი აღდგება მაშინ, როცა შვილის სამშობლოდან გაქცევით გამოხატულ პროტესტს ობიექტური კვალიფიკაცია ეძლევა და შვილის არგუმენტი უფრო ემოციური ზემოქმედების უნარს კარგავს: **„შენი გაქცევა ავადმყოფი, ლოგინში მწოლიარე მშობლის დატოვების ტოლფასია“.** ახალი თაობის პროტესტის მოდური შესტი – ქვეყნიდან გაქცევა უკვე ახალი თაობის სისუსტის აღიარებაა, მამისთვის ყველაზე სალი არგუმენტი: **„ადამიანი უცხო ქვეყანაში იმიტომ გარბის, რომ ის ქვეყანა ნაწილობრივ იმ ცისა ჰგონია. არადა, მინაა ყველგან, ლაშა, და მინა ერთია. შენი წერილის ნაკითხვის შემდეგ შემეშინდა, ვაითუ, დიდხანს შერჩეს იქაურობას-მეთქი, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი შიში არ გამართლდება“.** მამის ეს შიში მისი ყველაზე მართალი არგუ-

მენტია. მან იცის, ყველაზე დიდი მარცხი სწორედ ის იქნება, როცა ეს შიში მეორეხარისხოვან შეგრძნებად იქცევა და შვილის მშობლიურ ნიაღში კანონზომიერი დაბრუნების იმედს აღარ შერჩება. ახალ თაობაში რეალური ისტორიულ სიმართლით გამოწვეულ დიდ შინაგან რყევებს მამა გაგებით, დათმენით ეკიდება, მაგრამ იმასაც შეახსენებს, რომ: **„ცხოვრება არ არის ბედნიერების ზონა, ბედნიერებისათვის აქ მხოლოდ წუთებია გათვლილი“** – ნასეთი მაქსიმები მრავლად გვხვდება რომანში. თითოეული მათგანი იმისკენ მიემართება, რომ შვილის მშობლიურ ნიაღში ცნობიერი დაბრუნების დინამიკა აკონტროლოს. ეს მისი ეროვნული გადარჩენის იარაღია მარადიულის წინაშე, რომელსაც სამშობლო ჰქვია.

გურამ ოდიშარია თავის რომანებში ყოველთვის ხაზგასმით აქცენტირებს დაბრუნების იდეაზე. ომისშემდგომი მისი პირველი რომანიც „სოხუმში დაბრუნება“ ამ საზრისით არის გაჯერებული. თუ აქ დაბრუნების მოდელი რეალურ სიუჟეტზეა მორგებული, რომანში „შავი ზღვის ოკეანე“ ავტობიოგრაფიული რომანისა და დოკუმენტური პროზის სინთეზში იკვეთება. ქრონოლოგიური მონაცვლეობითა და მხატვრული სახეების საშუალებით აფხაზური ტრაგედიის კიდევ ერთი ქრონიკა იქმნება, რომელიც აქტუალურობას ისტორიის რეალობის გათვალისწინებითაც იძენს. რომანის მთავარი გმირის-მწერლის მე-ს სულიერი თვითგახსნისა და თვითანალიზის პროცესი დროის ტრაგიკული განცდის პარალელურად მიმდინარეობს. მოვლენათა კონტრასტული მონაცვლეობის ფონზე მთავარი გმირის სულიერი განცდები იკვეთება, რომლის მუდმივი ფონი წარსულია და ამდენად, რომანის სიუჟეტის განვითარებაც მის წესრიგს ემორჩილება. თუმცა, აქ ქრონოტოპი არ არის მშრალი საარქივო მასალა, ეს არის გრძნობათა უღრმეს შრეებში განფენილი დრო, სადაც მწერალს შესაძლებლობა ეძლევა შეაჯეროს წარსული და აწმყო. წარსულის ასოციაციური შეგრძნებებით ისე დატვირთოს იგი, რომ ნებისმიერ დროს უცვლელად გადმოიტანოს თანამედროვე ყოფაში. „გაგრის თოვლზე რომ ვწერდი, მომეჩვენა თბილისშიც დათოვა. ფანჯარაში გავიხედე და თბილის-გაგრა დავინახე“. აფხაზურ-ქართული ურთიერთობების, აფხაზეთის ასეთი ნოსტალგია, რომელსაც გურამ ოდიშარიას რომანებში შევიგრძნობთ, არ არის მხოლოდ მწერლის სუბიექტური განცდის დემონსტრირება, ეს მომავალზე გათვლილი სწორი სტრატეგიაა, რომელიც მას იმიტომ უყვარს, რათა იმ წარსულში დააბრუნოს, სადაც არ ყოფილა უნდობლობა, მახინჯი პეიზაჟები, არ ისმოდა **„დამცვრელი ქვაბების გრუხუნი“** და ა. შ. წარსულის ასეთი დატვირთვა ჰომეროსის ცნობილ ფრაზას **„წარსულად მივიჩნით უნდა წარსული“** თითქოს პირვანდელ მნიშვნელობას უკარგავს. დრო-სივრცის პოსტმოდერნისტულ, არატრადიციულ აღქმას გურამ ოდიშარიას რომანში თავისი გამართლება აქვს. მან იცის, თუ წარსული დავკარგეთ, არც მომავალი შედგება. **„ჩემი წარსული გარეთ დარჩა. ჩემი წარსული უდაბნოში მდგარი მცენარეა. მას წყალს არავის უსხამს. გამთენიისას ნამის ნამცვრევილა თუ ჩაელვრება ფესვებში, ხმება, ან გახმა უკვე...“**. ამიტომაც არის, რომ რომანში ასე დინამიურად ენაცვლება ერთმანეთს წარსულისა და აწმყოს სურათები. მწერალს სურს ასეთი მხატვრული კომპარატივი, წარსულისა და აწმყოს შედარება-მონაცვლეობის მეთოდით წარმოაჩინოს ის უფსკრული, რომელიც ომებისა და კონფლიქტების დრომ წარმოქმნა. ეს დრო ჩვენი მეხსიერების თანამგზავრია; ეს ის დროა, რომელშიც **„ფუჭი ტყვიები თანდათანობით ნამდვილით შეიცვალა“**. ჩვენს თვალწინ შეივსო **„დედამიწის გამოჩენილ მკვლელთა გალერეა, ისინი ხომ ყოველთვის უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე წმინდანები, რომელთა ლოცვებმა ვერ შეცვალეს სამყარო“**. რომანში ეტაპობრივად იკვეთება ლოგიკური კავშირი ტანჯვასა და ჭეშმარიტებას შორის და ჩნდება მწერლის საბედისწერო დასკვნაც **„იქნებ იმიტომ იწყება ომები, რომ ღმერთმა თავის საუფლოსკენ აგვახედოს“**. თუმცა აქაც კი გურამ ოდიშარიას იმ წარსულის იმედი აქვს, სადაც უნდობლობა არ ყოფილა. სწორედ მან უნდა ამოავსოს **„დედნილთა უღელტეხილის კომმარული რეალობა, რომელიც სრულიად საქართველოს რეალობას მიეზიდება“**. აქვე უნდა ითქვას, რომ წარსულ მოგონებათა მთელ სპექტრს რომანში ამოძრავებს ზღვისა და საყვარელი ქალის დეას სიმბოლიკა. თუ ზღვა რომანში არის უცვლელი, მარადიული ფენომენი, წესრიგი, რომელიც გამუდმებით ძალას სძენს და აცოცხლებს მის მოგონებებს, დეა სილამაზისა და სიმშვიდის სიმბოლოა. **„ისინი ერთმანეთს უხდებიან: დეა – ზღვას და ზღვა – დეას“** ეროვნულ ცნობიერებაში არსებული არაჯანსაღი მეტასტაზების გაჩენა

ათქმევიანებს მწერალს: „**პატარა ტრაბახა ქვეყანა ხარ, ხშირად საკუთარი თავის მოტყუებას ცდილობ, მაგრამ ბოლო დროს ესეც არ გამოგდის. ქვეყანა ხარ, რომელიც საკუთარ თავს პატივს არ სცემს, რომელიც საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულობებზე ვერ სწავლობს... ბელადების ქვეყანა ხარ, მაგრამ თითქმის ყველგან, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შენი ბელადები სხვა, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ერის შვილები ჰგონიათ**“. ერის ხასიათის ეს სიმპტომები რელიგიურად გამოიკვეთა თანამედროვე საქართველოში. ამიტომაც ისტორიის ყოფიერების ეს შუქ-ჩრდილები კანონზომიერად იჭრება რომანში და ეხმაურება ჩვენივე ხელით ეროვნული ლანდშაფტის გაუსახურების საბედისწერო ფაქტებს.

გურამ ოდიშარიას რომანის „შავი ზღვის ოკეანეს“ სიუჟეტურ-კომპოზიციური ნასკვი და იდეური საზრისი საბოლოოდ თავს იყრის რომანის უმეტესელო გმირის-ორაგულის სიმბოლურ სახეში. იგი მდუმარედ, ჯიუტად მთარღვევს ტალღებს, რათა მშობლიურ ადგილებს მიეახლოს. უკან დაბრუნების ინსტინქტი მართავს ორაგულს და რომანში ჩვენ თვალწინ გათამამდება მისი სამშობლოში დაბრუნების საკრალური რიტუალი: „**ორაგული უშიშრად მთარღვევს ცივ, ამღვრულ წყალქვეშა დინებებს, მიცურავს მოტივტივე შუქურების ქვეშ, ბრიდელების ფსკერში ჩამარხული ლუზების სიახლოვეს**“, რათა მშობლიურ მდინარეში დაყაროს ქვირითი – აღასრულოს მშობლის ნმიდათანმიდა ვალი. „**როგორ ბრუნდებიან ორაგულები მშობლიურ ადგილებში? როგორ იკვლევენ გზას? როგორ აგნებენ მდინარის სათავეს?**“ – კითხულობას მწერალი და ამკარაა, შენატრის ბუნების ამ ქმნილების ძლიერ ინსტინქტს – ნებისმიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, სიცოცხლის რისკის ფასად დაუბრუნდეს მშობლიურ წიაღს. სწორედ აქ ჩნდება რომანში ნიცმეანული მარადიული დაბრუნების, მარადიული განმეორების მხატვრულ-ფილოსოფიური ასოციაციები. რა თქმა უნდა, იგი განაზრებულია არა თავისი ონტოლოგიური, არამედ ზნეობრივი მნიშვნელობით. მისი მორალური იმპერატივი მიბმულია ქვეყნისათვის სასიცოცხლო იდეასთან, იმ ადამიანების რწმენასთან, რომლებიც დაბრუნების იმედით სულდგმულობენ. გურამ ოდიშარიას რომანში „შავი ზღვის ოკეანე“ ეპიზოდურად ჩნდება რომანის უმეტესელო გმირი-ორაგული, რომლის წრებრუნვა მთლიანად ითავსებს მწერლის მთავარ სათქმელს-დაბრუნების საკრალური რიტუალი აუცილებლად უნდა შედგეს, ყველაფერი ადრეული განმეორდება, ცხოვრება ციკლურ მოძრაობაშია, მარად ქმნადია და ეს განსაზღვრულია როგორც ბუნების არსებობის წესი. ნიცმეს თხზულებაში „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ მარადიული დაბრუნების სიმბოლო გველია, ხოლო გატანჯული მწყემსი, რომელსაც ზარატუსტრა იხილავს მინაზე მწოლიარეს, სიმბოლოა იმ ტანჯვისა, რომელიც მოაქვს ჭეშმარიტებას მარადი განმეორების შესახებ. „**არა მწყემსი, არა კაცი, გარდაქმნილი, ნათელმოსილი, რომელიც იცინოდა, არასოდეს მინახავს კაცი იგი მცინარე, როგორც იგი იცინოდა**“. (268) საკუთარი სანახებიდან გამოდევნილი ქართველობა სწორედ ტანჯვისა და უზომო ტკივილის ფასად შეიგრძნობს დაბრუნების ჭეშმარიტებას. მწყემსი, რომელიც შეიმეცნებს ამ სიბრძნეს ზარატუსტრას წინაშე წარმოსდგება „გარდაქმნილი, ნათელმოსილი“. ქართველებმა ყველა კანონზომიერებით უნდა დაიბრუნონ ის მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები, რომელიც ძმათამკვლელი ომებისა და უღმერთობის ლაბირინთებში ჩაეკარგათ. ეს იმპერატივი რომანში საოცრად მყარია და არასოდეს უტოვებს გურამ ოდიშარიას ერთგულ მკითხველს დაეჭვების საბაბს. თუ ორაგული უბრუნდება მშობლიურ ადგილებს, დაუბრუნდებით ჩვენც. მწერლის ყველა რომანის მთავარი სათქმელი საბოლოოდ სწორედ აქ იყრის თავს. ეს არის მისია, რომელიც მან, როგორც მწერალმა უნდა აღასრულოს, რადგან ლიტერატურული ტექსტის დანიშნულება არ შეიძლება იყოს გართობა. მან უნდა განსაზღვროს ადამიანური ყოფიერების ყველაზე მნიშვნელოვანი, სასიცოცხლოდ აუცილებელი ნორმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგია ზაზა, დუღილის პროცესი – ზღვარზე, XX საუკუნის 80-იანი წლების ქართული პროზა, გაზეთი, „ქართული მწერლობა“, გვ.154, თბ., 2003;



ნაირა გელაშვილის, „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“

ნანა კუცია
პროფესორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ყოველი დიდი რომანი, **ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“** შეიძლება გააზრებულ იქნეს ოთხ დონეზე: ბუკვალურ-ისტორიულზე, ალეგორიულზე, მორალურსა და ანაგოგიურზე (კლასიფიკაცია დანტესეულია – სწორედ ამგვარად განუმარტავდა ალიგიერი მხატვრული ტექსტის აღქმის დონეებს ეპისტოლეში კან გრანდე დელა სკალას).

რომელ დონეზეც არ უნდა გავიაზროთ ეს უაღრესად შთამბეჭდავი (ერთდროულად, დამთრგუნველი და განმწმენდი) რომანი, მისი უთვალავი ნახნავი და იღუმალი შრე აუხსნელ-ამოუხსნელი დარჩება, რადგან ფასეული ტექსტი ყოველთვის კოსმოგონიურია – იმეორებს მარადიულ მოდელს: შესაქმიდან – გამოცხადებამდის, ფიზიკიდან – მეტაფიზიკამდის, სომატურობიდან – თეოზისამდის.

ტექსტის კოსმოგონიურობა პოლიფონიურობასაც გულისხმობს, პოლიფონიურობა – კონტრაპუნქტს, ოლონდ – არა კლასიკურს, არამედ პოსტმოდერნისტულს, მხოლოდ ორმაგი კი არა, ლამის ათმაგი კოდირებებით.

სადაც ჩიტია, იქ ყოველთვის თოკიცაა, სადაც მდინარეა, ყოველთვის ბეტონიც – ანუ ფატალურ მოცემულობაში – ღვთაებრივი მაღლი არჩევნისან – გათოკო (ან არ გათოკო) ჩიტი, დააბეტონო (ან არ დააბეტონო) მდინარე...

ეპოქა პოსტმოდერნისტულია, თოკიც პოსტმოდერნისტული – ბაბინას ლენტი, მზეში გაბურღულ-გაშლილი, საშიშად მბზინავი (თან – თოკი ინფორმაციულიც – ლენტ(ა)ზე დავიწყებული მელოდია წერია)..

ბუკვალურ-ისტორიულ დონეზე ტექსტი იკითხება როგორც „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, სიკვდილისა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში როდი დაჰლირებია (თუმც რომანის ქრონოტოპოსი სწორედ უკანასკნელი ათწლეულების ქართული ლოკალის ანარეკლია). ქართული სახელმწიფო დიდი ხანია, კვდება. ციტატა რომანიდან: **„იმიტომ ვკარგავთ, რომ დიდი ხანია, დაკარგული გვაქვს“**(202).

წმინდა წერილის ლაკონიზმით, ლაპიდარულობით კონსტატირებული ტრაგიკული სიმართლე ნაირა გელაშვილის მხოლოდ ამ რომანის „წყველა-კრულვიანი საკითხავი“ როდია – ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბესტსელერში (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), **„დედის ოთახში“**, წინაპართა სამკვიდროს მხილველი ენდი იმედგაცრუებით იკითხავს **„ფუჰ, ეს არის ალაზანი?!“**

დაბეტონებამდეც, ზუსტად ამავეს თქმა შეიძლებოდა ვერზეც: **„ფუჰ, ეს არის ვერე?!“** (მწერლისეული გააზრებით, „მედინი სანაგვე“ (სხვა ქართულ რომანშიც მეზობლობს ზვარი და ნაგავ-საყრელი).

ქრესტომათიული სინტაგმა „წყევლაკრულვიანი საკითხავიც“, ალბათ, შემთხვევით როდი მოგვგონებია – ნაირა გელაშვილი ქართული პროზის მაგისტრალური ხაზის – ილიას ხაზის ერთი უკეთეს გამგრძელებელთაგანია (არა მხოლოდ ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ ტექსტებშიც ხშირად უღრმავდება მწერალი ილიას ფენომენს. ნიმუშად თუნდაც ილიასა და ჰოლდერლინის შემოქმედების კომპარატივისტულ კვლევას დავიდასტურებთ).

როგორც რომანს დართულ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს გიორგი ლობჯანიძე, ტექსტი 2012-2013 წ.წ. იწერებოდა. ანტიციპაციური რკალი, რომან „ჩემი ჩიტის“ ერთგვარი კონსპექტი-სინოპსისი უკვე 1999 წელს დაწერილ ლექს „წყნეთის ქუჩაშია“ მოხაზული.

მწერლები (მით უფრო, დიდი მწერლები) ყოველთვის წინათგრძნობენ გარდუევალს. მათ იციან მომავალი, რადგან იციან წარსული. მაგალითად, იციან, როგორ დააგუბეს ოდესღაც ენგური, როგორ წავიდა ფსკერისკენ ულამაზესსახელებიანი სვანური სოფლები: თოთანი, ეცი, ხუდონი, ლარა-კვაკვა, შკედი..

გრიგოლ რობაქიძე ხშირად ციტირებდა სალუსტუსის ფრაზას: **„ეს არ ყოფილა, ეს არის მუდამ“.**

„ეს არის მუდამ“ და ნაირა გელაშვილის რომანის ბუკვალურ-ისტორიულ შრეშიც უამრავი გულსაგლეჯი ამბავია (ერთი – ზემოხსენებული პასაჟიდან – როგორ „დააბა“ ბებია მსხვილი მავთულით სამკვიდრო სახლი – წყლით დატბორვამდის – შვილიშვილის თვალწინ: **„ქვისაა და იდგეს, სანამ შეძლებს“** – ადამიანებმა ვერ უპატრონეს და სახლმა ეს თავად უნდა შეიძლოს..

ნაირა გელაშვილთან, რილკესავით, ყველაფერი სულიერდება – სახლიც, მთაც, მდინარეც, მარცვალაც (რომლის თრთოლასაც – გაღივებისას – მთელი უნივერსუმი გრძნობს) და გიგანტური შავი ხვრელებიც. მხოლოდ მოაზროვნე გულს შეუძლია უგონო მატერიაზე – იმავ შავ ხვრელებზე - იკითხოს: **„ვ ი ნ (და არა რანი – ნ.კ.) არიან ისინი?!“**

ბუკვალურ-ისტორიულ შრეში ნაირა გელაშვილთან ყოველთვის შემოდის მეორე – ალეგორიული-პლასტიკ და მწერალიც გვეტყვის: **„რაც არ უნდა ხდებოდეს სამყაროს საგნებში, მთავარი ადამიანის სულია“** (164).

ყველაფერი ისტორიული (ობიექტური) სულში (სუბიექტურში) გარდატყდება, სულზე აირეკლება. ყოველი პერსონაჟი ნაირა გელაშვილთან მთავარია – მწერალი ევროპული (დასავლური) სამხატვრო პერსპექტივის გათვალისწინებით როდი ალაგებს მათ ტექსტუალურ ტილოზე – აქ ყველა პირველი პლანის აქტი(ო)ორია, მთავარი როლის შემსრულებელი – ის შვილიშვილი, ბებია რომ სახლი დაუბა დატბორვამდის – ოდესღაც ასტროფიზიკოსი, ან – მღვდელი, მგლოვიარე დედები („მატერ დოლოროზას“ პროტაგონისტები), სხვის ომებში „საკონტრიბუციო“ (ავტორისეული დეფინიცია) ჭაბუკები („ყველაფერზე იაფი ჩვენში ცოცხალი ჯეელია“), ნარკომანი, მძინარე ჩვილის სამოსით რომ გადმოაქვს წამალი, უნაზესი ყვავილები – ლურჯი გირგირისები, ვერეს დაბეტონების შემდეგ რომ გაქრნენ, თუ დამსხვრეული მთის კედესთან მდგარი, გზააბნეული ბატკანი, **„კლასიკადექციულ მდაბიო ენაზე“** ამეტყველებული **„ჩვენი კარგი ქვეყანა“**...

ჩვილის ენიგმა ბევრგან გაიკაფებს ამ მეგა-ტექსტში (რომ არა ვთქვათ, მეტა-ტექსტში): **„მსხმოიარე ვაზი უცნაურ სუნს გამოსცემდა – თითქოს ჩვილის ქვეშაგები იწვოდა“** – ასე აირეკლება ტექსტში 2008 წლის ომის ხანძარი.

მძიმე ალეგორიებია. ყველა ალეგორია მძიმეა. გროტესკულ-ტრაგიკულია მწერლის განაზრებანი: **„დაქციული ქვეყანა ბევრად უფრო საინტერესო კადრებს წარმოშობს მხატვრული თვალსაზრისით (შეიძლება მისტიკურითაც), ვიდრე მონესრიგებული.. სივალალე უფრო მხატვრულია, ვიდრე კეთილდღეობა“.**

რომანის ალეგორიული შრე (დანტესეული კლასიფიკაციით – მეორე) ბუნებრივად, ლოგიკურად მოიყოლებს მესამეს – მორალურს. ამ პლასტში ყველაფერი, რაც ხდება მიკროკოსმოსში, მეყსეულად აირეკლება მაკროკოსმოსში (და პირიქით).

ეპოქა (ზოგადად, ყოველი ეონი), უპირველესად, სსოვნას ემტერება, რადგან, თუ **მაკაჯობ-აქეს** დავესესებთ, **„ადამიანი სსოვნაა და რეაქცია“.** სწორედ ამიტომ თავში (სწორედ თავში!) ურტყამს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) სასჯელალსრულებითი მანქანა განსხვავებუ-

ლი აზრის მქონეს (ასეა ქრესტომათიულ ტექსტებშიც – კაფკას „გამოსასწორებელ კოლონიაში“, კენ კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“-ში...) – მეხსიერება უნდა ნაიშალოს, რათა არც დაბმული სახლი გვახსოვდეს, არც ჩაძირული სოფლები, არც დამწვარ-აჩეხილი ვაზი, არც ზვარაკად შეწირული სიცოცხლეები, არც დაბეტონებული მდინარე, არც დამსხვრეული მთა..

ეგნატეს სიმღერებში (და სათაურიც ტექსტისა ეგნატეს პირველი სიმღერის ციტატაა) სწორედ ხსოვნის მორალური ასპექტი აქცენტირდება: **„მე ეგნატე ვარ. არ უნდა დამავინყდეს“** (86).

„მე მურწა ვარ“ – ესეც ეგნატეს ფიქრია, ასოციაციურად რომ ფოლკნერის რომანის პერსონაჟის რეფრენ-რემარკას მოგვაგონებს – **„დედაჩემი თევზია“** („სული რომ ამომდიოდა“).

და მერე – ტექსტის დანტესეული მეოთხე დონე – ანაგოგიური, ყველაზე რთული და ყველაზე მაღალი – ანაგოგია – გააზრებაა ტექსტის სიმბოლური კონტექსტების და ქვეტექსტებისა (მაგალითად, ფილონ ალექსანდრიელის მიხედვით, ძველი აღთქმის სიტყვები: „იქმენინ ნათელი“ განიმარტება, როგორც სახარებისული ფერსცვალების წინასწარმეტყველება).

ანაგოგიურ დონეზე „თევზი“ ღვთისმეტყველებითი პარადიგმაა (თევზი – ბერძნულად – „იხთის“ – **იისუს ხრისტოს თეოს იუს სოტერ** – „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხსნელი“).

ეგნატე-მურწა, ბავშვი, თავის თავში უფლის კოდის მატარებელი, ბავშვი, რომელსაც ვერ გაუგია, სად წავიდა, სად დაიკარგა მდინარე, რად არ ელამუნება შიშველ ფენისგულებს გრილი ჩქერალი (ან ცვრიანი ბალახი, ქრესტომათიული რემინისცენციით), რად სწავას მდულარე ასფალტი. (სხვა რემინისცენციაც – **„სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული“** – რომანის ერთ-ერთი ობერტონია).

ბავშვი კი არა, ვერც ვერავინ ვერასდროს ახსნის არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ, უპირველესად, სულიერი ლანდშაფტის აბსოლუტური გადაგვარების მიზეზებს, თუ ეს მიზეზები, ისევე უპირველესად, ყველამ საკუთარ სულში არ იკვლია.

„ჩემს ჩიტშიც“ გაიჟღერებს საზარი სიტყვა სხვა ანაგოგიური ტექსტიდან – „ქორტუ“ (ეს ჯაყოს პაროლია, **„ქორტუ ფიქრები, მაგ ფიქრებმა გაგაფუნესო“**, ეუბნება თეიმურაზს. ჯაყოსაგან გაბახებული მარგოც დასცინის **„ბატკნებისა და თევზების ღმერთის“** მრევლს – ანუ მორწმუნესა და მოაზროვნეს).

ჯავახიშვილისეული მარგო, რობაქიძისეული **„ათასწლეულებში ნასურვი სასძლო“** თუ ნაირა გელაშვილისეული ტრაგიკულ-გროტესკული „ავლაბრის ტურფა“ ერთი და იგივე ტრაგიკული პერსონა-პერსონაჟი-პერსონიფიკაციაა – საქართველო – გალაკტიონისეული დეფინიციით, „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი.“

მხოლოდ მოაზროვნე გულს სწვდება ჩვენი თავმდაბალი და არა „მოზარზეიმე“ (ნაირა გელაშვილისეული დეფინიციია) ღმერთის სიბრძნე: **„ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების“**, ისიც, რომ **„ყოფიერების სივალაღე სახარების სიხარულით“** უნდა განელდეს..

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამ ტექსტშიც (ანუ – ამ ქვეყანაშიც) ჯერ კიდევ იწერება ლექსი, მიწაც და ვარსკვლავიც პერსონიფიცირდება („ო, მიწავ კარგო..“, „კარგო ვარსკვლავო...“). ლექსში სახარების სიხარული, სიბრძნე და შუქია:

**„არა მგონია, რომ სიჩუმემ დაკარგოს „ჩუმი“,
სინყნარემ – „წყნარი“ და სინმინდემ – წმინდა რაიმე,
რომ არა ჰქონდეს ამ სამყაროს გადამალული ერთი კუნძული,
მოციმციმე, მაგრამ ფარული,
ჩუ, ჩუ, ძვირფასო, ბოლოს შემდეგ წავალთ საითმე...“**(160).

ყველაფრის მიუხედავად, აქაური ღამეც არ არის ვალპურგისა...

„დედის ოთახში“ გადმოცურებული თევზი „ტალაპია მარია“ აკვარიუმს (ჰერმეტულ სივრცეს) დაეხსნება, „ჩემი ჩიტის“ თეთრშუბლა თევზს დაფლეთენ, მაგრამ მეხსიერებისა და გულის ტბას შეეხიზნება... ოდესმე, ალბათ, ვიპოვით...

დიდი მწერლის დიდი წიგნი გვაიმედებს: **„სანუკვარი მშვიდობის თავადი მიიზიდავს ყველაფერს – ჩუმსა და წმინდას. არაფერი დაიკარგება. რალაც ახალი აშენდება სინათლის ქვანტებით“** (165).

ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ სახარების კიდევ ერთი ქართული ტრანსკრიფციაა.



განზომილებაებით თამაში – ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებელი“

„ბევრ ჟანრს გამოვიგლოვებთ ცხოვრებაში, დარჩება მხოლოდ მეტა-პოეზია და მეტა-ადამიანი“

ბესიკ ხარანაული

„ერთადერთი რეალობა არის ის, რასაც ვფიქრობთ“

მარსელ პრუსტი

მაია ჯვლიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი. გამოცემული აქვს წიგნები, მათ შორის: „ზნობის გარდამოხსნა“ (ლიტერატურული წერილები), „ქართული მოდერნისტული რომანი“, (მონოგრაფია), „შეხვედრა წიგნში“ (ლიტერატურული წერილები), „სიცოცხლის საიდუმლო“ (ლიტერატურული წერილები და სხვა).

ავტორია წერილებისა თანამედროვე და კლასიკურ ლიტერატურაზე.

„რანაირია წიგნი, რომელიც სულ იკითხება და იკითხება? არ გასდის ადამიანს სულიდან იმის გემო და უნდება კვლავ და კვლავ გადაშლა და კითხვა და კითხვა... რადგან არ აშინებს, არ მოძღვრავს, არ ირწმუნება, არამედ, თითქოს სარკის შუქს დაატარებს იმის სულის ჩრდილში, რომ საიდუმლო კუნჭულები გაუნათოს და შეახსენოს თავი, სრულ და შეუბღალავ სიმარტოვეში“, – წერს ბესიკ ხარანაული და თვითონვე ქმნის ამგვარ, მეტა-ჟანრულ წიგნს, „მთავარ გამთამაშებელს“, რომელშიც „ადამიანი სულ მიედინება“.

წიგნი დაქსელილია სივრცული და დროული ბადეებით, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ განზომილებებს ქმნიან. ცხადი, სიზმარი, მითი, ლეგენდა, ზღაპარი, წარსული, მომავალი – თანაბარი ინტენსივობით შემოიჭრებიან და ერთმანეთს გამსჭვალავენ. რეალობისა და ირეალობის გადაკვეთის გზებზე, ერთგვარ გზაჯვარედინებზე

წამიერად შეყოვნებული ავტორი ერთ რომელიმე გზას კი არ ირჩევს, ერთ რომელიმე დრო-სივრცულ არეალს, არამედ ერთდროულად რამდენიმეს. როგორ ახერხებს ამას? პოეტი თვითონვე ცდილობს აუხსნას მკითხველს, თუ ის ისეთი ერთგული აღმოჩნდება, რომ გაუძლებს განზომილებებში ხეტილის თავბრუსხვევას და ბოლომდე მიჰყვება. იგი ერთგან წერს: „სიზმარში მთხრობელის შემოსვლა მთელი ამ ვიზუალური სცენებით, განზომილებების თამაშსა ჰგავს“. მისთვის, მეტაფორულად, „სივრცე სუფრაა, დრო მარილია“.

მას ანუხებს ის, თუ „როგორი მნიშვნელოვანია ყველაფერი სიზმარში და როგორი უმნიშვნელოა ქალაქდზე“ და სწორედ ამ წინააღმდეგობას გადალახავს ამ წიგნში, დაწერილშიც ინარჩუნებს სიზმრისეულ ნაგრძობს. „ძილი ნიშნავს ცოტა ხნით სამყაროს გატანას შენი ცნობიერებიდან გარეთ“ (ბორხესი). პოეტი ხი-

ლულისა და უხილავის სივრცეებში ერთდროულად განაცდევინებს თავს მკითხველს და ნაცნობ სამყაროს ახლიდან აღმოაჩენინებს.

ეს ჰგავს დროში ხეტიალის მარსელ პრუსტისეულ გამოცდილებას. ისიც დაკარგულ დროს დაეძებდა და ამას არატრადიციული და ორიგინალური თხრობის სტილით ახერხებდა.

ბესიკ ხარანაულს სურს თავი დააღწიოს მკითხველისთვის ჩვეულ, ნაცნობ ათასგვარ წერის მანერას და ერთგვარ მეტათხრობას მიაგნოს, რომელიც ამბის, შეგრძნების, ნაფიქრის უბრალო გადმოცემის მიღმაა. ამიტომაცაა, რომ იგი მკითხველთან სიტყვით ურთიერთობის საოცარ ხვეულებს ქმნის. ამ წიგნში ხშირად შეხვდებით კომპოზიტებს, რომელთა შემადგენლობაშია სიტყვა მეტა, მეტა-ჟანრი, მეტა-წიგნი, მეტა-პოეზია, მეტა-ადამიანი, მეტა-მორალის... მეტაფიზიკის ანალოგიით.

რა ჟანრი გაუძღვება მეტათხრობას? **„რა სასაცილო იქნებოდა, რომანს რომ ვწერდე, მოთხრობას რომ ვწერდე, ლექსს... რადგან ეს ხომ არ იქნებოდა ისეთივე რეალობა, როგორც ჩვენს დროში ტექნოლოგიაა?“** „მე ვხვდები, ჩემი ტექნოლოგია ჩემი საკუთარი ენის ტექნოლოგიაა, გარემოებით ჩემს გვამში ძარღვებისა და ნერვების სიმებად გაბმული“. **„ძალიან მინდა ვსაუბრობდე ვინმე უცნობზე, მაგრამ ასეთი მხოლოდ მე თვითონ ვარ“**, **„სუნთქვითა ვწერ და არა სიტყვათწყობით“**. **„ჟანრის ძიებაში მე თვითონ დავდგინდი“**. **„ვწერ. რას, რომ არ ვიცი. ხალხი თვითონ დარქმევს სახელს“**.

ამიტომაცაა, რომ ამ წიგნში მკითხველი შეხვდება ყველა ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, ერთგვარ ჟანრულ მოზაიკას.

მთელი წიგნი „მეს“ უსასრულო და უცნობ სამყაროში ხეტიალია. ეს მე ყოველწამიერად გარდაისახება სიტყვის ძალით და ცდილობს უცხო ნიღაბში, უცხო ტყავში ჩასახლებულმა შეგვაგრძნობინოს, როგორია სინამდვილეში ცა, დედამიწა, სამოთხე თუ ჯოჯოხეთი.

მთელი წიგნი არის თამაში სიტყვებით, ფრაზებით, შინაარსით, მხატვრული სახეებით, მოტივებით, თემებით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც წარმოსახულ, წიგნის სამყაროში ხდება.

დაწერილი (ან წერის დრო, როცა წარმოსახულს სიტყვით ახორციელებს) არის პოეტის მატერიალურ-სულიერი არსებობის მთავარი სივრცე.

მისთვის წიგნის წერა არის თვითონ სიცოცხლე. სიცოცხლე, რომელიც ჯერ პოეტს ათავისუფლებს ყველგანმყოფი და ყოვლისგამსჭვალავი მოკვდავობისა და მისი თანმხლები ათასგვარი

შიშისგან, ხოლო შემდეგ მკითხველს, **„თანაც, ახლა ეს ჩემი წიგნი სხვა ენის ხალხებსაც რომ წააკითხა... იგრძნობენ, შიშის მაგივრად სიხარული ჩაუდგათ გულში“**. ასე რომ, იგი ადამიანის ხსნის მისიას აკისრებს წიგნს, რომელსაც შეუძლია მკითხველს დაეხმაროს, გულის კარი გაუღოს სიყვარულს (ღმერთს).

მისთვის წერა არის გამოცნობა, შეცნობა სამყაროსი და საკუთარი თავისა. ორივე ერთმანეთს გამსჭვალავს. სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შემცნობი, მისი გადამწერი, ამ შემთხვევაში, მწერალი არსებობს. დეკარტისეული, ვფიქრობ, მაშასადამე ვარსებობ, ავტორისთვის ასე იცვლება: ვწერ, ე.ი. ვარსებობ.

ის ოცნებობს ისეთ წიგნზე, რომელსაც არც დასაწყისი ექნება და არც დასასრული ღმერთით. ბორხესის „ქვიშის წიგნიც“ ამ ოცნების დევნას გამოხატავს.

წიგნის სათაური – მთავარი გამთამაშებელი, მრავალმნიშვნელოვანია. მწერალი მის „დაბადებასაც“ მისტიკურ საბურველში ახვევს: **„ამ წიგნის სათაურიც ხომ სიზმრიდან ამყვამ, თორემ, ისე, გიჟი უნდა ვიყო, რომ ვიკითხო მთავარი გამთამაშებელი – ვინ არის? რა არის?“** იგი ხან მხატვრულ ტექსტშია, ხან მის მიღმა, ხან მიწიერი, ხან ზეციური, ხან კაცია და ხან ქალი, ხან ბედისწერაა და ხან შემთხვევითობა და ა.შ. ამ სიმბოლოს შესახებ თვითონ მწერალი გააბნევს მსჯელობებს მთელ წიგნში, როგორც ასაკენკს, რომ მკითხველმა ბოლომდე მისდიოს და გაიგოს, ბოლოს და ბოლოს, ვინ თუ რა არის ეს მთავარი გამთამაშებელი.

ბოლოს შეიძლება დაასკვნას: მთავარი გამთამაშებელი შეიძლება იყოს ყველაფერი: სულიერიცა და უსულოც. ის იცვლება დროისა და ვითარების შესაბამისად. შეიძლება ერთ წამში სხვა იყოს, მეორეში სხვა და რადგან ერთ წამშიც კი შეიძლება ყოფნა სხვადასხვა განზომილებაში, მთავარი გამთამაშებელიც ამ ერთ წამში შეიძლება იყოს სხვადასხვა.

მწერლის საფიქრალია, რა წარმართავს მის ყოველწამიერ სულიერ მოგზაურობას ნაცნობსა და უცნობ სივრცეებში: თვითონ, მისი ცნობიერება (სული, გული, გონება, გრძნობა...) თუ სხვა რამ გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი. წიგნის ნაკითხვის შემდეგ კი მკითხველს მთავარი გამთამაშებლის ერთი მნიშვნელობა, ნიღაბი ამასსოვრდება: მთავარი გამთამაშებელია თვითონ მწერალი, შემოქმედი, რომლის გარეშე არანაირი „თამაში“, ე. ი. მხატვრული ტექსტი, არ შედგება, თუნდაც მოკარნახე ღმერთი იყოს: **„ჩემი თავის თემა მექცა ჯოჯოხეთად – ჩემს საკუთარ თავს**

მე მათამაშებენ“, „**მე მოვიფიქრე სიზმრიდან ცხადში და სააქოდან საიქიოში გამავალი ფანჯრები. დაბოლოს, მე მოვიფიქრე საიქიოს ეპოსის ფანჯარა“**. ეს უკანასკნელი დანტეს „ლეთაებრივი კომედიის“ ალუზიაა.

ნიგნში ერთი თავიც არის ამგვარი სათაურით: „მკითხაობა მთავარ გამთამაშებელზე“. აქ ავტორი მკითხველის ნიღბითაა და გამოთქვამს ვარაუდებს, ვინ და რატომ შეძლება იყოს მთავარი გამთამაშებელი. ამ ვრცელ მსჯელობებში მუდამ ავტორის შეხედულებები ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ნიგნშია. აქ ერთგვარად დანახილ-დანურულია ყველაფერი და სარკესავით ირეკლავს სამყაროს ყველა ტკივილს. ასე რომ, მკითხველს შეუძლია, თავიდანვე ნიგნი ბოლოსკენ გადაშალოს და გაიგოს, ვის გულისხმობს მწერალი მთავარ გამთამაშებელში (ან უფრო დაიბნეს). ის ღმერთი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად მას ჰგავს. ყველაგანმყოფია, მრავალსახოვანი, უკვდავი. ამ მსჯელობებში სავარაუდოდ მთავარ გამთამაშებლებად „ეჭვმიტანილნი“ არიან შესაბამისი „მტკიცებულებებით“ ამგვარი თანამიმდევრობით – ღმერთი, მეფე, სიქაჩლე, ქალი, ცათამბჯენები, ნანარმოები, სიცოცხლე, ხსოვნა, სიგლახაკე, სიტყვა, სიმდიდრე, ხელოვნება, გონება, ინსტინქტი, ეშმაკი, ფული... და ერთგვარი დასკვნა:

„ჰომო საპიენს პალიმფსესტია, რომელზეც წერს ჰომოიმაციანასი.

წარმოსახვას ვერაფერი ეწევა. წარმოსახვა დროის ღელვში წინმსწრაფი სხივია, წარმოსახვა ეპოქას განელტვის, რომ შობოს ეპოქა. მთელი სამყარო ერთ ნაჭუჭშია, ერთადერთი ცენტრი თავმდაბლობისა, ავი, ბოროტი, – პერიფერიებშია.

დედამინა სამყაროს პერიფერიაა.

რა უფრო მეტია, თამაში თუ ტექნოლოგია? დასაწყისი ყოველთვის ერთნაირი იყო: გმირი თუ ურჩხული, ოდისევსი თუ პოლიფემე?“

პოეტი ისაა, ვინც დროისა და სივრცის მიღმა დახეტილობს, სულ ერთია, წარღვნამდელია თუ თანამედროვე, ამიტომაცაა, რომ ნიგნში წარღვნამდელი პოეტის ლექსები ისევე იკითხება, როგორც ჩვენი დროისა: „რაც არის, ის უკვე იყო, და, რაც იყო, ის უკვე არის, ამიტომაც, მსგავსებას რომ ნახავთ რამეს, არ გაიკვირვოთ: **„მეც წარღვნამდელი ვიყავ, როგორც დღეს ხართ თქვენ წარღვნამდელი“**. წარღვნა, ისევე როგორც მეორედ მოსვლა, აპოკალიფსი ახლა ხდება, უბრალოდ, ზოგი შეიგრძნობს, ზოგი ვერა. როგორც იოანე მოციქული წერს: **„რამეთუ მოვალს უამი, და აწვე არს“** (იოანე, 5, 25).

ბესიკ ხარანაულის ამ ნიგნში კი ისმის წარღვნამდელი პოეტის ხმა, რომელიც ამბობს, რომ ის იყო, არის და იქნება, რადგან ღვთის შემოქმედებას სჭირდება ხელოვანი-ინტერპრეტატორი, რომელიც თაობებს გადასცემს მხატვრულ სახეებში დაშიფრულ სიცოცხლის აზრსა და მიზანს. **„პოეტები გაჰყვნიან ბუნებას, რათა, როცა წარღვნა კვლავ გადაივლის, გამოიშალონ ჰომეროსები“**.

დღეს რა ხდება?

„მანამდე კი დისკურსნარატივები და სიტყვათწყობის ტექნოლოგიები, დაბრეცილები, მოფარფატეები, ზეთჩამომდინარნი, სივებით, პროექტებით, ზურგჩანთებითა და კურიკულუმებით, მოჭრიან თიხას და ადამებს გაატირაჟებენ და ევასაც, რალა თქმა უნდა, შრომით დაქანცულნი.

არ მიიღებს მათ პროდუქტს ჰომეროსი, არც არავინ მწკრივიდან გამოშურცული, ეტყვიან, გასწავლით: – თიხა თქვენი ნერწყვით მოზილეთ, გამოძერწეთ თქვენივ თითებით და რომ დარწმუნდებით, რომ სრული ხატია, სული ჩაბერეთ“.

მწერალი ამგვარი ირონიით წარმოაჩენს იმ თანამედროვე ავტორებს, რომელთაც არ ძალუძთ „სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“ (რუსთაველი) და მაინც ჯიუტად ცდილობენ, თავიანთი ნაწერები პოეზიად გაასალონ.

ამ ნიგნშიც, ტრადიციის კვალდაკვალ, პოეტი მარადის მარტოსულია: **„პოეტს, მიცვალებულივით ეჩვენება, რომ ერთი ვინმესთვის მაინცაა ახლობელი. მაგრამ ისეც ხდება, რომ თვითონაა ახლობელიც და მიცვალებულიც“** (265).

მწერალი თავისი ჩანაწერების ამ კრებულს უანრობრივად ამთლიანებს მინაწერით: მეტაპოეტური ნიგნი-კონცერტი. მეტაპოეტური მიანიშნებს იმაზე, რაც პოეტურობის მიღმაა, რაც სიღრმეშია და რის შეცნობასაც სულიერი ძიება სჭირდება: **„სხვაა მეტაფორაში, სხვაა სინამდვილეში, ამიტომაცაა, რომ სინამდვილე და მეტაფორა განუწყვეტლივ იცვლიან ფალანგებს, რომ ცხოვრებას თამაში მოუგონ“**.

კონცერტი სანახაობაა, სადაც ადამიანი მიდის გასართობად.

ეს ნიგნიც სანახაობაა ადამიანური ყოფისა.

ერთ მშვენიერ დღეს მწერალმა **„მეხსიერების ერთი დაკეტილი უჯრა გაალო“** და იქიდან **„ნახევარი საუკუნის წინანდელმა შთაბეჭდილებამ შემოანათა“** და გაჩნდა ახალი მიზეზი ახალი ნიგნის შექმნისა: **„როგორ გადმოვხატო და გადმოვიწერო ეს სმენითი და ვიზუალური წარსული? ეს წამი საკმარისია მხოლოდ ნიგნის ზო-**

გადი სახის დასანახავად და არა წიგნისთვის, რომელსაც მინდა, რომ მივცე სახე იმ კონცერტებისა, რომლებსაც ბავშვობაში უამრავჯერ დავსწრებივარ და ახლა მე ჩემი თავისგან იმავეს ვითხოვ – ამბავს, სიმღერას, ცირკს, ცრემლს და სიცილს... ყველაფერს ერთად, ერთ წიგნ-კონცერტად, როგორც მაშინდელ წარმოდგენებში ხდებოდა, და, თავისი ჟანრული მრავალფეროვნებით ნამდვილი დღესასწაული იყო...“ „ვის შესწევს ძალა, რომ მთელი ეს მრავალფეროვანი თეატრალური და საცირკო შთაბეჭდილება თავისი წარმოსახვის ფრთებქვეშ მოაქციოს და იმის ქარგზე გამოჭრას წიგნი?

ალბათ იმას, ვისაც შეუძლია, ყველაფერი ერთად დაინახოს, შეუძლია დაიმახსოვროს და დაიტოს საფეთქლებით შეკრულ უჯრაში... მით უმეტეს, როცა სოფლის გარიჟრაჟებზე და საღამოებზეა გაზრდილი და ადვილად შეუძლია ოყოს – კონცერტი!“

ამ წიგნის კითხვისასაც მკითხველი უცნაურად ამოვარდება ჩვეულებრივი რეალობიდან და აღმოჩნდება ახალ რეალობაში, რომელიც სინამდვილეს ჰგავს და განსხვავდება კიდევაც მისგან – ჰგავს იმით, რომ აქაც ადამიანური შეგრძნებები, სურვილები იხატება, განსხვავდება იმით, რომ მკითხველი ერთდროულად განიცდის სხვადასხვა სივრცულსა და დროულ განზომილებებს. ანმყო, წარსული და მომავალი ერთად წარმოუდგება.

მაინც საით მიგვიძღვება მწერალი? **„გადავწვიტე, გამოვძვრე ლიტერატურის ტყავიდან, ავინიო, ავინიო და მივალნიო იმ ზღვარს, სადაც სუფევს მეტა-პოეზია...“**

მეტა-პოეზია, – ლექსის იქით, ფურცლის იქით, აზროვნების იქით, სახელშერქმეული გრძნობების და საგნების იქით...“ ეს ჰგავს ფრანგ სიმბოლისტთა წმინდა პოეზიის ძიებას, რომელიც უნდა ყოფილიყო **„მთვრალი სურნელთა იდუმალებით“**, **„სხვა ყველა არის – ლიტერატურა“** (პოლ ვერლენი, „L'art poétique“).

ბესიკ ხარანაული ფიქრობს, რომ **„ადამიანიც მისახედია, ისიც კარგა ნაღვია მწერლობისაგან, მაგრამ, რაც უნდა დედა უტირონ, მაინც რჩება მეტა-ადამიანი, თავის წარღვნამდელი ხსოვნით... მეტა-ადამიანობით – თავისუფლების იქით, კანონებს იქით, წესრიგს იქით, სოციალურობას იქით – ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი პირველყოფილი ველური, რწმენის უსაზღვრო გზაზე დამდგარი, რომლისთვისაც ყველა აზრი დრომოჭმულია...“**

წიგნის „ცხრაკლიტულების“ გასაღებები თვითონ წიგნშივეა.

ერთი ასეთი ცხრაკლიტულია ყდაზე ავტორთან გამოსახული უცხო კაცი.

ეს კაცი პოეტის თანასოფელი ამირანია. ავტორი მის გვერდით სხვანაირია, რადგან ამ წიგნში ამირანიც ერთ-ერთი მთავარი გამთამაშებელია, რომელიც ლეგენდად და მითად გადაიქცა, რადგან ბედისწერისა თუ შემთხვევის წყალობით, რომელიც წლის, თვისა და რიცხვის, საათისა და წამის მონაკვეთში პოეტთან ერთად ფოტოზე აღიბეჭდა. ესეც მოჭიდავეა, ცხოვრებასთან დამარცხებული, როგორც ის, კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული ახლაც, ოღონდ სხვა განზომილებაში. **„ვისაც თვალები აქვს, დაინახავს“**, როგორც სახარებაშია. და დაინახა ის მწერალმა აქ და ჩვენს დროში. ისევე როგორც აქ და ახლა ხედავს პავლე მოციქულსა თუ სტეფანეს, რომლის დასჯასაც დაესწრო ჯერ კიდევ „ბრმა“ სავლე და შემდეგ, თვალახილული დღემდე ქადაგებს. ვისაც ყურები აქვს, გაიგონებს, როგორც სახარებაშია.

„მოცლილო მკითხველო“, – ასე მიმართავს მკითხველს „დონ კიხოტის“ დასაწყისში სერვანტესი.

„თუ დრო არა გაქვს, ნუ დაინყებ კითხვას“, – გოდერძი ჩოხელი „ადამიანთა სევდის“ დასაწყისში.

ბესიკ ხარანაული ამ წიგნის სადღაც, შუაგულში: **„რაც მიყრია, იმას ვფქვავ, სულ არ ვცდილობ, რული არ მოგვაროთ“**.

მართლაც, მკითხველი აქტიურად უნდა ჩაერთოს კითხვის პროცესში და ხანდახან მწერალსაც დაეხმაროს თხრობის ლაბირინთებიდან გამომდინარე: **„მკითხველო! დამეხმარე, ლაბირინთში ვარ! ძაფი ამებურდა, რაკი ქსოვისა არაფერი გამეგება. არ ვიცი, სადა ვარ, არ ვიცი, რა ვქნა... ცხადი, სიზმარი, საიქიო, სააქაო... ახლა კიდევ წარღვნა, რომელიც უკვე ცხადში მერევა... შენი საქმეც არის, შენც ჩემსავით დაძრწინარ სიზმარ-ცხადში და ელი წარღვნას“**. **„ეს წიგნია დაეჭვებულთათვის, ვინც მინას ფეხისგულებით გრძნობს და ჰაერს ყურის ქალამნებით! სამედაშენოა ეს წიგნი, მკითხველო!“**

წიგნი იწყება ერთგვარი მეტაპოეტური „გამოცხადებით“ – უჩინარი წამყვანი, როგორც წინასწარმეტყველი, ადამიანებს მიანიშნებს აპოკალიფსის მოახლოებაზე. მკითხველი თითქოს ბიბლიის რომელიმე ტექსტს კითხულობს, უფრო ზუსტად, იოანე მახარებლის მიერ კუნძულ პატმოსსზე ხილვით ჩანერილ „გამოცხადებას“.

„თქვა: როგორც კი აღარ მოვა მამაჩემი თქვენთან და ჩემთან, როგორც კი აღარ მოხვალთ თქვენ ჩემთან, ეს იქნება ნიშანი.“

ყოველ ხეს გამოარჩევს ნაყოფი.

რადგანაც, აჰა, იციან, უბრალოებმა ჩემი სიტყვა, ბრალიანებმა კი არ იციან.

ალარ დავეკითხები ჩემს თავს: ამ კაცში თუ დგას ის ჟამი, როცა მას შეუძლია სიკეთე ჩაიდინოს“.

თუ კაცს ალარ ექნება მადლი სიკეთის ქმნისა, მაშინ აღიგავება პირისაგან მინისა სამყარო. ნიგნის პირველი სიტყვა: „თქვა“, მიანიშნებს უფალზე, რომელიც ადამიანებს მათივე საშუალებით ელაპარაკება. ამ შემთხვევაში, თვითონ მწერალია ერთგვარი მედიუმი, რომელსაც მოაქვს ღვთის სიტყვა ადამიანებამდე.

ამის შემდეგ ცხადდება ღვთის რისხვის მიზეზი: **„ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე“**. ამ „ატეხილობის“ დამადასტურებელი არაერთი ეპიზოდია ნიგნში მოყვანილი, ხან ამბისა და ხან მსჯელობის სახით. უპირველესი უგუნურება, უზნეობა, მწერლისთვის ადამიანის ბუნებისგან მოწყვეტაა, მასთან დაპირისპირება და ამით გამოწვეული საფრთხეა: **„მიყურებს მე ბუნება... დაჩეხილ სახით და წამწამებგაცლილი თვალებით, გატეხილი ლავინითა და მორყეულ ძვლებზე ყანყალით, მიყურებს წამით ჩემკენ შემოქცეულ ნადირის სახით და მეუბნება – შენც გადაშენდები!“**

პოეტისთვის ამგვარივე საფრთხეა ისიც, რომ **„ამ დროში, საიდანაც ვმეტყველებ, ტექნოლოგია ერთმმართველი დიქტატორია, მისთვის ყველაფერი ან ახალია, ან ძველი, რომელიც უნდა განადგურდეს. ყოვლისმომცველია ტექნოლოგიური აღმსარებლობაც“**.

ბესიკ ხარანაულის სტილი ამ ნიგნში ერთგვარი მეტა-სტილია. იგი გვაგონებს ხან მახარებლების, ხან ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ და ხან ლაო ძის „დაო დე ძინის“ წერის მანერას. ამ სამივესთან აკავშირებს: ერთგვარი ზეშთაგონებულობა სისადავე, უბრალოება, პოეტურობა, სიბრძნე, გულწრფელობა, თანვე საოცარი მიზიდულობისა და დატყვევების ძალა. მუდმივი შეგრძნება იმისა, რომ მკითხველი „განძის მაძიებელია“ და რაც უფრო თავდაუზოგავი იქნება კითხვისას, მით უფრო მიუახლოვდება სანადელს. ეს სანადელი კი ის საოცარი სიმშვიდეა, რომელსაც სულისა და ხორცის ჰარმონიული თანაარსებობით მიაღწევს კაცი. ამგვარი სიმშვიდის ძიება მხოლოდ დიდ ბრძოლას, ჭიდილს გულისხმობს საკუთარ თავთან და მთელ სამყაროსთან. ეს ბრძოლა არასოდეს მთავრდება.

ამავე დროს, პოეტის სტილისთვის დამახასიათებელია ირონია საკუთარი თავის, მკითხველის, სამყაროს და ყოველივე იმის მიმართ, რის შესახებაც წერს. **„თუმცა ეს ნიგნი არ არის ლიტერატურის**

ეპიტაფია, ყველა ჟანრიდან გადარჩება მხოლოდ პოეზია – სიმწვანე, სილურჯე, ადამიანი – იმისი იქნება... და მეც, ლიტერატორი ხომ არა ვარ, მე ხომ გატყავებული, ნიშნის-მოგებით მდინარეში გადაგდებული მელა ვარ, რომელიც, მიუხედავად განწირულებისა, ქვეყნიერებას მაინც დასცინის“.

ნიგნის დასაწყისში **„მოთელვა თამაშის დანყების წინ“** – მოგვაგონებს კონცერტის დანყებამდე სხვადასხვა ინსტრუმენტის აწყობა-გასწორებას. ზოგიერთი ფრაზა მუქი შრიფტითაა გამოყოფილი – მკითხველს შეუძლია ჯერ მხოლოდ ისინი წაიკითხოს, მოემზადოს თამაშისათვის, წაკითხვისათვის. გაისმის ქაოსური ხმები – ამ შემთხვევაში, მკითხველი კითხულობს ერთმანეთზე მიჯრილ სტრიქონებს, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდებიან. ეს ფრაზები, „ხმები“ კონცერტის დროს დაინშინდებიან და ჰარმონიულად შეერწყმიან ერთმანეთს. მაგრამ ამ ფრაზებს ამ ერთგვარ „ქაოსში“ აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობები. ხშირად სენტეცია თუ მაქსიმა. მაგალითად: **„თუ არ იბრძვი, ბუნებას არ შეესაბამები“**, **„სიკვდილის უნახავმა სიცოცხლისა რა უნდა ვიცოდე“**, **„პოეზიასაც ჰყავს ფარისევლები და სადუკველები“**, **„მოვა დრო და ჩემი გახსენება ნაბიჯს აგირევთ“**, **„მკვდარს შემიპყრობენ, დამთავრდება ჩემი გაქცევა“**, **„პოეტი ისევე ჭირდება ცხოვრებას, როგორც ფეხსაცმელს ლანჩები“**. **„ამქვეყნად ყველაზე ახალგაზრდა არსება ჩემი ნიგნია“** და სხვ. ერთი კიდევ: **„მოთელვა პირველ ოფლამდეა“**.

ამ ერთგვერდიან ჩანანერში იმდენი საფიქრალია ჩანწეხილი, რომ მის მისაყოლად, გასააზრებლად, შესამეცნებლად ნამდვილად გამოუვა მკითხველს ოფლი და თუ ეს ასე მოხდება, მაშინ საქმეც დაიწყება – ამ ნიგნის წაკითხვის საქმე, რადგან ეს უბრალოდ, მხატვრული სამყარო არ არის, არამედ ისაა, რომლის საშუალებითაც უნდა შევიმეცნოთ დროსა და სივრცეში ჩვენი არსებობის აზრი და მიზანი. ეს „საქმეა“ თვითონ მწერლისთვისაც, ამიტომ ის არასოდეს დამთავრდება მის სიცოცხლეში.

„ვიდრე თამაში დაიწყებოდეს, მკითხველი და ავტორ-გამთამაშებელი ფურცლის მინდორზე მოთელვას გადიან“. ხოლო მოთელვას თუ „გადაურჩები“, ესე იგი, ნიგნს არ მიატოვებ, მაშინ დაიწყებ „შენი თავის ძებნას“.

მთელი ნიგნიც – ეს არის საკუთარი თავის ძიება, სულის მოგზაურობა, სულის თავგადასავალი.

ამგვარი განზრახვით არაერთი ნიგნი დაწერილა და კიდევ ბევრი დაინერება. ესეც მათ შორის. მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაზე“

საუბრისას, **მერაბ მამარდაშვილი** აღნიშნავდა: **„პრუსტის ტექსტი სულის ისეთივე მოგზაურობაა, როგორც „ღვთაებრივი კომედია“ – სულის შინაგანი მოგზაურობის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე დიდებული ჩანაწერი“** (მერაბ მამარდაშვილი, ლექციები პრუსტზე).

მკითხველი თითქოს შეეჭიდება მწერალს, რომელიც ტექსტში უჩინრადაა. ეს შეჭიდება მუდგუნდება კითხვისას აღძრულ ფიქრებსა და წარმოსახვებში. მწერლისთვის მთავარია, მკითხველი არ გაიქცეს „სათამაშო მოედნიდან“, ამისთვის ის ყოველ ღონეს ხმარობს, ათასნაირ უკვე ცნობილსა თუ უცნობ, დავიწყებულ ილეთს იყენებს, პირველ რიგში, გულწრფელობას, მკითხველსაც აქეთკენ უბიძგებს – ერთგვარი სულიერი გაშიშვლებისკენ, რათა შემეცნების გზას წინ არანაირი „სამოსი“ და „სამკაული“ არ გადაელობოს. **„აბა, დაიწყე ჩაძირვა შენს საკუთარ სულში (ადვილად ითქმის), ცხრაჯერ ცხრა ფეხი სანთელი დაგენვება, ვიდრე იქ ჩახვალ და იხილავ საკვირველებას. ადამიანის სული ხომ ნაწილია უსასრულობისა და არა თვითონ ადამიანისა“.**

მთელი წიგნი ერთგვარი დროსივრცული ლაბირინთებით არის დაქსელილი. ეს არ არის ბნელი ტალანები, არამედ განათებული საოცარი პოეტური ფრაზებითა და მრავალმნიშვნელოვანი სიბრძნით, სამყაროზე დაკვირვება მკითხველს აქამდე შეუძინეველს დაანახვებს. ამ ჩანაწერების ყოველ ნაბიჯზე ნაღმებივით ფეთქდებიან აზრები, რომელთაც სიცოცხლის გულისგულში შეყავხარ.

„ობობას შიგნით ისეთივე გუგუნია, როგორც სამყაროში“.

„დაფრინავს პეპელა! ბუნების ენერგიაა მის აფრებში... ის არ შეიძლება თავისი თავის წინააღმდეგი იყოს...პეპელა ბუნებას აკვდება ხელში, შენ კი შენს თავს“.

კითხვისას მკითხველს თან დაჰყვება უჩინარი აჩრდილივით პოეტი, რომლის ხმა ხან მიწიდან გაისმის, ხან ზეციდან, ხან მკითხველისავე არსებობიდან. ამიტომაც არის რომ ტექტის ფრაგმენტები ხან პირველ პირობა დაწერილი, ხან მეორეში და ხან მესამეში.

მწერალი მკითხველის მზერას ხან გარეთ მიმართავს, სამყაროს ცალკეულ დეტალს, ცხოვრების მოვლენებს დაანახვებს, ხან უქდაგებს, მიმართავს, მოძღვრავს, საყვედურობს, ამუნათებს, ხან მოუნოდებს, ხან სულისკენ ჩაუბრუნებს მზერას, უცნაური ჭვრეტით წარსულსა და მომავალს მოახილვინებს, ერთი სიტყვით, მკითხველს სრულფასოვნად „აცხოვრებს“, რაც

იმას ნიშნავს, რომ ყველანაირ ადამიანურ ვნებას და სურვილს განაცდევინებს, ათასნაირ თემასა და მოტივზე დააფიქრებს, დაყრუებულ მკითხველს ბუნების მრავალმნიშვნელობისთვის მიაგდებინებს ყურს, რალაცის გაგებაში მიეხმარება, რალაცის გასაღებს კი დაუმალავს, რათა თვითონ დამოუკიდებლად აღიძრას გამოცნობისათვის: **„გარეგნობას თუ მოიშორებ, ნახე, როგორ დამსუბუქდები“, „კაცი შენშიც სულ იმალება“.**

წიგნში ხან სათაურებით, ხან ვარსკვლავებით გამოყოფილ ფრაგმენტებს ხანდახან ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ შემეცნების გზაზე საფეხურები არიან. რალაც ახალსა და განსხვავებულს, ხან ნაცნობს, მაგრამ თან ახლებურად გადააზრებულს ხვდება მკითხველი და მიიწევს წინ. წინ იმ თვალსაზრისით, რომ ფურცლავს, წიგნს, თორემ ისე, წრეზე ტრიალებს, მიდის იმიტომ, რომ დაბრუნდეს. მაგრამ ყოველი დაბრუნება შემეცნების ახალი საფეხურია. დაწყებისა და დაბრუნების წერტილი იგივეა – საკუთარი თავი, მაგრამ უცხო და ახალ განზომილებაში და ეს განზომილებანი ისევე დაუსრულებელია, როგორც სიტყვით შექმნილი ან შესაქმნელი სამყაროები: **„სადღაცა ამყავს ჩემი ჭკვიანი თავი... ვწვდები, ვწვდები, განყვეტაზე ვარ. ის კი კლდოვანი უფსკრულის თავზეა და ვწვდები და ვგრძელდები, რომ მივეტანო და ვცურდები და უფსკრულის ჰაერში ვფხიზლდები“.**

წიგნის მთავარი მიზანი (თუ შეიძლება ერთი რომელიმე მიზნის გამოყოფა), არის საკუთარი „თავის ძლევა“. ამიტომაც ხშირად არის ერთგვარი მედიტაციები. პოეზიის გზით მკითხველი ვარდება ექსტაზში და საკუთარ სულში მოგზაურობს. ავტორის პოეტურ-ფილოსოფიური მსჯელობანი ეგზისტენციალურ საკითხებზე მკითხველს სამყაროს უხილავი განზომილებების შესამეცნებლად უბიძგებენ.

წერილი წიგნში დასმული მწერლისვე კითხვა-ოცნებით (სულ რომ იკითხება, ისეთ წიგნზე) დავიწყეთ და დავამთავრებთ მისივე პასუხით: **„მკითხველო! ორივენი მოტყუებული დავრჩით. ასეც უნდა მომხდარიყო, შეგვეფერება.“**

შეუძლებელია ჩვენთვის ისეთი წიგნი, რომელიც სულ იკითხება

და იკითხება. არც თავი აქვს, არც ბოლო“. წიგნის ბოლო თავი **„მოთქმით გალობა დედამიწის გამო“** (პათოსით ჟიულ ლაფორგის ლექსს – **„სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე“** რომ ეხმიანება) ასე მთავრდება: **„ჩვენო მინგრეულ-მონგრეულ ღვთაებავ, გადმოგვხედე, გადმოდგი ნაბიჯი, ჩვენ კიდევ დავიძვრებით,**

ტანჯულებს უღელი აერთოს, განთავისუფლდეს, შემოგვიშვი შენს კარ-მიდამოში, მადლის სათხოვად, წიგნის დასაწერად...“.

დოსტოვესკი წერდა: „დედამინის აღსასრული რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადამიანებისთვის ეკითხათ: „აბა, რას იტყვით, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედანო“, – ადამიანს შეეძლო უსიტყვოდ გაენოდებინა „დონ კიხოტი“: „აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, – შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“

ბესიკ ხარანაულისთვისაც წიგნია კაცობრიობის გადამრჩენი, ამიტომ ყველაზე მთავარია, ადამიანმა არ დაკარგოს ის მადლი, რომელიც ახალ წიგნს შეაქმნევინებს. წიგნი ხომ ღვთის სახელივითაა, მასში ლოგოსი (სიტყვა) ცოცხლობს.

**„შეკახნი შვილის“ აოცებური
პარადიგმა ბესიკ ხარანაულის
რომანის „სამოცი ჯორზე
ამხედრებულ რაინდი
ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და
მეტაფორებისა“ მიხედვით**

„ჩვენს სინამდვილეში არსებობს ისეთი უხილავი განზომილება, სადაც ერთადერთი და განუწყვეტელი პროცესი მიმდინარეობს: მამა შვილს ეძებს: შვილი მამას, მკვდარი ცოცხალს და წარსული აწმყოს. მიმდინარეობს განუწყვეტელი რიტუალური დიალოგი ცისა და მიწისა, სიკვდილისა და სიცოცხლისა და უძებნი შვილი კი ყველას ავიწყდება.“

ამ განზომილებაში ჩვენი სულები ცხოვრობენ და ჰღვრიან ოფლს განუწყვეტელ ძიებაში. იკითხავთ: – როდის ხდება ეს?

გიჰასუხებთ: – როცა უნებურად თავს მოიკითხავთ, როცა უნებურად თავი გავიწყდებათ, როცა არ იცით, რას ფიქრობდით, როცა გგონიათ, რომ დაბნეული ხართ, როცა რაიმეს მოულოდნელად მიაჩერდებით და არ იცით, რატომ...“ (ხარანაული 2010: 426), – წერს ბესიკ ხარანაული ახალ რომანში „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, რომელშიც ეს თემა – ძიებისა – ცენტრალურია.

მწერლისთვის მთავარია, რომ არ შეწყდეს „რიტუალური დიალოგი ცისა და მიწისა“, რაც გულისხმობს ადამიანის (ერის) ჰარმონიულ არსებობას დროსა და სივრცეში. ამ დიალოგის შეწყვეტა ადამიანს (ერს) შუაზე გახლეჩს და დაღუპავს. ეს დიალოგი აუცილებელია, რათა დრო იყოს

ერთიანი, თორემ თუ “დროთა კავშირი დაირღვევა“, მაშინ ადამიანი (ერი) თავგზააბნეული ატომ-ივით დაიკარგება.

„აბა, გაიხედეთ, ყოველი არსი ქვეყანაზე განა თავისი ნამდვილი გვარ-სახელის საძებრად არ არის გარეთ გამოსული?! და მეც, ყველა სულელური მიზეზითაც კი ჩემს თავს არ ვეძებ?!“

– დედიტა ვარ?

– მამით?

– ქარით ვარ მოღებული?

– თუ ჰიპერბოლათი და მეტაფორით? (ხარანაული 2010: 51)

ამგვარი კითხვებით ავტორი გააღწევს მატერიალური ყოფის საზღვრებიდან და გადადის პოეზიაში, რომელშიც იგი, სწორედაც რომ, „ქარით არის მოღებული“ ან „ჰიპერბოლით და მეტაფორით“. პოეტური ნიჭია მისი მშობელი, ნიჭი, რომელმაც ის იმად შექმნა, რაც თუ ვინც არის – კონკრეტულ დრო-სივრცეს სხეულებრივად მიჯაჭვული, მაგრამ სულიერად მარადიულობასთან წილნაყარი. „ქარით მოღება“ ხალხური პოეზიის ხატია, იგი, უპირველესად, გამორჩეულს გულისხმობს, რომლის მამა „რეალურად“ არ არსებობს. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს სახარებაში დანერგულ: „არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჭორცთაათა, არცა ნებითა მამაკაცი-სათა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს“ (იოანე, 1, 13), (ახალი აღთქმა 1991: 177). ქარი შეიძლება სულწინდის სიმბოლოდაც გავიაზროთ, „რომელი ყოველგან არს და ყოველივეს ადავსებს მადლით“ („მრწამსი“). იოანეს სახარებაში ვკითხულობთ; „სულსა ვიდრეცა უნებნ...“ (იოანე 3, 8), (ახალი აღთქმა 1991: 180).

მწერალი ამის თაობაზე თავის დაკვირვებას ასე აზოგადებს: „ყველა გმირი ობლობითაა ამოზრდილი. ყველა ამბობს – არც ისე დაკარგული ვარო, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის თავის ვინაობა“ (ხარანაული 2010: 405).

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ქარია საქართველო“ (ლექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“), მაშინ ქარით „მოღება“, როგორც საქართველოს შვილობა, ისე უნდა გავიაზროთ.

ამ წიგნის მთავარი გმირი პოეტია, რომელიც საკუთარი სიცოცხლის საზრისს ძიებაში ხედავს. იგი ზღაპრის გმირივით გადის „შინიდან“ და დაეხეტება უსასრულო დრო-სივრცეში მამის, ბავშვობის, სიყვარულის, სინათლის, ადამიანობის... მოსაძებნად, ძველი ფასეულობების გასახსენებლად თუ ახლის აღმოსაჩენად. ეს ძიება დაუსრულებელია სიცოცხლესავით, რადგან

ამ ძიების პროცესში ის გადაიქცევა სიმბოლოდ. ასე რომ, თვითონ ძიება, როგორც რომანის ხერხემალი, განაპირობებს ტექსტის კომპოზიციურ ფრაგმენტულობას და აზრობრივ სიღრმეებს, მის ფილოსოფიურ-რელიგიურ შეფერილობას. თვითონ ძიება კი „ინერება“ ნიგნად, რომელიც იგივე პოეზიაა და მისი სტრიქონები არასოდეს შეწყდება, რადგან ის მთავარი ნიგნის „სამყაროს ნიგნის“ ნაწილია.

რომანში „შვილიც“ და „მამაც“ მრავალმნიშვნელოვანი ცნებებია. შვილი გულისხმობს კონკრეტულ დრო-სივრცეში მცხოვრებ ადამიანსაც, ვთქვათ, თვითონ მთხრობელს, ზოგადად, ქართველს და, იმავე დროს, ნებისმიერ ადამიანსაც. მამაც – ხორციელი მშობელიც არის, ეთნოსიც, უფალიც, ზოგადად, კაცობრიობაც, პოეზიაც. ასე რომ, ეს მრავალმნიშვნელობა რომანში ქმნის ერთმანეთზე ნაფენილ შრეებს, რომელთა კონტექსტში ეს თემა სხვადასხვანაირად გაიაზრება. შეიძლება ითქვას, ეს რომანი პალიმფსესტურია. მწერალი თხრობისას გადაინაცვლებს სიღრმისკენ და „კითხულობს“ თითქმის „გადაშლილ“, ე.ი. დავიწყებულ ტექსტებს.

რომანი ჯვარსახოვანიცაა, როგორც **რეზო სირაძემ** არაჩვეულებრივად შენიშნა: **„ჯვარსახოვნება მეტ-ნაკლებად ყოველ ტექსტშია, სულიერების იერარქიულობისდა შესაბამისად“**. **„ტექსტის ჰორიზონტალური მდინარეა დროში ხდება, სულიერი ვერტიკალის შეგრძნება კი მყისიერი შეიძლება იყოს. გასტონ ბაშლიარი წერდა: „პოეზია ნამიერი მეტაფიზიკააო. იგი ნამიერებას ეძებს, ის ქმნის ნამიერებას.. და მხოლოდ ვერტიკალურ დროში შეყოვნებული ნამით იძენს პოეზია განსაკუთრებულ ენერგიას. არსებობს წმინდა პოეზიის წმინდა ენერგია და იგი განიფინება ვერტიკალურად ფორმისა და პიროვნების დროში“** (სირაძე 2008: 8). ამგვარი „ენერგია“ დამუხტული ეს რომანი. ჰორიზონტალურ ჭრილში ავტორის „ხორციელი“ თავგადასავალი წარმოჩნდება, ვერტიკალურში კი სულიერი – ამ ორივეს გადაკვეთის წერტილი კი მწერლის გულია, მწერლისა, რომელიც როგორც პოლ ვალერი წერს **„თავისივე ფიქრების ჯვარზეა გაკრული“**.

ბესიკ ხარანაულის ახალ რომანში, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ „რიტუალური დიალოგია ცისა და მიწისა“, რათა უძებნი შვილი მოძებნოს მამამ. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ „ნიგნში“, რომელსაც ამჯერად ბესიკ ხარანაული თხზავს, რათა საკუთარი თავი ჯერ თვითონ იპოვოს, ამგვარად, გახდეს „ხილული“ უფლისთვის.

მწერალმა ერთ ინტერვიუში აღნიშნა: **„მე სანამ ცოცხალი ვარ, არ შევწყვეტ ბრძოლას იმისათვის, რომ გავიგო, ვინა ვარ, საიდან მოვდივარ... ადამიანს აქვს უფლება ეცადოს, მეტი არაფერი შეუძლია“** (ხარანაული 2010გ: 1).

თავის პოვნა კი, უპირველესად, გულისხმობს საკუთარი თავის, როგორც ერის „სახის“ გაცნობიერებას.

„ჩემი ნიგნი რეალობის ასახვა არაა“, – აფრთხილებს მწერალი მკითხველს და გულწრფელად გაუმხელს, – **იმდენი ვიკითხე ჰიპერბოლებისა და მეტაფორების პოეზია, ანდრეზები და თხელ-თხელი ბროშურები და ნარკვევები მათ ცხოვრებაზე, რომ ავად გავხდი. ასაკმაც ხელი შემინყო: სინამდვილე ვეღარ მაკვირვებდა. ამ ნიგნებმა კი სარკით მომიტანეს წარსული...“** (ხარანაული 2010: 427). ამ სარკეში დაინახა მან საკუთარი თავი, როგორც უძებნი შვილი. და რადგან **„დრო ისე კარგად არაფერში არ ინახება, როგორც ნიგნში“**, (ხარანაული 2010: 427) თვითონაც ნიგნი დაწერა. **„თუ სამყარო ნიგნია, ადამიანიც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია“** (ხარანაული 2010: 429). საკუთარ თავს, როგორც ნიგნს, ისე კითხულობს, რათა შემდგომ ეს გახდეს საფუძველი „სამყაროს ნიგნის“ შემეცნებისა. იგი ამ რომანს „ცხოვრებაში შესატყუებელ ნიგნს“ უწოდებს, ხოლო ცხოვრება გაიაზრება, როგორც რეალობაზე აღმატებული, წარმოსახვაში გამრავალფეროვნებული და გამდიდრებული.

დიდი გზა გაიარა მწერალმა, რომ საკუთარი თავი აღექვა, როგორც „უძებნი“. ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „ამ ბოლო ნიგნის გამო გავმეცნიერდი კიდევ, იმდენი რამ წავიკითხე“ (ხარანაული 2010). აქ „გამეცნიერება“ ირონიას გულისხმობს საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ თანვე მინიშნებასაც რაღაც მნიშვნელოვანზე. ასე „გამეცნიერდა“ ერთ მშვენიერ დღეს ვაჟა-ფშაველას გველისმჭამელი მინდია და შეიცნო სიცოცხლის არსი.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალ მნიშვნელოვან სახეთაგან რომანში გამორჩეულია „უძებნი შვილის“ პოეტური პარადიგმა. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ყოველი სიტყვა „პოეტური ნაწარმოებია“ (ბორხესი 2010: 23), ეს სინტაგმა „უძებნი შვილი“ უმაღლესი რანგის პოეზიად წარმოჩნდება – გამოთქმის ორიგინალურობით, ხატოვანებით, სიმბოლურობით, ფილოსოფიური სიღრმით. პოეტის მიერ დაწერილ ამ „ენციკლოპედიურ რომანში“, რომელიც „პოეზიისა და პროზის პირშესაყარზეა“, მწერალი ქართველთა ეთნოსის ძირებს ჩრეკს და აანალიზებს.

რამ აქცია ბიბლიური „უძღვები შვილი“ „უძღვებნად“?

უძღვები შვილის პარადიგმა ხელოვნებაში და, კონკრეტულად ლიტერატურაში, ძალიან მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, ქართულ ლიტერატურაში ამის საუკეთესო მაგალითი გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველია“. მისი მთავარი გმირი, დომენიკო, ბოლოს და ბოლოს, ბრუნდება მამის სახლში, რადგან ასეთია „ღვთაებრივი კანონზომიერება“.

ბესიკ ხარანაულის უძღვნი შვილი ეხმიანება ბიბლიურ პარადიგმას და, რა თქმა უნდა, იმეორებს ნაცნობ გზას, მაგრამ აქ სიახლეა, უძღვები (ძე შეცდომილი) უძღვებნად იქცევა.

ეს უძღვნი შვილი მწერლის ალტერ ეგოა, მწერლისა, რომელიც ქართველთა ეთნოსის კონკრეტულ სახედ წარმოჩნდება რომანში. ის ჯერ უძღვებია, რადგან „დავინწყებელი“ აქვს „ფესვები“, მაგრამ იწყებს გახსენებას, გააზრებას, შემეცნებას და, ამგვარად, დაადგება გზას შინისაკენ, მაგრამ აქ ახლი დაბრკოლება ჩნდება, მას აღარ ელის „მამა“. ის დაკარგულია, თანაც, ნაგავსაყრელზე.

„ღმერთს უყვარს განწირული, მაგრამ არ უყვარს, ვინც განწირულებას ეგუება. ღმერთმა საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ: როცა შვილი მამას ედავება, მამა ჭაბუკდება, აგრეთვე იცის, ცუდი შვილი – საყვარელია“ (ხარანაული 2010: 135).

უხსოვარი დროიდან თვალმიუწვდომელ მერმისამდე გაშლილ დრო-სივრცეში მოგზაურობს ბესიკ ხარანაული და ნანახ-განცდილს-წაკითხულ-წარმოდგენილ შთაბეჭდილებებს საოცარი გზებითა და ვნებით გადმოგვცემს.

იგი უამრავ „მედ“ დაშლილი წარმოგვიდგება და მოხეტიალე ზეისტორიულსა თუ დროულ სანახებში – ქართველი კაცის კულტურაში; ზეპირსა თუ დაწერილში, ზღაპარ-მითებში, ლეგენდებში, ანდრეზებში, ნეს-ჩვეულებებში, ტრადიციებსა და წარმოდგენებში. მწერალი ცდილობს ყოველივეს, რეალურსა და წარმოსახულს, მისწვდეს და მოიხილოს. ამის საშუალებას მას სიტყვა აძლევს – მეტაფორებსა და ჰიპერბოლებში გაცოცხლებული. ამიტომ მისი სტილი ამ რომანში ხატოვანია, სიმბოლური. ეს არის პოეტის დაწერილი პოეტური რომანი „პოეზიისა და პროზის პირშესაყარზე“.

მთელი წიგნი მკითხველთან დიალოგია, ოღონდ არა შეფარული, არამედ ჯიქური და პირდაპირი. და ვის იგულებს წერით დამაშვრალი ავტორი მკითხველად? ყველას – პოეტსაც და „მხვინელ-მთესველსაც“, ვისაც სიმამაცე შესწევს სიტყვასთან პირისპირ დგომისა, მისთვის თვალებში

ჩახედვისა, „აზრის ალებ-მიცემობისა“ (ილია).

წიგნის სახელწოდება ერთგვარი საიდუმლოა, რომელიც მკითხველს ამოცნობისკენ უბიძგებს: „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“. ეს „ანუ“ ერთგვარ საზღვარს ავლებს ამ ორ ნაწილიან სათაურში. იგი თავიდანვე მიანიშნებს, რომ სათაურის პირველი ნაწილი პაროდიაულია, რაინდი და ჯორი ცასა და დედამინასავით შეუფერებელია, რიცხვი სამოცი კი წიგნის კითხვისას „ამოიხსნება“. სათაურის მეორე ნაწილი კი მკითხველის გზამკვლევა – აქ ყველაფერი ჰიპერბოლებისა და მეტაფორების საშუალებით იქნება წარმოდგენილი, უფრო ზუსტად, თვითონ ჰიპერბოლები და მეტაფორები იქნებიან მთავრი „გმირები“, ხან მთხრობელნი, ხან მონაწილენი. რა თქმა უნდა, ბესიკ ხარანაულისთვისაც ყველაზე მთავარი ჰიპერბოლა, ან მეტაფორა თვითონ სამყაროა, ცხოვრება და ადამიანია. თითოეული კი უამრავი ჰიპერბოლისა თუ მეტაფორის მრავალფეროვანი „ნაზავია“.

იოანეს სახარების დასაწყისი: **„პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“** ადამიანის მიერ აღქმული ჰიპერბოლა(ცაა და მეტაფორაა, რადგან ბოლომდე ვერ სწვდება და ვერ შეიმეცნებს ღვთის არსს.

ძიების სულითაა წიგნი თავიდან ბოლომდე გამსჭვალული. წიგნის გადაშლისას მკითხველი ჯერ სარჩევს ხვდება, რომელიც ულამაზესი, საიდუმლოებით მოცული ჭიშკარივითაა, ზედ ამოტვიფრული ორნამენტებითა და ნიშნებით. „სიმღერა სათაურებისა“ – ამგვარადაა შემოთავაზებული სათაურთა ჩამონათვალი, რომელიც პოეზიაა და მკითხველს წინასწარ განწყობს წასაკითხად, ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და მოლოდინს უმძაფრებს. „ცისფერყანწელი“ სანდრო ცირეკიძე წერდა: **„ქმედითი სათაური თანაბარია თვითონ წიგნის და თავისთავად წარმოადგენს ესთეტიკურ ფასეულობას“** (ცირეკიძე 2010: 158). ამ წიგნში სწორედ ამგვარი სათაურებია, თანაც ორიგინალურად შემოთავაზებული. აქ არის მეტაფორული, სიმბოლური სათაურები, აგრეთვე, სათაურები – სენტენციები: მაგალითად: **„ჰიპერბოლების წინაშე ცივილიზაცია პაროდირდება“, „რაც კი არსებობს, ანალოგის ძალით არსებობს“, „საზღვარი ნამცეცებისთვისაც საზღვარია“, „ყველა დრო სისხლიანი იყო“, „ზნეობა ქარიშხალივით მრისხანეა“, „წინ წარსულია“, „ადამიანებმა სიტყვა დაამძიმეს“, „გენიას უკვირს, რომ ცხოვრება სხვებს ეკუთვნის“, „ყოველი სიტყვა – ნათქვამი – არის მოკლება**

წყვდიადისა“, „პოეტი მოხუცია“ და სხვა.

წიგნი ექვსი სიმღერისგან შედგება და თითოეულში ბევრი პატარა ამბავია. ყოველ სიმღერას თავისი სახელწოდება აქვს, ლამაზი და ორიგინალური. ესენია: 1. „სიმღერა პირველი – დანერილი უწყურის მელნით და ხანაც მუშკ-ამბრ-სურნელოვანითა“, 2. „სიმღერა მეორე – ლექსიკონისა“, 3. „სიმღერა მესამე – ალმასის მთებისა, ანუ კავკასიური საგა ბესარიონ გაბუურისა“, 4. „სიმღერა მეოთხე – ორი ხანდაჯმულისა“, 5. „სიმღერა მეხუთე – უძებნი შვილისა“, 6. „სიმღერა მეექვსე – ავტორისა, ანუ ცხოვრებაში შესატყუებელი წიგნი“.

ამგვარი კომპოზიცია ნოსტალგიაა უძველესი წიგნებისა – „გილგამეშიანი“, „ილიადა“ და „ოდისეა“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“. შეიძლება ამ „სიმღერებით“ მწერალი მიანიშნებს იმ დროზეც, როდესაც სიტყვა არ იწერებოდა და მხოლოდ წარმოითქმოდა, ან იმღერებოდა და ასე გადაეცემოდა თაობებს.

სარჩევის გაცნობა საკმარისია იმისთვის, რომ თვალწინ წარმოგიდგეს ჟანრულად ეკლექტური ნაწარმოები, რომელშიც ძიება მრავალმხრივ არის განტოტვილი. ავტორი ერთგვარად აზუსტებს, როდესაც, სატიტულო ფურცლის შიდა მხარეს მოკრძალებულად მიანერს – ეთნოფილიური რომანიო. თუმცა ეს მინაწერი მკითხველს წიგნის გასაღებადაც შეიძლება გამოადგეს. მთავარი ძარღვი, მართლაც ესაა, ძიება და მოხილვა საკუთარი ერის, ეთნოსის ფესვებისა. ამ წიგნში თითქოს თვითონ ქართული ეთნოსი გვიამბობს საკუთარ თავგადასავალს. აქ არის გადაძახილი ილიას „უკვდავ სულთან“, პოემა „აჩრდილში“ რომ ესაუბრება ავტორს ერის ანმყოზე, წარსულსა და მომავალზე. ამ თვალსაზრისით, გრიგოლ რობაქიძესაც ეხმიანება: „წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა: მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებად აგესხმით, და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას“ (რობაქიძე 2009: 319). ეს ფესვები ბესიკ ხარანაულს, უპირველესად, ფშავ-ხევსურთა ფოლკლორში ეგულება, რომელსაც „ღმერთთან ნაწილიანი“ ხალხი ქმნიდა (ხარანაული 2010: 37).

ყურადღებას იქცევს წიგნის ეპიგრაფი:

„ყმათად ნაბრძანები აქვს:

– მომიხვიდოდეთო!

– რატომ არ მოუხვალთ?!“

პირველი, რასაც გაიფიქრებს მკითხველი, ეს არის ის, რომ ამ სიტყვებში სიმბოლურად ღვთი-

სა და კაცობრიობის ურთიერთობა ირეკლება. ღმერთდაკარგულ ადამიანებს აღარ ესმით მშობლის ძახილი, მწერალი კი, როგორც „ღმერთთან მოლაპარაკე“, მასთან ახლოს მყოფი, „შუაკაცი“ – ფხიზლად თვალს ადევნებს და მარად შეახსენებს, რომ უნდა „მოუვიდნენ“. მაგრამ ეს არა მარტო მამა-ღმერთის, არამედ საკუთარი „ეთნოსის ძახილიცაა“ (ხარანაული 2010: 430). ძველად კი, სანამ წგნების დაწერას დაიწყებდნენ, ადამიანები „საკუთარი ეთნოსის ამბავს წიგნებში კი არ ეძებდნენ, თავში ეფურცლებოდათ“ (ხარანაული 2010: 431)

„უძებნი“ – არაჩვეულებრივი სისავსით გამოხატავს ტრაგედიას ცხოვრებაში დაკარგული ადამიანისას, რომელიც ღმერთმაც მიატოვა და უპატრონოდ დარჩენილი დასალუპავადაა განწირული, მას არავინ, თვით ღმერთიც აღარ ეძებს, როგორც დაკარგულ ცხვარს. ის არაარაობაა, უსახელო და უარსებო. ეს სინტაგმა „უძებნი შვილი“ თანამედროვე კაცობრიობის სულიერი ავადობის ზუსტ დიაგნოზად წარმოგვიდგება.

იგი არის „ცივილიზაციისაგან განდევნილი კულტურის შვილი“ (ხარანაული 2010: 433). როგორც მისივე პერსონაჟი შიო, რომელიც ფიქრობდა, რომ „წიგნები უნდა დაფრინავდნენ“ და იხატება ფანტასმაგორიული სურათი: ფანჯრიდან წიგნები თავდახსნილი ფრინველებივით მიფრინავენ, მაგრამ „ნაგავსაყარზე იყო ფინიში“ (ხარანაული 2010: 434)

მამის ძიების გზაზე პოეტი უპირველესად მიემგზავრება „ბავშვობაში“, „ოქროს ხანაში“ (ნოვალისი), რათა ახსნას „დაკარგვის“ მიზეზები და გარემოებანი.

მთავარი ბავშვობის ერთი ძვირფასი მოგონებაა: როგორ შეაშინა მთხრობელი სამოცმა, ჯორზე ამხედრებულმა, გასაყიდი ცოცხებით დატვირთულმა, რაინდმა. რა იყო მწერლისთვის ბავშვობა: „ო, რა ლალი და თამამი ვიყავი. ვგრძნობდი სივრცეს, რომელშიც უნდა გავზრდილიყავი. ყოველი ბავშვი ხომ მრავალია, ერთი არ არის, მერე შედენის ხოლმე ცხოვრება, ერთს მიაკუთვნებს და ერთი ხდება“ (ხარანაული 2010: 429). სწორედ მაშინ დაიკარგა, „ბავშვობაში“ და „ნაგავსაყარის ქვეყანაში“ აღმოჩნდა ტყვედ. ბავშვობა მთხრობელისთვის სამოთხეა, ხოლო დიდობა – ტყვეობა, თანაც ნაგავსაყარელზე, რომელიც ცხოვრების სიმბოლოა. მისი აზრით, ცივილიზაციამ ქვეყნიერება ნაგავსაყარელად აქცია. ეს ეხმიანება ჟან ბოდრიარის თვალსაზრისს: „ყველაზე უარესი ის კი არ არის, რომ ჩვენს ირგვლივ სულ ნაგავია, არამედ ის, რომ თავად ჩვენც

ამ ნაგვად ვიქეციოთ. მთელი ბუნებრივი გარემო ნარჩენებად იქცა, ანუ გამოუსადეგარ, უსარგებლო სუბსტანციად, რომელსაც, როგორც გვამს, ვერ ვიშორებთ... „თავად ისტორია აღმოჩნდა საკუთარ სანაგვეზე გადაგდებული, სადაც თავს იყრიან არა მხოლოდ ჩვენს მიერ განვლილი, არამედ მიმდინარე მოვლენებიც“ (ბოდრიარი 2010: 1).

უნდა გავისხენოთ, რომ ცხოვრება როგორც ნაგავსაყრელი, წარმოჩენილია ზურა მესხის რომანში „სპაზმები“, რომელშიც მთავარი გმირის ცხოვრების „დამახინჯება“ გამოიწვია თავში მოხვედრილმა ნაგვის პარკმა: „მე მაქვს სპაზმები. ხუთი წლის რომ ვიყავი, მაშინ დამეწყო. მაშინ დავიწყე ნაგვის დანახვა და მთელი სიღამპლეების“ (მესხი 2009: 1).

ნიგნში ძიების გზაზე ჩნდება სკეფსისიცი: „თავის ეთნოსს დაუნყებს ძებნას... და სადღა არის!“ (ხარანაული 2010: 409). ეს ეხმიანება ოთარ ჭილაძის რომან „გოდორს“, რომელშიც იტალიიდან ჩამოსულ ელჩს საქართველო თავის ადგილას აღარ ხვდება.

„ნაგავსაყრელზე“ პოეტს „ჰიპერბოლა და მეტაფორა“ გამოუჩნდებიან მხსნელებად და წაიყვანენ სიცოცხლის სხვადასხვა შრის მოსახილველედ, როგორც დანტეს მიუძღოდა ვერგილიუსი. სწორედ „ჰიპერბოლა და მეტაფორა“ წარმოჩნდებიან ავტორის ნამდვილ „მშობლებად“ ახალ რომანში. ასე პოეტურად იხატება ქართველთა ეთნოსი. სწორედ ამ ეთნოსის შვილია იგი, მაგრამ ფესვებს მონყვეტილი, დაკარგული და მშობელთა მონატრული, მათ მაძიებლად ქცეული.

მკითხველიც ავტორთან ერთად იმოგზაურებს „შემეცნების“ გზებზე და „აღმოაჩენს“: „სულ ნაქსოვია სამყარო. დედამინა აბრეშუმია“ (ხარანაული 2010: 46).

ნაგავსაყრელი არა მხოლოდ თანამედროვეობის, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, „დიდობის“ სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ, ბავშვობის სამოთხეს უპირისპირდება დიდობა, როგორც ნაგავსაყრელი, ამიტომაც ოცნებობს მწერალი საკუთარ თავთან, როგორც ბავშვთან, შეხვედრაზე. სხვათა შორის, ამის შესახებ საუბრობს ერთ ინტერვიუში: „ერთი სურათი გადამიღო დედაჩემმა, ყელზე აბრეშუმის ბანტით, მის მერე ვეხვენები ყველას ეს ბანტი მომიტანონ, ტრაქტორს მოგიტანენ, მაგრამ იმ ბანტს ვერავინ მოგიტანს. მინდა რომ ის ვიყო, იმას ვერ დავშორდები, დედაჩემს, ჩემს ბავშვობას, იმის იქით ნაბიჯი არ მინდა“ (ხარანაული 2010: 1).

რადგან „ძიება“, უამრავი კითხვაა, მაგალითად, ამგვარი:

„რატომაა სამყარო უთვალავჯერ უფრო მხატვრული,

ვიდრე პოეტის მიერ დაწერილი რაცინდა ნიგნი?“ (ხარანაული 2010: 43)

და პასუხიც ამავე ნიგნშია:

„ღმერთმა მხატვრულობა მიუსაჯა სამყაროს, – რომ არ დაშლილიყო,

რომ ღმერთმა იხმარა პოეტური სიზუსტე,

რომ ღმერთმა პოეზიით გაზომა და აწონა

ყველაფერი“ (ხარანაული 2010: 43).

ამიტომაც მისი შემეცნება მხოლოდ პოეზიით შეიძლება:

„დასაბამიდან, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო ადამიანი – ზესკნელში თუ ქვესკნელში,

ზღაპარში თუ ანდრეში

ან, თუნდ მთვარეზე დაედგა ფეხი,

ყველაფერი, ნანახიცა და განცდილიც,

პოეზიის ენით გამოჰქონდა“ (ხარანაული

2010: 42).

თვითონაც ასე იქცევა და სამყაროს შექმნის ამბავს ასე იწყებს:

„დასაბამიდან იყო ჰიპერბოლა და მეტაფორა. ისინი იყვნენ ღმერთის სიტყვაში, როგორც საისრეში.

რადგან ღმერთი სახე კი არ იყო, არამედ – სიტყვა.

და ჰიპერბოლა და მეტაფორა – ღმერთის სიტყვაში, როგორც საისრეში.

და სტყორცნა ღმერთმა ერთი ისარი და აღნიშნა შეუძლებელი

და უნოდა მას ჰიპერბოლა.

მეორე ისრით მან აღნიშნა შესაძლებელი,

და უნოდა მას მეტაფორა

და უნოდა მათ ცა და მიწა.

დაასახლა ისინი ერთად,

დაუნესა ურთიერთსწრაფვა

და დაუთქვა ერთმანეთის შეუსაბამობა...“

(ხარანაული 2010: 41)

ეს არის ბესიკ ხარანაულის „პატარა აღმოჩენა ჰაერივით აუცილებელი“ მისი ახლი ნიგნისთვის. ეს არის მისეული ინტერპრეტაცია

„შესაქმისა“, რადგან მისთვის „სამყაროც სიტყვაკაზმული უსასრულობაა“, რომლის გამოთარგმანება ყველაზე უკეთესად პოეზიას შეუძლია. მას სჯერა, „სამყაროს დანგრევა ისევე შეუძლებელია, როგორც გილგამეშის, ჰომეროსის, რუსთაველის, დანტესა და შექსპირის სტრიქონებისა“ (ხარანაული 2010: 42).

კიდევ რა აერთიანებს სამყაროსა და პოეზიას? „ორივე მიუღწეველია“. „სამყარო, ბროწეულის ნაყ-

ოფიციით რომ დაძინებდა, მერე განიძარცვლა“ (ხარანაული 2010: 43).

ეს „განძარცვლა“ აღწერილია ბიბლიაში, რომელიც იმდენია, რამდენიც მკითხველი (ბორხესი 2010: 22).

ლეგენდების, ანდრეზების („**ანდრეზი ნამდვილ ახ, ამბავი – მაგონილ! – არაა საკვირველ“** (ხარანაული 2010: 169) კითხვამ, და საერთოდ, ეთნოსის წარსულში მოგზაურობამ მწერალს შეაცნობინა საკუთარი ერის „არსი“, მას, რასაც აქამდე პოეზიაში იღუმლად, შეუცნობლად განიცდიდა და გადმოსცემდა, ახლა სახელი დაარქვა, თუმცა ჩვეულებრივად მაინც ვერ შეძლო „მოგზაურობისას“ ნანახი შთაბეჭდილების გადმოცემა და მეტაფორებად და ჰიპერბოლებად აღიქვა ყოველივე: სულიერნიცა და უსულიერიც, ადამიანებიცა და მათ მიერ შექმნილი ამბებიც. **„ჩვენ ადამიანები აღარ ვართ, ჩვენ ვართ პერსონაჟები“** (ხარანაული 2010: 409).

ისტორიის გარიჟრაჟზე, როცა ქვეყნიერება იყო ბავშვი, ყველაფერს სინმინდის შარავანდედი ეხვია, მაშინ ანგელოზები ადამიანებს ელაპარაკებოდნენ.

სწორედ საქართველოს „ბავშვობას“ ხატავს მწერალი, როცა იქმნებოდა მითები და ლეგენდები, ანდრეზები, ფოლკლორი. წიგნში ამიტომაც დიდი ადგილი ეთმობა ხალხურ გადმოცემებს, მწერალი ხან დიალექტითაც ჰყვება ამა თუ იმ ისტორიას, რათა მუსიკა და სურნელი შეუნარჩუნოს მონათხრობს. აქ ჩანს აღტაცება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული ჩანაწერებით, მწერალი აკაკი შანიძესაც ხშირად მოიხმობს, რადგან მისთვის მათ მიერ დაწერილ ეთნოგრაფიულ მასალაშია ქართველის „ბავშვობა“, ყველაზე მნიშვნელოვანი და გრძელი ხანა სიცოცხლისა. აქ პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ხერხს იყენებს მწერალი და ამ ანდრეზებს ვრცელ ციტატებად ჩართავს. ეს ისეთი შთამბეჭდავი ამბებია, მრავალ მკითხველს, თუ თხზვის ნიჭი მიუმაღლებია უფალს, შეიძლება შთაგონების წყაროდაც ექცეს.

მთხრობელი რადგან თავს მიიჩნევს „უძებნ შვილად“, ნაგავსაყრელზე გარიყულად, ამიტომ თავდასაღწევად, ღვთის დასანახავად წერს იმ ფესვებზე, რომლებიც ასაზრდოებენ კონკრეტულად, ქართველობას და ზოგადად, ადამიანურობას. თომას მანი ადამიანურობას წმინდა გრაალს უწოდებდა და თავისი რომანის, „ჯადოსნური მთის“, პერსონაჟი ჰანს კასტორპი მიაჩნდა ერთ-ერთ მის მაძიებელ რაინდად (მანი 2008: 95). ამგვარ რაინდად შეიძლება მივიჩნიოთ ამ წიგნის მთხრობელიც.

უძებნ შვილად თვითონ საქართველოც შეი-

ძლება გავიაზროთ. რატომ უნდა მოძებნოს მამამ „უძებნი“ შვილი – საქართველო? რა ღირსია „მამის უარყოფელი“ და „ნაგავსაყრელს“ შეგუებული?

თუ რატომ არის ღირსი, რომ მოიძებნოს, ამის შესახებაა რომანი. ქართული ეთნოსი ღირსია გადარჩენისა, იმიტომ, რომ მისი ნამდვილი სახეა ფოლკლორი: რომელშიც მათი სული ირეკლება. თვითონაც ამ ეთნოსის ნაწილია და ამიტომაც იმის დასტურად, რა „შეუძლია“ ქართველს, თხზავს ამ რომანს:

„დიდი ხანია მინდა შევერწყა ჩემს ეთნოსს, ჩემს ხალხს, რადგან ადამიანი ვერც მათ გარეშე გადადგამ ნაბიჯს საკუთარი თავისკენ.“

„სხვა გმირობა“ გინდა!

ერთი შეხედვით, რა ცოტაა ეს „სხვა გმირობა“:

– ერთი წიგნი და ერთი საქციელი“ (ხარანაული 2010: 100).

ავტორი შთამომავალია კავკასიონის მთებში მოსახლე ტომებისა, **„რომელთა ციხე-სახლები თუ ციხე-სოფლები შორიდან ციდან ჩამოცოცებულებსა ჰგავდა“** (ხარანაული 2010: 55.) და ვინ იყვნენ ეს ტომები? **„ერთხელაც რომ ვახსენო, მაშინვე გაიღვიძებს საშინელი ურჩხული — ისტორია და მეც შემეჭამს და იმათაც-ჩემში“** (ხარანაული 2010: 55). ამიტომაც არქმევს მათ მეტაფორებსა და ჰიპერბოლებს: **„მთებზე და კლდეებზე გაძვალდა ამათ სახეები“** (ხარანაული 2010: 56). ეს ხალხი სიპრიპილებზე („მწვერვლებიდან აფცქვნილი კლდის სიპები“) წერდა თურმე თავის თავგადასავალს. სულ 60 ფირფიტაა უნახავთ. ერთზე – მორიგე ღმერთის დახაზული სოფელ-ლაბირინთის გეგმაა, **„აქ შემოთავაზებულია იდეა ისეთი მეგა-სოფლისა, რომელიც ერთდროულად ქვეყანაც იქნებოდა, სოფელიც და ქალაქიც, წარსულიც, აწმყოც, მომავალიც“** (ხარანაული 2010: 59). დანარჩენ ორმოცდაცხრამეტზე –საგმირო, სამონადირეო, სასტუმარმასპინძლო და სვა წეს-ადათები ეწერა. **„ჰიპერბოლებისა და მეტაფორების ქვეყანა ბუერას ფოთოლივითაა ჩამოფარებული საქართველოზე: იქიდან უგრილებს და იფარავს ბარს სამივ მხრივ“** (389). **„აქედან იყო მეტაფორული პოეტი ფოთოლანთ მერცხალა“** (ხარანაული 2010: 391).

ავტორი წარმოსახვით ჩაჰყვება უშორესი დროის ბილიკებს, რათა ხელახლა შეიგრძნოს კავკასიის, „ენების მთის“, ხმები და სურნელი. აქ ყველაზე უკეთ ჩანს: **„მთვარე წინილებივით გამოუძღვება ვარსკვლავებს, რომლებიც სულ რაღაცას იკენკებიან მიწაზე მოსახლე კაცის თვლებში“** (ხარანაული 2010: 49). აქაც იყო „კაცობრიობის დასაწყისი“.

კავკასიის მთებში შეიქმნა ზეპირი გადმოცემა, „ანდრეზი“, რომელიც „უკვდავი წყალივით უწყვეტლად მოედინება სამყაროს შექმნის-დროინდელი მყინვარებიდან და არავითარ ცვლილებებს არ ექვემდებარება“ (ხარანაული 2010: 53).

მწერალი საოცარი ვნებით და გატაცებით აღწერს, როგორ იყო უძველესი სახლი, ჩაუმქრალი კერიით, როგორ იზრდებდნენ „კაი ყმები“, ფშავ-ხევსურები და ძმანი მათნი, იგივე ჰიპერბოლები და მეტაფორები, როგორი ღირსეულები იყვნენ, როგორ უყვარდათ, როგორ იბრძოდნენ. მწერალი, როგორც აღვნიშნეთ, უხვად იყენებს ეთნოგრაფიულ მასალას.

ეთნოსის მოტრფიალეთაგან ავტორი გამოარჩევს ყმანვილ-მეტაფორა ვაჟა-ფშაველას, რომელიც გაზეთ „მომბემი“ აქვეყნებდა ჰიპერბოლებისადმი მიძღვნილ კორესპონდენციებს. მერე დაწერა „სამი გენიალური პოემა, რომლებშიც აღწერილია ტანჯული იდეალიზმი ჰიპერბოლისა და მისი შეუსაბამობა მეტაფორულ სინამდვილესთან“. ავტორი ვაჟას მიიჩნევს ორსახოვან მთის შვილად; უკიდურეს რეალისტად და უკიდურეს იდეალისტად (ხარანაული 2010: 164). რომანში ჩართულია სხვადასხვა „ტექსტი“, რომლებშიც ჩანს ძველთა სიხარული და გასაჭირი. მაგალითად, „ჭირის წყენა“ – მიცვალებულის დატირება, საოცარი ფერადოვნებითა და ემოციურობით გადმოცემული: „შენ ოღონდ ცოდვას ნუ ჩაიდენ და სიკვდილი – ედემია“. (ხარანაული 2010: 67).

„ვინ იყვნენ ისინი, ვიდრე ჩემის წყალობით ჰიპერბოლად და მეტაფორად შეირაცხებოდნენ?“ – კითხულობს მწერალი და მკითხველს არაჩვეულებრივი ხატოვანებით უყვება საქართველოს მთებში მცხოვრებ ტომთა ამბებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, როგორ შეერწყა აქ ერთმანეთს წარმართული წარმოდგენები და ქრისტიანობა. მწერალი დეტალურად აღწერს, როგორი იყო ხატის ნაგებობა, როგორ ტარდებოდა სხვადასხვა რიტუალი. საინტერესოა მისი დაკვირვება ხუცესის დამწყალობების ტექსტზე, რომელშიც „მამა ჩვენოს“ კვალს ამოიცნობს (ხარანაული 2010: 75).

რომანში რამდენჯერმე ჩართულია „საეპოსო მასალა“ – „ჯვარ-ხატის გამძღობებზე და ხევსებერებზე“ „ტყვეებით ვაჭრობაზე“, „გმირზე და მის აჩრდილზე“, „ხატის მამურებზე“ რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა ამბავი: „აი, ასეთები იყვნენ: ერთმანეთს სახელს ეცილებოდნენ“ (ხარანაული 2010: 88).

მწერლისთვის მთავარი სინამდვილე კი არა,

„ჯვარცმული ოცნება და ადამიანის მეტაფიზიკური ამბოხია“ (ხარანაული 2010: 93). თავში, რომელსაც „სინამდვილის წინააღმდეგ“ ჰქვია, პოეტურად გამოკვეთილია, რა არჩევანის წინაშე დააყენა ქართველი მწერალი კულტურათა გზაჯვარედინზე ცხოვრებამ: „ვიდრე კალამს ხელში დაიჭერდი, ამ სივრცეებში უკვე არსებობდა პოეზია და პროზა, რომლებსაც თავიანთი კულტურების სახელები ერქვათ – აღმოსავლური და დასავლური.

შენ არც ერთ ამ სივრცეში არ დაბადებულხარ, შენი ადგილი იქ არის, შენი ადგილი არმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების პირშესაყარზეა – აღმოსავლურ-დასავლური ლექსისა და რომანის პირშესაყარზე.

ამიტომაც გაუძეულ ორთავ სივრციდან მომდინარე ტკბილ ხმათა ცდუნებას, გახსოვდეს უპირველესი მესიტიყვის ანდერძი, რომელმაც კარგად იცოდა ამ ორივე ჟანრს შორის თავისი ადგილი:

– ნუ მიაცივდები ერთ რომელიმე ჟანრს, შენი ადგილი ამ ჟანრების პირშესაყარზეა“

(ხარანაული 2010: 93).

აქ არის გამოძახილი XX საუკუნის 20-იან წლებში გამოკვეთილი დისპუტისა, საითკენ უნდა აეღო გეზი ახალ ქართულ კულტურას: აზიისკენ თუ ევროპისკენ. ორივე თვალსაზრისს ჰყავდა მომხრენი, აზიისკენ „დაბრუნებას“ არჩევდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი, ვალერიან გუნია და სხვ., ხოლო ევროპისკენ – ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიცვიან ტაბიძე და სხვ., თუმცა ამ დისკუსიაში გამოიკვეთა მთავარი – ევროპული და დასავლური კულტურის სინთეზი. ჯერ კიდევ 1917 წელს წერდა გრიგოლ რობაქიძე: „ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს, – და ნადიმი იგი მთავარი ჰანგია ჩვენი ნაბეჭდი სიტყვისა“ („ქართველ მწერლებს“) „საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის: ჩვენ ვინვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადლით, როცა მზის ღელეთა მარმაშში პანი იზადება მძიმედ მოვლემარე; ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს, საცა თვალთა ფანტასმაგორიებში „ძეობა“ იკვეთება ძლევამოსილი. ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვანცვიფრებს პარიზის ქიმერა“ („ქართველ მწერლებს“) „ჩვენ გვწამს... შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურისა“ (შალვა აფხაიძე „ქართული პოეზიის პერსპექტივები“, 1919).

რომანში გამოკვეთილია კავკასიონის ყინუ-

ლოვან მთებს მიკრული კუთხის შვილების ბუნება. მათ არ სწამდათ სინამდვილე, ამიტომაც შექმნეს შეუდარებელი ფოლკლორი. აქ **„ყველაფერი, რასაც მინაზე ვერ მოერეოდა ადამიანი, რომ არ დაკარგულიყო, ცაში აინაცვლებდა, ანუ ზღაპარში“** (ხარანაული 2010: 96).

მწერალი გვიყვება, რომ ეს **„ტომები, ანუ ჰიპერბოლები და მეტაფორები... ფხოველების საერთო სახელით გვეცნობიან ისტორიაში“** (ხარანაული 2010: 104). აქ ყველასა და ყველაფერს თავისი სახელი ერქვა და მწერალი ჩამოთვლის მათ ისე, რომ გაგონდება გიორგი ლეონიძის „მუხლადი, ბედაური... სიტყვა“. მკითხველის თვალწინ გადაიშლება ბუნებასთან და უხილავ სამყაროსთან ჰარმონიულად შერწყმული ადამიანების ცხოვრება. **„ცასაც რომ არ ვეკიდოთ ადამიანები და იქ ძროხით არ ვსუმბუქდებოდეთ, ჩვენს სიმძიმეს დედამინა რას გაუძლებდა!“** (ხარანაული 2010: 112).

რომანში წარმოჩენილია XIX საუკუნიდან როგორ დაიწყეს **„ჰიპერბოლების ჩაუხედავ ნიგნში“** ცხვირის ჩაყოფა ათასი ჯურის მწერლებმა, მოგზაურებმა, ეთნოგრაფებმა, გეოლოგებმა. „წარსული მაშინ მოკვდება, როცა მას არ ითამაშებენ ანმყოში“ (130. ამ „თამაშისთვის“ ავტორი რომანში ჩართავს ა. ზისერმანის, ა. რადეს, რაფიელ ერისთავის, ა. გრენის, ვ. პოტოს ჩანაწერებს.

მთის **„ჰიპერბოლებსა და მეტაფორებს კახეთის ბარი კვებავდა“** (ხარანაული 2010: 141) და იყო ჰარმონია მთასა და ბარს შორის.

მწერალი განსაკუთრებულ ყურადღლებას ამახვილებს „ქარიშხალივით მრისხანე ზნეობაზე“, რომელიც ამ ადამიანებს აწრთობდა.

წარსული მწერლისთვის „წმინდათაწმინდა“, ამიტომაც ასეთი სიფრთხილით მიუყვება მის ბილიკებს და მკითხველსაც დაატარებს: აცნობს ისტორიამდელ თუ ისტორიის შემდგომ პერიოდში მცხოვრებ ქართველთა მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებას, მათ მისწრაფებებს, ოცნებებს. ის წარსული არ ასვენებს მას: **„აღგვებქდე, გამოგვაჩინეო!“** (ხარანაული 2010: 15).

რადგან ჰიპერბოლებს თავიანთი ამბები არა დაწერილ, არამედ დაუწერელ ანდრეზებში აქვთ **„ხატისა და ჯვრის ბოლომდე გაუშიფრავ ენაზე გამხელილი, ან ლექსად ნათქვამი“** (ხარანაული 2010: 163), ამ ლექსებისა და ანდრეზების ლაბირინთებში ამოგზაურებს მწერალი მკითხველს.

„თმა-ყვითელი რუსეთის იმპერიამ“ ამ ხალხს თავისი დალი დაამჩნია. რომანში წარმოჩენილია **„ჰიპერბოლების გმირული ბრძოლა**

თავისუფლებისთვის“. **„წამდვილ ციხედ იქცა ცხოვრება“** (ხარანაული 2010: 174).

საკუთარი თავის პოვნისა და შემეცნების გზაზე მნიშვნელოვანია მთის „ლექსიკონთან“ ზიარება. მწერლის აზრით: **„მეცნიერება იმიტომ გაჩნდა ქვეყნად, რომ მწერლობამ გაქურდოს“** (ხარანაული 2010: 205). ეს შეიძლება „ჩიტის ცოდვად“ ჩანდეს, ამიტომაც მეორე თავი რომანისა „სიმღერა მეორე-ლექსიკონისა“ წარმოაჩენს ქართული ენის სიმდიდრეს. აქ ცალკეულ სიტყვის ხატოვან განმარტებასთან ერთად (სიტყვები ფოლკლორისაა), ჩართულია სხვადასხვა ამბავიც, რომლებიც ამ სიტყვების სამყაროში შეჰყავს მკითხველი. ეს არის თავბრუდამხვევი მოგზაურობა „წინ-წარსულისკენ“ „უნცრუათ ლეკოს ძის შედგენილ ლექსიკონში“.

კიდევ ერთი პერსონაჟია რომანში ქართული სიტყვის შემნახველი – ბესარიონ გაბუური, რომელსაც ეძღვნება მესამე თავი; „სიმღერა მესამე – ალმასის მთებისა ანუ კავკასიური საგა ბესარიონ გაბუურისა“ (ავტორი უხვად იყენებს სხვადასხვა მასალას, მათ შორის, ნიგნისას: „ბესარიონ გაბუური – „ხევსურული მასალები“, აკაკი შანიძის რედაქციით).

ბესიკ ხარანაულის დაწერილი ნიგნი თვითონვეა, რომელშიც ბევრ „საკვირველებას“ იხილავს მკითხველი, მათ შორის, გაეცნობა **„ჩიტის სკინტლზე აშენებული ქალაქის“** ამბებს. ჯერ სიტყვაა და მერე სხვა ყველაფერი, ამიტომაც, რომ გამართლებულიყო ნათქვამი: „ჩიტის სკინტლზე ქალაქი აშენდებო“. მწერალი, როგორც თვითონ წერს, ძალიან „გემრიელად“ თხზავს ყოველი ქვეყნის, მათ შორის, იქნებ საქართველოს „შობის“ პაროდირებულ „ამბავსაც“.

მწერლისთვის მთავარია, რომ კაცს ახსოვდეს **„ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“** (გურამიშვილი), ამიტომაც მიიჩნევს, დღეს ახალ ამბები კი არ უნა იყოს მთავარი, არამედ დედამიწის თავს გადახდენილი კატასტროფების, ომების, მისი ეკოლოგიური მდგომარეობის... შეხსენება.

„ყოველწამიერ გარემოში ცხოვრობს კაცი და იქიდან მგზავრობს“ (ხარანაული 2010: 396).

„ყველაფერთან უნდა მიხვიდე, როგორც პირველად“ (ხარანაული 2010: 400).

„ჩვენ რომ სამყაროში შევეშვიოთ, სუყველგან გზას და ბილიკს დავტოვებდით“ (ხარანაული 2010: 40).

ნიგნის პირველი სიმღერა – **„დაწერილი უყმურის მელნით და ხანაც მუშკ-ამბრ-სურ-**

ნელოვანი“ სენტენციით იწყება: „**იმისთვისაა ადამიანი, რომ ისწავლოს, განა რომ იცოდეს**“ (ხარანაული 2010: 9). ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზრია, მაგრამ დაფიქრებისთანავე დავეთანხმებით მწერალს. მართლაც, სწავლა დაუსრულებელი პროცესია, სიცოცხლე თვითონ, ცოდნა კი დასრულებაა, რაღაცის საბოლოოდ შეცნობა, ე.ი. სიკვდილი, ამიტომაც არის ადამიანი მუდამ მშიერ-მწყურვალე შეცნობისათვის. სოკრატეც ამიტომ ამბობდა: „**მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი**“. სამყაროს იდუმალეობა, სიბნელე მით უფრო ღრმავდება, რაც მეტს შეიცნობდა. ამ წიგნში მწერლის კალამი ხან უყმურშია ჩანობილი და ხან სურნელოვან მუშკ-ამბრში. სურნელი მაშინ ასდის კალამს, როცა ძველ ქართველებზე წერს, მათ ზნესა და ადათებზე, თანამედროვეობაზე წერისას კი ეს სურნელი სადღაც ქრება.

მთელი წიგნი „სწავლა“, მწერალი სტრიქონს ჯოხივით მოიმარჯვებს და გაიბილიკებს წარმოსახვის სამყაროში. წარმოსახვაში ეგულება მწერალს ადამიანის დაღუპვისა და გადარჩენის გზაც.

მწერალს გამირობად მიაჩნია ადამიანებში ცხოვრება, მაგრამ ვერც უადამიანებოდ ყოფნა წარმოუდგენია. ამიტომაც იბადება პათეტიკა: „**ღმერთო, ნუ მომაშორებ მე ადამიანობას, ღმერთო ისენი ჩემი ადამიანობა**“. მწერალი ბიბლიურ მცნებათა დაცვის ძალას სთხოვს უფალს, ოღონდ ერთი რამის დამატებით: „**რომ სიტყვას**“ გაუფრთხილდეს, რადგან „**სიტყვაში ვიქნები და სიტყვა მაცოცხლებს**“. აქ სიტყვა უფალია უპირველესად.

მთელი რომანი „უძებნი შვილის“ ფიქრთა ნაკადებია, ერთმანეთს რომ იწვევენ, შესაბამისად, მწერალი სხვადასხვა მხრივ განტოტავს თავის სათქმელს: „**დედამინის სარკე მისი ისტორიაა, მაგრამ დედამინა სარკეში არ იხედება**“ (ხარანაული 2010: 15).

ეს ძიება წარმოჩნდება, როგორც თამაში. „**ყველაზე დიდი განწყენდა თამაშია**“ (ხარანაული 2010: 406) „**ხელოვანი იმთავითვე მორალური კი არა, არამედ – ესთეტიკური არსებაა. რომ მისი არსისეული ინსტიქტი თამაშია და არა სიკეთე, დიახ, რომ ის მთელი ნაივურობით აძლევს თავს უფლებას, მორალის საკითხთა დასმითა და მისი ანტინომიებით დიალექტიკურად ითამაშოს მხოლოდ**“ (მანი 2010: 1). თამაში ამ რომანსაც ირონიულ ელფერს ჰმატებს და ხშირად ბადებს, თუნდაც, ამგვარ პარადოქსს: „**ისეთი დაწერე, რომ არავინ არ წაიკითხოს**“ (ხარანაული 2010: 482). ეს გვახსენებს ასევე „მოთამაშე“

ფრიდრიხ ნიცშესაც, რომელმაც თავის წიგნს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ მიანერა: „**წიგნი ყველასთვის და არავისთვის**“.

საკუთარი თავის ძიებას უნდა ასულდგმულბდეს რწმენა, რომ „**შენს ხალხს და შენს ენას უნდისხარ, ადამიანი ერთენოვანია**“ (ხარანაული 2010: 465).

ხანგრძლივი ძიების ერთი შედეგი რომანში ასეა გამჟღავნებული: „**ვგრძნობ, რომ ორივე ვარ – ჰიპერბოლაც და მეტაფორაც**“ (409), ასე რომ, პოეზიაა მისთვის ერთადერთი რეალობა, რომელშიც იგი თავს პოულობს. თუმცა ეს პირობითი „შედეგია“, რადგან „**ჰიპერბოლაცა**“ და „**მეტაფორაც**“ კვლავაც შეუცნობელ სიღრმეებს ამხელენ.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ახალი აღთქმა 1991: ახალი აღთქმა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1991;

ბოდრიარი 2010: ბოდრიარი ჟან, ქალაქი და სიძულვილი, http://lib.ge/body_text.php?319 ;

ბორხესი 2010: ბორხესი ხორხე ლუის, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, №20, 2010;

მანი 2008: თომას მანი, წინათქმა „ჯადოსნური მთისა“, ჟურნ. „ქართული სიტყვა“, №2, თბილისი, 2008;

მანი 2010ბ: თომას მანი, ხელოვანი და საზოგადოება, <http://burusi.wordpress.com/2010/10/02/thomas-mann-7/>;

მესხი 2009: მესხი ზურა, <http://zigota.wordpress.com/2009/05/17/>;

რობაქიძე 2009: გრიგოლ რობაქიძე, მიმართვა ქართველ ხალხს, წიგნში, ქართველი მწერლები სკოლაში, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009;

სირაძე 2008: სირაძე რეზო, კულტურა და სახისმეტყველება, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008;

ხარანაული 2010: ხარანაული ბესიკ, სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2010;

ხარანაული 2010ბ: ხარანაული ბესიკ, ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან, „ბესიკ ხარანაულის ჯორზე ამხედრებული რაინდები და მომავლის მკითხველი“, http://arili2.blogspot.com/2010/08/blog-post_5345.html;

ხარანაული 2010 ნ: ხარანაული ბესიკ, „მთვრალი მინისმზომელი“. ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან, ჟურნ. „ცხელი შოკოლადი“, ლიტერატურა, 25 იანვარი, <http://shokoladi.ge/node/3071?page=2>, 2010;

ცირეკიძე 2010: სანდრო ცირეკიძე, „სათაური პოეზიაში“, წიგნში „რაინდთა ლანდები“, ქუთაისი, 2010.



სიყვარულის ფუბა

აბსურდს აუქმებს

(თემურ ბაბლუანის რომანი „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“.

ჟაკლინ სირაძე

მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

1. აბსურდი თეატრალური შესტის გარეშე

თავად ის ფაქტი, რომ თემურ ბაბლუანი თავის რომანზე „მზე, მთვარე და პურის ყანა“ სასაუბროდ სიტყვა აბსურდს ცვლის „მინიერობით შესვრილი“ სიტყვით – გაუგებრობა, თვალსაჩინოს ხდის მისი სამყაროს ხასიათსა და შინაარსს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებში არაფრით შეიძლება გმირს უწოდო აბსტრაქტული სახელი. მაგალითად, „იოზეფ კ“ – ფრანც კაფკას „პროცესიდან“ და არც ამ ავტორის ორი ცნობილი ჩანაწერის მოხმობა დაგვჭირდებოდა:

– „ყველაფერი არარეალურია – ოჯახი, სამსახური, მეგობრები, ქუჩა. მთლიანად არარეალურია ქალი, ნაცნობიც და უცნობიც. ყველაზე აუცილებელი ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ადამიანი გამეტებით ურტყამს თავს უფანჯრო და უკარო დილეგის კედელს.“

და მეორე:

– „ჩვენი სოციალური ცხოვრების დრო არა-ჭეშმარიტია.“

აქ პირიქით, ყველაფერს რეალურობის, მიწისა და ყოველდღიურობის „სუნი“ დაჰყვება. არცერთი ამბავი არ ტოვებს გამოგონილის, წარმოსახულის შთაბეჭდილებას. ავტორის – თემურ ბაბლუანის სახით, თითქოს თავად ცხოვრება – მისი სოციალური დრო წერს ამბებს, არადა, ამ ატმოსფეროს

განკარგავს ძალაუფლების ნება – ის, რაც ადამიანურ ენაზე გადაითარგმნება სიტყვით – აბსურდი.

ნიგნში ასახულმა გაუგებრობამ, აბსურდის ბაბლუანისეულმა ვარიანტმა, ჩემი მძაფრი ტკივილი განმიახლა, ის განცდა გამახსენდა, ტანჯული და ნანამები, ყურმოჭრილი, ყბაახვეული ვან-გოგის ავტოპორტრეტის წინ რომ მეუფლება – ვგოდებ, და სულ მისერავს მტანჯველი და გაურკვეველი გრძნობა, მაგრამ ამის გამოთქმაც კი თეატრალური შესტია, რადგან არსებობს ტკივილი და განცდა, რომელზედაც საუბარი უხერხულია.

და თითქოს ამ უნებლიე უხერხულობის გამოა, რომ თემურ ბაბლუანი, ავტორი, კი არ განმარტავს, კი არ აანალიზებს, ან კი არ „ფილოსოფოსობს“ თავისი გმირის ჯუდე ანდრონიკაშვილის თავგადასავლის მეშვეობით, არამედ, უბრალოდ, აღწერს მას. მაგრამ აღწერს არა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს, არამედ ის ცხოვრების ყოველა ამბავში გმირის განცდასაც აღწესხავს და მკითხველს მიანიშნებს, რომ მისი პერსონაჟი ვერასოდეს ასწრებს თავის წინათგრძნობას ჩაუკვირდეს, ან მოიხელთოს აზრის სიცხადე, რომელიც მას დროდადრო ეწვევა, რადგან ის იმ სოციალურ დროში ცხოვრობს, სადაც საგნის, მოვლენის გაცნობიერება შეუძლებელია.

უკვე მერამდენედ ითქმის, რომ სამყაროს არა აქვს აზრი, და ის გაუგებრობაა, და მაინც, ჩვენ ამ რომანში „მზე, მთვარე და პურის ყანა“ ალბერ

კამიუს სამყაროს ანალოგიით ვერ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც შუშის ტიხარს იქიდან ერთმანეთს ესაუბრებიან, და ჩვენ აქ ვერ აღვნიშნავთ „კაცის არაფრისმთქმელ მიმიკას“ და არც იმ კითხვისკენ მიგვიძღვება ავტორი, რომელიც ასე გამოითქმის „რისთვის ცხოვრობს ეს კაცი?“

2. ძალაუფლების ენა

რომანი, ერთი შეხედვით, უბრალო, არაფრისმთქმელი ამბით იწყება. ვინმე ბიჭს, ჯუდე ანდრონიკაშვილს ისე გაუცვთა შარვალი, რომ შეუძლებელია საზოგადოებაში გამოვიდეს. ისიც იძულებულია იქურდოს. თუმცა, თავდაპირველად მამას სთხოვს შარვლის ფულს, ის კი მტკიცე უარზეა. ჯუდეც კი დედაც არა ჰყავს, მან ხომ ის 4 წლის ასაკში მიატოვა. საბოლოოდ, ჯუდე მოპარულ ჯინსის შარვალს გაყიდის (იმ დროს ჯინსის შარვალი იშვიათობა იყო და საკმაოდ ძვირად ფასობდა), რითაც შეიძენს როგორც თავისთვის შარვალ-ხალათს, ასევე მანუშაკასთვის – თავისი საყვარელი სატრფოსთვის – ჟაკეტს, რომელზედაც იასამნებია ამოქსოვილი.

უკვე ეს პირველი ამბავი მინიშნებაა, რომ ამ სამყაროს წარმართავს ძალაუფლების ენა და ქურდობა თითქმის ერთადერთი გამოსავალია ამ გაუსაძლის ატმოსფეროში.

ადამიანის ღირსების საზომიც ხომ ძალადობაა, ანგარება, დიდძალი თანხა და ზრდილობის მსახიობურად გადათამაშება.

აკი ვილაც ძია ჩარლიკა, რომელიც ციხიდან გამოვიდა, ჯუდეც მამამ ღირსეულ და კარგ კაცად მონათლა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხსაცმლის შეკეთებაში ორჯერ მეტი ფული გადაიხადა. ვინმე მილიციელი თენგოია კი ადამიანებს მხოლოდ იმით აფასებს, ფიზიკურად მოერია თუ არა იგი მას. ვისაც მოერეოდა, მას ადამიანად აღარ აგდებდა და სალმის ღირსადაც კი არ მიიჩნევდა. უფრო მეტიც, მასთან ურთიერთობას არ კადრულობდა. ასეთი არაქრისტიანულია ეს სამყარო, რომელშიც ადამიანებს ახარისხებენ და აღმატებულ რანგში აჰყავთ მხოლოდ ისინი, ვინც მოძალადეა, თავხედი, უგულოა, ანგარების გზას ადგას – მოკლედ, ისინი, ვინც ძალაუფლების ენით „მეტყველებენ“, ვისაც მხოლოდ ძალის რწმენა აქვს. აქ, ამ სამყაროში, ვაჟკაცობის განსაზღვრების სულ სხვა საზომია, და ის ამ სამყაროს გმირის – ტროკადეროს კუთვნილებაა: „ყველაზე დიდი ვაჟკაცი ცხრაგრამიანი ტყვიანა“.

ჯუდე ანდრონიკაშვილის ცხოვრების – მისი

აბსურდის შემქმნელების, ტროკადეროსა და ხაიმას თავგადასავლებიც მხოლოდ ძალაუფლების ენით შეიძლება გადმოიკვს ან დაინეროს ან „ნაიკითხოს“. თურმე თორმეტი წლის იყო ხაიმა, როცა ტროკადერო გაიცნო. ტროკადეროს ავტორიტეტის საიდუმლო მის ძალას ეფუძნება. იგი მარცხენა ხელით ოცდაცამეტჯერ აიზიდა. ამის შემდეგ ჯერ ფეხბურთისა, შემდეგ კი ფრენბურთის თამაშების მსაჯის უფლება მოიპოვა. პიონერთა ჰალსტუხს ყელზე იკეთებდა და გამომწვევად ცხვირსახოცის მაგივრად იყენებდა.

რაც შეეხება ხაიმას, სოფელ ბიჭებს თვალში არ მოსდიოდათ ჭორფლიანი, ნითური ხაიმა. აითვალნენ და ყოველდღე ტუფლებში უფსამდნენ. აღმოჩნდა, რომ ხაიმას მოჩვენებითი სიმშვიდე იმასში მდგომარეობდა, რომ ის ამ ბიჭებს შურისძიების მიზნით, მათი საუზმისთვის განკუთვნილ ჩაიში უფსამდა. აი, სწორედ ამ უკანასკნელმა ამბავმა – ხაიმას ამ უსაქციელობამ ალაფრთოვანა ტროკადერო და ისინი დაძმაკაცდნენ.

მაშასადამე, ამ სამყაროს წარმართავს არა გრძნობა, არა სიყვარული, არა მეგობრობა, არამედ მუშტის ძალა, რათა უერთგულოს ძალადობასა და ანგარების ენით მართულ ქვეყანას.

3. ხაფანგის რამდენიმე „ჭეშმარიტება“

თუ კაფკას „პროცესი“ მშრალი ფაქტის მოტივაციით გადაუგდებს სატყუარას მკითხველს:

– „ეტყობა ვილაცამ ცილი დასწამა იოზეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს“.

სატყუარას არსი კი ის გახლავთ, რომ არსებობს ვილაცა ცილისმწამებელი, მაგრამ მისი დაუკონკრეტებელი სახე სწორედ უფრო გიგანტურად და უფრო დიდი შემზარაობით წარმოგვიდგება.

თემურ ბაბლუანის რომანში დაუკონკრეტებელი სახე აბსტრაქციისა, ცხოვრებისეული ფაქტებით იცვლება, და ის, როგორც კინოკადრები, ერთმანეთს ისე მიუყვება და მისდევს, რომ მკითხველი ერთი შეხედვით საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. ის, როგორც უკვე აღვნიშნე, იწყება შარვლის ქურდობის ფაქტით, მაგრამ ამავე დროს, ის იმ გაურკვეველი და დაუფერებელი ამბის უნებური მოწმეც ხდება, რომელიც გმირის – ჯუდე ანდრონიკაშვილის ცხოვრებას ხაფანგში ამწყვედევს და როგორც ერთგან ამბობს: „იმ ამბის გამო, მე თითქმის მთელი ცხოვრება ხვრელისკენ გაქცეული ტარაკანას ცხოვრებით ვიცხოვრე“ (თ. ბაბლუანი, „მზე, მთვარე და პურის ყანა“ გვ. 400).

რას წარმოადგენს ეს ამბავი? ან რაში მდგომარეობს ამ ამბის – ხაფანგის არსი? ის გამოხატავს, თავისთავში მოიცავს თანამედროვე სამყაროს ასე გავრცელებულ დებულებას: „არ არსებობს ერთი ჭეშმარიტება“.

მაშასადამე არსებობს რამდენიმე ჭეშმარიტება, და მათგან ერთ-ერთი „ჭეშმარიტების თანახმად, ეს ამბავი ქართველი ებრაელების ქველმოქმედებაა, კერძოდ: „მათ მოახერხეს და ისრაელის სახელმწიფოს ოცდაათი მილიონი დოლარი გადაუგზავნეს (ეგვიპტისათვის – უ. ს.) ომში დაღუპული ოჯახების დასახმარებლად. ამ დროისათვის ეს იყო წარმოუდგენელი ამბავი, საბჭოთა კავშირი ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ მტრად ითვლებოდა და ეგვიპტეს იარაღით ამარაგებდა. მოაგროვეს ებრაელებმა ეს ოცდაათი მილიონი დოლარი და დაწვეს, მაგრამ სანამ დაწვავდნენ, ყველა კუპიურა სათითაოდ ფირზე გადაიღეს, ხუთი ასლი შეიმუშავეს. კაგებემ ამის შესახებ იცოდა და ოთხი ასლი ადვილად იპოვეს, მაგრამ მეხუთეს კვალი ადვილად დაკარგეს. ებრაელებმა ის ასლი ლენინგრადიდან მყვინთავის დახმარებით ფინეთში გაიტანეს. იქედან ამერიკაში გადააგზავნეს და იმდენი მოახერხეს, რომ ამერიკის ნაციონალურმა ბანკმა, თურაღაც სარეზერვო ფონდმა, ის დოლარები ძველი ნომრებით თავიდან დაბეჭდა და ისრაელის მთავრობას გადაუგზავნა“ (თ. ბაბლუანი „მზე, მთვარე და პურის ყანა“ გვ. 216).

და რაც უნდა უცნაური იყოს, ეს საქველმოქმედო ამბავი გახდა ჯუდე ანდრონიკაშვილისთვის ის ხაფანგი, რომლის გამოც მან თითქმის მთელი ახალგაზრდობა ციხეში გაატარა და ეს სულ სხვა „ჭეშმარიტებაა“. უკვე მოხმობილი ამბის შესანიღბად და დასაფარად საჭირო შეიქმნა ორი ადამიანის მოკვლა და ეს მკვლელობა „ცივი გონებით“ ჩაიფიქრეს და აჰკიდეს ჯუდე ანდრონიკაშვილს, გულუბრყვილო, კეთილ და ობოლ ბიჭს, რომელსაც არავინ ჰყავდა დამცველი და პატრონი.

ყველაზე მძიმე და ტრაგიკული ჯუდე ანდრონიკაშვილისთვის აღმოჩნდა, ის, რომ ეს ამბავი, რომელიც დაუნდობელმა, ცინიკოსმა და ცივისხლიანმა ტროკადერომ ჩაიფიქრა და განახორციელა, ვერ შედგებოდა იმ ხაიმას თანამონაწილეობის გარეშე, რომელიც ჯუდეზე ხუთი წლით უფროსი იყო და მუდამ მისი მფარველი და დამცველი გახლდათ. მათ ძველი სახლის სახურავზე ლამის ოცდაათი საერთო მტრედი ჰყავდათ. ჯუდეს უზომოდ უყვარდა და სიამოვნებდა, როცა

ისინი ერთად აიჭრებოდნენ ჰაერში და უბანს წრეს დაარტყამდნენ. ეს იყო მათი ერთობის ერთგვარი სიმბოლოც კი. ხშირად ხაიმა ტყუილსაც კი იგონებდა, დედაშენი მალე მოვაო. ხოლო როცა ნაყინს იყიდდა, ჯუდეს ცოტას მაინც უტოვებდა: სწორედ ამის გამო იყო, რომ ჯუდე მას მადლერების ნიშნად ძმად მიიჩნევდა და თან სულ კუდში დასდევდა.

სასტიკმა ტროკადერომ, ქუჩის თავკაცმა ისე „გენიალურად“ დადგა „თეატრალური სცენა“, რომ მოულოდნელობის აფექტში მყოფ ჯუდე ანდრონიკაშვილს ორი მოკლეული ადამიანის გვამთან ხელში ორი რევოლვერი დააჭერინა და ასე დააყენა უამრავი ხალხის – მოწმის წინაშე.

ასე აღმოჩნდა უდანაშაულო ადამიანი ციხეში, სადაც მან თავისი ახალგაზრდობის უსასტიკესი, ტანჯვითა და წამებით აღსავსე წლები გაატარა.

4. სახელი და აბსურდის უცვლელი სახე

ამ ამბავ-ხაფანგამდეც არ ანებივრებდა ცხოვრება ჯუდე ანდრონიკაშვილს. და მართლაც, რომანის ყველა ნაწილში იჩენს თავს აბსურდი, და ამ აბსურდის თანმდევი რამდენიმე, ურთიერთ-მოუთრებელი სიმართლე და და ჭეშმარიტება, როგორც არა სამყაროს, არამედ ამ ცხოვრების უმთავრესი მახასიათებელი.

ერთდროულად კომიკური და ტრაგიკულია, – აბსურდია ის ფაქტი, რომ 1956 წელს სტალინის დასაცავ საპროტესტო მიტინგს ჯუდე ანდრონიკაშვილი აღტაცებული შეუერთდა. რადგან, ერთი მხრივ, როგორც შემდგომ მან გაიგო, სწორედ სტალინის პირდაპირი ბრძანებით დახვრიტეს ბაბუამისი. ამას მოჰყვა მისი მეუღლის დახვრეტაც. გამოდის, რომ კომუნისტებმა ჯუდეს მამას – ხუთი წლის ბავშვს მშობლები დაუხვრიტეს, რის გამოც ის მოხვდა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში, სადაც მეჯღანეობის ხელობას დაეუფლა...

ამ მიტინგის დროს ჯუდე მხოლოდ და მხოლოდ 7 წლის პატარა ბიჭია. საპროტესტო აქცია კი გამოიხმო სტალინის გარდაცვალების შემდგომ მისი მონაფის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის მკაცრმა კრიტიკამ. შუა მიტინგის დროს ჯუდე ანდრონიკაშვილი (ამ დროს ჯერ კიდევ იოსებ ანდრონიკაშვილი) ქუჩის სვეტიდან პირდაპირ იმ აივანზე გადმოხტა, სადაც ჩინელი ჯუდე სიტყვით უნდა გამოსულიყო. და ისიც დროს იხელთებს, მის ჩექმებიან მარჯვენა ფეხს მკლავში მოიქცევს, რადგან ამ შეხებით ის თავის ქვეყნის გადასარჩენად იღვწის. ბავშვს განზრახვა ვერ გაუგეს და

უხეშად მოაცილეს ახალ კუმირს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ამბავი კომუნისტური პროპაგანდისთვის მოხერხებულად გამოიყენეს, და თითქმის ყოველდღე, კინოქრონიკაში უჩვენებდნენ გადიდებულ და შენელებულ კადრში ჩინელი ჯუდეს ჩექმაზე მიკრული პატარა იოსების აღტაცებულ სახეს.

ასე გადაერქვა ერთ დროს იოსებ ანდრონიკაშვილს ჯუდე და ასე დაემატა ქართველი თავადის გვარს ჩინური სახელი.

ესეც აბსურდია და ჭეშმარიტების რამდენიმე სახის მტკიცებულება.

5. მწერლის სტილი – დეპეშის იმიტაცია

ერთი შეხედვით, თემურ ბაბლუანის სტილი მშრალი დეპეშის სტილს იმეორებს, არის ზუსტი და მასში არაფერია ზედმეტი. მაგრამ აქ ის სტილი უნდა ამოვიკითხოთ, რომელიც ავტორმა არა ხელოვნურად, არამედ თავისთავად თხრობიდან, ამბიდან გამომდინარე დაბადა. ამ ტექსტს თავად ცხოვრება წერს და ეს სტილი მისი მოკუმული ბაგეებიდან ჩაგვესმის, რომელსაც პირმოთნეობა არა სჩვევია.

მაგ: ასეთ ლაპიდარულ სტილს იყენებს, როცა მას სურს საბჭოთა სისტემა ასახოს. ამისთვის კი იყენებს ორ განსხვავებულ მდგომარეობა-ემოციას. ერთი მხრივ, სიამაყეს, და მეორე მხრივ, საბჭოთა სისტემაში ამ სიამაყის ქონის შეუძლებლობას.

მამა ჯუდეს ეუბნება: **„შენი წინაპრები სახელგანთქმული ფეოდალები იყვნენ. ბიზანტიელ და არაბ ისტორიკოსებს ჰყავთ მოხსენიებული თავიანთ ნაშრომებში, ასე, რომ შენ შენი გვარით უნდა ამყოფდეთ“** ჯუდე კი, ამ შეუძლებელ სიამაყეზე ასეთი ლაპიდარული გამონათქვამით შემოიფარგლება: **„– საინტერესო იყო, სად უნდა მემამაყა? მთელი ქვეყანა წითელი დროშებით იყო მოფენილი“.**

6. ძალაუფლების ენის უძღურება – მონანიება

ჯუდე ანდრონიკაშვილი ბუნებით კეთილი ბიჭია, გულუბრყვილო და გულწრფელი.

ალბათ, ამ გულწრფელობისა და სიალალის გამო, ყოველგვარი მფარველობის გარეშე მყოფი ეს ობოლი ბიჭი, ასე თამამად გამოიყენეს ნადირლებმა თავიანთი გეგმის ერთ-ერთ ჭანჭიკად. სრულიად უდანაშაულო ადამიანმა შეგნებული ცხოვრება პატიმართა ბანაკებში გაატარა.

საბრალო ჯუდემ ველარ გაუძლო ამდენ ფსიქო-

ლოგიურ ზენოლას და გონება გაეთიშა, და ასე დაჰყო 13 წელი სულიერად დაავადებულთა თავშესაფარში – ხოლო 6 თვე მონასტერში.

ასეთი მძიმე ცხოვრება განვლო ლამაზმა, ჭკვიანმა და ნიჭიერმა ჯუდემ, რომელსაც ერთნაირად ეხერხებოდა როგორც მეჯღანეობა, ისე ხატვა.

7. სათაური და წიგნის დედაზრი

რატომ იმსხვრევა და ქრება, როგორც არარსებული ზმანება ჯუდეს სამყაროში აბსურდის კედლები? თვითმკვლელობის იდეა? უზომო ზიზღი და გულისრევის დაუფარავი, უნუგეშო მდგომარეობა? რატომ ქრება ის ჯოჯოხეთი, რასაც უსიყვარულობა ჰქვია? აკი მან, ჯუდემ, სადღაც ამოიკითხა ამაზე პასუხი და ეს დოსტოევსკის ცნობილი სიტყვები აღმოჩნდა:

„ის ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ მეტად აღარ ძალგის სიყვარული“ (ფ. დოსტოევსკი „ძმები კარამაზოვები“).

ჩვენი გმირი — ჯუდე ანდრონიკაშვილი, ჯერ კიდევ ბავშვობაში, საბავშვო ბაღში, გაუცნობიერებლად, ბავშვური კოცნით თავის გულში აღბეჭდავს **„დიადი სიცოცხლის ძალის საიდუმლოს“** – სიხარულისა და სიყვარულის უნარს და ამას, უბრალოდ, ასე გამოხატავს: – **„მანუშაკა! მანუშაკა! ჩემო კარგო გოგო!“**

წიგნის სათაური – „მზე, მთვარე და პურის ყანა“, როგორც გმირის ბოლო სიტყვა და ბოლო ქმედება, აბსურდის დაძლევის გამოხატულებაა. ის მხატვარ-შემოქმედის ჯუდე ანდრონიკაშვილის ბოლო, შემაჯამებელი ფერწერული ტილოს შინაარსიდან ამოდინდა. – ეს სათაური იქნებ ქართული ფოლკლორული ლექსის გადათამაშებაცაა. ყველას ზეპირად გვახსოვს ეს სიტყვები:

**„მზე დედა ჩემი,
მთვარე – მამა ჩემი,
გაბადრული ვარსკვლავები –
და და ძმია ჩემი“.**

როგორც ამ ქართულ ფოლკლორში, წიგნის სათაური და, შესაბამისად, ჯუდე ანდრონიკაშვილის სურათის სათაურში მოჩანს ბავშვური თვალით დანახული სამყარო, შეურყვნიელი და მთლიანი, – კოსმოსი შენი სახლია, რადგან მისი პლანეტები შენი მშობლები არიან, ხოლო სავსე-სავსე ვარსკვლავების ნაცვლად ჩნდება პურის ყანა – სიცოცხლის წყარო – „პური ჩვენი არსობისა“, ჩვენი ყოფიერების შუაგულში, ზოგი იტყოდა „ლიობაში“

დგას – იმედის, სასოების და სიყვარულის მომლოდინე მანუშაკა – მისი დიდი სიყვარული.

და თუმცა მან, უდანაშაულო ადამიანმა, არამეგობრულ, დაუნდობელ, აბსურდულ სამყაროში იცხოვრა, სადაც არ არსებობს იმედი, არ არსებობს სამართლიანობა, არ არსებობს ზნეობა და სადაც ყოველ ჯერზე შეიძლება თქვან:

„ასეთ დროს ერთი სიმართლე არ არსებობს.“

მასში სიყვარული გადაარჩენს ზნეობისა და სამართლიანობის განცდას, თანადგომის უნარს. ამიტომაც ძალიან უცნაურად იქცევა, კერძოდ, ის დასახვრეტად განწირული პატიმრების დაუნდობელ მსაჯულს – ვილაც ლეინტენატს გადაარჩენს დახრჩობისაგან.

მართლაც, საოცარია, რომ ის ბოლომდე სულიერად გაუტეხელი, მამასადამე, მღვიძარე რჩება. ამიტომაცაა, რომ ცამეტი წლის უგონო მდგომარეობის შემდეგ, როცა სარკეში ჩაიხედავს ახალგაზრდა, ლამაზი კაცის ნაცვლად თმაგათეთრებულ, ნოჭებით დალდასმულ თავისთავს აღმოაჩენს და ტირილი აუვარდება. მაგრამ მას მაინც არ შეუძლია გაბოროტება. ამიტომაცაა, როცა ამის შემდეგ, მალევე თეთრებში გამოწყობილი მონაზონი კაცი, სათნო და კეთილი გამომეტყველებით შეჰყურებს, ის ამბობს:

„ისეთი სიტბო და თანაგრძნობა მოდიოდა მისგან, ისეთი ჩემიანი და ახლობელი იყო, დავიბენი. უანგარო თანაგრძნობის ასეთი სიძლიერის უნარი ჩემი ცნობიერისთვის უცხო იყო. გული ამტკივდა და ავტირდი.“

ჩემი თავი მხარზე მიიღო და ისიც ატირდა, თან კეფაზე მეფერებოდა. ისეთი სანდო იყო, ისეთი ნამდვილი, რამდენიმე წამის განმავლობაში ენით აუნერვლი სულიერი სინანული დამეუფლა. მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე“.

თუმცა, ამ გრძნობის – სიცოცხლის სიხარულის, სიყვარულის შენარჩუნება, თუ გადარჩენა არც ისე ადვილია. მან ხომ ჯოჯოხეთი გაიარა, მის უკანასკნელ გარსში მოხვდა და თავისი სხეულით იწვინა ფიზიკური ტკივილები, და მიიღო სულიერი ტანჯვა. მაგრამ მან შეძლო ეს დაეძლია და ამ დიდ ბრძოლაში ის გამარჯვებული გამოვიდა.

გავიხსენოთ, როცა სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ ის მანუშაკა, რომელზედაც ფიქრი ერთადერთი იმედი და სასოებაა, იძულებული გახდა ემუშავა იაფფასიან მძეავად და ისიც, რომ ვინმე რაფიკამ (ჯერ კიდევ მანამ ის ციხეში მოხვდებოდა), არათუ იძალადა მანუშაკაზე და იცხოვრა მასთან, არამედ ის თავის სტუმრებსაც „შესთავა-

ზა“. (ამ ძალადობრივ სამყაროში ადამიანის, მით უფრო ქალის, საგნად ქცევა არავითარ უხერხულობას არ იწვევს).

ამ თავზარდამცემი ამბის გაგებას მასში დაუძლეველი სურვილი აღძრა ხატვისა – ეს იყო საშინელი გრძნობა, ხატვის წყურვილი – აილო დიდი ფორმატის ყავისფერი ქალაღი, დახატა ღრუბლები და მასზე ის ონკანები მიახატა, რითაც ბავშვობაში თბილისის ეზოებში წყალს სვამდა, მაგრამ რატომღაც წყლის ნაკადი ჭიანჭველების თქემით შეცვალა.

ეს იყო გიჟური სურვილი, რაღაც ბრმა ვნება, ეხატა და ეხატა ჭიანჭველები და თან მანუშაკაზე ეფიქრა. როცა გარკვეული დროის შემდეგ ციხის ზემდეგი თავზე წამოადგა და ჰკითხა, თუ რატომ ღრიალებდა ისე, რომ მთელი ციხე ზანზარებდა, – ჯუდე გაოცებული დარჩა, რადგან მას თავად არ ჩაესმოდა თავისი უზომო ტკივილის ხმა – ეს საზარელი ღრიალის, გმინვისა და გოდების ხმა.

ჯუდეს უტყუარი წინათგრძნობა აქვს, მაგრამ ხშირად ამ ხმას არ მიჰყვება, რადგან მისი ბუნებისათვის უცხოა ადამიანის ბოროტ ბუნებას ჩაეძიოს. ყველაზე არსებითი თვისება კი მასში ის არის, რომ მის გულში დიდხანს არ რჩება ზიზლი და ბოლმა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაფერს ნათლად ხედავს და ჭვრეტს. ალბათ, იმიტომ, რომ მისი საბოლოო სიტყვა ადამიანისადმი თანაგრძნობაში და მიტევებაში მდგომარეობს.

მაგალითად, საბრალო ჯუდე მთელი ბავშვობა უიმედოდ ელოდა დედას, რომელმაც ის შეუბრალებლად მიატოვა 4 წლის ასაკში. ამ დროს კი ვინმე მაზავეცკაია ჯუდეს უხსნის, რომ მას, როგორც ქალს, კარგად ესმის დედამისის, რადგან ის ლეინტენატი, რომლის გამოც მიატოვა ჯუდეს დედამ ის და მამამისი, თურმე, მშვენიერი გარეგნობისა და კარგი მხარ-ბეჭის პატრონი ყოფილა. სამართლიანი იქნებოდა, ჯუდე აღშფოთებულიყო, განრისხებულიყო, მაგრამ ის სულაც არ არის მკაცრი მსაჯული.

გამაოგნებელი და დაუჯერებელია მისი მიმტევებლობა დედის მისამართით:

„დედაჩემის გამტყუნებაც არ მინდოდა, ისიც მეცოდებოდა, გამაჩინა, ოთხ წლამდე მზრდიდა, თექვსმეტი წლის შემდეგ ერთხელ მნახა, გამოვიდა ისე, რომ ამ ყველაფრისთვის ორი კილოგრამი ოქრო მიიღო და სამუდამოდ გაქრა“.

მაგრამ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ის სულელია და ვერ აცნობიერებს ცხოვრების სისასტიკეს. არა, ის გონებაგახსნილი ადამიანია და, ხშირ შემთხვევაში, ისეთი რამეებიც აღმოუჩენია,

რომლის შემდეგ თითქმის შეუძლებელია გქონდეს სიცოცხლის სიხარული, ან იმედი:

**„აღმოვაჩინე... სამყაროსათვის მე და ჩემ-
ნაირ რამდენიმე მილიარდ არსებას, ანუ ადამიანს, არავითარი განსაკუთრებული ღირებულება არ გაგვაჩნია. თუ გავქრებოდით, ამით არაფერი შეიცვლებოდა, სამყარო ჩვენ გარეშეც მშვენივრად განაგრძობდა არსებობას. მაგრამ განსაკუთრებით იმან დამაფიქრა, რომ თურმე ამის რეალური საფრთხე არსებობდა“.**

8. სიყვარული ფუგის პრინციპით

ჯუდესთვის ყველაზე დიდი განსაცდელი ამდენი სისასტიკის ფონზე მაინც ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ მანუშაკა ჯერ ძალადობის მსხვერპლად იქცა, შემდეგ მეძავად. თუმცა რეალურად, ეს არ არის მანუშაკას თავისუფალი არჩევანი – ის ვითარების მძევალია. და ჯუდე გადის ჯოჯოხეთს და გრძნობს, გულში როგორ ეხლებოდნენ ყინულის ნატეხები ერთმანეთს, მაგრამ ის ამ ჯოჯოხეთსაც გაივლის და დაძლევს, და ისევ აღდგება მასში მანუშაკასადმი სიყვარული. აქ მინდა გავიხსენო **ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“**, რომელშიც გაბრიელის სატრფო თამარიც ძალადობის მსხვერპლია, რის შემდეგად ის იძულებით მეძავი ხდება. თუმცა, გაბრიელს თავში არც კი მოსდის აზრად შეუდოს თამარს და თავისთან დაიბრუნოს. ჯუდე კი ციხიდან გამოსვლის შემდეგ უკვე დანაოჭებულ, მხრებში მოხრილ, დაბეჩავებულ და დაკოჟრილ მოხუც ქალს ისევ დაუჩოქებს და ცოლობას სთხოვს. მანუშაკას მოხუცი მეუღლე და მისი გარემოცვა, როცა ჯუდე საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდის მანუშაკას გამოხსნისთვის, ერთგვარი ირონიით ეკითხება მას:

„რად გინდა ეს მანუშაკა, რაში გჭირდება?“

და როცა ის უბრალოდ პასუხობს, მიყვარსო, – ყველას გაოცებული, უხერხული ღიმილი აღებეჭდება და უფრო მეტად დაიბნევიან.

თემურ ბაბლუანი რომანის ყოველ ნაწილს ფუგის პრინციპით აგებს, კერძოდ, უდანაშაულო პატიმრის ჯუდე ანდრონიკაშვილის აბსურდული ცხოვრების თხრობისას, მისი თავგადასავლის ყოველ ნაწილში ის იმეორებს და იმეორებს რომანის თემას – ჯუდესა და მანუშაკას სიყვარულის ისტორიას. როცა ის ციხეშია, მანუშაკა მას უმთავრესად სიზმარში ეცხადება და ასე იკვრება ჯუდეს ცხოვრების ერთი ნაწილი. სწორედ ეს

ხილვა განუცხადებს მას ყოფიერების დაფარულ საზრისს და ყოველ ჯერზე ცხოვრების გაუგებრობის აბსურდის ერთგვარ „ნაშლა-განეიტრალებას“ ახერხებს.

9. ყოფიერების ნიაღში მოქმედი სიყვარული

თემურ ბაბლუანმა ასახა არა აბსურდის აბსტრაქტული სახე, როგორცაა ის ბეკეტისა თუ კაფკას სამყაროში, არამედ ცხოვრება მთელი თავისი ტკივილით, თავისი კონკრეტული ფაქტების მწარე შეგრძნებებით. იქ, სადაც ადამიანის გონება სრულიად უძლურია აღიქვას აბსურდის შემზარავი სიმართლე. ამიტომაც მახსენდება კამიუს, სარტრის, თუ სხვა ეგზისტენციალისტების მიერ სოკრატეს სენტენციის **„შეიცან თავი შენი“** გადაფასება, რომელსაც კამიუ უწოდებდა უნაყოფო თამაშს დიდ თემებზე.

ამიტომაც ცხოვრების აბსურდში, ამ მწარე სიმართლეში მყოფი რომანის ეს პერსონაჟი ამბობს თავისი ცხოვრების მისამართით:

„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩემ განვლილ ცხოვრებაში მარტო განცდებით მივიღე მონაწილეობა, და სხვა დანარჩენის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს“.

უნამუნო ერთგან წერდა: **„თუ შენ არ გრძნობ ტკივილს, ეს იგივეა, რომ შენ არ არსებობ“.**

ჯუდე ხომ მხოლოდ ტკივილის მეოხებით გრძნობს ყოველთვის თავისი არსებობის სინამდვილეს.

მანუშაკა ბრმა შემთხვევას ემსხვერპლა, მისგან კი დარჩა მისი შვილიშვილი. ჯუდეს მთელი ძალისხმევა მომავალში იქითკენ იყო მიმართული, რომ მას კარგი აღზრდა და საუკეთესო განათლება მიეღო.

ჯუდემ მაღალ გორაკზე დაასაფლავა მანუშაკა. მაგრამ თავის „ბოლო სიტყვაში“ თავის მიერ შესრულებულ ფერწერულ ტილოზე, მან ერთ მხარეს მზე, მეორე მხარეს კი მთვარე დახატა, ხოლო შუაში, გორაკის ქვემოთ – პურის ყანაში, – ყოფიერების შუაგულში დააყენა თავისი დიდი სიყვარული – სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლო – იდუმალი ძალა – მანუშაკა, რომელსაც იასამნებით ამოქსოვილი ჟაკეტი აცვია. და მაინც, ეს ის კოსმოსია, რომელიც ადამიანის მშობლიური სახლია, რადგან მისი მანათობელი მნათობები – მზე და მთვარე, ქართული ხალხური ფოლკლორის ანალოგიით დედა და მამაა ყოველი კაცისა.

„ლიტერატურული საქართველო“,
№ 22-23, 2022 წ.

სამშობლო, როგორც ბედისწერა

ღმერთო, ნუ მომკლავ სიბერით და ავადმყოფობით,
გზად მიმავალი მომკალი სადმე:
– მეგონოს, სადღაც მივდივარ და აქ არ ვმთავრდები...

ვახტანგ ხარჩილავა

„ლიტერატურაში წიგნების რაოდენობით არაფერი მტკიცდება. შეიძლება რამდენიმე ლექსში ან იქნებ რამდენიმე სტრიქონშიც კი აენთოს უჩვეულო ცეცხლი, რომელიც ალღობს მღუმარების ყინულს და შთამომავალს სიცოცხლის ცისარტყელად გადაეცემა“ – შენიშნავს ქართული ესთეტიკური აზროვნების მეტრი, ბატონი სოსო სიგუა ან ნეტარხსენებული ვახტანგ ხარჩილავას შემოქმედების ანალიზისას ადრეულ წერილში „სიტყვა როგორც ბედისწერა“.

„ვახტანგ ხარჩილავა ისევ მიუბრუნდა ბუნებრივ განცდებს, – განაგრძობს იქვე, – სიცოცხლეს, ცხოვრებას, პიროვნულ ემოციებს... ეს იყო ხელახლა გადმოსროლილი პაროლი – „დაბრუნება მიწასთან“. მიწისადმი ერთგულება მსჭვალავს მის ძლიერ, თავისთავად პოეზიას. ის დიდად არის დავალებული ტრადიციებისაგან, წინაპართა თქმული სიტყვისაგან, რადგან მთავარია შექმნა ლექსისა, რომელიც არის მღელვარე სულის დოკუმენტი, და არა რითმის, ალიტერაციის ან ორიგინალური აზრის ძიება... ვახტანგ ხარჩილავს ლექსთა ლირიზმი ნიავის ფრთებით კი არ გველამუნება, არამედ ქარიშხალივით გვარყევს, იგი წვდება ჩვენს სულიერ ქვესკნელს, იდუმალ ძაფებს, გვაღვიძებს, გვიფხიზლებს პიროვნულ განცდებს. ახლობელს უფრო გვაყვარებს, დაშორებულს გვაახლოებს, გადავიწყებულს აღგვიდგენს. სტრიქონებს მოაქვთ ელექტრონული მუხტი, ინვევენ აგზნებას, კი არ გვანყნარებენ, გვაშფოთებენ, სიცოცხლის ჟინით გვწვავენ, ზოგჯერ ყველაზე ახლობელ ადამიანსაც ისე მოგვანატრებენ და იმგვარ ფიქრებს აღგვიძრავენ, რომლებიც იქნებ არც გვწვევია... ვახტანგ ხარჩილავა არაა სმენის პოეტი და არცა ცდილობს ლექსის მუსიკად ქცევას, არც საგნის არსი, მისი ინტელექტუალური განსჯა და ანალიზი აინტერესებს. იგი ყოფიერების დრამატიზმს, სიცოცხლის ძალას გვაგრძნობინებს. მიტომაც ამეტყველებს საგნის ემოციურ სულს, რომელიც განგაშის ხმებად ეცხადება ჩვენს ფანტაზიას. მასში თითქოს გადმოდის სამყაროს ჟრუანტელი, ნვიმად, მდინარედ, ვარსკვლავებად, მიწის ლელვად წამოსული: მისი განსჯა, მღელვარე სულის ღაღადისი, ცხოვრებაზე დაფიქრებული კაცის სიტყვაა, რომელიც ცდილობს სიბრძნისა და ბრძოლის სულისკვეთების შეხამებას... სტრიქონები ნაპირმორღვეულ მდინარეს ჰგვანან, გაზაფხულის ნვიმებით, თოვლის ნადნობი წყლებით ადიდებულს, რომელიც კალაპოტს კი არ მისდევს, არამედ სტიქიურად ჩვენს თვალწინ კვეთს ახალ სადინარს... იგი სიმსუბუქის, „თამაშის“ წინააღმდეგია და აინტერესებს იმის გამჟღავნება, რაც წარმოშობს კონფლიქტს სულსა და მატერიას შორის, „მესა“ და გარემოს შორის... ცხოვრების ჯანსაღი და მკაცრი განსჯა გზას უხსნის მონოლოგს, მღელვარე ფიქრებს... ფიქრობს ცხოვრების უსაზღვროებაზე, მარადიულ ვნებებსა და ტკივილზე, ღაღადისა და ოცნებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ლაპარაკობს გრძნობებზე გრძნობების ენით. სულში გაივლიან სინამდვილის ქრელი ტალღები, რათა სტრიქონებში, როგორც ეკრანზე, აღიბეჭდონ და ზედ შეატოვონ პიროვნების სისხლი და ხორცი. ქვეყნად რაც კი კარგი რამ დაწერილა, დაწერილია სისხლით, ხოლო სისხლი ეს იგივე სულია, წინაპართა მსოფლიოს სუნთქვა, ჩვენ რომ გვაერთებს მიწის გულთან და დაუსაბამო დროსთან, ბნელში დაძრულ ათასწლეულებთან. ჰპოეტის ოცნებაა, გადარჩეს ეს ყველაფერი, ამიტომ ჰგავს სიტყვა ნოეს კიდობანს...“

როგორც იტყვიან, უკეთესად შეუძლებელია ითქვას. ბატონი სოსო სიგუა ერგასი წლის სიმორიდან თუნდაც კონტურების სახით ღანდავს ვახტანგ ხარჩილავას პიროვნებაში მონუმენტურ ფიგურას, რომელიც მიბმულია სამშობლოს სატკივრებს, ქვეყნის აღმართ-დაღმართებს, მის სადღეისო და სამომავლო პრობლემებს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის ფენომენს. ამიტომაც თავს უფლებას ვანიჭებთ კრიტიკოსის წერილის სათაურში ერთგვარი კორექტივი შევიტანოთ ამ უნივერსალური პიროვნების უმთავრესი მახასიათებლის დასადგენად და თამამად განვაცხადოთ: **ვახტანგ ხარჩილავასთვის უმთავრესზე უმთავრესია – სამშობლო, როგორც ბედისწერა.** თუ



რატომ, ამის საილუსტრაციოდ მისი ერთი შედეგის მოშველიებაც იკმარებს (იხ. წინამდებარე ჟურნალის 57-ე გვერდი).

დიახ, სამშობლო, როგორც ბედისწერა!

ვახტანგ ხარჩილავა სამეგრელოში, შეუდარებელ წალენჯიხში დაიბადა, 1948 წელს. მას ადგილობრივები ლაკადასაც ეძახიან, მაგრამ ამ შეუდარებელი მხარისთვის ნიშანდობლივია ერთ ალუნერელი თავმდაბლობა და ამავდროულად ლამის უმაგალითო თავდადება პატროფილური განცდებისადმი.

მისი სოფელი ობუჯი, გამორჩეულია ქიაჩის ეკლესიით. ქიაჩი ძელიცხოველს ნიშნავს დიდი ლექსიკოგრაფსა და პოეტის, ნეტარხსენებული ალიო ქობალიას მიხედვით, იგივე ილორს, ხოლო ხარჩილი, ხარჩილავები მისი მსახურები, მისი მეცხოვრენი იყვნენ ოდითგანვე. ამ ეკლესიის სახელს დაესესხება ფსევდონიმად დიდი ლეო შენგელია. ვახტანგის სულს ბავშვობიდანვე აპოხიერებდა ბერმუხა ტარიელ გოლუას უდრეკი ბუნება, პროტოტიპად მისივე კარის მეზობელი ლევან მესხია რომ ჰყადა.

უნივერსიტეტში ფოლოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. იყო ლიტერატურული გაერთიანება „პირველი სხივის“ აქტიური წევრი.

უფროსი ძმები კინემატოგრაფისტები ჰყავდა ვახტანგს და მის შემოქმედებასაც ნალად დააჩნდა ამბის ხატოვნად გადმოცემისკენ მიდრეკილება.

იყო ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი.

სიყვარულით დაოჯახდა. მშვენიერმა ფილოლოგმა მეუღლემ ქალბატონმა თამარ ბერძენიშვილმა ქალ-ვაჟი შესძინა. მასსავით ტყუპი შვილიშვილები ეყოლა ვაჟისგან, ასული – ქალიშვილისგან.

წარმატებულად გამოსცემდა იშვიათ სერიალს „შერისხულნი“.

რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთს „მესამე ნაპირი“.

„მხედრიონის“ მძვინვარების პერიოდში, განსაკუთრებით სამეგრელოს მრავალგზის დაწიოკების შემდეგ („მხედრიონს“ ერთადერთ წალენჯიხაში გაუწიეს გააფთრებული მასშტაბური წინააღმდეგობა, ლამის ბუნაგში მომწყვდეული ჯაბა იოსელიანი საკაცეთი გამოარიდეს „ბრძოლის“ ველს, ხალხის რისხვას). ქვეყნის მომავალზე მოფიქრალმა ძალამ ვახტანგ ხარჩილავა ერთხმად აირჩია საზოგადოება „სამეგრელოს“ თავმჯდომარედ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირში წლობით დაგროვილი ბალასტის საპირწონედ, როცა ქართველი კალმოსნები ლამის ხიზნებს დაემგვანენ ნაცმოდარობის ხელდასხმული „მწერლის სახლში“. სინამდვილეში ე. წ. მეთავისუფლეთა ინტერესების დამცველ კასტას მწერალთა შემტვენი ფრთის „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დამფუძნებელია, მწერალთა ფონდის შექმნის იდეის ავტორი და ინიციატორი.

და მაინც, ვახტანგ ხარჩილავა სახელმწიფოებრივად განონასწორებული პლატფორმის, ყოველივე ეროვნულის უმაღლეს რანგში ამყვანი პერიოდიკის „საერთო გაზეთის“ შემოქმედი და მეცენატია.

განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში იძენდა ვახტანგ ხარჩილავას „საერთო გაზეთი“ შეუვალ, ზეპატრიოტულ ძალისხმევას საზოგადოების ყველა იმ მტრის წინააღმდეგ, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას კოლოსალური მატერიალურ-ზნეობრივი ზიანი მიაყენეს შინ თუ გარეთ.

გაზეთი დაუფარავად ებრძოდა „ქართული ოცნების“ წიაღში მოკალათებული მეხუთე კოლონის წარმომადგენლობის ძირგამომთხრელურ საქმიანობებს, ეს უწინარესად შეეხებოდა ყბადაღებულ პრემიებს, თუ სხვა მერკანტილურ პოზიციებს, იმ გაუბედაობის სინდრომს, კოჰაბიტაციის გაუგონარ ექსპერიმენტს რომ მოჰყვა: ურთიერთ სანინააღმდეგო ძალები ქვეყნის მმართველობისას ერთ მაგიდასთან დასხეს, ერთ აღმართს შეუყენეს, სადაც „ოცნებელების“ აღმა ხნულს, მათხრებელი ნაცები დაღმა ფარცხავდნენ. საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა ეს ადაპტაციის პროცესი. ბევრი ანთებული გული ჩაითრია ამ მუტაციამ, მაგრამ საბოლოოდ სამართალმა პური სჭამა, როდესაც პარლამენტმა სერვილური სინდრომი თავიდან გადაიგდო, ხოლო პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა **ირაკლი ლარიბაშვილმა** სამოქმედო პროგრამად დაუსახა ქართველობას: **დიახაც, სახელმწიფო ეს არის ქალისა და კაცის ურთიერთობებით შექმნილი ოჯახების ერთობა.**

„საერთო გაზეთს“ არასდროს გამორჩენია ყურადღებიდან „ევროპის სახალხო პარტიის“ გამოხდომების გაშიშვლება. ამ ყველაფერს პრემიერ **ბიძინა ივანიშვილის** ღრმა ანალიტიკურ წერილში აეხადა ფარად, მაგრამ ბოლო პერიოდში, უკრაინაში ხელოვნურად აგორებულ ძმათამკვლელ ომში საქართველის შეტყუება, რომ ვერაფრით მოახერხა ე. წ. „ნაციონალურმა“, სინამდვილეში პროფაშისტურმა კასტამ, აქ უკვე გრდემლზე ნაჭედ რკინასავით გამოიკვერა ჩვენი ქვეყნის უმთავრესი მეოხის, – ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური, ქველმოქმედური თუ ადამიანურიუ სახე. გაზეთის თითოეული ნომერი მთელი სიმძაფრით ამხელდა და ამხელს დღემდე უკრაინის სათათბიროებში მოკალათებული საქართველოს დაუძინებელი მტრების, საქართველოს მიერ სახელმწიფო დამნაშავეებად გამოცხადებული ხალხის გადაგვარებულ სახეებს და ჩვენი სამშობლოსთვის საზიანო ნიავის გაფაჩუნებასაც კი უპასუხოდ არ ტოვებდა.

ძნელია ვახტანგ ხარჩილავას, როგორც პუბლიცისტს, ანალოგი მოუძებნო ჩვენს თანამედროვეობაში; გავკადიერდებით და მონინებით ვიტყვი, იქნებ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებულ ილია ჭავჭავაძისგან იღებდეს იგი სათავეს.

მართალია, ვახტანგ ხარჩილავა ჩინებული პოეტი იყო, არის და იქნება; მართალია, მის ლექსებს უცილობლად უწერიათ ერის საგანძურში სამარადისო სუფევა, მაგრამ გაცილებით ტევადი და საზოგადო უღერადობისა ქვეყნის საზრუნავით ცხებული მისი პოლიტიკური პლატფორმაა.

დიახ, სამშობლო, როგორც ბედისწერა!

დიახ, მამული, როგორც საჯილდაო ქვა და ეშაფოტი!

დიახ, სიტყვა და საქმე, როგორც ურთიერთ განუშორებელი ეტიმოლოგია უზენაესი ღმერთისა, ვინაც წარმართავს ყველა სულიერს, ნაწილს თუ მთელს, ბოროტს თუ კეთილს, ზოგად-კაცობრიული ფასეულობების საზეიმოდ.

კურთხეულ იყოს ვახტანგ ხარჩილავას ზეკაცური მეობა ქართველი ხალხის საუკვდავოდ, ქართველი ხალხის სამარადისოდ დროსა და სივრცეში!

დაე, მსუბუქი იყოს მისთვის მშობიური მინა, რომლისთვისაც ზეზეურად ეწამა იგი!

**საქართველოს მწერალთა
ეროვნული აკადემია**

გელეტრისტული ტრიბუნა

ართოქოლიანი მსოფლიოს აგონია

წერილების ციკლი საქართველოს ყველა დროის გმირის –
ბატონ ბიძინა ივანიშვილის სულიერი პორტრეტისთვის

(წერილი პირველი)

საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება

აქვთ რომაელებს ამისთანა სენტენცია: **ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდესო.** „ქართულმა ოცნებამ“ ცხადია, ჩინებულად უწყოდა ამ ფრთიანი გამონათქვამის შესახებ, მაგრამ იგი ჰგავდა ერთი ანეკდოტის პერსონაჟს, დათვს რომ დაიჭერს და ომახიანად აუწყებს ამხანაგს ამის თაობაზე. ის მეგობარი, მოიყვანეო, ეუბნება და ესეც აქედან: არ მიშვებსო, ეხმიანება დათვის დამჭერი თუ ტყვე.

„ქართული ოცნება“ „ვროპის სახალხო პარტიის“, ამერიკელი კონგრესმენების, დიპლომატიური სამსახურების, სავალუტო თუ სხვა ფონდების, ძირგამომთხრელი არასამთავრობო სექტორის ზენოლით ვერაფრით ახერხებდა თავზე სამარცხვინოდ მოხვეული კოჰაბიტაციის მაგნიტური არედან გამოსვლას. წარმოგიდგენიათ, მას უნდა შეეწყნარებინა, მეტიც – ადგილებზე უნდა შეენარჩუნებინა პარტიული ოპონენტის კადრები, ამ დროს ერთგული ამომრჩევლები, რომელთაც უკანასკნელი ლუკმა გაიღეს მის გასამარჯვებლად, პირში ჩალაგამოვლებული უნდა დაეტოვებინა. აი, ამ არსებითი მომენტის გამოა რომ ვერაფრით ღებულობს „ქართული ოცნება“ სათანადო პროცენტებს არჩევნებისას ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში. ჩვენ ხშირად როყოფდით შევძახებთ ხილმე ელექტორატს, რატომ თანაუგძნობთ პირსისხლიან „ნაციონალებს“ და რისთვის არ გვემხრობიან ჩვენ, ქვეყნისთვის მოფიქრალ „ოცნებელებსო?“ მაგრამ ხალხი ხალხია, მერკანტილური, ზვიადისთვის თავგადაკლული სამურზაყანოელები სოხუმის დაცემისას, პრეზიდენტ გამსახურდიას გალში ჩატარებული მიტინგის შემდეგ გულდამშვიდებულები ადგილებზე დარჩნენ და რამდენიმე დღეში მშობლიური ეზო-კარი ნაუცბადევად დასატოვებელი რომ გაუხდათ, ეგრევე შევარდნაძის მიმდევრებად იქცნენ.

„მგელია, მგელის“ ძახილს დიდი ხანია მიეჩვია საზოგადოება. არის ქრიტეს ერთი რენესანსული ფერწერული ტილო, სადაც უამრავი სამსჭვალათაა ვნებული მისი სხეული, სახე კი სრულიად მშვიდი აქვს, უემოციო. გიდმა განმარტა: იმდენად მიეჩვია ტკივილს, რომ უკვე სიმწარეს ველარ აღიქვამსო. იგივეა კრამერის ფილმში **„დალოცეთ ბავშვები და ცხოველები“**. ფილმი რეზერვაციაზეა, სადაც შეძლებული მამები ადგილზე ხოცავენ ბიზონებს. მათი შვილები კი შეეცდებიან ამ ცხოველების რეზერვაციიდან განდევნას, მანქანით – ხმაურითა და შაშხანის სროლით გამოენთებიან. ცხოველები გაანგრევენ მავთულხლართს, გადაივლიან რამდენიმე გორაკს, მაგრამ მალე გაჩერდებიან, რადგანაც წართმევიან სიცოცხლის ჟინი, მიეჩვივნენ საკუთარ სისხლში ჭყუმპალაობას. დაახლოებით მსგავსი განცდა დაეუფლა მოსახლეობას წლების განმავლობაში „ნაციონალების“ დანაშაულებრივი ბრალდებების ფრიალით, როცა ამ ფარატინა დეკლარაციებს მართლმსაჯულების აღსრულების ადეკვატური ღონისძიება არ მოსდევდა: მერემდენე წელიწადია 1000 მწერალს საკუთარი შენობა არ უბრუნდება; არ მიეცემა დროებით სარგებლობაში დევნილ მოსახლეობას მიწები, როცა ვინ იცის, რა ჯურის ხალხზეა გასხვისებული ჩვენი საავარგულები; ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და, აი, მოვიდა ხელისუფლებაში მტკიცე ხელის პიროვნება პრემიერ-მინისტრის, ბატონ **ირაკლი ლარიბაშვილის** სახით და **საქართველოც დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება.**

„ნაცმოძრაობის“ ლობისტების მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავს მოხვეული კოჰაბიტაცია, მართლაც, დამანგრეველი ბაცია აღმოჩნდა, მაგრამ საბედნიეროდ ეს ვირუსი ბოლომდე ვერ მოიერია მის სხეულს. კი, ბევრს აურია დავთრები, ბევრს ფერიც შეუცვალა და ზნეც, მაგრამ ძირითადი ბირთვი სიცოცხლისუნარი გამიდგა და ახდა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ნაწინასწარმეტყველები: **მე წავალ აქტიური პოლიტიკიდან, მაგრამ ნაცადი „ოცნებელები“ ადგილზე დარჩებიან და ისინი საქმეს ბოლომდე მიიყვანენო.**

დიახ, საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება. საქართველომ დროთა ვითარებაში თავიდან გადაიგდო კოჰაბიტაციის დამანგრეველი უღელი. თამამი გადანყვეტილებით გამოვიდა მიშელის ანტიკონსტიტუციური კაბალიდან. ქვეყნის საზღვრებმა სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა. მართლმსაჯულება სახელმწიფო სამსახურში დგება. ეს დიდზე დიდი მონაპოვარია დროის უმცირეს მონაკვეთში. და მაინც ადგილობრივ არჩევნებში ბევრ ქალაქში II ტურის ჩატარება საჭირო გახდა.

დავინწყით ზუგდიდიდან. აქ „ნაციონალებს“ ერთგვარი წარმატება ჰქონდათ ტრადიციულად, ვინაიდან ყოფილმა რეჟიმმა დიდძალი ფულადი რესურსები დააბანდა სამეგრელოში (გავიხსენით „ვარდების რევოლუციის“ დროს სამეგრელოს აქტიური მონაწილეობა თბილისისკენ დაძრული „იკარუსების“ კოლონით. ამას მაშინ შევარდნაძის აღვირახსნილი კორუმპირებული ხანის მიმართ სიძულვილი, ენგურჰესზე 17-18 თვის ხელფასის გაუცემლობა და კიდევ ენერგიული, ახალგაზრდა ლიდერის დედით მეგრელობა განაპირობებდა. ჩვენ ეს აქილევსის სინდრომად გავაცნობიერეთ მოგვიანებით. აქილევსი დედით კოლხია, ნიმიფა თეტიასა და ბერძენი პელევსის ძე. აქილევსის და მისი ყაიდის – მეტისური წარმომავლობის ფენის განწყობილებაზე ბევრადაა დამოკიდებული ტროას ბედ-ილბალი. აქილევსი და მისი მირმიდონელი მეომრები აქტიურად არ მონაწილეობენ ტროას დაქცევაში, რადგანაც დედით ნათესავები არიან. მაგრამ, როცა აქილევსის აბჯრით აღჭურვილ პატროკლეს ტროას ბურჯი ჰქეცორი განგმირავს, აქილევსის აქამდე ლოიალური დამოკიდებულება დედისიანების მიმართ უმალ შეიცვლება და აი, სწორედ ამ ნეიტრალური ძალის აქტიური ჩართვით ილიონის კედლებიც საბოლოოდ დაეცემა.

ჩვენთარ როგორია საქმე?! ზუსტად დედისიანებს დაერევა ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ბედის ნებიერი მესვეური. დიახ, დედისიანებს და არა მამისიანებს. აი, რას ვერ აცნობიერებენ „ნაციონალების“ ბრმად მომდევარი ათასები. აი, სად მოიკოჭლებს „ქართული ოცნების“ აგიტაცია და პროპაგანდა!

ზუგდიდში ადგილობრივი არჩევნების I ტურში „ნაციონალებმა“ ერთგვარ უპირატესობას მი-აღწიეს ზემოთ თქმულის წყალობით და კიდევ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საარჩევნი სივრცეს მიზანმიმართულად ჩამოშორებული იყო სამეგრელოში ჩავლილი სამი არჩევნების ნამდვილი გმირი, **ლაშა გვასალია.**

ერთ ნიშანდობლივ მაგალითს მოვიშველიებ, როცა ყოფილი პირველი ლედი მაჟორიტარობაზე კენჭს იყრიდა, იგი კარდაკარ დაიარებიდა ზუგდიდ-ქალაქში, სოფლად: **„მუ რე ჩქიმ მარგალეფ, დარჩაგრესო ყვინგ მიკატახილ „ოცნებელეფქ?! მუთუნშა ვაგაშკურნან, მალას ქუმურთ დო გოძირანთ უკულ თინეფიმ თოლსერს!** (რა არის ჩემო მეგრელებო, დაგჩაგრეს კისერმოსამტერევემა „ოცნებელებმა?“ ნურაფრის გეშინიათ, მალე მოვალთ და გაჩვენებთ მერე იმათ სეირს!) ასე ეპაჭკვალებოდა მეგრულად ნიდერლანდელი პრიმადონა მოსახლეობას და ზუგდიდელ სადი-აცოს მოხიბლვასაც მეტი რალა უნდოდა?! სხვადასხვა გამოკვლევებით სანდრას რეიტინგით რე-გიონში 70 პროცენტს აჭარბებდა. და, აი, მაშინ დაუტრიალდა ლაშა ყოფილი პირველი ლედის ნიგნს **„იდეალისტის ნაამბობი“** (2005), სადაც ასეთი გამაოგნებელი ფრაზა აღმოუჩინა ავტორს: **ჩვენს ეროვნულ გმირს ზვიად გამსახურდიას და ჯაბა იოსელიანს ერთ რეგისტრში განიხილავდა, ორივეს ბანდიტს** ეძახდა. დაუბეჭდა პლაკატი ლაშამ ჩვენს მომეგრულე ჰოლანდიელს და მისი მაჩვენებელიც უმალ 20 პროცენტამდე ჩამოხეხრეკდა. ეს დაემართა რულოვსს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა ზუგდიდლებისთვის იშვიათი სტუმარი, მედიკოსი **ანზორ მელია?!** აი, ამისთანა პროფესიონალი განგებ თუ შემთხვევით ჩამოშორებული იყო საარჩევნო სივრცეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მიუხედავად ყველაფრისა ლაშამ მაინც მოახერხა ინდივიდუალურად ერთ სოფელში, კოკიში, სრული გამარჯვება მოეპოვებინა „ქართული ოცნების“ კანდიდატს. ვაუნყე ამის შესახებ ხელდასხმულ ხალხს საარჩევნი ცენტრში და ვნახოთ როგორ წარიმართება საქმე II ტურში ზუგდიდ-ქალაქში.



ახლა შევხედოდ თბილისს. **ნიკანორ მელია** ჰოლივუდის მსახიობივითაა გამოჭიმული მეტროპოლიტენის 23-ივე სადგურის ორივე მხარეს ელექტორატის დამშოკავი ბილბორდით: თბილისელ პენსიონრებს 100 ლარის დანამატს აძლევს; 100 სტუდენტს ჰპირდება უცხოეთის უნივერსიტეტებში გაგზავნას (როცა მოქმედ მერს, ბატონ **კახა კალაძეს** 400 სტუდენტი უკვე გაგზავნილი ჰყავს ამ სივრცეში სწავლა-განათლების მისაღებად). დაბოლოს, უფასო კვებას ჰპირდება თბილისის 287 საჯარო სკოლის 194 110 მოსწავლეს. ამაზე ითქმის, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ერთი, მოხდეს სასწაული და ნიკანორი მართლაც მოგვევლინოს თბილისის მერად, და აქაური პენსიონრები 100-100 ლარის დანამატით დააკმაყოფილოს, ხომ თვალსა და ხელში დაგვენგრა ძლივს სახელმწიფოებრივი ფუნქციით აღჭურვილი ქვეყანა?! მოაწყდებიან პენსიონრები დედაქალაქს საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთ-სამხრეთიდან და მშვიდობით უზრუნველო ცხოვრებავ! იგივე სურათია მოსწავლეების უფასო კვებასთან დაკავშირებით 170 დღის განმავლობაში. საკითხავია, საიდან მოახერხებს საამისოდ ნიკანორი 329 987 000 ლარის შოვნას?! მსგავსი რამ ხომ თვით მეფისტოფელისთვისაც მიუწვდომელი ტრიუკია?! მაგრამ აქ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღმზრდელ-მშობლებისა და გონებადაუნჯებული პენსიონრების წინაშე საარჩევნო ფახიფუხადაა ყველაფერი აგორებული! არ ჭამენ თბილისელები ამისთანა ფეხმოკლე ბლევს.

ჩვენ პირველებმა დავაფიქსირეთ „რუსთავი-2-ის“ ლოგოსა და ტროას ცხენის იდენტიურობა. აკი, დალასის დიქტონიდან გაგვიცნობიერებია მათი მთავარი ბასტიონების შესახებ: **ეუფლე ოქროს პრესას და მედიცინას.**

„ნაციონალები“ სულაც არ არიან ყეყეჩები, როგორც ეს ზოგიერთს წარმოესახება, ისინი პროფესიონალები გახლავან ნებისმიერ საქმეში, დაახლოებით ისეთივენი, როგორებიც იყვნენ ხაკიმუნდირიანი ესესელები, ადამიანებს რომ დახვრეტდნენ და შემდგომ შოპენის თუ მოცარტის დაკვრით იტკობდნენ სულს.

ჩვენ პირველებმა შევნიშნეთ ქუთაისში გადასროლილი პარლამენტის შენობის იდენტიურობა **ეგ-ზიუპერის „პატარა უფლისწულის“** ნახატთან, რომელიც გარეგნულად ცილინდრს კი ჩამოჰგავს, მაგრამ სინამდვილეში სპილოს გადამცლაპველი მახრჩობელაა, ამ შემთხვევაში – ქართველობის, საქართველოსი „ნაციონალური“ – გაურკვეველი ეროვნულობის ანტიადამიანური ძალის მიერ.

წარმოგიდგენიათ, აი, ამ მახრჩობელა შენობაში მიბრუნებისთვის ირჯებიან პრეზიდენტყოფილი და მისი ანტისახელმწიფოებრივი საქმო დღესაც.

სიონის ეკლესიასთან „ნაციონალების“ მიერ მტკვარზე დრაკონის აღნაგობის ხიდი მართლმადიდებლობის შესამუსვრელადაა გადებული.

არქიტექტურულად თითქოსდა მიმზიდველი იუსტიციის სახლის სახურავი ლოტოსის ფოთლებითაა გადახურული, რაც ეროვნული ფასეულობების იავარქნის საწინდრადაა ჩაფიქრებული მანქურთი „ნაციონალების“ მიერ. საბედნიეროდ ეს ყველაფერი გაცნობიერებული აქვს „ქართულ ოცნებას“ და მიზანმიმართულად ღებულობს სახელმწიფოებრივ გადანყვეტილებებსაც:

- პარლამენტი დაბრუნდა დედაქალაქში, ისტორიულად განკუთვნილ ადგილას;
- გადაშენებულია ადრე კანონად ქცეული ბიზნესის რეკეტი;
- მომსპარია წინათ ცხოვრების წესად დამკვიდრებული ოპონენტის სიცოცხლის ხელყოფა.

დიას, საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება, არ მერიდება ამისი ხმამაღლა თქმა, ქარაზული ლიდერების (პოზიტიური გაგებით) – **ირაკლი ლარიბაშვილის, თეა წულუკიანის, ირაკლი კობახიძის, კახი კალაძის თუ სხვათა სახით**. რაც შეეხება ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, ჩვენ იგი ყველა დროის 10 ზელირსეული ქართველის შემადგენლობაში შეგვიყვანია და „საქართველოს ლობის“ ნდობის მანდატიც მიგვინიჭებია სიმბოლურად. ამართლებს თუ არა ამ ნდობას, თავად განსაჯეთ.

თვეების წინათ პლაკატი გავამზადე ბატონ ბიძინას სახელზე და სანდო ხელით მიუზღვანე. გთავაზობთ ამონარიდს:

„ბატონო ბიძინა, ჩვენს პრეისტორიულ სამშობლოში, ოდითგანვე ხარობდნენ თურმე გვიმრის გიგანტური ხეები. ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას სამეგრელოში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის (დიდგვიმროვანი) სახელწოდებით. დროთა მსვლელობაში ეს გიგანტური სალოცავი ხე-გვიმრები გადაგვარდნენ, გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება! ბატონო ბიძინა, ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში დღესაც არის გვიმრის ხეები. საქართველოში მათი რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოტანა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის არ გაუჭირდება თქვენისთანა უნივერსალურ პიროვნებას. ყველაზე მთავარი ამ პროექტში სალოცავი ხე-გვიმრების საქართველოში დაბრუნებაა, რაც ფასდაუდებელი მეოხება იქნება მომავლ თაობებში ურყევი რწმენის აღძვრის, სახელმწიფოს შემდგომი შეუქცევადი აღმშენებლობის თვალსაწიერით!“

სულ მოლოდინში ვარ, ახალი ზელანდიიდან შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის ჩამოიტანენ თუ არა ხე-გვიმრის ეგზემპლარებს, რაც დიდებით მოსილი ჩვენი სამშობლოს განუხრელი აღზევების უტყუარ საწინდრად წარმომისახავს!

დიას, წლების განმავლობაში თვითდინებაზე მიშვებული საქართველო დღითი დღე თავანული სახელმწიფო ხდება!

ჭავჭავაძე და ფსევდო ოლიგარქია

(წერილი მეორე)

ბავშვმა თქვა: გამდის და ვტირივარო. ასეა ჩვენი საქმე. როდესაც პროლეტარიატის დიქტატურაზე იწერებოდა მანიფესტი, ამკარად მიანიშნებდნენ, რომ მსოფლიოში პირველად საფუძველი ეყრებოდა ახალ კაცობრიულ წესრიგს, მანამადე არნახულსა და არგაგონილს; ანუ ძალაუფლებას ხელში იღებდა პლანეტარული ცივილიზაციის ნამდვილი შემოქმედი ძალა – მუშათა და გლეხთა კლასი, იგივე უმრავლესობა, ერთი მუჭა უმცირესობის – კაპიტალისტებისა და თავმცხუნვარე ბურჟუის განზე გაჩოჩების გზით.

ახლა შევხედოთ, თუ რას ნიშნავს უმცირესობა სოციალ-პოლიტიკური ასპექტით. დღევანდელ მსოფლიოში ფაქტობრივად ეს არის საწარმოო ძალების მესაკუთრეთა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა, იგივე ოლიგარქიული მსოფლიო; ეს არის რამდენიმე ასეული მილიარდერისა და რამდენიმე ათასეული მულტიმილიონერის კასტა, რომელიც დაუფლებულია პლანეტარული ცივილიზაციის უმ-

გვიმარა



ბატონო ბიძინა!

კაცობრიობის პრეისტორიიდან ცნობილია, რომ მთელი დედამიწა დაფარული იყო გიგანტური გვიმრის ხეებით!

დინოზავრებმა გაანადგურეს ეს საფარველი, რომელსაც მოჰყვა გამყინვარების ხანგრძლივი პერიოდი და სიცოცხლის ლამის მოსპობა.

ხე-გვიმრებით ჩამოყალიბებულია ქვანახშირის საბადოები ჩვენს პლანეტაზე.

ჩვენს პრეისტორიულ სამშობლოში, კოლხეთშიც ყოფილა გვიმრის გიგანტური ხეები. ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას სამეგრელოში, ჭური-აში, დღესაც არის კუნძული **დიდგვიმარონის – დიდგვიმროვანის** სახელწოდებით. დროთა მსვლელობაში ეს გიგანტური სალოცავი ხე-გვიმრები გადაგვარდნენ, გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და ან ცელითაც ითიბება!

ბატონო ბიძინა, ზემოთ მოშველიებული ფოტო აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორის ალბომიდანაა. ისე, ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში დღესაც ხარობენ გვიმრის ხეები. საქართველოში მათი რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოტანა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის არ გაუჭირდება, ალბათ, თქვენისთანა უნივერსალურ პიროვნებას. მას სპეციალური ნაგებობაც შეიძლება დასჭირდეს გრიგალებისგან დასაცავად, მაგრამ ვგონებ, ესეც არ იქნება დიდი პრობლემა. ყველაზე მთავარი ამ პროექტში სალოცავი ხე-გვიმრების საქართველოში დაბრუნებაა, რაც ფასდაუდებელი მეოხება იქნება თქვენგან ჩვენი ქვეყნის იდეური ალორძინების გზაზე, მომავლ თაობაში ურყევი რწმენის აღძვრის, სახელმწიფოს შემდგომი შეუქცევადი აღმშენებლობის თვალსაწიერით!

გწყალობდეთ უფალი ყველგან და ყოველთვის!
ულრმესი პატივისცემით,

გური ოტობაია
მწერალი.

10. 06. 2021 წ.

ვით გულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგანინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია!
შენ მნათობის შუქი თმაში ჩაგიწნია!
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია!
შენ სიცოცხლე გრიგალებში გაგიცვლია!
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი გვიმარა?!

შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
ოდეს ზეცას მწვანედ გადაბოლავდი!

იმ საწმისზე ჩაიშანთა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოგროვების წესები,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,
სალოცავი იყავ, მარა,
დაჩიავდი გვიმარა?

მუხლი რისთვის გელუნვის,
კოლხურ ჰანგის გამგონეს,
შენ რომელიც გეყუდნის,
იმ ქარებში ჩამკონე!

გაიხსენე ხარება,
დილებს გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგული, გვიმარა!

დაბასრულ გულს მოგიშუშებს დრო-ჟამი!
ხრიოკს ისევ გაგაშროშნებს შროშანი!
ძლეულ დროშებს აღმართავენ ოჟანი!
უსულგულო, გვიმარა!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია!
შენ მნათობის შუქი თმაში ჩაგიწნია!
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია!
შენ სიცოცხლე გრიგალებში გაგიცვლია!

ვინც ცამ დაგანინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
გაიღვიძე, შემოგველე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით გულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე, გვიმარა!

გური ოტობაია,
ჟურნალი „ცისკარი“, 1981 წ.

თავრეს საარსებო წყაროებს: მინას, წყალს, (პოტენციაში ჰაერსაც), წიაღისეულ საბადოებს, სოფლებსა და ქალაქებს, გაზეთებს და ტელევიზიებს, სამუზეუმო არტეფაქტებსა და ტილო-შედევრებს. მათი ხვედრითი წილი საზოგადოებაში ძლივს 1 პროცენტია, რომელიც ფლობს ზოგადკაცობრიული განძეულობის 70 პროცენტს, ხოლო საზოგადოების 99 პროცენტი, დანარჩენ 30 პროცენტს.

აი, ვინ არიან ოლიგარქები. აი, ვის სჭირდება „კოვიდებით“ მანიპულაციები თუ რუსეთ-უკრაინის ომის ინსპირირება. აი, ვის სჭირდებოდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური სასაკლაოები; აი, ვის სჭირდება ნებისმიერი პლანეტარული აშლილობა: შიდსები, პანდემიები, რადიაციული დარღუბალა საკუთარი ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ისინიც თავიანთი ბუნების გათვალისწინებით ორად განიყოფიან, პროგრესულ და რეგრესულ ოლიგარქებად. საილუსტრაციოდ აქ გთავაზობთ ამერიკელი ოლიგარქის, **ილონ რივი მასკისადმი** გაგზავნილი ჩემი წერილის ამონარიდს:

„ბატონო მასკ, თქვენ ბრძანდებით კაცობრიობის აუხდენელი ოცნების რეალურად განმანორციელებელი. თქვენი „ტესლა“ ეკოლოგიურად წარყვნილი ჩვენი დედამიწის ერთ-ერთი უალტერნატივო ხსნაა, ჯერ-ერთი ასე მუხანათურად და ბარბაროსულად მიწის წიაღიდან ამოტანილი ნავთობის შესანარჩუნებლად, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი პლანეტის არსებობისათვის აუცილებელი ენერჯიაა, სისხლი; მეორე – ჩაესვენება ატმოსფეროში მომწამვლელი გაზების მანქანებიდან გამოფრქვევა, რაც აგრერიგად აჩანაგებს ჩვენს ფაუნასა და ფლორას, სპობს ადამიანებს სხვადასხვა პრობლემით. ამ დროს ბაიდენი „მთვლემარე პრეზიდენტი“ კი არა, უკვე დრომოჭმულის და ანტიკაცობრიულის ტოტალური მავნებლობის მარაზმული ლობი-ხელისუფალია, სიკვდილის ლობი, რადგანაც ჩვენი პლანეტის საზიანო კორპორაციებს და მიმართულებებს მიკერძოებით უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ბატონო მასკ, ჩვენც, ქართველებსაც გვაქვს გამოგონებული ფანტასტიკური პრეპარატი „ბიორაგი“ (ავტორი – ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე). იგი ჩვენი პლანეტის გადარჩენის ეჭვმიუტანელი გზაა. მისით დამუშავებული მცენარის თესლიდან აღმოცენებული ბოსტნეული, მარცვლეული, ხეხილი, 10-ჯერ, 100-ჯერაც პროდუქტიულია; მის მიერ მოცემული ნაყოფი აბოლუტურად უვნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, პირიქით, სპობს ონკოლოგიურ თუ სხვა პრობლემებს, ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს. „ბიორაგით“ ნასაზრდოები მცენარის ვარჯი წარმოუდგენლად სმირი და ვრცელია, გამოყოფს დიდი ოდენობით ჟანგბადს და ასევე შთანთქავს ბაიდენის მიერ ლობირებული ავტომობილების გამონაბოლქვს. ეს არის სრული გარანტი დედამიწის 1⁰ დათბობით შეშინებული გლობალისტების საყურადღებოდ, რადგანაც მსგავსი რამ იხსნება დღის წესრიგიდან – „ბიორაგით“ აღმოცენებული ფლორა სპობს უდაბნოებს, ქვიშას გარდაქმნის სიცოცხლის მომნიჭებელ ნიადაგად. დარწმუნებული ვართ, ბატონო, მასკ, რომ „ტესლა“ და „ბიორაგი“ ტყუპისცალი ძმები დიოსკურებივით, იხსნიან ჩვენს პლანეტას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფისაგან“.

მივწერე, მაგრამ, მერე რა?! რამდენი განუხორციელებელი „მაგრამ“ წკავენკავენს ჩვენს გარშემონერილობაში დასაბამიდან მოყოლებული დღემდე?!

ახლა დავაკვირდეთ, შეიძლება თუ არა ოლიგარქად მივიჩნიოთ მასკი? კი, ბატონო, იგი უამრავი ასპექტით ამ კლანის ტიპური წარმომადგენელია, თუმცა ამავდროულად, პროგრესული გონების ადამიანი, რომელსაც კაცობრიული ცივილიზაცია უკეთესი მომავლისაკენ მიჰყავს. აქედან გამომდინარე, საცოდაობაა მას ირონიით შოლტავდეს ჯო ბაიდენი, თავად რომ გახლავთ დრომოჭმულობის, მავნებლობის სიმბოლო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, იგი ამუხრუჭებს დედამიწის იდელების მსახურ ოლიგარქს. იგივე სურათია ბატონ ბიძინა ივანიშვილთანაც. შეიძლება თუ არა მას ეწოდოს ოლიგარქი?! მხოლოდ ნაწილობრივ, ისიც აგრესიული ოლიგარქის თვალსაწიერიდან, რომელშიც მოიპარებინა სოროსის ყაიდის „ადამიანები“. ისინი აფინანსებენ ანტიკაცობრიულ პროგრამებს, როგორიცაა: ეთნოკონფლიქტები; ვითომ თავისუფლების სახელით მოჰლავანე სექსუალური უმცირესობის ხალხი, მაგრამ გვითქვამს, პარალელურად არსებობს ჰუმანური ოლიგარქიაც, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით, ვისთვისაც ყველაზე მთავარი ფასეულობა სამშობლოა, მამულის სასიცოცხლო ინტერესების სამსახური, სიკეთის ქმნალობა, კაცობრიობის ყველაზე მართალი

რელიგიური აღმსარებლობის – მართლმადიდებლობის სადარაჯოზე ყოფნა, სამების ტაძრის აღმშენებლობა (სხვა მრავალ ათეულთან ერთად), კაცობრიობის ისტორიაში პირველად დენდროლოგიური პარკის შექმნა რამსაარის პროექტის ფარგლებში; დიახაც, მისმა ძალისხმევამ ეკოლოგიურ (და მასთან ერთად, სოციალურ-პოლიტიკურ) გაჩანაგებას გადაარჩინა კოლხეთი, 600 000 ლაზიკა ქალაქის მშენებლობის შეჩერებით ანაკლიის ტერიტორიაზე. ამ დენდროლოგიურ პარკში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმონერგილმა, მშვენიერების განსახიერება ხეებმა. ხოლო მათ მესაკუთრეებს მიღებული სახსრებით საშუალება მიეცათ ღირსეულად დასახლებულიყვნენ, ნელში გამართულიყვნენ ერთხელ და სამუდამოდ. შეიძლება თუ არა ამისთანა პიროვნებას ოლიგარქი ეწოდოს დამაკნინებელი ნიუანსებით?! ცხადია, არა! **ოლიგარქიული ფინანსური წყაროები, რომელიც მიმართულია სიკეთის, სინათლის, მშვენიერისა და ამაღლებულის დასამკვიდრებლად, ვერ იქნება ოლიგარქიული, იგი უკვე თავისი ჰუმანური ხასიათით დემოკრატიული ფულადი რესურსია და გლობალისტურ, რეაქციულ ძალებს ისლა დარჩენიათ, სასუნთქი წყაროები გადაუკეტონ მსგავს ძალისხმევებს.**

აღიარა თუ არა უმთავრეს ფასეულობად სამშობლო აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ** ონკოლოგიის მკურნალი თავად დაასწავლეს ონკოლოგიური ბაცილით, და გზიდან მოხერხებულად ჩამოიშორეს. მოკლედ, ჩვენ დავადგინეთ, რომ **დეოლიგარქია ნიშნავს ოლიგარქიული ფულადი რესურსები გაუყინო მაგნატს, რომელიც ამ თანხებს პროგრესულ პროექტებში აბანდებს – მასკს ეკოლოგიურად უსაფრთხო „ტესლას“ ელექტრომანქანების წარმოებისთვის; რამაზ გახოკიძეს გასაქანი არ მიეცეს დედამიწის გადამრჩენელი „ბიორაგის“ მასობრივად დანერგვის გზაზე; ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მეურვეობისათვის შლაგბაუმი აღემართოს, რომელიც ზნეობრიობის მარგალიტია მთელს პლანეტაზე.**

გლობალისტები ქვემარტ ოლიგარქებად ვარაუდობენ იმ მილიარდერებს და მულტიმილიონრებს, რომლებიც მსოფლიოს სთავაზობენ ანტიკაცობრიულ პროექტებს: შიდსს, კოვიდს, გენმოდირიცირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, გამოცდიან ატომურ ენერჯიას ნევადაში, სემიპალატინსკში, ინვევენ საზოგადოებრივ აშლილობებს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი კონფლიქტის სახით, სირიასა და ირანის, კოსოვოსა და სერბეთის, ავღანეთისა და ერაყის გაუგონარ კაცთაჟლეტვებს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ; აფინანსებენ პორნოგრაფიას და პროსტიტუციას, ამკვიდრებენ უგემოვნებას და გამოყეყეჩებას „საბას“ პრემიერებულ „მწერლებით“, ამუხრუჭებენ ქვემარტ ცოდნას და სანაცვლოდ აწინაურებენ უნიჭობა-უვიცობას.

ეს ყველაფერი კარგად აქვს დანახული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პოლიტოლოგიის დოქტორს, ბატონ **ზურაბ ხონელიძეს** წიგნში **„ქართული მშვიდობის პარადიგმა“**. მისი მიზანია განათლების პროფანიზაციის მკაცრი მხილება ქვემარტი, გონიერი შემეცნებითი ატმოსფეროს შესაქმნელად მოზარდ და სტუდენტ-ახალგაზრდობაში, რომელიც დროთა ვითარებაში უნდა მოგვევლინოს პოლიტიკური ბრძოლის ავანგარდად.

აი, როგორი აღმოჩნდა დეოლიგარქიის ნამდვილი არსი. ყველაფერი ეს ნათლად დაგვანახებს ევროკავშირის 12-პუნქტიანი ზოღიაქოს კაპრიზებს, რომელიც ევროპის „სახალხო პარტიის“ მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავსმოხვეული მორიგი კოჰაბიტაციაა. კოჰაბიტაცია-1-მა ვერ უშველა დანაშაულებრივი „ნაციონალური“ კლანის რესტავრაციას. და, აი, შეუიარაღებელი თვალთ ვხედავთ, საჭირო ხდება კოჰაბიტაცია-2-ის – იგივე „ევროკავშირის“ 12-პუნქტიანი დემაგოგიის ამოქმედება უფრო ხელშესახები პოლიტიკური შედეგების მისაღწევად.

ზოგი ჩირი მარგებელიაო, თქმულა: რომ არა კოჰაბიტაცია-1, „ქართული ოცნება“ ვერაფრით შეძლებდა მის ორგანიზმში ჩასახული მომაკვდინებელი ბაცილის გამკლავებას ანტიადამიანური „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. დიახ, კოჰაბიტაცია-1-მა გამოავლინა იგი და „ქართულ ოცნებას“ (ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილი**) შეაძლებინა ხმამაღლა განეცხადებინა: **სახელმწიფოს წარმმართველი ძალაა ქალისა და კაცის ერთობლიობით შექმნილი ოჯახიო**. ეს იყო და არის მომაკვდინებელი დარტყმა ეგრეთწოდებული გლობალისტების მიმართ. (მათი არსი რომ გაირკვეს, მკითხველებს ვურჩევთ ინტერნეტ-სივრცეში მოიძიონ ფაილი სათაურით: referativo. Ru/ka...09.04. 2022. **„რას წერდა დოსტოვესკი ებრაელებზე“**). სიონისტური იდეებით შეპყრობილი ეს გლობალისტები კაცობრიობის განვითარების ავადმყოფურ იდეას არიან ჩაბლაუჭებულები – ერთპოლუსიან მსოფლიოს, ერთპოლიან ჯოხს, რომლის მსგავსი რამ ბუნებაში არც კი არსებობს. მსოფლიოში ყველაფერი ორპოლუს-

სიანი: დედამინა, ადამიანი – ქალისა და კაცის ერთობლიობით. ორივე მათგანს გააჩნია ფარული ფორმით თავიანთი სქესის საპირისპირო ბუნება ფარულ ფორმაში. **მასკულიზმ**, მამრი გამოხატულია გარეგნულად მამაკაცის ნიშნებით, მაგრამ ამავედროულად ქალური ბუნება მასში ჩანასახურადაა მოცემული. ასევეა **ფენიმიზმთან**, მდედრთან, მისი ფიზიონომია-ფიზიოლოგია გარეგნულად გამოკვეთილია დედაკაცის ატრიბუტიკით, მაგრამ მამაკაცური სანყისებიც მოეპოვება ემბრიონულ ვითარებაში. ანტიკაცობრიულ ოლიგარქებს სწადათ ამ კანონზომიერების დარღვევა, როგორც გასული საუკუნის ორმოციან წლებში მოხდა ატომგულის გახლეჩა და კაცობრიობის მომაკვდინებელი ენერჯის გამონთავისუფლება მისდა საზიანოდ.

ამ ავადმყოფურ კასტას ხელს აძლევს პიროვნება ერთდროულად იყოს: კაციც და ქალიც, ბისექსუალი, ანუ მოხდეს ინდივიდუუმის გაორება და საბოლოოდ – სრული ნიველირება! დიახ და დიახ! სწორედ აქ მარხია, ანტიკაცობრიული ოლიგარქიის გაცხარებისა და მძვინვარების საიდუმლო. მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სოციალ-პოლიტიკური აშლილობები; რაც შეიძლება მეტი სექსუალური აღრეულობები ინცესტებითა და დეზორიენტირებული ჰიჯრებით; რაც შეიძლება მეტი ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით გაბანგული ახალგაზრდა თაობა, მათი გამოთავყვანებები აბსურდული ტატუთი და დაფლეთილი სამოსლით, როგორც უარყოფითი რეაქცია კლასიკური ნორმებისადმი; „საბას“ ნომინირებულ დეგრატირებულ „მწერალთა“ უნიტაზური მოღვაწეობა და მისთანათა მემკვიდრით კაცობრიობის ნამდვილი შემოქმედის, მშრომელი მასების და საზოგადოების გაბანგვა, რათა **არასდროს დაებადოთ გონებაში რატომ, რის გამო არიან ამისთანა სავალალო მდგომარეობაში; არასდროს გაუჩნდეთ პროტესტი, რისთვის გააჩნია ოლიგარქიულ მსოფლიოს პლანეტა დედამინის საარსებო რესურსების ორი მესამედი და რისთვის ვერ გამოღწეულან მათხოვრული მდგომარეობიდან ამ ყველაფრის შემქმნელი 99 პროცენტი მშრომელი მასები.** გავა დრო და ამ ყველაფრისთვის უფრო ჩახედულად მოიცლიან კაცობრიობის მოაზროვნე თავები. ხოლო მაოხრებელი ზელინსკებია ისინი, სოროსები თუ ბაიდენები დავინყვას მიეცემიან. პარადოქსია, „ევროკავშირის“ კანდიდატად სახელდება კუდის რიკამდე გაპარტახებული უკრაინა და აქ ერთადერი არგუმენტი მისი საომარი მდგომარეობაა სექსუალურ უმცირესობათა უფლებების მოდარაჯეობის ფონზე.

ალან დალესის და მისთანათა დოქტრინით მსოფლიო ბატონობის მიღწევა შესაძლებელია ოქროს ფლობით, მასმედიის – პრესისა და ტელევიზიის კონტროლითა და სამედიცინო სამსახურების დაილიავებით არასასურველ ადამიანთა სიცოცხლის სამართავად. იგივე დალესი იტყვის: **„ჩვენს ჩანაფიქრებს მიუხვდებიან გონებაგახსნილები, ისინი შეეცდებიან ამ ყველაფრის მხილებას, მაგრამ ჩვენ მათ ისეთ დღეში ჩავაგდებთ, ანუ იმისთანა ხმებს დავუყრით, რომ თავ-ბედს იწყველიდნენ“.** ისეთი რა უნდა დაგვწამონ, რაც დღემდე არ დაუნამებიათ?! ისეთი რა სამსალა უნდა შეგვასვან, რაც დღემდე არ შეგვისვამს?! ჩვენ უნდა ვიყოთ პრინციპით: **მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა.** ჩვენ უნდა ვიყოთ დოქტრინით: **მართალი კაცი ქვაზე მაგარია!** მოვიდნენ, ბატონო და ვნახოთ, რა ფეხებსაც მოგვჭამენ!

ჩვენ მზად ვართ პოლიტიკური კონსენსუსისათვის, სალად მოაზროვნე ელექტორატთან და არა დანაშაულებრივ რამდენიმე ათეულ ლიდერთან. კი, ბატონო სრულ მიტევებაზეც იყოს საუბარი, ოღონდ დანაშაულებათა აღიარებისა და წრფელი მონანიების შემდეგ! ჩვენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ვითმენდით და მოვითმენთ ნებისმიერ დამამცირებელ კურტანს, ერთი მაგალითის სიცხადით:

რომელიღაცა გემის კოკს, იგივე მზარეულს, ამხანაგები ბათინკებში უშარდავდნენ. აბუჩად აგდების ნიშნად. ეს უკანასკნელი ხმას არ იღებდა, თვინიარედ განაგრძობდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ჰკითხეს ერთხელ:

– ნუთუ თავმოყვარეობის ნატამალი არ გაგაჩნია, როგორ ითმენ ამდენ შეურაცხყოფასო?!

– ჩვეულებრივად, – უპასუხა მან, – ის შარდი თქვენთვის მომზადებულ ყუათიან ბორშშია უდანაკარდოდ დართულიო.

დაბოლოს, ცხოვრების გართულების კვალობაზე, კედელთან მიმწყვედვის მცდელობას ადრე თუ გვიან უეჭველად მოჰყვება ხალხის სასონარკვეთილი ნაბიჯის გადადგმა. ტრანსატლანტიკურ სივრცის უპერსპექტივობით განზილებულმა ქართველობამ, გამორიცხული არ არის ხელი „გეორგევსკის“ ტრაქტატის რესტავრაციისკენ გაიწოდოს დევიზით: **სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს!**

უმცირესობის დიქტატი

(წერილი მესამე)

„კარი გაუღე ცვლილებებს, მაგრამ მათ ნაცვლად ფასეულობებს ნუ დათმობთ.“ (დალაი ლამა)

ალან დალესის ლენცოფა:

„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორც დალაგდება, მოენყობა და ჩვენ ყველაფერს, რაც გვაბადია... მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით ხალხის გამოსათავყვანებლად. ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს. იქ ქაოსს შევექმნით, ჩვენ შეუმჩნეველად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს ყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. ჩვენ ყოველნაირად მხარს დაუჭერთ, შევაქებთ ეგრეთ წოდებულ მხატვრებს (ხელოვანთ), რომლებიც დანერგავენ ადამიანის შეგნებაში **სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს** – ერთი სიტყვით, ყველაფერ ამორალურს... ჩვენ შეუმჩნეველად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუნყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპრინციუობას; ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმალლეზე... პატიოსნება და წესიერება გამასხარავებელი და არავისთვის საჭირო აღარ იქნება, იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა... უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მანანალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა – ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნეველად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით. მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ კიდეც თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ **არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით, მოვძებნით ხერხებს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირლებად გამოაცხადონ...** ჩვენ ვიბრძობებთ ადამიანების გასარყენელად ბავშვობისა და სიჭაბუკის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ **მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი.** ახალგაზრდებისგან ჩვენ შევექმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს. აი, ასე გავაკეთებთ ამას“.

ჯონ რედტკლიფის სამსალა:

„პირველი დარტყმა აქამდე წმიდათაწმიდა **ოჯახურ სანყის** უნდა მივაყენოთ; ის როგორმე დაშლა-გახლეჩამდე მივიყვანოთ. მაშინ შესაძლებლობა გვექნება, ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისაც დღემდე სწამდათ ქრისტიანებს. სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ვნებით გატაცებული არმია, თავისუფლად გამოვუცხადოთ ღია ომი ყველაფერ იმას, რისაც სწამთ და ეთავყვანებიან ჩვენი მტრები. ჩვენ საკუთარ საქმეებში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო „გოებში“ რეფორმატორული სული ავადორძინოთ. შემდეგ კი, ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ. **ქრისტიანებს შორის რამდენადაც მეტი სხვადასხვა პარტია შეიქმნება, იმდენად მეტი იქმნება უკმაყოფილება.** ხალხი გაერთიანდება კაპიტალისტების ძალაუფლების ქვეშ. ეროვნული ტრადიციების უსუსურობა ჩვენი გავლენის გაერთიანებას და ამაღლებას უწყობს ხელს, ამიტომაც ჩვენ უნდა ჩავერთოთ უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებაში და ალიდან კოცონი ავაგიზგიზოთ. ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი ყველა შეტაკება ხელს უწყობს ჩვენს **გამდიდრებას** და გვაახლოებს ჩვენს სანუკვარ მიზანს – **მსოფლიო ბატონობის მიღწევას.** ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი **მინის ხელში ჩაგდება, ადვოკატურის დაპყრობა, ასევე მედიცინის და ა. შ. ხოლო თუკი ოქრო უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა კაცობრიობისა, მაშინ მეორე – უეჭველად პრესაა“.**

აი, რატომ აცხადებენ მოღალატეებდ **დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეფეს,** თავის დროზე საქართველოს შემქმნელ ხალხს, გლობალისტების მოსყიდული მომწერლო პოლიტიკანები; საქართველოს მავნედ, აი, რისთვის აცხადებდნენ **ილია ჭავჭავაძეს** ისინი; აი, რატომ მოუწყვეს პუტინი **ზვიად გამსახურდიას,** და **ბუში** (მამა), აი, რის გამო უწოდებდა დინების აღმა მიმავალს. ბატომ **ბიძინა ივანიშვილს** აი, რის გამო ემოქრებიან ანგარიშების გაყინვით თითქოსდა მიუტკერძოებელი ბანკები;

აი, რატომ შემოაგდეს **დეოლიგარქიის, დებიძინაზაციის, დეივანიშვილიზაციის** თემა ევროპარლამენტის მოსყიდულმა წევრებმა. მაგრამ ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ბატონი ბიძინას ღია წერილით მიმართვა ევროპის ამ „ყველაზე დიდ, გავლენიან და წარმატებულ პოლიტიკური ძალასთან, ევროპის სახალხო პარტიასთან“. ღია წერილი მოჰყვა 23 ევროპარლამენტარის, მათ შორის „ევროპის სახალხო პარტიის“ 19 წევრის წერილი, რომელშიც ივანიშვილს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან საქართველო ევროპის გზას ჩამოაშორა.

„დღეს მწვავედ აკრიტიკებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომელიც არა ფასადის შელამაზების, არამედ რეალურად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას ადგას“, – ნათქვამი იყო ივანიშვილის წერილში, **„მაგრამ კითხვები, რომელზეც ზევით იყო საუბარი, პასუხს მოითხოვს“, „პრეზიდენტმა კონსტიტუციური დიქტატორის როლი მოირგო, რაც ყველაზე კარგად იმ დებულებებში ჩანს, რომელიც მას აძლევს უფლებას ერთპიროვნულად და უვადოდ, პარლამენტის თანხმობის გარეშე, დანიშნოს მთავრობა“.** „იქნებ თქვენგან, დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსებისაგან მაინც მივიღოთ პასუხი, ნორმალურად და დემოკრატიასთან თავსებადად მიგაჩნიათ თუ არა პრეზიდენტი მთავრობას ნიშნავდეს ისე, რომ პარლამენტს არაფერი ეკითხებოდეს? იცით კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მსგავსი სისტემა მოქმედებს? და თუ ამ ორ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გაქვთ, ნორმალურად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ იდეის ავტორი და დამცველი პოლიტიკური გაერთიანება, თქვენი პოლიტიკური ოჯახის წევრია?“ – ამგვარი მამხილებლური განაცხადი, ცხადია, ემცხეთა „ევროპის სახალხო პარტიას“, რომელცი ტონის მომცემი გახლავთ მთელს ევროპარლამენტში.

ქვეყნის შიგნით საზოგადოება წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის სწრაფ და უკომპრომისო გამოძიებას ითხოვდა, ქვეყნის გარეთ კი, პირიქით, „სუფთა ფურცლიდან“ მიუთითებდნენ ასპარეზის დაწყებას, რაც, ბატონი ბიძინას აზრით, მხოლოდ დაუსჯელობას ნაახალისებდა.

ევროკავშირის დროშას 12 ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამშვენებს. თავიდან ევროკავშირის ჩამოყალიბება (1967) ქვანახშირ-ლითონ-ატომის პრობლემებით გახლდათ შენიღბული, სინამდვილეში იგი ვარშავის ხელშეკრულების (1955) საპირსონედ შეიქმნა. ევროპარლამენტის დეპუტატების საერთო რაოდენობა 773-ია (ეს ციფრი შეიძლება ნაკლებიც აღმოჩნდეს ინგლისის სადღესის პოზიციის გამო), აქედან „ევროპის სახალხო პარტიას“ 268 მანდატი გააჩნია. და საქართველოსთვის კანდიდატობის პერსპექტივის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის 308 ხელმოწერა, ბუნებრივია, არ გაჭირდებოდა, ანუ არ გაძნელებოდა დამატებით ორმოციოდე თანამზრახველის აყოლიება.

ევროპამ და აზიამ ერთობლივად, **როგორც ორბოლოიანმა ჯოხმა**, შექმნეს დადამინის ფასეულობანი და არა აფრიკამ, ამერიკამ თუ ავსტრალიამ, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალპოლუსა სივრცეებს, ჩაკეტილ კუნძულებს.

12-პუნქტიანი რეკომენდაციის „ამობრწყინება“ საქართველოს დღენათელ ცაზე, ომის გაჩაღებისკენ კარგად შენიღბული მოწოდებაა. აქვს კი ამისთანა ორგანიზაციას ატარებდეს ნობელის პრემიას მშვიდობის დარგში?! რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დაქოქვის უკან გაცილებით მეტი მზაკვრობაა ჩადებული. სად უნდა განვახორციელოთ ჩვენ ეს ომი?! ცხადია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით. აი, აქ ჩვენ კვლავაც ვეჯახებით ჩვენს ისტორიულ ძმებს უკვე მეორედ. პირველად ხომ შევარდნაძემ გვახოცინა ჭაბუკები ორივე მხრიდან. ახლა უფრო ფართომასშტაბიანი კავკასიური ომია მოსალოდნელი, სადაც ამ ხალხების სამუდამო დასამარებაა ნავარაუდები. აი, ევროპარლამენტის დუჟინი (თორმეტეული) რეკომენდაცია-სამსალა. ჩამოართვით-მეთქი ნობელის პრემია მშვიდობის დარგში ომის ქვეშეცნეულად წამსისინებელს ევროპარლამენტს და გადაეცით ბრევივიკის სახელობის პრემია, რომელმაც კუნძულ უტოიას შრომის პარტიის ახალგაზრდულ ბანაკში 69 ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს. (8 ოსლოში ტერაქტისას, სულ 77 პიროვნება!) აი, ვის უსჯიან თავისუფლების აღკვეთას 21 წლით თავისუფლებისა და დემოკრატიის მექა ევროპაში და არა სამუდამო პატიმრობას, ან ფრანგულ გილიოტინას თუ ამერიკულ ელქტრონის სკამს!

ევროკავშირი საქართველოსგან ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვსო, – ასე პასუხობს ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი მოქალაქეების შეკითხვაზე. მისი თქმით, ევროკავშირის ფარგლებში, საოჯახო სამართალი ევროკავშირის ქვეყნების კომპეტენციის ქვეშ რჩება და, შესაბამისად, ქორწინებასთან დაკავშირებული წესები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება.

„მოქალაქეების დაცვა ძალადობისაგან და თითოეული ადამიანის სიტყვისა და შეკრების თავისუფლების უფლების უზრუნველყოფა ევროკავშირის და, უდავოდ, ნებისმიერი დემოკრატიის ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს. სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა და მოვალეობაა ამ უფლებების დაცვა, გამონაკლისების გარეშე. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კონტექსტში შეფასებული იქნება ხელისუფლების მზაობა და შესაძლებლობა, თანაბრად დაიცვას ეს უფლებები ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის უმცირესობებისთვის“.

აქ ბატონი ელჩი გაორებულია, იგი პირდაპირ ლახვარს ასობს გულში კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვარს – **ბიბლიურ ფასეულობებს**. შეგახსენებთ **აბრაამის ძმისშვილი ლოტის მაგალითს**. მისი ოჯახი სოდომურ სივრცეში ცხოვრობდა სანამ იქაურობას უფლის ანგელოზები გამოეცხადებინდნენ და მათზე ძალადობას მოინადინებდა უზნეო მრევლი. ლოტმა ქალიშვილები მიუგდო, ამათზე იმძლავრეთო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ახალმოსულებზე ატყდომოდათ იშტა და მაშინ ეწვიმა სოდომს და გომორს ცეცხლის წვიმები სრულ განადგურებამდე. ეს ჩინებულად იციან ჩვენმა კეთილისმყოფელმა ევროპარლამენტარებმაც და მაინც ამ ცოდვიანობისკენ მიათრევენ საქართველოს, როცა ჩვენი პრემიერ-მინისტრი ბატონი **ირაკლი ლარიბაშვილი** აშკარაზე აშკარად განმოიხატავს თავისი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის დედააზრს: **ოჯახი – ეს არის ქალისა და კაცის ერთობით შექმნილი სოციალური უჯრედი, წარმატებული სახელმწიფოს ბურჯიო**.

ამ დროს აი, რა გვინერია ჩვენ საქართველოს კონსტიტუციის კონსოლიდირებულ ვერსიაში:

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. (მუხლი 9).

ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. (მუხლი 10).

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. (მუხლი 11).

რა ვქნათ ახლა, კონსტიტუცია ვცვალოთ ყოფილი პრეზიდენტივით, დავაკონკრეტოთ სქესი – ქალად, კაცად და სნებოვან უმცირესობად?

ქართველი კაცი იმითაც არის უნიკალური, რომ იგი მკაცრად აკონტროლებდა და აკონტროლებს ქორწინების ინსტიტუტს. ევროპელებისგან განსხვავებით მკაცრად იცავს შორ ქორწინებებს (აუტობრინდინგ), გაურბის შეუღლებებს სისხლით ნათესავებში (ინბრედული) და ამისთანა ქვეყანა, რაღაც 12-პუნქტიანი დემაგოგიით სოდომ-გომორში შეათრიო, არაფრით გამოვა!

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ V ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილის წარმოთქმული ძელგი სიტყვა ყველაფერს ნათელს მოჰფენს: **„მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და რომ უდიდესი წარსულის ხალხს, გვექნება ღირსეული მომავალი! ეს არის ჩემი მთავარი და აბსოლუტური მიზანი! ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ!“**

ჩვენ ამ სულისკვეთებისა გვწამდა ცხრა-ათი წლის წინათაც, მოგვიანებითაც, როცა ბატონი ბიძინას აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას ვითხოვდით; ჩვენ ვენდეთ სიტყვის ძალას, როცა ყველას უმეოხო, უქომაგო მიაჩნდა დედა-საქართველო, სულ რაღაც ხუთიოდე კაცი, ხელმონერებს ვაგროვებდით ქუჩა-ბანებში, მეტროების შესასვლელებთან, ორღობესა თუ ხევ-ხუვებში, ბატონ ბიძინა ივანიშვილის უმაღლეს ამპლუაში სახილველად. ჯერ ათასი ხელმონერა გასრულდა, მერე – ათი ათასი, გაორმაგდა, გახუთმაგდა, გაათამაგდა და 120 000 მიაღწია. ეს ხელმომწერნი უწინარესად იყვნენ ზრდასული, გონებადაუნჯებული ადამიანები. პროცესს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ნაცადი **ვაჟა კაპანაძე**, დევნილი საზოგადოებაში **ვასილი კადენეცი** ტრიალებდა, სვანეთში – **ბადრი ქელიძე**, კახეთში – **აკაკი ბეგაშვილი**, სამეგრელოში – ნეტარხსენებული **ნუგზარ ჩუხუა**, რაჭაში – **მამუკა ჩაგელიძილი**, შემოქმედებით ინტელეგენციაში – თქვენი მონამორჩილი და ასე შემდეგ. შეგროვდა 120 000 ხელმონერა და აქ შევჩერდით, დროებით შევწყვიტეთ პროექტზე მუშაობა, ჩავაბარეთ პარლამენტარ **მამუკა მდინარაძეს**, ვინაიდან დროთა მსვლელობაში „ქართულმა ოცნებამ“ იმძლავრა,



მან პირველი კოჰაბიტაციიდან ბევრი რამ ისწავლა, მეორე, 12-პუნქტიან კოჰაბიტაციამდე, უნინარესად – სახემნიფოებრივი აზროვნება, მართლმადიდებლური ქვეყნის სადარაჯოზე დგომა!

საქართველოში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ ვინ არის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ვის შეუძლია მის კედელში ზურაბივით ჩაშენება და რადგანაც აქაიქ ოლიგარქის რეგალიებით განქიქებულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მავანთაგან ვითომ მორალური შლაგბაუმები აღემართება ქვეყნის რეალური აღმშენებლობის გზაზე; და რადგანაც იგივე შლაგბაუმს წამოუჭიმავენ ეს მავნენი საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებულ ადამიანს, დროა გონს მოვეგოთ ჩემო მრავალტანჯულო ერო და ბერო! დროა ჩვენი თამამი არჩევანი დავაფიქსიროთ უცხო ინტერესების ალაგმვის საწინდრად, მათი არასამთავრობო სექტორის ძირგამომთხრელი პოლიტიკის გასანეიტრალებლად! დროა გამოვხატოთ ჩვენი კანონიერი ნება – გვყავდეს ქართველ ხალხს საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მეოხი, ქომაგი, გულშემატკივარი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – „საქართველოს ლობი“, მისი აღმატებულების, მართალი კაცის, დიახ, დიახ, მართალი კაცის, ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** სახით. ლობს არ ჭირდება კენჭისყრა; ლობს არ სჭირდება ხმების უმრავლესობა გადანყვეტილების მიღებისას; ლობი იგივე ჩვენი ყოველდღიურობის ჭირისუფალია. ლობის მიზანი ერთია – ქვეყნის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით გამოყვანა კოლაფსური მდგომარეობიდან; ლობის ძირითადი მიზანი ინვესტიციების მოზიდვაა, სადაც მთავარი პრიორიტეტად ქვეყნის აგრარული მოწყობა გვესახება სათანადო ინფრასტრუქტურით, ეროვნული და სამოქალაქო ინტეგრაცია, პოლიტიკური კონსენსუსი განსხვავებულად მოაზროვნე ელექტორატთან და არავითარ შემთხვევაში მის მუჭა დანაშაულებრივ ლიდერებთან.

ცხადია, პიროვნებას, რომელმაც თავისი ფულადი რესურსების მეტი წილი საქართველოს აღორძინების ფონდში ჩადო, დეოლიგარქიზაციას ვერ წამოაძახებენ, ვერც ანგარიშს გაუყინავენ სადმე, როგორც სხვა ქვეყნების წარმატებულ ლობებს. აი, გური ოტობაიას დოქტრინა ალან დალასის, ჯინ რედკლაფის, ეროპარლამენტარების მოზრდილი ჯგუფის, უკეთ – „ევროპის სახალხო პარტიის“ თუ ოკეანეს გაღმა მიკერძობით აღრენილი ვაიპოლიტიკოსების – პრაის-კრამერ-ჰერბსტ-კელის თუ სხვათა საპირწონედ ჩემო, ნამდვილქართველებო!

სალოცავი გვიმრის ხეხვის დაბრუნება სამომლოცი – შიკვითილის დენდროლოგიურ პარკში


(წერილი მეოთხე)

ერთგან ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კინემატოგრაფზე რომ გაამახვილა ყურადღება, მხოლოდ კინო არ უგულისხმია. კინოსთან ერთად იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევდა ფერწერას, პოლიფონიას, ქორეოგრაფიას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, მოკლედ, ხელოვნებას ზოგადად, რომელიც დღეს უკიდურესობამდე დაკნინებული.

რა ხდება „მწერალთა სახლში?“ იგი დღეს კულტურის სამინისტროს მიერ გაუქმების ნაცვლად ზეპრივილიგირებულია, გამოცხადებულია ქართული მწერლობის ერთადერთი ქირისუფლად. ამ დროს ჭეშმარიტი მწერლები ჯაყოს ხიზნების მდგომარეობაშია. გარეგნულად, თითქოს, ყველაფერი წესრიგშია, ტარდება ღონისძიებები მის დარბაზში, კვლავდებურად მიდიან მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები ორშაბათობით პირველიდან სამ საათამდე კოლეგებთან შესახვედრად და მორჩა, ამით ამოიწურა მწერლობის, მწერლის სოციალურ-შემოქმედებითი პრობლემები. ამ დროს ე. წ. თავისუფლების მქადაგებელი კალამგირები, სინამდვილეში საქართველოს სახელმწიფოებრივი მოშლისთვის დაქირავებული აგენტების დივერსიული მასკულატურა ითარგმნება და გამომზეურდება მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხის ბიუჯეტით, ქართველი ხალხის მოსაკვდინებლად, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. აქ დიდი მიხვედრილობა არ უნდა, რომ ქართული მწერლობის სახელით მოდრეიფე, „მწერალთა სახლის“ „მწერლობა“ თხემით ტერფამდე მონოპოლიზებულია „ნაციონალების“ მიერ და ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დისკრედიტაციას მსოფლიოს თვალში...

კი, ბატონო, მოხდა მათი ლუსტრაცია, მაგრამ ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის შემწეობით, „ნაციონალური“ სიმსივნე მიზანმიმართულად ჩაინერგა „ოცნების“ სხეულში და ამ ბაცილამ უამრავი ჯანსაღი „ორგანიზმი“ მოშალა დროთა მსვლელობაში... არადა, სულ რაღაც ოროიდე წელიწადში კარზე მოგვიკაკუნებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის...

წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ ზუგდიდში გააშენა უნიკალური ბოტანიკური ბაღი (1840), რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელს კავკასიაში, მაგრამ ბატონმა ბიძინამ გააკეთა გაცილებით მასშტაბური და მიზანმიმართული – დენდროლოგიური პარკი



შეკვეთილში, სადაც რამდენიმე ასეული ჯიშის იშვიათი სილამაზის სამამულე ხეა განთავსებული. ეს ხეები მოსახლეობისაგან შეისყიდა ბატონმა ბიძინამ, ხოლო მათ ტრანსპორტირებისას ვითომ „დაზიანებული ხიდები“, „გაოხრებული გზები“, „ნაფერდელი ელექტროენერჯის ბოძები“ ძირფესვიანად განაახლა, თვალის გასახარად გააკრიალა იქაურობა. ამასთან, სოლიდური ფინანსური დახმარებით (ხის საფასური) ასობით ოჯახმა ამოისუნთქა ეკონომიურადაც.

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ოქრომრავალ კოლხეთში უხსოვარ დროში გიგანტური სალოცავი გვიმრის ხეები ხარობდნენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში გადაშენდნენ, გახრიოკდნენ, გაგვიმრუჭდნენ და ან ცელითაც ითიბება.

აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორისგან, პროფესორ გიორგი ფარულავასგან თუ სხვათა გადმოცემით დაბეჯითებით ვიცი, რომ გვიმრის ხეები ზელანდიაში ახლაც იზრდებიან პრეისტორიული ჟამსვიანობით; ზღვისპირა ქაობნარ ადგილას, ჭურიაში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის სახელწოდებით, სადაც იმ პერიოდში არსებული ხე-გვიმრის უკანასკნელი ეგზემპლარები ხანძარს გადაუბუგავს თურმე დაახლოებით ორი საუკუნის წინათ.

სანდო არხით მივანვდინე ხმა უამრავი საშვილიშვილო პროექტის სულისჩამდგმელ პიროვნებას საქართველოში – ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რათა ზელანდიიდან ჩამოეტანა ხე-გვიმრის რამდენიმე ეგზემპლარი თავისი დენდროლოგიური პარკისთვის, რათა სიმბოლურად აღდგენილიყო ის მითთაჟამინდელი კოლხეთი, ის საქართველო, რომელიც ოდესღაც ამალღებული და სწორუპოვარი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. ამ შეხმიანებიდან 7-8 თვეც არ გასულა, და როგორც სანდო წყაროებიდან ვგებულობ, დღეს ოცამდე ხე-გვიმრა შეკვეთილის ბინადარია.

ღიას, ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** სახით გამოგვიჩნდა კაცი, რომელიც საქმეს საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს, აღორძინებს სოფელს, ქალაქს, აღაშენებს ეკლესია-მონასტრებს, მობოშებულ სულს ანიჭებს ცათაფრენებს – ფლორას, ფაუნას, ბუნებას ზოგადად, როგორც ადრე, უფლის წესით და კანონით რომ სუფევდა იმგვარად, მაგრამ დესტრუქციული ძალები არ ისვენებენ, კვლავინდებურად ხის ტარგაჩრილი ნაჯახებით ჭრიან ჩვენს მაუკვდავებელ სიცოცხლის წყაროთ იშვიათი




პატროფილის კაცისთვის დეოლიგარქიზაციის ავადმყოფური ბრალდებების წამოყენებით. მშვიდობისმოყვარე საქართველოს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელ ომში მიათრევენ უჩინარი საბელით, რათა რუსეთისთვის სამხრეთიდან მეორე ფრონტის გახსნით, თითქოს ეგრევე წამოაჩოქებენ ჩრდილოეთის გავეშებულ დათვის.

გვინერია ამეებზე სხვაგან, ახლა კი ტრიბუნას ვუთმობთ სულიერების მეცნიერებაში ხელდასხმულ პიროვნებას, მედიუმს ადამიანებსა და ცაბაოთ-ლმერთს შორის, წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზს, **მამა მიქაელს (ბუკია):**

„– ოჯახი იგივე ხემარადია. სვეტიცხოველი, ედემის ხეთა – ცნობად-ყოფადისა და სიცოცხლის მომნიჭებელი ორი ხე-ფენომენის ერთ ხედ, ერთ დედაბოძად შესინთეზების მისტერია, რომელიც იდუმალებს თითქოსდა ყველას თვალწინ მდებარე სიტყვაში – **ოჯახი** და რომელიც სინამდვილეში გაცილებით მეტის მომცველია – **მარადიული სიცოცხლის საბრძანისი, სადაც კაცობრიული ორი საწყისი – მდედრი და მამრი ერთი შინაარსით იტვირთება, ერთ ჭეშმარიტებად შეგარსიანდება ხოლმე.**

ოჯახი, პავლე მოციქულის თქმით, არის ეკლესია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი; ეკლესია – ეს არ არის მარტო შენობა, ეს არ არის მარტო პატრიარქი ან ეპისკოპოსი თუ მღვდელი, ეს არის ერთობა, კრებული. თვითონ ეკლესია ხომ სიტყვა **კრებულს** ნიშნავს, **შემომკრებს**, სადაც თავი, გონება ქრისტეა, რომელიც მართავს ამ ეკლესიას, რომელიც განაგებს მას და კანონს უწესებს. ასევე არის ოჯახიც – ოჯახი არის პატარა ეკლესია. მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით, ოჯახის თავი, ანუ გონება არის ქმარი, და გული, ანუ გრძნობა – ქალი. შესაბამისად, ადამიანი ჯანმრთელი მაშინაა, როცა გული და გონება ერთმანეთთან ჰარმონიულად, შეთანხმებულად მუშაობს. ჩვენდა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ეს ჰარმონიული ბალანსი საქართველოში არასდროს დარღვეულა, რადგანაც საქართველო იყო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანა. **(მანმადე ამ ჰუნქციას ასრულებდა აიეტ მეფეს და კირკე / ცირცეა, გ. ო.).** ესეც, ეტყობა, ერთგვარი კოდი იყო ქართველი კაცისთვის, რის გამოც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ამიტომაც არის, რომ მარტო ქართულად ჰქვია პლანეტას





გილოცავ, ერო და ბერო!
ათასწლეულებისწინათ გადაშენებული
სალოცავი, უფლის ხე-გვიმრების სასწაულებრივ
ჩამობრუნებას დედა-საქართველოში!



ჩვენსას დედამინა. მითოლოგიური წარმოდგენით ადამიანი მიწისგან არის შექმნილი და შესაბამისად, ამიტომ ვუნოდებთ მას მშობელს, დედას კაცისას.

საქართველოში ყოველთვის იყო დედის კულტი. ეს აისახა ჩვენს მეტყველებაში ეტიმოლოგიურადაც: **დედაენა, დედაბოძი, გუთნისდედა, დედასამშობლო** და სხვა. სწორედ ამის დამსახურება იყო ცოტა მოგვიანებით დედის წილხვედრ ქვეყანაში დედამ რომ იქადაგა ქრისტეს მოძღვრება. ის, რაც ვერ შეძლეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ (ქ)კანანელმა, წმინდანინომ მოახერხა, დედის ბუნების მატარებელმა, სრულიად უმწეო გოგონამ. როგორც ფსალმუნში წერია: **„არცა მსხვირბარკალნი მამაკაცნი სთნდეს უფალსა“**. წმინდა ნინომ ის შეძლო, რაც ვერავინ იხელინიფა საქართველოში და თან ეს მოახერხა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა, ჰყავდა თავისი მეფე და ჰქონდა თავისი რწმენაც. ძნელია, როცა ასეთ ქვეყანაში, ასეთ საზოგადოებაში მიდიხარ და სულ სხვა რჯულზე მოაქცევე მთელ ერის. ეს იყო დედის კურთხევით, დედა ღვთისმშობლის და უფლის ძალმოსილებით, რასაკვირველია.

რაც შეეხება ცოდვას, იგი ხომ იმ აკრძალული ხის ნაყოფის გემოის ხილვით, მიღებით შემოვიდა ჩვენში, მაგრამ თვითონ ხე შვა მერე სიცოცხლეც, ანუ ჯვარცმა. ჯვარი მანამდე სამარცხვინო, სადამსჯელო იარაღად იყო მიჩნეული, თუმცა იესო ქრისტემ ის გახადა ხსნის სახსარ-ლონედ. შესაბამისად, სიცოცხლის მომნიჭებლად, ცხოველმყოფელად იქცა ის ჯვარი. იმიტომ, რომ, ვინც იმ ჯვარს ცხოველი რწმენით ეხება, ყველა ცოცხლდება. ვთქვით, სამოთხეში ორი ხე იყო – ხე ცნობად-ყოფადისა და ხე სიცოცხლისა – უკვდავებისა. პირველი ხის ნაყოფი რომ იგემა ადამმა, ცოდვით დაცემული განიდეენა სამოთხიდან, რათა **იმ მეორე ხის ნაყოფიც არ ეჭამა და მარადიულ ცოდვაში არ დარჩენილიყო, ანუ არ ყოფილიყო უკვდავი ცოდვილი**.

ხე ჩვენთვის ძალიან ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. აი, მაგალითისთვის, არის ასეთი გამოთქმა, რომ ხე ფესვებით იზომებაო. ამ თვალსაზრისით ჩვენ, ქართველებს, ძალიან დიდი ფესვები გვაქვს. უდაბნოში ყოფილა რალაც მცენარე, რომელიც მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრია და 26 მეტრის ფესვები ჰქონია. მგონი **გორგორა** ჰქვია, **ქარქვეტა**. შეხედეთ ფრაზას: **„ფეხი მთე-**



დიდი გოგლას პატარძელში, მარიამ კიკაძე უკვე შეუდგა ენდემური მცენარეების სელექციას. არის საუბარი „ბიორაგის“ მეშვეობით ხე-გვიმრის აღორძინებაზეც!



ბრ დასდგას ქვეყანად, ტინურად დამტკიცებული, ვითა ქარქვეტა ქართაგან არ იქმნას, მოტაცებული“. აბა, მესხურად ნახე, ჯახი ჰქვია – Перекати-поле, *Ippomorathrum crispum*, Конски фенхель“.

მოგვიანებით ჩავუღრმავდები ქარქვეტას ბოტანიკურ მონაცემებს. იგი ბალახოვანი მცენარე აღმოჩნდება – **საქსაული**, უდაბნოთა ერთ სხეულად მკონავი, ქვიშროვანების შემაკავებელი ენერგია. მერე იმასაც გავარკვევ, რომ გაცილებით ცხოველმყოფელი ყოფილა ამ მხრივ კაკლოვანი მცენარე **ფსტა**, მას 35-40 მეტრის ფესვები ჰქონია და უდაბნოთა ამალორძინებელ ცოცხალ ძალადაა მიჩნეული.

„– იგი ამავედროულად სვეტიცხოველიცაა, – განაგრძობს ჩემი მოძღვარი მამა მიქაელი, – მარადიულობის სიმბოლო, სიცოცხლის მომტანი ცისიერი წყალობა, სადაც არის დაუნჯებულის კვართი უფლისა. სხვათა შორის კვართთან მიმართებაში არის მამათა ასეთი სწავლება, რომ იგი იყო ზეგარდად მოქსოვილი. ის ხომ ღვთისმშობლის მიერ მოიქსოვა. ის იზრდებოდა მაცხოვრის ასაკის მატებასთან ერთად, ანუ ის არ იყო შეკერილი. შესაბამისად, ის არ დანანვერებულა. აი, როგორც ქრისტეს კვართი იყო დაუნანვერებელი, ასევე იქნებოა ქრისტეს ეკლესიაც და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ ზუსტად იმ კვართის მცველები ვართ და მადლობა უფალს, რომ დღემდე ამ კვართის მცველი ეკლესია არ განყოფილა, მწვალელობა არ უშვია და დღემდე ერთიანია და მთლიანი. შესაბამისად, ერთიანია ეს ყველაფერი, აი, იმ მარადიულ სიცოცხლესთან კავშირში – **ხემარადი**, გასაოცრად ტევადი სიტყვაა და მკირთებელი ამ ყოველივესი. თავად ქრისტესთანაა წილნაყარი – კვართიც, ცხოველი სვეტიც, დედაბოძიც, ის ხეც – ცნობადისა – სიკეთისა და ბოროტებისა ერთი, ხეცხოვრებისა, უკვდავებისა – მეორე, საერთოდ ერთხორცსხმული ხე, ხე, როგორც ჯვარი, როგორც ცხოველმყოფელი ძელი, რომლის შეხებითაც ჩვენ გვახსოვს პირველი სასწაული – ელენე დედოფალმა მისი მოძიება გადაწყვიტა იერუსალიმში, სადაც მაცხოვრის ძელზე გასვლის ადგილია. მოგვიანებით იქ ვენერას წარმართული ტაძარი აშენდა. აი, იმ ალაგას რომ გათხარეს, სამი ჯვარი აღმოაჩინეს და, მათგან ერთ-ერთი მიცვალებულს რომ შეახეს, იგი მყისვე გაცოცხლდა, ანუ ცხოველმყოფელი ყოფილიყო და მიხ-



ვდნენ, რომ, დიახაც, იმ ჯვარს მიაგნეს, რომელზედაც ქრისტე მაცხოვარი გაეკრა კაცობრიული ცოდვის თრგუნებად, მძლეობად სიკვდილითა სიკვდილისა.

სინმინდე იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს სულის სითბო ჩაუღვაროს და სიყვარული გაუღვივოს. აქ გამოკვეთილია კვართის ზოგადეროვნული, ზოგადსამყაროსეული მნიშვნელობა. ერთ ეკლესიაში კი არა, სხვადასხვა ეკლესიაში უნდა მოძრაობდეს იგი, დასვენდეს, როგორც ჩვენი უნიკალური ხატი სულიერებისა. მიმაჩნია, რომ საქართველოს გამთლიანებას ეს განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს. ეს იქნება დედის კალთის მთელს საქართველოზე გადაფარება“.

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს, შეკვეთილში მის მიერ სულმთბერილ უნიკალურ დენდროლოგიურ პარკს, მას მსოფლიოში ანალოგი ნაკლებად ეძებნება. თავისი ნატურით ბატონი ბიძინა დიდი ფსიქოლოგია, იგი ზედმინევნით ენათესავება **სკანდინავიელ დრუიდებს**, რომელთა სწავლებით თითოეული ხე რაღაც აღმატებულ თვისებას ანივთიერებს ადამიანში **და რადგანაც ხე დედაბოძია ქართული მითოლოგიით; და რადგანაც ხე სვეტიცხოველია თეოლოგიურად; და რადგანაც ხე იგივე ქრისტეა, იგივე მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა – საქართველო, მათზე მზრუნველობით, ბატონი ბიძინა დაჭიდებულია უდიდეს მამულიშვილურ საქმეს – საქართველოს უკვდავების საქმეს.**

მე ცოტათი ზემოთ შემთხვევით არ მოხსენებია უდაბნოების ნაყოფიერ სივრცედ ამალორძინებელი კაკლოვანი ხე **ფსტა**. აი, რას ვკითხულობთ ვიკიპედიაში: „**ლათ. Pistacia – მცენარის გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. გვარში 20 სახეობაა. ბუჩქები და ხეები. ველურად იზრდება. საკმლის ხე, ანუ კევის ხეც ჰქვია. საქართველოში გვხვდება ფსტა (ლათ. Pistacia vera).**“

ჩვენ ამ თემას მომდევნო წერილში „მსოფლიოს მერვე საოცრება“ უფრო ჩაღრმავებით შემოგთავაზებთ, აქ კი შეგვიძლია დავსძინოთ, რომ საქართველოშივეა შექმნილი უნიკალური პრეპარატი „ბიორაგი“ (ავტორი აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე**), რომელსაც შესწევს უნარი ნებისმიერ მცენარეს მიანიჭოს გასაოცარი ცხოველმყოფელობა. მაგალითისთვის, ჩვენს მიერ ისედაც გამორჩეულ **ფსტას**, გაუორმაგოს, გაუსამმაგოს ფესვების სისტემა და აქციოს მილიონობით ჰექტარი დედამიწისეული უდაბნოს გარდამქმნელ, გამამინჯანებელ, გადამრჩენ ხე-საოცრებად, **ხემარადად**. აი, სად გამოჩნდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ჯერეთ პატროფილური ფენომენის შემდგომში ზოგადკაცობრიულ ძალისხმევად.

მსოფლიოს მერვე საოცრება

(წერილი მეხუთე)

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას **ილია მეორეს**
საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ **ირაკლი ლარიბაშვილს**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **შალვა პაუაშვილს**
საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს**
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ **თეა ნულუკიანს**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ **ოთარ შამუგიას**

მსოფლიოს პირველ შვიდ საოცრებაზე ხმის დაძვრა უხერხულიც კი მგონია წიგნიერი ხალხის წინაშე. აქ ეგვიპტის პირამიდები ტოლს არავის დაუდებს; მეორე სემირამიდას ცაში დაკიდული ბალებია; მესამე – არტემიდას ტაძარი ეფესში, თავისი სახელის უკვდავსაყოფად რომ გადანვა ჰეროსტატე დამთხვეულმა; მეოთხე – ზევსის ქანდაკება ოლიმპოში; მეხუთე – ჰალიკარნასის მავზოლეუმი; მეექვსე – როდოსის კოლოსი; მეშვიდე ალექსანდრიის შუქურა. აი, ამოიწურა ჩვენი საოცრებათა სკივრი. ამათთავან, მხოლოდ ერთადერთი დგას მიწაზე მყარად – ეგვიპტის პირამიდები და კიდევ – ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც მხოლოდშობილივით მოჩანს მთვარის სიშორიდან, როგორც პლანეტარული ცივილიზაციის უპირველესი ნაგებობა. მაგრამ რა, ამ კედელმა ჩინეთს თუ დიდება მოუტანა, შექმნა მისი მონოლითური სული და ინდივიდუალობა, სამაგიეროდ ფაუნისა და ფლორის ათასობით წარმომადგენელს მოუსპო სიცოცხლე.

ესე იგი ვერ გამოდგება ამაღლებულ-მშვენიერის ნიმუშად.

რაც შეეხება ჩვენეულ მერვე ნომიმანტს მსოფლიო საოცრების პრეისტორიულ ნუსხაში დასამკვიდრებლად – ყველასთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელიც კი შეიძლება იყოს. დიახ, იგი გახლავთ დიდად წიგნიერი და მუსიკალური კულტურით გაჯერებული პიროვნების, ქიმიის დოქტორის, პროფესორის, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატის, აკადემიკოს **რამაზ გახოკიძის** მიერ ოთხათეული წლის წინათ შექმნილი ფანტასტიკური პრეპარატი „ბიორაგი“.

„ბიორაგმა“ ფეხი კომუნისტობის პერიოდიდან აიდგა, მაგრამ ვერავინ მოიცალა მაშინ მისთვის.

მხოლოდ ეროვნულმა მთავრობამ შეიგრძნო ამ გასაოცარი პრეპარატის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა. წიგნი „გზა ხსნისა“ 100 000 ტირაჟით გამოიცა იმხანად, მაგრამ ჩაესვენა თავისუფალი საქართველოს მზე და „ბიორაგის“ პერსპექტივებიც ჩრდილში მიდგა. ბატონი რამაზ გახოკიძე ქარიშხლის ქიქაში დატრიალებას ამაოდ ცდილობდა, ელოდა ჯადოსნურ ძალას, რომელიც ამ გასაოცარ აღმოჩენას მთელს პლანეტაზე დაამკვიდრებინებდა, მაგრამ ამისთანა სასწაულმოქმედი იგვიანებდა და აი, თითქოს გამობრწყინდა რაღაც იმედის სხივი და ეს სხივიც შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გახლდათ. სანდო ხალხს გაატანა კიდევ ყველა საჭირო დოკუმენტაცია „ბიორაგზე“ ბატონმა რამაზმა, თუმცა იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ან რანაირად გაიგონებდა ამისთანა სანეტარო ხმას, როცა საჭირო ინფორმაცია მთავარ ადრესატამდე არც კი მიღწეულა. აქ არაფერია უცხო, განა ცოტა გვსმენია ხალხური სიბრძნიდან: **ბევრი ვეცადე შენთვის, ძლივს მოვახერხე ჩემთვისაო.**

მთავარი წინაღობა „ბიორაგის“ ბლოკირებისა მესასუქეების კასტა იყო და არის დღესაც. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რომ ამ გასაოცარ პრეპარატს სახელი გაუტყდეს. მიჰქონდათ ეს სითხე ქართველ ფერმერებს, ზედმიწევნით იცავდნენ მცენარის თესლის მისით დამუშავების მეთოდოლოგიას, მოსავალიც მოჰყავდათ, გაცილებით მეტი, როგორც ამას ჩვეულებრივ პირობებში იღებდნენ, მაგრამ აუტკივარი თავის ატკივება არავის სურდა. ნაცადი გზა ისევ იმარჯვებდა – **„აქ ვიყო და ჭაკ ვიყო“**. მერედა, „ბიორაგს“ უჭირს გენმოდინაციურებულ მცენარეების თესლზე ზემოქმედება, რომელიც ფაქტობრივად ადამიანების გადასაშენებლადაა მოფიქრებული. „ბიორაგის“ უნარიანი ასპარეზი ძირითადად ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ენდემურ ჯიშებშია.

იყო შემთავაზებები თურქეთიდან, ეგვიპტიდან, აფრიკიდანაც კი, მაგრამ **რამაზ გახოკიძეს** ერთის მხრივ მამულიშვილური გრძნობა ამუხრუჭებდა ქვეყნიდან გაეტანა მისი სამშობლოს ასაღორძინებლად შექმნილი პრეპარატი, და მეორე, ის საინვესტიციო ჯგუფები „ბიორაგის“ ფორმულას სთხოვდნენ უკლებლივ, რაც პრეპარატს საერთოდ დაუკარგავდა საქართველოს ამ პატროფილურ ძალისხმევას და შესაძლოა მთელ კაცობრიობასაც კი, ვინაიდან „ბიორაგი“ პირდაპირ ცხვირ-პირ-

ში ულანუნებდა და ულანუნებს დღესაც ანტიპლანეტარულ გენურ ინჟინერიას, ეკოსოსტემის გამატილებელ პესტიციდებს და ჰერბიციდებს, ათასნაირ შხამ-ქიმიკატს, რომლებმაც სამუდამოდ გაანადგურეს ჩვენი პლანეტის ჰუმუსი, მოგებას გამოდევნებული კორპორაციებისა თუ სინდიკატების მადათა სასარგებლოდ.

მოგეხსენებათ, ხელდასხმულებს, როგორც ყველა მოვლენა და ყველა საგანი, ოლიგარქიაც ორნაირია – პროგრესული და რეგრესული, საკაცობრიო და ანტიკაცობრიული, ჭეშმარიტი და ფსევდო, და, აი, ფსევდო-ოლიგარქიამაც დიდი ხანია დედამინა გარდაუვალი კატასტროფისათვის გასწირა. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიშველიებ სტატისტიკური მაჩვენებლების გვერდის ავლით:

გაუდაბურებულია ოდესღაც მოხასხასე ტყეები და ველ-მინდვრები; გაიშვიათებულია ჰაერი; ცაში აჭრილი ხეპრული ქალაქები გადაულახავ ბარიერად ეღობება წინ გადამფრენ ფრინველებს, მათ კოჭებთან ცვივიან ისინი ფრთებდაღენილები და პარაზიტმა მწერებმა აიშვეს ქვეყნის ოთხივ კიდი; ატმოსფეროში გამოფრქვეული ფაბრიკა-ქარხნების, მანქანა-თვითმფრინავების გაზებისგან, თუ რადიაციული დარღუბალათი მუტაციას განიცდის განუხრელად ფლორა, ფაუნა; დედამინაზე გლობალური დათბობის შედეგად ინტენსიურად დნება პლანეტის პოლუსებზე ყინულის მასები, რომელიც კაცობრიული წარღვნის უტყუარი წინაპირობაა სახვალიოდ თუ არა, საზეგისოდ მაინც.

„ჩვენს ხანებში მცხოვრები ერთ-ერთი უდიდესი წარმოსახვის ადამიანი“, მილიარდერი **ილონ რივი მასკი** თითქოსდა განწირული სულისკვეთებით გამოასვალს ეძებს თავისი 9 შვილისთვის თუ კაცობრიული ცივილიზაციისთვის, სერიოზული თანხის დაბანდებას აპირებს მარსზე სასიცოცხლო პირობების დასანერგავად. თავისთავად მსგავსი პროექტი თითქოსდა სისხლხორცეულად ემსახურება კაცობრიულ ინტერესებს და ამავდროულად დედამინის პრობლემებისადმი უნებლიე ზურგის შექცევა მგონია. თუკი მისივე ელექტრომანქანა „ტესლას“ წარმოება კაცობრიობის სამსახურშია, მარსის პროექტზე მილიარდების გაფლანგვა სრულიად უსაგნური მეჩვენება. არის ვარაუდები, რომ მარსზე ხელოვნური არხები თითქოს წყალთა ნაკადისგანაა წარმოქმნილი; რომ მან სიცოცხლის პოზიცია მილიონობით წლის წინათ დათმო, დაკარგა ატმოსფერო და წითელ პლანეტად იქცა, რომელ შეფერილობასაც რკინის მადნისგან იღებს შორიდან მომზირალი თვალისთვის.

ბერძნულად ოლიგარქი უმცირესობის მმართველობას ნიშნავს – λιγόν „ოლიგონ“ ცოტა და ρχή



„არქე“ ძალაუფლება. ეს იგივე ხელისუფლებაში მდიდარი კაცის ყოფნაა, მაგალითად ქართულ სინამდვილეში რომ გვყავდა დიდი ილია ჭავჭავაძე, ან გასულის საუკუნის ოციან წლებში ნავთობის მაგნატი ირანში აკაკი ხომტარია, სამ წელიწადს უფასოდ რომ აჭმევდა პურს თავისუფალ საქართველოს. შეძლებული, მდიდარი კაცი ხელისუფლებაში, თანაც კაცობრიული სულის მატარებელი, მშვენიერისა და ამაღლებულის დამამკვიდრებელი ჩვენ ჭეშმარიტ ოლიგარქად მოგვინათლავს – ეს იგივე პრომეთეა, ქრისტე თავიანთი ზოგადკაცობრიული მისიებით. ჩვენ ამისთანა პიროვნებად მოვიზრებთ უმაგალითო ქველმოქმედს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, რომელმაც უკრაინა-რუსეთის ძმათამკვლელ ომში საქართველოს ჩაურევლობით, **ჯერ ერთი, ათასობით ჩვენს თანამემამულეს აჩუქა უმთავრესი სამყაროსიერი ფასეულობა – სიცოცხლე. მეორე ამ ადამიანს მთელი საადამიანოც უნდა ემადლიერებოდეს მიმდინარე კონფლიქტს მესამე მსოფლიო ომის შტრიხები რომ შეუმცირა ორომტრიალში საქართველოს, ანუ მთელი კავკასიის არმონანღობით.**

დიახ, ბიძინა ივანიშვილი ჭეშმარიტი ოლიგარქი გახლავთ, მაგრამ არიან ხელისუფლებაში სხვა ყაიდის ფსევდო-ოლიგარქებიც, რომლებიც აფინანსებდნენ და აფინანსებენ ომებს, „შიდსებს“ და „კოვიდებს“ პროსტიტუციებს და სიჩლუნგეთ, რათა მათი სოციალური აქტივობა არ აღემატებოდეს ჯოგის მონაცემებს. ადამიანების ამგვარი კატეგორიისათვის იბრძვიან ფსევდო ოლიგარქები, რათა სამერმისოდ უზრუნველყოფილიყოს მათი კლანური მსოფლიო ბატონობა. ჩვენ არაერთი მაგალითი გვახსოვს შორეული წლებიდან, როცა ძველი ცივილიზაციის მონაპოვრებს თვალის დაუხამხამებლად ისაკუთრებდა შედარებით ახალი. თავად დარწმუნდით: შუმერული ცივილიზაციის წარღვნისგან გადამრჩენელ მეფეს **ზიუსუდრა** ერქვა, რომელიც აქადების პერიოდში **უთანაფიშთად** გადაინათლა, ხოლო სემიტების ზეობის ჟამს, მთლად **ნოედ** მოგვევლინა.

ჭეშმარიტი ოლიგარქია ფსევდო ოლიგარქიის მესაფლავება. ამიტომაც ააგორეს ევროპარლამენტში „ევროპის სახალხო პარტიის“ ლობირებით ივანიშვილის დეოლიგარქიზაციის საკითხი, კაცობრიობის ისტორიაში არგაგონილი დებბიძინიზაციის თემა. ეს იგივეა, რაც კაცთმოყვარეობისათვის უნდობლობა გამოუცხადო პრომეთეს, ქრისტეს, შენი უმეცარი ეგოიზმით ერთის დეპრომეთიზაცია მოითხოვო და მეორის დექრისტეზაცია.

მსოფლიოში დღეს **3228** მილიარდერია, რომელთა საერთო ქონება დაახლოებით **15** ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ თანხის **20-30** პროცენტი დედამიწის პრობლემებისკენ რომ მიმართოს მდიდართა კასტამ, კაცობრიული პრობლემების მეტი წილი ეგრევე აილაგება – შიმშილი, სიღატაკე, ავადმყოფობა, უცოდინრობა, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ თითო-ოროლას გამოკლებით ავადმყოფურად გაურბიან კაცობრიულ პრობლემებს და მერკანტილური მიზნებით არიან დაკავებულნი.

რაც მეტი ოდენობით ეყოლება კაცობრიობას წარსულში **აკაკი ხომტარიას**, დღევანდელობაში ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** გონების ოლიგარქები, მით ნაკლები იქნება საზოგადოებრივი აშლილობანი, რომელიც დედამიწას გულმოდგინედ მიაქანებს გარდუვალი ეშაფოტისაკენ.

აი, როგორ და რანაირ ვითარებაშია აღმოცენებული ჩვენს პროტოიბერიულ სივრცეში კაცობრიობის მეოხ და გადამრჩენელ სივრცეში (იოანი – შუმერის შემოქმედი, პრომეთე-ამირანი – კაცობრიობისთვის ცეცხლის, გონითი სივრცის მიმწოდებელი და სტალინი – ფაშიზმის დამასამარებელი), აკადემიკოს **რამაზ გახაკიძის** მიერ შექმნილი მსოფლიოს მერვე საოცრება – პრეპარატი **„ბიორაგი“**.

„ბიორაგი“ დამუშავებული თესლი (ეფექტურია მცენარეზე „ბიორაგის“ ხსნარის შესხურებაც ვეგეტაციის პირობებში) დაკავებული მინის ფართობი ტრადიციული გამოფიტვის ნაცვლოდ გასაოცარ ცხოველმყოფელობას იძენს. თუკი აზოტოვანი და ფოსფორის სასუქებით, პესტიციდებითა და შხამ-ქიმიკატებით სავარგულები ორი-სამი მოსავლის შემდეგ აბსოლუტურად გამოუსადეგარია, აქ პირიქითაა საქმე, რამდენჯერაც დაკავდება ფართობი სასოფლო-სამეურნეო კულტურით, მით უფრო ნაყოფიერი ხდება. ხოლო რაც შეეხება მასზე მონეულ პროდუქციას, ნებისმიერი მიმართულებით (ფაუნა, ფლორა), სამჯერ, ხუთჯერ მეტ მოსავალს იძლევა. ამავდროულად, ეს მოსავალი აბსოლუტურად უწყინარია ადამიანის ორგანიზმისათვის. „ბიორაგი“ დამუშავებული მცენარე გაცილებით სწრაფზრდადია. ეს თვალსაჩინო გახდა ვერცხლისფერი ნაძვის მაგალითითაც, რომელი პროექტი იტალიელებისთვის განხორციელდა რომის სიხლოვეს. ვგონებ იმ ადგილს „თბილისის ხეივანი“ ჰქვია. ასეთი მცენარე ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით მძლავრი ვარჯით გამოირჩევა, შთანთქავს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და გამოჰყოფს მეტი ოდენობის ჟანგბადს. ეს კი მიმანიშნებელია იმისა, რომ დედამიწის მცენარეულ სამყაროს „ბიორაგის“ მეშვეობით შესწევს ათწლეულობით დაკარგული ატმოსფეროს სრულფასოვანი აღდგენა. ამისთანა შემთხვევაში მყის უკუდგება დათბობის საშიშროებაც, რომელიც იწვევს პოლუსებზე ყინულის მასის ინტენსიურ დნობას და ჩვენს პლანეტას

მორიგი წარღვნისკენ მიაქანებს. „ბიორაგი“ გვათავისუფლებს იმ უტოპიური პროფილაქტიკისგანაც, რასაც ტრილიონების შეწირვა შეუძლია დედამიწის ფინანსური წყაროებიდან; შედეგი კი არავინ უწყის რა სავალალო შეიძლება მივიღოთ: საქმე ეხება ცის თაღზე ხელოვნური თანამგზავრების წრიულად განლაგების პროექტს, რომელზეც სარკეები დამონტაჟდება მზის სხივების ასარეკლავად და ამ გზით თითქოს დედამიწაზე დათბობა შემცირდება.

აი, გახურებული თავების ავადმყოფური თერაპია. ფსევდო-ოლიგარქია დაავადებულია საკუთარი სიმდიდრის მანიაკური გამრავლებისა და შენარჩუნების სინდრომით. იგი ჰგავს მაკაკას, რომელსაც მონადირენი კაკალს ჩაუყრიან ხოლმე ამოღრუნტულ ჯირკში. ჩაჰყოფს ხელს ხვრელში მაკაკა, მომუჭავს კაკალს, მუშტი გაუმსხვილდება და უკან ვერ ამოაქვს. მაკაკა დაჭერილია, გინდა თავში გირახუნებია თუ სულაც წარბეზიანად შეგიტრუსავს.

ასეთივეა ფსევდო-ოლიგარქების კასტაც. ისინი ვერაფრით ელევან თავიანთ სიმბოლურ კაკალს – ამ შემთხვევაში მილიარდებს, როცა შესაძლოა ყველაფერი დაკარგონ კარზე მომდგარი გლობალური კატასტროფით; რომელიც კვლავაც და კვლავაც მათი ინსპირირებულია, ლოკალური თუ მასშტაბური ომებით, საზოგადოებრივი თუ შინაგანი აშლილობებით.

როგორ მოვიქცეთ ახლა?!

უმრავლესობა, პლებსი გამოთავყვანებულია უკვე **ალან დალასის** დაქადებული დოქტრინის კვალობაზე – მომსპარია ნარკომანიით, ალკოჰოლიზმით, ნიკოტინით, ალვირახსნილი სექსით ადრეული ასაკიდან. საზოგადოების ეს კატეგორია ჭაბუკობის წლებიდანვე შეპყრობილია იმპოტენციით – ანანიზმის სანინაალმდეგოდ აბრაჰამმა წინდაცვეთა მოიგონა, რათა ტრიბადიით (ხახუნი) არ მიეღო მამრს კოიტუსი (სექსუალური სიამოვნება) და ამით ნაადრევად არ გაეცვითა პენისის გვირგვინი. რაც შეეხება სოდომ-გომორულ იმპულსებს, ბოლო პერიოდში ასე რომ მოუმრავლდა კაცობრიობას და რომლის მასობრივი დამკვიდრებისთვის თავს იკლავდნენ ოციანელი ტროცკები აუ სადღეისო გლობალისტები ლგპდეების ლაშქართი ტრანსატლანტიკურ-ევროპული სივრციდან, ერთის მხრივ უფლის დაგმობილი ცოდვიანობისკენ გამიზნული ბიძგია და მეორეს მხრივ, მონეტარული სისტემის მიერ ამ მასის ნახირივით მართვის უმტკივნეულო საშუალება.

ხსნა სად შეიძლება იყოს?

პირველ რიგში ფსევდო-ოლიგარქების მადას ალიკაპი უნდა ამოედოს ჭეშმარიტი ოლიგარქების

სასარგებლოდ: კაცობრიული ზენოლით უნდა შეანყვეტონო ატომური აფეთქებები დედამიწის ქერქსა და ატმოსფეროში; შემდგომ ფორსირებულად უნდა განხორციელდეს ჩვენს პლანეტაზე არსებული (ისრაელი – 80, პაკისტანი – 150, დიდი ბრიტანეთი – 520, ჩინეთი – 260, საფრანგეთი – 290, აშშ – 6450, რუსეთი – 7500) 15 250 ქობინის დემონტაჟი, რომელსაც, სულ ცოტა 150-ჯერ შეუძლია დედამიწაზე სიცოცხლის იავარქნა. კაცობრიობამ საერთო ძალისხმევით უნდა შეძლოს პლანეტარული ბიუჯეტის ფორმირება, (არა ისეთი, როგორც „ნატოს“ აქვს, ევროკავშირს, ან „ეცენგეს“ ჰქონდა – მილიტარისტული), სადაც შეიარაღებული ძალებისთვის ფორმირებისაგან გამოთავისუფლებული თანხები ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს მოხმარდება.

კაცობრიობა უნდა მიჰყვეს პროფესორ **ნოდარ ჭითანავას** პარადიგმას, რომელიც გულისხმობს მძლავრი აგროკომპლექსის განვითარებას ინდუსტრალიზაციის გზით, ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და პოლიტიკური კონსენსუსის საუნივერსიტეტო დიპლომატიასთან ერთად.

საქართველოში **ფსტა** (ბუსტული), სამეურნეო მიზნით დღემდე არადროს გამოყენებულა. ის ყველაზე ძვირად ღირებული კაკლოვანი კულტურაა. აშენებენ კომერციული მიზნით, ასევე კარგია ნიადაგის გაუდაბნოებისა და ეროზიის წინააღმდეგ. ეს მცენარე პროდუქტიულობას სამასი-ოთხასი წლის განმავლობაში ინარჩუნებს. ფსტა უძლებს მინუს 30 გრადუს ცინვას და პლუს 50 გრადუს სიცხეს. ერთი ხე 20 წლის ასაკში 30 კილოგრამ ნაყოფს იხსამს. ახლა წარმოიდგინეთ, ერთ ჰექტარზე გაშენებული 400 ნერგი 20 წლის ასაკში რა რაოდენობის მოსავალს მოგვცემს: დაახლოებით 360 000 ლარისას ყოველ ჰექტარზე. მაგრამ ჩვენ ფსტას განსხვავებულ ფუნქციას ვანიჭებთ, შესაძლოა ითქვას – კაცობრიულ მნიშვნელობას. ეს ყველაფერი უკავშირდება დედამიწაზე არსებულ მილიონობით ჰექტარ ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს, დიახაც, ფსტას მეშვეობით გამინიანებას და კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებას.

ამ კუთხით დღემდე ქმედითი ნაბიჯი არავის გადაუდგამს. სწორედ აქ არის ჭეშმარიტი ოლიგარქიის ძალისხმევა აუცილებელი, რათა მან განსაკუთრებული როლი ითამაშოს დედამიწის გადარჩენაში. საილუსტრაციოდ, პირველ რიგში დავით გარეჯის უდაბნოს მოვლა-პატრონობა იკმარებს. აქ ფსტას სამეურნეო მნიშვნელობით



კარგა ხანია აშენებს ერთი ირანელი მეწარმე. მაგრამ ჩვენთვის ფსტას პერსპექტივები, როგორც ვახსენეთ, გაცილებით შორს მიმავალია. თუკი მისი თესლი „ბიორაგით“ დამუშავდება, ამისთანა შენთხვევაში, ფსტას ისედაც ბუნებრივად მომადლებული მძლავრი ფესვთა სისტემა (დაახლოებით 30-35 მეტრი), უორმაგდება, უსამმაგდება და წარმოუდგენელ სიცოცხლისუნარიანობას იძენს. ამისთანა მცენარეს უკვე თავისუფლად შეუძლია ნახევარუდაბნოსა თუ უდაბნოს გამინიანების პრობლემასთან შეჭიდება, ვინაიდან 80-90 მეტრის სიღრმიდან იგი ადვილად შეძლებს მის წიაღში არსებული წყლის მარაგის ზედაპირზე ამოტუმბვას და საბოლოოდ ხრიოკი გარემოს ბალნარად გადაქცევას.

ეროვნულ მისიად მიმიჩნევია შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკისათვის გვიმრის ხეების იშვიათი ეგზემპლარების ახალი ზელანდიიდან ჩამოტანა. ეს ქმედება ქართული ეკოსისტემის რგოლიდან ამოვარდნილი ამ მცენარის რეანიმაციაა ფაქტობრივად. ჩვენი წინაპრები ხომ მითოლოგიური გადმოცემით გვიმრის ხეებზე ლოცულობდნენ, ეთაყვანებოდნენ, როგორც ბუნების იშვიათ ეგზემპლარებს, მშვენიერების სიმბოლოს;

ეროვნულ მისიად მიმიჩნევია სამომავლოდ ჭეშმარიტი ოლიგარქისგან „ბიორაგის“ სტიმულირების მიზნით საქართველოს მოსახლეობისათვის მისი უსასყიდლოდ მიწოდებაც. ეს პრეპარატი სპეციალიზებულ მაღაზიებში რის ვაი-ვაგლახით იყიდება დღემდე. თანაც აქ გამორიცხული არ არის ფალსიფიკაციაც, ვინაიდან ერთი ლიტრი „ბიორაგის“ ფასი 180 ლარია. ჩვენი გამოცდილებით კი საკოლმეურნეო ბაზარში 15-20 ლარის ღირებულების ნამდვილი სულუგუნი ვერაფრით შეგვიძენია, სულ წარყვნილს ვაღლაჭუნებთ.

„ბიორაგის“ მასშტაბურად დანერგვას აფერხებს აგრეთვე გარკვეული წრეებში დამკვიდრებული ანგარებითი პრინციპი, მწარმოებელ ფერმერებს მოგების წილში უჯდებათ გარკვეული წრეები.

– ჩვეულებრივი გზით ხომ ღებულობდი ჰექტარზე 2 ტონა მოსავალს? – კითხულობენ ისინი.

– კი – პასუხობს ფერმერი.

– თუკი „ბიორაგის“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა, გასამმაგდა, რამდენი პროცენტი მეკუთვნის ახლა ამ მოგებიდანო. – დაინტერესებულია საქმოსანი.

მოკლედ, ამგვარ სავალალო სიტუაციაში განუზომელია ჭეშმარიტი ოლიგარქის ძალ-

ისხმევა. პირველ ეტაპზე სათანადო ქველმოქმედებით მსგავსი მანიპულაციების მზე ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენება.


სავარგულებში „ბიორაგით“ დამუშავებული კულტურების დანერგვის შემთხვევაში საერთოდ ამოვარდება ფართობებში სასუქების შეტანის პრაქტიკა. მეურნე კაცს საკმაოდ სოლიდური თანხა დაეზოგება. თითოეული ჰექტარი სასუქთან შედარებით დაახლოებით ორჯერ ნაკლები ღირებულების „ბიორაგს“ საჭიროებს. თუკი პირველ ეტაპზე გლეს ეს პრეპარატი უსასყიდლოდ მიეცემა, აი, მაშინ თვალში გამოიხედავს ჩვენი გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა, ვინაიდან მუშახელს გული მოუბრუნდება მიწისკენ. მის კისერზე დანოლილი სასუქების ხარჯი და მათი შეტანის დამატებითი გასავალი გამოთავისუფლდება შრომის პროცესიდან. ეს ყველაფერი პროდუქციის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს. ამას დავამატებთ სავარგულების გაკეთილმობილების რეალობას და ადამიანის ორგანიზმისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო პროდუქციას, რომელიც ონკოლოგიური და სხვა დაავადების დათრგუნვის უებარი საშუალებაა.

ყველაფერს რომ მოვეშვათ, მსოფლიოში ქართული სურსათ-სანოვეგე ერთპიროვნული ლიდერი, უკონკურენტო გახდება.

ეროვნულ ძალისხმევად მიმაჩნდა და მიმიჩნევია ჭეშმარიტი ოლიგარქის მიერ ეკლესია-მონასტრის აშენება-რესტავრაციაზე გახარჯული მილიონები, ეს სულიერიებისკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯებია, მაგრამ „ბიორაგის“ მეოხება მის საქმიანობას ახალ ამბლუაში აიტაცებს ხვალ და ზეგ, მარსის ათვისებისკენ კი არ მიაპყრობს ილონ მასკივით ფინანსურ რესურსებს, არამედ – დედამიწის გადაუდებელი პრობლემების მოგვარებისაკენ, რადგანაც დიდი ირაკლი აბაშიძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, **„სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე!“**

„ბიორაგის“ მასობრივი დანერგვით ჩვენ უნებურად შემოვაბრუნებთ საქართველოში დღემდე საგანგაშოდ დამკვიდრებული მიგრაციის პროცესს. ჩვენ უკვე ევროკავშირის ქვეყნებსა თუ ტრანსატლანტიკურ სივრცეში ღამის ქოთნებისა და ბორბლებიანი ეტლების საგორავი არაფერი დაგვჭირდება; ჩვენი სხეულებიც ნაკლებად აჭრელდება ტატუთი და არც განგებ სტიმულირებულ გეიპარადების ამაზრზენობით დაშანტაჟდება ქართული მართლმადიდებელი მოსახლეობა.

დღეების წინათ დუშეთის მუნიციპალიტეტის რეგიონში (გამგებელი **მანანა ნარიმანიძე**) ბა-



ზალეთის ტბის ხელმარცხნივ, საკრამულის (შარმაზანა) ტერიტორიაზე „ბიორაგით“ გაჯერებულ წითელი დოლის პურის ხოდაბუნში მოვხვდი. ფაქტობრივად უნაყოფო მიწაზე, სადაც ადრე მოსავალი მისდლემში არ მოწეულა, ერთმა ენთუზიასტმა პიროვნებამ, ადრეულ წლებში სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავემ, ან ორი შვილის დედამ და ხუთი შვილიშვილის ბებია, **მარიამ კიკაძემ** სამ ჰექტარზე გააშენა ეს კულტურა.

წითელი დოლი ენდემური იშვიათი ჯიშია. კილოგრამი 3,5 ლარი ღირს. მისი საჰექტარო მოსავალი 1,2 ტონაა, გასაყიდად არც ემეტება, სათესლედ აქვს გამიზნული, სელექციისათვის. ჯერ მოსავალი არც კი მოუწევია და ხორბლის შეძენის ორი მსურველი უკვე გამოუჩნდა. ღამის ხრიოკ ადგილას, უსასუქოდ, სამ ჰექტარზე სამი ტონის ნაცვლად 18 ტონა წითელი დოლია მოწეული! აქედან ერთი ტონა უკვე შეიძინა მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ტოკიოს 1964 წლის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონმა, ყოფილმა პარლამენტარმა და უნივერსალურმა ადამიანმა, ბატომ **რომან რურუამ** თავის სავარგულებზე დასათესად. ნარმატება, ზურგის ქარი მას და მისთანებს!

ჩვენ სამახსოვრო ფოტოებს გადავიღებთ წითელი დოლის ხოდაბუნში. უნებურად სელინჯერის დიდებული „თამაში ქვავის ყანაში“ გამახსენდა, სადაც ფლატეზე ბავშვები ყრიათულობენ, რომლის იქით ფრიალოა, გადასავარდნი.

დიახ, ამ უფსკრულს მიდგომია ჩვენი მსოფლიო დღეს და „ბიორაგის“ ძალისხმევა რომ არა, არავინ უწყის, მარსის გარდა კიდევ რომელ პლანეტაზე ექნება მოსაძიებელი სასიცოცხლო პირობები ახალ მასკებს თუ მის მიმდევართ. დიახ, პანტა მსხლის ძირას გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოს ქალბატონ მარიამ კიკაძესთან და „ბიორაგის“ შემოქმედ, აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან ერთად (სხვათა შორის ამ წოდებაზე 1986 წელს წარდგენილს მხოლოდ 36 წლის შემდეგ მიენიჭება ეს მაღალი წოდება).

თავადაც კარგად შენიშნავთ, გაბეხრეკებულ პანტა მსხალს ძლივს უდგას სული. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ კენწეროებს შერჩენია, ფითრი მისძალებია და გასაცოდავებულა ჩვენს სამშობლოსავით. 100 მილიგრამი „ბიორაგით“ გაჯერებული ათიოდე ლიტრი წყალია საჭირო, რომ ბედასლმა ხემ ახალი სიცოცხლე შეიძინოს, ავადმყოფობის ქირ-ვარამი მხრებიდან გადაიბერტყოს და იქაურობა ოდინდელი ხალისით აავსოს. მსგავსი რამ ბატონი რამაზისგან რამდენიმე ადგ-



ილას გაკეთებულა უკვე შინ თუ გარეთ, იტალიაში ვერცხლისფერი ნაძვები გაუშენებია, ახლახან საპატრიარქოს ძალისხმევით სამეგრელოში ბზის იშვიათი ნარგავები მოიკითხა.

ავგისტოს დამდეგს მარტივლის რაიონის სალხინოს თემში 20 000 ბზის ნერგი დამუშავდა „ბიორაგის“ ხსნარით დადიანების ისტორიულ სამოსახლოში. ამ საქმეს კი „ბიორაგის“ იშვიათი მცოდნე-პრაქტიკოსი, ლეკუხონელი აგრონომი გენადი ცაავა ხელმძღვანელობდა. ჩვენი გენო ბუნების დიდი მეზვამიადეა დარსუ უზალას კვალობაზე. ლამის მეოთხედი საუკუნეა „ბიორაგის“ მეშვეობით სასწაულებს ახდენს საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ... 22 ტონა სიმინდი მოჰყავს ჰექტარიდან, „ბიორაგით“ გაჯერებული მცენარე დამატებით ფესვურებს შეიძენს ხოლმე, სამი-ხუთი ტარო ასხია. იგივე სიტუაციაა სხვა კულტურებთანაც. წარმოიდგინეთ, მეტოცვრობამ „ბიორაგის“ წყალობით თვალში გამოიხედა. ასევეა კოლტიც – მელორეობაც, თვით ცხენებშიც გასაოცარი შედეგია მიღწეული, ლამის ჯაგლაგებმა, „ბიორაგით“ მკურნალობის შემდეგ დოღში საპრიზო ადგილები არავის დაუთმეს. უტრიალეს ბეთლებმა, მაგრამ ამაოდ, დოჰინგი ვერანაირად დაუმტკიცეს.

პროფესორ ჰაუსენის გამოთვლით თუ ხორბლის 1 მარცვალი მოგვცემს 100 მარცვალს, ამისთანა შემთხვევაში 10 წელიწადში მისგან წარმოშობილი მამითადი გამოკვებვას სრულიად დედამინის მოსახლეობას.

ხალხნო და ჯამაათნო, „ბიორაგით“ დამუშავებული ხორბლის ჯიში „ალაზნის ველის“ 1 მარცვლისგან აღმოცენებულია 8250 მარცვალი. იგი სპობს კიბოს, ინფექციურ ავადმყოფობებს, კოვიდს, პეპელას, მავნე მწერებს, შიმშილს, აჯანსალებს გამოფიტულ მინას, ასუფთავებს გაბინძურებულ წყალს და ჰაერს, სავარგულად გარდაქმნის ნახევარუდაბნოებს და უდაბნოებს.

სხვა რა ქნას ბიორაგმა?! ურწმუნო თომებს ერთილა დაგვრჩენია – ქრისტეს ნაჭრილობევ ფერდში თითების გაყრა, რათა მისი არსებობა ბოლოს და ბოლოს ვალიაროთ! დიახ, ქვემარტი ოლიგარქის როლი „ბიორაგის“ დამკვიდრებაში განუზომელია. მას სხვა ნამუსიანი ოლიგარქებიც აუბამენ ფეხს კაცობრიული მასშტაბით. ამ შემთხვევაში მათი ერთობლივი მეოხება გაცდება მერკანტილურ ჩარჩოებს, პლანეტარული თვალსაწიერიდან მიაყურადებენ მოვლენებს და სერიოზული ინვესტიციების „ბიორაგისკენ“ მიმართებით უკვდავების გვირგვინებით დაიდაფნავენ თავს, როგორც სრულიად დედამინის სწორუპოვარი მენალკოტენი, როგორც კაცობრიული ცივილიზაციის ქვემარტი მსსნელები!

ოზლის კვერის ისტორია

მიმართვა ძვირფას კოლეგებს –
ჩემს თანამოსაგრე ქართველ მწერლებს

(ნერილი მეექვსე)



ქართველი მწერლების
ჯგუფი ეცნობა ქალაქ
ზუგდიდის №1 საჯარო
სკოლის კოლექტივს, ქალაქის
ღირსშესანიშნაობებს.



საგანგებოდ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველები-სთვის გამიზნულ წერილს უკეთეს სათაურს ნამდვილად ვერ დავუძებნიდი. აკი ნათქვამია ქართველი კაცისგან: **ოზლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოვცვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო.** დიახ, ოზლის კვერივითაა ყველა დროის ასუკეთესო თანამემამულე ქიმიკოს-მუსიკოსის, დოქტორ **რამაზ გახოკიძის** ბედ-იღბალი, წარდგინებიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ გახდება იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი. მის მიერ შექმნილი პრეპარატი, მსოფლიოს მერვე საოცრება „ბიორაგი“ 30 წლის შემდეგ ჰპოვებს ჭეშმარიტ სარბიელს, მსოფლიო უდაბნოების აღორძინების პერსპექტივით, ხე-მცენარე ფსტას მეშვეობით.

წიგნიერი ხალხისთვის ისიც ცნობილია, რომ უცებ არა, დაბადებიდან 30 წლის შემდეგ მოველინება საადამიანოს უფალთ-უფალი იესო ქრისტე, როგორც სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი, როგორც კაცობრიობისათვის მარადიული სიცოცხლის მიმნიჭებელი.

სიკეთის განსახიერება ქალბატონმა, **ია ჩუთლაშვილმა** შექმნა გასაოცარი წიგნი, „**მარჯნად აკინძული აზრები**“, (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ. 2022) რომელიც აკადემიკოსი რამაზ გახოკიძის ნაწარმოებებში განბეული ფრთიანი გამონათქვამების კრებულია. იგი არაფრით ჩამოუვარდება დღემდე დასტამბულ მსგავს თხზულებებს: **მარკუს ავრელიუსის** „ფიქრებს“, **ბლემ პასკალის** „აზრებს“... მეტიც, ერთიორად აღემატება მათ მოქალაქეობრივი პათოსით თუ მზრუნველობით ერთიან ეკოსისტემაზე, ნანილისა და მთელით შესინთეზებულ კაცობრიობაზე.

ამჯერად ჩვენს სასაუბრო თემასთან მორგებულ ერთ ამონარიდს დავჯერდებით: „**ჩვენ მომავალი თაობების ხარჯზე ვცხოვრობთ და ამოვწურეთ სიცოცხლის ლიმიტი. ახლა გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ. პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ ქართული გენოფონდის გადარჩენაზე.** (თანამედროვე მწერლობის, ზოგადად ხელოვნების პრობლემებზე რამაზ გახოკიძისეულ ხედვას ქვემოთ უფრო სადაგად წარმოგიდგენთ, გ. ო.). **დღეს უკვე მეცნიერებისათვის აქსიომატურად შეუმცდარი ჭეშმარიტებაა, რომ ბუნების განადგურებით კაცობრიობა დაიღუპება, თუ დროზე არ გამოვასწორებთ კატასტროფამდე მიყვანილ ეკოლოგიურ მდგომარეობას, მაშინ ჩვენ, საღათას ძილისგან რის ვაი-ვაგლახით გამორკვეულნი, შეიძლება ღრმა ჭაობში აღმოვჩნდეთ. მხოლოდ კულტურის საერთო დონის ამაღლებითაა შესაძლებელი ბუნების დაცვა, დაცვა ეკოლოგიური იმპერეტივის (ლათ. ბრძანებითი კილო, კანტის იდეალისტურ და მეტაფიზიკურ ეთიკაში უცილობელია ზნეობრივი ბრძანება, რომელიც მუდამ ახლავს გონებას და რომელიც მორალის საფუძველთა საფუძველია, გ. ო.) პრინციპით: არა ბუნების დაპყრო-**



ზუგდიდი. ზედა ენერი. ქართველი მწერლების ჯგუფი სტუმრობს ნონა თორდიას ქარხანა „გემუანში“, რომელიც კოსმონავტიკისთვის აწარმოებს ქართულ ჩიპსებს.



ბით (მსგავსად მიჩურინისა და მის თანამიმდევართა გეგმისა ბუნებისაგან წყალობის გამოგლეჯის შესახებ), არამედ ბუნებისა და საზოგადოების ერთობლივი ჰარმონიული განვითარებით. სჯობს ვითანამშროლოთ ბუნებასთან, ვიდრე ვებრძოლოთ მას...” გვ. 174.

30 წელიწადზე ცოტა მეტს (1969-2021) ელოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში „რესპუბლიკელების“ ჰეგემონიის კვალდაკვალ ასპარეზზე გამოსვლას „დემოკრატები“ და გამოჩენის უმაღლეს მოახერხეს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი ომის ესკალაცია. ამ ინსპირირებულ, კაცობრიობის სანინააღმდეგოდ მართულ ორომტრიალში საქართველოს ჩაურთველობის გამო მსოფლიოში შეუდარებელი ქველმოქმედი **ბიძინა ივანიშვილი** ლამის „პერსონ ნონ გრანტადა“ გამოცხადებული, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (!) ევროპარლამენტის მიერ; აი, ვინ, რომელი განაქიქებს ამ გასაოცარ პიროვნებას დეოლიგარქიზაციით, ადამიანური უფლებების გამთელავი ტერმინით „დებიძინიზაცია“.

„ბიორაგმა“ სამათეული წლის განმავლობაში ფანტასტიკური შედეგები მოგვცა მესიმინდობაში, განსაკუთრებით ენგურსგაღმა ტერიტორიებზე. საქმის დიდმა მცოდნემ, აგრონომმა **გენო ცაავამ** ერთი ჰექტარიდან საშუალოდ 20-22 ტონა სიმინდი მოიწია, როცა ჩვეულებრივ პირობებში, სასუქის ორჯერ შეტანისა და ორჯერ გამოთონის შემდეგ მოსავლიანობა 3-4 ტონას არ აჭარბებს.

მივმართავ მარტივ ბუხჰალტრულ ანალიზს: მაგალითისათვის, გვაქვს 10 ჰექტარი მიწა. თესლის „ბიორაგით“ დამუშავების შემთხვევაში, მეურნე კაცს ეზოგება 60 ტომარა სასუქი, რომლის საერთო ღირებულება დაახლოებით 5000 ლარია. ახლა ამ სასუქს ფართობში ორგზის შეტანა ხომ უნდა?! უნდა. ესეც ფულს საჭიროებს, სავარაუდოდ 2000 ლარს. ამ დროს მეურნე კაცს „ბიორაგის“ შესაძენად 10 ჰექტარისთვის 1800 ლარი ეხარჯება. ტრადიციული 30 ტონის ნაცვლად 200 ტონა სიმინდი აიღო, მიწა არ გამოფიტულა, პროდუქცია აბსოლუტურად ჯანსაღია, პირიქით, ვინც კი მას პირი დააკარა, ადრეულ სტადიაში ონკოლოგიური პრობლემებიც კი დაეხსნა.

ქალბატონი **მარიამ კიკაძეს** წარმოგიდგინთ, რომელმაც ბაზალეთის ტბის სიახლოვეს 3 ჰექტარ სავარგულზე წითელი დოლის 3, 6 ტონა ხორბლის ნაცვლად 18 ტონა მოიწია. დაზოგა 18 ტომარა სასუქი, ანუ 1500 ლარი და კიდევ მისი მომსახურების 500 ლარი, მთლიანობაში 2000 ლარი. 3, 6 ტონა ხორბლისთვის მას უნდა აეღო 11 000 ლარი, გამოაკლდებოდა 2000 ლარი და დარჩებოდა 9000 ლარი. ხოლო „ბიორაგის“ შემთხვევაში 53 000 ლარის მოსავალი დააბინავა პატარძლეულმა ქალბატონმა. გამოვაკლოთ „ბიორაგის“ ღირებულება 3 X 180, 600 ლარი და საბოლოოდ დაახლოებით 52 000 ლარი მოუგროვდა, თითქმის 40 ათასით მეტი.

მოდით და ვიკითხოთ, აქვს თუ არა ლოგიკა საგნებს და მოვლენებს?! აქვს!

საპატრიარქოს მიწვევით აგრონომმა **გენო ცაავამ** მარტვილის რაიონში, სოფელ სალხინოს დადიანისეულ რეზიდენციაში, 20 000 გავერანებული ბზის ხე დაამუშავა „ბიორაგით“ და უკლებლივ ყველამ იხარა.



მაღლიერების გამოსახატავად საპატრიარქომ საგანგებოდ მიიწვია თავისთან „ბიორაგის“ ავტორი, აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე** და მარჯვენა უკურთხა მამულიშვილური საქმისათვის.

ბატონი რამაზი ბიორაგთან ერთად იშვიათი იმუნოლოგიური ქმედითუნარიანობის პრეპარატის, „**რამერის**“ ავტორიცაა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულად „ბიორაგი“ გვანტერესებს თავისი პლანეტარული მნიშვნელობით.

ფსტა მენყრების შემკავებელ მცენარედაა მიჩნეული. მოსავლიანობითაც გამორჩეულია, სამჯერ უხვპროდუქტიულია კაკალზე, მაგრამ მისი ცხოველმყოფელური უნარი ყველა ნარგავის შესაძლებლობას აღემატება უდაბნოსთან მიმართებაში. „ბიორაგით“ დამუშავების შემთხვევაში, ფსტას ისადაც მომადლებული მძლავრი ფესვთა სისტემა (30-35 მეტრი) უორმაგდება, უსამმაგდება და რადგანაც იგი თანაბრად იტანს უდაბნოს 50 გრადუსიან ტემპერატურას თუ ყინულების 20-30 გრადუსიან სიცივეს, ამ სარტყლების აღორძინების უმეტოქო მცენარედ გვესახება.

სახელგანთქმული მასკი დედამინიდან გარბის. მარსზე დასახლებას აპირებს. ასეთი გადწყვეტილება შესაძლოა გამართლებული იყოს თავგადასავლების მაძიებელი ადამიანისგან, ან მაგელანის თუ კოლუმბის ტიპის ხალხის

თვის, მაგრამ რას ვუშვებით დედამინას? ეს იგნევა, რაც სახლი გენვოდეს და მეზობლის ოჯახის დასაკრიალებლად გარბოდე. მასკის ელექტრონზე მომუშავე ავტომობილი „ტესლა“ დიდებულია ეკოლოგიურად, მაგრამ მილიარდების მარსისკენ კრუზისთვის გახარჯვა უთაურობა მგონია. ატომური გამოცდების პოლიგონად ვტოვებთ ჩვენს მშობლიურ პლანეტას? ეკოლოგიური კატასტროფის ასპარეზად ვუპირებთ ჯვარცმას ჩვენს მასაზრობებელ დედამინას? რას უქადით ჰომეროსის „ილიადას“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, გოეთეს „ფაუსტს“, შექსპირის „ჰამლეტს“ სერვანტესის „დონ კიხოტს“, დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებს“, ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას?!“ რას ვუბნებით მიქელანჯელოს „მოსეს“, ბეთხოვენის „მეხუთე სიმფონიას“ (მთვარის სონატა), ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ (ჯოკონდა)?! რას ვუშვრებით იგავმიუნვდომელ „მრავალჯამიერს“, „კრიმანჭულს“, „ოდოიას“, „ხორუმს“, „ფერხულს?!“ სად გავრბივართ, რომელ ჯანდაბადოზანაში, როცა ყველა სახსარ-საშუალება მოგვეპოვება დედამინაზე სრულფასოვანი ცხოვრების დასამკვიდრებლად?!

„დაგვიდექით მწერლები გვერდით „ბიორაგის“ პროპაგანდაში და თქვენს პრობლემებს უკლებლივ მე მივხედავო“, ამგვარია აკადემიკოს

რამაზ გახოკიძის სლოგანი. მე ვიღებს ჩემ თავზე თქვენი ფონდის შექმნას, რომელიც წელში გამართავს სიტყვის ოსტატ ხალხს, წიგნების გამოცემისა და უცხო ენებზე თარგმანის საქმეს. აქ ცხადია, მასკულტურა ვერ გაიჭაჭანებს, მაგრამ წინ ვერაფერი დაუდგება **კობა არაბულის, ბალათერ არაბულის, ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, ნაირა გელაშვილის, აკა მორჩილადის**, თვითმყოფადი შემოქმედების ფართო არენაზე გატანას ავტორების სიცოცხლეშივე, რაც მათ ჰაერივით აკლიათ დღეს. იგივე ითქმის ჩვენს მხატვრებზე, მუსიკოსებზე, კინემატოგრაფიაზე, რომლებიც ჰქუხდნენ ოცდაათიოდე წლის წინათ და ან სავალალოდ დადუმებულან ფართო ასპარეზის უქონლობის გამო. ყველაფერ ამას „ბიორაგი“ განვდება, მის მიერ მოგროვილი დოვლათი ბარსა თუ მთაში, როგორც მემარცვლეობაში, მეზოსტენობაში, ისე მეცხოველეობასა და სხვა დარგებში“, გვეხმიანება უნიკალური მეცნიერი, მაგრამ შეაყარე ცერცვი კედელს.

ცხოვრებას კი თავისი მკაცრი ლოგიკა გააჩნია. იგი ობლის კვერის მეთოდებით აზროვნებს და „ბიორაგის“ სანუთროში დამკვიდრების თემაც ამ ყაიდისაა.

აგერ, ერთმა ღვთისნიერმა მანდილოსანმა, **ციური გარუჩავამ**, (ვლადიმერ მეგრეს „ანასტასიას“ მთარგმნელი, ავტორი წიგნისა „ანასტასია და ჩვენ“, მუსიკოსი, „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების“ დამფუძნებელი, მეცნიერთა კონგრესის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი), თბილისში ბინა გაყიდა, ჰექტარნახევრიანი მამული შეიძინა სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში, სოფელ კოლხიდაში, საკმაოზე მეტად გადაბერებული ხეხილით. ორი წლის წინათ „ბიორაგით“ დაამუშავა გარემო. მართალია, იგი ვერ იცავდა აგრო-ტექნიკურ მოთხოვნებს, წვიმიან ამინდშიც არ ერიდებოდა პრეპარატის სითხის სხურებას, მაგრამ განსაკუთრებული შედეგი ლიმონების მიმარებით მაინც დაუფიქსირდა.

დაუფდგეთ გვერდით, ჩემო კოლეგებო, „ბიორაგს“ და მის ავტორს, რომელიც წარმატების შემთხვევაში სრულ პატრონაჟს გვიცხადებს: **„ლიტერატურული საქართველო“ თვიდან თვემდე რომ ვერ გამოცემულა, ყურნალ „ცისკარი“ ცის კაბადონზე მეტეორივით აქ-იქ რომ გაიფლავებს, ყურნალები: „მნათობი“, „განთიადი“, „კრიტიკა“ საერთოდ ხომ დადუმებუ-**

ლან, ყველას ეღირება ამაყად თავის ნამონევა, ერის სამსახურში ჩადგომაო!

აბა, ხომ ვხედავთ, საპატრიარქოს გამოკლებით, მიუხედავად ჩვენი სულისშემძვრელი მიმართვისა, ყურს არავინ იბერტყავს, არც პარლამენტი, არც სხვა უწყებანი; მაშ, ვისი იმედით ვიყოთ?! ფანტასტიკურ ქველმოქმედს ჩვენსას, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** ქართველი ვაი-ოპოზიციის წასისინებით ყელში უჭერენ ევროპარლამენტარები, ლამის ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს კურიოზულად უყადალებენ, წესით აბსოლუტურად კონფიციალურ დაწესებულებაში – ბანკში. ორი ათეული გვიმრის ხე ჩამოუტანია ახალი ზელანდიიდან შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისათვის, მაგრამ „ბიორაგისთვის“ ჯერჯერობით ვერ იცლის. თუმცა ნათქვამია: **მომთმენმა მოიგოო**. ჰოდა, ჩემო კოლეგებო, ამყევით ამ მამითაღში, რასაც „ბიორაგის“ პროპაგანდა ჰქვია სახელად, ვინაიდან საქართველოს აყვავებასთან ერთად იგი სრულიად დედამიწის გადარჩენის უტყუარი სანინდარიცაა.

ესეც რომ არა, ხომ ხედავთ, რას გვიქადაიან გლობალისტები, მინის პირისაგან წარხოცვას გვიპირებენ, ფიზიკურად განადგურებას თუ არა, ასილიმილაციის გზით შუმერული **მე-ს**, ინდივიდუალიზმის, პიროვნულობის წართმევას, როგორც ამას ჩინგიზ აითმათოვის რომანში აკეთებენ ყუან-ყუანის ტომის წარმომადგენლები. ტყვეს თავს გადაპარსავენ, ზედ ახალდაკლული აქლემის ტყავს გადააკერებენ და ხვატში დააგდებენ უწყლოდ. ამისთანა ასი ტუსალიდან თითო-ოროლა თუ გადაურჩებოდა გაუსაძლის ტკივილს. თავზე შემოჭერილო გამხმარი ტყავი თმას არ უშვებდა, უკან შებრუნდებოდა და პატრონს აბსოლუტურად ყველაფერს ნაუშლიდა გონებიდან. ამისთანა საჩუქარს გვიმზადებენ გლობალისტები, ჩემო კოლეგებო! გლობალისტების ჭინთვები იმის მაუწყებელია, რომ მათ განუზრახავთ გენეტიკური კოდი წაართვან ფაუნისა და ფლორის წარმომადგენლებს, ერთი სანყათი არწყან სპილო და ჭიანჭველა, ხვლიკი და ნიანგი, კატა და ლომი, ჭინჭარი და ვარდი, მაგრამ ავიწყდებათ ამ ბედნიერებს, ამისთანა უპიროვნოთა საზოგადოება დიდხანს ვერ იბოგინებს დედამიწაზე, საკმარისია 2-3 საუკუნე და კვლავაც დიფერენციის გზას დაადგება ერთპოლუსიანი გლობალისტური ჯოგი. განურჩევლად ანთროპოლოგიური მონაცემისა, განურჩევლად რასისა, აქ მთავარ დარტყმას ნაციონალიური



წარმომავლობა ღებულობს, ანუ დედა ენა ჩვენი, რითაც ბუღბუღი უსტვენს და ტოროლა ცაში წკრიალებს, ფუტკარი ზუზუნებს და ლომი ბუზუნებს, ადამიანი მეტყველებს სიტყვით, რომელიც იყო თავდაპირველ და იყო ღმერთისა თანა და იყო თავად ღმერთი, ანუ ღმერთს ხელყოფენ ეს ბედასლები! ბაბილონის გოდოლის მითიც განა სხვა რამეს ქადაგებს?! დროთა ვითარებაში ისევე აღირევა ხელოვნური ერთსახოვანი, ერთპოლუსიანი „ცივილიზაცია“ და მრავალეროვანი, მრავალენოვანი მსოფლიოდ გადაიქცევა. მაშ, რისთვის ვიტკივებთ აუტკივარ თავს?!

კაცობრიობა ისეთ ნიშნულს მიუახლოვდა, ძალიან ვიწროზე აქვს გასავლელი, ლამის დანის პირზე, და ამ ყოველივეს ოქროს შუალედი კურნავს ისტორიული გამოცდილებით: კაპიტალის ეგოიზმსა და ნაციონალურ ფასეულობებს შორის თანაქმედება თუ არ დაინყო, ყველაფერი წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. მაგრამ თუკი ოლიგარქიული მსოფლიო თავის ამბიციებს საკაცობრიო ფასეულობების სამსახურში ჩააყენებს, მაშინ შენარჩუნდება მისი ინტერესებიც და ნაციონალური ქვეყნების ინდივიდუალობებიც. მოიხსნება ოლიგარქიული კაპიტალის ნაციონალიზაციის საშიშროება, რისთვისაც უკუღმართდება მთელი ცისქვეშეთი! წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწილისა და მთელის თანამშრომლობის ნაცვლად, დაპირისპირების გზას ორმხრივად თუ არ აღვკვეთთ, თვით მსოფლიოს მერვე საოცრება „ბიორაგიც“ კი უძღური აღმოჩნდება! „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“ და რადგანაც სხვა საშველიც არსაიდან ჩანს, ჩემო კოლეგებო, ისევე „ბიორაგის“ პერსპექტივას მივაყრდნობთ თავი! აკი თქმულა ძველთაგანვე: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“. დიახ, დარწმუნებული ვარ „ბიორაგის“ თუ პლანეტა დედამიწის მერმისიც ამნაირად – საშვილიშვილო მიზანდასახულობით ჩამოყალიბდება ადრე თუ გვიან!

14. 11. 2022 წ.

ინფორმაციული ნაკადი

ბევრი ჰაჰაჰა ნაცვლიფვილი

აღამიანი გაზეთის სვეტი

2022 წლის 22 ნოემბერს ლიტერატურის მუზეუმში არაჩვეულებრივი ღონისძიება ჩატარდა, რომლის ყურადღების ცენტრში მოექცა საქვეყნოდ აღიარებული ჟურნალისტი და პოეტი **პაატა ნაცვლიშვილი**. პრეზენტაციაზე აურაცხელ დოკუმენტურ მასალასთანერთად წარმოდგენილი იყო მონუმენტური წიგნი „**ბევრი პაატა ნაცვლიშვილი**“. საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ **მანანა კარტოზია**.

წიგნი დაბეჭდილია შპს „სეზანში“, რომელსაც ჰყავს სხვადასხვა თაობის 42 ავტორი: **მანანა კარტოზია, ლადო მინაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, გვანჯი მანია, თენგიზ ფიფია, ნუგზარ ბ. რუხაძე, ივანე ჯაფარიძე, ლევან ბრეგაძე, რაულ ჩილაჩავა, ავთანდილ გურასაშვილი, ვალერი ასათიანი, ნინო გოგოლაშვილი, ვასილ ბესელია, ბაბუა ალუდაური, ავთანდილ არაბული, სამსონ ლეჟავა, ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, იოსებ ჟორდანი, ოთარ ჯანელიძე, გია მურღულია, ნინო ხარაზიშვილი, ზურაბ აბაშიძე, მიხეილ ანთაძე, გია ბულაძე, ივანე ამირხანაშვილი, დავით კაკაბაძე, ბონდო ქურდაძე, კახა სიორიძე, ბიძინა ბარათაშვილი, ნანა იოსელიანი, კახა სიხარულიძე, ელენე პეპი ბოჭორიშვილი, მზია აბრამია-დეი, ლევან თაქთაქიშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ეკატერინე ტოგონიძე, მაკო ცირეკიძე, ელენე მარგალიტაშვილი, სალომე გორგოშიძე, გვანცა ექიზაშვილი, პაატა ნაცვლიშვილი**.

წიგნში წარმოდგენილ წერილებში დიდი უშუალოებითაა გადმოცემული 70 წლის იუბილარის დაუდგარი ბუნება, მისი უმა-

გალითო სიკეთე მოყვასისადმი და აურწყავი პატრიოტიზმი.

უნებურად ბაკურიანის დღეები გაგვახსენდა. სახელდახელო სუფრაა, რომელსაც ნეტარი **ზურაბ ქაფიაძე** თამადაობს. უცებ რომელიღაცა პაატას ავადმყოფობას ახსენებს: **მაღალი სიცხე აქვსო**. აიშლება პურმარილი. თავად ზურაბი მიუფდება საჭეს და ეგრევე მახლობელ საავადმყოფოში გააქანებენ.

პაატა ყველას უყვარდა და უყვარს თავისი ხალასი ბუნების გამო. ხოლო თავგადასავლების მაძიებლობით მისი გატოლება საქართველოშ შეიძლება იქვეს ადამიანთან – **გურამ თიკანაძესთან, გურამ რჩეულიშვილთან, არნოლდ გეგეჭკორთან, ჯუმბერ ლეჟავასთან, ჰენრი კუპრაშვილთან და გვანჯი მანიასთან**.

ქვემოთ გთავაზებთ **ბადრი ვადაჭკორიას** ფოტო-რეპორტაჟს ამ ღონისძიებიდან, რეფრენად კი პროზაული ტექსტს მისივე პოეტური სტრიქონების მოშველიება ვამჯობინეთ „**იბერიული პოეზიის ანთოლოგიიდან**“.





წერილი

ახლა ღამეა და ვარსკვლავები
ზეცას ჭორფლივით აყრია შუბლზე...
მე მაგიდასთან ვზივარ, ძვირფასო,
და ჩემს წინ სუფთა ქალღმერთს ვუმზერ.
ანწყო, წარსული და მომავალი
დამდგარან ჩემი ფიქრების ზღურბლზე.



ძალიან მშვიდ და იდუმალ ღამეს
ჩასძინებია ატმის მკვლავებზე...
თავში ტრიალებს ათასი კითხვა
და ყველა თავის პასუხს დაეძებს.

არ შემხვედრისარ, არ მინახისარ,
ალბათ, იქნება ათასი წელი.
ათასი წელი იქნება ცოცხა,
ან იქნებ არის ძალიან ბევრი.
მე ახლა მხოლოდ სიზმარში მახსოვს
შენი უძირო თვალების ფერი.



ეს ყველაფერი ადრე დაინწყო,
ადრე, ძალიან, ძალიან ადრე,
როცა თებერვლის მსუსხავი ქარი
ეხეთქებოდა გათოშილ ჭადრებს,
როს ცხოვრებიდან შენ ჭრიდი დღეებს,
როგორც ცენზორი ფილმიდან ჭრიდეს
ყველაზე უფრო უნმანურ კადრებს.

იმდენად ახლოს მოვედი შენთან,
რომ უსასრულოდ აღმოვჩნდი შორი,
მერე ვილაცამ შეთხზა რალაცა,
შენც კარგად იცი, მე რომ არ გითხრა,
როგორ ვრცელდება თბილისში ჭორი!



გახსოვს? – ცისფერი ხეობის გასწვრივ
მზერა შველივით მორბოდა შენკენ
და მოწმენდილი ივნისის ზეცა
ირეკლებოდა მდინარის ფსკერზე...

...ქუჩაში იყო იმდენი ხალხი,
მეჩვენებოდა, რომ იმ საღამოს
სადღაც გარბოდა დამფრთხალი ქუჩა...
ჩვენ მივდიოდით.
მე შევაგებე აბაზიანი
ქუჩის კუთხეში მათხოვრის მუჭას.

გახსოვს? – ოთახში იმ გაზაფხულზე
ძალიან ნითლად ჰყვავდა ბალბა,
შენ დაილაღე იმ ბალბის ცქერით,
შენ საერთოდაც გადაილაღე,
გადაილაღე და გამეცალე,
მე კი სულ შენთან ვიქნები, ალბათ...
შენ გიხაროდა შენი არსება...
შენ ის გეგონა შენი ერთგული,
ვინც მოგიტანდა თავის სიყვარულს
მარტში მანეთად ნაყიდ იებად.
(კი, ზღვაც ამაყოფს თავის ხმაურით,
მაგრამ, იცოდე, ზღვა სხვა არის და
ზღვას ყველაფერი ეპატიება.)

ჩემი ფიქრები უბრალო გოგოს
რალაც უცნაურ შუქით გამოსავდნენ
და მალონებდა ძალიან ხშირად,
რაც არ ვიცოდი მე შენს შესახებ,
რაც შენ აკეთე ჩემთან მოსვლამდე.

რატომ გეგონა, რომ მე სათქმელი
დაგიგვიანე?!
შენ ვერ მიმიხვდი, ჩემი სათქმელი
ადრევე გითხარ

და ვერ ამჩნევდი, რომ მე შენგან
ველოდი პასუხს,
რომ მე ქცეული ვიყავი კითხვად...
მე სიყვარული ვიცი, რაც არის,
ძალიან კარგად ვიცი, რაც არის,
მაგრამ არ ვიცი შენ როგორ გითხრა!

და თუ ქამანდი გამოვდე სიტყვას,
მოვალ და უცებ ყველაფერს გეტყვი!
არა! არ არის ის სიყვარული,
რასაც საერთოდ მას უწოდებენ,
ის არის ბევრად იმაზე მეტი!..

მე ვარ მდინარე. ყველა მდინარე
მუდამ მეორე მდინარეს ეძებს.
მეორეს ეძებს, რომ შეუერთდეს
და მეორე ერთად გავიდნენ ზღვებზე.

არ შეიძლება, არ შეიძლება,
მთელი სიცოცხლე გეძინოს მარტოს,
ამიტომ მუდამ ვიღაცას ეძებ
და ეს ძიება გტანჯავს და გართობს.

ძალიან დიდი მაქვს სიყვარული
და მოთმინება მაქვს უფრო დიდი.



დღეს ჩემი აწმყო არის წარსული,
რომელიც ლამაზად ინიღბავს თავის და
რომელიც სადღაც უჩემოდ მიდის.
მე გადმოვედი იმ ბილიკიდან
და ახლა სულ სხვა ბილიკზე ვდგები.
დღეს ჩვენი გზები ისე გაიყო,
ვით ნატახტართან იყოფა გზები...

მე კარგად ვიცი, ვიცი თუ ვხვდები,
რომ შენ აღარსად არ მელოდები.
აღბათ, ეს არის იმის მიზეზი,
რომ უმიზეზოდ ხშირად ვლონდები...
განმეორდება ეს ყველაფერი,
მხოლოდ ჩვენ აღარ განმეორდებით.
შენ გაფრინდები, შენ დამშორდები,
ახლაც შენ ჩემთვის არა გცალია.
გთხოვ, მაპატიო, რომ მე მიყვარდი
და რომ მიყვარხარ ახლაც ძალიან!

აღბათ ჯობია, ნანატრი ბალი
კაცმა იხილო მხოლოდ გარედან
და გულგრილობა, შენი თუ სხვისი
ავი ძალღივით ებას კარებთან.
ღობის გარედან ჰკრეფდე ნაყოფებს
და დასახევი გზა გქონდეს უკან,
ანდა ზევიდან ჭვრეტდე ყველაფერს,
ვით მაგიდაზე გადაშლილ რუკას.
ჯობია, კაცმა ნანატრი ბალი
მუდამ იხილო მხოლოდ გარედან
და საკუთარი ცივი გონება
ერთგულ ძალღივით გებას კარებთან,

და ძლივს ვიპოვნე საჭირო სიტყვა!
ასეა თურმე, თუ რამ განუხებს,
როცა იქნება, უნდა დაჯდე და
ვინმეს ყველაზე ძვირფასს მისწერო...
არა! შეცდომა არ მეორდება!
თუ მეორდება, – საბედისწეროდ!

არა! ვერასდროს ვერ დავივინყებ
მე იმ შემთხვევებს და იმ შეცდომებს,
მე ისევ მინდა, შენთან ვიყო და
შენ ჩემი ისევ ისე გესმოდეს,
მაგრამ მე ვიცი, ჩემო ძვირფასო,
რომ ეს არასდროს განმეორდება,
ვერ დავიბრუნებ წარსულს ვეროდეს...
და ფიფქსაც ფიფქი მანამდე ჰქვია,
სანამ მინაზე დაეცემოდეს.
არ შეგიძლია შენ არაფერი,
შენ დავიწყებაც არ შეგიძლია,
თუმც ახლა, აღბათ, არაფერს დარდობ.
მე დავდიოდი ძალიან ჩქარა,
ნაბიჯს ვერაფრით მიწყობდი, კარგო.

უკვე დასრულდა ჩვენი თამაში,
ქვეყნად ყველაფერს ჰქონია ბოლო.
ჩვენ არაფერი გვქონდა საერთო
და ესა გვქონდა საერთო მხოლოდ!

მე შენ შესახებ მეტი ვიცი, ჩემო ძვირფასო,
ვიდრე შენ იცი საკუთარი თავის შესახებ.
მე აღარ მოვალ შენთან არასდროს
და თმაზე თითებს აღარ შეგახებ.



მაგრამ პირველად როცა შევედი,
მე ვერ ვხვდებოდი ამ სიბრძნეს მაშინ.
მე არც დღესა მაქვს ცივი გონება
და კვლავ თამამად შევდივარ ბაღში.

გვირილებს ვკრეფდი იმ დღეს ფერდობზე,
უცებ განვიმდა და დაიქუხა,
სადღაცა მუხას დაეცა მეხი.
შეშინებული გამოვიქეცი
და, მე რომ უნდა მომეძღვნა შენთვის,
იმ ყვავილს ალბათ დავადგი ფეხი!..



მორჩა! დაეშვა სცენაზე ფარდა,
თოვლმა ნაშალა სუყველა კვალი...
მინდა, გავიგო, ხვალ რა იქნება,
ახლა ვმკითხო: ნეტა რას ნიშნავს
გულის ბიჭი და აგურის ქალი?
პასუხისათვის ნუ გაირჯები,
მე არაფერი მიკითხავს შენთვის.
ალბათ არსებობს ისეთი რაღაც,
საკუთარ თავსაც ვერასდროს ეტყვი.
ყველა პასუხი, ბოლოს და ბოლოს,
უნდა ისევე გადიქცეს კითხვად...
მე დავილაღე ამდენი ძებნით

სულაც არ მინდა, ვიყო ერთ-ერთი
და სასაცილოც არ მინდა ვიყო,
მე დავიბენი ახლა ძალიან
და მინდა მხოლოდ ერთი რამ გკითხო...
მაგრამ არ გკითხავ, რა საჭიროა,
შენი პასუხი ზეპირად ვიცი:
მხრებს აიჩეჩავ, წარბს აზიდავ და
მერე ბავშვივით დაინყებ სიცილს.

დღემდე რაღაცის იმედი მქონდა,
დღეს კი სუყველა იმედი გაქრა
და ეს წერილი სულ სხვა ცხოვრების
დასაწყისია.

შენ შეიცვალე, მეც შევიცვალე,
სხვა ყველაფერი ამ ქვეყანაზე,
როგორც იყო ჩვენს გამოცვლამდე,
ისევ ისეა.

ბოლო დროს ბევრი საქმე გაგიჩნდა
და საიდუმლოც გაგიჩნდა ბევრი.
მე შენთვის ისე ზედმეტი გავხდი,
როგორც ასანთის დამწვარი ღერი.
შენ ახლა ცივი მარმარილო ხარ,
მე კი მინდა, რომ ეგ მარმარილო
მაძებნიებდეს დაკარგულ სიტბოს
და თუ ვიპოვი ოდესმე მაინც,
ისე გამათბოს და მომეფეროს,
არც დამიკარგავს არასდროს თითქოს.
მაგრამ ეს ახლა არის ზღაპარი,
„იყო და არა იყო რას“ მსგავსი,
და თუმცა ზღაპრის მჯეროდეს მინდა,
მე ბავშვი უკვე არა ვარ ახლა
და მე ზღაპრების ასაკსაც გავცდი.

ძალიან ბევრი საქმე გაგიჩნდა
და მეგობარიც გაგიჩნდა ბევრი.
მე შენთვის ისე ზედმეტი გავხდი,
როგორც ასანთის დამწვარი ღერი.

შენ შეყვარება თავისა იცი,
შენ სიყვარული არ იცი მხოლოდ...
და თუმცა ახლა იმ სიყვარულით,
იმ მოგონებით
ვცოცხლობ და ვცხოვრობ,
მე ვხვდები უკვე ძალიან კარგად,
შენ მე არასდროს არ გყვარებივარ,
მე გჭირდებოდი მხოლოდ და მხოლოდ.

შენ გაფრინდები და გადალახავ
უსაზღვროების სუყველა საზღვარს,

ხელში აიღებ მზერის ისრებს და
დაემსგავსები მერე მოისარს...
უნდა მოისხა შენ ანგელოზის
მსუბუქი ფრთები,
მერე სუყველას მადლი მოისხა.

ველარ გაგდევნე ჩემი ფიქრიდან.
არ ვიცი, ახლა რა უნდა გთხოვო...
შენ მაშინ იყავ უფრო ძვირფასი,
როცა ძალიან იყავი შორი
და ოცნებებში მხვდებოდი მხოლოდ...
მარტო ვარ შუა ოკეანეში.
სადღაც ძალიან შორს დარჩა ახლა
ჩემი კეთილი იმედის კონცხი.
მე შენ მაშინაც მემახსოვრები,
შენს ხსოვნაში რომ აღარც ვიქნები
და დაგივინყებ, როს გაყუჩდება
ყველა ტკივილი სულის და ხორცის.

ჩვენს შორის ჩადგა უსასრულობა.
(მანძილით როდი გაიზომება
ან სიშორე და ან სიახლოვე!)
ვერ მიგატოვებ მე შენ ვერასდროს,
თუ შეგიძლია შენ მიმატოვე!

რომც წამოვიდე ამ წუთში შენკენ,
რომც დავივინყო წარსული წამით,
გზას გადამიჭრის ბებერი კატა,
ყველა კატაზე დიდი და შავი!

და აღმოჩნდება ესეც ამაო,
მე ვერ ვიპოვი სასურველ ფერებს...
ბარემ გადავდგათ თითო ნაბიჯიც
და მე ლეთეში დაგახრჩობ მერე!..

მე სხვათა შორის გავიარე შენს
ცხოვრებაში,
შენ გამაყოლე ისეთი მზერა,
რომ მე მთელი ხმით მსურდა მეყვირა:
– რა გემართება! ვერა მცნობ? მე ვარ!

მე დავიღალე,
მე აღარ ძალმიძს აღარაფერი,
ველარ ვერევი საკუთარ ფიქრებს...
ხვალ შეიცვლება სუყველაფერი,
ხვალ სულ ახალი რამ დაიწყება,
თუმცა რა ვიცი, ხვალ რა იქნება,
ხვალ არაფერიც არ მოხდეს იქნებ!

მე დავიღალე, დრო არის ძილის,
აღბათ მდინარეც იძინებს წამით,
რომ დაივინყოს მთელი დღის დაღლა...
იქნებ სიზმარში მაინც შემომხვდე,
თუმცა მე ვიცი,
რომ არაფერი დამესიზმრება –
ვერ დავიძინებ უბრალოდ, აღბათ.

უკვე თენდება. თენდება უკვე –
ლამე ქალივით ნებდება დილას,
წვიმის წვეთები, როგორც ცრემლები,
დაჰკიდებია ბალახს და მინას.
მე დავიღალე, მე აღარ ძალმიძს
აღარც თხოვნა და აღარც მოთხოვნა,
მე უშენობა ძალიან მიჭირს...
გარეთ პატარა ალუბლის ტოტზე
სულ პატარა შემოჯდა ჩიტი.



მე მენატრები, როგორც ბავშვობა.
(მე აღარასდროს ვიქნები ბავშვი!)
მე მაინც მჯერა, შენ მოხვალ ჩემთან,
მაგრამ მე აღარ დაგხვდები სახლში!

თუმც ყველაფერი განვსაზღვრე თითქოს,
ხვალ რა იქნება, მაინც არ ვიცი,
იქნება ხვალე ჩემი ცხოვრება
სულ სხვანაირად უნდა აენყოს...
უეჭველი კი ის არის მხოლოდ,
რომ ყველაფერი არის საეჭვო!
მე ვარ მდინარე. ყველა მდინარე
მუდამ მეორე მდინარეს ეძებს.
მეორეს ეძებს, რომ შეუერთდეს
და მერე ერთად გავიდნენ ზღვებზე.



არ შეიძლება, არ შეიძლება,
მთელი სიცოცხლე გეძინოს მარტოს,
ამიტომ მუდამ ვილაცხას ეძებ,
მუდამ ვინმესთან შეხვედრას ნატრობ.

(დღემდე ამის თქმას ვერ ვახერხებდი,
დღეს კი ფრჩხილებში მოგწერო უნდა:
ვისაც ეძებდი, ის არ აღმოვჩნდი,
არც შენ ყოფილხარ, მე ვინცა მსურდა!)

შენ ახლა ალბათ ტირიფთან ზიხარ
და ვილაც ბიჭი სიყვარულს გიხსნის,
შენთვის ხომ მუდამ სულერთი იყო
სუყველა სიტყვა, ჩემი თუ სხვისი...

შენ ახლა ალბათ სულ სხვასთან ზიხარ
და არაფერი არ გახსოვს ჩემი.
მე შენს ხსოვნაში მალე გავქრები,
ვით ღია ზღვაში თვალს და ხელს შუა
ქრება პორტიდან გასული გემი!

შენ არ გეგონოს, რამეს ვითხოვდე,
ან გამომქონდეს მე განაჩენი.
არც სიახლოვე, არც სინანული,
არც დაბრუნება, არც აღსარება,
მე არაფერი არ მინდა შენი!

ვერ ამიხსნია ეს გაორება,
მე ახლა უკვე სხვადა ვარ თითქოს,
ჩემში ჩამჯდარა ორი არსება,
ორივე ჩემგან თავისას ითხოვს.

ორი არსება ჩამჯდარა ჩემში,
ორივე თავის სიმართლეს იცავს,
კაცის ცრემლივით ტკბილ-მწარე ღვინოს
ორივე თავის დოქიდან მისხამს.

შენ რა ღირსი ხარ ამ წერილისა,
მაგრამ მე მაინც მოგწერე იგი.
მე არაფერი არ მეგულება
შენი მეტყველი თვალების იქით.
მგონი, ვილაცამ ჩართო რადიო —
ჩემკენ მოიწვეს ბებერი გრიგი...
იქნებ წერილი არც ღირს ამდენად,
მაგრამ, გთხოვ, მაინც გახსენი იგი!
მე არაფერი არ მეგულება
მაგ მშვენიერი თვალების იქით!..



ეს არის, ალბათ, უკანასკნელი,
 მე აღარასდროს მოგწერ ბარათებს,
 დღესაც არაფერს გეტყვოდი,
 მაგრამ, მგონი,
 სიმთვრალე მაღაპარაკებს...
 მე ველი წერილს, მე ველი წერილს,
 რადგანაც რამეს ელოდო უნდა,
 ეს იყოს თუნდაც მხოლოდ სალამი,
 ეს იყოს სუფთა ფურცელი თუნდაც!


P. S.

შენ არ გეგონოს ჩემი წერილი
 ან კურთხევა და ან ანათემა,
 არც თავს ვიმართლებ,
 მხოლოდ მტყუანი
 მოჰყვება ხოლმე თავის მართლებას!
 დღეს გავიხსენე სუყველაფერი,
 რაც მეგონა,
 რომ აღარც მახსოვდა:
 რაც მახარებდა,
 რაც მალონებდა,

რაც მაცინებდა,
 რაც მატირებდა,
 რაც მჭირდებოდა
 და რაც მართობდა!..

P. P. S.

მე შენ გიგზავნი ახლა ამ წერილს,
 ჩემი ფიქრით და ტკივილით სავსეს...
 ასე თავდება ყველა წერილი,
 დე, ეს წერილიც გათავდეს ასე:
 მე ველი პასუხს, მე ველი პასუხს,
 რადგან სხვას უკვე არაფერს ველი.
 თვითონ არ ვიცი, ჩემი წერილი
 რად გამოვიდა ასეთი გრძელი...
 აჰა, თარიღიც:
 ახლა დგას ათას ცხრასას
 სამოცდა ცამეტი წელი.
 გთხოვ მაპატიო,
 გთხოვ, მაპატიო,
 გთხოვ, მაპატიო
 გაკრული ხელი..





საჩუქრად ხალიჩა ორკუზიანი აქლემის ნაყუბით

ნათქვამია: „მეზობელო, კარისაო,
სინათლე ხარ თვალისაო“.

ვინ-ვინ და მტრულად ჩასაფრებული არაერთი მეზობელი სახელმწიფოს შემხედვარე ქართველმა კაცმა კარგად იცოდა კეთილი მეზობლის ფასი და სიყვარულს – სიყვარულით, ერთგულებას – ერთგულებით პასუხობდა.

სწორედ ამის დასტური იყო 25 ნოემბერს საქართველოს მწერალთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის მიერ ჩატარებული საიუბილეო ღონისძიება, რომელიც აზერბაიჯანელ სახალხო მწერალს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურული ურთიერთობებისა და მხატვრული თარგმანების ცენტრის დირექტორს აფაგ მესუდს ეძღვნებოდა.





აფაგ მესუდის ინიციატივით ქართული მწერლობის პოპულარიზაციისთვის არაერთი პროექტი განხორციელდა:

აზერბაიჯანულად გამოიცა ქართული პროზის ანთოლოგია, ასევე ქართველი მწერლების – **ბალათერ არაბულის, ბელა ქეზურის, დავით შემოქმედელის** კრებულები.

მისი მხარდაჭერით ითარგმნა და გამოიცა საქართველოში **ლეილა ალიევას** პოეტური კრებული „**სანუთრო სიზმარივით ილევა**“ და აზერბაიჯანული პროზის ანთოლოგია.

ლონისძიებას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **იმირ მამედლი**, რომლის წვლილიც

თანამედროვე ქართული მწერლობის აზერბაიჯანულად თარგმნის საქმეში განუსაზღვრელია. მის მიერ თარგმნილი **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“** ყველა აზერბაიჯანელის სამაგიდო წიგნად იქცა.

ლონისძიებაზე ახალი იდეაც გაჩნდა – მომავალ წელს თანამედროვე ქართველი და აზერბაიჯანელი მწერალი ქალების ბილინგვური წიგნის – **„ეპოქა ქალის“** გამოცემა.

აფაგ მესუდის შემოქმედებითი სალამო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია დიდი ტრადიციების მქონე ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში.

მაყვალა გონაშვილი

პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე



ქვირფას კოლეგებს ჩვენსას,
ჩინებულ პოეტებსა და საზოგადო მოღვაწეებს,
ქალბატონ **მაყვალა გონაშვილსა** და ბატონ **რაულ ჩოლაჩავას**
ვეულოცავთ შოთა რუსთაველის სახელობის 2022 წლის პრემიის მინიჭებას!
იმზებრძელეთ სამშობლოს სასიძაღულოდ!

„პირბალები“



ანონსი

ანკატა ესთეტიკოსეზისთვის

1. თქვენი აზრით, როგორ ასახავს ქართული რომანი თანამედროვე საზოგადოებრივ პრობლემებს?
2. რამდენად არის გახსნილი რომანში ქართველი კაცის ფსიქოლოგია, მისი სულიერი სამყარო?
3. როგორ აისახა 90-იანი წლების მოვლენები რომანისტიკაში?
4. ვინ არის თანამედროვე ქართული რომანის მთავარი პერსონაჟი – გმირი თუ ანტიგმირი?
5. რამდენად შეესაბამება ჟანრის მოთხოვნებს რომანის ენა?
6. რა მისცა რომანს 90-ების დასაწყისში ცენზურის გაუქმებამ და სიტყვის თავისუფლებამ?
7. რით განსხვავდება თანამედროვე ქართული რომანი მეოცე საუკუნის ქართული რომანისაგან? ხედავთ თუ არა მემკვიდრეობით კავშირებს ძველ და თანამედროვე რომანებს შორის? როგორია „ცნობიერების ნაკადისა“ და ტრადიციული პროზის ურთიერთდამოკიდებულება?
8. პოსტმოდერნისტულმა და დოკუმენტალისტურმა ტენდენციებმა უკანა პლანზე ხომ არ გადასწიეს მხატვრული გემოვნებანი?
9. რამდენად მოქმედებს ბაზრის კანონები რომანის ხარისხზე?
10. რომელი ქართული და საზღვარგარეთული რომანები წაიკითხეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?
11. დაასახელეთ თანამედროვე ქართული რომანისტიკის სამეული.
12. დაასახელეთ მსოფლიო რომანისტიკის ათეული. რომელ ქართულ რომანს შეიტანდით ამ ჩამონათვალში და რატომ?
13. რა ბარიერების გადალახვა მოუწევს ქართულ რომანს, რათა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდეს? თქვენი აზრით, რამ შეაფერხა ამ გზაზე ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ქილაძის, ბესიკ ხარანაულის, დავით მალაძის თვითმყოფადი შემოქმედებითი პალიტრა?!

„ლიტერატურული საქართველო“
ივანე ამირხანაშვილი.



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვიზიტი

სტუმრად მსოფლიოს საპატრიარქოში

კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის, მისი ღვთაებრივი ყოვლადუნმადესობის ბართლომეოს I-ს ოფიციალური მინვევით მსოფლიო საპატრიარქოს სტუმრობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**. ვიზიტი 2022 წლის 29 ივლისს დაიწყო. ოფიციალური პროგრამა საკმაოდ დატვირთული გახლდათ და მსოფლიო საპატრიარქოს არა ერთ მაღალ იერარქთან თუ საერო პირთან შეხვედრას ითვალისწინებდა.

ვიზიტის პირველ დღეს ყოვლადუნმადესი მსოფლიო პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე** და მსოფლიო საპატრიარქოს საყდრის არქიმანდრიტ **ილია ჯინჯოლავასთან** ერთად მსოფლიო საპატრიარქოს უმაღლეს სასულიერო სასწავლებელს კუნძულ ხალკაზე ეწვია. დელეგაციას უმასპინძლა ხალკას აკადემიის ხელმძღვანელმა, ყოვლადუსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა, მეუფე **კასიანემ**. მან რექტორს წარუდგინა აკადემიის ისტორია და სასწავლებლის წინაშე დღეს მდგარი გამოწვევები.

ბატონმა ზურაბმა მეუფე კასიანეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, ქართულ



სტუმრად მსოფლიოს საპატრიარქოში
ბართლომეოს I-თან.

საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მისია და როლი გააცნო. აღინიშნა, რომ მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელიც უნივერსიტეტმა განიცადა აფხაზეთში კონფლიქტით დადგარი შედეგით, მისი თანამშრომლები და სტუდენტები სულიერად არ გამტყდარან, თბილისში ენერგიულად გააგრძელეს სამეცნიერო-სასწავლო პროცესი და დღეს უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული ქართული უმაღლესი სასწავლებელია. ამასთან ერთად, ის ხიდია, რომელმაც კონფლიქტის შედეგად გაყოფილი საზოგადოება და ქვეყანა უნდა გააერთიანოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საუნივერსიტეტო დიპლომატიის ის უნიკალური იდეა, რაც ბატონ ზურაბის მიერაა შემუშავებული და სპეციალური მონოგრაფიაც კი შეიქმნა. წიგნის ეგზემპლარები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ხალკას აკადემიის ხელმძღვანელსა და სასულიერო სასწავლებლის უნიკალურ ბიბლიოთეკას უსახსოვრა. შეხვედრაზე გამოითქვა სასწავლებლებს შორის შემდგომი თანამშრომლობის სურვილი. მეუფე **კასიანეს** თანხმობით, დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ აკადემიის უნიკალური ბიბლიოთეკის ისტორიული დარბაზების მონახულება, სადაც დაცულია 200 ათასზე მეტი წიგნი და ხელნაწერი, მათ შორის — ქართულ ენოვანიც. ბატონი ზურაბის თხოვნით, აკადემიის ხელმძღვანელობა დათანხმდა ქართულენოვან ხელნაწერებთან სამუშაოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები და სტუდენტები იქნან დაშვებული. ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა, რადგან აკადემიის წიგნთსაცავებში მუშაობა საკმაოდ რეგლამენტირებული და შეზღუდულია უცხოელი მკვლევარებისათვის.

ხალკას აკადემიაში სტუმრობისას გავრცელდა ტრაგიკული ინფორმაცია გუდაურში სამაშველო ვერტიფერენის ჩამოვარდნისა და ბორცზე მყოფი 8 მამველის გარდაცვალების შესახებ. მასპინძლებმა ბატონ ზურაბს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, მიუსამძიმრეს და გარდაცვლილთა სულების საოხად სანთლები დაანთეს.

ვიზიტი საზეიმო სადილით დასრულდა, რომელიც ეპისკოპოს **კასიანეს** სახელით გაიმართა ხალკას აკადემიაში.

ამ ვიზიტის ამსახველი ინფორმაცია ხალკას სასულიერო აკადემიამ მის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე და გაზეთ „ორთოდოქს თაიმსში“ გაავრცელა.

ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე ვიზიტი მნიშვნელოვანია, როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდგომი საერთაშორისო ცნობადობის და პოპულარულობის გაზრდის, ასევე აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებისა და ამ ასპექტში საუნივერსიტეტო დიპლომატიის გააქტიურების თვალსაზრისითაც. რექტორ ზ. ხონელიძესთან მუდმივ კავშირში არიან მისი მეგობრები – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი თურქეთში, ბატონი გიორგი ჯანჯღავა და თურქეთის ყოფილი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ჯერენ იაზგანი, რისთვისაც ბატონი ზურაბი მათ მიმართ ღრმა მადლიერებას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ მათთან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს არა მარტო საქმიანი, არამედ – ძველი მეგობრობაც აკავშირებს. საქართველოში თურქეთის დიპლომატიური მისიის ახალმა ხელმძღვანელმაც, ბატონმა ალი ქაან ორბაიმ მოიწონა ვიზიტის იდეა და ამ პროცესების ყოველმხრივი ხელშეწყობის მზაობა გამოთქვა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** ვიზიტი სტამბოლში უმნიშვნელოვანესი და ისტორიული შეხვედრით გაგრძელდა: 2022 წლის 30 ივლისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია მსოფლიო საპატრიარქოს რეზიდენციაში ყოვლადუნმინდესმა ბართლომეოს I-მა მიიღო. შეხვედრას ესწრებოდა მსოფლიო საპატრიარქოს საყდრის არქიმანდრიტი, კონსტანტინოპოლის ქართული სამრევლოს წინამძღვარი, მამა **ილია ჯინჯოლავა**.

რექტორმა პატრიარქს მადლობა გადაუხადა მონვევის, მსოფლიო მშვიდობის მშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილის, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მთლიანობის მხარდაჭერათანადგომისათვის. მადლიერების ნიშნად, მან ბართლომეოს I-ს ქართული პანაღია გადასცა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება გააცნო.

ყოვლადუნმინდესმა პატრიარქმა რექტორს და დელეგაციის წევრებს ვიზიტისთვის, ასევე აკადემიურ საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა. **ბართლომეოს I-მა** აღნიშნა, რომ მისთვის ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რომელსაც მოკრძალებით იღებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

შეხვედრისას მსოფლიო პატრიარქმა ძმური სიყვარულით მოიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მიულოცა ანგელოზის დღე – ილიაობა (2 აგვისტო) – და უნმადეს **ილია II-სთან** გამართული რამდენიმე შეხვედრაც გაიხსენა.

საუბარი აფხაზეთის საკითხსაც შეეხო. ბატონი ზურაბის თქმით, ის დღის წესრიგი და მოცემულობა, რომელიც ამ ვითარებიდან გამომდინარე დაუდგა საქართველოს, მხოლოდ და მხოლოდ პროცენტებით არ განიზომება. ის კომპლექსური საკითხია, რომელიც ქართველისა და აფხაზის ყოველდღიური ცხოვრების ხასიათზე ახდენს გავლენას. ამასთან მასზეა დამოკიდებული რეგიონის მშვიდობიანი განვითარების მომავალიც.

მსოფლიო პატრიარქმა გაიზიარა ამ საკითხებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ხედვა და იქვე მკვეთრად დააფიქსირა მის მიერ არაერთხელ გამოხატული თავისი მკაფიო პოზიცია, რომ არ იქნება არანაირი განყოფა: საქართველო ეს არის – ერთი სახელმწიფო, ერთი ეკლესია, ერთი პატრიარქი!

პროფესორმა **ზურაბ ხონელიძემ** ყოვლადუნმინდეს პატრიარქს წარუდგინა და დეტალურად გააცნო მისი ახალი მონოგრაფია **„მშვიდობის ქართული პარადიგმა“**, რასაც დიდი დაინტერესება მოჰყვა პატრიარქისგან.

ბართლომეოს I-მა აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია დღევანდელი საზოგადოებისთვის. მან სურვილი გამოთქვა წიგნის დეტალური გაცნობის და შემდგომი



განხილვების გაგრძელების აღნიშნული ინიციატივის გარშემო.

შეხვედრის დასასრულს, პატრიარქის ინიციატივით გამართულ ტრაპეზზე, რექტორმა მადლობა გადაუხადა კონსტანტინეპოლელ მღვდელმთავარს გულთბილი მიღებისათვის. ასევე დაიგეგმა საზეიმო ღონისძიება, რომელიც ამა წლის 23 ნოემბერს სტამბოლში გაიმართება და რომელზეც ყოველადუნმიდეს ბართოლომეოს სოხუმის საპატიო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი გადაეცემა.

შეხვედრა ამერიკელ კოლეგებთან

2022 წლის 24 ოქტომბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „სამშვიდობო განათლების ცენტრისა“ და ტაფტის უნივერსიტეტის ფლექჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის (აშშ) ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ-კონფერენცია „უკრაინის ომის ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების შედეგები სამხრეთ კავკასიისთვის“.

აუდიტორიის წინაშე მოხსენებებით წარსდგნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი **ვახტანგ ჭარაია**; პარლამენტის ყოფილი წევრი, ბატონი **პეტრე მამრაცხე**; საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი **მალხაზ კაკაბაძე**; საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის (აშშ) სამეცნიერო მიმართულების დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **მაია ოთარაშვილი**; ტაფტის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი **ჯეფრი ტალიაფერო**.

მომხსენებლებმა განიხილეს რუსეთ-უკრაინის ომის ზემოქმედება საქართველოზე, აზერბაიჯანზე, სომხეთსა და ადგილობრივ კონფლიქტებზე. ამ კონტექსტში აღინიშნა რექტორ **ზურაბ ხონელიძის** ნოვატორულ იდეათა პოზიტიური მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს დიპლო-



მატიისა და აკადემიური სივრცის სინერგიას, რეგიონულ კონფლიქტთა დარეგულირებისა და რეგიონული უსაფრთხოების სისტემის მშენებლობისათვის.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს. ბატონი ზურაბის მოხსენებაში სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული:

„კოვიდ-ვირუსის პანდემიამ, შემდგომ ომმა, უკრაინის ტრაგიკულმა პროცესებმა, იდეოლოგიზირებული პოლიტიკამ, გეოპოლიტიკაზე მიმდინარე გარდაქმნამ, რეგიონულმა დაქსელვამ, შეცვალა ცივილიზებული სამყაროსა და მათ შორის ჩვენი ცხოვრების წესი. მსოფლიო მულტივექტორულად და სამომხმარებლო ბაზრად ყალიბდება.“

მოგეხსენებათ, ნებისმიერ მოვლენას მათ შორის განსაცდელსაც როგორც მედალს ორი მხარე აქვს. კრიზისი, ერის, ქვეყნის ცხოვრებაში აჩენს განმეზღვის წინსვლის შესაძლებლობას, კათარზისს, რაც თავისთავად საზოგადოების მარადიული განახლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ის ვინც კრიზისს დაძლევეს, იმარჯვებს საკუთარ თავზე, საკუთარი თავის დამარცხების გარეშე.

სამყაროში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პრობლემები, ძირითადად მაინც მსოფლმხედველობითი ხასიათისაა. მისი ანალიზი გვკარნახობს, რომ აუცილებელია ფილოსოფიური ხასიათის ცვლილება, ღრმა სტრატეგიული აზროვნება, გამყარებული სალი ინტელექტუალური არგუმენტებით, რაც ადამიანებს დაუბრუნებს რწმენას ფუნდამენტური ფასეულობებისადმი, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ: თავისუფლებას, სამართლიანობას, სიყვარულს. ეს ერთგვარი ინტელექტუალური რწმენაა, რომელიც, თავის მხრივ, აჩენს ყველაზე მაღალი ხარისხის ინტელექტუალურ ნდობას ამ ფასეულობების მატარებელ ადამიანებსა და საზოგადოებებს შორის. დღევანდელ შეხვედრას მხოლოდ მსგავს კონტექსტში განვიხილავ.

მართალია, ყველასადმი ხელმისაწვდომად გახდომა არ არის ჭეშმარიტების ხვედრი, მას მხოლოდ მცირედნი, მაგრამ რჩეულნი ეზიარებიან, თქვენ კი ის ადამიანები ბრძანდებით, რომელსაც ძალუძს არა მხოლოდ გაიაზროს ჭეშმარიტება, არამედ დაიცვას იგი.

დამეთანხმებით, ყველა ერისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა, არა რეფორმის (ფორმის შეცვლის), არამედ სწორი სტრატეგიული ამოცანისა და მისი სარეალიზაციო რესურსის მოძიებიდან გამომდინარე, ახალი ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო იდეებით ნასაზრდოები და გლობალური პროექტის შეთავაზება (და არა რეფორმის, ფორმის შეცვლა) ეროვნული რწმენის დაბრუნებას ნიშნავს. ვფიქრობ, საქართველოს მსგავსი ისტორიული ჟამი დაუდგა და შეცდომა იქნებოდა ამ ბედისწერის ძალით ნაკარნახევი შანსის ხელიდან გაშვება“.

რექტორ ზურაბ ხონელიძის ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში

პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევის შემდგომ, პერმანენტულად, იზრდება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ცნობადობა როგორც რეგიონში, ასევე – მის ფარგლებს გარეთაც. ამჯერად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმა, მისმა მნიშვნელობამ როგორც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე კონფლიქტების (მათ შორის, კონფლიქტი აფხაზეთში) დარეგულირების პერსპექტივით, ოკეანის გაღმა გაიჟღერა.

2022 წლის 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. სტუმრობის საფუძველი იყო სსუ-ს პარტნიორის **ტაფტის** უნივერსიტეტის ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის (აშშ) ოფიციალური მინწევა „**საუნივერსიტეტო დიპლომატიის**“ ინოვაციურ კონცეფციასთან დაკავშირებით საჯარო ლექციების ნასაკითხავად და მონოგრაფიის „**მშვიდობის ქართული პარადიგმა**“ წარსადგენად.

ტაფტის უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის სკოლა, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამერიკის დიპლომატთა „სამჭედლოდაა“ მიჩნეული, იმთავითვე დიდი ინტერესით აკვირდება და შეისწავლის რექტორ **ზურაბ ხონელიძის** მეტად აქტუალურ იდეას.

ამიტომ ტაფტის უნივერსიტეტის მკვლევრებმა „საუნივერსიტეტო დიპლომატიას“ იმთავითვე უმაღლესი შეფასება მისცეს: „**ასეთი იდეები რამდენიმე საუკუნეში ერთხელ იბადება!**“

აშშ-ს სამეცნიერო-კვლევითი წრეებისათვის მეტად საინტერესოდ გამოჩნდა „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ იდეა. ამიტომაც, მათთვის მეტად მიმზიდველი იყო უშუალოდ იმ ავტორთან შეხვედრა, რომელიც, გარდა აკადემიური ასპარეზისა, მეტად აქტიურია დიპლომატიურ ველზეც და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემუშავება-წარმართვაში თავისი წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული.

ფლეტჩერის სკოლა მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე კვლევითი და ანალიტიკური ცენტრია, რომლის დასკვნებს სანდოება ეჭვმიუტანელია და მას ქვეყნის სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუციები იყენებენ. მისი აკადემიური და პრაქტიკული მიზანსწრაფულობა სწორედაც რომ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ეხმიანება „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ იდეას. ამიტომ სწორედ აქ „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ კონცეფციის წარდგენა რიგითი მოვლენა ნამდვილად არ არის.

ეს ნიშნავს ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ანალიტიკური სკოლის მხარდაჭერის მოპოვებას, რაც ზრდის არა მარტო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორთა რიგებს, არამედ — ზოგადად ქვეყანას, საქართველოს, უჩინს ახალ მხარდამჭერებს, მეგობრებს, რაც თავისთავად უკვე დიდი გარღვევა და წარმატებაა. საქართველო განიხილება როგორც სახელმწიფო პრობლემებით, აქ კი ის წარმოჩნდება როგორც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და საერთაშორისო იდეების ინიციატორი.

პროფესორმა **ზურაბ ხონელიძემ** სკოლის აკადემიური წრეებისა და სტუდენტების წინაშე ნაიკითხა საჯარო ლექციების კურსი – „**საუნივერსიტეტო დიპლომატია – მშვიდობის ქართული პარადიგმა**“, სადაც ისაუბრა როგორც ამ კონცეფციის შექმნის იდეაზე, მიზნებზე, ასევე მისი განხორციელების პერსპექტივებზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნების შიდა კონფლიქტური (მათ შორის – ეთნიკური თუ პოლიტიკური) პრობლემების მოგვარებას და რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებას. ეს კი აშშ-ს უშუალო ჩართულობის გარეშე ვერ განხორციელდება. ლექციებისას ხაზი გაესვა,



რომ აღნიშნული იდეით უკვე დაინტერესდნენ ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის არაერთი სახელმწიფოები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც, გარდა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა, სპეციალური სალექციო კურსებიც იქმნება:

„მოგესხენებათ, კოვიდ ვირუსის პანდემიამ, შემდგომ ომმა უკრაინაში, იდეოლოგიზებულმა პოლიტიკამ, გეოპოლიტიკაზე მიმდინარე გარდაქმნამ, რეგიონულმა დაქსელვამ, მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრად ქცევამ შეცვალა ცივილიზებული სამყაროსა და მათ შორის ჩვენი ქცევის წესი.

უნდა ვალიაოთ, არ არსებობს მოვლენა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარეშე. ფაქტია, ნებისმიერ მოვლენას, მათ შორის — განსაცდელსაც, როგორც მედალს, ორი მხარე აქვს. კრიზისი, ტრაგედია, ერის ქვეყნის ცხოვრებაში აჩენს განწმენდის წინსვლის შესაძლებლობას, კათარზისს, რაც, თავისთავად, საზოგადოების მარადიული განახლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ის, ვინც კრიზისს დაძლევეს, იმარჯვებს საკუთარ თავზე, საკუთარი თავის დამარცხების გარეშე.

მოგესხენებათ, არ არსებობს წარმატების უნივერსალური ფორმულა. არსებობს წარმატების აუცილებელი პირობა. არც შეუცნობელი დაავადების მკურნალობაა შესაძლებელი. აუცილებელია, დაავადგინოთ ჩვენი ავადობის „რა გვჭირს?“, „რა სენით ვართ შეპყრობილნი?“ და მხოლოდ ამის შემდგომ ვუმკურნალოთ არა ავადმყოფობას, არამედ – ავადმყოფს. გამოსავალი, პოლიტიკური თამაშის წესების გათვალისწინებით, კი სწორედ ჩვენში – საკუთარ წარმოდგენებში და რეალობის შესაბამისობაში, საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი რეგულატორის: დამატებითი ინტერესისა და მსოფლიო მომწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვით, არსებული მოცემულობის შეცვლაში უნდა ვეძებოთ.

მართალია, ყველასადმი ხელმისაწვდომად გახდომა არ არის ჭეშმარიტების ხვედრი, მას მხოლოდ მცირედნი, მაგრამ რჩეულნი, ეზიარებიან. თქვენ კი ის ადამიანები ბრძანდებით, რომელსაც ძალუძს არა მხოლოდ გაიაზროს ჭეშმარიტება, არამედ დაიცვას იგი. დამეთანხმებით, სამყაროში მიმდინარე



რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პრობლემები, ძირითადად მაინც მსოფლმხედველობითი ხასიათისაა, რომლის ანალიზი გვეკარნახობს, რომ აუცილებელია, ღრმა სტრატეგიული აზროვნება, ფილოსოფიური ხასიათის ცვლილება, გამყარებული სალი ინტელექტუალური არგუმენტებით. ეს კი ადამიანებს დაუბრუნებს რწმენას ფუნდამენტური ღირებულებებისადმი, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ: თავისუფლება, სამართლიანობა, სიყვარული. ეს ერთგვარი ინტელექტუალური რწმენაა, რომელიც, თავის მხრივ, აჩენს ყველაზე მაღალი ხარისხის ინტელექტუალურ ნდობას ამ ღირებულებების მატარებელ ადამიანებსა და საზოგადოებებს შორის.

ყველა ერისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა არა რეფორმის (ფორმის შეცვლის), არამედ სწორი სტრატეგიული ამოცანისა და მისი სარეალიზაციო რესურსის მოძიებიდან გამომდინარე, ახალი გლობალური პროექტის შეთავაზება, ეროვნული რწმენის დაბრუნებას ნიშნავს. საქართველოს, რომლის ძალა მრავალფეროვნებაშია, ხოლო ეფექტურობა სივრცის გაფართოებაში მდგომარეობს, მსგავსი ისტორიული ჟამი დაუდგა და შეცდომა იქნებოდა ამ ბედისწერის ძალით ნაკარნახევი შანსის ხელიდან გაშვება.

აღნიშნულმა განცდამ, და არა გაქცევამ რეალური პრობლემებისგან, მაიძულა, ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ შემექმნა ევროოპტიმიზმით გაჯერებული, არა მხოლოდ – ქართული, არამედ გლობალური პროექტი, გამომექვეყნებინა შრომები, მიმიყვანა სსუ-ში და გამომეცა მონოგრაფია „მშვიდობის ქართული პარადიგმა“, რომელიც მულტიეთნიკური ქართული სახელმწიფოს მსახურების და ეროვნული ანუ ზოგადსაკაცობრიო იდეებით არის ნასაზრდოები.

ჩვენს კვლევაში ახსნილია არსებული მოცემულობის – დროებით გაყოფილი, პოლიტიკურად დასწეული და ზნეობრივად გასაჭირში მყოფი, ეროვნული სხეულის – საქართველოს – მდგომარეობა, რომლის ჯანსაღი მომავლის უზრუნველყოფა წარმოუდგენლად გვესახება ქვეყნის მულტიეთნიკური ქართული სახელმწიფოს ორგანული მთლიანობის აღდგენის გარეშე. აღნიშნული ერთიანობის უპირველეს ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგეს ქართულ-რუსული ურთიერთობის შედეგი – საქართველოში დღემდე მოუგვარებელი ე.წ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, აფხაზეთსა და ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც შეცდომით „სამხრეთ ოსეთს“ ვეძახით.

მართალია, ზოგადად კონფლიქტის დარეგულირების ორი გზა განიხილება – მშვიდობიანი და ძალისმიერი. თუმცა არც ერთი დადებითი ფაქტი, სამწუხაროდ, ამისა არ არსებობს. მიზეზი მარტივია – მსოფლიოში კონფლიქტის დარეგულირების არა თუ მექანიზმი, არამედ პოლიტიკა და კონცეპტუალური ხედვაც კი არ არსებობს. შეგახსენებთ თქვენი თანამემამულის **ელეონორა რუზველტის** სიტყვებს: **„დიდი გონება განიხილავს იდეებს, საშუალო გონება განიხილავს მოვლენებს, პატარა გონება განიხილავს ადამიანებს“.**

ნაშრომი შედგება ორი იდეა-პროექტისაგან:

1) საუნივერსიტეტო დიპლომატია.

განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება — „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა — ნათლად წარმოაჩენს, რომ: სამყაროში მშვიდობის სუვერენიტეტისა და ერთიანობის უპირველესი პრობლემის — კონფლიქტების — მოგვარების გზა არის მშვიდობიანი და გადის ჰუმანიზმზე დაფუძნებულ საყოველთაო ფასეულობაზე: განათლებაზე, მის უმაღლეს მწვერვალზე — მეცნიერებასა და საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ, მოტივირებულ და პრაგმატულად მოაზროვნე ნაწილზე — ახალგაზრდობაზე. ცხადია, სამივე კომპონენტი ერთად თავს იყრის და მშვიდობიანად თანაარსებობს მხოლოდ თავისუფალ საუნივერსიტეტო სივრცეში. თუმცა, სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში უნივერსიტეტი, რომელსაც განგებამ, ძირითად საგანმანათლებლო ფუნქციებთან ერთად, სამშვიდობო პროცესის ინდიკატორის შესაძლებლობა მისცა, ბოლომდე არ აღმოჩნდა ადეკვატური დროსთან მიმართებაში, ვერ გააცნობიერა საკუთარი ისტორიული პასუხისმგებლობა, მეტიც საუნივერსიტეტო იდეა განიცდის კრიზისს.

მიდგომამ, უნივერსიტეტისგან მოითხოვა სამშვიდობო სტრატეგიის შეზღუდული პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსებისა და საკუთარ ფუნქციას მორგებული ხარისხობრივად ახალი ცოდნის, ახალი მეცნიერების და ახალი სიცოცხლის წარმოქმნა.

სიცოცხლის წყაროდ, ბუნების კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობიდან გამომდინარე,

შეიძლება იქცეს არა ერთი, არამედ მხოლოდ ორი სუბიექტი „დანყვილებით“, რამაც უნივერსიტეტისგან არასაუნივერსიტეტო რესურსის სახით, მეორე აუცილებელი, მასთან თავსებადი, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის, მაღალი ნდობისა და რეპუტაციის მატარებელი სუბიექტის — დიპლომატიის (რომელიც დამოუკიდებლად ასევე ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს), როგორც მოლაპარაკების მეცნიერების, ურთიერთობის ხელოვნების მოძიება და მასთან შერწყმა განაპირობა.

უნივერსიტეტმა, როგორც უნივერსალურმა მოდელმა, უნდა დაასაბუთოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, შეძლოს არჩეული სამშვიდობო სტრატეგიის პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსება, აქტიურად ჩაერთოს, მეტიც, იქცეს სამშვიდობო პროცესების ეპიცენტრად. შეცვალოს არჩეული მიდგომა და შექმნას კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკა.

საქართველოს მაგალითზე, მსგავსი შესაძლებლობის მატარებელია, ქვეყნის ბედის თანაზიარი „პოლიტიკის მსხვერპლი“ აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმი — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც, სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე (მსგავსი ბედის მსოფლიოში რამდენიმე „დევნილი უნივერსიტეტი“), აჩენს შესაძლებლობას, კონფლიქტში შესვლის ან ერის ისედაც დეფიციტური ენერჯის კონფლიქტის შედეგებთან ბრძოლისკენ მიმართვის ნაცვლად (წარსულისგან განსხვავებით), აკადემიურ სივრცეში მხოლოდ თემის შემოტანითა და შეზღუდული არასაუნივერსიტეტო რესურსის გაერთიანებით, კონფლიქტით დაინტერესებულ სუბიექტებთან, უპირველესად, ხელისუფლებასთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მხარეებთან და ა.შ. მეცნიერულ-ჰუმანიტარული დიალოგის გაჩენით, კონფლიქტის მიზეზების საფუძვლების დადგენასა და მის დარეგულირებას მოემსახუროს.

მიზნის რეალიზაციამ უნივერსიტეტისგან არა მხოლოდ ტრანსფორმაცია, არამედ ხარისხობრივად



ახალი ცოდნის, ახალი მეცნიერების, ახალი სიცოცხლის წარმოქმნა მოითხოვს. ამან კი, რეპროდუქციულობიდან გამომდინარე, დამატებით, არასაუნივერსიტეტო რესურსის სახით, მეორე აუცილებელი, ასევე, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის რბილი ძალის, მატარებელი სუბიექტის დიპლომატიის, ანუ მოლაპარაკების მეცნიერებისა და ურთიერთობის ხელოვნების მოძიება და მასთან შერწყმა განაპირობა. ორი თავსებადი თვისებრიობის – უნივერსიტეტისა და დიპლომატიის ერთობამ ჩამოაყალიბა ახალი პარადიგმა: თეორიიდან ქმედებისკენ; შექმნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის არა კლასიკური, ან ფორმალური, არამედ, სრულიად ახალი სახეობა „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც კონფლიქტის დამარეგულირებელი სისტემის შემქმნელი თავისთავადობა – მშვიდობის უზრუნველყოფის ახალი ორიგინალური საშუალება.

„პარადიგმის“ II პროექტი — სამხრეთ კავკასია ახალი სამშვიდობო სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი) — სწორედ დროს მორგებული ახალ გათანამედროვეებულ იდეას წარმოადგენს.

საქართველო არ არის და ვერ იქნება ჩაკეტილი სივრცე. იგი შავი ზღვის აუზის დასავლეთისა და აღმოსავლეთის, საკუთრივ კავკასიის სინთეზია. რელიგიურად, ისტორიულად და გეოგრაფიულად, იმ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთის ეპიცენტრშია, რასაც არა მხოლოდ ქართული არამედ სამხრეთკავკასიური და კავკასიური სივრცე ჰქვია. განგებამ მას ევრაზიის კარიბჭის ადგილი მიუჩინა. ამ გასაღების – „ხიდის“ (ისტორიებს, ტრადიციების, რელიგიებს...) — ფუნქციამ განსაზღვრა მისი ბედი რაც გვეკარნახობს მეტ რეგიონალიზმს.

მართალია, კავკასია ერთიანი რეგიონია, რომელიც ორი პოლიტიკური სივრცისგან შედგება, მაგრამ რეგიონულ სივრცეში ვგულისხმობ მხოლოდ „სამხრეთ კავკასიას“ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) სუვერენულ სახელმწიფოთა იმ ერთიან რეგიონულ სივრცეს, რომლის მათგანიზებული ცენტრის პრიორიტეტული მნიშვნელობა, ოდითგანვე საქართველოს გააჩნდა.

ახალი „პარადიგმა“-მიდგომა ჩვენს ევროოპტიმიზმს ცალსახად ამართლებს. პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, იზიარებს ქვეყნის ორიენტირს — ევროინტეგრაციას. ისიც აშკარაა, რომ ფიზიკური გეოგრაფიის პოზიციიდან პატარა ევროპა შეზრდილია გიგანტურ აზიასთან და ევრაზიის კონტინენტს, ერთად ქმნიან თავისი ორი კონტინენტური ნაწილით ევროპა-აზია. უნდა დავინახოთ ეს მთლიანობა და ცხოვრებას ჰარმონიულად ასე ვაქცევთ, სხვაგვარად ყოველთვის გაუცხოებული დავრჩებით.

რეგიონისადმი ღია თუ ფარული ინტერესები, გამორიცხავს, საერთო რეგიონული სივრცისადმი ყოველგვარი ცალმხრივი სტრატეგიის არსებობას, რაც მათი მონაწილეების: მსოფლიოს დომინანტი და რეგიონული ლიდერი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ცენტრების და ტრანსნაციონალური კორპორაციების და ა.შ. გადანყვეტილების ერთობლივად მიღების აუცილებლობას განაპირობებს.

სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ფორმირება და მისი ახალ სამშვიდობო სივრცედ გარდაქმნა, ერთი ქოლგის ქვეშ დედააზრი გლობალური, რეგიონული და ნაციონალური ინტერესების ბედნიერ მორიგებაშია ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.

ჩვენმა კონცეფციამ, რომლის მნიშვნელობა სცილდება ქვეყნის საზღვრებს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ასევე, ისრაელის, ევროპის რამდენიმე ქვეყნისა და თურქეთის აკადემიურ წრეებში (უნივერსიტეტები, საისტორიო საზოგადოებები, სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრები) გამოიწვია დიდი ინტერესი. მეტიც, მიმდინარეობს ამ ქართული და, იმავდროულად, გლობალური პროექტის რეალიზაციაში მათი ჩართვის აქტიური პროცესი, მონოგრაფიული ნაშრომი ითარგმნა **ბულგარულ** ენაზე და გამოიცა ქალაქ **სოფიაში**. უახლოეს მომავალში გამოიცემა **იტალიურ, თურქულ, პოლონურ** ენებზე. კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივმა საბჭომ კონფლიქტოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებში დანერგა ახალი ტერმინი „საუნივერსიტეტო დიპლომატია“. მსგავსად სოფიისა, გვექნება პრეზენტაციები ამ ქვეყნებშიც. ამასთან, „პარადიგმამ“ გააჩინა შესაძლებლობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღედგინა ჯანსაღი ურთიერთობა თავის ისტორიულ ფესვებთან **სოხუმში – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან**; ამერიკის შეერთებულ შტატებში (ფლორიდის შტატი, ორლანდო) გაეხსნა უნივერსიტეტის წარმომადგენლობა; საუნივერსიტეტო სივრცეში დაეფუძნებინა „სამშვიდობო განათლების კვლევითი ცენტრი“, რომელიც ქართველი, აფხაზი და ოსი მეცნიერ-მკვლევარების, ახალ-

გაზრდებისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, ყალიბდება სისტემურად გამართულ, ინსტიტუციურად ძლიერ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად; შეექმნა ქართულ-ინგლისურ-რუსული სამაგისტრო პროგრამა, რომელმაც წარმატებით გაიარა აკრედიტაციის პროცესი და დაინერგება, ინერგება საქართველოსა და მსოფლიოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. ჩაეტარებინა და მონაწილეობა მიეღო არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სხვ.

დიდი მადლობა თქვენი ყურადღებისათვის!“, – განაცხადა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ხონელიძემ**.

ამერიკელი მკვლევარების შენიშვნით, საუნივერსიტეტო დიპლომატიის იდეის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ფაქტობრივად ნიშნავს საქართველოს მხრიდან ახალი ხედვის გაფლერებას. ეს დაინტერესებული მხარეებისათვის, საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის წარმოადგენს მინიშნებას იმისთვის, რომ პროცესში ყველა სუბიექტს შეუძლია ჩართვა, რომელსაც „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ იდეა გააერთიანებს და შექმნის პრაქტიკულ და ანალიტიკურ აქტივს ამ კონცეფციის პოზიტიური რეალიზაციისათვის.

მასპინძლებმა აბსოლუტურად გაიზიარეს საუნივერსიტეტო დიპლომატიის კონცეფციის ძირითადი არსი – მშვიდობის სწავლებისა და ახალი პოლიტიკური სივრცის შექმნის აუცილებლობა. მათი თქმით, წარმოდგენილი იდეა მეტად საინტერესო და კონცეპტუალურია, რომელიც ძირფესვიანად ცვლის არსებულ მიდგომას კონფლიქტების დარეგულირების აქამდე არსებულ ხედვებში.

ამ იდეის განხორციელება კი შექმნის ერთიან სამოქმედო გეგმას, როგორც საერთო საგრანტო პროგრამების, ასევე — სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისთვის სსუ-სა და **ფლეტჩერის** სკოლას შორის გაცვლითი პროგრამების დასაწარმოებლად. ყოველივე ეს კი, გამოიწვევს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ კონცეფციის რეალიზაციის ხელშეწყობას და უფრო მოქნილსა და პროცესს გამჭვირვალეს გახდის.

ფლეტჩერის სკოლის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განევრიანება სხვადასხვა დიპლომატიურ ორგანიზაციებში, კოოპერაცია წამყვან სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებთან, რაც დადებითად წაადგება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს, არამედ, ზოგადად, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. ძალიან მალე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება ამ ორგანიზაციების წევრი.



როგორც შეხვედრებისას აღინიშნა, უპირველეს ყოვლისა, ეს ამ ინსტიტუციებისათვის დიდი პატივი იქნება.

ამასთან ერთად, ეს გამოიწვევს დამატებითი აკადემიური და ფინანსური რესურსების მიღებას კვლევების გასააქტიურებლად. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ზოგადად, საქართველო ძალზედ პასიურია და კვლევების მაჩვენებელიც საგრძნობლად დაბალია. საჭიროა არსებული რესურსების და მონაცემების სრულად გამოყენება და ახალი კვლევების წარმოება. თამამი და გამომწვევი ნაბიჯების გადადგმა ერთიანი ხედვების განსახორციელებლად.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში რექტორი **ზურაბ ხონელიძე** პირადად შეხვდა და სამომავლო გეგმები განიხილა **ტაფტის** უნივერსიტეტის ფლექჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის დეკანთან, პროფესორ **რეიჩელ კაიტს**, პროფესორებს – **ალან ჰენრიქსონს**, **დაიანა ჩიგასს**, **აილინ ბაბიტს**. კერძოდ, საქმე შეეხება რექტორ **ზურაბ ხონელიძის** მიერ ახალი მონოგრაფიის მომზადებას ფლექჩერის სკოლისათვის. ამასთანავე, იქვე დაინერგება „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ კონცეფციაზე დაფუძნებული სასწავლო კურსი. უკვე რამდენიმე წელია, სსუ და ტაფტის უნივერსიტეტი ერთობლივ სამეცნიერო ფორუმებს მართავენ. ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

პროფესორმა **ალან ჰენრიქსონმა** მაღალი შეფასება მისცა „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ უნიკალურ კონცეფციას:

„ზურაბ ხონელიძის „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ არის ღრმად გამოხატული ეროვნული მისწრაფება, რომელიც მიმართულია კონფლიქტების მოგვარებისკენ როგორც თავად საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მთელ სამხრეთ კავკასიაში.

იმის ნაცვლად, რომ დაეყრდნოს საერთაშორისო ორგანიზაციებს ან შესთავაზოს ახალი ფორმალური სტრუქტურები, ის ავითარებს მშვიდობის მშენებლობის „ორგანულ“ კონცეფციას. რეგიონის მრავალფეროვან ხალხებს, თავიანთი გადახლართული კულტურული ფესვებითა და მდიდარი საგანმანათლებლო ტრადიციებით, შეუძლიათ არაპოლიტიკური განვითარება საუნივერსიტეტო დიპლომატიის ინოვაციური ფორმატის მეშვეობით. რექტორი **ზურაბ ხონელიძე**, რომელმაც ამ მიმართულებით საქართველოსთვის პერსპექტიული პროგრამა წამოიწყო, ახალ ფუნქციას აღიქვამს, როგორც განათლების, მეცნიერებისა და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის სინერგიას“.

პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** საჯარო ლექციებს ესწრებოდნენ **ტაფტის** უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც, რომელთა შორის იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და მეგობარი, ფლექჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი, აფხაზეთის მკვიდრი **ზვიად აძინბაია**.

სსუ რექტორი ასევე შეხვდა აშშ-ში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. მათ გააცნო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, მისია და მნიშვნელობა თანამედროვე ეროვნულ ქართულ განათლებაში. ასევე ისაუბრა „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ კონცეფციის შესახებაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** ვიზიტი მოამზადა და მის წარმატებულ მსვლელობაში დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ტაფტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, აშშ-ში სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ანალიტიკოსმა, ბატონმა **ლაშა კასრაძემ**.

აღსანიშნავია, რომ რექტორატში ოფიციალურად შემოსულია არა ერთი ოფიციალური მიწვევა როგორც ევროპის, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, სადაც ელოდებიან პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** საჯარო ლექციებსა და მისი მონოგრაფიის პრეზენტაციას.

**ანა სამაკაშვილი,
გიორგი რურუა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი.

დამსახურებული ჯილდო!

მილოცვის მთავარი ადრესატი, ბუნებრივია, ჯილდოს მფლობელი, **ნიკა ბაძაღუა**, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა აღიარება, მაგრამ არანაკლები ღვაწლი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის გამორჩეულ რექტორს,

ბატონ **ზურაბ ხონელიძეს** მიუძღვის!

სწორედ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა „ჩაიკრა გულში“ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთიდან გადმოსული, ეროვნებით აფხაზი, ნიკა ბაძაღუა და ყველა პირობა შეუქმნა საკუთარი ინტელექტუალური რესურსების რეალიზებისთვის!

სახელმწიფო მინისტრის აპარატის შერიგებისა და ნდობის აღდგენის საკითხებში მიერ გამოცხადებულ კონკურსზეც – „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“, უნივერსიტეტმა წარადგინა.

მე, ზოგადად, ნიჰილისტურად ვარ განწყობილი ასეთი კონკურსების მიმართ (იგულისხმება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებული კონკურსები), რადგან, გამარჯვებული წინასწარაა ცნობილი. თუმცა, საკონკურსო კომისიის გუშინდელმა გადანწყვეტილებამ, ეჭვები ნამდვილად გამიქარწყლა – კომისიამ 12 ღირსეულ ფინალისტს შორის ყველაზე ღირსეული აირჩია და ამით უფრო მეტი სტიმული მისცა **ნიკა ბაძაღუას**, იღვანოს ქართველებსა და აფხაზებს შორის ძმობის ხიდის აღსადგენად!

ზემოსხენებული კონკურსის შეჯამება და დაჯილდოების ცერემონიალი გუშინ სასტუმრო „**ბილტმორში**“ გაიმართა, სადაც თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი პარლამენტისა და მთავრობის მესვეურები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კონკურსიც და დაჯილდოების ცერემონიალიც, საკმაოდ ეფექტურად იყო ორგანიზებული, რაც, უპირველესად, შერიგებისა და ნდობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ქალბატონ **თეა ახვლედიანის** დამსახურებაა (ნიშანდობლივია ისიც, რომ იდეა ერთი წლის წინათ დაიბადა და პირველი გამარჯვებულიც გუშინ გამოვლინდა).

როგორც ნიკა ბაძაღუას უფროსი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი, ბუნებრივია, მთელი არსებით მას ვგულშემატიკვრობდი, მაგრამ, რატომღაც, გულის სიღრმეში მაინც მეეჭვებოდა, რომ სამართლიან გადანწყვეტილებას მიიღებდნენ...

ჩემი ეჭვი გაქარწყლდა. სიხარულის მიზეზი არა ის მატერიალური ჯილდოა, რომელიც გამარჯვებულს ერგო წილად, არამედ, მისი ნიჭის, ინტელექტუალური რესურსებისა და მის მიერ პრაქტიკულად გაკეთებული საქმის აღიარება, რომელიც სტიმულს აძლევს და პასუხისმგებლობასაც აკისრებს გამარჯვებულს, რომ მეტი გააკეთოს ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატენილი ხიდის აღსადგენად.





არადა, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სახალხო დიპლომატიას და კულტურული ურთიერთობების აღდგენას, ძალიან დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

ახლა ორიოდ სიტყვით თავად ჯილდოს ადრესატზე:

ნიკა ბაძაღუა 28 წლის ახალგაზრდაა, ეროვნებით აფხაზი. იგი პროფესიით ფილოლოგია (აფხაზური ენა), გარდა ქართულ-აფხაზურ-მეგრულ-სვანურისა, სრულყოფილად ფლობს თურქულ, რუსულ და კავკასიურ ენებს. ენევა მთარგმნელობით საქმიანობას. ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა (სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობაში ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა) „**აფხაზური პოეზიის ანთოლოგია**“, **ივანე თარბას** საიუბილეო კრებული, ჩეჩენი პოეტის, **ქაუზ ისაევის** პოეტური კრებული (რჩეული), ამზადებს „**ქართულ-აფხაზურ-ჩრდილო კავკასიური პოეზიის ანთოლოგიას**“, ჩაფიქრებული აქვს სხვა სერიოზული პროექტებიც... რაც ყველაზე ნიშანდობლივია, არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის ჭეშმარიტი მეციხოვნე.

ვულოცავ ნიკას ამ გამარჯვებას! ასევე, გულწრფელად ვულოცავ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს, ბატონ **ზურაბ ხონელიძეს** და უნივერსიტეტის სპიკერს, ბატონ **დავით ჯალაღონიას**, რომელიც მონდომებით იყო ჩართული კონკურსისთვის აუცილებელი ფორმალური საკითხების ორგანიზებაში.

P. S. დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ, ნიკა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესვეურები ძალიან აფორიაქებულნი ჩანდნენ – ასე იცის დაფასებამ! ფორიაქი მეც გადმომედო.

ზაურ ნაჭყებია

პუბლიცისტი, საინფორმაციო-ანალიტიკური
სააგენტო „ივერიონის“ მთავარი რედაქტორი.

კირპი

(ოქროს სანძისი – Golden Fleece)

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველკვარტალური ჟურნალი

№ 8, 2022 წელი, დეკემბერი

ჭეშმარიტი ფასეულობანი:

მართლმადიდებლური აღმსარებლობა
პიროვნული თავისუფლება
ამაღლებული და მშვენიერი
აგრარული ინდუსტრიალიზაცია
ეროვნული თანხმობა
სამოქალაქო ინტეგრაცია
პოლიტიკური კონსენსუსი
საუნივერსიტეტო დიპლომატია

ვისაც გსურთ ამ გადმოსახედიდან აზრის გამოხატვა
საგნებსა და მოვლენებზე, მოგვმართეთ:

ტელ.: 571 21 27 70, 505 55 68 48.

ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com

სს „საქართველოს ბანკი“, BAGAGE 22,
კოლხური კულტურის აღორძინების საქველმოქმედო ფონდი,
GE56BG0000000743546900

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა

გამომცემლობა გრიფონი

წერეთლის 72.



თანამედროვე ავეჯი
Margali.ge